ელგუჯა მამუკელაშვილი

ვეტერანთა დაუწერელი ისტორია

(XX-XXI ს.ს.)

თელავი 2020

მთავარი რედაქტორი გიორგი ბეჟიტაშვილი, ისტორის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

რედაქტორები გურამ გვეტაძე გენერალი, მამუკა გოგიტიძე - პროფესორი

თ. იუკურიძე - გენერალი

რეცენზენტი - შოთა უტიაშვილი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამხედრო კონსულტანტი თენგიზ შუბლაძე, გენერალი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი გამოცემისათვის ივანე ბუჩუკური, პოლკოვნიკი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ნინო თანდილაშვილი, თელავი,

კომპიუტერული ცენტრი ,,ერუდიტი“

წიგნი პირველი

გამომცემლობა ,,სვეტი“ 2018წ.

ISBN 978-9941-9618-2-3

ვეტერანის დღე 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ,,ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ყოველ 17 ოქტომბერს აღინიშნოს ვეტერანის დღე. [ვეტერანი, 2016. დეკემბერი, გვ.5]

ვეტერანი - სამშობლო-ქვეყნისთვის თავდადებული, უანგაროდ დიდად დამსახურებული პიროვნება.

ელგუჯა
27,08,2017წ.
სოფ. კურდღელაური

2016 წლის ივნისში თელავის ვ. ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რეგიონის ვეტერანთა ყრილობა, ესწრებოდნენ ყველა მუნიციპალიტეტის . . ვეტერანთა წარმომადგენლები. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობა, შიხიაშვილის თავმჯდომარეობით.

ყრილობაზე განიხილეს თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ მეცნიერებათა

დოქტორის, პროფესორ ელგუჯა მამუკელაშვილის მიერ შემოთავაზებული ინიციატივა გამოინახოს შესაძლებლობა საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ისტორიის შექმნისათვის, ამჯერად კახეთის რეგიონის ,,ვეტერანთა დაუწერელი ისტორია".

ვეტერანთა ყრილობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და გადაწყვიტა გამოინახოს ყველა შესაძლებლობა ,,ვეტერანთა დაუწერელი ისტორიის" - შექმნისათვის ჯერ კახეთის რეგიონის საფუძველზე.

21 ივნისი, 2016წელი
ქ. თელავი
კურდღელაური

ანოტაცია

2015 წელს გამომცემლობაში „სვეტი“ დაიბეჭდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ელგუჯა მამუკელაშვილის სქელტანიანი მონოგრაფიული გამოკვლევა „საქართველო XXსაუკუნე 20-90-იან წლებში“ (დამხმარე სახელმძღვანელო).

მონოგრაფიაზე ხანგრძლივი კვლევითი ძიების პროცესში აშკარად გამოიკვეთა საჭიროება ომისა და შრომის გამოჩენილ მოღვაწეთა განვლილი სახელოვანი წლების ისტორიული შეფასების სრულიად ცალკე დამოუკიდებელი ნაშრომის შექმნის აუცილებლობისათვის.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის მეოხებით მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ „საქართველოს თელავის მუნიციპალიტეტის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარესთან ალექსანდრე ციბაძესთან.

სამუშაო შეხვედრებისას გამოიკვეთა:

1. აუცილებელი საჭიროება ვეტერანთა თაობების შრომითი და საომარი თავგადასავლების ისტორიული ნარკვევის შექმნის;
2. გამოიკვეთა აშკარა დიდი სურვილი, ხალისი ერთიანი ნაშრომის გაკეთებისა თელავში, თელავის მუნიციპალიტეტის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა წარმომადგენლებზე;
3. გადავწყვიტეთ მიგვემართა ჩვენი შესაძლებლობები საქართველოს ვეტერანთა

მრავალათასიანი შემადგენლობის ისტორიული ნარკვევის გაკეთებისათვის;

4. შევჯერდით სრულიად ცალკე შეგვექმნა ღირსეული ისტორიული ნარკვევი ,,კახეთის რეგიონის ვეტერანთა შესახებ“.

რისთვისაც:

1. კახეთის მუნიციპალიტეტის (თელავი, ახმეტა, ყვარელი, გურჯაანი, საგარეჯო, სიღნაღი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო), ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეებთან გვქონდა კონსულტაციები.
2. 2015 წლის ივნისის თვეში თელავის თეატრში მოეწყო ვეტერანთა ხალხმრავალი შეხვედრა, სადაც გადაწყდა - ,,ვეტერანთა დაუწერელი ისტორიის შექმნა“.

ახალ, ორიგინალურ ნაშრომს ვუძღვნი - საქართველოს ომის, შრომის და სამხედრო შეიარაღებულ ძალების გამორჩეულ ადამიანებს, ვინც უშურველად გაიღო ძალა ქვეყნის მომავლისათვის.

ა) დიდი სამამულო ომი (1941-1945წ.წ.). შემორჩნენ მცირენი. დარჩენილია დღეისათვის 922 მონაწილე მთლიანად საქართველოში. 2018 წლისათვის - 637.

ბ) საზღვარს მიღმა საომარ ოპერაციაში მონაწილეებს, პარტიზანებს, მეომრებს;

გ) აფხაზეთის ომის (1991-1993წ.წ.) ვეტერანებს;

დ) თბილისის ომის (1991-1992წ.წ.) მონაწილეებს;

ე) რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს (ცხინვალის) ომის მონაწილე მეომრებს;

სულ სხვა იყო წინა თაობის (ჩემი თაობის) საქართველოს ცხოვრება. მისი ისტორიული განვითარების პერიოდები შესაძლოა ასე განვსაზღვროთ:

პირველი პერიოდი 1921-1970 წლები: დამცრობილი, გაღატაკებული, დაქსაქსული, უწიგნური საქართველო გახდა - ერთიანი, ძლიერი, ინდუსტრიული, განათლებული, მდიდარი, მრავალმილიონიანი, საერთოდ აღიარებული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში. განსხვავდებიან ამ პერიოდის შემორჩენილი ვეტერანები რწმენით, მსოფლმხედველობით, საქართველოზე ზრუნვით. ისინი მარადისობაში განისვენებენ, მათი საქმეები ჩანან.

მეორე პერიოდი - 1970-1985 წლები. საზოგადოებრივი ცნობიერების, მისი მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის გარდაქმნის საფუძველზე სახელმწიფო წყობილების ნგრევა, განკერძოებისაკენ მისწრაფება, ე.წ. ,,დამოუკიდებლობის აღდგენა". ამ პერიოდის ვეტერანები სხვა თაობის ინტერესების, მიზნების სირთულეების გამომხატველი იყვნენ. ისევე, როგორც სხვაგან.

მესამე პერიოდი - 1990 – 2003 წლები საქართველოში გამუდმებული სამხედრო-საომარი დაპირისპირება, ხელისუფლების ცვლა. თბილისის ომი, ადხაზეთის ომი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ამ წლებს თავისი ვეტერანები ჰყავს.

მეოთხე პერიოდი 2003-2008 წლები. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი ვეტერანების ახალგაზრდა თაობა.



2013 წლის დეკემბერი!

თელავში ზუზუმბოს მემორიალის ადგილზე ვეტერანების მიერ უანგაროდ აღდგენილი, სტალინის განახლებული ძეგლის, აღდგენა-შემკობის ძირითადი მონაწილენი.

რედაქტორისაგან

შემოთავაზებული საინტერესო და სრულიად ორიგინალური განსხვავებული ჟანრის ნაშრომის ,,ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXIს.ს.)“ ავტორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა მამუკელაშვილი ათეული წლებია იკვლევს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ძირითად პრობლემებს.

საქართველოს XX საუკუნის უახლესი ისტორიის მოვლენებიდან მისი მეცნიერული შემოქმედების საგანი განეკუთვნება ,,სამხედრო ხელოვნების ისტორიას“, კერძოდ მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) დროს დიდ სამამულო ომში (1941-1945) საქართველოს მონაწილეობის ურთულესი მოვლენების განზოგადებას, ქართველ ჯარისკაცთა, ოფიცერთა, მაღალ ჩინოსანთა საბრძოლო თავდადების მაგალითების გამომზეურებას. რასაც მიეძღვნა სამეცნიერო სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები. **ამ გამოცემებში შემორჩენილია XX საუკუნის 40-50-იანი წლების ამაღლებული სულისკვეთება მთლიანად საბჭოეთსა და საქართველოში.** წლების, ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ადრეული სახელმწიფო მართვის პრინციპებზე დაკვირვებული მეცნიერი, აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე მარტივად იტყვის - ,,სტალინი რომ გენიოსი გახლდათ, ამაზე დავა არ შეიძლება“. [ჟურნალი ,,საარქივო მოამბე“, N11, გვ. 116-117].

საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებულმა მძაფრმა გააფთრებულმა მოვლენებმა ერთგვარად დაჩრდილა დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ღირსების აღიარება (ისინი ბუნებრივი კანონების გავლენით

დაცოტავდნენ). სამაგიეროდ საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამოჩნდნენ ახალი სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების აქტიური ვეტერანები, თავისი სულიერი სიმტკიცის, გონივრული შემოქმედებისა და საქართველოს მომავალზე ზრუნვის თავდაუზოგავი მცდელობით. მათ შექმნეს ახალი საქართველოს დაუწერელი უახლესი ისტორია.

ავტორი გვთავაზობს მთლიანად საქართველოს და კახეთის მკვიდრ-ვეტერანთა თაობების სანიმუშო თავგადასავალს - „ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXI ს.ს.)“.

თავსათქმელი

უსასრულო მარადიულობამ სამუდამოდ მიიბარა კაცობრიობის ბობოქარი ისტორიის XXსაუკუნე. მსოფლიო უახლესი პერიოდის მოვლენებმა თავისი დიდი ზეგავლენა მოახდინეს საქართველოს განვითარებაზე. მრავალთაგან ტკივილიანი, სისხლიანი, დაუვიწყარი თავგადასავლებით დატვირთული გამოდგა მეორე მსოფლიო ომი (1939-1945) „დიდი სამამულო ომის (1941-1945)“, 1418 დღის ბრძოლის მონაწილე საქართველოს თაობების ბედი.

მაშინდელ ერთიან სამშობლოს მათ შესწირეს:

ახალგაზრდული გატაცებები

მისწრაფებები . . .

მიზნები . . .

ოცნებები . . .

ჯანმრთელობა . . .

სიცოცხლე . . .

ფრონტზე თუ შრომაში ჩაბმულებს სჯეროდათ, სწამდათ, უყვარდათ, მცირენი, ძალიან ცოტანი, შემორჩნენ დროის სიმკაცრეს მაშინდელი სანაქებო, ამაყი, გამორჩეული ადამიანები საომარ ოპერაციებში გამოჩენილები, პარტიზანულ მოძრაობაში ჩაბმულები, ევროპის ქვეყნების ფაშისტებისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლები; ზურგში დაუზარელი მშრომელები, სახელოვანი, საპატიო ადამიანები. ომისა და შრომის ვეტერანები. თავგამოდებულმა ღვაწლმა თავისი შედეგებით მოიყვანა საქართველო დღევანდელობამდე.

გამორჩევით პატივს მივაგებთ დიდ სამამულო ომში (1941-1945) გამორჩენილ მებრძოლ ვეტერანებს და შრომის ფრონტის მოამაგეებს . . .

თავისი ეპოქალური მოთხოვნებით გამოიკვეთა XX საუკუნის 70-90-იანი წლები. ახალმა ისტორიულმა ვითარებამ საქართველოს ახალ თაობას პრობლემების ახლებურ ვითარებაში გადაჭრაში მონაწილეობა მოსთხოვა. გამოჩნდნენ ახალი ვეტერანები (თბილისის ომი, აფხაზეთის მოვლენები), საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციებში მონაწილენი).

XXI საუკუნის 10-იან წლებში, სხვა ახალ თაობას გადახდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი. მას თავისი სახელოვანი ვეტერანები ჰყავს. ვცდილობთ შევქმნათ დღემდე „დაუწერელი ვეტერანთა ისტორია“.

ის თაობა, XX საუკუნის 20-30-იანი წლების თაობა, უსწავლელი თაობა, სხვა ამაღლებული სულიერების, დაუღლელი შემოქმედებითი შრომის, დიდი მომავლის იმედების, ახალი საქართველოს მშენებელი, გახსნილი, ერთგული, სამშობლოს მოყვარული თაობა გამოდგა. სულით ძლიერმა ადამიანებმა შეცვალეს ძველებური, განსხვავებული, მანამდე უცნობი ახალი ცხოვრების წესით და წავიდნენ ისტორიულ მარადისობაში: მომავლებს დაუტოვეს სასიცოცხლო სიკეთეები: ერთიანი საქართველო - ახალი სახელმწიფო მოწყობით, ერთიანი მძლავრად დაცული ტერიტორიით, ერთიანი ეკონომიკით; ერთიანი მიზანმიმართული მსოფლმხედველობით, ერთიანი სულიერებით და გამრავლებული ადამიანებით! ეს იყო იმ თაობის უწმინდესი ვალი ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში.

წავიდა ის თაობა, ისტორიის ფურცლებზე დარჩა მათი კვალი, მათი სულის ტკივილი და მათი გატაცება. ეს ფურცლები ინახავენ მეოცე საუკუნის ერის მოყვარული ქართველების სუნთქვას. მათ სწამდათ, სჯეროდათ. მათ არ იცოდნენ მომდევნო, უცხოურად განათლებული სწავლულები, რა გამეტებით დაშლიდნენ, დაანგრევდნენ, დააქუცმაცებდნენ, გააყალბებდნენ, გაყიდიდნენ, გაძარცვავდნენ, დაისაკუთრებდნენ, დაცლიდნენ საქართველოს ქართველებისაგან და იამაყებდნენ ჩადენილი საქციელით. მათ არ იცოდნენ მომავლები საით წაიყვანდნენ საქართველოს, თუ საქართველო, ქართველები გააგრძელებდნენ ისტორიაში საკუთარ ამაღლებულ, განუმეორებელ, სხვათაგან გამორჩეულ პიროვნულ ღირსეულ არსებობას! თუ ახალი ქართველები იუკადრისებდნენ წინაპართაგან შემონახულ პიროვნულ, მაღალ, საკუთარ წმინდა ზნეობას, განსხვავებულს დანარჩენი სამყაროსაგან. თუ მომავლები დაგმობდნენ საკუთარ სულიერ სიბრძნეს და უთვისტომოდ გაიბნეოდნენ დედამიწაზე, ააშენებდნენ ამერიკაში ქართული სოფელს, ავსტრალიაში ქართული ქრისტიანული ეკლესიის მრევლისათვის, ქართველი ქალიშვილები გაიბნეოდნენ ევროპის ყველა ქვეყანაში, გაამრავლებდნენ სხვა რჯულისებს, დაკარგავდნენ ქართველობას და იამაყებდნენ. ეს დღევანდელობაა! *სირცხვილია! შეგეშალათ! სათ მიდიხართ?! ვისია, საქართველო?!*

ასე, ჩვენს თვალწინ ქრება ქართველთა ისტორიული დანიშნულება!

ასე, იკარგება მოვლენათა წყვდიადში ქართული სულიერება!

ასე, დაემუქრა საქართველოს განუმეორებლობას საფრთხე!

ასე, უცხოეთში განსწავლულმა თაობამ დაგმო ეროვნულობა!

ასე, აღმოჩნდა ჩემი სამშობლო „დემოკრატიული დიქტატორის“ ამერიკის ინტერესების დამცველი და გამტარებელი კავკასიაში. ეს დანაშაულია!

ასე, ამერიკა კარნახობს მსოფლიოს თავის წესებს! და ძარცვავას!

ასე, ამერიკა ხდება (თუ არის) მსოფლიო ხალხთა დიქტატორი!

ასე, ქართველმა ევროპულად განსწავლულებმა ირჩიეს ამერიკა, ხოლო ქართველმა ხალხმა რუსეთი! ხალხი ბრძენი და მართალია.

ასე, ახალი ქართველობა ჭყუმპალაობს სიცრუის ჭაობში, პირუთვნელად ემსახურება ამერიკას, გაურბის რუსეთს, ეს კი ისტორიული შეცდომაა გამოსასწორებელი.

დასაგმობი მაგალითი:

დღეს სამშაბათია 2017 წლის 1 აგვისტო

გუშინ, 2017 წლის 31 ივლისს ორშაბათს, ბალტიის ქვეყნების შემოვლის შემდეგ საქართველოს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 48-ე ვიცე პრეზიდენტი. მოვიდა ევროპის შემდეგ და საქართველოს დედაქალაქი დახვდა განუმეორებლად საზეიმოდ განწყობილი, ასეთი არ ღირსებია ამერიკის პრეზიდენტს ბუშს (უმცროსს). ეს ზღაპრული და განუმეორებელი სამზადისის ნაყოფი

ეძღვნება ამერიკა-საქართველოს პარტნიორობის 25 წლის თავს (25 წლის წინ გაბატონდა ამერიკა საქართველოში, ჩაიგდო ხელში მისი მართვა): ვითომ საქართველო თავისფალია ამერიკის დიქტატისაგან, სინამდვილეში ამერიკა იყენებს საქართველოს რუსეთის მიმართ. ეს სიცხადეა, რომელიც გახვეულია დიპლომატიური ლოგიკის ბურუსში. ცრუობენ და ყბედობენ ყალბად!

ამერიკის ვიცე პრეზიდენტს მასპინძლობს ამერიკაში მაგისტრატურა დამთავრებული ქართველი პრემიერი, საქართველოს მთავრობის მეთაური. ეს გზა არის ამერიკის გზა, საქართველოსთვის სრულიად მიუღებელი შორეული გზა, როგორი საქართველო უნდა ამერიკას?! ცხადია ეკონომიკურად დამოკიდებული და პოლიტიკურად მორჩილი.

თავი I. ზოგადი მონაცემები

[ჟურნალი ვეტერანი 2016წ. დეკემბერი გვ.4]
საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი, თადარიგის გენერალი ვლადიმერ იმნაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 7 დეკემბრის N492 ბრძანების საფუძველზე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის თანამდებობაზე ვლადიმერ იმნაძე დაინიშნა.

ზოგი რამ: ბრიგადის გენერალი ვლადიმერ იმნაძე დაიბადა 1954 წლის 27 დეკემბერს ქ. ბათუმში.

1972-1976 წლებში სწავლობდა უმაღლეს სამეთაურო საარტილერიო სასწავლებელში;

1976-1983 წლამდე მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში;

1983-86 წლებში სწავლობდა უმაღლეს საარტილერიო აკადემიაში;

1986-1990 წლებში მსახურობდა ბალტიის პირეთის სამხედრო ოლქში, ქ. კალინინგრადში.

1991-1998 წლამდე მსახურობდა საქართველოში შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა თანამდებობაზე;

2001 წელს სწავლობდა ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების კვლევით ეროვნულ ცენტრში;

2004-2005 წლებში იყო საქართველოს შინაგანი ჯარების სარდლის პირველი მოადგილე;

2003 წელს მიენიჭა ბრიგადის გენერლის წოდება;

არის აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის მონაწილე. დაჯილდოებულია ,,ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით“, ასევე მედლებით. მიღებული აქვს სხვა ქვეყნის 7 მედალი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი

17,06,2017 წელი, შაბათი
სოფ. კურდღელაური

თელავის შეხვედრას ხელმძღვანელობდა საქართველოს ვეტერანთა კავშირის მაშინდელი უფროსი შიხიაშვილი.

დღევანდელი საქართველო წარმოდგენილია: 9 მხარით:

1. კახეთის მხარე
2. შიდა ქართლის მხარე;
3. ქვემო ქართლის მხარე;
4. იმერეთის მხარე;
5. გურიის მხარე;
6. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე;
7. სამცხე-ჯავახეთის მხარე;
8. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე;
9. მცხეთა-მთიანეთის მხარე.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი არ შედის არც ერთ მხარეში.

საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 83 მუნიციპალიტეტად. კახეთის მხარეშია 8 მუნიციპალიტეტი და ერთი თვითმმართველი ქალაქი თელავი. გადაწყდა კახეთის ვეტერანთა ისტორიის შექმნა.

სახელწოდება	ადმინისტრაციული ცენტი	ფართობი	მოსახლეობა	მოსახლეობის სიმჭიდროვე
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	დედოფლისწყარო (წითელწყარო)	2529,2	32443	12,2
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	სიღნაღი	1251	42652	34,8
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	საგარეჯო	1491	60396	39,7
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	გურჯაანი	846	73200	85,8
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	ლაგოდეხი	890,2	50,300	57,4
ყვარლის მუნიციპალიტეტი	ყვარელი	1000	40663	37,7
თელავის მუნიციპალიტეტი	თელავი	1077,65	46200	42,87
ახმეტის მუნიციპალიტეტი	ახმეტა	2207,6	44100	18,9
სულ				357,511

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები

N1 ქ. თბილისის რაიონულ გამგეობებში

1	დიდუბე	ავთანდილ მამნიაშვილი როზაქიძის 2	591051710
2	ჩუღურეთი	სოსო ცომაია მაზიაშვილის 2	599257500
3	ვაკე	მიხეილ ნაჭყებია თამარაშვილის 10ა	599558468
4	საბურთალო	ზაზა ნეფარიძე მიცკევიჩის 29	599150404
5	მთაწმინდა	ალექსანდრე ჯავახიშვილი ზუბალაშვილის 48	595088455
6	კრწანისი	ნოდარ მოსაშვილი გორგასლის 73	599900093
7	ისანი	კობა დიასამიძე, მერაბ მარლში ნავთლუღის 8/1	598579775 599478588
8	სამგორი	თამაზ ქოჩაშვილი მოსკოვის გამზ 15	595070880
9	გლდანი	ავთანდილ შუბაშუკელი სარაჯიშვილის 1ა	599974511
10	ნაძალადევი	ავთანდილ ცილიკიშვილი სანზონა	599858955

§1 ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონალური სამმართველოები

1	აფხაზეთის ასრ	დავით ღვინჯილია, თბილისი აღმაშენებლის 89/24	591449823
2	აჭარის ასრ	გიორგი ქაშიბაძე, ბათუმი, გორგასლის 141/143	591449846
3	გურია	გელა ბაქანიძე, ოზურგეთი ერისთავის 28	599084977
4	იმერეთი	გელა ცინაძე ქუთაისი, რუსთაველის 3ა	551900017
5	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი		
6	სამეგრელო ზ.სვანეთი	რევაზ გაბუნია ზუგდიდი, რუსთაველის 79	577463350
7	სამცხე-ჯავახეთი	დავით ფეიქრიშვილი, ახალციხე, კეცხოველის 6	599923322
8	შიდა ქართლი	ზვიად საბაშვილი, გორი, ბარნოვის 10ა	599809500
9	მცხეთა თიანეთი	გოჩა ნაყეური, მცხეთა,. აღმაშენებლის 84	595232905
10	ქვემო ქართლი	ლევან ამირიძე, რუსთავი, ფიროსმანის 19	591016869
11	კახეთი	თამაზ კალატოზიშვილი, გურჯაანი, ნინოშვილის 13	591449838

[ბროშურა ,,ვეტერანი“, 2016წ. დეკემბერი, გვ. 23]

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ერთიან ელექტრონულ გაზაში საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულ ვეტერანთა საერთო რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

საქართველო

დანართი №1
01. 05. 2015წ.

სამამულო ომი	მონაწილე	1 193
	I ჯგ. ინვალიდი	48
	II ჯგ. ინვალიდი	357
	III ჯგ. ინვალიდი	121
	ინვალიდი:	526
	სულ:	1 719
სხვა ტერ. ომის	მონაწილე	3092
	I ჯგ. ინვალიდი	5
	II ჯგ. ინვალიდი	62
	III ჯგ. ინვალიდი	42
	ინვალიდი:	109
	სულ:	3 201
საქ. ტერ. ომ.ის (1991-1993წ.)	მონაწილე	29 403
	I ჯგ. ინვალიდი	149
	II ჯგ. ინვალიდი	1 699
	III ჯგ. ინვალიდი	641
	ინვალიდი:	2 489
	სულ:	31 892
საქ. ტერ. ომის (2008წ.)	მონაწილე	15 870
	I ჯგ. ინვალიდი	0
	II ჯგ. ინვალიდი	2
	III ჯგ. ინვალიდი	2
	ინვალიდი:	4
	სულ:	15 874
სამხედრო ძალ. ვეტერანი		1 121
II მსოფლიო და სხვა ქვეყნების ტერიტორიების ომში დალუპულის ოჯახის წევრი		590
საქ. ტერ. ბრძოლებში დალუპულის ოჯახის წევრი		2 692
მარჩენალდაკარგული		10 037
გათანაბრებული		5 170
მონაწილე (მფრინავები)		217

სულ: 72 513

რეგიონალური სამმართველოების მონაცემებით ვეტერანთა რაოდენობა და კატეგორიები:

I

1. აფხაზეთის ა/რესპუბლიკა,
2. აჭარის ა/რესპუბლიკა,
3. გურია,
4. იმერეთი,
5. რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი,
6. სამეგრელო, ზემო სვანეთი,
7. სამცხე ჯავახეთი,
8. შიდა ქართლი,
9. მცხეთა თიანეთი,
10. ქვემო ქართლი,
11. კახეთი,

II თბილისი (ცალკე) რაიონები:

1. დიდუბე,
2. ჩუღურეთი,
3. ვაკე,
4. საბურთალო,
5. მთაწმინდა,
6. კრწანისი,
7. ისანი,
8. სამგორი,
9. გლდანი,
10. ნაძალადევი,

§2. ვცდილობთ უტყუარი ძირითადი მონაცემებისათვის

საქართველოს ვეტერანთა დაუწერელი ისტორიის შექმნა დაემყარება საერთოდ აღიარებულ სახელმწიფოებრივ მოთხოვნებს:

N1. რეგიონალურ სამმართველოებში დღეისათვის არსებული ზუსტი მონაცემების გაანალიზებას;

N2. საქართველოს მუნიციპალიტეტების საარქივო მონაცემებს;

N3. თბილისის რაიონების (10 რაიონი) ცნობების განზოგადებას;

საერთო ძირითადი მოთხოვნები ვეტერანთა დაუწერელი ისტორიისათვის საქართველოს რეგიონალური სამმართველოს, მუნიციპალიტეტებისა და თბილისის რაიონებისათვის ასეთი სახით წარმოგვიდგება: თითოეულისათვის:

1. ვეტერანთა საერთო რაოდენობა
   ა) მამაკაცი, -
   ბ) ქალბატონი -
   გ) შრომის -
   დ) ომის -
2. საერთო რაოდენობა კატეგორიების მიხედვით:
   ა) სამამულო ომი (1941-1945) –
   ბ) სხვა ტერიტორიებზე ომის მონაწილე -
3. საქართველოს ტერიტორიაზე (1991-1993წ.) აფხაზეთის, თბილისის ომის მონაწილე - სულ 31892
4. ძირითადი: საქართველოს ტერიტორიაზე (2008) ცხინვალის ომის - სულ 15872

5. სამხედრო ქალთა ვეტერანი - 1121
6. გათანაბრებული - 5170
7. მონაწილე მფრინავები - 217

ძირითადი მოთხოვნები:

ვეტერანთა საერთო მონაცემები მხარეების, მუნიციპალიტეტების აღრიცხვის საარქივო მასალებიდან:


თითოეულისათვის:

1. ვეტერანთა საერთო რაოდენობა -
   ა. მამაკაცი
   ბ. ქალბატონი -
   გ. შრომის -
   დ. ომის -
2. ომის ვეტერანი კატეგორიების მიხედვით:
   ა. სამამულო ომი (1941-1945) –
   ბ. სხვა ტერიტორიაზე ომის მონაწილე -
   გ. საქართველოს ომის (1991-1993) აფხაზეთის, თბილისის ომი
   დ. საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის -
   ე. სამხედრო ძალთა ვეტერანი -
   ვ. გათანაბრებული -
   ზ. მონაწილე მფრინავები -

ეს მოთხოვნები საერთოა ყველა სახეობის საჯარისო ვეტერანებისათვის.

მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო შემოქმედებითი ურთიერთობა ხელს გვიწყობს და გვეხმარება ურთულესი პრობლემების კრიტიკულ გააზრება-მოგვარებაში.

საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გადამდგარი, თადარიგის გენერალ მაიორს თენგიზ შუბლაძესთან. მისი მოღვაწეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს წარმოჩინებული რამდენიმე დოკუმენტი.



აიპ „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი"

CENTRAL UNION OF VETERANS OF WAR, LABOUR AND MILITARY FORCES OF GEORGIA

თბილისი, 0102, ქ. ალექსანდრე გ. გამრეკელი № 89/24
Georgia, Tbilisi - 0102, D.Agmashenebeli str. 89/24, Tbilisi,
ტელ: +995 (32) 2-93 50-12, ფაქს: 2-93-11-36
ელ. ფოსტა: [illegible]

№ 1/2 -28 - 06. 04 2017 წ.

გურუანის მუნიციპალიტეტის გამგებელს
პატივ ბატონ გიორგი გურგიძეს

ბატონო გიორგი!

გაგიხარებთ, რომ ჩვენი ორგანიზაციაა ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1986 წელს და საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში აქვს შესაბამისი ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რაიონის (ქალაქის) საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადგილზე ხარვეზების ოპერატიულ და სამხედრო ძალების ვეტერანთა განმარტი უფლებების სრულყოფას და მისი იდეურებას გატარების, ვეტერანთა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და სხვა მრავალი პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.

1995 წლის ოქტომბერში „საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ომის და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ", რომლის 22-ე მუხლის 1 და 2 პუნქტები ადგილობრივ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს ყოველწლიური დახმარება გაუწიონ ვეტერანთა ადგილობრივ კავშირებს, ნორმალური ტექნიკური პირობების გასაუმჯობესოდ მათ კვალიფიციური საოფისე ფართები და დაუხმარონ ფინანსურად (საკომუნალური, ტრანსპორტ. საბეჭდი, ბრომის მიზნებისათვის ანაზღაურებისა და სხვ. ხარჯების დასაფარავად) გურუანის რაიონის ვეტერანთა რაიონული კავშირი კეთილი ნებაა და არის ერთეული მიწინაც რესპუბლიკაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გაეწიოთ დახმარება ვეტერანთა რაიონულ კავშირს აღნიშნული კანონის მოთხოვნათა ფარგლებში.

ჩვენი საიდენტიფიკაციო კოდია N 211942564.

დასართი: 2 ფურცელზე

ერმა პატივისცემით

თენგიზ შუბლაძე

საქართველოს ომის, და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თადარიგის გენერალ-მაიორი.

აიპ „საქართველოს ომის, შრომისა და
სამხედრო ძალების ვეტერანთა
ცენტრალური კავშირი"

CENTRAL UNION OF VETERANS
OF WAR, LABOUR AND MILITARY
FORCES OF GEORGIA

თბილისი, 0102, დ. აღმაშენებლის გამზირი № 69/24
Georgia ფაქსი: + 995 (32) 2 93-50-12, ტელ: 2-93-13-36
ელ-ფოსტა: veteranunion.geo@gmail.com

D.Agmashenebeli str. 69/24, 0102, Tbilisi,
fax: +995 (32) 2-93-50-12, tel: 2- 93-13-36
el.fosta: veteranunion.geo@gmail.com

№ 117-28 , 6. 04 2017 წ.

ქ-გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ გიორგი გერგიძეს

ასლი: გურჯაანის ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნ ზაქარია ბუზალაძეს

ბატონო გიორგი!

აიპ „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი" სამართალ მემკვიდრეა იმ ვეტერანული საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოს რესპუბლიკაში შეიქმნა მე-2-ე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ამ ომში დაღუპულთა ოჯახების წევრთა ბაზაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1995 წლიდან „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე, „ვეტერანთა ცენტრალურ კავშირის წესდებაში" შეტანილი ცვლილების საფუძველზე ჩვენს ორგანიზაციებში გაერთიანდნენ, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ისე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები, სამხედრო ძალებისა და ის იურიდიული პირები, რომელთაც ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე ასევე იმ კატეგორიის ვეტერანის სტატუსი მიენიჭათ.

დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყნის 73 რაიონსა და ქალაქში ვეტერანების საერთო კრებებზე არჩევნების გზით შექმნილია „ვეტერანთა ცენტრალური კავშირს" დაქვემდებარებული რაიონული და საქალაქო ვეტერანთა კავშირები (ფილიალები), რომელთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის ადგილობრივი თვითმართველობის და მმართველობის ორგანოები გამოყოფენ კეთილმოწყობილ სამუშაო ადგილებს, მოწყობილობას, ინვენტარსა და ქონებას, ასევე ეხმარებიან ფინანსურად, რის სამართლებრივ საფუძველსაც „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ"

საქართველოს კანონის მე-2 და 22-ე მუხლები წარმოადგენენ. (დანართი N1)

რაც შეეხება, ქ.გურჯაანის ვეტერანთა რაიონის ორგანიზაციას, რომელსაც უწარიანად ხელმძღვანელობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე, ვეტერანი ზაქარია ბუზალაძე, რომელსაც არ გააჩნია ვეტერანებთან მუშაობისთვის შესაფერისი სამუშაო ოფისი; ასევე მატერიალური და ფინანსური დახმარების გარეშეა დარჩენილი, რის გამოც ვეტერანთა ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვა ორგანიზაციის თავმჯდომარეს უწევს,ისედაც მისი მწირი პენსიიდან.

გურჯაანის ომისა და სამხედრო მალების ვეტერანთა სახელით გთხოვთ გამოიჩინოთ ჩვეული გულისხმიერება ვეტერანთა გურჯაანის რაიონული კავშირის ფუნქციონირებისათვის საჭირო ნორმალური სამუშაო ფართის და ინვენტარის გამოსაყოფად, ასევე 2017 წლის მეორე ნახევარში ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად, ხოლო 2018 წლიდან გთხოვთ ამ ხარჯებისათვის საჭირო ასიგნებები გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტში გაითვალისწინოთ.

მეტი დარწმუნებისათვის ამონარიდების სახით წარმოგიდგენთ ჩვენი მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლებს „ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი (დანართი 1) და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლი (დანართი 2), რაზედაც წინასწარ გიხდით მადლობას.

დანართი: 2 ფურცლად.

პატივისცემით,

თენგიზ შუბლაძე

გამგეობის დავმჯდომარე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი.

ამონაწერი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონიდან

"მუხლი 2. ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა.

3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კონცერნებს, ასოციაციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და არსებული თავისუფალი სახსრებისა და სამუალებების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ურთიერთობების შეუცვლელად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ვეტერანების სოციალური დაცვის დამატებითი შეღავათებისა და წახალისების შესახებ, რომელებიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული."

მუხლი 22. ვეტერანების საზოგადოებრივი გაერთიანებები

1. ვეტერანების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებში, რაიონებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საცხოვრებელი ადგილის მისედვით იქმნება ვეტერანების შესაბამისი საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობენ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ვეტერანების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებას, სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში წარმოადგენს და იცავს ვეტერანების ინტერესებს.
2. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ ვეტერანების საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობას, ეხმარებიან ფინანსურად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სირთულური ფუნქციონირებისათვის გამოუყოფენ კეთილმოწყობილ სამუშაო ადგილებს, მოწყობილებას, ინვენტარსა და ქონებას."

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე,
სახელმწიფო მეთაური ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 17 ოქტომბერი.
№ 812-Iს

ამონაწერი "საქართველოს საბიუჯეტო
კოდექსი"-ს 67-ე მუხლიდან

მუხლი 67. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის ან გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2099 წლის 18 დეკემბერი.
№ 2440-IIს

დღეს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორია ვლადიმერ იმნაძე

მოადგილე მირიან ჩიგოგიძე

PS. ჟურნ. ვეტერანი. 2017 წლის მაისი: იტყობინება:

მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700 ათასამდე კაცი გაიწვიეს. ყველაზე დიდი დანაკარგი სწორედ ჩვენ გავიღეთ. განვიცადეთ საქართველოდან ომს 400000-მდე ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. 700 ათასი მეომრიდან 224 ათასი სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო 164-ს გმირის წოდება მიენიჭა. დღესდღეობით საქართველოში მეორე მსოფლიო ომის 922 ვეტერანი ცხოვრობს.

მეორე მსოფლიო ომი (1939-1945)

ა) შეეწირა დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი. აქედან 20 მილიონი მშვიდობიანი მოსახლეობა;

ბ) ომში 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80% მონაწილეობდა. ბრძოლები 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

დიდი სამამულო ომის მონაწილე, ვეტერანი არქიპო ნამგალაძე გადმოგვცემს ქართული ეროვნული 224-ე დივიზიის ბრძოლის თაობაზე ქერჩი-ფეოდოსიის დიდი საზღვაო დესანტის პირობებში.

1941 წლის 25 დეკემბერს უკუნეთ ღამეში სამხედრო-სადესანტო გემების ქარავნები შეუმჩნევლად გავიდნენ აზოვის ზღვის ნავსადგურებიდან ტემრიუკისა და კუჩოგორიდან. მათ კურსი ქერჩის ნავსადგურისკენ აიღეს. გემების ტრიუმებში ქართველი მეომრებისაგან

დაკომპლექტებული 224-ე ქართული დივიზიისა და ქვეითი საზღვაო ჯარის 83-ე ბრიგადის მებრძოლები და მეთაურები ვისხედით.

შემდეგში ჩვენს დივიზიას ეწეოდა ქართული ეროვნული დივიზიის სახელი და მის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი ვალერიან ბაბახიძე, ხოლო კომისრად - ომარ მუსერიძე. ქართულმა დივიზიამ, მისმა პირადმა შემადგენლობამ დიდი დანაკლისი განიცადა. მცირე ნაწილმა მოახერხა ქერჩის სრუტის გადალახვა. ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავზე საქართველოს 25 კაციან დელეგაციასთან ერთად ყირიმის ნახევარკუნძულზე ვიმყოფებოდი სადაც 120 ათასზე მეტი ქართველი მებრძოლია დაკრძალული.

ქერჩის ცენტრში ქალაქის მოსახლეობას ქართველ მეომართა ხსოვნისთვის პატივის მისაგებად წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია აუგია. ძნელია გადმოსცე ის გრძნობა, რომელსაც შინაგანად განიცდი.

PS. 1992 წლის 14 აგვისტოს, 14 საათზე დაიწყო ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში, შეუთანხმებელმა ბრძოლებმა, საბედისწერო შეცდომებმა და უიარაღოდ დარჩენამ, 1993 წლის 27 სექტემბერს, აფხაზეთის მთლიანი დაკარგვა განაპირობა. [გვ. 11]

აფხაზეთოს ომის ისტორიიდან 15-16 მარტი სოხუმზე თავდასხმა:

შინაგანი ჯარის მეომრები: წიგნიდან „ქართული შინაგანი ჯარების ათწლიანი გზა“. მერაბ საამაშვილი, გელა ათაქიშვილი, შ.ჯ. სამხედრო ნაწილი 2054-ის 1-ლი

ბატალონის საველე მეთაური ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის არქივის უფროსი. [გვ.20]

აჭარა, ბათუმი, ვახტანგ გორგასლის N141/143

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონალური სამმართველო 591-448-848 გიორგი ქაშიბაძე

ბროშურა „ვეტერანი“ 2016 წლის დეკემბერში წერილში „უკვდავება“ ამცნობდა საზოგადოებას: „სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი თემურ ჯორბენაძე ქ. ქობულეთში დაიბადა და გაიზარდა. აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე სამხედრო-საბრძოლო მომზადება იალღუჯაზე გაიარა და ავღანელთა სპეცდანიშნულების ბატალიონში ჩაირიცხა, ის მაშინ 27 წლისა იყო. იგონებს ავღანელი გიორგი ბეჟიტაშვილი.

ზურა ჯორბენაძე (თემურის ვაჟი) წერს: „მე როგორც ვიცი, მამა მთავრობის სახლის აღებამდე დაიჭრა. 27 სექტემბერს მთავრობის სახლში დაიღუპა და მისი ცხედარიც იქ დარჩა. დღემდე მამაჩემი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება“. ხოლო გიორგი ბეჟიტაშვილი ირწმუნება, რომ თემურ ჯორბენაძე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს დაცვაში ავღანელთა ბატალიონის იმ მებრძოლებთან ერთად მონაწილეობდა, რომლებიც ჟიული შარტავასთან ერთად დახვრიტეს“. [გვ.12]

თავდადებული მებრძოლი თემურ ჯორბენაძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, მისი სახელი ეწოდა ქობულეთის N3 საჯარო სკოლას.

ბათუმელი ბიჭი, ჭაბუკი, ჯემალ არბენაძე, 1992 წელს აფხაზეთის ომში მოხალისედ წავიდა და დაიღუპა. შემორჩა ჯემალის ბარათი დედას: - „ნუ მიწყენ დედა, ისე წავედი, გამომშვიდობებაც ვერ მოვახერხე, უბრალოდ, არ შემეძლო, შენს თვალებში ცრემლები დამენახა, მე ზრდასრული ადამიანი ვარ და შინ ვერ გავჩერდები, როცა აფხაზეთში ომია, მე უთუოდ იქ უნდა ვიყო“ – [ბროშურა „ვეტერანი, 2017წ. მაისი გვ. 21]

ბათუმში კონფერენციაზე სიტყვით წარსდგა გიორგი ტაბიძე „მეგობრებო, 16 წლის წინ, ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლაში დაიღუპა ბათუმელი ჭაბუკი ჯემალ არბენაძე, დაიღუპა აფხაზეთში, სოფელ ტამიშთან, მიწას მშობლიურ ჩაქვში მიაბარეს.

თბილისი გმირთა მოედანი, მარადიულ ცეცხლთან აღმართულ მარმარილოს კედელზე ოქროსფერი წარწერა: ჯემალ არბენაძე, 1972-1992.

ნაშრომის სიახლე - *იწერება ვეტერანთა დაუწერელი ისტორია ამჯერად გურია, ოზურგეთი,* ერისთავის N28 ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონალური სამმართველო. გელა ბაქანიძე, 599-09-49-77.

განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან გურიაში ვეტერანების დამსახურებულ აღიარებასა და მათი სახელის უკვდავყოფას: 1. ლანჩხუთის მეორე საჯარო სკოლას მიენიჭა 2008 წლის ომში დაცემული ემზარ წილოსანის სახელი. ის ვახტანგ გორგასლის ხარისხის ორდენის მფ;ლობელი გახლდათ.

2. 2016 წლის 29 ოქტომბერს გურიაში საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას ხსოვნას პატივი მიაგეს. ზაზა დაიბადა 1972 წელს. 2004 წეს, 16 აგვისტოს სანგარში ჩავარდნილ ყუმბარას გადაეფარა და ჯარისკაცები გადაარჩინა. ზაზას საქართველოს ეროვნული გმირის სახელი მიენიჭა.

3. ლანჩხუთის სოფელ ქვიანის საბაზო სკოლას მიენიჭა რუსლან წულაძის სახელი, 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ქვედანაყოფის 17 ჯარისკაცი დაიღუპა, ერთი მათგანი რუსლან წულაძე მაშინ 24 წლის იყო.

4. გურიაში, ლანჩხუთში ცხოვრობს ადამიანური სიკეთის უხვად გამცემი ვეტერანების ქომაგი, მოუღლელი შოთა ფირცხალაიშვილი. მისი ინიციატივით უკვდავყოფილი გახდა ბევრი ვეტერანის უცნობი სახელი. მაგ. სოფელ წყალწმინდაში ამ სოფლის მკვიდრი ბიჭები ვინც აფხაზეთის ომს ემსხვერპლნენ. ნიკა იმნაძეს, დათო რამიშვილის, პაატა პაპიძის, ვაჟა თოდუას ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა გაიხსნა.

5. ლანჩხუთის სოფელ ღესის საჯარო სკოლას მიენიჭა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გიორგი ლომაძის სახელი.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის რეგიონალური სამმართველო, ქუთაისი, რუსთაველის N35;. გელა ბაჟანიძე 591 09 49 77

იმერეთი, ხარაგაული - ფართობი 913,9, მოსახლეობა 27,500

დღეს ორშაბათია, 2017 წლის 30 ოქტომბერი - ხელთ მაქვს ხარაგაულელი წარმომავლობის საინტერესო თავგადასავლების ვეტერანის, ომის, დიდი სამამულო ომის (1941-1945) აქტიური მონაწილის მცირე მონაცემები, მის მიერ ფრონტზე გატარებული ბრძოლების თაობაზე. ეს ხანდაზმული ტარას იჩქიტიძეა.

ტარას იჩქიტიძე - ამჟამად ტარასი 96 წლისაა. თავად მოგვითხრობს ომში გადატანილ ისტორიებზე.

ტარასი მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა ხარაგაულის რაიონის სოფელ მარელისში. ექვსი შვილი გაზარდეს ილარიონ იჩქიტიძემ და მარიამ ქეთიძემ. მათგან სამი ვაჟიშვილი იბრძოდა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ შორეული სტალინგრადიდან ბერლინამდე. ბედმა სამივე მებრძოლი ძმა დაუბრუნა ოჯახს: ტარასი, დათიკო (ტანკისტი იყო), კოლია კი მძიმე არტილერიაში იბრძოდა.

ტარასი ძველებურად აქტიურია. არის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე თბილისის ნაძალადევის რაიონში.

სრულიად ახალგაზრდა 1992 წლის 2 მაისს ჩაირიცხა ვანო ჯანჯღავა ქუთაისის 21-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონში, ქ. ხონში. სამ თვეში აფხაზეთში ომი დაიწყო, ის საბრძოლო მოქმედებებში მოგვიანებით ჩაება. სოხუმისათვის ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა.

გაუძლო ტყვეობის სისასტიკეს, შემდეგ 2001 წლამდე შეიარაღებულ ძალებში იდგა. თავისი სურვილით არ დაუტოვებია. მუხროვანის სპეცრაზმის წევრს, გაკომისიების შემდეგ მეორე ჯგუფის ინვალიდის პენსია დაუნიშნეს, თუმცა მალევე მოუხსნეს, დარჩა ყველაფრის გარეშე და მაინც მშობლიურ რაიონში შექმნა საინიციატივო ჯგუფი ნაომარი ბიჭების დასახმარებლად. მას ბევრი თანამებრძოლის თავგადასავალი ახსოვს. ის, ვანო ჯანჯღავა, დღეს საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელია ხონის მუნიციპალიტეტში. მას 24 წლის წინანდელი საბრძოლო გმირული ისტორია ახსოვს - ეს არის თავდადებისა და გმირობის უჩვეულო, მანამდე უცნობი ისტორია, ქართველების ცხოვრების ტკივილიანი ისტორია, მართალი ისტორია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის საჯარო სკოლას მიენიჭა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცის, უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელი.

კახეთის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონალური სამმართველო. ქ. გურჯაანი, ნინოშვილის გამზ N13

თამაზ კალატოზიშვილი. 591 44 98 38

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ფართობი 1491, მოსახლეობა 60396

ძველისძველი საგარეჯოს მიწაზე, სოფელ სართიჭალაში დაიბადა ვაჟი, 1968 წლის 15 დეკემბერს. ეს

ჩადუნელების ოჯახის ბედი იყო ,,კახა ძალიან გულკეთილი იყო, ტკივილით იხსენებს დედა ეთერ ჩადუნელი.

1987 წელს კახა არმიაში მოხალისედ წავიდა. ის სადესანტო ნაწილში მოხვდა. ჯარიდან ჩამოსულს იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაუბარებია. 1991 წლიდან მუშაობა დაუწყვია თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმში.

თავისმა ხასიათმა წაიყვანა აფხაზეთის ომში. მისი თანამებრძოლი დიმა ხუციშვილი წერს: ,,არასოდეს დამავიწყდება სოფელ იაშესტასთან კახას და მისი მეგობრის, ემზარ ახსიაშვილის გმირობა“. ემზარი დაიღუპა, ხოლო კახა მკლავში დაჭრილი ჩამოიყვანეს.

1993 წლის 17 ოქტომბერს კახას ყაჩაღებთან უთანასწორო შეტაკება მოუხდა. ზურგიდან მუხანათურად ნასროლმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა. ასე დაიკარგა კიდევ ერთი ქართველი თავისი სისხლისა და ჯიშის გამგრძელებელი არ დაუტოვებია.

ახმეტის მუნიციპალიტეტი: ფართობი 2207,6 მოსახლეობა - 44,100

განსაკუთრებული ძალით გამოკვეთა პანკისის ხეობის ვეტერანთა საბრძოლო შემართება კახეთის ვეტერანებს შორის, აქ მცხოვრებმა ქისტებმა შეუდარებელი მამაცობის მაგალითებით გაამდიდრეს წინაპართა გამოცდილება.

პანკისელი ვეტერანების ისტორია ახლა იწერება: რუსუდან ბორჩაშვილი ზაზა გაწირიძე, ჯუმბერ

როსტომაშვილი, ბესარიონ და ტარიელ მარგოშვილები, იმედა თორღვაშვილი, მილერი ლაგაზაური, ჯემალ გუმაშვილი, შმაგი წინწალაშვილი, ჯარჯი ჯველაური, ლევან ქეშიკაშვილი, ბაკურ გახუაშვილი, მამუკა სამუკაშვილი, ოსმან ალხანაშვილი, ახმად ცათიაშვილი, ომარ ქავთარაშვილი, ბერდია და ვახტანგ ბორჩაშვილები, გარიკა ჭოალიკაშვილი, ილია სეთური, ჯაფარ ქავთარაშვილი, ასლანბეგ ცათიაშვილი, მალხაზ შუთაშვილი ეს იმ ვეტერანთა არა სრული ჩამონათვალია ვისი თავგადასავლის მაგალითები გამოადგება მომავალ თაობებს.



პაატა გაბრიელაშვილი

სერჟანტი პაატა ამირანის ძე გაბრიელაშვილი დავიბადე 1981წ. 29 სექტემბერს. მცხოვრები ქალაქ ახმეტაში. 2003 წელს შევედი საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, კერძოდ 11 ბატალიონში (შემდეგში 111-ე ბატალიონად წოდებული), იმდენად მომეწონა ჯარისკაცული (ვაჟკაცური) ცხოვრება, რომ გადავწყვიტე მთელი ცხოვრება მემსახურა ქვეყნისათვის, ბიჭები ყველა კუთხიდან ვიყავით და ძალიან საინტერესო იყო ჩვენი ურთიერთობა, პროფესიად კავშირგაბმულობა ავირჩიე, 2004 წელს პოზიციური ბრძოლები მიდიოდა სამაჩაბლოში და

ჩვენი პირველი საომარი ნათლობაც იქ გავიარეთ. ომი ხუმრობა გვეგონა, მაგრამ მალევე მივხვდით, რა მძიმე ყოფილა მეგობრების დაკარგვა, ჯერ მარტო 6 სამხედრო მოსამსახურე გამოესალმა სიცოცხლეს ჩემი ბატალიონიდან და სხვა ბატალიონებიდანაც დაიღუპნენ, რაც ძალიან სამწუხაროა და მე ქედს ვიხრი მათი გმირი სულების წინაშე.

შემდეგში სამშვიდობო მისიებში მივიღე მონაწილეობა. წვრთნები ქუვეითში გაგვატარეს აშშ საზღვაო ქვეითებმა და შემდეგში 2006 წელს გადავფრინდით ერაყის რესპუბლიკაში ბაზა ვორჰორსზე, სადაც ამერიკის არმიის ბრიგადები იყო განლაგებული და მე რაც იქ ვნახე თუ რა მაღალ დონეზე იყვნენ განვითარებულები თუ არ ნახა თავის თვალით ადამიანმა, ამის სიტყვებით გადმოცემა ძნელია. ქართველებს ერაყელები ასეთუ ისე მაინც პატივს გვცემდნენ, იმიტომ, რომ ბევრ ქველმოქმედებას ვეწეოდით. ამასობაში გავიდა ექვსი თვე და ჩემ ბატალიონს მისიაში მონაწილეობის ვადა ამოეწურა, მაგრამ მე გადავწყვიტე



გამეგრძელებინა მისიაში მოღვაწეობა და ხელმძღვანელობას ვთხოვე ჩემი საკითხი განესილათ რაზედაც დადებითი პასუხი მივიღე და შემდეგ გადავფრინდი ერაყის დედაქალაქ ბაღდადში, სადაც მოვინახულე სადამ ჰუსეინის სასახლე და მისი ვაჟის უდაის სასახლე, რაც რომ მართლა დიდებული სანახაობა იყო, ერაყში დაჭრით დაიჭრნენ ბიჭები, მაგრამ ღვთის წყალობით არავინ დაგვღუპვია. 13 თვის შესრულების შემდეგ ძალიან მწარედ გასახსენებელი დილა გამითენდა. საქართველოდან დამირეკეს და გამაგებინეს მამაჩენის გარდაცვალების ამბავი, რამაც იმდენად იმოქმედა, რომ სულ გადამავიწყდა ყველა მძიმე დღე, რაც კი გადამხდენია. დაკრძალვაზე ვერ ვესწრებოდი და ერაყში ჰუსეინის სასახლეში ქართველმა ბიჭებმა დაკრძალვის სუფრა გაშალეს და ისე ჩავატარეთ დაკრძალვის ქელეხი, როგორც ტარდება ხოლმე საქართველოში, მე მინდა მადლობა გადაუხადო იმ ვაჟკაცებს ასეთი კარგი გაწეული საქმისთვის. ამის შემდეგ შევწყვიტე მისია და წამოვედი სამშობლოში და ისევ გავაგრძელე მსახური ქუთაისის მესამე ბრიგადის 31-ე ბატალიონში. ბატალიონთან ერთად მომიწია ცხელი ზაფხულის, 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობა, ჩვენი შეიარაღებული ძალები საკმაოდ გაწვრთნილი იყო და ყველა თავის პროფესიის მიხედვით შესანიშნავად მოქმედებდა ბრძოლაში. ომის დასასრულს სოფელ ბროწლეთის ზოლის გამაგრებაზე როცა პოზიციები დავიკავეთ, რომელიც იმჟამად ფრონტის წინა ხაზს წარმოადგენდა ქვეყნის მთავარსარდალმა ბატონმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოგვინახულა, რამაც მეტი გამბედაობა და მოტივაცია შეგვმატა. უთანასწორო ბრძოლაში დაგვეღუპა

ბევრი ქართველი ვაჟკაცი, რაზეც ქედს ვიხრი მათ წინაშე, უფალმა ნათელი დაუკმვიდროთ.

არ გავიდა დიდი ხანი და ავღანეთში მონაწილეობის დროც დადგა, აშშ საზღვაო ქვეითებმა, რომ იტყვიან მანამდე არნახული მომზადება ჩაგვიტარეს და შემდეგ გერმანიაში ჰოჰენფელსის საწვრთნელ ბაზაზე ამოვყავი თავი, რასაც ყველა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე ინატრებს, მაგრამ ამ ჯერზე ქართველებს გაგვიმართლა, სადაც ერთი თვე დავყავით და უკვე ეტყობოდა ბატალიონს, იმდენად დახვეწა ყველა ჯარისკაცმა თავის პროფესია, რომ ნებისმიერი მისიის შესასრულებლად მზად იყო, თანაც კარგი ხელმძღვანელობა გვყავდა. ალექსანდრე ტუღუშის მეთაურობით, 2010 წელს ჩავფრინდით ავღანეთში და ერთი რამ რაც მინდა ავღნიშნო, იმან გამაკვირვა, რომ 4 წელიწადში ყველაფერი იმდენად დაეხვეწათ და განევითარებინათ ამერილელებს, რომ ვერც კი წარმოიდგენს ადამიანი, ავღანეთში იმდენად გაჭირვებული მოსახლეობა ცხოვრობს, რომ არა მგონია სადმე ესე უჭირდეს ვინმეს და თან ამასთანავე იმხელა მებრძოლი სული აქვთ და იმდენად ძლიერი მებრძოლები არიან, რომ მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ხალხია, მოხდა ისიც, რომ ჩვენი მანქანა გადაადგილების დროს, ნაღმზე შედგა და ავფეთქდით, იმდენად ძლიერად დაჯავშნული მანქანები გვყავდა, რომ ცოცხლები გადავრჩით. ჩვენ იქ ხშირად გვიწევდა შეტაკებებში მონაწილეობა. უამრავლმა ჯარისკაცმა დაკარგა კიდურები ნაღმზე აფეთქებისას და ამასთანავე 6 ვაჟკაცი დაგვეღუპა. ნათელი დაუმკვიდროს უფელმა, ერთმანეთზე საუკეთესო ვაჟკაცები იყვნენ.

ეს იყო ჩემი ძალიან მოკლედ აღწერილი სამხედრო ისტორია, მე ამჟამადაც ისევ ვმსახურობ საქართველოს შეიარაღებულ ძალების რიგებში, კერძოდ ეროვნულ გვარდიაში და ვუსურვებდი საქართველოს, ჩემს სათაყვანებელ ქვეყანას მშვიდობიანობის გზით გამთლიანებას. ისედაც ბევრი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა და გვაკმაროს უფალმა ასეთი განსაცდელები, გვფარავდეს ღმერთი სრულიად საქართველოს.

აფხაზეთიდან, ქ. თბილისი, აღმაშენებლის 89/2 ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონალური სამმართველო, დავით ღვინჯილია - 591 44 98 23, ვთხოვეთ მასალების გადმოცემა.

ქალები ომში

ლეილა გაბაძე კასპელი იყო. კასპის ბატალიონს მიაკითხა, ბატალიონის ფაქტობრივმა უფროსმა ტარიელ ზარაფიშვილმა პროფესიით ბიოინჟინერი ქალი სანიტარულ ინსტრუქტორად გააფორმა და დაიწყო ლეილა გაბაძეს ომის თავგადასავლები: აფხაზეთში 1993 წლის 1 ივლისს ჩავედი. ზუსტად იმ ღამეს გადმოსხეს ტამიშის დესანტი და მთელი ღამე თავი არ აგვიწევია, ზღვიდან ისეთ დღეში ჩაგვყარეს. ჩავედი თუ არა მართლა ომი ვნახე. დაბომბვისაგან მიწა ზანზარებდა. იმ ღამესვე სპირიდონ ტყემალაძე აგვიფეთქდა ნაღმზე. დაშავებული აგუძერას საავადმყოფოში გადავიყვანეთ. [ბროშურა - ვეტერანი“ 2016წ. დეკემბერი, გვ. 18] ბატალიონი კინდოში იდგა, იქიდან ოჩამჩირეში. 27 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე დატოვა აფხაზეთი ლეილამ, ის ბარგით წამოვიდა. ნაომარ ქალბატონს ბუნების

უმაღლესი ჯილდო ერგო: „იმედიანად ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რაკი ღმერთმა 39 წლის ასაკში შვილი მაჩუქა. იმის ძალასაც მომცემს გამაზრდევინოს“. 15 წლის თითით საჩვენებელი ბავშვია, მთელს რაიონში ოქრო ბიჭს ეძახიან.

სვანეთიდან აფხაზეთის ომის ვეტერანი თემურ ჟორჟორიანი გადმოგვცემს „დავიბადე 1934 წელს, 15 იანვარს მესტიის რაიონის ულამაზე სოფელ მულახში. 1948 წელს გეგმიური ჩასახლების დროს, ჩვენი ოჯახი სხვა სვანურ და რაჭა-ლეჩხუმის ოჯახებთან ერთად გაგრის რაიონში ჩაგვასახლეს 1970 წელს სამუშაოდ გავედი სოხუმში, სადაც მოწმე გავხდი საომარი მოქმედებისა. ხშირად ბრძოლები არაორგანიზებული იყო. შეუთანხმებელმა ბრძოლებმა, საბედისწერო შეცდომებმა და უიარაღოდ დარჩენამ 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მთლიანი დაკარგვა განაპირობა:

აფხაზეთის ომის დროს ჩვენს ბატალიონში, „მშვიდობის ლეგიონში“, სამი მეომარი დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა, თვითონ ბატალიონის უფროსი IIჯგუფის ინვალიდი გახდა. 2 ოქტომბერს, გაგრის დაცემის დღეს, ძმის შვილი, გიორგი ჟორჟოლიანი მომიკლეს. მანამდე, სექტემბრის თვეში კი დისშვილი გურამ ქოჩქიანი. დაიღუპა გზიფის ტერიტორიაზე.

აფხაზეთის ომის მომსწრე და მონაწილე მიმართავს ვეტერანებს: „ძვირფასო ვეტერანებო, მეომრებო, ძალიან დიდ პატივს ვცემ თვითოეულ თქვენგანს. თქვენ ის ხალხი ხართ, რომლებიც ტყვიას წინ უხვდებოდნენ და სამშობლოს

იცავდნენ. გისურვებთ ყველას ჯანმრთელობას და დიდანს სიცოცხლეს. [ბროშურა ვეტერანი“, 2017წ. მაისი, გვ. 11-12].

ზაირა მიქატაძე გადმოგვცემს: აფხაზეთის ომში დაღუპული უკრაინელი ძმების ვასილ და ნიკოლოზ გერაშჩენკოების დედას სახლში ვეწვიეთ „აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანმა, დოდო გუგეშაშვილმა, ლარისა გერაშენკოს საჩუქრად უკრაინული თავსაფარი გადასცა.

დაღუპული მეომრების დედა გადმოგვცემს, - მე და ჩემი მეუღლე 23 წლის განმავლობაში სოხუმში, ერთ პატარა სახლში ვცხოვრობდით, ვშრომობდით, ვწვალობდით, მაგრამ ბედნიერები ვიყავით. მალე აფხაზეთი დაეცა. გერაშჩენკოებმა დატოვეს საზღვარი, „სვანეთზე წამოვედით ფეხშიშველები, ტიტვლები“.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის არქივის უფროსი გელა ათაქიშვილი გადმოგვცემს საქართველოს შინაგანი ჯარების ერთი ნაწილის ბრძოლას აფხაზეთში: „15 მარტს, ღამით, აფხაზურმა მხარემ საარტილერიო დანადგარებიდან განაგრძო სოხუმის მჭიდროდ დასახლებული უბნების მასიური დაბომბვა. ქალაქის სხვადასხვა რაიონში გასკდა 130-ზე მეტი ჭურვი, დაიჭრა რამდენიმე ათეული ადამიანი, შემდეგ მოწინააღმდეგემ ცეცხლი წარმართა მდინარე გუმისთის გაყოლებაზე. განლაგებული ჩვენი (ნაწილების) პოზიციების მიმართულებით, რასაც ცოცხალი ძალის შემოტევა მოჰყვა. აქ აფხაზებს აქტიურად უჭერდნენ მხარს დაქირავებული „ბოევიკები“ და რუსეთის სამხედრო ავიაცია“.

განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები გაიმართა სოფელ შრომასთან. აქ პირველ რიგში შინაგანი ჯარების სოხუმის ბატალიონის პირადი შემადგენლობა იდგა, გაიმართა დაუნდობელი ბრძოლა. 16 მარტს ღამით თბილისიდან ჩამოფრინდა შ.ჯ საპატრულო და სპეცდანიშნულების ბატალიონი 200 კაცის შემადგენლობით პოლკოვნიკ რ. ნიორაძის მეთაურობით. ბრძოლები გრძელდებოდა.

ამ ბრძოლებში შინაგან ჯარს დაეღუპა 6 და დაეჭრა 16 მებრძოლი. მეტად დაზარალდა სოხუმის ბატალიონი, დაიღუპნენ დავით ბეროშვილი, გიორგი ჯოგლაძე, გელა გვაზავა, კობა ქრისტესიაშვილი, ლევან გურჩიანი და ოლეგ ლოლაძე,

ქართულმა ნაწილებმა დაწვეს და მწყობრიდან გამოიყვანეს სეპარატისტების 5 ჯავშანტექნიკა, 7 ავტომანქანა, ჩაბირეს 3 საბრძოლო კატარღა დესანტიანად, დახოცეს 200-ზე მეტი და დაჭრეს 500 მომხვდური.

სვანი მეომრის მოგონებები:

1992 წლის 14 აგვისტოს, 14 საათზე დაიწყო ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში. ამ ვითარებაში იქმნებოდა ახალი ბატალიონები, შეიქმნა სახალხო ლაშქარი „მშვიდობის ლეგიონი“, იგი ძირითადად აფხაზეთში მცხოვრები სვანებისაგან იყო დაკომპლექტებული. მეც ამ ბატალიონში ვიყავი ჩარიცხული. ბოლო დროს მისი მეთაური იყო ვახტანგ პაკელიანი, შტაბის უფროსი ავთანდილ აფრასიძე.

ვეტერანის ბედი

დედისერთა იყო, მაინც წავიდა. ავღანეთში ტაშკენტიდან წაიყვანეს, სადაც წელიწადი და ექვსი თვე გაატარა - ერთმანეთზე საშიში და გაუსაძლისი დღეები. შინ მშვიდობით დაბრუნდა. ყველა ომიდან უვნებელი დაბრუნდა აფხაზეთი, სამაჩაბლო, საქართველოს არეულობა - 9 აპრილის ტრაგედია.

ავღანელი ვეტერანი, მაიორი გიორგი ბეჟიტაშვილი გადმოგვცემს: საბჭოთა ჯარში 1984 წელს გამიწვიეს. დედისერთა ვიყავი და ჩემი ნებით წავედი. მოვხვდი ავღანეთში, ქალაქ ყანდაგარში, ვმსახურობდი ქვეით ქვეგანაყოფში. ქართველი მარტო მე ვიყავი. მერე აფხაზეთი „ჩვენი ბიჭები „ავღანელთა“ ბატალიონიდან ომში პირველი დღეებიდანვე ჩაებნენ. 1993 წლის 25 სექტემბერს ჯერ ტილენძის დაცვას ანხორციელებდნენ. ბრძოლების შედეგად დაჭრილებიც გვყავდა, დაღუპულებიც. ექვსი ბიჭი გადაასვენეს აგუძერაში. შემდეგ კი გურამ ჯანიაშვილი გამოიძახეს შტაბში და დავალება მისცეს, მინისტრთა საბჭოს შენობიდან დაცვით გამოეყვანათ ჟიული შარტავა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები. მათ ეს ბრძანება პირნათლად შეასრულეს მაგრამ . . მათთვის იქაც ღალატი იყო აფხაზებსა და ადილებს შორის, ადგილამდე ვერ მიაღწიეს, გზაში დახვრიტეს.

აფხაზეთის მიერ „ავღანელთა“ ბატალიონიდან, 28 კაცია დახვრეტილი, მათგან ერთიც არ არის გადმოსვენებული. მე ბიჭებთან ერთად გავედი და მერე გეზი სვანეთისაკენ ავიღე, ჭუბერიდან გადმოვედი, მესტიამდე

ფეხით ვიარე. შეიარაღებული ძალებიდან 2015 წლის 22 იანვარს წავედი.

ვეტერანმა გიორგი ბეჟიტაშვილმა ვალი სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადა. ცხოვრობდა ჩვეულებრივად, ისე, როგორც ვეტერანთა უმრავლესობა. სიდუხჭირემ მას სახლ-კარი დააკარგვინა.

ავღანეთში ნაომარი ჯარისკაცების ხანგრძლივი, 27 წლის წინანდელ ისტორიას. ზაზა სამხარაძის დღიურები ინახავენ ნახულს და განცდილს, რამდენი ბრძოლა გადაუტანიათ ქართველ ჯარისკაცებს მთების კალთებსა და ავღანეთის იდუმალ უდაბნოში.

ფარვანის პროვინციაში ბაგრამის საავიაციო ბაზა გასული საუკუნის 80-იან წლებში აიგო.

ბაგრამის ბაზაზე მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობა 52-ე ბატალიონის ბიჭებმა დაასრულეს. ეკლესიის გვერდზე ქართველი ჯარისკაცების მემორიალი დგას 31 ქართველი ბიჭი ავღანეთის სამშვიდობო მისიიდან. 21 წლის ვასილ ყულიჯანიშვილი უკანასკნელია მათ შორის. მისთვის ცალკე აუგიათ მემორიალი.

ქაბულში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შტაბი მდებარეობს. მის მოპირდაპირედ პატარა სკვერში პოლკოვნიკ ალექსანდრე კიკნაძის ძალისხმევით აქ წელს დაღუპული ქართველი ჯარისკაცების მემორიალი აიგო. ეს ქაბულის ბაზაზე ერთადერთი მემორიალია, რომელიც ერთი კონკრეტული ქვეყნის გმირების უკვდავებაზე მეტყველებს.

ვეტერან გენერალთა უკვდავებას მიეძღვნება

მონოგრაფიული გამოკვლევა - „ვეტერან გენერალთა დაუწერელი ისტორია“ წიგნი N2

თავი II ვეტერანთა ქართული სამხედრო ინტელიგენცია

(XXI- ს 20-იანი წლებისათვის)

§1. ქართული გენერალიტეტი




ვლადიმერ იმნაძე

ბრიგადის გენერალი ვლადიმერ იმნაძე 1954 წლის 27 დეკემბერს ქ.ბათუმში დაიბადა. 1972-1976 წლებში სწავლობდა უმაღლეს სამეთაურო საარტილერიო სასწავლებელში, 1983-86 წლებში კი უმაღლეს საარტილერიო აკადემიაში. 1976 წლიდან მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო თანამდებობაზე. 1998 -1999 წლებში იყო სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი; 1999-2000 წლებში

დასავლეთის ოპერატიული მიმართულების სარდლის პირველი მოადგილე; 2001-2002 წლებში -კვლავ სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი; 2002 წელს - სახმელეთო ჯარების სარდალი; 2002-2003 წლებში გენერალური შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი; 2003 წელს გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; 2004 წელს გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობისა და სამობილიზაციო დეპარტამენტის უფროსი. 2004-2005 წლებში იყო საქართველოს შინაგანი ჯარების სარდლის პირველი მოადგილე. ბოლო დროს მუშაობდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის თანმდებობაზე. ვლადიმერ იმნაძე მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო დონის შეხვედრებში, სემინარებსა და სწავლებებში.

2003 წელს მიენიჭა ბრიგადის გენერლის წოდება. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით. ასევე საბრძოლო მედლებით: „მხედრული მამაცობისათვის“; „საბრძოლო დამსახურებისათვის“; „სამშობლოს ერთგულებისა და თავდადების I-ლი ხარისხის ნიშნით“. მიღებული აქვს სხვა ქვეყნის 7 მედალი. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.



თენგიზ შუბლაძ

დაბადების თარიღი: 7 ივლისი, 1953 (64 წლის)

კატეგორია: პედაგოგი, სამხედრო პირი

ბიოგრაფია

დაბადების ადგილი: ქ. სამტრედია.

დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი 1975 წელს; 1989 წელს ქ. მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემია.

1975-1992წწ. მუშაობდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სხვადასხვა სამეთაურო და საშტატო თანმდებობებზე; 1992-2000წწ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რექტორად; 2000-2002წწ. სამშენებლო ძალების სარდლად ცხინვალის რეგიონში; 2002-2004წწ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ; 2004 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

სადოქტორო დისერტაციის თემა "საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორია და მისი ჩამოყალიბების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე", დაიცვა 1998 წელს.

ჯილდოები, პრემიები და პრიზები

1993 - ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი



დავით თევზაძე

დაბადების თარიღი: 30იანვარი,1949 (69წლის)

კატეგორია: თანამდებობის პირი,
სამხედრო პირი,
ფილოსოფოსი

ბიოგრაფია

დაბადების ადგილი: ქ. სოხუმი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი 1971 წელს; 1974 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა; 1978 წელს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი; 1980 წელს სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები; 1994 წელს ნატოს

სამხედრო კოლეჯი(რომი); 1995-1996წწ. უსაფრთხოების პრობლემათა კვლევის ევროპული ცენტრი, სტრატეგიული გამოკვლევებისა და თავდაცვითი ეკონომიკის კოლეჯი(გერმანია); 1996-1997წწ. აშშ არმიის სამეთაურო გენერალური შტაბის კოლეჯი.

1974-1995წწ. იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი; 1980-1992წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიისა და მათემატიკური ლოგიკის ლექტორი, დოცენტი; 1992 წელს ბატალიონ "ორბის" მეთაური; 1992-1993წწ. დაზვერვის ასეულის მეთაური; 1993 წელს I ბრიგადის მეთაური; 1993-1994წწ. N10143 სამხედრო ნაწილის მეთაური; 1994 წელს თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი; 1998-2004წწ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი. არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

საკანდიდატო დისერტაციის თემა "ლუისის მნიშვნელობის თეორიის 4 მოდუსი", დაიცვა 1982 წელს(კიევი).**ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი**
ევროპულ იდეათა კვლევის საერთაშორისო საზოგადოება, წევრი (1989-)
საქართველოს კარატეს ფედერაცია, დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი (1989)

ჯილდოები, პრემიები და პრიზები
1993 - ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი
ქ. ოევენვორტის(აშშ) საპატიო მოქალაქე



იუკურიძე, გივი
გენერალ-მაიორი 2004 წ.



გურამ გვეტაძე

გვეტაძე, გურამ ივანეს ძე (1931)
გენერალ-ლეიტენანტი

გურამ გვეტაძე შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს შსს მინისტრი (1979-1986), საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 1-ლი მოადგილე, დაჯილდოებულია 3 ორდენით და 15 მედლით.



თენგიზ ეპიტაშვილი

ეპიტაშვილი თენგიზ ვასილის ძე (30. VIII. 1935, თბილისი, – 28. III. 2003, იქვე), გენერალ-მაიორი (1995), სამხ. მეცნ. კანდიდატი (1977). 1957 დაამთავრა თბილ. სამხ. სასწავლებელი, 1974 – მოსკოვის მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია. 1957–72 მსახურობდა ამიერკავკ. სასაზღვრო ოლქის ჯარებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1978–83 იმყოფებოდა ავღანეთში საბჭ. მთავრობის სპეცდავალების შესასრულებლად (პოლკოვნიკი). 1988–93 იყო საქართვ.

რესპ. შს მინისტრის მოადგილე, იმავდროულად – სახელმწ. საბჭოს რწმუნებული შიდა ქართლში, ქ. ცხინვალის კომენდანტი, 1993–97 – საქართვ. სასაზღვრო ჯარების მთავარი შტაბის უფროსი, სახელმწ. საზღვრის დაცვის დეპარტ. თავ-რის პირველი მოადგილე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1996), სხვა ორდენებითა და მედლებით.



სამსონ თენგიზის ძე ქუთათელაძე

სამსონ თენგიზის ძე ქუთათელაძე (დ. 4 მაისი, 1964, საჩხერე,—გ. 15 იანვარი, 2018, რუსთავი) — ქართველი სამხედრო პირი, ბრიგადის გენერალი.

1991 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2001 წლამდე მსახურობდა საჩხერის ბატალიონში. 2001 წლიდან ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში იყო. 2004–

2006 წლებში იყო ეროვნული გვარდიის სარდალი. მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის ომში (1992–1993), სამშვიდობო ოპერაციებში ერაყში. გავლილი ჰქონდა სამხედრო კურსები და წვრთნები ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში და დიდ ბრიტანეთში.

2008–2012 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. პარლამენტში არჩეული იყო როგორც საჩხერის მუნიციპალიტეტისმაჟორიტარი დეპუტატი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. შემდეგ მოღვაწეობდა კერძო ბიზნესის სექტორში.

ჯილდოები

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი.

- მედალი საბრძოლო დამსახურებისათვის
  აშშ-ის ჯორჯიის შტატის მედალი განსაკუთრებული ღვაწლისთვის
  აშშ არმიის დეპარტამენტის მიერ გაცემული მედალი საბრძოლო მიღწევებისთვის
  აშშ-ის არმიის გენერალ-მაიორის საპატიო წოდება;
- საჩხერის საპატიო მოქალაქე
  საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი (2008)
- საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ოქროს ორდენი (2010)

პანტელეიმონ გიორგაძე



დაბადების თარიღი:	17 აგვისტო, 1925
გარდაცვ. თარიღი:	3 მარტი, 2009 (83 წლის ასაკში)
კატეგორია:	სამხედრო პირი

ბიოგრაფია

დაბადების ადგილი: სამტრედიის რაიონი, სოფელი გორმაღალი.

დაამთავრა ალმა–ათის საკავალერიო სასაზღვრო სასწავლებელი 1948 წელს; სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო აკადემია 1956 წელს; სსრკ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია 1969 წელს.

1969-1973წწ. მუშაობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის შტაბში, შემდეგ აღმოსავლეთ სასაზღვრო ჯარების უფროსის მოადგილედ; 1973-1976წწ. მუშაობდა მონღოლეთში; 1982-1985წწ. კუბაში; 1985-1987წწ. კვლავ მონღოლეთში; 1976-1979წწ. იყო

შუა აზიის სასაზღვრო ჯარების სარდლის მოადგილე; 1991-1992წწ. საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალი; 1992-1993წწ. სამშვიდობო ძალების სარდალი საქართველოს მხრიდან შიდა ქართლში; II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე; მიღებული აქვს სახელმწიფო და საბრძოლო ჯილდოები; საბჭოთა არმიის გენერალ-მაიორი(1971).

ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი

- კომუნისტურ პარტიათა კავშირი, თავმჯდომარის მოადგილე
- საბჭოთა ოფიცერთა კავშირი, თავმჯდომარის მოადგილე
- საქართველოს ერთიანი კომპარტიის ცენტრალური კომოტეტი, პირველი მდივანი (1993-)
- საქართველოს სახელმწიფო თავდაცვის საბჭო, მდივანი (1987-1990)

§2. ვეტერანი მაღალჩინოსნები

პოლკოვნიკები (სხვადასხა სახეობის)



1. პოლკოვნიკი მამუკა გოგიტიძე

დაბადების თარიღი: 21 ნოემბერი, 1963 (54 წლის)

კატეგორია: ისტორიკოსი, სამხედრო პირი

ბიოგრაფია

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი.

დაამთავრა სულხან საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი 1992 წელს; უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი 2002 წელს.

1985-1991წწ. მსახურობდა საბჭოთა ჯარში; 1991-2010წწ. მსახურობდა ქართულ ჯარში. ისტორიის დოქტორი(2006), პოლკოვნიკი(2003).

საკანდიდატო დისერტაციის თემა- "ქართველი ოფიცრები რუსეთის იმპერიის არმიაში XVIII-XIX საუკუნის დასაწყისში", დაიცვა 2006 წელს.

ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო მეცნიერების საბჭო, წევრი (2015-)
საქართველოს მწერალთა კავშირი, წევრი (2013-)
საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება, თავმჯდომარე (2017-)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ "სამხედრო თეორიას" სარედაქციო კოლეგია, წევრი (2016-)

ჯილდოები, პრემიები და პრიზები

2008 - წმინდა გიორგის მედალი
2003 - ღირსების ორდენი

1.პოლკოვნიკი მამუკა გოგიტიძე

დაიბადა ქ. თბილისში. 1992 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი: 2002 წელს უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი.

2005 წელს მუშაობდა დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის პრორექტორად სამეცნიერო დარგში-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსად: 2008-2010წ. ამავე აკადემიის სამხედრო ისტორიის სპეციალისტად.

2006 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „ქართველი ოფიცრები რუსეთის იმპერიის არმიაში XVIII-XIX საუკუნის დასაწყისში“. მიენიჭა ისტორიის აკადემიური დოქტორის ხარისხი. არის მრავალი ნაშრომის ავტორი; დაჯილდოებულია - „ღირსების ორდენით“ (2003წ.)

დღეს 19 ივნისია,
2017 წელი, ორშაბათი
კურდღელაური

2. პოლკოვნიკი იზანი ცერცვაძე

დაიბადა თბილისში 1952 წელს. დაამთავრა 170 საშუალო სკოლა. სწავლობდა ჩერნიგოროვის უმაღლეს სამხედრო საჰაერო სასწავლებელში.

1985 წელს დაამთავრა გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია.

1985 წლის 18 ივნისს დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების პირველ სარდლად.

აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე ჩაება საბრძოლო მოქმედებაში.

1993 წლის 23 სექტემბერს ის პოლკოვნიკ ბალაევთან ერთად ასრულებდა საბრძოლო გაფრენას. მტერმა

„სტრელის“ დანადგარიდან ესროლა. თვითმფრინავი აფეთქდა.

იზანი ცერცვაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

[ვეტერანი, 2017წ. მაისი, გვ.22]

სოფ. კურდღელაური

ოთხშაბათი, 21 ივნისი, 2017წ.

3. პოლკოვნიკი დავით ჭანტურია

ქ. გაგრაში დაიბადა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1974 წელს დაასრულა თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამხედრო სამეთაურო სასწავლებელი.

სამხედრო სამსახური ჩეხოსლოვაკიაში ოცეულის მეთაურობით დაიწყო, შემდეგ რუსეთში ასეულის მეთაური, აქედან გაამწესეს ავღანეთში, მსახურობდა ქ. ყუნდუზში, ქ. ბაგრამთან (25კმ-ის დაშორებით).

ავღანეთიდან საქართველოში დაბრუნდა ჯერ ავღანელთა ბატალიონის მეთაური, შემდეგ სამშვიდობო მისიას ხელმძღვანელობდა. დ. ჭანტურია იგონებს: „1992 წლის 24-25 აგვისტოს ავღანელთა ფორუმზე, რომელსაც ავღანეთის ომის 1000-ზე მეტი ვეტერანი ესწრებოდა გადაწყდა ჩავრთულიყავით ომში. რაზმის მეთაურად ერთხმად მე ამირჩიეს. 26 აგვისტოს ქ. სოხუმში 55 კაცი ჩავედით. და გუმისთის ხაზზე 1400 მეტრის მონაკვეთზე განვლაგდით“.

დავითი წუხს: „ეს არ უნდა დაგვმართნოდა ჩვენ, ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს, მეტი სიფხიზლე და პასუხისმგებლობა უნდა გამოგვეჩინა ჩვენი წინაპრებისა და

მომავალი თაობის წინაშე. [ვეტერანი, 2017წ. მაისი] და შემდეგ: „ახლაც იმ იმედით ვცოცხლობ, რომ ჩვენ გავუწოდებთ ერთმანეთს ნდობის ხელს და ერთად დავიბრუნებთ აფხაზეთს, სამაჩაბლოსა და ჩვენს ძმებს საერთო ოჯახში! [იქვე, გვ. 12]

სოფელი კურდღელაური
21 ივნისი, ოთხშაბათი, 2017 წ.

ასე - პოლოკოვნიკი დავით ჭანტურია - ქ. გაგრაში დაიბადა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის უმაღლეს საარტილერიო სამხედრო სამეთაურო სასწავლებელში ჩააბარა, დაამთავრა 1974 წელს. მსახურობდა ჩეხოსლოვაკიაში, რუსეთში, ავღანეთში, შემდეგ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა და 9 ჯილდო, მათ შორის, ღირსების ორდენიც.

დავითი იგონებს: მე ვიყავი საარტილერიო ბატარეის მეთაური, ის დივიზიონის ნაწილი იყო, რომელიც სატანკო პოლკის შემადგენლობაში შედიოდა, ჯერ დისლოცირებული იყო ქ. ყონდუზში, ხოლო 1980 წლიდან ქ. ბაგრამთან (26კმ).

1981 წელს ჩვენს მახლობლად დაბანაკდა საარტილერიო პოლკი სადაც მსახურობდა უფროსი ლეიტენანტი პაატა დათუაშვილი, მომავალი ქართველი გენერალი. მას ადრევე ვიცნობდი, იგი ჩემი გაგრელი მეგობრების პოლკოვნიკ ვოვა კვანტალიანის პოლკოვნიკ თამაზ ნიკოლაიშვილის და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის კურსელი იყო. ავღანეთში უფრო დავახლოვდით.

4. პოლკოვნიკი გელა გელაშვილი
(1956-2016)

60 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე ბრძოლების მონაწილე, დუშეთის სწრაფი რეაგირების ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი გელა გელაშვილი.

[ვეტერანი 2016წ. დეკემბერი გვ. 21]

1992 წლის ოქტომბერში ე.წ. მე-8 პოლკის ბაზაზე სახელდახელოდ შეიმქმნა შინაგანი ჯარის სადესანტო-საშტურმო ასეული - „ღამურა“, რომლის მეთაურად ვანო შანავა დაინიშნა.

1992 წლის ნოემბერი საბედისწერო გამოდგა „ღამურას“ მეთაურისთვის, სოფ. ტამიშში.

მასიური ცეცხლის ქვეშ ვანო შანავას და ზურა ვარსემაშვილის ცხედრების გამოტანა შეუძლებელი იყო, დაღუპულები ერთი კვირის შემდეგ გაცვალეს.

[ვეტერანი, 2016წ. დეკემბერი, გვ. 19]

5. დავითი კალატოზიშვილი

70 წელს მიღწეული, ჯარმაგი, ხალისიანი, ენერგიული, დიდი გამოცდილების პოლკოვნიკი თავისუფლად მსჯელობს თანამედროვე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე, დინჯად აფასებს წლების მანძილზე გაწეულ საქმიანობას არა მარტო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის

შემადგენლობაში, არამედ სხვა სახელმწიფოთა ჯარების დაჯგუფებათა ნაწილების მეთაურის თანამდებობაზე.

საინტერესოდ გადმოგვცემს ნახულსა და გაგონილს. ემსახურება მოვლენების უტყუარ, ნამდვილ, მართალ შეფასებას, ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას უნგრეთში სამხრეთ ჯარების დაჯგუფებაში, მოლდავეთში ქ. ბელცში, ოდესის სამხედრო ოლქში, კუნძულ სახალინზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ სამხედრო ინსპექციაში ხელმძღვანელად.

ახალგაზრდობაში კოლმეურნეობაში მუშაობის გამოცდილების საფუძველზე ხალისით შრომობს სოფლის მეურნეობაში, თავის მშობლიურ სოფელში.

აი, რას გადმოგვცემს ავტობიოგრაფიაში:



ავტობიოგრაფია

მე, კალატოზიშვილი დავით არსენის ძე დავიბადე 1949 წლის 1 აპრილს თელავის რაიონის სოფ. აკურაში. 1966 წელს დავამთავრე სოფ. აკურის საშუალო სკოლა. 1966 წლიდან 1969 წლამდე ვმუშაობდი კოლმეურნეობაში და

შემდეგ აკურის ღვინის ქარხანაში მუშად.

1969 წელს ჩავირიცხე თბილისის უმაღლეს სამეთაურო საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1993 წელს. სასწავლებლის დამთავრებისას მომენიჭა პირველადი სამხედრო წოდება „ლეიტენანტი“ და საარტილერიო სისტემების ექსპლუატაციის ინჟინრის კვალიფიკაცია.

1973 წელს გამაგზავნეს უნგრეთში, სამხრეთ ჯარების დაჯგუფებაში, სადაც ვმსახურობდი 93-ე მოტომსროლელი დივიზიის, 198-ე გვარდიულ საარტილერიო პოლკში 152 მმ-იანი ჰაუბიცების საცეცხლე ოცეულის და 122 მმ-იანი ჰაუბიცების მართვის ოცეულის მეთაურად 1976 წლამდე.

1976 წლიდან 1982 წლამდე ვმსახურობდი მოლდავეთში, ქ. ბელცში ოდესის სამხედრო ოლქის მე-14 გვარდიული არმიის, 86-ე მოტომსროლელი დივიზიის, გვარდიულ 191 საარტილერიო პოლკში, რეაქტიული ბატარეის (ბმ-21) მეთაურად.

1982 წლიდან 1986 წლამდე სამსახურს ვაგრძელებ კუნძულ სახალინზე 33-ე მოტომსროლელი დივიზიის 465-ე მოტომსროლელ პოლკში 120 მმ-იანი ნაღმტყორცნების ბატარეის მეთაურად და შემდგომ პოლკის არტილერიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

1986 წელს სამსახურს ვაგრძელებ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში ადგილობრივი ორგანოების სამხედრო მმართველობის სისტემაში, ქობულეთის სამხედრო კომისარიატის IIგანყოფილების უფროსად და სიღნაღის სამხ. კომისარიატის IIIგანყოფილების უფროსად.

1991 წელს ვმსახურობდი საქართველოს სამხედრო კომისარიატში ოპრატიული განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1992 წელს გადმოვედი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და 1997 წლამდე სამსახურს გავდიოდი ქ. თელავის ი. გოგებაშვილის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამხედრო კათედრაზე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

1997 წელს გადამიყვანეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ სამხედრო ინსპექციაში, სარაკეტო ჯარების და არტილერიის უფროს ინსპექტორად.

1998 წლიდან 2001 წლამდე ვხელმძღვანელობდი მთავარი სამხედრო ინსპექციის შტაბს, ხოლო 2001-2002 წლებში მთავარ სამხედრო ინსპექციას.

2003 წელს მთავარმა სამხედრო ინსპექციამ განიცადა რეორგანიზება, გადაკეთდა გენერალურ ინსპექციად, სადაც დავინიშნე შტაბის უფროსად. 1985 წელს ზღვრული ასაკის შესრულების გამო გავედი თადარიგში.

ჯილდოები: საქართველოს პრეზიდენტის მიერ ,,ვახტანგ გორგასლის“ IIIხარისხის ორდენი, მედალი ,,საბრძოლო დამსახურებისათვის“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ, სახელობითი ცეცხლსასროლი იარაღი, 2 საპატიო სიგელი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მიერ მედლებით: ,, I, II IIIხარისხის ,,შეიარაღებულ ძალებში უმწიკვლო სამსახურისთვის,“ 3 საიუბილეო მედლით.

სამხედრო ნაწილების მიერ, 18 საპატიო სიგელით. ფასიანი საჩუქრებით და 30-ზე მეტი მადლობით.

ქ. თელავი, სოფ. კურდღელაური
12,06,2018წ.

თავი III. კახეთის მხარის ვეტერანები - თელავის მუნიციპალიტეტი

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სამმართველო ქ. გურჯაანი, ნინოშვილის ქ. N13 თამაზ კალატოზიშვილი. ტელ: 591 44 98 38.

თელავის მუნიციპალიტეტი, ფართობი - 1077,65

მოსახლეობა - 46,200

ვეტერანთა საერთო რაოდენობა -



თელავის მუნიციპალიტეტის ვეტერანთა შეკრება ი. სტალინის ახლად აღდგენილი ძეგლის გახსნისას ,,ზუზუმბოს მემორიალში“.
ი. სტალინის ძეგლის აღდგენის განხორციელება თელაველი ვეტერანის ნოდარ გაგნიძის უანგარო შრომით შესრულდა.



§1. მოულოდნელი ნოდარ გაგნიძე



ВСЕСОЮЗНОЕ ДОБРОВОЛЬНОЕ
ОБЩЕСТВО БОРЬБЫ ЗА ТРЕЗВОСТЬ


ЧЛЕНСКИЙ БИЛЕТ

№ 158933

Фамилия [illegible]
Имя [illegible]
Отчество [illegible]
Год рождения 1940
Год вступления в Общество 1986
[illegible]

Ежегодная отметка
об уплате членских взносов

Год	Подпись кассира	Год	Подпись кассира
1986	[illegible]	1987	[illegible]
1988	[illegible]		



ნოდარ გაგნიძე ასეთი მუყაითი მშრომელი და ერთგულები სჭირდება დღეს საქართველოს.

Я бы, вканце-канцов, доказал, что везде хорошо, а в Грузии лучше – Н. Гагнидзе. газ. «Северная Вехта» №67. 1963

პატივისცემით ელგუჯა მამუკელაშვილს:

პატივცემულო ელგუჯა! თქვენ მთხოვეთ გადმომეცა თქვენთვის ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია, მაგრამ მე გადავწყვიტე გადმოგცეთ ცოტა უფრო ვრცლად, რათა დაგარწმუნოთ იმაში თუ რაზე ფეთქავს ჩემი გული, ან რა სურს წარმოგიდგინოთ. ეს თქვენ შეგიძლიათ გაარჩიოთ ისე, რომ ეს ჩემი მონათხრობი ავტობიოგრაფია თუ ჩემი აღსარება თქვენს მიმართ. დაე ეს თქვენთვის მომინდვია, რადგან მე თქვენში ვიგრძენი და დავინახე ის დიდი ძალა, რომელმაც გამომაღვიძა და ამიხილა თვალი. ეს ძალა არის თქვენს ყველა ნაშრომში, რომელსაც მე პირადად შევეხე და დავინახე, რომ თქვენ ბრძანდებით ჩვენი ქვეყნის დიდი ერის შვილი. თქვენ აღზარდეთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მრავალი თაობა. თქვენ მათ უნერგავდით, როგორც ჩვენი ქვეყნის სიყვარულს, ასევე, ჩვენს ტრადიციებსა და პატრიოტიზმს. ეს დიდი ამაგია, თქვენს მიერ გაწეული, ჩვენი ქვეყნის წინაშე, რითაც მე პირადად ვიამაყებ ყოველთვის. ამისათვის მინდა მე პირადად მოგახსენოთ უღრმესი მადლობა და გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე და ბედნიერება. მინდა ასევე მოვუხადო დიდი მადლობა მაღლა „უფალ ღმერთს, რომ მე ნოდარ გაგნიძეს შემახვედრა თქვენი თავი და მომცა კიდევ მომავლის რწმენა და ჩვენი ქვეყნის სიყვარული, რაზედაც გიხდით დიდ მადლობას“.

ახლა კი რაც შეესება ჩემს პატარა ცხოვრების განვლილ წლებს. დიახ მე ნოდარ ილიას ძე გაგნიძე დავიბადე ჩვენს პატარა ქალაქ თელავში, მუშოს ოჯახში 1940 წელს. იქ სადაც დაიბადა დიდი მეფე „ერეკლე მეორე“, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველას სიამაყეა! თელავი იმ ხანად მართლაც პატარა იყო მხოლოდ ტრანსპორტის სახით დაიარებოდა „ბებოლკები“ ანდა „ლილეინკები“, მხოლოდ შემდგომში ორმოცდაათიანი წლების შემდეგომ, შემოვიდა ერთი პატარა ავტობუსი, ეს ავტობუსი დაინიშნა თელავი-რკინიგზის სადგურის მიმართულებით. მახსოვს ამ ავტობუსს თელავის პატარა მოედანზე მთელი ჩვენი მოსახლეობა როგორი სიხარულით შემხვდა და ამ ავტობუსს ხალხი თვალის ჩინივით უვლიდა. იმ ხანად თითქოს ყოველი დღე სიხარულით თენდებოდა, რადგან მახსოვს ყოველი ახალი წლის ბოლოს ჩემი მშობლები სიხარულით მოდიოდნენ სახლში და ამბობდნენ, რომ მიდიოდა ფასების კლება: პურზე, ნავთზე, ასანთზე და სხვა მოხმარების საგნებზე. მახსოვს ისიც, რომ მამამ წერა-კითხვა არ იცოდა. მარტო მამაჩემს კი არა ყველას ვინც არ იცოდა ატარებდნენ ღამის სკოლაში, რათა ესწავლათ წერა-კითხვა. ამიტომაც გამოქვეყნდა საბჭოთა ბრძანება 50-იან წლებში რომელმაც აუწყა, რომ საბჭოთა კავშირში წერა კითხვა აღმოფხვრილი იყო. ეს იყო ჩვენი ქვეყნის დიდი დამსახურება და პირადად დიდი ბელადის ი.ბ. სტალინისა.

დიახ, მიდიოდა წლები და მეც წამოვიზარდე. ოჯახს ძალიან უჭირდა. სხვა გზა აღარ იყო, მამას უნდა მივხმარებოდი, რადგან ჩემი უფროსი ძმა კარგად სწავლობდა პირველ საშუალო სკოლაში, კარგად ერკვეოდა

ფიზიკა-მათემატიკაში. მახსოვს ისიც, რომ 1994 წელს მგონი ჩამოსულები იყვნენ საქართველოს განათლების სამინისტროდან და ჩემს მშობლებს სთხოვდნენ, რომ წაეყვანათ თბილისში, რათა იქ ესწავლებინათ. თბილისში სახელმწიფო აღრიცხვაზე ყოფილიყო. რადგან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შენდებოდა და ამ ქარხანას სჭირდებოდა ახალი კადრი. ეს ხდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით, მაგრამ არ ვიცი მამამ რატომღაც არ გაუშვა, დარჩა და შემდგომ ჩააბარა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (გეპეიში). მე კი წავედი მამაჩემთან კისისხევის საკირეზე სამუშაოდ მახსოვს მამა მეტყოდა ხოლმე ნოდარ, შვილო, ეგ რომ დიდი კაცი გამოვა შენც გაგიყოლიებს. მაგრამ მოხდა პირიქით, ჩემი ძმა მოხვდა ვითომ ახალ მოძრაობაში, არ ვიცი ვისთანაც ძმაკაცობდა და ერთხელაც სახელმწიფო უშიშროებამ დააკავა თურმე და თბილისში. აუკრძალეს ცხოვრების უფლება, აი, ასე აურიეს გზა-კვალი ერთ პერსპექტიულ ახალგაზრდას. შემდეგ ჩემი ძმა მუშაობდა ჩვენთან ალაზანმშენში პრარაბად. მე კი ავდექი და ჩავაბარე ქ. ფოთში ჰიდრო/მელიორაციულ ტექნიკუმში 1959 წელს მექანიზაციის ფაკულტეტზე. ასეა თუ ისე ეს ტექნიკუმი იმ დროს მთელი საქართველოს მასშტაბით უმზადებდა სოფლის მეურნეობას მთელ ჯანსაღ კადრებს, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. დასავლეთში იყო „კოლხიდმშენი“ დამშრობი და მორწყვითი სისტემები, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში იყო „ალაზანმშენი“ „იორმშენი“ მორწყვითი სისტემები. სწავლის პერიოდში, მესამე კურსიდან გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც დავყავი 1961 წლიდან 1965 წლამდე კერძოდ მოვხვდი

საზღვაო ფლოტში, კერძოდ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზე სპეციალობით მოტორისტად.

პატივცემულო ელგუჯა მე მთელი ჩემი გულწრფელობით გეუბნებით, რომ სადაც მე ვიყავი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე თავი არსად არ შემირცხვენია და რა უფლება მქონდა ჩემი სამშობლოდან ათას კილომეტრებით მოწყვეტილ ადამიანს, რომელიც უნდა ვყოფილიყავი ჩემი სამშობლოს სარკე თავი იმ ჩრდილოეთ პოლუსზე შემერცხვინა, დიახ, ვატყობდი რომ გემზე მე ერთი ქართველი ვიყავი და ყველა ჩემს ქცევასა და მოძრაობას უყურებდნენ, ისინი ხედავდნენ მთელ ჩემს საქართველოს ჩემში, როგორც: ძმობაში, მეგობრობაში, გატანაში და სხვა. მოგიყვებით ერთ პატარა ეპიზოდს ერთხელ გემზე მოეტანათ კინო ფილმი „ჯარისკაცის მამა“ და სადაცაა კინო უნდა დაიწყოს. გემის კაპიტანს დაურეკია ტელეფონით ჩემს უფროსისთვის. მესამე რანგის კაპიტანი იყო და უთხრა, რომ თუ სად ვიმყოფებოდი გაარკვია და მოახსენა რომ მე ვახტზე ვიდექი. გემის კაპიტანმა გასცა ბრძანება, რომ გავენთავისუფლებინე და კინოსთვის მეყურებინა როგორც ქართველს. მართლაც გამანთავისუფლეს და კინოს მაყურებინეს. ვუყურე კინოს და როგორ გითხრათ, მეც არ ვიცი მთელი კინოს მსვლელობის დროს სულ ვტიროდი. ამ კინომ ჩემში გამოაღვიძა მთელი ჩემი სამშობლოს როგორც: სიყვარული, ტრადიციები, ასევე მთელი ქართული მანერა. მეორე დღეს მე შევბელი ის რომ შევხვდი გემის კაპიტანს მოვახსენე პატაკი და გადავუხადე დიდი მადლობა. მან კი მითხრა, რომ ამხანაგო უფროსო მეზღვაურო, თქვენ ეს დაიმსახურეთ, რომელსაც ამას ბევრი ვერ იმსახურებსო. ამ

სიტყვების შემდეგ მე უფრო ძალა და ენერგია მემატებოდა იმისათვის, რომ რაც შეიძლება კარგად წარმომეჩინა ჩემი სამშობლოს სახე. ამისათვის მათ 1964 წელს მიმიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად და 1965 წელს შევედი კომუნისტური პარტიის რიგებში. ასევე წილად მერგო ის, რომ 1964-1965 წლებში დამამთავრებინეს არხანგელსკის ერთ წლიანი პარტიული სკოლა. ალბათ ჩემი სამსახური იმით შეაფასეს კიდევ რომ 1965 წლის ბოლოს მომცეს მედალი 1945-1965 წლების ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების ოცი წლისთავთან დაკავშირებით. დიახ, დავბრუნდი ჩემს სამშობლოში 1965 წლის დეკემბრის დასაწყისში ასე თუ ისე გავაგრძელე სწავლა. იმ ხანად თელავში გაიხსნა ალაზნმშენი და პარალელურად გავფორმდი ალაზანმშენში ზეინკლად პრაქტიკებზე. აქ ვიყავი ხოლმე. თან იქ ვსწავლობდი. ტექნიკუმშიც შედარებით ვსწავლობდი. ერთხელ დედა ჩამოვიდა ფოთში ჩემთან. ტექნიკუმის შესასვლელში იყო სტუდენტთა მოწინავე დაფა და დედამ რომ ნახა ჩემი სურათი ამ დაფაზე გაკრული გადამეხვია მკოცნიდა. არ დაგიმალავთ და გეტყვი იმას, რომ ხაზვაში და ხატვაში კარგად ვერკვეოდი. ბიჭებს ბევრს ვუკეთებდი სადიპლომო ნახაზებს, რაშიაც პატარა ფულსაც მთავაზობდნენ ხოლმე ,რითაც თავსაც ვირჩენდი, რადგან ჩემს ოჯახს ისედაც უჭირდა. მახსოვს მგონი 1968 წელს ტარდებოდა ჩვენი დიდი პოეტი შოთა რუსთაველის 800 წლისთავი, სადაც მონაწილეობა მივიღე ხატვაში. დავხატე ორი ნახატი, პირველი ტარიელი რომ ზის, თავისი შავი ცხენით. ჩემი მეგობარი პოეტობდა და დამაწერინა ასეთი წარწერა:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,

შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა

წავიკითხე, მომეწონა ვიზიარებ მისსა ჭირსა


რუსთაველის რვაას წლისთთვის, ვხატავ ნახატს შოთას გმირსა.

მეორე ნახატი დავხატე ავთანდილს რომ ეუბნება თინათინი წადი და მოძებნე და აქ მომგვარეო. ასე რომ ამ კონკურსში გავიმარჯვე როგორც პატარა ფულადი ჯილდოთი, ასევე ერთ კარგი წიგნით რომლის სათაურია „ბედი ჩვენი სანატრელი“. ეს არის საყვარელი საბჭოთა არმიის გენერალი ანდრეი სტუჩენკოს მოგონებები.



ნოდარ გაგნიძე -
შრომის შემდეგ

– იყო
საბჭოთა სასაზღვრო
მეზღვაური ნიშნავს ხარ
სამშობლოს ერთგული,
ურყევი შვილი!



- «И вот Нодар Гагнидзе
пришол на корабль»
газ. «Северная Вахта»,
№67, 6 декабря, 1963 года



ნოდარ გაგნიძე - მეზღვაურ მეგობრებთან

ამ წმინდა წიგნმა ჩემზე მოახდინა დიდი გავლენა როგორც გმირობაზე, ქვეყნის სიყვარულზე და სხვა. კონკურსის კომისიის თავმჯდომარე იყო ტექნიკუმის დირექტორი გრიშა კვაშილავა. საოცარი, საყვარელი ადამიანი, რომლის ხელის მოწერაც ამშვენებს კონკურსში გამარჯვებულ წიგნს. როდესაც ჯარიდან დავბრუნდი მინდოდა ტექნიკუმიდან საბუთები გამომეტანა და თელავში გამეგრძელებინა რომელიმე ხელობაზე, მაგრამ ტექნიკუმის დირექტორმა გრიშა კვაშილავამ სასტიკი უარი გამომიცხადა, მითხრა, რომ თელავში იხსნება „ალაზანმშენი“ გაგაგზავნი იქ პრაქტიკებზე, დაგინიშნავ სტიპენდიას. ასე რომ დიპლომის გარეშე არ გაგიშვებო. ასე რომ მეტი გზა არ მქონდა. ეს ადამიანი მართლაც რომ უზომოდ იყო შეყვარებული თვითოეულ სტუდენტზე და მათ ზრუნვაზე. არ შემიძლია არ მოგახსენო ის რომ თქვენი თაობის

პედაგოგები, მართლაც სასწაულ ცოდნას, დისციპლინას, ზნეობას და რაც მთავარია ქვეყნისადმი სიყვარულს გადმოგვცემდნენ და მეამაყება რომ მე ამ თაობამ აღმზარდა და დამავაჟკაცა.

პატივცემულო ელგუჯა, მაპატიეთ მაგრამ რომ არ გითხრათ არ შემიძლია ის, რომ დღეს თითქმის სწავლამ აზრი დაკარგა, ფეხქვეშ გაითელა ღირსეული ტრადიციები, გამოიფიტა საქართველო, დაანგრიეს მაგრამ დღესაც არ იციან საით მიექანება ჩვენი ქვეყანა. არ შემიძლია არ გავიხსენო ჩვენი დიდი ბელადის ი.ბ. სტალინის მართლაც ბრძნული გამონათქვამი:

„რომ ააშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო!“

დღეს კი რა გამოვიდა ჩვენ შემთხვევაში! ქვეყნის ეკონომიკას როგორ ააშენებენ რაც არ იციან, როგორ ააშენონ და არც ის იციან სად ისწავლონ. რადგან ქვეყნის სათავეში მთავრობაში თუ პარლამენტში თავმოყრილი არიან, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ქუჩიდან მოსული თაობა. დავკარგეთ ურთიერთ ძმობა, მეგობრობა თუ სიყვარული წარმოიდგინეთ ადრე ადამიანი ავტობუსში რომ ადიოდა გაიხედ გამოიხედავდა ვინმე ნაცნობი ხომ არ იყო ავტობუსში რათა მისთვისაც აეღო ბილეთი და ესიამოვნებინა. დღეს კი რა გამოვიდა კაცი მობუზული დგა თავჩაქინდრული და ოცნებობს, ნეტავი ვინმე ნაცნობი არ შემახვედრაო. დიახ აი ასეთ მდგომარეობამდე მივიდა ქართული სული.

არ შემიძლია არ ვთქვა ის, რომ ჩვენ ხან ქართველებს თავის გამოჩენაც გვიყვარდა თუ გვჩვევია განსაკუთრებით

ლხინსა თუ ჭირში. ადრე ქართველ კაცს რომ არ ჰქონოდა ივალებდა და თავს არ შეირცხვენდა მკვდარს თუ ცოცხალთან, რომ იცოდა ხვალ იმუშავებდა და ვალს გაისტუმრებდა. ახლა კი ადამიანს ერთი საფიქრალი დარჩა თუ რა მიზეზი მოიგონოს რომ არც ლხინში წავიდეს და არც სატირალში, რადგან ქართველ შრომის მოსიყვარულე ადამიანს ცარიელი ჯიბე აქვს და რა თქმა უნდა არც მომავლის იმედი არ გააჩნია. სადაც ვსწავლობდი ქ. ფოთში, 2010 წელს მომიწია ფოთში გამგზავრება. მაინტერესებდა ჩემი სასწავლებელი თუ რა მდგომარეობაში დამხვდებოდა, ადრე გეგონებოდათ დიდი ლომონოსოვის უნივერსიტეტი ახლა კი რა ვნახე. შესასვლელი ფიცრებით აჭედილი და გარშემო. ბოდიში მომიხდია ტუალეტად ქცეული კედლები სულ დაზიანებული, საერთო საცხოვრებელი, საერთოდ აღარ იყო. 3 სართულიანი შენობა იყო, ახლა კი ცარიელი მინდორი. ტექნიკუმს ჰქონდა მთელი სპორტული მოედნები, ლაბორატორიები, ახლა კი რა? თვითონ ქ. ფოთი ერთი მიგდებული სოფელი მეგონა, სადაც ცენტრში ასვალტის საფარიც კი არ იყო. აი ამ დღეში ჩაყარა ჩვენი საყვარელი ქალაქები ევროპულმა თუ დასავლურმა ვითომ „დემოკრატიამ“ რაზედაც გული დამწყდა და მტკივა.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი ჩემს კოპწია საყვარელ თელავში და დავიწყე მთელი ენერგიით მუშაობა N1 საამშენებლო სამმართველოში „ალაზანმშენში“. არ შემიძლია პატივცემულო ელგუჯა არ გადმოგცეთ ყოველი ის მანკიერი მხარეები რაც მე განვიცადე და გაუძელი, რამაც დანგრევამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. იმ ხანად სამმართველოს უფროსი ბრძანდებოდა თბილისელი კაცი.

ნამდვილად საყვარელი ადამიანი გურამ სპარტაკის ძე მამაცაშვილი. კაცი მართლაც ალალი და პატიოსანი, მაგრამ რა ექნა გეგმებს ვერ ასრულებდა, რადგან გურამი ჩემი გადასახედიდან უფრო კაბინეტის კაცი იყო. იმდენად მომთხოვნი ვერ იყო ობიექტებზე. გურამმა მე მთხოვა, რომ მუშაობა დამეწყო ბეტონის პატარა ქარხანაზე, სადაც დამონტაჟებული იყო ორი ბეტონმრევი. მისი წარმადობა იყო 1 კუბურ მეტრი ერთ არევაზე უშვებდა ერთ კუბამეტრ ბეტონს. ასე რომ დავთანხმდი და მე და ერთმა ჰამლეტ კირვალიძემ მოვკიდეთ ხელი. ესეც მექანიკოსი იყო და დავიწყეთ პატიოსნად მუშაობა. ვატყობდი, რომ სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას განვიცდიდით, მაგრამ რაღაცას მაინც ვახერხებდით. შემდგომ მოხდა ასეთი რამ, რომ თელავში იხსნებოდა ტრესტი. ეს იყო 1968 წელს და თავისთავად ცხადია გურამ მამაცაშვილს სურდა ტრესტის მმართველობა, მაგრამ ერთ დღესაც ტრესტის მმართველად მოავლინეს მიხეილ ცისკარიშვილი. არ ვიცი როგორ გითხრათ, მაგრამ ეს კაცი მართლაც რომ უაღრესად განათლებული, სწავლული ადამიანი იყო, გეფიცებით ამ ბუმბერაზ ადამიანს გამარჯობას ვერ ვასწრებდით. იყო ძალზე მეგობრული და ყველას მიმართ თავისებური მომთხოვნი. ერთ დღეს დაიბარა ტრესტში სამმართველოს უფროსები, სადაც ჩვენი გურამ მამაცაშვილი არ გამოცხადებულა და მოხდა ის, რომ მეორე დღიდან გურამ მამაცაშვილი აღარ დაგვინახია. აი, ასე დატოვა ამ პატიოსანმა კაცმა ქ. თელავი. აი, რომ იტყვიან აქედან დაიწყო ჩვენს სამმართველოში ახალი ერა! მოავლინეს სამმართველოს უფროსად თბილისელი კაცი გიორგი

ნიკოლოზის ძე წერეთელი. წერეთელი მართლაც მედგარი და მამაცი, რომელსაც თელაველებმა შეარქვეს „ფანტომაზი“, მიტომ რომ სადაც არ ელოდებოდნენ იქ გამოჩნდებოდა ხოლმე. მან შემდეგ მოიყოლა თავისი კადრი. რა თქმა უნდა თანდათანობით პრარაბებიდან დაწყებული მუშებიც კი. ასე, რომ არც ბეტონის ქარხნისათვის გამორჩენია კადრი და ერთ დღესაც მოავლინა ოლივერ პროკოფის ძე ძნელაძე, რომელსაც საგარეჯოში ობიექტზე კომპრესორჩიკად ემუშავა. კაცს, რომელსაც ალბათ საშუალო სკოლა თუ ჰქონდა დამთავრებული. წერეთელმა შემდეგ ჩემი პარტნიორი ჰამლეტ კირვალიძე გადაიყვანა ჩვენს გარაჟში რიგირთ მეხანიკად. მე კი ადგილზე დამტოვეს. ასე გავაგრძელეთ მე და ჩემმა ახალმა მეგობარმა. მე მთელი ჩემი ენერგიით ვმუშაობდი ჩვეულებრივ პატიოსნად და თორმე რა ხდებოდა. დილით ბეტონს ვინც უშვებდნენ, ოპერატორები ორი კურდღელაურელი იყო და ერთი ყარაჯლელი სახელად ჯარჯიშოვი ზირა. ზირამ იცოდა, რომ მე პატიოსნად ვმუშაობდი, მაგრამ კურდღელაურელებმა მე არაფერი გამიმხილეს. თათარმა ზირამ მითხრა, რომ ნოდარ ოლეგი შენ გამოწმებსო. ყოველ დილა რვეულს გვაძლევს შენს ჩუმად და გვეუბნება დამიწერეთ თუ რამდენი რეისი ბეტონი გავიდოდა, რომ მერე საღამოს ჩემს დაწერილ ფაქტურებს თუ დაემთხვეოდა, ესეიგი მამოწმებდა. ასე გავიდა ერთი თვე დაახლოებით. მე რა თქმა უნდა ყველაფერში სწორად გამოვდიოდი. თურმე, მაგრამ მეწყინა არაფერი ვუთხარი. მეორე დღეს ვნახე ჩვენი პრარაბი - ბაქარი როსტომაშვილი და აუხსენი ყველაფერი და ვთხოვე, რომ მასთან გადავსულიყავი. ბაქარის პირიქით გაუხარდა შენზე კარგს

ვის ვნახავო და მივატოვე მეორე დღეს ბეტონის კვანძი და გადავედი როსტომაშვილთან. დაახლოებით ობიექტი იყო თელავის ხევზე კომისარიატის მონაკვეთთან. ვიმუშავე დაახლოებით ერთი კვირა. აპალოვკები დაყენებული გვაქვს იმდენი, მხოლოდ ბეტონს ველოდებით. გავიხედე ხან ვინ მორბის, ხან ვინ და ერთხელაც მოვიდა გიორგი წერეთელი. სამმართველოს უფროსი და ნახა რაშიც არის საქმე. მე დამიძახა - ნოდარ ჩემთან მოდიო. მეც მივედი და მოვახსენე თუ რაში იყო საქმე, მან მითხრა, რომ დილაზე ჩამოდი თათბირზეო, კი მეთქი და წავიდა. მერე გავიგე, რომ წერეთელისათვის უთქვამთ თუ ამუშავებს მაგ მეშალკებს ეს ნოდარ გაგნიძეაო და უაღრესად პატიოსანიო. მეორე დღეს ჩავედი, გაისტუმრა ყველა და მე დამტოვა. შემდეგ გამომკითხა ოჯახური მდგომარეობა, რომ ვიყავი საქორწილო, შემდეგ მკითხა ხელფასის ოდენობა, მეც ვუთხარი რომ ვიჯექი ბუღალტრის შტატზე და ჩემს ხელფას 90 მანეთი შეადგენდა. მითხრა, რომ საქორწინო ბიჭისათვის მართლაც ცოტა იყო და მითხრა იმით დავრწმუნდი, რომ ოლეგ ძნელაძე მშიშარა ბრძანდებოდა, ერთ-ერთი ჩვენი უბრალო კამათის დროს მივუთითე. ასეთი მუშაობა არ გამოდგებოდა, რადგან ამით საერთო ჯამში ქვეყნისათვის ზიანის მომტანი იქნებოდა. საერთოდ რაც იმ ხანად ქვეყანაში ხდებოდა“. პირიქით აქეთ შემომიბრუნდა და დამიყვირა „შენ ვინ გკითხავსო! გამომიჩნდა აქ „კომუნისტიო“. გაბრაზებულმა მე კიდე ამოვუღე თავისი დაწერილი წერილი, სადაც ეწერა „გაატანე (ხუთი) ტონა ცემენტიო“. და სადაც ხელს აწერდა. მხოლოდ საერთოდ არ აწერდა ვის ატანდა ხოლმე, მე კი იძულებული ვიყავი, რომ

დამეწერა მისივე მოწერილ წერილზე ვის ატანდა და ტრანსპორტის ნომერი, რომ რამე მომხდარიყო მე ჩემი თავი დამეცვა, წარმოიდგინეთ რომ წაიკითხა თავის დაწერილ წერილზე, რომ მწერდა ,,გაატანე (ხუთი) ტონა ცემენტი" და ამ წერლზე ჩემგან იყო მიწერილ პოლიციის მაიორი ალიკა ხიზანიშვილი და მანქანის ნომერი რით გავატანე, მე რომ ვაჩვენე და ვუთხარი იცი ეს რას ნიშნავს მეთქი? ერთი აწითლდა და გამომგლიჯა ხელიდან დახია, დაგლიჯა გადაყარა და მითხრა - ,,აი ამას ნიშნავსო". მე უბრალოდ გამეცინა და ვუთხარი მაგისთანები ერთ პატარა მეშოკში მაქვს მოგროვილი მეთქი. აი, მაშინ მოახტა თავის მანქანას და მოკურცხლა. საღამოს ჩვენი ერთი თანამშრომელი მოდის და მეუბნება დილაზე სამმართველოს უფროსი გიბარებსო. კი ბატონო მეთქი, იმ ხანად სამმართველოს უფროსი წინანდლელი ჯემალ ელიზბარაშვილი ბრძანდებოდა. მეორე დღეს გამოვეცხადე უფროსს და ვუთხარი რაშია საქმე მეთქი, შემდეგ მან მითხრა, რომ გუშინ ოლეგ ძნელაძე ძალიან შეშინებული მოვიდა და მითხრა ნოდარ გაგნიძე მღუპავსო. მე მოვახსენე და ვუთხარი ხომ იცი ჯემალ მე მაგის კაცი არ ვარ მეთქი, მე მხოლოდ მოვსინჯავ რა ვაჟკაცია და რომ იცოდეთ საერთოდ რას გიკეთებთ, თქვენ აზრზეც არ ხართ მეთქი. შემდეგ მითხრა ჯემალმა ,,ვიცი რეებსაც აკეთებს მაგრამო" დიახ ამ სიტყვაში ,,მაგრამო". ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ზემოდან ჰყავდა მფარველი და იმიტომ იყო ვითომ დიდი ვაჟკაცი, იყო მხოლოდ ცარიელი ფუტლიარი და სხვა არაფერი. ზუსტად მსგავსი ტიპები მოამრავლეს ჩვენს ქვეყანაში და როგორც წურბელები ისე სწოვდნენ ჩვენს საბჭოთა საქართველოს. დიახ ანიავებდნენ

სახელმწიფო ქონებას, რამაც დაანგრია და გაანადგურა ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, მათ შორის საქართველოშიც. დიახ ყველგან დაბლიდან დაწყებული უმაღლეს ეშალონამდე მძვინვარებდა მსგავსი მაფია და აი შედეგმაც არ დააყოვნა და 1990 წელს დაასრულა თავისი არსებობა მთელმა ჩვენმა საბჭოეთმა. წარმოიდგინეთ ის, რომ იმას რასაც ჩვენი მოძმე ერთ მორწმუნე რუსეთი ამ მშენებლობის მასალებს გვიგზავნიდა, ჩვენ ხელმძღვანელობას გონივრულად რომ გამოეყენებინა მისი მნიშვნელობა „კახეთი წალკოტად უნდა ქცეულიყო“. ამისათვის ვის ეცალა, ალბათ ყველამ იცოდა, რომ საბჭოთა ქვეყანა იძირებოდა და ინგრეოდა, რაზედაც გული მტკივა და ეს გულის ტკივილი მაწერინებს ყველას და ყველაფერს. დიახ მთელი საბჭოთა ხალხის ქონება მოექცა ერთეულების ხელში და მოხდა ის, რომ ხალხთა მასები გაიყო ორ ნაწილად „მდიდრებისა და ღატაკებისად“ დიახ! ოდესღაც აყვავებული საბჭოთა ქვეყანა, საქართველო, რომელსაც მსგავსი ცხოვრების დონე თავის არსებობაში არ ჰქონია, სადაც ხალხი ყველა თანასწორი იყო და ცხოვრების დონე საქართველოში შედარებით ყვაოდა, ხალხი მეგობრულად ცხოვრობდა. ამ ნაძირლებმა ხალხს ცხოვრება გაუმწარეს და ხალხი დააბრუნეს უკან შუა საუკუნეების ხანაში. ნუთუ ამის ღირსი იყო საბჭოთა ხალხი! რომლებიც მთელი ენთუზიაზმით შრომობდნენ და აშენებდნენ ჩვენს საბჭოთა საქართველოს! საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას რატომ არ ჰყოფნით გონიერება თუ საით მიაქანებენ ჩვენს ქვეყანას და ხალხს. როგორ უდევს ბალიშზე თავი გინდ პრემიერ კვირიკაშვილს, გინდ პრეზიდენტ მარგველაშვილს სამოსში რომ ვეღარ ეტევიან, გინდ

ნებისმიერი ჩინოვნიკი, ნუთუ მშობლებმა არ აღზარდეს, განა რას ასწავლიდნენ უცხოეთში სწავლის პერიოდში. რომ საკუთარ ხალხს და სამშობლოს ასეთ დღეში აყენებენ, ნუთუ ასეთი საქართველო გინდათ?! ვიღაც ირაკლი ჭავჭავაძე ვიღაც უცხოელს ყოფილ პრემიერს ცოლად გაჰყვა. ანდა ორმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ვითომ ჭაბუკებმა ამერიკაში, ამერიკელმა მასონმა კათოლიკე ქალმა მღვდელმა ჯვარი დასწერა და გამოაცხადა ორი ქართველი ჭაბუკი ცოლ-ქმრად. დავიჯერო რომ ასეთი საქართველო გინდათ? მსგავსი საქართველოს თავის ისტორიაში არ ჰქონია. საით მიაქანებთ ქვეყანას?! გახსოვდეთ! ყველა თვითოეულს ვინც დღეს-დღეობით ჩვენს ქვეყანას საქართველოს მართავთ თქვენ ყველას მაღალი უფალი ღმერთი დაგსჯით! მე ამას კომუნისტი ნოდარ გაგნიძე გეუბნებით! ეს ასე იქნება!



ნოდარ გაგნიძე - მოწინავე ჯგუფთან



ნოდარ გაგნიძე - ხომალდის ჯგუფთან
(სევეროდვინსკი)

როგორც ამბობდნენ ნოდარ გვარამაძეს წინ დაუდო პაპკა და უთქვამს ბატონო ნოდარი ამ საქმეს ამდენი სჭირდება“. ესეიგი უთხოვია დიდი ფული, რომ არ ჩავიხედო საქმეში. უბრალოდ რამოდენიმე დასკვნას დაუწერავდა და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ნოდარ გვარამაძეს კი უთქვამს მე მაგ ფულის გადამხდელი არ ვარ და რაც გსურთ ის შეამოწმეთო. კი ბატონო უთქვამს რევიზორს და დასცილდნენ ერთმანეთს. შემდეგ გვარამაძემ მოუყარა ყველა პრარაბებს თავი და განუცხადებია ყველამ თქვენ თავს მიხედეთო და თან დაუყოლებია ერთი მაგის

სომეხი დედაცო ,,ეს ვიღაცამ გასცა და მივიდა რევიზორის ყურამდე. რევიზორს კი უთქვამს ახლა დავანახებ როგორი სომეხი ვარო. წარმოიდგინეთ ის, რომ ჩვენს მოწინავე სამმართველოს რომელიც ქუხდა თავისი შრომით მიღწევებით, უეცრად ჩამოეფარა შავი სუდარა ისე, რომ თითქმის ყველა განწირული იყო, თითქოს წინ მიცვალებული ედოთ მთელ პრარაბებს და თავის მმართველი ნოდარ გვარამაძის თამადობით, ვითომ მედგარი პრარაბები რომ იყვნენ, უცებ მოიბუზნენ ბავშვებივით ტიროდნენ. კორუფცია რისი კორუფციაა თუკი ვერ გაიმარჯვებს და ეს საქმე ზევიდან ბოლომდე შეაჩერეს, რადგან ნაკვალევი უფრო ზევით წავიდოდა. თუ სიმართლე იზეიმებდა ყველას ციხე ელოდა. ჩვენს რევიზორს კი რა დარჩენოდა მეტი - ქ. თბილისში ჩვენ სამმართველოდან ერთ პრარაბი მიამაგრეს და სახლიც ააშენებინა და ეზო ყურეც კარგად მოაწყობინა ისე, რომ ეს ცეცხლი მძიმე მძიმეთ ჩანელდა, მაგრამ ყოველივე ამისა ბევრი კარგი და პატიოსანი ხალხი მუშაობდნენ მაგალითისათვის: კოხტა გაიპარაშვილი, რომელმაც თავისი ხელი დაატყო მაგისტრალური არხის მშენებლობას, წარმოიდგინეთ ის, რომ მაგისტრალური არხის დახრა ყოველ ას მეტრაზე ექვსი სანტიმეტრი აქვს და ამიტომ მიედინება არხში წყალი მდორედ. არ შემიძლია არ გავიხსენო როინ თანდილაშვილი, რომელმაც დააგვირგვინა რკინა-ბეტონის ქარხანა, კონდოლის სათავე ნაგებობა. სტორის სათავე ნაგებობა და სხვა. არ შემიძლია ამდენი წლების მანძილზე არ გავიხსენო ჩვენი ყველასათვის საყვარელი ადამიანი, საწყობის გამგე ილო ყველაიძე. თითქმის ყველას ემსახურებოდა. ამდენ პრარაბებს და როცა

კი შეუმოწმებიათ მისი საწყობი ყოველთვის პირნათელი გამოდიოდა თავისი ერისა და ქვეყნის წინაშე. „ალმატურჩიკები“ გურამ სპარტაკის ძე მეგრელიშვილი, ვიქტორ გრუშჩევი (მსხალაძე). მექანიკოსი გარაჟის გამგე ბონდო თეთრაძე, მშენებელი ბესო უთიაშვილი, მშენებელი გერონტი ჩაველაშვილი, შალვა აზნარაშვილი, მარტია ჩობანიანი, ბადრი ყველაიძე, ჯარჯიშოვი ზირა, გივი გაროზაშვილი, უდიდესი პიროვნება ჩვენი ტრესტის მმართველი მიხეილ ცისკარიშვილი. თელავზე შეყვარებული უზომოდ, ადამიანი ტრესტის მმართველის მოადგილე სამველ ჩობანიანი და სხვა მრავალი. მაპატიოს ყველამ თუ ვერ დავასახელე. დიახ ესენი იყვნენ ვინც მართლაც სულითა და გულით ემსახურებოდნენ ამ დიდებულ საუკუნოვან მშენებლობას. არ შემიძლია არ გავიხსენო ჩვენი ბოლო გმირი, ტრესტის მმართველი. ის თუ როგორ მოევლინა ვინმე მიხეილ ჯიღაური. ეს ადამიანი ძირითადად საგარეჯოელი იყო. მართლაც ერთი ახოვანი კაცი. შეგვკრიბეს ჩვენს სამმართველოში მთელი ჩვენი თანამშრომელი და გაგვაცნეს ჩვენი მომავალი ტრესტის მმართველი. რა თქმა უნდა ამ ადამიანმა თავი გაგვაცნო და თავი გამოაცხადა, როგორც კარგმა სპეციალისტმა და მშენებელმა თან ეცვა რეზინის ჩექმები და რომ იტყვიან შრომით ფორმაში, თან დასძინა „მე პირადად ედვარდ შევარდნაძემ გამომგზავნაო“, ასე რომ მეც გულში გავივლე და გამიხარდა - „ეგ არის და გვეშველა მეთქი“. მიხაროდა ეს კაცი მართლაც დაამყარებდა პატიოსნებას, მაგრამ რა გითხრათ ჩემო ძვირფასო მკითხველო, აბა ეს გამოდგა, რომ იტყვიან - „შავტრუბაში გამძვრალი გაიძვერა“, გაღლეტილი და გაცვეთილი,

რომელმაც შეცვალა ყველა და ყველაფერი, წარმოიდგინეთ სუფთა სააკაშვილის ტიპი, თითქმის ყველა მანერით და ქცევით. ლოთობის მეტი ამ კაცს აქ სხვა არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ ერთი პრარაბი ჰყავდა მიმაგრებული ჩვენი სამმართველოდან, რომ კვირაში ორჯერ მაინც უცვლიდნენ ლეიბსა და თეთრეულს, აი ასეთი იყო მისი შრომითი თავგანწირული მუშაობა ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე. წარმოიდგინეთ ბოლოს ყველა სამმართველოებიდან ბეტონის ქარხნები, საამშენებლო სამმართველოებს ჩამოაცილა და ეს ბეტონის ქარხნები ერთ სამმართველოდ ჩამოაყალიბა და ამ სამმართველოს უფროსად დანიშნა ვინმე ველისციხელი კაცი, რომელსაც ამ ერთ კაცთან ჰქონდა საქმე. წარმოიდგინეთ - აბა მაშინ გაიბერა სახელფასო უწყისები, რომ მეტი რა გითხრათ. ყველაფერთან ერთად შეიქმნა ერთი მძლავრი კორუფცია, რაც ჩვენ ოლეგ ძნელაძესაც აწყობდა და მეშოკებით ფულს მიაცუნცულებდა სახლისაკენ და მთელი ოჯახის წევრებს ალბათ ფულის თვლაში ყელში ნერწყვი უშრებოდათ. აი ასე ღაფავდა ჩვენი საბჭოთა საქართველო სულს, აი ამისთანა ნაბირლებისა და სულით გახრწნილების ხელში აღმოჩნდა ოთხმოცდაათიან წლებში ჩვენი საქართველო, რომლის შვილებიც კი დღესაც აგრძელებენ თავიაანთი მამის ნაკვალევზე სიარულს, რომლებიც დღეს დღეობით ამ ჩვენი ქართველი ერის განადგურების ხარჯზე იშენებენ ციხე კოშკებს, სასტუმროებს, რესტორნებს და სხვა. მხოლოდ საკითხავი ერთია. ნეტავი ვინმემ წაიღო ამ ქვეყნიდან, იმ ქვეყანას რამე გარდა სიძულვილისა და ბოროტებისა! ბევრჯერ მიფიქრია, რომ რაც ამ სიბინძურეს წლების მანძილზე ვუყურებდი დამეწერა განცხადება და

გავსულიყავი პარტიის რიგებიდან, მაგრამ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს იქნებოდა ჩემი ღალატი პარტიის მიმართ. პარტიის წესდება სულ არ მკარნახობდა ამ სიბინძურეს, პირიქით წესდება მკარნახობდა, რომ ვყოფილიყავი პატიოსანი, შრომისმოყვარე, კაცისთვის არ მეღალატა, არ მომეკლა, მემუშავა ერთ ერთ ორგანიზაციაში და ვყოფილიყავი როგორც კომუნისტი შრომისადმი მაგალითის მიმცემი, რაც თითქმის ჩემი პატარა ცხოვრების მანძილზე შევასრულე და რაც მეამაყება, ვფიქრობ მოვა დრო და დაუბერავს დიდი ბელადი ი.ბ. სტალინის სიტყვებით, რომ ვთქვათ მკაცრი, ცივი ქარიშხალი და გაფანტავს ყოველივე ამ სიბინძურეს.

ასე, რომ ვოცნობებდი როგორც პიროვნებას ოლეგ ძნელაძეს. თითქმის შევისწავლე ეს კაცი ისე, რომ მასში ქართული ეროვნულობა თითქმის არ არსებობდა მხოლოდ „ფული და ფული“ იყო მისი ერთადერთი ოცნება, ასე თელავში იზრდებოდა კორუფცია. კორუფცია რომელიც იქმნებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით 1972 წლიდან დეგენერატი ედუარდ შევარდნაძედან, რაც ხელს უწყობდა ოლეგ ძნელაძის ტიპების მომრავლებას მთელი საქართველოს მასშტაბით. რაც შეეხება ოლეგ ძნელაძეს, ეს კაცი იყო ძალიან მშიშარა პოლიციელების მხრიდან. ისე ეშინოდა ბევრჯერ რომ დაუნახია მოდის პოლიციის ფორმიანი ვინმე მანქანით ვინც არ უნდა ყოფილიყო დაიწყებდა ლანძღვა გინებას, რას აღარ გაილანძღებოდა, სანამ მოვიდოდა და რომ ახლო მოვიდოდა შემოსძახებდა - „აუჰ რავა ხარ! რავა ბრძანდებით; რაშია საქმე, რა გაგჭირვებიათ, მზად ვართ გემსახუროთო!“ ისე

მოეფერებოდა თითქოს ძველი ნაცნობი და მეგობარი ყოფილიყო. მშიშარა და ბაბაიას შემსრულებელი. შემდეგ გადმომმახებდა - „ნოდარი მეგობარს რაც სჭირდება გაატანე აბა შენ იციო“. მეც რა უფლება მქონდა არ შემესრულებინა ასეთი უფროსის დავალება. წარმოიდგინეთ სამჯერ წამოვედი და სამჯერვე დამაბრუნეს, აღარ შემეძლო ამ უმსგავსოების ყურება და ატანა. ოლეგი გახდა დიდი კაცი. ის თითქმის პრარაბებსაც კი უშლიდა ბეტონის გაყიდვას. რადგან პრარაბები წითელზე, რომ დაჯდებოდნენ იძულებულები იყვნენ ოლეგ ძნელაძესთან დაემყარებინათ კავშირი კორუფციულ გარიგებაში. საერთოდ უნდა ითქვას ერთი, ოლეგ ძნელაძის თამადობით ვინც კი თელავში მოდიოდნენ ყველანი აქ რჩებოდნენ და იშენებდნენ დვარეცებს. ეს იქნებოდა კომისრები, ექიმები, პოლიციელები ყველა და ყველას ქალაქი თელავი მაგნიტივით იზიდავდა და თან კორუფციაც დიდ მასშტაბებს იძენდა. ალბათ მთელი საქართველოს მასშტაბით და რამაც დაანგრია და დაშალა ჩვენი ოდესღაც აყვავებული საბჭოთა ქვეყანა. რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩემო ძვირფასო მკითხველო გული მტკივა ნუთუ არ შეიძლებოდა ამ უნიკალური რასაც ერქვა „ტრესტ ალაზანშენი“. ამ მშენებლობაზე დაწერილიყო ერთ თუნდაც პატარა წიგნი და ჩვენს ისტორიკოსებს დეტალურად დაეწერათ მის ავ-კარგზე. რადგან ეს იყო საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობა, ეს იყო საუკუნის მშენებლობა მთელი კახეთის სიგრძე-სიგანეზე გადაჭიმული, რომელ მშენებლობაშიც ნარიადიც კი რუსულად იწერებოდა და ამ მშენებლობის მასალებს თითქმის ყველაფერს: ცემენტს, რკინას, ხე-მასალას და ყველას და ყველაფერს

გვიგზავნიდა ჩვენი ერთ მორწმუნე, დიდი რუსეთი, ყველაფერს დანახვა უნდა და უნდა მომავალშიც, მაგრამ თუკი უხარისხოდ კეთდებოდა ეს ჩვენი მშენებლების ბრალია და არა სხვისა. დიახ უხარისხოდ გაკეთდა თელავის თავში სამი ჯებირი, რომლის მშენებლობისთვის მოდიოდა ვაგონებით ლითონის მილი, მაგრამ ამ მშენებლობაზე მისი მეათედიც ამ მშენებლობას არ მოხმარებია. ეს ყველაფერი ნოდარ გვარამაძისა, ნოდარ ყარაულაშვილის და ნოდარ გულიაშვილის კისერზეა, რომლებიც თელაველები იყვნენ და უფრო მეტი მათ მოეთხოვებოდათ, უფრო სწორედ ნოდარ გულიაშვილის კისერზეა, რადგან ეს პიროვნება ბრძანდებოდა იმ ხანად მთავარი ინჟინერი, რომელმაც იცოდა მაგრამ ყველაფერზე თვალებს ხუჭავდა! დიახ მანვე იცოდა ყველაფერი სად რა ლითონის მილი თუ სად (აზბო) აზბესტის მილი იყო ჩადებული და ბოლოს თავისი გაიძვერობით მოექცა სათავეში და ბოლოს მანვე გაუკეთა ყველას და ყველაფერს დემონტაჟი. წარმოიდგინეთ ალაზნიდან წიწმატიანის სათავე ნაგებობიდან წყვილი მილი მოედინებოდა ვარდისუბნის თავში, საქაჩ სადგურამდე, რომლის სიგრძე ალბათ 10-11 კილომეტრია და რომლის დიამეტრი ერთ მეტრი მაინც იყო, თუ მეტი არა. ამ წყვილი მილის დემონტაჟი ნ. გულიაშვილის კისერზეა, რადგან ეს ვაჟბატონი შეეკრა მედიკო მეზვრიშვილს და ერთობლივი ძალით ამოთხარეს, ამოყარეს, დაჭრეს და ჯართად აქციეს. ჯართად აქციეს რკინა-ბეტონის ქარხანა, „ბაშნია კრანები“ და ყველა და ყველაფერი. რომელიც დღეს მაგალითად ქ. თელავს ჰაერივით სჭირდება წიწმატიანის ნაგებობა, რომელიც ალბათ მომავალში ხელახლა მოუწევთ მისი

მშენებლობა. აი ასეთი პიროვნებები რომლებშიაც არავითარი ეროვნულობა, სინდისი და პატიოსნება არ გააჩნიათ! რა ვქნა მე პირადად ყველას მათი მტერი ვარ. მაპატიოს მკითხველმა! შევარცხვინე მათი განათლება. სიმდიდრე და ქონება. თუ კაცს შენი შინაგანი ძალა არ გაძლევს, რომ დაიცვა შენი ქვეყნის ეროვნული ღირსება, სინდისი და ნამუსი, რწმენა და სარწმუნოება. მთავარი სიმდიდრე ესაა და სხვა არაფერი. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა საქართველოს პერიოდში მილიონერები არ არსებობდნენ, მხოლოდ არსებობდნენ საბჭოთა საქართველოს „გმირები“, რომლებიც მართლაც თავს არ ზოგავდნენ თავიანთი შრომით საქმიანობაში. თავი გამოეჩინათ და დაეცვათ თავიანთი ეროვნული ღირსება, დიახ სამოციანი წლებიდან და შემდგომ შევარდნაძისეულმა საქართველომ სულ მოშალა თითქმის ყველა სფეროში მუშაობის სტილი, როგორც სოფლის მეურნეობაში, მეცხოველეობაში, ვაჭრობაში და რა თქმა უნდა მშენებლობაშიც ყველასა და ყველა სფეროში ყველგან იქცა კორუფციული ბუდე. დიახ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის დიდი ბელადის სტალინური გეგმით და პროექტით „ალაზნის არხს“ უნდა გადმოევლო ქ. თელავის თავზე და გადაევლო სოფლებზე: შალაურზე, კისისხევზე და ყველა მომდევნო სოფლებზე ისე, რომ წყალი ყველგან თვითდინებით უნდა მისულყო ყველა მოსახლესთან, მაგრამ ვინ შეასრულა? არავინ.

იმ ხანად უკვე ქვეყნის მტრები ბუდობდნენ სათავეში და სოფელ კურდღელაურზე გაატარეს არხი, დააყენეს სოფლებთან საქაჩი სადგურები, რომლებსაც ერთი წამითაც არ უმუშავიათ და ტყუილა გადაიყარა მილიონები. ყველა

გაიმარცვა და ალბათ ჯართში ჩააბარეს. უფროს თაობას, ალბათ, კარგად ახსოვთ ის ლექსი და სიმღერა თუ როგორ ჟღერდა ი.ბ. სტალინური გეგმით მაგისტრალური არხის თელავის თავზე „შენ ალაზანო სად მიხვალ, შენ ჭკვაზე აღარ გატარებ, პანკისის თავზე ჩაგკეტავ თელავზე გადმოგატარებო“. ძვირფასო მკითხველო მე უბრალოდ გული მტკივა იმაზე, რომ საკუთარი სიმდიდრისა და ქონების დაგროვების მიზნით ასეთი ადამიანები როგორებიც იყვნენ: ოლეგ ძნელაძეები, ნოდარ გულიაშვილები, ნოდარ ყარაულაშვილი, ნოდარ გვარამაძეები და სხვები ძალიან ბევრნი ხელს უწყობდნენ კორუფციის და მის აყვავებას. საბჭოთა ქვეყნის დანგრევასა და განადგურებას. ისე წავიდა თავს ოლეგ ძნელაძე რომ „ცა ქუდათ ეჩვენებოდა და კახეთის მიწა ქალამნად“ წარმოიდგინე, რომ მთელ ჩვენ მშრომელ კოლექტივს იძულებულსა ხდიდა მასთან სახლში გვემუშავა. ბოლოს ბიჭებმა ველარ მოითმინეს და ერთ მშვენიერ დღესაც აუდავდნენ. დიახ აუდავდნენ მცირე ხელფასის გამო და თუ ბრიგადაში მუშაობდა ათი კაცი წარმოიდგინეთ - სახელფასო უწყისში კი რატო ასი კაცი არ ეწერა. ეს იყო სუფთა კორუფცია. განა ვინ ვერ მიხვდებოდა? დიახ ავუდავდით მის საკუთარ სახლში. იმის მაგივრად ბოდიში მოეხადა, ბრძანება გასცა ვისაც არ გინდათ ჩემთან მუშაობა ყველანი წადითო. მე ველარ მოვითმინე და ვუთხარი, ოლეგ აბა დაფიქრდი რას ამბობ მეთქი - „წადი განა ძაღლია, ამათ რომ გაგიმეტონ იცი ამას რა მოჰყვება მეთქი“. დიახ ამას ყველაფერს ისმენდა მისი მუღლე ქალბატონი რუსიკო თუ რა ხდებოდა მისი გაუთლელი ქმრის გარშემო დიდ ვაჟკაცად რომ მოჰქონდა თავი. წარმოიდგინეთ ის, რომ კაცს რომელსაც ეტყობოდა

არაფერი ჰქონდა წაკითხული ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულზე. ეს კაცი იქცა ერთ ერთ უდიდეს პიროვნებად, სუფთა ყვარყვარედ! წარმოიდგინეთ კაცი რომელიც მოვიდა კლიონკის დახეული პლაშით ბოლოს ხელები გაყო და მოირგო ძვირად ღირებული შავი ტყავის პლაშები და ქურთუკები. აი სწორედ ასე ვიცით კახელებმა მობრძანებულების სტუმარ-მასპინძლობა, მაგრამ ბოლოს ავიწყდებათ ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ, რანი იყვნენ. რომლებსაც არავითარი საამაყო არ გააჩნიათ არც ოლეგ ძნელაძეს და არც მისთანებს. არ შემიძლია არ გავიხსენოთ ერთი უმთავრესი ფაქტი. რომ იტყოდნენ ჩვენი, პირველი სამმართველო თითქმის ქუხდა თავისი შრომით საქმიანობაში, თითქოს შორიდან ასე ჩანდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თბილისიდან მოევლინა ვიღაც სომხური გვარით რევიზორი. ეს მოხდა ნოდარ გვარამაძის მმართველობის პერიოდში და ამ სომეხმა რევიზორმა ბევრი რამ გამოავლინა.



ნოდარ გაგნიძე - სამუშაო ჯგუფთან

მმართველმა მომმართა, ნოდარ მამაშვილურად გეუბნები ხვალიდან დაბრუნდი ბეტონის ქარხანაზე, მიმიხედე იქ დაგენიშნება 90 მანეთის ნაცვლად სხვასაც მიიღებო. და დაამატა თუ ოლეგი, რამეს კიდევ გაწყენინებს ყირამალა დავკიდებო. მიდი და იმუშავეთ ორივემ ერთადო. ერთ თვეში ყველა თქვენი სათადარიგო ნაწილები ადგილზე გექნებათო, ამ ერთ თვეს როგორმე ამუშავეთ და გაუძელიო. მეც თავს ზევით გზა არ მქონდა და დავეთანხმე. მართლაც ერთ თვეში მოვიდა სათადარიგო ნაწილები და გაიშალა მუშაობა. დღეში თუ 100 კუბამეტრს ვერ ვუშვებდით, ახლა გავედით 300 კუბამეტრზე. თვეში გავიხმარდით 4000 ტონაზე მეტ ცემენტს. სამუშაო ობიექტები გაიხსნა ყველა მხარეს. დაახლოებით ხუთმეტი პრარაბი იყო კინაღამ ობიექტები: მაგისტრალური არხი, თელავის ხევი მარტო სამ

ნაწილად იყო დაყოფილი, წიწმატიანი, კისისხევის დიუჯეტი, ალაზნის ნაპირ სამაგრი, თითქმის ყველა სოფლებში მორწყვითი დაქსელვა, სადრენაჟო ქსელები და სხვა მრავალი, ისე, რომ 1970-იან წლების შემდეგ, ალაზანმშენი თითქმის ქუხდა. ისე, რომ ბეტონი გადიოდა ყველა მხარეს, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ. ასე, რომ წერეთელმა შექმნა დიდი სამმართველო. ამ პერიოდში მთავარ ინჟინრად დაინიშნა ნოდარ გვარამაძე. მანამდე ნოდარი გვარამაძე მუშაობდა, პრარაბად, რკინა ბეტონის მშენებლობაზე. ასე, რომ რასაც მე ვაკვირდებოდი, იმ ხანად იქმნებოდა ერთი დიდი და მძლავრი კორუფციული სისტემა, რადგან სახლებს და დვარეცებს ვინ არ იშენებდა დაწყებული პოლიციიდან, უფროსობიდან. უმცროსობამდე და რა თქმა უნდა, თვით რიგითი მოქალაქეებიც რადგან ყველაფერი ეს ხელს უშლიდა, რომ თვით ალაზანმშენის ობიექტებს ემუშავნათ ნორმალურ პირობებში. ბეტონის მანქანებს სადაც არ უნდა იქ აცლევინებდნენ თუნდაც ქალაქის ცენტრში, რადგან ხმის გამცემი არავინ იყო. ვინაიდან ყველა დასწრებაზე იყო. თვით პოლიციაც და სამოქალაქო პიროვნებებიც. ყველამ ყველაფერი იცოდა, უფროსობამ, მაგრამ ყველა დუმდა, რადგან ყველა ხელებს ითბობდა. ერთხელ მახსოვს შუა გახურებულ მუშაობაში ვარ და გავიხედე, როგორც შემდგომ გავიგე, ეს კაცი ყოფილა თელავის მთავარი ობეხე, ვინმე, მგონი გვარად შათირიშვილი და მიბრძანა, რომ სასწრაფოდ გამეჩერებინა მუშაობა და მითხრა უფროსი სად ბრძანდებაო. მე აუხსენი ყველაფერი და მიბრძანა, რომ ოლეგ ძნელაძე ასულიყო პოლიციაში და წავიდა. მე შემეშინდა თუ რა ხდებოდა და

დაუკავშირდი ოლეგის. ოლეგმა მითხრა, რომ გამეგრძელებინა მუშაობა ბოლოს გავიგე ის, რომ თურმე „სტავკას“, რომ ეძახოდნენ დაუგვიანებია მიტანა და ამისათვის მაჩერებინებდა მთელ ობიექტებს. აი, ასეთი იყო კორუფცია იმ ხანად! განა მარტო ალაზანმშენში მთელ რაიონულ ქსელში. პატარა ბლოკის ცეხიც კი არ იყო დარჩენილი სტავკის გარეშე. არ ვიცი, როგორ გითხრათ ელგუჯა მაგრამ ალბათ ამანაც დააჩქარა ჩვენი ქვეყნის დანგრევა და განადგურება. მე კი რაც შემეძლო ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას და პირველ რიგში ვაყენებდი სახელმწიფო ობიექტებს. ერთხელ მახსოვს წერეთელმა დამიბარა კაბინეტში. ჩავედი და დავინახე რამდენიმე უცხო პიროვნება კაბინეტში. მანიშნა, რომ დავმჯდარიყავი. მეც დავჯექი და დაველოდე. გაირკვა, რომ იმ ხანად შენდებოდა მაღლივი „ინტურისტი“ და თელავის სახელმწიფო თეატრი. ეს ხალხი იყვნენ ინტურისტის მშენებლობის მინისტრი და სხვა პირები, როგორც გაირკვა ბეტონი ჩვენ უნდა მიგვეცა. წერეთელმა გააცნო ჩემი თავი და ეუბნება - აი, ეს კაცია ვინც ბეტონის ხარისხზე აგებს პასუხსო. წამოვედით იქიდან და შეამოწმეს ინერტული მასალები. დიახ! პატივცემულო ელგუჯა კარგი საქმეებიც კეთდებოდა. თვითთოეული მანქანის გაშვების დროს, ზედ ვედექი თავზე, რათა არავის ეღალატა. თვითთოეულ მანქანიდან ვიღებდი ბეტონის სინჯს ვასხავდი პატარა კუბიკებში 20*20სმ იყო და ყოველი თვის ბოლოს მიდიოდა ლაბორატორიაში სინჯზე, იყო თუ არა ბეტონი 200 მარკის. დიახ დღესაც მეამაყება, რომ ინტურისტიც და თელავის თეატრიც დღესაც მხნედ იყურებიან და ამშვენებენ ჩვენს თელავს. შემდგომ გიორგი

წერეთელი გადაიყვანეს ასმეტის N3 სამმართველოში სამუშაოდ. ჩვენთან კი დარჩა სამმართველოს უფროსად ნოდარი გვარამაძე, დიახ! არც გვარამაძემ დაიშურა ვფიქრობ თავისი ენერგია.



სამახსოვრო - მაღლა, მარცხნიდან მესამე ნოდარ გაგნიძე


ნოდარი სხვებთან შედარებით განათლებული პიროვნება იყო, უნდოდა საქმე კარგად წარემართა, მაგრამ რა ექნა იძულებული იყო მიყოლოდა წყლის დინებას, ესეიგი იმ დროინდელ მაფიურ დინებას! ასე, რომ იზრდებოდა კორუფციაც და აღწევდა თავის არნახულ მასშტაბებს. ამის მაგალითია, მაგალითად ერთი ასეთი ვითარება: - ,,შუადღეა გახურებულ მუშაობაში ვარ! დილით გეუბნებიან. ობიექტების გარდა ამას მიეცი, ამას მიეცი, სულ სხვა

პირებზე. შუადღისას ვატყობ ცემენტი მითავდება რა ვქნა არ ვიცი. ავდექი და გადავედი ჩვენს სადგურზე ბაზაში, სადაც საწყობის გამგე სადგურელი პეტრე ჯავახიშვილი იყო და ვთხოვე ცემენტი მოეშველებინა და მითხრა, რომ ნოდარი აგერ ის ცემენტავოზი იტვირთება და თქვენთან მოდისო, გამიხარდა, მივედი ვნახე კურდღელაურელი მძღოლია ყაზაროვი ვანოა. ეს ვანო ყაზაროვი ნოდარისთან ესეიგი სამმართველოს უფროსთან კარგად იყო და ვთხოვე, რომ ვანო დროზე გადმომიტანე მეთქი! კი ახლავეო, მიპასუხა. მეც დაწყნარებული წამოვედი, მაგრამ როგორც თქვენ არ მოგიტანიათ, ისე მას არ მოუტანია ცემენტი ჩემთან, გაჩერდა მუშაობა. ვიცი დილაზე გავილანძღები, რადგან პრარაბები ატეხავენ ალიაქოთს. ავდექი და დავწერე ერთი კარგი მოხსენებითი ბარათი უფროსის სახელზე. რომ ამადა ამ მძღოლმა დატვირთა ცემენტი, ჩვენს ბაზაში, მაგრამ ცემენტი ადგილზე არ მოუტანია, გთხოვთ მოახდინოთ სათანადო რეაგირება, რადგან გამიჩერდა მუშაობა. მართლაც მეორე დღეს ატყდა ერთი ჩხუბი, ავდექი და დავაბრე ჩემი დაწერილი მოხსენებითი ბარათი და დაუდე მაგიდაზე უფროსს, უფროსმა წაიკითხა, მიხვდა რაშიც იყო საქმე. იქ ყველაფერი იყო მითითებული. ასეა თუ ისე ჩაიარა ამ საქმემ. ყველა გაჩუმდა და არაფერი რეაგირება ამას არ მოყოლია. გავიდა ცოტა ხანი მოდის ეს მძღოლი ვანო ყაზაროვი და მეუბნება, რომ ნოდარ ილიჩ - „თქვენ რომ მოხსენებითი ბარათი დაწერეთ. მე წავიკითხე უკან ამოვისვი და ტუალეტში ჩავაგდეო“. აი ამის შემდეგ მე რა გულზე დავრჩებოდი? გავიდა ცოტა ხანი. მსგავსი რამე კვლავ განმეორდა. დილით კვლავ ატყდა ჩხუბი. მე გულზედაც არ

მოვიხვედრე. კვლავ ავუხსენი, რომ ნოდარი დავითიჩ ცემენტი გამითავდა და ამის გამო შეფეხრდა მუშაობა მეთქი. შემდეგ დამიყვირა და მითხრა რატომ არ ჩამაყენე საქმის კურსშიო. აი მაშინ მე დავუყვირე „რომ დავითიჩ მე რომ თქვენ საქმის კურსში ჩაგაყენოთ, გადმოგეცით მოხსენებითი ბარათი, თქვენ წაიკითხეთ, შემდეგ გადაეცით ატეკის დირექტორს ამხანაგ მურველაშვილს მურველაშვილმა წაიკითხა და გადასცა თვითონ მძღოლს. ვანო ყაზაროვს. ყაზაროვმა კარგად წაიკითხა და რა მოხდაა. ამოისვა უკან და ტუალეტში ჩააგდო მეთქი. თქვენ არაფერი რეაგირება არ მოახდინეთ და აი ეს არის ჩვენი შედეგი მეთქი. გავიხედე და რა დავინახე, ყველა მთელი პრარაბები მე მისმენენ გასუსულები. მივხვდი იმას, რომ მე ამოვიღე ხმა „სიმართლისათვის“ და დავუმატე რომ „დავითიჩ მე დღეს თქვენს წინაშე ძაღლის როლს ვთამაშობ მეთქი“. ვატყობდი იმას, რომ სულ ტყუილად მალაპარაკებდნენ, თითქოს გული სტკიოდათ. აი ამისთანა მსგავსმა მდგომარეობამ მიიყვანა აყვავებული ჩვენი ქვეყანა უფსკრულის პირას, რასაც დღეს ვიმკით, ისაც ვერ გაგვიგია თუ საით მიექანება ჩვენი ქვეყანა. დღეს დავითიჩი ჭკვაზე ვერ არის. ამას წინათ მოვინახულე და ვეღარ მიცნო, რაზედაც გული დამწყდა. აი ამისათვის გვეუბნება უფალი მაღალი ღმერთი „სძლიე სიხარბესა შენსა“. მარტო დავითიჩს კი არ დაემართა, არამედ ბევრ სხვებსაც, როგორც უფროსებს, ასევე პრარაბებს. შემდეგ ნოდარ დავითის ძე გვარამაძე გადაყავთ ახმეტაში N3 საამშენებლო სამმართველოში უფროსად. ჩვენთან კი დაინიშნა სამმართველოს უფროსად - ჯემალ სიმონის ძე ელიზბარაშვილი. მართლაც, რომ გამოდგა მაგარი, მედგარი,

ჯემალი მანამდე მუშაობდა ჩვენთან. კისისხევის დიუკერზე პრარაბად. ჯემალმა მთავარ ინჟინრად დანიშნა გრემელი ახალგაზრდა პერსპექტიული ბიჭი დიმიტრი ტატულიშვილი, რომელმაც მუშიდან დაიწყო ჩვენთან მუშაობა და მივიდა მთავარ ინჟინრამდე. რაც შეეხება ჯემალ ელიზბარაშვილს, ეს კაცი მართლაც რომ გამოდგა მაგარი, ფხიანი! ისეთი საქმეები ჩამოქონდა თბილისიდან, ისეთი ნახაზები, თუ ხარჯთაღრიცხვა, რომ ჩვენ ნებისმიერ მუშას ერთი ლაფატკა რაღაც რომ გადაეყარა ეს უდრიდაო დაახლოებით თურმე, ერთ ექსკავატორ დრაგლაინს მთელი დღე ემუშავნა, დღეში ამ ექსკავატორს 400 მეტრ კუბს აძლევდნენ. აი ასეთი იყო თითქმის თურმე თანაფარდობა. ასე, რომ ჯემალი გამოდგა ძალიან ენერგიული და სულ მოკლე ხანში გასწორდა კაცი. ასე, რომ თანდათანობით წყალი უკვე ზემოდანვე იმღვრეოდა. რომ იტყვიან იმ ხანად „უძრაობის ხანას“ რომ ეძახოდნენ. აი, ამ დროს ჩვენი: ტრესტი და სამმართველოები კინაღამ ქუხდა, რომ იტყვიან, მთელი კახეთის ტერიტორიაზე. ჯემალი ხშირად ეტყობოდა, რომ ნასვამი ჩანდა ხოლმე, ერთხელ დილით დამიბარა და მითხრა ერთ თელაველ პიროვნებისათვის გამეტანებინა ბეტონი, რამდენსაც მომთხოვდა, გავატანე თითქმის ოცი რეისი. კიდევ მოდის. ვიძახი რა ხდება მეთქი, კინაღამ ცემენტი მითავდება, ავდექი და დაურეკე სამმართველოში და მოვახსენე, რომ ცემენტი კინაღამ მითავდება. თქვენ რომ დილას დამავალეთ ოცი რეისი, მეტი გავატანე, ახლა რა ვქნა ობიექტები გავაჩერო, თუ ის კაცი მეთქი, რადგან ეს კაცი კიდევ მთხოვს ბეტონს. ყურმილში კინაღამ დამიყვირა და მეუბნება გააჩერე ყველაფერი და მაგ კაცს გაატანეო.

დაყვირებაზე მომივიდა ბრაზი და ვუთხარი. რომ როცა სამმართველოს უფროსობა და მმართველობა არ შეგიძლიათ, რატომ დგებით მმართველად. ამაზე გაბზარდა და მეუბნება, რომ ,,რას მეუბნები გესმისო?“ მე კიდევ ვუთხარი, რასაც გეუბნები ისიც ვიცი და რა მნიშვნელობა აქვს ისიც ვიცი მეთქი და დავდე ყურმილი. წარმოიდგინეთ ელგუჯა, ობიექტებს მაჩერებინებდა და ბეტონს ვიღაცაზე მატანინებდა. დიახ ამისათვის იმ ხანად ჩვენი სამმართველო მთელ თელავის რაიონში ქუხდა.



ნოდარ გაგნიძე - მსახურობდა ამ ხომალდზე



სურათზე - თელავში, ზუზუმბოზე მემორიალთან შეკრებილი ომისა და შრომის ვეტერანთა ერთი ჯგუფი მარცხნიდან მესამე ნოდარ გაგნიძე

ქუხდა იმიტომ, რომ ერთი პიროვნება დღეში 30 რეის ბეტონს, რომ გაიტანდა იტყოდა, რომ კარგი ორგანიზაციააო. თან ამ დროს მე თითს ვერ მაკარებდნენ, რადგან ბევრი რამ ვიცოდი მათზე. რაც შეეხება ჩემზე მე არავინ არ შემიწუხებია, რადგან სახლი მე არ ამიშენებია და არაფერი, მამისეულ სახლს ჩემი მარჯვენით ვაკეთებდი თითქმის ყველა ხელობა ვიცოდი და დღესაც ასე ვაგრძელებ. მე არაფერი გამჭირვებია.

ახლა რაც შეეხება შემდგომში, ჩვენი ყოფილი ზემოთ მოვახსენეთ სამმართველოს უფროსს ნოდარ დავითის ძე გვარამაძეს. მამა დავითი გარდაიცვალა. დავითის დაკრძალვაზე ყველა იქ ვიყავით მთელი ჩვენი სამმართველოს ბიჭები. დაკრძალვაზე ასევე ჩამოვიდნენ

თბილისიდან როგორც დირექციიდან, ასევე სამინისტროდან. ყველა სტუმართან ერთად ჩამოსული იყო. ჩვენი ყოფილი ტრესტის მმართველი მიხეილ ცისკარიშვილი. ამ ჩამოსულ სტუმრებს სუფრა გაუწყეს მგონი ინტურისტში. მას ხელმძღვანელობდა ჩვენი უფროსი ჯემალ ელიზბარაშვილი. შემდეგ როგორც გაირკვა ჯემალმა შუამთაში კიდე შეუკვეთა სუფრა რაც გადაიზარდა, რომ იტყვიან ქეიფში, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი. ჯემალმა დაითხოვა თავისი მძღოლი. მიუჯდა საჭეს და გვერდით ეჯდა მთავარი ინჟინერი დიმიტრი ტატულიშვილი. იმ ღამეს კისისხევის ტრასაზე მოახდინა ავარია, შეასკდა მოპირდაპირე მომავალ მანქანას და მოსახდენი მოხდა, გარდაიცვალა თვითონ ჯემალი ელიზბარაშვილი და გაიყოლა მომავალი ახალგაზრდა პერსპექტიული ახალგაზრდა დიმიტრი ტატულიშვილი. უეცრად დარჩა ჩვენი სამმართველო უფროსობის გარეშე. ეს ის პერიოდია, როცა თითქმის ჩვენი საბჭოთა ქვეყანა სულს ღაფავს, აი, ამ დროს ჩვენთანვე მუშაობდნენ პრარაბად სამმართველოს უფროსად მოავლინეს ნოდარ დიმიტრის ძე ყარაულაშვილი და მთავარ ინჟინრად ნოდარ არჩილის ძე გულიაშვილი. ასე რომ ამ დროსაც მიდიოდა თვით დინებით და ამ დინებას აუწყეს ფეხი ორივემ ერთად, მაგრამ მათ შორის იყო ყოველთვის რაღაც უთანხმოება. ორივენი კარგად მომზადებული, გაქნილი და გაიძვერები. იმ ხანად ტრესტის მმართველად მუშაობდა ჯიღაური. ჯიღაურს თურმე აღებული ჰქონდა ფული ნოდარ გულიაშვილისაგან, რომ ნ. გულიაშვილი გაეშვა სამმართველოს უფროსად, მაგრამ ყარაულაშვილის და კი მუშაობდა თბილისში ჩვენს

დირექციაში. აბა თბილისი რა თბილისი იქნებოდა და თბილისმა დაძალა და ყარაულაშვილი დაინიშნა უფროსად. ასეა თუ ისე გააგრძელეს მუშაობა ორივემ შეხმატკბილებულად, რომ თითქოს უთანხმოება აღარ ჩანდა, ისე მიჰყავდათ საქმე, ორივენი, რომ იტყვიან კარგად გაკეთდნენ, მძიმე მძიმედ მოატანა დრო-დრომ რომელმაც შექმნა მთელი ქვეყნის მასშტაბით კორუფციული სამყარო არ შემიძლია არ გავიხსენო, ის რომ იმ ხანად გაზეთმა „კომუნისტმა“ ამცნო, რომ ალაზანმშენს ეკლდა ცემენტი დაახლოებით „ათასობით ტონა“. ერთხელ მახსოვს, რომ ტრესტში დაიბარეს ბეტონის კვანძის უფროსები, ბუღალტრები. აქ ჩვენი გმირი ოლეგ ძნელაძე არ წავიდა და მე, როგორც მისი მოადგილე გამაგზავნეს. მე ვიცი, რომ ყველაფერში მართალი ვიყავი და რატომ არ წავიდოდი . . . მაინტერესებდა კიდეც ამ დროს ტრესტის მმართველი ბრძანდებოდა თელაველი - გივი ხუციშვილი - დავჯექი ერთ პატარა კუთხეში გავიხედე გივის ხელში კომუნისტის გაზეთი უჭირავს. წავიდა ლანძღვა გინება: გაზეთი ამცნობს, რომ ალაზანმშენის ბაზას სადგურზე ყველაზე დიდი დანაკლისი აქვს. სამმართველოებს იმდენად არაფერი ეტყობა მანამდე შეამოწმეს ობიექტები და ჩემმა ჯერმა, რომ მოაღწია ამაყენეს: გივი მეუბნება, რომ ბუნკერის კარებებზე რატომ კლიტე არ გიდევთო მავთულით, რომ გამოგიბიათო. ავდექი და ვეუბნები, რომ კლიტე აღარ სწვდებოდა და ამიტომ იყო მავთულით დავაბი მეთქი. არც ავიღე და პირდაპირ სახალხოდ ვუთხარი, რომ პატივცემულო ბატონო გივი ჩვენს ბუნკერში „ჩიტი“ რომ ჩაფრინდეს იმას შევამჩნევ, ვინ რა უნდა მომპაროს მეთქი და დავამატე, რომ „იქ იქნებ

ყველაზე დიდი ქურდი მე გახლავართ მეთქი. ამაზე დავინახე, რომ ყველამ თვალები დააჭყიტა და ჩემსკენ გამოიხედეს. გავიგე მმართველმა გივი ხუციშვილმა, როგორ დაიყვირა, შეხედეთ ამას ეს რეებს ამბობსო“ მეკი დავჯექი წყნარად, იმიტომ, რომ იქ ყველა მჯდომი, ყველა ქურდი იყო! აი, ასეთებიც ხდებოდა, რადგან ვის რა უნდა მოეპარა, ერთი-ორი მეშოკი? და ამით დააკლდათ ათი ათასობით ტონა ცემენტი. არავითარი ცემენტი. ბოლოს იყიდებოდა ვაგონებითაც კი. ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ყველა თვალებს ხუჭავდა, რადგან ყველა გასვრილი იყო. სადგურზე, ბაზაში, ტრაქტორით ახვეტეს ცემენტის ნატეხები კედლებზე რომ იყო მიკრული და ამით ვითომ გამოასწორეს საქმე. გავიდა კიდევ რამოდენიმე დრო! და მოატანა 1990 წელმაც, დაინგრა ჩვენი სოციალისტური საქართველო, ასევე დაიშალა ჩვენი, როგორც სამმართველოები, ასევე ტრესტი და დაიწყო მთლიანად დაშლა, რადგან ჩვენი ტრესტი „ალაზანმშენი“ იყო როგორც საკავშირო მშენებლობის სამინისტრო და მისი ყველანაირი მომარაგება ხდებოდა დიდი რუსეთიდან: მოდიოდა როგორც: ცემენტი, ხე-მასალა, რკინა და რა აღარ. თავიდანვე ამ მშენებლობის ნებართვაზე მე, როგორც ვიცი, მოსკოვში ქონდა ხელი მოწერილი - კოსიგინს - შენდებოდა მრავალი ობიექტები: რკინა-ბეტონის ქარხანა, კანალიზაციის ქარხანა, სანასოსე სადგურები, და სხვა ბევრი თითქმის ყველა სოფლის წყლის სათავეები და თუ უხარისხოდ და უნიათოთ შენდებოდა ეს ჩვენი მშენებლობის ბრალი იყო და არა რუსებისა. დიახ! როგორც გითხარით დაიშალა ჩვენი ყველა საამშენებლო სამმართველოები. შეწყდა ყველა საამშენებლო

მასალების მოწოდება დიდ რუსეთიდან. ახლა მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. დაიწყო მთელი ძალების მობილიზება, როგორც სამმართველოების უფროსებისა ასევე მთავარი ინჟინრებისა და პრარაბებისა. იყო დიდი გაწევ-გამოწევა, მათ შორის მაგრამ, თითქოს ამას შორიდან არ იმჩნევდნენ არც: გვარამაძე, არც ყარაულაშვილი და არც გულიაშვილი, მაგრამ ყველაზე დიდი გმირი აღმოჩნდა ახლა უკვე ბატონი ნოდარ გულიაშილი, რადგან მე ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ეს კაცი იყო და დარჩა როგორც ვიცოდი დიდი ეშმაკი, გაიძვერა და თაღლითი. შემდგომში მან არ გაუშვა არსად არც ერთ სოფელში სადაც იყო ჩაყრილი, როგორც ლითონის ასევე აზბო ტრუბები. დიახ! მაგან მოახდინა მთელი სააშენებლო სამმართველო ქონების „რომ იტყვიან დემონტაჟი. წარმოიდგინეთ პატივცემული ელგუჯა ისეთი მშენებლობა, როგორიც იყო წიწმატიანის წყლის საქაჩი სადგურების. თელავს, რომ ამარაგებდა ცხელ ზაფხულში მთელ თელავს. ამან ამოყარა კინაღამ მილები მომდინარე წიწმატიანიდან ვარდისუბნის თავამდე, რომელიც მიედინებოდა თელავის მაგისტრალურ ქსელში. მე, როგორც გავიგე იმ ხანად დაუმმაკაცდა ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს და ალბათ ორივემ ერთად უბერეს. თელავის შავ მეტალურგიას ხმაშეტკბილებურად. წარმოიდგინეთ ვის ქონდა უფლება დაეშალათ ისეთი ნაგებობები, როგორიც იყო: წიწმატიანის სანასოსე სადგური, რომელიც მილიონები უჯდებოდა ქვეყანას. ასევე რკინა-ბეტონის ქარხანა, სადაც მარტო რკინა ბეტონში 1000 კაცზე მეტი მუშაობდა და ის ასევე მილიონები ღირდა. ვის ქონდა უფლება დაეშალა მექანიკური ქარხანა და სხვა რომელი გითხრათ, ანდა თელავში რამდენი

საამშენებლო მაღლივი ბაშნია კრანები იდგა, რომლებიც მართლაც მილიონებათ უჯდებოდა მთელ თელავს, ამათ კი კაპიკებში ყიდეს ყველაფერი და გაედინებოდა ღამღამობით ვაგონებით მთელი თელავის შავი მეტალურგია!“ აი, ასეთი პიროვნება როგორიც არის ნოდარ გულიაშვილი. სუფრასთან რომ დაჯდება ალბათ იტყვის ,,გაუმარჯოს ჩვენს სამშობლო საქართველოსო!“ ერთი, რომ არ გითხრათ, პატივცემული ელგუჯა, არ შემიძლია. ჩემი ძმა ქვემო სოფელ ხოდაშენს უკეთებდა სოფლის თავში წყალსადენს. ეს იმ დროს, როდესაც ალაზანმშენი უკვე სულს ღაფავდა, რომ იტყვიან ესეიგი სოფელმა ალაზანმშენს ფული გადაუხადა და ეს ქონება უკვე სოფელს ეკუთვნოდა. შეკრებილან ეს ჩვენი გმირები ნოდარ გულიაშვილის თამადობით ოლეგი ძნელაძე, სულიკო ბახუტაშვილი, მგონი კიდევ ერთი გმირი - გემაზაშვილი. ეს უფროს თავისი პრარაბებით და ამოუყრიათ ეს მილი, ახლად ჩაყრლი, როგორც მითხრეს ბიჭებმა. დაუჭრიათ ეს ტრუბა, ერთ ზომაზე განა ცოტა, რომ კილომეტრები, რომ ნახეს სოფელმა ეს ამბავი. აუტეხიათ მთელი ამბავი გამოსცვივნიათ თოფებით მთელი სოფელი და გამოქცეულან. აი ასეთ რამეს, რომ კაცი ჩაიდენს, რა ვუთხარი მათ ქვეყნის სიყვარულზე ანდა პატრიოტიზმზე, ან მათ კაცობაზე. ასე, რომ ნოდარ გულიაშვილმა მოახერხა ის, რაც ალბათ ყველა ერთად რომ ავიღოთ, ყველაზე მეტი და შეიხვედრა ალბათ ყველაზე მეტი. პატივცემულო ელგუჯა თელავის აქტივისტებს შორის მეც ვესწრები ხოლმე: შეკრებას თელავის საჭირბოროტო საკითხებზე თვის ბოლოს ტარდება სადაც ქალაქის მერი ბატონი - პაატა კალმახელიძეც ესწრება ხოლმე. ერთი საკითხი ყო ასეთი, რომ თელავს

ვითომ უნდა ქონოდა ოცდაოთხსაათიანი წყლის მომარაგება, მაგრამ გრაფიკითაც, რომ არ მოეწოდება ხალხმა სამდურავი გამოუცხადა ბატონ კალმახელიძეს. შემდეგ კალმახელიძემ გააჟღერა ასეთი რამ, რომ დღის წესრიგში დგას წიწმატიანის წყალსადენის აღდგენა. მაშასადამე, წიწმატიანის მშენებლობა აუცილებელი ყოფილა. მაშ ვის ქონდა იმისი უფლება, რომ დაეშალათ, ყველაფერი ეს უბრალოდ გულსტკენია, რადგან თვითონ ნოდარ გულიაშვილმა ააშენა ეს ობიექტი და თვითონვე დაშალა და დაანგრია. ასე უბრალოდ ვინ მოსთვლის რამდენი რამე განადგურდა და დაიქცა. რომელიც აუცილებელი იყო როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე ჩვენი რაიონისათვის.

პატივცემული ელგუჯა, თუ დავაკვირდებით საქართველოს 1971 წლიდან დაიწყო ქვეყნის რღვევა. ჩემის აზრით მანამდე საქართველოს მართავდა ვასილ მჟავანაძე, კაცი მართლაც კაცური, რომელიც ცდილობდა, რომ ქვეყანა არ გახვეულიყო კორუფციაში. მაგრამ დადგა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც კინაღამ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, გახრწნა მთელი საქართველო. მათ შორის მთელი სოფლის მეურნეობა. თქვენ კარგად იცით რა დღეში ჩაყარა მთელი რიგი მელვინეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა, რათა დაემშვენებინა თავისი მკერდი „შრომის გმირობით“ და მოახერხა ისიც, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა ჩააბა, რომ იტყვიან კორიფციულ საქმიანობაში ეს მან კარგად იცოდა და ვისაც უნდა იმას იჭერდა კიდეც და ვისაც უნდა იცილებდა გზიდან, რათა ასულიყო უმაღლეს მოსკოვის კვარცხლბეკზე, რათა ერთხელ კარგად ემოქმედათ გორბაჩოვს-შევარდნაძეს-სოჭაპჯს-

ელცინს და მსგავსებს. დიახ, ასე გაიკვლია გზა შევარდნაძემ მოსკოვამდე და არავის არ ინდობდა, ვინც კი წინ გადაუდგებოდა. აი, ასე მოიცილა გზიდან საყვარელი პიროვნება პატარიძე. რომელიც სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს. დიახ მთელი ძალაUუფლება 70-იანი წლებიდან გადაიყვანა პოლიციაზე და მთელი საქართველოს მოსახლეობა ჩაება მაფიურ კორუფციაში. გააძვალტყავეს მთელი ქარხნები, კოლმეურნეობები, ფაბრიკები და დასცეს მთელი საბჭოეთი ყირაზე. ამერიკის ცენტრალური დაზვერვის (ცერეუ) აგენტებმა.

პატივცემულო ელგუჯა, ზემოთ მოგახსენეთ, რომ მე საზღვაო სამსახურის პერიოდში დამამთავრებინეს ერთ წლიანი პარტიული სკოლა. აი სწორედ ამ სასწავლებელში გვიკითხავდნენ, რომ „სტალინური“ გეგმის მიხედვით 60-იან წლებიდან საბჭოთა კავშირში პური უფასო უნდა ყოფილიყო, რადგან საბჭოთა ბეღელებს პურის მარაგის 12 წლის მარაგი ჰქონდა. ბეღელებში ახალი ხორბალი შედიოდა და ძველი გამოდიოდა, მაგრამ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ამ სიტყვისთვის, დამპალმა ნიკიტა ხრუშჩოვმა 1963 წელს პურის ნაცვლად ხალხს ქატო აჭამა. მთელი ვაგონებით გაედინებოდა საბჭოთა ხორბალი საზღვარგარეთ. აი, ასეთი ვითარება იყო იმ ხანად. არ დამავიწყდება ის რომ 1964 წლის 17 ოქტომბერი იყო, რომ გემზე რადიომ გვამცნო საქართველოს უშიშროების მინისტრმა, ამხანაგმა გენერალმა ინაურმა, თავისი დაცვით აიყვანა „ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი“. რასაც მთელი გემის ეკიპაჟი სიხარულით შეგება. იყო ყვირილი „ურაა“ მე კი მადლობას მიცხადებდნენ,

რადგან ქართველმა კაცმა მოახერხა და ხრუშჩოვი თავისი დაცვით აიყვანა.

ახლა რაც შეეხება პატივცემულო ელგუჯა ჩემი ავტობიოგრაფია მთლად მოკლეა. დავიბადე 1940 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ქ. ფოთის ჰ/მ ტექნიკუმში. მანამდე თელავის კომბინატში ვმუშაობდი საკირეზე მუშად. 1961 წელს ქ. ფოთიდან გამიწვიეს ჯარში, სადაც მოვხვდი საზღვარზე კერძოდ პოლუსზე მოტორისტად. მიღებული მაქვს პირველი კლასის მატორისტის კლასის წოდება. ვიყავი დიზელ-გენერატორების უფროსი კომანდირი მოტორისტი. 1964 წელს მიმიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კანდიდატად, 1965 წელს გავხდი კომუნისტური პარტიის წევრი. ასევე დავამთავრე ერთ წლიანი პარტიული სკოლა არხანგელსკში, რითაც შეაფასეს ჩემი სამხედრო ყოფნის პერიოდში, მომცეს საზღვაო ფლოტის ატლიჩნიკის მოწმობა, მიღებული მაქვს 1965 წელს მედალი 20 წლის თავის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისა, მიღებული მაქვს რა ვიცი სხვადასხვა სიგელები, ჩემს ოჯახს გამოუგზავნეს და ასევე ქ. ფოთის ტექნკუმს, როგორც კარგად აღზრდილი და ასე შემდეგ, ოჯახის წერილი მაქვს, 1963 წელს ჩრდილოეთში გამოდის ასეთი გაზეთი ,,სევერნი ვახტი", სადაც მეორე გვერდზე დიდი შრიფტით არის დაწერილი ,,ნოდარ გაგნიძე ი ევო დრუზია" და უყვებიან, რომ პირველად არ ვიცოდი რუსული, რომ მოკლე ხანში ავითვისე როგორც ენა, ასევე სპეციალობა დავბრუნდი, საქართველოში 1965 წლის ნოემბერ-დეკემბერში. თან გავფორმდი თელავში N1 სამშენებლო სამმართველოში ზენკლად. ამ სისტემაში

ვიმუშავე 1990 წლამდე ქვეყნის დანგრევამდე აქ ჩემი საქმიანობა შეაფასეს. ასე რომ სამმართველოში ინახებოდა მმართველის კაბინეტში დიდი „წთელი წიგნი“. ამ წიგნში ინახებოდა ჩემი სურათი, გვარი და სახელი, როგორც მოწინავე თანამშრომელი. ასე რომ შესასვლელში ეკიდა მოწინავეთა დაფა, სადაც თითქმის ჩემი ამ პერიოდის განმავლობაში სურათი სულ ეკიდა, მიღებული მაქვს შრომითი მედლები, რაც კი გამოდიოდა (მოწმობებს გაჩვენებთ), ასე, რომ პატივცემულო ელგუჯა ვიცი თავი მოგაწყინეთ ჩემი აბდაუბდა წერით, მაგრამ რომ არ გითხრათ თუ რისთვის ძგერს ეს ჩემი გული არ შემიძლია. არ ვიცი რუსმა ხალხმა მე რატომ მიმიღო პარტიაში, მაგრამ დღესაც ვრწმუნდები იმაში, რომ ჩემში მათ აღმოაჩინეს ჩემი სამშობლოსადმი დიდი სიყვარული და იცოდნენ, რომ მე ნოდარ გაგნიძე, არასოდეს არ ვღალატობდი როგორც სამშობლოს, ასევე პარტიას.

პატივცემულო ელგუჯა 1990 წლიდან როდესაც შემისრულდა 50 წელი: შრომითი სტაჟი სამხედრო ჩამეთვალა და 26 წელი ალაზანმშენში დავყავი. სულ 31 წლის სტაჟი მაქვს. სამუშაო ვერსად ვიშოვე, არსად არ მიმიღეს, დიდი ხარო. განა 50 წლის კაცი დავიჯერო დიდი ვიყავი? რომ არ დანგრეულიყო ქვეყანა და ალაზანმშენს ემუშავა ხომ გამიხდებოდა 56 წლის სტაჟი, მაგრამ გამიხდა პარტიის 50 წელი, რაც პარტიის წევრი ვარ და დღესაც არ მიღალატია. გავხდი საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის წევრი. 1990 წლის შემდეგ პარტიის მდივანი გახლდათ თბილისში, საბჭოთა გენერალი, პანტელეიმონ ივანეს ძე გიორგაძე. თელავში გახლდათ აკაკი მეტრეველი,

აკაკიმ გამიცნო. შემდეგ კარგად ვსატავდი და ვუშვებდი კედლის გაზეთს, ღამეებს ვათენებდი და თვეში ერთ გაზეთს ვუშვებდი. ვიყავი როგორც კედლის გაზეთის რედაქტორი, ჩემთან იყრიდა თავს ყველა წერილი. გაზეთს პირველად ვაკრავდი რაიკომის ზემოდან ქსოვილების მაღაზია იყო, ამ მაღაზიაში მუშაობდა ჩემი მეგობარი გიგაური ომარი, რომელმაც ნება დამრთო გაზეთის გაკვრისა. ერთხელაც ჩაამტვრიეს მინა და გაზეთიც გაქრა რა თქმა უნდა. ომარის მე თვითონ აღვუდგნე მინის შუშა და ჩაუსვი, შემდეგ გაზეთს ვაკრავდით ოფისშივე სხვა გზა არ იყო. აკაკი მეტრეველმა ერთხელ დაწერა ჩემზე დიდი წერილი. ვეძებე, რომ თქვენთვის მომეტანა, მაგრამ ვერ ვნახე. ასე, რომ პარტიის რიგები თანდათანობით იზრდებოდა. მოდიოდნენ, კინაღამ მთელი სოფლებიდან ხალხი. შემდგომ საქართველოში დარეგისტრირდა იუსტიციის სამინიტროში „საქართველოს კომუნისტური პარტია“, რომელსაც ჩაუდგა სათავეში ვინმე - წიკლაური - მახსოვს, რომ მათ სურდათ ჩვენი გაერთიანება. მაგრამ პანტელეიმონ გიორგაძემ სასტიკი უარი გამოუცხადა, რადგან ეს პარტია იყო მთავრობის შემოგდებული, გიორგაძე სასტიკ უარზე წავიდა და განაცხადა ვისაც სურს გადასულიყო. გავიხედეთ და ცოტა ხანში აკაკი მეტრეველი გადაბარგდა წიკლაურთან. დავრჩით ჩვენ თელავში მდივნის გარეშე. ჩამოვიდა პანტელეიმონ გიორგაძე და ჩატარდა პატარა კონფერენცია. კონფერენციაზე პირველ მდივნად აირჩიეს - გიორგი წიქარაშვილი - მე კი დამასახელეს მეორე მდივნად ასე გავხდი ეს უბრალო კაცი უცბად მეორე მდივანი. მე რაც შემეძლო ვმუშაობდი როგორც გაზეთსა, ასევე ხალხში და თანაპარტიელებთან ასე, რომ ამ

ბუმბერაზმა კაცმა ,,გენერალმა პანტელეიმონ გიორგაძემაც კარგად გამიცნო, როგორც მე , ისე ჩემი ოჯახიც. რა შემიძლია რომ ვთქვა ამ პიროვნებაზე პანტელეიმონ გიორგაძე მართლაც რომ საოცარი კაცი იყო და სამშობლოსადმი უსაზღვროდ მოსიყვარულე. მართლაც, რომ იტყვიან იყო ერის კაცი. ერთხელ სახლში ობისკი ჩაუტარეს საქართველოს უშიშროებამ, საიდანაც წაიღეს მისი კუთვნილი პისტოლეტი - ეს პისტოლეტი პანტელეიმონს აჩუქა კუბაში სამსახურის დროს კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ, როგორც კარგი მესაზღვრისათვის, რომ ეს კაცი იქაც ჩვენს ქვეყანას იცავდა, როგორც საბჭოთა გენერალი. ეს პისტოლეტი წაიღეს, რომელსაც ზედ ეწერა ,,სახსოვრად საბჭოთა გენერალს ,,ფიდელ კასტროსაგან" და შემდეგ უშიშროებამ დაურეკა პანტელეიმონს და უთხრეს, რომ პანტელეიმონ, მობრძანდით და წაიღეთ თქვენი კუთვნილი პისტოლეტი. გენერალი რის გენერალი იქნებოდა რომ ჩაჭრილიყო, მიხვდა იქ მისვლისას რა ხრიკებს გამოსდებდნენ და პანტელეიმონმა ბრძანებით მიმართა ,,პისტოლეტი საიდანაც აიღეთ ისევ იქ მიიტანეთ და დადეთო. თორემ შავი დღე გელითო". აი ასე დაიბრუნა გამოცდილმა საბჭოთა მზვერავმა გენერალმა თავის კუთვნილი პისტოლეტი.

პატივცემულო ელგუჯა მე დღსაც არ შემიწყვეტია ჩემი პარტიული მუშაობა. დღეს სათავეში უდგას საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას. იმ დროს ყოფილი კომკავშირის პირველი მდივანი ამხანაგი თემურ ფიფია, რომელსაც აქვს კავშირი რუსეთის კომუნისტებთან, კერძოდ რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერთან ამხანაგ ზუგანოვთან. ასე, რომ ჯერ კიდევ ფეთქავს

„სტალინური“ ფესვებიდან ამოყრილი ახალგაზრდა ყლორტები, რომელსაც ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს და წავა წინ გამარჯვებამდე! ჩვენ ეხლა ჩავატარეთ თბილისში პატარა შეკრება, სადაც ვიყავი მიწვეული ამა წლის 17 აგვისტოს. 17 აგვისტოს გენერალ პანტელეიმონ გიორგაძის დაბადების დღეა. კრების შემდეგ გავედით პანტელეიმონ გიორგაძის საფლავზე და ავღნიშნეთ როგორც საყვარელი ადამიანის ხსოვნა. რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, მე ვფიქრობ, რომ მოვა და სულ მალე დადგება ის დრო, რომ დაბრუნდება სუმთლად ახალი და განახლებული „კომუნისტური“ პარტია და გაუნათებს გზას ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს ეს აქსიომაა!

ახლა მინდა შევეხო ძველ „ვაი კომუნისტებს“ რპოდესაც 1990 წელს კომუნისტურმა პარტიამ შეწყვიტა თავისი არსებობა, მახსოვს ჩვენ სამმართველოსთან თავი მოიყარეს მთელი აჩინებულის სამმართველოების უფროსობამ: N1 სააშენებლო სამმართველომ, რკინა ბეტონის ხელმძღვანელობამ, მექანიზაციამ, მელიორაციის სამმართველომ, გვირაბებმა, მექანიკურმა ქარხანამ და კიდევ სხვებმა. მე ვთქვი რა ხდება მეთქი, არაფერი ვიცი და ბოლოს გავარკვიე, რომ რაიკომიდან ჩამოსულია კაცი, ატარებს კრებას და კრებაზე იტყვის, რომ გაუქმდა კომუნისტური პარტია და ყველამ უნდა ჩააბარონ თუ დაყარონ კომუნისტური პარტიის „მანდატები“. გავიხედე განა მარტო უფროსები, წარმოიდგინეთ ჩვენი მუშები, სვარჩიკები, დურგლები და სხვა. ჩვენს სვარჩიკს საწყალს ვეუბნები შენ რაღა გინდა აქ მეთქი, იცი რა მითხრა? თავისუფლება არა სჯობია? გავიხედე და ამ საწყალ სვარჩიკს სული სიმშილით

ამოსძვრა. სულ რაღაც ორ წელიწადში, აი, ასე რომ საწყალი მშრომელი ხალხიც კი გააგიჟეს. რაც შეეხება მე იმ დროს ჩვენი ეზოდან გამოვდიოდი გარეთ, სამმართველოს ეზოდან. გავიხედე და ბესიკი უთიაშვილი შემოდის ყოფილი რაიკომის მდივნის შვილი. იმ პერიოდში ბესიკი რკინა ბეტონის მთავარი ინჟინერი იყო. ბესიკი მეუბნება, რომ ნოდარჩიკ წამოდი კრებაზე არ ესწრებიო? მე კი ვუპასუხე არა, ბატონო ბესო! ჩვენი გზები გაიყარა მეთქი და გამოვტრიალდი და წამოვედი. წარმოიდგინეთ როგორი სიხარულით ყრიდნენ „ვაი კომუნისტები“ მანდატებს და აყალიბებდნენ „იუდა“ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირს“. როგორ შეიძლებოდა დაუდგე მართლაც „იუდა შევარდნაძეს“ ადამიანის გვერდით, რომელმაც ჯერ მარტო იმიტომ, რომ მან უღალატა - „ოქტომბრელს“ დადო ფიცი „პიონერის“ წინაშე, უღალატა „კომკავშირს“ და უღალატა თვით „კომუნისტურ“ პარტიას და მოსკოვიდან ხმამაღლა ამცნო მსოფლიოს, რომ მე ედვარდ შევარდნაძემ გადავაგდე კომუნისტური მანდატიო და მართლაც მოისროლა მაღალი ტრიბუნიდან, როგორ შეიძლებოდა ასეთ თაღლითს, გაიძვერას, ქვეყნის დამაქცეველს და მოღალატე იუდა შევარდნაძეს საღად მოაზროვნე ადამიანი, მის გვერდით დამდგარიყო. დიახ, რომ მე ამას მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შევარდნაძე იყო და დარჩა თავის სიცოცხლის ბოლომდე ამერიკის „ცერეუს“ აგენტი და მან დაანგრია აყვავებული და პატიოსანი საქართველოს მთელი მოსახლეობა, მან გახვია მთელი საქართველოს მოსახლეობა მაფიის დიდ ბურუსში. მას დავალებული ქონდა, რომ მოეწყვიტა - დიდი რუსეთიდან

როგორც: საქართველო, ისე აზერბაიჯანი და სასომხეთი. მან ეს შეგნებულად და წყნარად მოახერხა საქართველოს მოწყვიტა ჩვენი ტერიტორია „აფხაზეთი“ და ამით მოწყვიტა რკინიგზაც, როგორც საქართველოს, ასევე მთლიან ამიერკავკასიას. ეს მას დავალებული ქონდა მოძმე თავისი ამერიკიდან და შეასრულა კიდეც. ახლა არ შემიძლია გულის ტკივილით არ მოგახსენოთ ის, რომ წარმოიდგინეთ საქართველოს დაახლოებით 470 ათასი კომუნისტური პარტიის წევრი ყავდა, განა დღეს დღეობით სად ბრძანდებიან, რომ ვითომ დიდი ტრიბუნიდან, რომ გამოდიოდნენ და მოგვიწოდებდნენ სხვადასხვა ლოზუნგებით, ვითომ დიდი ერის შვილები და პარტიისადმი ურყევი შვილები იყვნენ. დღეს საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ 2000მდე კომუნისტი ჰყავს აღრიცხვაზე. საინტერესოა სად არიან დანარჩენი „ვაი კომუნისტები“, რომლებიც ბოლოს პარტიის მანდატებსაც კი რომ ჰყიდიდნენ და ამითაც კი, საკუთარ ჯიბეს ისქელებდნენ. დიახ მჯერა, რომ დაბრუნდება სულ სხვა კომუნისტური პარტია, რომელიც დაიბერტყავს თავის ფართე კალთებს და მოიშორებს ზედმეტ წურბელებს. დღეს ჩვენი გამოსავალი მე მაინც ასე მგონია, რომ უნდა დავამყაროთ დიდი ძმური კავშირი დიდ რუსეთთან, რათა დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები დიდი მოქნილი პოლიტიკით. „ჩვენ რუსეთი უნდა გამოვიყენოთ“ ისე, რომ მან ხელი თვითონ შეგვიწყოს ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებაში. მე არ ვიცი, მაგრამ, მე ამას უბრალო კაცი გეუბნებით, რომ დღეს თურქეთი ჩაება სულ სხვა ომში, რომელმაც შეიძლება თურქეთის დაშლაც კი გამოიწვიოს.

მსოფლიო პოლიტიკა უცბად იცვლება და გეოგრაფიული გადანაწილებაც. მაშასადამე თუ ჩვენ რუსეთთან აღვადგენთ, დავამყარებთ ნორმალურ ძმურ მეგობრობას, ამით ჩვენ შეგვიძლია შევძლოთ ის, რომ რუსეთის დახმარებით თურქეთში ჩვენი ჩამორთმეული ტერიტორიები, რომელიც საქართველოს დაახლოებით 30%-ზე მეტი უკავიათ. დიახ, მე მჯერა, თუ საქართველოს მთავრობა გონზე არ მოეგო, ცუდად დაუჯდება საქართველოს. „ნატო-ნატოს“ ძახილში, პირიქით მოხდეს და დაიშალოს ჩვენი სამშობლო საქართველო, დაახლოებით შვიდიდან ათ ნაწილამდეც კი, ვინ იცის, ვინ რომელ ნაწილს შეიხვედრებს. დიახ, რომ დიდმა ბელადმა ი.ბ. სტალინმა იცოდა რა მსოფლიო ვითარებაა რუსეთის მიმართებაში. თუ რა სურდა მსოფლიო კაპიტალიზმს. მან ყველაფერი იღონა და მოატრიალა ასოთხმოცი გრადუსით და დააჩოქა მსოფლიო კაპიტალიზმი. რაც ბევრს ეს არ ესმის. რომ მომხდარიყო პირიქით, ჩვენ დღეს რანი ვიქნებოდით, კაცი ვერ გაიგებდა, რადგან მჯერა, იმისი რომ აღარც მართლმადიდებლობა გვექნებოდა და არც არაფერი, რასაც დღეს აშკარად ებრძვიან ჩვენს „მართლმადიდებლობას“, ზნეობას, კულტურას და სხვა. რაც დამადასტურებელია იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში შემოაქვთ და ტვინში გვიდებენ ერთსქესიანთა ქორწინებას, ქალთა ძალადობაზე. ანდა ამჟამად სკოლებში რომ შემოაქვთ ასეთი საგანი „მე და საზოგადოება“ აღარ იციან რით და როგორ გადააკეთონ ქართული სული. დიახ ეს ყველაფერი იქით არის მიმართული, რაც შეიძლება მალე მოახდინონ ჩვენი გარდაქმნა. ამისათვის არ ზოგავენ არაფერს და აყალიბებენ

ახალ-ახალ სამთავროებს, რომლებსაც უხდიან დიდი სოლიდურ თანხებსა და ისინიც არ იშურებენ ძალღონეს რათა გადმოგვცენ თავიანთი მოღალატეობრივი ძალისხმევა ვითომდა მათ სიკეთეზე. მაგრამ ნურას უკაცრავად, ჯერჯერობით კიდევ არიან ჩვენისთანებიც. არიან კიდევ ახალგაზრდა აღმოცენებული ყლორტები ,,სტალინური" ფესვებიდან. ისეთებიც, როგორიც არის თემური ფიფია და მისთანები. დაამყარებენ კვლავ დიდი რუსეთთან მჭიდრო ძმურ კავშირს და შევებრძოლებით ამ ჩვენს უკუღმართობას. მოვა ხელისუფლებაში სუმთლად ახალი განახლებული კომუნისტური პარტია, რომელიც არ დააზარალებს ჩვენს მოსახლეობას და ჩვენს ხალხს. პირიქით მჯერა, რომ წინ გაუძღვება ახალი გამარჯვებიდან, რადგან კაპიტალისტური და ვითომ მათი ახალი ,,დემოკრატია" ეს არის ძველთაძველი და ამერიკული მოდელი სხვა არაფერი, სადაც 5 კაცი ბევრად გამართული ივლის და დანარჩენ 95 ადამიანს სიღატაკეში ამოსძვრება სული. ახალი ეს არის სოციალისტური წყობა, რომელიც გზას გაუნათებს ყველას თანაბრად და ყველა იქნება თანასწორ უფლებიანი. სადაც მართლაც იქნება: სწავლა უასო, სამედიცინო მომსახურეობა, ასევე უფასო და ბევრი რამ სხვა.

პატივცემულო ელგუჯა, მე დღეს-დღეობით, თქვენზე დიდი ადამიანი და უფროსი მეგობარი არავინ მყავს ვინც მომისმენს და გაიგებს ჩემი გულის ტკივილს თუ რაზე ფეთქავდა ჩემი გული და სული. ეს იყო ჩემი სამშობლოს სიყვარული. თქვენ კარგად იცით ის, რომ თუ რა სული და გული ჩავაქსოვე ი.ბ. სტალინის ბიუსტის დადგმას, მაგრამ რაც მოხდა ეს თქვენ უკვე კარგად იცით. რაზედაც თავს არ

შეგაწყენთ. ახლა ვეძებთ გზებს თუ სად და როგორ აღვადგინოთ ძეგლი ამას მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი მართლაც თავი მოგაწყინეთ ჩემი გადმოცემით, რაზედაც გიხდით დიდ ბოდიშს. იმაზე, რომ მინდა იცოდეთ მე მსურს ჩემი ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება, ,,დაე უფალმა ღმერთმა შეაფასოს ჩემი პატარა განვლილი ცხოვრების გზა“.

საქართველოს ბედზე უხმოდ ვქვითინებ და უცრემლოდ ვტირი.

ნ. გაგნიძე
07,09,2015
ტელ: 27 22 60



თერთმეტთვიანი დაუღლელი შრომით ნოდარ გაგნიძის მიერ აღდგენილი ი. სტალინის ძეგლი და მემორიალი

ს ი გ ე ლ ი

თელავის მუნიციპალიტეტის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი

ა ჯ ი ლ დ ო ვ ე ბ ს

გაგნიძე ნოდარს აქტიური მონაწილეობის მიღებაში ა.წ. [illegible] ძეგლის შეკეთება აღდგენაში, ომებში მონაწილეთა მემორიალის აღდგენა მოწყობაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის

თავჯდომარე ალ. ციბაძე

1.09.2013წ

სახელმწიფოებრივი პირადი საბუთები:

1. სკკპ ბილეთიდან 12597882; 1965 წელი
2. საქართველოს ერთიანი კპ ბილეთი N00004401, 1965
3. სამხედრო ბილეთი - N18610 59 : 1965
4. საერთაშორისო ორგ: ,,სტალინელი“ – N339; 1992
5. პარტიული სკოლის დიპლომი N90235; 1965
6. ცნობა - N12746; 1965
7. მოწმობა N18079; 1962
8. მოწმობა ,,სოც. შეჯიბრის გამ. ნიშანი“ – 1977
9. მოწმობა ,,დიდ სამამულო ომში გამარჯვების 20წ. 1965
10. მოწმობა ,,ნაყოფიერი შრომისათვის“, 1970
11. ცნობა საბრძოლო დიდების ესტაფეტის მოწინავე; 1965
12. სიგელი ბელორუსიის სამხედრო ოკრუგი, ქ. მინსკი; 1962
13. გემის (ხომალდის მეთაურის სამადლობელი წერილი დედას.
14. სიგელი 1965წ. ქ. სევეროდვინსკი
15. სიგელი არხანგელსკის საოლქო კომიტეტი - 1965
16. ქების სიგელი - ერთან კ/პ თელავის რაიკომი
17. გაზ. ,,სევერნაია ვახტა“, N67, დეკემბრის 5,1963წ. ვრცელი წერილი ,,ნოდარ გაგნიძე და მისი მეგობრები“ (ლეიტენანტი ვ. ჟდანოვი).
18. მედალი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 100 წლისთავი.

ნოდარ გაგნიძე - თელაველი ვეტერანი. ვამაყობ ჩემს მიერ ხანგრძლივი შრომითი მოღვაწეობით, ჩემი სამშობლოს, ჩემი საქართველოს სასიკეთო-სასარგებლო და ყმაწვილკაცობიდან დღემდე უნაყოფოდ არც ერთი დღე არ გამიტარებია. ეს მაღალი დანიშნულებაა. თავისუფლად მოგმართავთ ყველას: ღია წერილით ქართველ ერს და საქართველოში მცხოვრებთ.

მოგმართავთ მართალი, ალალი მშრომელი კაცი.

სიცრუე და ორპირობა,

ავნებს სულსა, მერმე ხორცსა!

შოთა რუსთაველი

უბედურია ვისაც თავისი ერის წუხილი არ სტკივა!

ილიაჭავჭავაძე.

მე, ნოდარ გაგნიძე - ვარ, ბირჭველი ქართველი და ვამაყობ!

ვარ ქრისტიანი, წმინდა სულისა და ბედნიერი,
ვარ, საქართველოს მოტრფიალე და მოუღლელი!
ვარ, სამშობლოს ერთგული და შეუვალი!
ვარ, ერის სათანადო ისტორიის დამცველი და ქომაგი!
ვარ, ქართველი კაცის თანამდგომი და უანგარო!
ვარ, ქართული სინდისპატიოსნების მომხრე და გამტანი!
ვარ, შემოქმედების, შრომის მიმდევარი და მშრომელი!
ვარ, ქართული ტრადიციების მოთაყვანე და დამცველი!
ვარ, ქართული ზნეობის სიწმინდის სახე და ნიმუში!
ვარ, ქართველი, ქართული ოჯახის შემქმნელი და მამა!
ვარ, ჩემი ერის, ჩემი სამშობლოს, ჩემი ქვეყნის შვილი!

მე, ნოდარ გაგნიძე სახალხოდ გეჯიბრებით სამშობლოს სიყვარულში:

ბრძენ სწავლულებს,
პატივისცემით!
მეცნიერ-მკვლევარებს,
სიმართლის დამდგენთ;
პოლიტიკოსებს, ნამდვილებს,
არა მლიქვნელებს!
ჟურნალისტებს, არა ცრუ
მატყუარებს!
სახელმწიფო მოხელეებს,
პატიოსნებს!
- ხელოვნებისა და კულტურის
შემოქმედებს!
ჯარის ფორმაში გახვეულ
ქართველებს!
მოსწავლე-სტუდენტ
ახალგაზრდობას ყველას!
ყველას!
ქართველებს! დედამიწაზე
გაბნეულებს! ქართველ
ქალბატონებს!
საქართველოში
მცხოვრებთ განურჩევლად
ეთნიკური კუთვნილებისა!
- გეჯიბრებით
გადავარჩინოთ უკვდავი
საქართველო! მილეული!

გეჯიბრებით მომავლის არჩევანში, უნდა შეიცვალოს აუცილებლად, სასწრაფოდ, საქართველოს დამაქცევართაგან მოთრეული საგარეო კურსი:

1. გვატყუებენ:-მსოფლიოში გაბატონების მანიით გაჟღენთილი „დემოკრატიული დიქტატურის“ ამერიკა - „ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო“. აი, უბედურების ბუდე საქართველოსთვის. ქართველები ემონებიან, ელაქუცებიან ახალ დამპყრობელს;
2. 25 წლის წინ ქართველმა უმეცრებმა მოიძულეს მეზობელი, შეიყვარეს ოკეანეს გაღმელი და დარჩა საქართველო დაცლილ-გაჩანაგებული! დაქსაქსული, გაბნეული, ძალა-გავლენა გამოლეული!
3. ქართველებო 25 წელია აბუჩად გიგდებენ. ყოველი არჩევნების წინ მოგმართავენ ყბედი, უსაგნო პოლიტიკოსები. 25 წელია ისმენთ ათასგვარ სიცრუესა და დაპირებას, 25 წელია ყოველი მთავრობა გპირდებათ. 25 წელია გინერგავენ ამერიკის სიყვარულს, 25 წელია გწამლიან რუსეთის სიძულვილით, 25 წელია საერთაშორისო საზოგადოებას ატყუებენ თქვენი, ქართველების, ჩემი ქართველი კაცის სახელით. მე და ათიათასობით ქართველს არ გვეკითხებიან, არ გვისმენენ, არ გვიჯერებენ, არარად მიგვიჩნევენ. ჩვენ არ მიგვიცია ჩვენი სახელით ვაჭრობის უფლება! არა! არც მომავალში შევიცვლით აზრს!

4. საქართველომ უნდა მოუსმოს პოლიტიკურ სიბრძნესა და გონიერებას. თუ არ შეუძლია მოიწვიოს, იხსნას ქვეყანა ამერიკული „დემოკრატიული დიქტატურის“ ბრჭყალებისაგან. საქართველოს ღიმილით ბატონობს ამერიკის ელჩი, ეს დღევანდელობა, ეს სინამვილეა, ეს ოკუპანტის უმაღლესი საფეხურია!
5. ქართველებო, საქართველოს გულშემატკივრებო, ჩვენ ყველას გვესმის, რომ საქართველო ამ გზით არ არის და ვერც იქნება ის ქვეყანა, სადაც გვინდა, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა იცხოვრონ.
6. XXI საუკუნეში უბრალოდ სირცხვილია, ადამიანებს არ ჰქონდეთ ელემენტარული ცხოვრების პირობები. ხოლო მათი სახელით გამდიდრებული მლიქვნელები დანავარდობდნენ. ასეთი საქციელის ბრალია, რომ დავკარგეთ ნდობა ცრუ პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც 25 წელია მართავენ ჩვენს ქვეყანას, ამის შედეგია, რომ ქართულმა საზოგადოებრიობამ დაკარგა მთავარი ხვალინდელი დღის იმედი, მომავლის იმედი, ახალგაზრდა იმედის გარეშე ვერ ააშენებს წარმატებულ ქვეყანას. ქვეყანას სულიერება სწყურია ერთიანი ეროვნული მსოფლმხედველობა ათეულ წლებზე გათვლილი, მეცნიერულად დასაბუთებული იდეოლოგია და განვითარების პროგრამა.

7. ქართველო თანამოაზრეებო საქართველოს სჭირდება 15-16 სხვადასხვა დასახელების პარტია?! პარტია რომელიც მიბმულია სახელმწიფო ბიუჯეტზე?! ცხადია არა! 300 მილიონიან ამერიკაში ორი პარტიაა, ხოლო 3 მილიონიან საქართველოშუ 15-16 უსაგნო, უმოქმედო. რას მოითხოვს ცხოვრება?! ჩამოაცილეთ ქვეყნის ბიუჯეტს ყველა პარტია, მათ თითონ შეინახონ თავი!

კიდევ - ვინ არიან არა სამთავრობოები?! ქვეყანას სჭირდება?! თუ უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყნის ბიუჯეტით სარგებლობენ, რატომ?

კიდევ ოპოზიციის თაობაზე - მათი ფილოსოფია დასაგმობია: თუ ხელისუფლება რაიმეს გააკეთებს, ედავებიან რათ გააკეთა! თუ არ გააკეთა, რატომ არ გააკეთა! მოდი გაუგე ოპოზიციას თავისი პოზიცია! აბა შეიძლება ოპოზიცია იკვებებოდეს ხალხის ბიუჯეტის ხარჯზე?!

კიდევ აუცილებლად მოსაწერიგებელია საპენსიო სისტემა. ამას ითხოვს დღევანდელობა. დაშვებული სოციალური შეცდომა გამოსასწორებელია საპენსიო განაკვეთი არ უნდა იყოს გათანაბრებული. უსაქმური „ენაჭარტალა“ დააჯილოდევს, მშრომელი, ნაყოფიერი დასაჯეს. პენსიის ერთანი შემოღებით!

ამას ვერ ხედავთ! მობრუნდით ქართველების სოციოალური მდგომარეობის გამოსწორებისაკენ!

თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი პიროვნება: ი.ბ. სტალინი ჩემი და ჩემი ქართველი ერის სიამაყეა!

დიახ! ამ სიტყვებს მე ვწერ და ვამბობ, ნოდარ ილიას ძე გაგნიძე მცხოვრები ქ. თელავში, ბახტრიონის ქუჩა N32-ში. მე არც პოეტი, არც მწერალი, არც ისტორიკოსი, არც ექსპერტი ვარ. მე ჩემი ქვეყნის ერთი უბრალო, რიგითი მოქალაქე ვარ. ამას გულის ტკივილით ვამბობ და ვწერ. შევარცხვინე ის ყველა: ისტორიკოსი, პოეტი, მწერალი, ექსპერტი, თუნდაც რიგითი ვინც სტალინზე აუგს წერენ, ანდა ლაპარაკობენ. მე მოვუწოდებ მათ ყველას დასხდნენ და შეისწავლონ ნამდვილი სტალინი! უდიდესი პიროვნება, ისე წერონ და ილაპარაკონ. უბრალოდ სირცხვილია უმეცართა ეს უმსგავსოება ქართველი ერისათვის.

ი.ბ. სტალინი იყო, არის და იქნება მომავალშიც. მას ჯერჯერობით მთელს პლანეტაზე შემცვლელი არ ჰყავს. ის იყო, არის და იქნება მეოცე საუკუნიდან ისტორიაში ყველაზე დიდი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი. დიახ! ჩემო ძვირფასო მკითხველო, ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან. სტალინი ჩვენ, ქართველებს მაღლიდან უფალმა ღმერთმა გამოგვიგზავნა, რომელსაც გაფრთხილება და მოვლა სჭირდება! სტალინმა თავისუფლების ისეთი კელაპტარი დაანთო, ჩვენი დედამიწის მექვსედ ნაწილზე, და ხალხს პირჯვარი გადასწერა, რომ ამ კელაპტარს ვერავინ და ვერასოდეს დააქრობენ. მჯერა ის, რომ ამ კელაპტარის შუქს მომავალშიც კვლავ გაჰყვებიან ჩვენი საღად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობები. მხოლოდ ორიოდე სიტყვით

მოგახსენებთ ი.ბ. სტალინის შესახებ იმას, რომ ომის დამთავრებისთანავე, სულ ორიოდე წელიწადში, მან პირველ რიგში ხალხი დააპურა! იმდენი პურის მოსავალი მოიწია, რომ 1947 წელს მთელ საბჭოთა კავშირში პურის ტალონი გააუქმა. მაშინ როდესაც დიდმა ბრიტანეთმა 1949 წელს პურის წიგნაკი შემოიღო. ეს იყო კაპიტალიზმისადმი ზურგში ჩარტყმა. სტალინური გეგმით 1960 წლისათვის პური მთელ საბჭოთა კავშირში უფასო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვაი მთავრობაში ავად განწყობილმა ძალებმა, რომ იტყვიან, სტალინს ეს გეგმა არ დააცადეს და განუხორციელებელი დარჩა. მე არ შემიძლია გულწრფელად არ მოგახსენოთ ის, რომ დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი შეეჭიდა მსოფლიოში ყველაზე დიდ ბოროტებას, მასონობას და მან ეს ყველაფერი ბრწყინვალედ განახორციელა. **მსოფლიო მშრომელი ხალხი იხსნა ებრაელ მასონთა ტროცკიზმის შავი ჭირისაგან.** ბევრი ტვინგამორეცხილი ადამიანი ამბობს, რომ რა გააკეთა სტალინმა. რა გააკეთა? ახლავე შევეცდები, მოკლედ მივაწოდო მკითხველს ის, რომ როდესაც დავარდა და ვერ განახორციელა ამერიკულმა და ევროპულმა კაპიტალისტურმა სამყარომ 1905 წლის რევოლუცია. მათგან დაიგეგმა შემდგომში ახალი უფრო ძლიერი 1917 წლის რევოლუცია. კერძოდ ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, ასევე გერმანიაში. ამ მზადებაში ჩართულნი იყვნენ მთელი ებრაელ მასონთა საფინანსო ბანკირთა წრეები. რაც ითვალისწინებდა რუსეთის მეფის ჩამოგდებას მონარქიის გაუქმებას და პოლიციურ მონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. დაიწყო იქიდან, რომ 1905 წლის რევოლუციამ, რომელიც ჩავარდა და ვერ

გაუმართლათ შეექმნათ უფრო ძლიერი ახალი ინტრიგა რუსეთის სამეფო ხელისუფლებაში პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) ის, რომ მანამდე რუსეთის მეფეს ნიკოლოზ მეორეს, ორჯერ გადააფიქრებინა გრიგორი რასპუტინმა. არჩართულიყო საომარ მოქმედებებში, როგორც სერბეთში, ასევე ბალკანეთში. ამისათვის ააგორეს უფრო ძლიერი ინტრიგა, რასაც მოჰყვა რასპუტინის მკვლელობა. ვითომ გრიგორი რასპუტინს რაღაც ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის დედოფალთან. ეს ყოველივე სუფთა მონაჭორი იყო. ეს ყველაფერი არის და დაიგეგმა ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ. ამას მოჰყვა ის, რომ 1917 წლის 2 მარტს მეფე ნიკოლოზ მეორე თავისი ნებით გადადგა. დარჩა რუსეთი უმართავი, რომ იტყვიან უპატრონოდ. რასაც მოჰყვა შემდგომში რუსეთის ნგრევა დაიწყო ებრაელ მასონთა სპეცოპერაცია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ყველაფერი იგეგმება ამერიკაში დიდ ბრიტანეთში და გერმანიაში. ყველაფერი დაიგეგმა ორ ჯგუფად: პირველი ლენინის ჯგუფი ხოლო მეორე ტროცკის ჯგუფი. პირველი ლენინის ჯგუფი დააფინანსა დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიამ, ხოლო მეორე ტროცკის 110 ჯგუფი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ან ერთი გაუმართლებდათ ან მეორე. ასეთი იყო მათი გეგმა. აქვე მინდა მოგახსენოთ ის, რომ ლენინი დაპიდა მათ რომ რუსეთს დაანგრევდა, მაგრამ საბოლოოდ მან ეს ოცნება დასავლეთს გაუცრუა. რადგან ლენინი, გადაიხარა და შეეკრა ნამდვილ კომუნისტებს, კერძოდ კი ი.ბ. სტალინთან და მასთან ერთად შეუდგა ახალი საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის შენებას. იმ ხანად ლენინის ჯგუფში შედიოდა და მათი შემადგენლობა ასეთია 200-ზე მეტი

სოციალ-დემოკრატი. აქედან 128 ეროვნებით ებრაელი, ხოლო 8 ქართველი, ესენი არიან, კერძოდ პირველი დავით სულიაშვილი. მიხა ცხაკაია, სამეულ ბაუგიძე, ალექსანდრე ვაწაძე, პოლიკარპე გოგიაშვილი, სოლომონ დოლიძე, კონსტანტინე ხოფერია და ვლადიმერ ოკუჯავა. ასე იყო თუ ისე, მოხდა რევოლუცია და ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, რომელშიც შედიოდა სულ 556 კაცი, თავისი თანამდებობით. ამ 556 თანამდებობიდან 447 თანამდებობა ეკავათ მასონურ-ტროცკისტულ პიროვნებებს. 447 თანამდებობის უმეტესი მასონთა პიროვნებები ამერიკაში მაცხოვრებელი პირები იყვნენ. ყველანი ებრაელები არიან, გახსნილი ჰქონდათ ხელფეხი და რასაც უნდა იმას აკეთებდნენ. წარმოიდგინეთ სვერდლოვმა ჩამოაყალიბა უმაღლესი რევოლუციონერი ტრიბუნალი. უფრო მოგვიანებით ანალოგიური ტრიბუნალი ჩამოაყალიბა ტროცკიმ („წითელი არმიის ბელადი" მეორე ზედმეტ სახელად „წითელი მონაპარტი") თვითონვე დაგეგმეს უამრავი მკვლელობები და თვით ლენინზე თავდასხმა შემდეგ გამოაცხადეს „წითელი ტერორი".

სვერდლოვი ორგანიზებას უკეთებს ლენინზე თავდასხმას და შემდეგ ანხორციელებს კაპლანის ლიკვიდაციას, ზემოდან განკარგულების გარეშე. სვერდლოვი და ტროცკი მრავალ ორგანიზებას უკეთებენ რეპრესიულ სისტემის ჩამოყალიბებას, კერძოდ სვერდლოვის მოფიქრებულია კომისრის აპარატი, შავი ტყავის მანტიით და მაუზერით. სამეფო ოჯახის დახვრეტა მისი მონაწილეობით მოხდა:

ტროცკის გამონათქვამია ის, რომ „რუსეთი უნდა გადავაქციოთ უდაბნოთ, რომელიც დასახლებული იქნება

თეთრი ზანგებით, მათ ჩვენ მივცემთ ტირანიას, რომლის მსგავსი მათ არასდროს დასიზმრებიათ აღმოსავლეთის თვით ყველაზე საშინელ დესპოტებს. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ რევოლუციაში მაშინ რუსეთის ნანგრევებზე გავამაგრებთ სიონიზმის ძალაუფლებას და გავხდებით ისეთი ძალა, რომლის წინაშე მთელი მსოფლიო მუხლს მოიყრის. ჩვენ ვუჩვენებთ, თუ რა არის ნამდვილი ძალა. ტერორის, სისხლის ნაკადების გზით ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას სრულ გამოთაყვანებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე". აბა დავფიქრდეთ ჩემო ძვირფასებო! მე მგონია ძნელი მისახვედრი არ არის ის, თუ ვისთან ჰქონდა საქმე, ვის შეეჭიდა და ვის შეებრძოლა ჩვენი დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი. აბა წარმოიდგინეთ ის რომ 1918 წლის 17 ივლისის ღამის პირველ საათზე მოხდა რუსეთის სამეფო ოჯახის ლიკვიდაცია და წარმოიდგინეთ ბავშვიც კი არ დაინდეს. ებრაელი ტროცკისა და სვერდლოვის შეთანხმებით. მათ კი ამის შესახებ მიიღეს მითითება თავიაანთ დამფინანსებლებისაგან, როგორც ამერიკიდან, ასევე ბრიტანეთის სამეფო ოჯახიდან. ბრტანეთის მეფე ჯორჯ-5-ე და რუსეთის მეფე ნიკოლოზ მეორე, ამ დროს ესენი ალალი დეიდაშვილები არიან და საერთოდ სხვა ნათესაური კავშირიც ჰქონდათ. რუსეთის მეფის ოჯახის დასჯის შემდეგ იმ პერიოდში საერთოდ დაიკარგა იმპერიის ოქროს დიდი ნაწილი. პეტროგრადის აღების შემდეგ კი რუსეთის იმპერიის ოქროს დიდი მარაგი კერენსკის ებრაულმა ადმინისტრაციამ დაახლოებით 4000 ტონა ოქრო გაიტნა ციმბირის მიმართულებით. სწორედ ამ ოქროს წყალობით მოხდა ჩეხოსლოვაკიის შეერთება და

შემდეგ მისი აღორძინება. სწორედ ამ ოქროს მარაგის ნაწილით იაპონიამ მოახერხა თავისი სამხედრო ძალების ინდუსტრიული ამაღლება, ჩინეთმა სწორედ ამ განძის წყალობით მოახერხა შესულიყო საქმიან ურთიერთობებში ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ სარეზერვო სისტემასთან. დასავლეთის იმპერიალისტი მასონების მიერ შემოგზავნილი და დაფინანსებული ვაი რევოლუციონერი კომუნისტები, რომლებიც მართლა ანადგურებდნენ რუსეთს ასევე სხვა რესპუბლიკელებს. ქალაქებს, სოფლებს ხვრეტდნენ კაზაკთა მოსახლეობას, ანგრევდნენ მართლმადიდებელი ეკლესიისა და მონასტრების კარებს. ისე, რომ მართლაც „საქმე ბევრი ჰქონდათ, რადგან ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდათ.“ თარეშობდა ებრაელობა რუსეთში. აი ამ არსებულ მდგომარეობაში, რასაც ხედავდა, ი.ბ. სტალინი, იძულებული შეიქმნა და 3-ჯერ ითხოვს გადადგომას 1. 1924 წლის 19 აგვისტოს, შემდეგ მეორედ გადადგომას ითხოვს 1926 წლის 27 დეკემბერს, ხოლო მესამედ 1927 წლის ბოლოს. მას კვლავ უარი ეთქვა. ამ დროს მხოლოდ სტალინი არის სახალხო კომისარი ნაციონალურ საკითხებში და ამ პერიოდში მას არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა იმისათვის, რომ გაეტარებინა რომელიმე რეპრესიული ღონისძიება.

დიახ მეგობრებო! რომ შეეჩერებინათ ი.ბ. სტალინი, ამისათვის მათ ტროცკის მესვეურებმა სტალინისადმი მოიფიქრეს უფრო ახალი თანამდებობა, ვითომ უფრო მდიდრულად ჟღერდა, მაგრამ მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა იმისათვის, რომ გაეტარებინა რომელიმე საწინააღმდეგო ღონისძიება. ეს იყო „პარტიის გენერალური

მდივანი“, რათა მხოლოდ მჯდარიყო კრემლის ადმინისტრაციაში და ხელი არავისთვის შეეშალა. რაც შეიძლება ჩაედინათ მეტი დანაშაული, მეტი მკვლელობა, მეტი ნგრევა, მეტი სისხლისღვრა. ტროცკის მესვეურებს და შემდგომში დაებრალებინათ ნამდვილი კომუნისტებისათვის და პირადად ი.ბ. სტალინისათვის. ამისათვის ტროცკი კინაღამ დასცინოდა ხან დროს სტალინს ასეთი გამონათქვამით „ну секретарь, как идут твой дела революцыонные?» აი ჩემო მეგობრებო ამ მდგომარეობაში უხდებოდა მუშაობა სტალინს, მაგრამ სტალინი ყველაფერს ამას იტანდა. როგორც ჩასაფრებული მონადირე თავის სარეკში და სულ მოკლე ხანში ისე წავიდა საქმე, რომ 1927 წელს სტალინმა მოახერხა ის, რომ დაებლოკა ტროცკი და გაერიცხა ის პარტიიდან! და ეს მან შეძლო! ბრწყინვალედ შეასრულა! დიახ ჩემო მკითხველო სწორედ ი.ბ. სტალინის სწორი და გონივრული გადაწყვეტილებით ტროცკიმ ვერ შეძლო ახალი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის დანგრევა განადგურება. ტროცკისთან ერთად გარიცხა პარტიიდან ზინოვიევიც, რადგან რომ იცოდეთ ტერმინი - „ტროცკიზმი“ ავტორი არის ზინოვიევი, რომელსაც სურდა ტროცკის სახელი აეყვანა უმაღლეს მწვერვალზე, რადგან მისი შიშით ყველა ძრწოდა და შიშის ზარს სცემდა. აი, ასეთ მძიმე ვითარებაში უწევდა მუშაობა ი.ბ. სტალინს, რომელმაც მძიმე მძიმეთ აიღო ხელში ძალაუფლება.სტალინს სურდა როგორმე შეეჩერებინა ებრაელ მასონთა თარეში და დაებლოკა მათი სადამსჯელო ორგანიზაციები, რომლებიც ანადგურებდნენ ყველას და ყველაფერს. რუსეთს ასევე მთელ რესპუბლიკებს. ამისათვის ი.ბ. სტალინმა. 1938 წლის 22

აგვისტოს ლავრენტი პავლეს ძე ბერიას გადაყვანის შემდეგ მოსკოვში, რომლის მეოხებითაც შეძლო უზარმაზარი სადამსჯელო აპარატის შეჩერება და გაუქმება. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ სადამსჯელო სტრუქტურები, უნდა ითქვას ის, რომ ყველა ეს სადამსჯელო სტრუქტურები ჩამოყალიბდნენ დასავლეთში ებრაელ მასონთა მიერ და არა სტალინის მიერ! მან მძიმე მძიმეთ აიღო ძალაუფლება ხელში და მძიმე მძიმედ თანდათანობით გააუქმა და მოსპო ეს სტრუქტურები ებრაელი ეჟოვის, იაგოდას და სხვათა სახით.

უდავოდ დიდია ბერიას დამსახურება საბჭოთა ქვეყნის წინაშე. მან მოახერხა და განახორციელა დიდი საკადრო ცვლილებები. გაათავისუფლა ათასობით სამხედრო ოფიცრები, რომლებიც მუშაობდნენ მეფის რუსეთის არმიებში. სამსახურში მიღებული იქნა ახალი ძალა პარტიული-კომკავშირული საგზურით უმაღლესი განათლებით. თანამშრომელი გახდა 35%. ამიტომ იყო სტალინისათვის ბერიას გადამჭრელი ქმედებები ძირითადად იმედის მიმცემი. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მთავარი. ის, რომ იმ დროინდელ ყველა ძალოვან სტრუქტურებში შემოგზავნილები იყვნენ ტროცკისტები, სვერდლოვისტები, რომლებიც მოამზადა, დააფინანსა და შემდგომ შემოაგზავნა დასავლეთის იმპერიალისტურმა სისტემებმა, რომელიც სავსე იყო საეჭვო წარმომავლობის კადრებით. დიახ! ამას სჭირდებოდა დრო, რომელიც არ ითმენდა, მაგრამ ბერიას გადაყვანის შემდეგ სტალინმა შეძლო აღნიშნული სისტემების მხოლოდ ნაწილობრივ

მოწესრიგება. არ შემიძლია არ ვთქვა ის, რომ სტალინი ყოველთვის ცდილობდა იმას, რომ რაც შეიძლება ნაკლები რეპრესირებული ყოფილიყო. ამის მაგალითია ის, რომ თქვენ შეგიძლიათ „იუ-თუბ“-ზე ნახოთ და მოვისმინოთ ინტერვიუ ვალენტინ მიხეილის ძე ფალინთან, იგი მუშაობდა კრემლის ადმინისტრაციაში სტალინის პერიოდიდან გორბაჩოვისა და ელცინის პერიოდის ჩათვლით. იგი ამბობს, რომ „თქვენ ვერ ნახავთ სადამსჯელო სიებს, სადაც სტალინს არ ჰქონდეს რეზოლუცია დადებული „შეამცირეთ რაოდენობა როგორც მინიმუმ 2-ჯერ, ან კიდევ მრავალი სია, სადაც რაოდენობას ამცირებს 5-ჯერ“. აქვე იხსენებს ფალინი რომ სტალინმა ხრუშჩოვის სადამსჯელო სიაში რაოდენობა შეუმცირა 10-ჯერ, რაზეც ხრუშჩოვი კრემლის კორიდორში ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას (наш старик совсем из вышел).

არსებობს ხრუშჩოვის მოთხოვნა სტალინის მიმართ, უკრაინა ყოველი თვე აგროვებს 17-18 ათას სარეპრესიოს, ხოლო მოსკოვი ამტკიცებს 2-3 ათასს, გთხოვთ დაგვეხმაროთ, სტალინის რეზოლუცია კი ასეთია „Угаманись дурак»! მხოლოდ ხრუშჩოვი კი არა არამედ უამრავი სხვა, ადგილობრივ პარტიულ აპარატში იყვნენ მოკალათებულნი, მრავალი მასონური ტროცკისტული პიროვნებები, რომლებიც ახდენდნენ უამრავ დანაშაულს ახალი საბჭოთა ქვეყნის წინაშე.

საერთოდ ამ რეპრესიების პერიოდში დიდი როლი ითამაშა ხალხისადმი ერთიმეორისადმი მტრობამაც, წარმოიდგინეთ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ დღესაც 2017 წლისათვის იგივე ხდება, სადაც გაჩაღებულია

ურთიერთდაუნდობლობა, ერთი მეორისადმი შუღლი და მტრობაა გაჩაღებული, დიახ! ჩემო ძვირფასებო! ეს მტრობა, შუღლი, გაუტანლობა. ერის განადგურება სწორედ ოკეანეს იქით ამერიკის მასონ-სოროსის მიერ არის დაგეგმილი! ნუთუ ამას ვერ ხვდები, ჩემო ძვირფასო ქართველო ერო?! ნუთუ ძნელი მისახვედრია მეგობრებო ის, რომ მთელი დასავლეთისა და აშშ-ს ფინანსურ-კორპორაციული სისტემები თვითონ დგანან მილიონობით ხალხის სიცოცხლის განადგურებაზე და რა თქმა უნდა მათ შორის ქართველ ერზეც. სად მიგყავთ საქართველო, გამოფხიზლდით! მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ არ შემიძლია დიდი ბელადის ი.ბ. სტალინის როლზე ჩვენი მართლმადიდებლობის რელიგიის მიმართ ორიოდე სიტყვა არ ვთქვა. XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან რაც კი მავნებლობა იმ ხანად ხდებოდა ახლად ჩამოყალიბებულ საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების ნგრევა, დარბევა განადგურება დაგეგმილი იყო სწორედ ამერიკული მასონურ-ფინანსური წრეების მიერ გამოგზავნილი ტროცკისტი ვაი ბოლშევიკების მიერ, რომლებსაც ი.ბ. სტალინი თავიდანვე ებრძოდა, ვინაიდან იმ დროისათვის სტალინს არაფერი შეეძლო, რადგან ზევითაც ავღნიშნეთ, რომ იმ ხანად სტალინი არის უბრალოდ სახალხო კომისარი ნაციონალურ საკითხებში და ამ პერიოდში არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდა ხელში, რომ გაეტარებინა რომელიმე გადამჭრელი ღონისძიება. დიახ! სწორედ ტროცკისტული ელემენტები იყუვნენ მიშვებული თავისუფლად, რასაც უნდა ისე ანადგურებდნენ ყველას და ყველაფერს.

1923 წლის 16 აგვისტოს: ცირკულარული წერილი N30 ყველა საგუბერნიო კომიტეტს მიმართავდა: აიკრძალოს ეკლესიების დახურვა და შეწყდეს რელიგიური ხასიათის დაპატიმრებები (წაიკითხეთ ინტერნეტში).

მიტროპოლიტ სერგის დეკლარაცია 1927 წლის 29 ივლისი.

1931 წლიდან დაარსდა „ჟურნალ მოსკოვსკოი პატრიარხიი“.

1933 წელს სტალინი წერს მენჟინსკს. განაშენიანების გენერალური გეგმის შეჩერება გაუქმების შესახებ, ხაზს უსვამს ეკლესია მონასტრების შენარჩუნების აუცილებლობას, როგორც არქიტექტურული და ისტორიული ძეგლები (საუბარია 500 ეკლესიაზე).

ბრიტანეთის კენტერბერიის მონასტრის ეპისკოპოსი ჰიულეტ ჯონსონი წერდა, რომ „სტალინს სურდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია გადაექცია მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრად. წარმოიდგინეთ გახურებულ ომში 1942 წლის 16 ივლისს გამოიცა წიგნი. „პრავდა ო რელიგიი ვ როსიი“ 50000 ტირაჟით. სტალინმა თავისი პირადი ინიციატივით 1942 წლის ბოლოს მიიღო მიტროპოლიტი სერგი სტოგოროდსკი, მიტროპოლიტი ალექსი რიმანსკი და მიტროპოლიტი ნიკოლაი იარუშევიჩი რუსეთის საპატრიარქოს აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. რომელიც 260 წლის წინათ იქნა გაუქმებული. მიტროპოლიტმა ნიკოლაი იარუშევიჩმა შენიშნა, რომ ასე მოკლე ხანში ასეთი მასშტაბის სამუშაოს ჩატარება არ მოესწრებოდა, მაგრამ სტალინმა ხუმრობით მიანიშნა, რომ ბოლშევიკური ტემპით უნდა ემუშავათ.

1943 წლის 8 სექტემბერს აღდგა რუსეთის საპატრიარქო, რეზიდენციათ საპატრიარქოს გადაეცა შენობა. „ჩისტი პერეულოკ N5“ (გერმანიის ყოფილი საკონსულო). სტალინის განკარგულებით გაიხსნა 8 სასულიერო სემინარია და რამოდენიმე ათეული სასულიერო სასწავლებელი. (სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვმა 5 სასულიერო სემინარია გააუქმა).

ბლოკადურ ლენინგრადში არასდროს არ შემწყდარა ღვთის მსახურება, ღვთის მსახურები, ისევე როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები მარაგდებოდნენ პროდუქტით. ყველა ღვთისმსახური, რაოდენობით 30 მღვდელი დაჯილდოვდა მედლით „За оборону ленинграда“. საერთოდ ომის პერიოდში, 50 მღვდელმსახური დაჯილდოვდა: „За доблестный труд в великой отечественной войне». წაიკითხეთ ინტერნეტში მიტროპოლიტი სერგის სიტყვა სტალინის მოღვაწეობის შესახებ რელიგიაში. 1942 წლის 28 მარტი. წაიკითხეთ ასევე პატრიარქ ალექსეის სიტყვა სტალინის მოღვაწეობისა და დამსახურების შესახებ რელიგიაში. 1953 წლის 9 მარტი. ამ წერილების წაკითხვის შემდეგ მისი შინაარსიდან გამომდინარე ალბათ ნებისმიერი ადამიანი სტალინის სურათს წმინდა ხატების გვერდით დაასვენებდა.

1944 წლისათვის საბჭოთა კავშირში ირიცხებოდა 8809 ეკლესია.

1951 წლისათვის მთელ საბჭოთა კავშირში გახდა 14500 ეკლესია და 89 მონასტერი. მარტო 1944 წლის იანვრიდან-ნოემბრამდე გახსნილი იქნა 200 ეკლესია.

ახლა რაც შეეხება თუ რა გაუკეთა საქართველოს საეკლესიოს დიდმა ბელადმა! გთხოვთ წაიკითხოთ წერილი

გაზეთის „ასავალ-დასავალის“ 2010 წლის 15-21 თებერვალი N7(803) სადაც მოგვითხრობს ჩვენი სასიქადულო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. ამჯერად კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელიც იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად 1932 წლის 21 ივნისს. მე შევეცდები ამ წერილის პატარა ამონაწერი მოგაწოდოთ:

„1943 წელს მოსკოვში უნდა ჩამოსულიყო ანგლიკანური ეკლესიის მეთაური. ამ დროს რუსეთში პატრიარქი არ იყო. 1925 წელს ტიხონის გარდაცვალების შემდეგ იქ პატრიარქი აღარ იყო, სტალინმა კრემლში მიიღო რუსეთის სინოდის წევრები და გადაწყვიტეს პატრიარქის არჩევა. სტალინმა ასევე ნება დართო, გაეხსნათ ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიები და სასულიერო სასწავლებლები. ეს უკვე ურთიერთობების დათბობის ნიშანი იყო. რუსეთში პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი სერგი. 1943 წლის 14 სექტემბერს უწმინდესმა კალისტრატემ ოფიციალური წერილით მიულოცა მიტროპოლიტ სერგის, რუსეთის პატრიარქად არჩევა და გამოთქვა სურვილი, რომ ამ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობა აღდგენილიყო. საპასუხო წერილში პატრიარქი სერგი გამოთქვამდა მზადყოფნას მოლაპარაკების გზით გადაწყვეტილიყო ყველა პრობლემა. რუსეთის ეკლესიის ასეთ პოზიციაზე გავლენა მოახდინა იოსებ სტალინმა, რომელმაც პატრიარქ სერგის პირდაპირ უთხრა: „როდემდე უნდა იყოთ ასეთ არანორმალურ დამოკიდებულებაში საქართველოს ეკლესიასთან“. იმავე

დღეს პატრიარქმა სერგიმ დეპეშა გაუგზავნა სტავროპოლისა და პიატიგორსკის მიტროპოლიტ ანტონს, რომელიც 30 ოქტომბერს სასწრაფოდ ჩამოვიდა საქართველოში. მიღწეული იქნა შეთანხმება ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ევქარისტული კავშირის აღდგენის შესახებ. 31 ოქტომბერს სიონის ტაძარში იყო ის თანამწირველი კალისტრატესთან ერთად. რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა და ამაში იოსებ სტალინის დამსახურებაც არის. ამის შემდეგ შეიქმნა საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა რწმუნებულთა აპარატი. კალისტრატემ ეს ორგანიზაცია შექმნა საქართველოში, რომ ისევ რუსეთის ეკლესიას არ დავქვემდებარებოდით.

ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, 1945 წლის მარტში, საქართველოში მოქმედ 15 ეკლესიას კიდევ 14 დაემატა. 1946 წლის დასაწყისში უწმინდესი კალისტრატე საერო ხელისუფლებისგან დაჯილდოვდა „სამამულო ომში გაწეული დახმარებისათვის“.

1948 წლის 21 ივლისს უწმინდესი კალისტრატე სტალინისადმი გაგზავნილ წერილში წერს:

„კაცთა შორის რჩეულო, ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალით მენახე ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ ამის ღირსი არ ვარ, მიიღეთ ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელ საბჭოთა კავშირში არსებულ სარწმუნოებრივი ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი მამაშვილური

სიყვარულის გამომხატველად მოგართვათ წინაპართა მიერ შექმნილი და ნაანდერძევი ქართული კულა წარწერით: „იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალ-უღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს, მადლობით გულსავსე საქართველოს მართლმადიდებელი მწყემსის კალისტრატე კათოლიკოს პატრიარქისგან“.

დიახ! ჩემო ძვირფასო მკითხველო, სწორედ ამ გონივრული ქმედებებით უწმინდესი კალისტრატე სტალინს უგზავნიდა მხარდასაჭერ მიმართვებს, მთავრობას უცხადებდა მხარდაჭერას, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა მისი მილოცვები, როგორც სტალინისადმი, ასევე საბჭოთა არმიის წარმატებების შესახებ. ასე, რომ დიდია მისი ღვაწლი საეკლესიო საქმიანობაში. მან მოახერხა წართმეული იურიდიული სტატუსის აღდგენა. საქართველოს საპატრარქოს იურისდიქციაში მოაქცია არა ქართული სამრევლოები. რაც მთავარია ეკლესიას შეუნარჩუნა მრევლი. დიახ ასეთი იყო მისი მძიმე და რთული გზა საეკლესიო საქმიანობაში, რომელმაც გადაარჩინა საეკლესიო სიწმინდეები, რეპრესიებიდან იხსნა არა ერთი სასულიერო პირი. დიახ მითქვია და ახლაც ვამბობ, ჩემო მკითხველო იმას, რომ ჩვენ ქართველებს არასოდეს გვქონია ერთი პირი. დიახ, იმ დროსაც წარმოიდგინეთ როგორ ებრძოდნენ კალისტრატე ცინცაძეს მღვდელ მსახურები. ასე, რომ ბოლოს მაინც ყოველთვის სიმართლე იმარჯვებს. ასეც მოხდა იმ დროისათვის და 1932 წელს არჩეული იქნა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად კალისტრატე (ცინცაძე). დიახ კათოლიკოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე იყო შემტევი

პიროვნება სახელმწიფო მთავრობის მიმართ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც ცინცაძეს ეკითხება მოსამართლე: - უნდა შეასრულოს თუ არა სამღვდელოებამ მთავრობის მიერ გამოცემული კანონები?

კალისტრატე ცინცაძე: სამღვდელოებამ როგორც სხვა მოქალაქეებმა, უეჭველად უნდა შეასრულოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ღვთის მცნებას და მორწმუნეთა სინდისს.

მოსამართლე: - თუ მაინც ასეთი კანონები გამოსცა მთავრობამ, რას იზამთ?

კათოლიკოსი ცინცაძე: მოკრძალებით და პატივისცემით მოვახსენებდი მთავრობას, თუ რატომ ვერ ვასრულებ მის მიერ გამოცემულ კანონებს და ვთხოვდი, გავეთავისუფლებინე ამ კანონის შესრულებისაგან. თუ მთავრობა შეიწყნარებდა ჩემს თხოვნას, ხომ კარგი, თუ არადა განვემზადებოდი ჯვარზე საცემნელადო“. აი, ჩემო ძვირფასო! ნამდვილი ქართული სული და ქართული პატრიოტიზმი. დიახ ამას ვერ ვიტყვი დღევანდელ მთავრობის მიმართ, ასევე დღევანდელი საპატრიარქოდან დაწყებული რიგით მღვდელმსახურებზე, რადგან ეკლესია და დღევანდელი ხელისუფლება ორივე ერთად, როგორ ჩანს კორუფციულ გარიგებაში არიან. ერი რომელიც იღუპება, შეხედეთ რას დაამსგავსეს ხალხი! ვერ წარმომიდგენია დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს კვირიკაშვილიდან დაწყებული ნებისმიერ ხელისუფალს, როგორ უდევთ ბალიშებზე თავები, როდესაც მის თანამემამულეს წამლის ფული არ აქვს, არ აქვს პურის ფული, არ აქვს სამუშაო, არ აქვს მომავლის იმედი. ნუთუ



ილია მეორე
ბატონად სამშობლოს
ისტორიულ სიმაღლეზე

ქალაქი წარმოშობით ქართველი იყო და შესანიშნავად იცოდა ქართული ენა. ქართული სამღერა, გალობა. როდესაც ის გარდაიცვალა, სასულიერო სემინარიის სტუდენტი ვაყავი. ვისი დაკრძალვისაც ყველანი დარბაზში ვიდექით და გტიროდით. მას შესახებ ბევრს გვესაუბრებოდა ჩვენი რექტორი, ნაბდა კონსტანტინ რუდიცკი, რომელმაც სტალინის შესახებ ბევრი იცოდა რუსეთის პატრიარქ ალექსი I-სგან, ვისაც ძალიან უყვარდა სტალინი. ერთ-ერთი მიღების დროს, როცა სტალინი ალექსი I-ს, მიტროპოლიტ ნიკოლაისა და პროტოპრესვიტერ ნიკოლაი კოლჩიცკის ხვდებოდა, სტალინმა ჰკითხა, რამ შეგაწუხათო? მათ კი უპასუხეს, მადლიერები ვართ თქვენი, რომ ტაძრები გახსენითო. „არა, ეს საკმარისი არ არის. გახსენით სასულიერო სემინარიები და აკადემიები", — უპასუხა სტალინმა. სტალინი გამორჩეული პიროვნებაა. ასეთი პიროვნებები იშვიათად იბადებიან. მან იცოდა რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა.

„ქართული პოლიტიკა"

თქვე დალოცვილებო შუბლზე ძარღვი არ შეგიტოკდებათ მაშინ როდესაც მილიონობით პრემიებს და დანამატებს იღებთ და ისქელებთ ჯიბეებს. გახსოვდეთ ყველაფერი წარმავალია ,,სინდისისა და ნამუსის გარდა". გახსოვდეთ! ყველას ჩვენი სამშობლო საქართველო თვითეული ჩვენი მოქალაქეს მაღალმა უფალმა ღმერთმა ყველასათვის თანაბრად გაგვინაწილა და არავის უფლება არ აქვს ეს კანონი დარღვიოს ან შეცვალოს! ასე, რომ ჩემო ძვირფასო ხელისუფალნო! გახსოვდეთ ყველას თუ საიდან მოხვედით და საით მიათრევთ - მთელ გაუბედურებულ საქართველოს. მხოლოდ ნუ ხართ დიდი ბელადი სტალინისა და რუსი ხალხის ლანძღვა გინებით დაკავებული. მე მინდა ახლა დიდი მადობა გამოვუცხადო ჩვენს უწმინდეს და უნეტარესს იმისათვის, რომ როდესაც წავიკითხე გაზეთი ,,ასავალ-დასავალის", 2013 წლის, 5-11 აგვისტოს N31 (981) ნომერი. თვალში მომხვდა დიდი ბელადისადმი მიძღვნილი სიტყვები რამაც ძალიან გამახარა და დღეს ოთხმოც წელს

მიღწეულმა სისარულით გავაცანი ჩემს შვილებს და შვილიშვილებს თუ რას სწერდა ჩვენი ერის წინამძღვარი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დიდი ბელადის სტალინის მიმართ. ასევე მინდა გამოვუცხადო მადლიერება საქართველოს ჟურნალ ,,თბილესელებს“ სადაც თითქმის ყოველ ნომერში დათმობილი აქვს სტალინის ცხოვრება-შემოქმედებას.

თქვენო უწმინდესობავ! სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს: ცუდი დრო დაუყენეს საქართველოს. თუ დავაკვირდებით განუკითხაობამ მოიცვა ქვეყანა. ცრუ ამერიკულმა დემოკრატიამ. ფარდა კი არ ახადა სინამდვილეს, ნამდვილი მიზეზები კი არ გამოავლინა, ნამდვილი უბედურების სათავეებს კი არ მიაგნო, არამედ პირიქით ყველაფერი არივ-დარია და თავი და ბოლო დაუკარგა. აბა შეხედეთ, აქაოდა ,,დემოკრატიული“ ქვეყანა გავხდითო კანონი არანაირი არა კანონობს! ყველაფერი ერთმანეთში აირ-დაირია: სამართალი, ცილისწამება, ათასნაირი ჭორი, უვიცობა, გარყვნილობა, მოტყუება, გამეფებულია თაღლითობა, კორუფცია მთავრობაში. სათავეში მოექცნენ ყოვლად უნიჭონი, რომლებიც სარგებლობენ რა მთავრობის სახელით და საერთო ჯამში ქვეყანას მიაქანებენ უფსკრულისაკენ. დიდო ილია! ჩვენი ერის წინამძღვარო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თითქმის 30 წელია ჩვენი მთავრობები მხოლოდ დაკავებულები არიან დიდი ბელადი სტალინისა და ჩვენი ერთ მორწმუნე რუსი ხალხის ლანძღვა გინებით,



კრებულისათვის პარტიების კავშირის – სკკპ
XXXII ყრილობის დადგენილება

სკკპ XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებების
პიროვნება კულტისა და მისი შედეგების შესახებ

საკითხებთან დაკავშირებით

რაც ყოვლად მიუღებელია ქართველი ერისაგან. მე, როგორც ერთი ჩემი ქვეყნის მოქალაქეს ყოველივე ამაზე გული მტკივა და გთხოვთ ჩვენო დიდო ქართველი ერის სიამაყევ, ფარდა ახადო ყოველივეს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საბჭოთა ქვეყნის ისტორიას და ქართველ ხალხს სიმართლე უთხრათ, რადგან თქვენ ხალხი დაგიჯერებთ იმას თუ რა ხდებოდა იმ ხანად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ის, რომ თვითონ კომუნისტური პარტიის XXXII ყრილობაზე მიღებული იქნა დადგენილება ყოველი არსახსენებელი ქვეყნის მოღალატის ნიკიტა ხრუშჩოვის XX და XXII ყრილობები ჩაითვალოს გაუქმებულად. ალბათ გამიგებთ იმას, რომ ის რაც ხდება დღეს, როგორც

საქართველოში, ისე საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველივე ეს არის ნიკიტა ხრუშჩოვის ჩადებული „თესლი“, რომელსაც დღესაც ქართველი ერი იმკის. ამისათვის გთხოვთ იმას, რომ „ვინ იყო დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი. რა უნდოდა ან ვის ებრძოდა. რა იყო მის სულში და გულში“. თქვენ ყოველივე ზეპირად იცით და თქვენ ქართველი ერი დაგიჯერებთ იმას თუ ვინ ანგრევდა მთელ ახალ საბჭოთა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიებსა თუ მონასტრებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მათ ყველას კუდით ქვა ასროლინა და ისე გარეკა მთელი საბჭოთა სივრციდან დიდმა ბელადმა სტალინმა. დიახ, ეს ვერ მოუნელებიათ დასავლეთის მასონურ წრეებს და დღესაც მათი ნაშიერები ებრძვიან როგორც ი. სტალინს, ასევე დიდ რუსეთს და ქართველ ერს. მე მჯერა ის, რომ თქვენი წერილით ხალხი სიმართლეს გაიგებს და ყველა დაგიჯერებთ და ამით მოხდება ის, რომ საქართველოსა და რუსეთის შორის დაიწყება ახალი დათბობის ხანა, რომელსაც მომავალი ჩვენი თაობა ამ დიდ საერო საქმეს აიტაცებს და უფრო მეტად შეუყვარდებით როგორც ქართველ მოსახლეობას, ასევე დიდ რუს ხალხს. რომელიც იქნება ჩვენი ორი ქვეყნების ჩაუტეხელი „ხიდი“.

დიახ! ჩვენ ორ ერს ოდითგანვე უყვარდათ და ეყვარებათ კიდეც მომავალში და თქვენ კარგად იცით ის, რომ ვინ ამღვრევს ჩვენი ორი ერის მოსახლეობის შორის წყალს. მე უნდა მოგაწოდოთ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2017 წლის 26 ივნისი 2 ივლისი N26 (1180) სადაც მოყვანილია მოსკოვის წმინდა გიორგის ქართულ ეკლესიაში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე. სათაურით

„მოსკოვის ქართული ეკლესია სამწვადედ გადააქციეს! წარმოიდგინეთ ვინ გადააქცია? ვინ და ისევ ჩვენმა ქართველებმა და რას წერს რუსი გულშემატკივარი ამის შესახებ. რომელიც აქაც კარგად სჩანს რუსი ერის დამოკიდებულება ქართული ეკლესიის მიმართებაში. ეს გახლავთ მარინა პერეცოზკინა, რომელიც გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ თავის სტატიას ასეთი სიტყვებით ასრულებს: „ეკლესია, მართლმადიდებელი რწმენა - ეს ის ფუნდამენტია, რაზეც მრავალი საუკუნის განმავლობაში შენდებოდა რუსთა და ქართველთა ძმობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ფუნდამენტი შენარჩუნდეს, ეკლესიამ (ანუ მოსკოვის ქართულმა ეკლესიამ გ.გ.) არ დაკარგოს თავისი პირვანდელი დანიშნულება და არ გადაიქცეს „ავაზაკთა ბუდედ“, საიდანაც ქრისტემ ვაჭრები და გადამყიდველები გამოყარა .“ როგორც ხედავთ ძვირფასო მკითხველო, ეს სწორედ იმ სირცხვილზე მინიშნებაა, რასაც ხშირად ჩვენ ქართველები ვაშავებთ, რაზეც მე როგორც ქართველი ამ ამბავმა ძალიან შემაშფოთა, სადაც წმინდათა-წმინდა ადგილზე გახსნილია სამწვადე თუ სახინკლე. ეს ყოვლად დაუშვებელია, სადაც ყოველივე დეტალურად არის აღწერილი რაც ყოველივე ქართველი ერის დიდი სირცხვილია. დიახ, საქართველოს საპატრიარქომ უნდა მიხედოს მოსკოვის ქართულ ეკლესიას და დაამყაროს სრული წესრიგი, რადგან არ გავხდეთ დასაცინი ერი და პატივი ვცეთ იქ ქართველებსაც. ერთი მაინც ვერ გამიგე - ან რა მოგვდის, ან რა გვემართება, რაში იყიდება ყოველი ჩვენი სიწმინდეები! დღეს საქართველო ქაოსშია მოცული. ვინ საით ექაჩება ოდესღაც აყვავებულ,

გაბრწყინებულ საქართველოს. აღარც კანონია, და აღარც სამართალი, ყველაფერი ამერიკის საელჩოში წყდება ჩვენი პატარა საქართველოს ბედი, ჩვენი მთავრობის თვითოეული წევრი „გინდ პარლამენტარი სუყველანი მუსიკალური ინსტრუმენტი „ბალალეიკები“ არიან, რადგან ყველანი ამერიკის აგენტებათ მიმაჩნია! ყველანი ერთად ყიდიან როგორც საქართველოს, ასევე ქართველ ერსაც, შეხედეთ ჩვენო უწმინდესო და უნეტარესო. შეხედეთ კინაღამ გავიდა 30 წელი. რა გაკეთდა საქართველოში ხალხის კეთილდღეობისათვის შეიცვალა ოთხი მთავრობა, რა გაკეთდა? არაფერი საქართველოს ოც პროცენტზე მეტი დაიკარგა საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობის რაოდენობა 1990 წლისათვის თუ იყო 5,5 მილიონი ჩამოვიდა 2,5 მილიონამდე. ჩვენო დიდო იმედო, უწმიდესო და უნეტარესო, ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი? გახედეთ რას დაამსგავსეს ქართველი ერი 70% ხალხი სულს ღაფავს - წამალი ვერ უყიდია, ბევრს ლუკმა ენატრება, ნაგვის ყუთებში იქექებიან. მვირფასო ილია მეორე - კაცი როცა მველს ანგრევს ახალი კარგი უნდა ააშენოს. საინტერესოა სად არის ეს „კარგი“, რატომ გაწირეს ქართველი ერი. სახელმწიფო მესვეურებმა კვირიკაშვილის თამადობით მავანნი ჯიბეებს ისქელებენ და წარმოიდგინეთ აზრზე არ არიან თუ რა ხდება ჩვენს პატარა საქართველოში.





\გახსოვდეთ! მოვა დრო და ყველა ინანებთ! თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინეთ! აი ამ დედაბერის წინაშე. ისე მე თუ მკითხავდა კაცი, მთავრობამ უნდა აკონტროლოს ეკლესიის საქმიანობა და ეკლესიამ კიდე ხელისუფლება, რადგან ორივე ერთად ვალდებულია ემსახუროს თავის ქვეყანას და თავის ხალხს, ამიტომაც ეძახის დედაბერი კვირიკაშვილს „შენც ნაციონალი ხარ?

ღრმა პატივისცემით
ნ. გაგნიძე
ქ. თელავი

სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ დასავლეთის იმპერიალისტურმა ძალებმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში იმას, რომ სახელმწიფო სათავეში

მოსულიყვნენ ადვილად მართავი ძალები, ყბედი ხრუშჩოვის სახით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხრუშჩოვი იყო ჩვენი ქვეყნის მოღალატე ,,ფარისეველი დემოკრატი“ მშიშარა გაიძვერა და დეგენერატი ლოთი, რომელმაც დაანგრია და გაანადგურა მთელი სოფლის მეურნეობა და საბჭოთა ფინანსური სისტემა. ისე რომ 60-იანი წლებისათვის საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა შემოეღო პროდუქტებზე საბართო სისტემა, რომელიც დიდმა სტალინმა 1948 წელს გააუქმა, მე არ დამავიწყდება ის, რომ იმ ხანად ვმსახურობდი ჩრდილო ყინულოვან ოკეანეზე საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტში, სადაც 1964 წლის 17 ოქტომბერს გემბანზე რადიომ გვაუწყა ,,დღეს სოჭში სადაც ისვენებდა სრიშჩოვი, გენერალმა ინაურმა ხრუშჩოვი თავისი დაცვით აიყვანა და გადასცა საბჭოთა მთავრობასო“, რასაც მოჰყვა თითქმის ზეიმი ყველა ერთმანეთს ულოცავდნენ და გაიძახოდნენ ,,მალადეც ინაური“. ეს იყო ჩემთვის ორჯერ მეტი სიხარული, ერთი რომ მოაშორეს ქვეყნის მოღალატე ლოთი გაიძვერა ხრუშჩოვი მეორე ის, რომ ეს მოღალატე მოაშორა დიდმა ქართველმა გენერალმა ინაურმა.

არ შემიძლია არ მოგახსენოთ ის, რომ მე ვმსახურობდი ჩემს საყვარელ სამშობლოში, რომელსაც ერქვა ,,საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“, სადაც ვიყავით ერთად როგორც ძმები, მეგობრები და ერთ ქვაბიდან მივირთმევდით საჭმელს: მე ქართველიც, რუსიც, უკრაინელიც, ბელარუსიც, ლიტველიც, სომეხიც, აზერბაიჯანელიც, ჩეჩენიც და ყველა ერთად წარმოვადგენდი ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს შვილებს. განა ამაში რა იყო ცუდი? დიახ, გავიდა მას შემდეგ

კინაღამ, ნახევარი საუკუნე, მაგრამ მე როგორც ქართველს დღესაც მეამაყება ის, რომ 1964 წლიდან ვიყავი ვარ და ვქნები საბჭოთა კომუნისტური პარტიის წევრი. იქ დამამთავრებინეს პარტიული სკოლა, სადაც ყველა ერთად ვიყავით ძმურად, მეგობრულად, ვიყავით ერთიმეორისადმი გატანით და სიმტკიცით! განა რა იყო ამაში ცუდი?! ეს ძმობა და მეგობრობა ჩვენ ყველას ჩაგვინერგა დიდმა სტალინმა.

ყოველივე ამას ვწერ და განვიცდი გულის ტკივილით, რადგან ისეთი ქვეყანა როგორიც იყო „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ არ უნდა დაშლილიყო. ეს იყო სრულიად ახალი ტიპის, ახალი სისტემის ქვეყანა ამერიკულმა დოლარებმა, გორბაჩოვმა ამერიკის აგენტმა დაშალა. დანარჩენი ყველა ეს მოდელი რასაც გვთავაზობს ამერიკის მასონთა წრეები, ეს არის მსოფლიო მოსახლეობის თითქმის განადგურება, ახალ მსოფლიო რელიგიის იეჰოვას სახით. პიროვნება როგორც მამის სახელისა და ეროვნების გარეშე. ამიტომაცაა რომ მომრავლდნენ ჩვენთან საქართველოში იეჰოველთა ჯგუფები და დაბრწიან ჩვენი მოსახლეობის კარიდან-კარში, რომელსაც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება. თუ ეს ხელისუფლებაა, შეგნებულად პირიქით ხელს უწყობს ასე, რომ დასავლეთი გვთავაზობს მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას გახრწნილობით და ვირუსული ეპიდემიების საშუალებით. თუ ამერიკას ჩვენთვის კარგი უნდა, ანდა მსოფლიო ხალხებისათვის, საბჭოთა კავშირი კი არ უნდა დაეშალათ, არამედ უფრო უნდა გაეძლიერებინათ. ნუთუ ამას ვერ ხვდება ჩვენი ქართველი ერი?! ყველას გვახსოვდეს ის, რომ ამერიკა „რბილი ეკალია“ მძმე მძიმეთ

იზიდავს ჩვენს უგუნურ ხელისუფლებას, რომელსაც აბრიყვებს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ და ჰყიდიან ამერიკულ დოლარებში, როგორც ქართველ ერს ასევე ქართულ კულტურას, განათლებას, ქართულ ზნეობას, რწმენას, სინდისს და ნამუსს, ყველას და ყველაფერს. მიტომ, რომ ესენი ყველანი ანტი სტალინელები არიან, ესენი არიან ტროცკის ნაშიერები, რომლებმაც გაიარეს ამერკაში სოროსის სკოლა, შემდეგ დააფინანსეს და შემოაგზავნეს ჩვენი სამშობლოს საქართველოს და ქართველი ერის საჯიჯგნელად. შექმნეს ნაციონალები ახალი ქართული ფაშიზმი „ევროპული საქართველო“. ამიტომ არის, რომ ჩვენი ბევრი ტვინგამორეცხილი ქართველი ამბობს თუ რა გაუკეთა დიდმა სტალინმა საქართველოსო. ვეცდები მოკლედ მაინც გითხრათ თუ რა გაუკეთა: ნუთუ ერთხელ მაინც არ ჩასულხარ თბილისის მეტროში და არ დაფიქრებულხარ თუ ვინ აგვიშენა მეტრო, ანდა დიდი ინდუსტრიული ქალაქი რუსთავი. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. იცით, რომ ამ ქარხანაში მუშაობდა 13 ათასზე მეტი მშრომელი ადამიანი, რომლებიც თვეში ორჯერ ავანსისა და ხელფასის სახით ფულს იღებდნენ, უზრუნველყოფილი იყვნენ უფასო სწავლით, სამედიცინო დახმარებით და რაც მთავარია უფასო ბინათმშენებლობით. დიახ! ახალი საბჭოთა მთავრობა მშრომელი ხალხის წინაშე ვალმოხდილი იყო. სანამ დიდი ბელადი იყო, ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა და ხალხს სწამდათ დიდი სტალინისა! ვინ აგვიშენა ქ. რუსთავის ქიმიური ქარხანა, ცემენტის ქარხანა და სხვა, ქ. კასპის

ცემენტისა და შიფერის ქარხანა, სადაც დაახლოებით 8 ათასამდე ჩვენი მშრომელი ხალხი მუშაობდა და ყველაფრით უზრუნველყოფილნი იყვნენ, ქუთაისის ფეროშენადნობი ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა და სხვა რომელი ერთი ჩემოვთვალო. შენდებოდა მრავალი: სკოლები, ფაბრიკები, ქარხნები, საკონსერვო ქარხნები, სოფლის მეურნეობის ემტეესები და სხვადასხვა. ქ. თელავში აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკა, სადაც დასაქმებული იყო მარტო თელავის მოსახლეობის ქალბატონები კი არა, ასევე თელავის გარშემო სოფლებიდან: შალაურიდან, ვარდისუბნიდან, კურდღელაურიდან. მთელი კახეთში გამოყვანილი ჭიის პარკი ბარდებოდა თელავის ძაფსახვევ ქარხანას. ისე, რომ უმუშევრობა გამორიცხული იყო, ქუხდნენ ფაბრიკები, ქარხნები, ბაღ-ვენახები. ღვინის ქარხნები. ასევე ქუხდა ქართული: მეცნიერება, ქართული კულტურა, სპორტი, კინოხელოვნება, მწერლობა, სოფლის მეურნეობა, მმობა და მეგობრობა. დიახ! სტალინური სიყვარულით ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ ყველანი: რესპუბლიკა-რესპუბლიკებს, ქარხნები-ქარხნებს, ფაბრიკები-ფაბრიკებს, ქალაქები-ქალაქებს, სოფლები-სოფლებს და სხვა რომელი ერთი ჩამოვთვალო. (შემდგომმა ბრიყვებმა ჩამოშალეს ეს სიკეთე).

XX ს-ის სამოციან წლებში, როდესაც ჩვენს საყვარელ დედა ქალაქს, ქალაქ თბილისს შეუსრულდა თავისი არსებობის 1500 წელი, მაშინ, იმ ხანად, ასე უმღერეს ჩვენს საყვარელ ქ. თბილისს:

„თბილისო 1500 წლისა ხარ,
იზრდები საამურადა,
მხარში უდგახარ დიდ მოსკოვს

გადახვევიხარ ძმურადაო“.

დიახ! ამ ძმობამ და მეგობრობამ ერთ მორწმუნე, ერთიან დიდ რუსეთთან აშკარა სიკეთეები მისცა ქვეყანას/ საქართველოს მოსახლეობა 1990 წლისათვის ავიდა 5,5 მილიონამდე. დღეს კი რა გამოვიდა 2017 წლისათვის საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის 20%-ზე მეტი და მოსახლეობის რაოდენობა ჩამოვარდა 2,5 მილიონამდე. ნუთუ ძნელია მისახვედრათ, ჩემო ძვირფასო, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო?! რა არის აქ ძნელი და გაურკვეველი! ვისი მონა ხდება (თუ უკვე მონაა) ქართველი ერი, რას გვიკლავს, რას ცრუობს, რას გვაბრიყვებს, ჩვენი საკუთარი ვითომ არჩეული ხელისუფლება, რა აქვს ჩაფიქრებული, რატომ სიმართლეს არ გვეუბნება, მხოლოდ სიმართლე გვჭირდება. დროა გამოფხიზლდე ჩემო ძვირფასო ერო!! მხოლოდ ერთს გეტყვით, დიდმა ბელადმა სტალინმა ორჯერ იხსნა მსოფლიო მშრომელი ხალხი, როგორც მონობიდან, ასევე შავი ჭირისაგან. პირველი ტროცკიზმის მასონური მმართველობისას და მეორე ჰიტლერული შავი ფაშიზმისაგან, **ფაშიზმი ბობოქრობს დღეს საქართველოში, ეს ახალი ამერიკულ-ევროპული დემოკრატიული ფაშიზმია, რომელიც წალეკავს ჩემს სათაყვანებელ სამშობლოს და ქართველ ერს. ახალი ქართველი ფაშისტები ამაყობენ ფაშისტობით. ეს ჭირია, დიდი შავი ფაშისტური ჭირი!**

ქართველებო, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ და შევიგნოთ ის, რომ საქართველოს თავის ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოლია ისეთი მანათობელი ინტელიგენცია და საზოგადოება, როგორიც „საბჭოთა სოციალისტურ“ წყობილებაში, თუნდაც: მეცნიერება ქუხდა

ჩვენი გამოჩენილი მუსხელიშვილი, ვეკუა, სხვადა-სხვა. ასევე ქუხდა ჩვენი კინო ხელოვნება, რომლებსაც აუგეს და დაუგეს მრავალი ძეგლები და ვარსკვლავები, ჩვენი სუხიშვილები-რამიშვილები, რომლებმაც მსოფლიოს თითქმის ყველა ერებს დაანახვეს თუ როგორი უნდა იყოს ცეკვითი ხელოვნება, ასევე სპორტი ფეხბურთსა თუ სხვა სახეობაში. თუნდაც სოფლის მეურნეობა თავისი სამეცნიერო აგრპო წრეებით, ერთი მავნე მწერიც კი რომ გამოჩენილიყო ისევე ლიკვიდირებული იყო. წარმოიდგინეთ ჩვენი დიდი მწერლობა, დიდად აღიარებული დიდი ილია, დიდი აკაკი, დიდი ვაჟა და სხვა და სხვა მრავალი, ჩვენი ხუროთმოძღვრება და სხვა. აი, რა გააკეთა დიდმა ბელადმა ი.ბ. სტალინმა! ეს ყველაფერი ჩემო კარგებო: - კულტურა, ზნეობა, კაცთმოყვარეობა, ერთა შორის მეგობრობა, სიყვარული, გამტანიანობა და სხვა. აბა წაიკითხეთ კომუნისტური პარტიის წესდება და თქვენ მიხვდებით იმას, რომ თითქმის საეკლესიო ათი მცნება გადმოტანილია კომუნისტური პარტიის წესდებაში: არ იმრუშო, არა კაც ჰკლა და სხვა ამან ყველაფერმა ჩამოაყალიბა სულ სხვა საბჭოთა სულით მდიდარი ადამიანი. აბა, ერთი წუთით, მაინც დაფიქრდი იმაზე, რომ დედამიწაზე ყველაზე დიდი სისხლიანი ომი, რომელ ომშიც 80-ზე მეტი სახელმწიფო და 110-ზე მეტი მილიონი ჯარისკაცი მონაწილეობდა, ეს ომი დიდმა ქართველმა ი.ბ. სტალინმა მოიგო. მე როგორც ყოფილმა მეზღვაურმა ვიცი, რომ პირველი ყინულმჭრელი გემი სტალინის მიერ მითითებული და აშენებულია. 1961 წელს სტალინის მიერ შექმნილმა ქვეყანამ, საბჭოთა კავშირმა, პირველმა გაგზავნა კოსმოსში რაკეტით ჩვენი

დიდი კოსმონავტი იური გაგარინი და შემდგომ ქალბატონი ვალენტინა ტერეშკოვა და სხვები. მეამაყება სტალინის მიერ გადარჩენილი ქალაქები მოსკოვი, სტალინგრადი, ლენინგრადი, ბრესტი და ასევეგათავისუფლებული მონობიდან თავდახსნილი მსოფლიო კაცობრიობა. მე ამას ვამბობ მიტომ, რომ გული მტკივა დღევანდელი ქართველობა საცოდავია. ვინ ვერ აზროვნებს და პლანეტის ყველაზე დიდ ადამიანს ი.ბ. სტალინს უსაფუძვლოდ და დაუმსახურებლად შეურაცხყოფს მის სახელს.

მე გეუბნებით იმას, რომ დიახ ი.ბ. სტალინი დიდი ქართველია და მას საქართველოს ძუძუ აქვს ნაწოვი, ის მსოფლიო მნიშვნელობის გმირია, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე გადაჭიმულ უზარმაზარ იმპერიას გონებითა და სიბრძნით მართავდა. წარმოიდგინეთ ის, რომ მგონი თორმეტ მილიონზე მეტ უძლეველ საბჭოთა არმიას ედგა სათავეში. განა ჩემო ბვირფასო ქართველო ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხარ და შუბლზე ძარღვი არ შეგტოკებია, რომ ეს ყველაფერი შეძლო და გააკეთა ჩვენი და ჩვენი საბჭოთა ხალხების კეთილდღეობისათვის, კეთილ მომავლისათვის. ყველას კარგად გვახსოვს ის, რომ სტალინზე რაც არ უნდა ვთქვათ და ვქნათ მის წინააღმდეგ, მის მსოფლიო პიროვნებაზე, ამით მას ვერაფერს დავაკლებთ, მაგრამ დავაკლებთ ჩვენი ქვეყნის ერთსულოვნებას და მომავალი ისტორია გამოგვაცხადებს უთავმოყვარეო მოღალატე ერად.

ამის შემდეგ, როგორ უნდა შეგვეპაროს ეჭვი იმაში, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა სრულიად ემორჩილება ამერიკულ მასონურ ალენ დალესის

იდიოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ყოფილი საბჭოთა ხალხების, მათ შორის ქართველი ერის დაპყრობა განადგურებას, არა ომით, არამედ თავისი მავნე იდეოლოგიით. ჩემო ძვირფასო ქართველო ერო! ნუთი ვერ ხვდებით იმას, რომ ისინი გვაიძულებენ ვირწმუნოთ ყოველი ყალბი ღირებულებები. აბა დააკვირდით თუ რას წერდა ალენ დალესი: ,,ჩვენ სრულ ქაოსს დავთესავთ საბჭოთა საზოგადოებაში. ვაიძულებდთ ირწმუნონ ყალბი ღირებულებები: სექსი, ძალადობა, მექრთამეობა, სადიზმი, გამცემლობა ერთი სიტყვით ყველაფერი უზნეობა. სახელმწიფო მართვის სისტემაში ჩვენ შევქმნით განუკითხაობას, აქტიურად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების თვითნებობას, მექრთამეობას, ბიუროკრატიზმს. პატიოსნება, წესრიგიანობა გახდება დასაცინი და ყველასგან მახსრად ასაგდები. უსირცხვილობა, უტიფრობა, სიცრუე და მოტყუება, მოურიდებლობა, ცხოველური შიში ერთმანეთის მიმართ, ღალატი, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა განსაკუთრებით რუსი ხალხის მიმართ, ჩვენს მიერ მოხერხებულად და შეუმჩნევლად იქნება დანერგილი და ყოველივე ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის დანგრევა განადგურება აღარ იქნება ძნელი და შეუძლებელი.

და მხოლოდ ცოტანი, ძალიან ცოტანი თუ მიხვდებიან სინამდვილეში რა ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ უმწეო მდგომარეობაში, ვაქცევთ მათ სასაცილოდ, ვაქცევთ მათ ფანტაზიორებად და არავინ არ დაიჯერებს მათ ნათქვამს“.

ნუთუ ამის შემდეგ მაინც როგორ არ უნდა დაფიქრდე, ჩემო ძვირფასო ქართველო ხალხო, თუ რა ხდება

დღეს-დღეობით ჩვენს გარშემო, ყოველივე ეს არის გამიზნული რაც შეიძლება ამერიკულმა მასონურმა წრეებმა მოაქციონ თავიანთ მარწუხებში, როგორც ქართველი ერი, ასევე ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, აი ამისათვის იყენებს დღევანდელი ამერიკული ხელისუფლება ალენ დალესის დაწერილ დოქტრინას და ამით ხელმძღვანელობენ, რათა რაც შეიძლება შეგვაძულონ დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი, რადგან სტალინმა მათ, თავის დროზე, რომ იტყვიან, კუდით ქვა ასროლინა და ისე გარეკა მთელ საბჭოთა სივრციდან. დიახ, რომ დღევანდელ ამერიკულ ხელისუფლებას ეს ფაქტი ვერ მოუნელებია. ამისათვისაა ის, რომ რაც შეიძლება შეგვაძულონ ამერიკელმა მასონებმა, როგორც „დიდი ბელადი სტალინი“ ასევე მთელი ჩვენი ყოფილი საბჭოეთი“. ნუთუ ამას ვერ ვხვდებით?! რა არის აქ გაუგებარი?! როგორ გულსატკენია ის უმსგავსობა, რასაც ზოგიერთი ქართველისაგან მოისმენ. ადამიანი, დიდი ბელადი სტალინის მიმართ, არა ამას არ იმსახურებს ჩვენი საამაყო ბელადი. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ გულწრფელად გეტყვით ერთი-ორ იმას, რომ როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაშინ უამრავი ახალგაზრდა მეომარი თავს სწრავდა და „ურას“ ძახილით გაიძახოდა: „ზა როდინუ, ზა სტალინუ, ურაა!“ მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, თუ რომელი ეროვნების ადამიანი იყო. მათ სინამდვილეში სწამდათ დიდი ბელადი სტალინისა. ანდა მეორეს გეტყვით. როდესაც ბავშვმა დაინახა, რომ მისმა დედამ მიიღო სამკუთხა წერილი მამამისისგან, სადაც წერია, რომ მე ხეიბარი ვარ, ფეხი არ მაქვს. ჩემი სიცოცხლის დღეებს აქ გავატარებო. მაშინ

ბავშვმა რა უთხრა დედას! ,,დედა, მისწერე მოვიდეს მამა, ინვალიდ მამას მე შევინახავ, თავთავს მოვკრეფავ, პურს შევაგროვებ, ძია სტალინიც დაგვეხმარებაო"! წარმოიდგინე ჩემო ძვირფასო მკითხველო, ბავშვებსაც კი სტალინის იმედი ჰქონდა და სწამდათ მისი.

განა დღეს ვინ უნდა ირწმუნოს ადამიანმა, ან ვისი იმედი უნდა ჰქონდეს? რა გააკეთა სტალინმაო ამბობს ზოგიერთი ჩვენი ტვინგამორეცხილი თანამემამულე. ამათზეა ზუსტად ნათქვამი.

,,კაცს თუ არ უნდა, რიყეში ქვას ვერ დაინახავსო".

აბა დავფიქრდეთ და ჩავხედოთ ერთი მეორეს თვალები. დღესდღეობით ვინმე იტყვის ამ ფრაზას „ზა მარგველაშვილი ანდა ზა კვირიკაშვილი, ანდა ზა სააკაშვილიო" რომელმაც საქართველოს ვითომ სარდალმა 2008 წელს შეუტია რუსეთს და მიართვა სამაჩაბლოს ტერიტორია. შიშისაგან მიწაზე იხოხა! არა ჩემო ძვირფასებო ეს ყველაფერი სასაცილოა და სხვა არაფერი. დღეს ცრუობენ - რუსეთი ოკუპანტიაო. ასეთი რომ ყოფილიყო, თბილისს ვერ დაიკავებდა? დღეს ქართველი ერის მოსახლეობის 70%-ს ჩვენი ხელისუფლების თვითოეული წევრი ეზიზღება. იმიტომ, რომ ესენი ქართველ ერს უფსკრულისაკენ მიაქანებენ. ესენი არიან ამერიკის დაქირავებული აგენტები სააკაშვილისა და მისი კნეინის თამადობით. ესენი ყველა ერთნი არიან, რომლებსაც უხვად აყრიან ამერიკულ „დოლარებს" და ესენიც არ იშურებენ ჩვენთვის იმას, რომ უხვად გვიხატავენ ვირწმუნოთ რაც შეიძლება ყალბი ღირებულებები: სექსი, გაუტანლობა, დაბიზღება, ერთიმეორისადმი შუღლი, უსირცხვილობა, მექრთამეობა,

ერთი სიტყვით ყოველივე უზნეობა, მიტომ რომ რაც შეიძლება სწრაფად და დროულად მოხდეს ჩვენი ერის განადგურება და გახსრწნილობა. ეს არის იდეა დღევანდელი ჩვენი ხელისუფლებისა, რასაც აკეთებენ ნამდვილად და შეგნებულად. საკვირველია დღევანდელი ხელისუფლების და ინტელიგენციის რიტორიკა ის, რომ მთელი ამდენი ხნის 30 წლის მანძილზე მხოლოდ დაკავებულები არიან დიდი ბელადი სტალინისა და ერთმორწმუნე ჩვენი დიდი რუსი ხალხის ლანძღვა გინებით. მე მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას რომ თქვენ ასრულებთ დასავლეთის ამერკულ დავალებებს ასრულებთ იმას, რაც აწყობთ ამერიკულ სტრუქტურებს, რაც ეს ყოველივე ქართველი ერისათვის მიუღებელია და ყოველივე ეს ღალატის ტოლფასია. მხოლოდ გახსოვდეთ ის, რომ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და ერთიმეორეს სიყვარულით უნდა ვიყოთ გამსჭვალული და არა ერთიმეორისადმი მტრობით, შუღლით და გაუტანლობით. გაუფრთხილდით თქვენს გვარს, თქვენს სახელს და თქვენს მოდგმას, თორემ თუ ასე გააგრძელებთ თქვენს კორუფციულ მავნებლურ მმართველობას გახსოვდეთ ქართველი ერი არ გაპატიებთ. დაფიქრდით , „გახსოვდეთ ვისი გორისანი ხართ!“

აბა დაფიქრდით! ხელისუფლება ხელისუფლებასა სცვლის, მაგრამ 30 წელიწადი გავიდა და ქართველი ერის სასიკეთოდ ერთი არაფერი გაკეთებულა. მოსახლეობას არაფერი ეშველა, როგორც ტელევიზიამ ამცნო საქართველოს საგარეო ვალებმა 15 მილიარდ გადააჭარბა. განა საინტერესო არ არის ის, რომ ეს ვალები ვინ უნდა გადაიხადოს? განა ამას უტოვებთ ჩვენს მომავალ თაობას?! დაფიქრებულხართ

ერთხელ მაინც, რომ ეს რასაც თქვენ სელისუფალნი აკეთებთ, ეს მტრობაა ქართველი ერის წინაშე. მე მინდა მოვიყვანო მაგალითი, როდესაც მართავდა 60-იან წლებში ჩვენი ერის საყვარელი ადამიანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე ყველაფერი შედარებითია, მაშინ დაიწყო საბჭოთა ქვეყანამ რღვევა, რადგან დეგენერატმა ხრუშჩოვმა ყირაზე დასცა და გაანადგურა მთელი ქვეყანა. მაგრამ ხალხს მაინც მაშინდელი ხელისუფლებისა სწამდათ, იმისა, რომ ვასილ მჟავანაძის მეთაურობით ქვეყანა წინ წავიდოდა. დიახ! ვასილ მჟავანაძე მართლაც თავისი ერის საყვარელი შვილი იყო, როცა საქართველოს კაცთმოყვარე შედარებით პატიოსანი. პატრიოტი ვასილ მჟავანაძის მზრუნველი ხელი მართავდა, როცა კაცი-კაცობდა, ქალი-ქალობდა, ფული-ფულობდა და ქართველ კაცსაც სიცოცხლე უხაროდა. დიახ, ასეთი იყო ჩემი ღრმა რწმენით ვასილ მჟავანაძე, რადგან მან ბევრი კარგი საქმე გაუკეთა როგორც საქართველოს, ასევე ქართველ ერს. ისიც კი კმარა რომ დღეს დღეობით ჩვენი ულამაზესი „მთათუშეთი“ ჩვენს ხელთაა და საქართველოს ეკუთვნის ესაც ვასილ მჟავანაძის დამსახურებაა! გაზეთი ასავალ-დასავალის 2017 წლის 19-25 ივნისი N25 (1179)-თში აღწერილია როგორ გახსნა მცხეთის საჭაშნიკე, რომელსაც შეუსრულდა 50 წელი და როგორ იხსენებენ 50 წლის შემდეგ „ვასილ პავლოვიჩმა ღვინოც დალია. მზარეულებს დაუძახა ყველას მოგვილოცა, დაგვლოცა და ხვავი და ბარაქა გვისურვა! მიტომ იყო რომ ყველას უყვარდა პავლოვიჩი.

მკითხველს შევახსენებ, რომ მაშინდელი მოვლენების მიხედვით მე ვერ მოგახსენებთ გავიმეორო ისეთი ტკბილი

სიტყვები ედუარდ შევარდნაძის მიმართ, რადგან ეს ადამიანი, არაა ამის ღირსი. დავიწყებ იქიდან, რომ .

სტალინის მკვლელობის შემდეგ აღარავის ეგონა თუ ქართველი კაცი კიდევ ავიდოდა და გაივლიდა ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე, ანდა კვლავ ავიდოდა და გახდებოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის უახლოესი მოღვაწე, მაშინ, როცა ზღვათა ღელვა იყო აგორებული სტალინის კულტის მიმართ, მაგრამ წარმოიდგინეთ ის რა ,,თეთრი მელა“ იქნებოდა თუ ამას ვერ მოახერხებდა თავისი მლიქვნელობით და გაიძვერობით. დიახ, ასეთი იყო როგორც ქართველი ერის, ასევე მთელი საბჭოთა ხალხის მტერი ქართველი ებრაელი ედუარდ შევარდნაძე. დიახ! მან ყველას და ყველაფერს უღალატა,



დაწყებული: ,,ოქტომბრელის ფიცს“, ,,პიონერულ ფიცს“, ,,კომკავშირის ფიცს“, რომლის საქართველოს პირველი მდივანი თვითონ გახლდათ. და ბოლოს უღალატა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის მანდატს, რომელიც კრემლის მაღალი ტრიბუნიდან მსოფლიოს დასანახად მოისროლა და გადააგდო კომუნისტური პარტიის მანდატი. წარმოიდგინეთ ნუთუ ასეთი გაიძვერა ადამიანი, რომელიც ქართველმა ერმა მონათლა როგორც ,,თეთრ მელად“ ასეთი

პიროვნება კვლავ დაებრუნებისათ საქართველოში? ალბათ უფროს თაობას კარგად ემახსოვრება ის, რომ როდის გადადგა ედუარდ შევარდნაძემ თავისი გაიძვერული და მლიქვნელური პირველი ნაბიჯი. ალბათ ყველას ახსოვს, როდესაც საქართველოში ჩამობრძანდა დეგენერატი ხრუშჩოვი. მაშინდელ ახლად აშენებულ სპორტის სასახლეში, როგორი მლიქვნელური სიტყვებით მიმართა ნიკიტა ხრუშჩოვს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

„ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ! გადმოქცემთ რა ამ წერილს და შეგნებული გვაქვს რა მ,თელი პასუხისმგებლობა პარტიის, სამშობლოს, ხალხის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი წერილის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა მთელი ქართველი ახალგაზრდობის გულის სიღრმეში წარმოიშვა, ეს არის ჩვენი თაობის ფიცი, ეს არის სიმბოლო უსაზღვრო ერთგულებისა, შეკავშირებისა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო“. ეს იყო ქართული ტყუილის მსოფლიო გამოფენა!

გარწმუნებთ, ძვირფასო ნიკიტა სერგიის ძევ, რომ საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები მუდამ აღიზრდებიან მტკიცე მარქსისტ-ლენინელებად.

ხრუშჩოვი! ეს სახელი არის დროშა კაცობრიობის დიადი ბრძოლის, მთელ მსოფლიოში სამარადჟამო მშვიდობისათვის.

შენ გმირთა მზე ხარ, პარტიავ, დიადო!


შენ ოკეანე ხარ პარტიავ დიადო!

შენ ჩვენი მშობელი და მზრუნველი მამა ხარ, პარტიავ დიადო! დედა ხარ და სისხლის ყოველი წვეთის მოძრაოვბაც შენ ხარ, პარტიავ დიადო!“



ასეთი სიტყვებით მიმართა მაშინ გაიძვერა ედუარდ შევარდნაძემ თავისნაირ მოღალატეს ნიკიტა ხრუშჩოვს. აი ასეთი იყო შევარდნაძის პირველი მლიქვნელური, გაიძვერული მისი აღმასვლის პირველი ნაბიჯი, რომელმაც დაისახა მიზნად, რაც არ უნდა ყოფილიყო ოღონდ თავისი მიზნისათვის მიეღწია გაწირავდა ყველას და ყველაფერს. ნიკიტა ხრუშჩოვსაც გული აუჩუყდა შევარდნაძის ამ მომხიბვლელმა სიტყვებმა და ედუარდ შეადრნაძე გულში ჩაიკრა და გადაკოცნა. შევარდნაძის კისერზეა მრავალი სისხლიანი ნაბიჯები. მე მხოლოდ მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: აბა გაიხსენეთ თბილისის ოცდაექვსი კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე, ვინ გაწირა ქართველი ერის საყვარელი ადამიანი - პატარიძე.

შევარდნაძემ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გაწირა და დახვრიტა თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდა ყმაწვილები და მათთან ერთად დახვრიტა უდანაშაულო მღვდელი. განა რატომ უნდა დაესვრიტა ასე სასტიკად, განა არ არსებობდა სხვა მკაცრი ზომები გაეტარებნა? განა როგორ შეიძლებოდა ასეთი სისასტიკე, როდესაც დედას ორი შვილი, ორი ძმა ერთად დაუხვრიტო და დედას არც ერთი შვილი არ დაუტოვო, განა ამაზე მეტი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა. წარმოიდგინეთ როგორ გაწირა ჟიული შარტავა. აი რას წერს 2014 წლის 5-11 მაისი N18 (1019) ასავალ-დასავალი. აი ასე სწირავდა თავის შავ-ბნელ გავლილ გზაზე ჩვენი ერის საყვარელ შვილებს. დიახ გენო ადამია მიუხვდა შევარდნაძეს მაგრამ ის რა „თეთრი მელა“ იქნებოდა თუ ვერ მოახერხებდა გამოპარვას და საკუთარ თანამემამულეებს არ მიატოვებდა იქ სოხუმში ჩასახოცად. რომელი ერთი შეიძლება ჩამოთვალოს ადამიანმა თუნდაც ის, რომ მეღვინეებს ჯერ შეატანინებდა ღვინის ქარხნებში შაქარს და პესოკს, შემდეგ კი ამ მეღვინეებს ციხეში აგზავნიდა, რათა გაეკვლია თავისი გზა დიდ რუსეთში კრემლისაკენ. აკეთებდა და კისრულობდა ყველას და ყველაფერს, რათა დაეკიდა გულზე „შრომის გმირის დიდი ვარსკვლავი“ მიზნის მისაღწევად!



§3. ისტორიული სინამდვილე ერთია

სამეფო სამთავროებად დაშლილი, დაქუცმაცებული საქართველო (სპარსეთსა და თურქეთს შორის განაწილებული) მხოლოდ რუსეთმა აქცია ერთიან, მთლიან ქართულ სახელმწიფო სრულყოფილ ორგანიზაციად. გაუფრთხილდა, მოიყვანა ცხოვრების წესრიგში, გააძლიერა, გაამრავლა, გააბატონა და დაემორჩილა.

ასეთია წარსული უტყუარი სინამდვილე.

ქართველებმა ვერ შეიმშვნიეს ბოძებული სიკეთეები, ვერ გაიგეს საუკუნის ძახილი, დაიბნენ, გაიქცნენ რუსეთისაგან ამერიკაში, ევროპაში, ნატოში და ეს გრძელდება.

ზოგადად საქართველოს ახირებულმა მცდელობამ რუსული კოლონიალიზმის, ოკუპაციის, საერთოდ ოკუპაციის თაობაზე, ქვეყანას უდიდესი მატერიალური და სულიერი ზარალი მიაყენა.

1.მატერიალური - ათეული წლების მანძილზე პატარა საქართველოს ნიჭიერი ადამიანები მართავდნენ უდიდეს საბჭოთა კავშირს. ქართველები ამაყობდნენ.:

– საკავშირო ბიუჯეტი ინახავდა საქართველოს;

– მდიდარი მატერიალური უზრუნველყოფა მიღწეული იყო;

– საქართველოში აშენებდნენ ფაბრიკებს, ქარხნებს, ქალაქებს;

–მტკიცედ დაიცვეს ტერიტორიის მთლიანობა;

-სწრაფად გამრავლდნენ ქართველები;

–ქართველები ამაყად, თავისუფლად მოძრაობდნენ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

ხანდაზმული ვეტერანი გვარწმუნებს პატარა საქართველოს კოლონია იყო დიდი რუსეთის ძლიერი ქვეყანა. რუსული კოლონიალიზმის ჩივილით დავკარგეთ რუსული კოლონია გავღატაკდით, დავცოტავდით, დავპატარავდით, გავიბენით.

2.სულიერი-დაიკარგა ერთიანი ქართული ეროვნული სულიერება. იდეოლოგია, მსოფლმხედველობა. ერთიანი მიზანი, არავინ არ იცის საით მიექანება ქართული საზოგადოებრიობა, ქართული სახელმწიფო. ასე ვკარგავთ სამშობლოს. პატარა საქართველო განუზომლად დიდი ჩანდა რუსეთიდან მსოფლიოში!

ასეთია ისტორიული სინამდვილე, სიმართლე, ჩემი თაობის გზა.

ასეთია დღევანდელობა რაც უნდა შეიცვალოს სასიკეთოდ! ნამდვილი მართალი ისტორია და არა ყალბი, გაზვიადებული, მცდარი. მაგალითად:

სიწმინდედ მიჩნეული ტყუილის ფასი: 1978 წელი, მოსკოვში საბჭოეთის ახალი კონსტიტუციისათვის ემზადებიან. სარედაქციო სხდომაზე ლ. ბრეჟნევი შევარდნაძეს ,,ედუარდ ამბროსის ძევ, ჩამოყალიბდით, როგორც სამართლიანად მიგაჩნიათ!“, იქვე მ. სუსლოვი ,,ედუარდ ამბროსის ძევ ჩაწერეთ ის, რაც ქართველებს სურთ“. ეს სინამდვილეა, სიმართლეა, ბევრი მომსწრე იხსენებს.

დააკვირდით, მ. სუსლოვის (მთავარი რედაქტორი)_ ნათქვამს, იდეას - ,,ჩაწერეთ ის, რაც ქართველებს სურთო". და შევარდნაძემ საფრთხე შეიყნოსა, მან შეიგრძნო ქართველებისაგან გამოცალკევების საფრთხე. საშიშროება - ,,ქართველებს სურთო"! და არა ქართველებს გსურთო.აღიძრა თბილისში საქართველოს პირველი პირის მოწამლული სიცრუისა, ტყუილისა დღემდე რომ გრძელდება, განუკითხავად, უკრიტიკოდ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა მეცნიერული მაღალი ღირსების კათედრიდან გესლიანი სიცრუე ჩააწვეთა ე. შევარდნაძემ საზოგადოებას: ,,ქართველებს სახელმწიფო ენას გვართმევენო!" და აფორიაქდა ამბიციური საქართველო, დაირაზმა ცრუ პატრიოტთა ჯგუფები - ,,ქართული ენის დასაცავად!" და ეს გრძელდება წლების მანძილზე. სად? რატომ> ვის მიერ გაყალბდა ნამდვილი ისტორია? ქართველობა ღირსია, მოვალეა იცოდეს მართალი ისტორია, თუნდაც დღევანდელი, თანამედროვე. გაუკუღმართებული, შეცვლილ-შელამაზებული სხვის სასიამოვნოდ.

ძალიან მცირე რამ, 2008 წლის აგვისტოს ომზე: მაშინდელი, 2008 წლის საქართველოს აფორიაქებული ახალგაზრდების ხელისუფლება არ უსმენდა, არ ეკითხებოდა თავის ხალხს, არ უმჟღავნებდა ქართველებს, თავისიანებს უმალავდა, ასაიდუმლოებდა მზაკვრულ ჩანაფიქრებს - მეზობლების მიმართ. თანაც მათი სახელის საფარველით და გამოყენებით. სამხედრო საომარი მოქმედება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა მ. სააკაშვილმა ქართველი ხალხის

თანხმობის, მისი ნებართვის გარეშე, მის დაუკითხავად, მისგან მალულად გადაწყვიტა და შევარდა სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთში). დაეჯახა რუსეთის უძლიერეს არმიას, ჩახოცა ახალგაზრდა ჯარისკაცები, დაკარგა ცხინვალი და სამაჩაბლოს მთელი ტერიტორია. ეს, მან მიართვა . პირველმა დაიწყო, პირველმა დაკარგა. დააბრალა რუსეთს ოკუპაცია და დღესაც ცრუპენტელა პატრიოტები გაჰკივიან რუსულ ოკუპაციაზე.

2008 წლის აგვისტო, ცხინვალი, სამაჩაბლო.

დააკვირდით. უძლიერესი ,,ოკუპანტის" შეჩერების შესაძლებლობა არ არსებობდა, თავისუფლად შეეძლო დედაქალაქის ხელში ჩაგდება, არ მოუსმენდა არავის და მიზანს მიაღწევდა.

–ვინ შეუშლიდა - ვერავინ?

–რატომ შეჩერდა გორთან?

–რატომ არ გააგრძელა საომარი მოქმედება?!

–რატომ ცდილობენ საკუთარი დაუძლურება ოკუპაციად გვაჩვენონ!

–რატომ არ კიცხავენ საქართველოს მაშინდელ დამნაშავე ხელისუფლებას? ვინც დაიწყო უაზრო ომი და დაკარგა ტერიტორიები.?!

–რატომ, ისევ დამნაშავეები გაჰკივიან ოკუპაციაზე. რა სურთ?!

–რატომ აღიზიანებენ საზოგადოებას ახალი სიცრუეებით?

სიმართლე სხვაა:

1.ქართველებმა დაიწყეს, უაზროდ დაკარგეს აფხაზეთის არა მარტო ტერიტორია, ხალხის ნდობაც.

2.ქართველებმა გააჩაღეს თბილისში დაუნდობელი ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, ჩახოცეს (113) უდანაშაულო ადამიანი. თბილისის ქუჩებში. პასუხს არავინ აგებს, არავინ ახსენებს, რატომ დუმს საზოგადოება, რომლის შვილებიც დაიკარგნენ აფორიაქებული გონების პოლიტიკოსების დანაშაულებრივი მიზეზით. ვის და რას უმალავენ? ისტორიული სიმართლე ერთია და მტკივნეული.

3.გაგებული გაუგებრობა: 2008 წლის აგვისტო.

ა)ქართველები ემზადებიან. გენერალი ყურაშვილი სატელევიზიო გადაცემაში აჩვენებს სანგრებს, საცეცხლე წერტილებს. მზადება მიმდინარეობს.

ბ)ხელისუფლება ძაბავს ურთიერთობას ცხინვალთან. აშკარა ხდება საომარი საშიშროება . . .

გ) ქართული მხარე ვერ ხედავს, ან არ ხედავს, ვერ აანალიზებს, ან არ აანალიზებს რუსეთთან დაპირისპირების საომარი მოქმედების მკაცრი შედეგების მოსალოდნელობას.

დ) რუსეთის 58 არმიის შესაძლებლობების სტრატეგიულ და ტაქტიკურ სიძლიერეს არაფრად მიიჩნევს.

ე) ქართული სამხედრო შეიარაღებული ნაწილები განაწყეს და შეუსიეს ცხინვალის საზღვრებს, შევარდნენ თავაწყვეტით, დაიწყეს სისხლიანი ოპერაცია და ამაყობდნენ მოულოდნელი თავდასხმის პირველობით, წარმატებებით!

ვ) ჩაკეტეს ყველა საინფორმაციო წყარო, გაასაიდუმლოეს, დაუმალეს საქართველოს მოსახლეობას დაწყებული საშინელება.

ზ) მარცხით დამთავრდა მცდელობა, დაიკარგა ცხინვალი, სამაჩაბლო.

თ) დაიწყო დანაშაულის დაფარვის შეუჩერებელი ლტოლვა. ქართველებმა საქართველოს მცხოვრებლებმა მოისმინეს უამრავი სიცრუე, რაც დღესაც გრძელდება თავის მართლებისა და სხვების დანაშაულის დასადასტურებლად.

ი) თავისგან დაწყებული, გაჩაღებული სისხლიანი დამარცხებული ომი მონათლეს რუსულ ოკუპაციად და გაჰკივიან!

კ) რუსეთის ფედერაციასთან შეწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა.

ლ) ხელისუფლება გაურბის მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებას;

გ) ხელისუფლება კმაყოფილდება ლიტონი, უნაყოფო დაპირებებით, ევროპა, ნატო და ამერიკის წარმომადგენლებისგან.

ნ) მცდარია იმედი, მოლოდინი, ტერიტორიების დაბრუნების, რუსეთთან გონივრული ურთიერთობის გარეშე.

ო) არც ერთი ქვეყანა, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და არც ამერიკა არ დაუპირისპირდება საქართველოს გულისთვის რუსეთის ფედერაციას, საქართველომ მხოლოდ რუსეთთან პირდაპირი დიალოგით. ლანძღვა-გინება კი არა, ნორმალური, ბრძნული დიპლომატიური ურთიერთობის საფუძველზე

სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამოყენებით უნდა მოაგვაროს რუსეთთან ურთიერთობა.

პ) ერთად ერთი სწორი და მომგებიანი გონივრული ნაბიჯია რუსეთთან დიპლომატიის აუცილებელი აღდგენა.

ჟ) საქართველო კუდაბზიკა ამპარტავნებით, ცრუ პატრიოტებითაა გადატვირთული. „ევროპული საქართველო“ უპირველესია, უკადრისობს ქართველურ კუთვნილებას სამყაროში.

დღეს ორშაბათია,. 2017 წლის 24 ივლისი.

P.S.შეაჩერეთ ნაციზმი თუ ქართული ნაციონალიზმი!

ნაციონალების „ევროპული საქართველო“ ქართული ნაცისტური ახალი ორგანიზაციაა, სათავეში გონება გადაღლილი გიგა ბოკერია.

2017 წლის 23 ივლისს, თბილისში, მოეწყო ქართული ნაციზმის სანიმუშო აქცია. მკაცრი მოთხოვნებით. ევროპული ფაშიზმის მსგავსად. ფაშიზმი ცოცხლობს საქართველოში, ადრეული ფაშისტების გრიგოლ რობაქიძე, სპირიდონ კედია ორგანიზაცია „ფაშისტური დარაზმულობა“ ემსახურებოდა ჰიტლერს, მას ემსხვერპლა ათასობით უდანაშაულო, გულუბრყვილო ადამიანი.

მოსალოდნელია ახალმა ფაშიზმმა შეაშფოთოს საქართველოს მომავალი თაობა.

თელავი, კურდღელაური

ადამიანებო! შეაჩერეთ ახალი ქართული ფაშიზმი.

–იხსენით ქართველი ერი სიცრუისაგან! (ჟურნალისტებისაგან)

–იხსენით საქართველო ,,დემოკრატიული დიქტატურისაგან“

–იხსენით ქართული სულიერება მიმბაძველი გახრწნისაგან!

ახალ ნაციზმს გატაცებით ემსახურება მოუთვინიერებელი, აგრესიული ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“ მისი გენერალური დირექტორი გვარამია, განათლების ყოფილი მინისტრი. გადადგა .სწავლის გაგრძელების მიზეზით. აი, განათლებული ახალგაზრდა! სიცრუის ბუხარი თავისი მისწრაფებით საითაც უბიძგებს საქართველოს. გატაცებით აქებს ამერიკა-საქართველოს 25 წლის პარტნიორობას, მალავს ძირითადს - საქართველოს სახელმწიფო ამერიკის კოლონია კავკასიის რეგიონში იმართება ამერიკის ელჩის მიერ რუსეთის წინააღმდეგ. საით მიჰყავთ საქართველო?! რომელია საქართველო?! ევროპული საქართველო?! გაევროპელებული ქართველი, გადაჯიშებული ქართველი, თავისი ეროვნული ღირსების დამკარგავი. სულ სხვა სულიერების ქართველი, ახალი სახე, უდიდესი საფრთხე საქართველოს უახლეს ისტორიაში. ისინი თაკილობენ ქართველობას.

2012 წლის 21 მაისს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრების დახვრეტიდან 90 წლისთავისადმი (სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ,,ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1921-1950წ.წ.“ საფუძველზე.

კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენება:

XXსაუკუნის 40-იანი წლების ქართველი ფაშისტების (სპ. კედიას, მ. კედიას, შ. მაღლაკელიძის, გ. გაბლიანის, გრ. რობაქიძის და სხბ) სინდისზე ქართველი ახალგაზრდების (ტყვეების) 40,000 სამარე მარტო კავკასიაში.

(1942-1943)

იმ დროისათვის საქართველოს მუდმივი მოსახლეობა უდრიდა 1939 წელი: 3540023 ადამიანს:

მათგან ქართველი: 2178922

2016 წლის აპრილის თვეში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენა მოეწყო გერმანია-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის დღეს.

შემოთავაზებულ საგამოფენო მასალებში გამოკვეთილად იყო მითითებული - „მეორე მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე იბრძოდა 40,000 ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი. არ იყო მინიშნება 40000 ქართველის შემდგომი ბედის თაობაზე.

რა მოხდა XXსაუკუნის 40-იან წლებში კავკასიაში მიმდინარე საომარი მოქმედების დროს?! ვინ იყვნენ გერმანელთა სამსახურში ჩამდგარი ქართველები?! მაშინდელი ფაშისტები?

ვის წინააღმდეგ იბრძოდნენ გაგერმანელებული ქართველი ჯარისკაცები?

ჩემი ბოლო თქმა!

გული არ მომისვენებს და არ შემიძლია ჩემი ბოლო სიტყვებით, რომ არ შევეხო ჩვენი დიდი ბელადის, სტალინის მოღვაწეობას! ადამიანმა, რომელმაც გაწირა

საკუთარი შვილიც კი, რადგან როგორც ქართველს, ისე საბჭოთა და მთელ მსოფლიო მშრომელ ხალხს თავი დაეღწია უმძიმესი მეორე მსოფლიო ომის ფაშიზმისაგან და ჩამოეყალიბებინა სრულიად ახალი ტიპის ქვეყანა, რომელიც დაამსხვრევდა მსოფლიოში გაბატონებულ ჯაჭვს, ველურ კაპიტალიზმს და გადავიდოდა სრულიად ახალ „სოციალისტური“ მშენებლობის რელსებზე! ამისათვის, არ შემიძლია, არ გავაკეთო, ორი ერთმანეთისაგან სრულიად განურჩეველი შედარება თუ ვინ იყო ჩვენი ადამიანთა მოდგმის მამა ღმერთი და ვინ იყო ჩვენი ქართველი ერის სიამაყე ი.ბ. სტალინი?! ჩვენი ქართული ქრისტიანული სწავლების მიხედვით თუ ავიღებთ და ვირწმუნებთ მამა ღმერთმა შეჰქმნა, სრულიად არაფრისაგან, ჩვენი დიადი სამყარო! ძაან, რომ არ გამიგრძელდეს, ამ უმშვენიერეს სამყაროს მიუჩინა ჩვენი ადამიანთა მოდგმა, რადგან ამ სამყაროს მოვლა და პატრონობა სჭირდებოდა. დიახ! რაც კი ამ სამყაროში სიმდიდრე იყო, მამა ღმერთმა, ყველას თანაბრად გაუნაწილა. დიახ! გადიოდა დრო და ყოველივე ამას უფალი ღმერთი ზემოდან აკვირდებოდა და ხედავდა თუ, როგორ მბიმემბიმეთ ირყვნებოდა ადამიანთა მოდგმა და ამისათვის მამა ღმერთმა შვა ძე თავისი. დაუჯერებელი ბურუსიანი ლეგენდა. ასე რომ მარიამის იოსებზე დანიშვნის შემდეგ, ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ მარიამი აღმოჩნდა სული წმინდისგან დაორსულებული, რაც ნორმალური გონებისთვის მიუწვდომელია. ამისათვის იოსებს უნდა მარიამი ფარულად გაეშვა, მაგრამ იოსებს გამოეცხადა სიზმარში, უფლის ანგელოზი და უთხრა, „იოსებ ძეო დავითისა, ნუ გაშინებს შენი ცოლის მარიამის მიღება,

ვინაიდან ის ვინც მასშია ჩასახული სულიწმინდისგან არის და იგი ძეს შობს და დაარქმევ მას სახელად „იესოს“, ვინაიდან იგი იხსნის მთელ ხალხს მათი ცოდვებისაგანო! ამისათვის მამა ღმერთმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომ ადამიანთა მოდგმას თვითონ შეეფასებინა მამა ღმერთის მიერ გაღებული მსხვერპლი, ამისათვის მამა ღმერთის მიერ გაწირული იქნა საკუთარი შვილი იოსები. წარმოიდგინეთ ის, რომ რა სისასტიკით აწამებენ იესო ქრისტეს. ყოველივე ამას უყურებდა თვით მამა ღმერთი, მაგრამ ყოველივე ამას მამა ღმერთმა გაუძლო. მამას რომელსაც შეეძლო გადაერჩინა თავისი შვილი ტანჯვისა და წამებისაგან. დიახ! სწორედ მაშინ მიატოვა თავისი საყვარელი შვილი, როდესაც მას გააკრავენ ჯვარზე, ტანჯვით სული ამოსდის, იმდენად დიდია და გაუსაძლისი ხორცის ტკივილი, რომ იესომ მამა ღმერთის მიმართ საყვედურის სიტყვები ათქმევინა! „ღმერთო, ღმერთო რატომ მიმატოვე“.

მამა ღმერთისაგან განწირული იქნა საკუთარი ძე, როგორც გოლგოთას მთაზე იმ საშინელ მდგომარეობის აღსასრულებლად, რასაც ჯვარცმა ერქვა. ასე, რომ მამა ღმერთმა ხალხთა კეთილდღეობის გამო თვით ღმერთმაც კი მსხვერპლის სახით მიიჩნია თავისი საკუთარი შვილი. აქედან გამომდინარე შეიძლება დაისვას კითხვა ვინ იყო სტალინი? მრავალი ათასობით წიგნი დაწერილა სტალინზე კვლავაც მრავალი ათასობით დაიწერება, რადგან სტალინი ეს პიროვნება უძირო ზღვაა, მისი ღვაწლი და შრომა მიმოფანტულია მთელი მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში. მას ვერა და ვერაფერი აღუდგება წინ. იგი რაც არ უნდა რეცხონ და შალონ ვერ წაშლიან რადგან მისი სხეული

ფოლადნარევია. იგი იყო, არის და იქნება! მრავალი საუკუნეების მომავალშიც ის დარჩება მსოფლიო ხალხთა გულებში! დიდია სტალინის როლი მეოცე საუკუნის ისტორიაში. ყველამ კარგად ვიცით, რომ სტალინის შვილი იაკობი ტყვედ ჩავარდა გერმანელებთან. დიახ! სტალინს შეეძლო თავისი საკუთარი შვილის დახსნა, მაგრამ მის წინაშე მრავალი ფაქტორი ამის საშუალებას არ იძლეოდა, რადგან დიდი ბელადი ყოველთვის საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. სტალინის წინაშე დადგა უმძიმესი მომენტი, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდა საკუთარი შვილის გადარჩენის ბედი და ასევე მეორეს მხრივ დიდი ომის ბედი. დიახ ზემოთაც მოგახსენეთ, რომ სტალინს შეეძლო დაეხსნა თავის საყვარელი შვილი. თუ ის ადამიანური ბუნების შესაბამისად იმოქმედებდა, რომელიც მას არ მისცემდა შვილის გაწირვის უფლებას. მაშინ შეიძლება ეს საბჭოთა სარდლობას დააკარგვინებდა იმ დიდი ინფორმაციის მიღებას, რომელსაც ფლობდა ფელდარშალი პაულისი, რომელიც ტყვედ იქნა აყვანილი! გერმანელი ფელდმარშალი პაულისი სტალინგრადის ისტორიულ ბრძოლებში. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა მართლაც სტალინის წინაშე მტანჯველი და უმძიმესი ვითარება. აბა წარმოიდგინეთ ის, რომ მისი შვილის იაკობის ადგილზე სხვა რომელიმე რიგით ჯარისკაცი ყოფილიყო, ასეთ შემთხვევაში ალბათ ეს საკითხი არც კი დადგებოდა, რადგან ტყვე რიგითი ჯარისკაცი არ გაიცვლებოდა ტყვე ფერდმარშალში. გაცვლის ეს საკითხი კი იმიტომ დადგა, რომ ეს ჯარისკაცი სტალინის შვილი იყო. ასეთ არასწორი გაცვლით კი დიდ ბელადს უკანონობა უნდა

დაეშვა, რადგან სტალინის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო ადამიანთა, სოციალურ კლასთა, პრივილეგირებულობის წინააღმდეგ. ასე, რომ იაკობ ჯუღაშვილი საბჭოთა არმიაში ჩვეულებრივი ჯარისკაცი იყო და სხვა არაფერი. დიახ! ამის დასტურიც იყო იაკობის ფრონტის ხაზზე ყოფნაც. სწორედ იყო, რომ საბჭოთა კავშირში ყველა პიროვნება თუ მოქალაქე თანაბარი და თანასწორი იყო და არავითარი პრიცილეგია, რადგან იმ დროისათვის ჩვენს დიად ქვეყანაში „საბჭოთა კავშირში“ სადაც მართლა ყველა დიდი და პატარა ერების მოსახლეობა ცხოვრობდნენ ძმურად და მეგობრულად მათში არავითარი განსხვავება არ არსებობდა და არავითარი პრივილეგია. დიახ! დიდ ბელადს წილად ხვდა ის დიდი მისია, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ სათავეში დასდგომოდა სრულიად მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის მშენებლობას. ასევე მასვე წილად ის დიდი მისია ხვდა, რომ ყოფილიყო მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მძიმე და ყველაზე სისხლიანი სამამულო ომის, როგორც ხელმძღვანელი, ასევე მისი მთავარსარდალი. წარმოიდგინეთ ის თუ როგორ ჩავარდა ტყვედ იაკობი. იაკობსაც ხომ, როგორც სხვას წითელი არმიელის ხალათი ეცვა, მაგრამ იქნებ ამ შავგვრემან მებრძოლში მისი უნარით და გმირული მოქმედებით შეიცნეს მეთაური. რომელსაც ფაშისტები თავგამოდებით ეძებდნენ მათი გუმანი გამართლდა. ოკუპირებულ ვიტებსკიდან ორი ოპელკაპიტანი მოადგა ტყვეთა ბანაკს, მანქანიდან გადმოსულ გერმანელ ოფიცრებს დაგეშილი ძაღლივით წინ მოუძღოდა პატარა ტანის თვალებჩავარდნილი ტყვე

წითელარმიელი რომელმაც გერმანული ოფიცრები იაკობთან მიიყვანა და უჩვენა. „აი ისიც თვითონ ეგ არის სტალინის შვილი უფროსი ლეიტენანტი. მე მას ვიცნობ !“ იაკობს ტანში შეაჟრჟოლა, ამით ხომ იმ გარეწარმა და გამყიდველმა გაქცევის უკანასკნელი შანსი დაუკარგა. ასე რომ 1941 წლის 18 ივლისს ესესელთა გაძლიერებული დაცვის ზედამხედველობით ქალაქ ვიტებსკიდან ახლო მდებარე საველე აეროდრომიდან „იუნკერსით“ სასწრაფოდ ბერლინში გადააფრინეს. ასეთი მძიმე და აუტანელი გამოდგა იაკობ ჯუღაშვილის ბედი სამამულო ომში იაკობ ჯუღაშვილმა გამოავლინა დიდ სამამულო ომში ტყვეობის უსასტიკეს პირობებში გმირობა და გაუტეხლობა! იგი იყო ნამდვილი ღირსეული შვილი კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსი, რადგან გააფთრებული ბრძოლის დროს, როდესაც იგი უკანასკნელ ყუმბარამდე, უკანასკნელი ვაზნის დახარჯვამდე ებრძოდა ალყა შემორტყმულ ფაშისტებს და უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს. იაკობ ჯუღაშვილი არ შეუშინდა ფაშისტების არაადამიანურ წამებას, იგი დარჩა სამშობლოს ერთგულ შვილად. ის ყოველთვის ადიდებდა საბჭოთა ძლევამოსილ არმიას და გერმანელ ფაშისტებს კი ეუბნებოდა, რომ არ სჯეროდა ფაშისტების უძლეველობისა, რომ მათი დამარცხება გარდაუვალი იყო! დიახ! ვერ დაიმორჩილეს, ვერ გადაიბირეს, ვერ გახადეს სამშობლოს გამყიდველი და წარმოიდგინეთ ის, რომ როდესაც ერთ-ერთი ფაშისტი ეტყვის იაკობს, რომ „ჩვენ შენი სიცოცხლე გვინდოდა შეგვენარჩუნებინა, რათა მამათქვენს გაეცვალა შენი თავი ერთ-ერთ გენერალზე, მამათქვენმა უარი განაცხადაო“. აი,

მაშინ კი, იაკობი ღიმილით გასცემს სამაგიერო პასუხს. „აკი გითხარით, რომ მეც და მამაჩემიც ერთი აზრისანი ვართო!“ ასე, რომ ვერ გატეხეს გერმანელმა ფაშისტებმა გმირული ქართული სული და 1943 წლის 14 აპრილს ვერაგულად მოსპეს იგი. აქედან გამომდინარე მინდა მკითხველს უბრალოდ შევახსენო ის ვითარება, რომ თუ ამ შემთხვევაში და საერთოდ იაკობ ჯუღაშვილი არ გაიზიარებდა ნებისმიერი საბჭოთა ჯარისკაცის ბედს, რადგან საბჭოთა კავშირში ნებისმიერი მოქალაქე თანასწორუფლებიანი და თანაბარი იყო. ყველა მოქალაქე ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეს იაკობ ჯუღაშვილი იქნებოდა, თუ ნებისმიერი სხვა რომელიმე ეროვნებისა, რადგან მნიშვნელობა არა ჰქონდა ეს სტალინის შვილი იქნებოდა, თუ სხვა რომელიმე უბრალო გლეხის ან მუშის შვილი, ასე რომ საბჭოთა კავშირში კანონი ყველასათვის ერთი იყო. აბა დაფიქრდეთ და საღი თვალებით შევხედოთ ერთმანეთს თუ სტალინი ამ კანონს დააღვევდა და იაკობს დაიხსნიდა, ამ შემთხვევაში მთელი, მარტო საბჭოთა ხალხისათვის კი არა მსოფლიოს თვალში ეს იქნებოდა უაღრესად საშინელი გადაწყვეტილება და მთელი მსოფლიო ხალხებისათვის თვალში ნაცრის შეყრა. ამისათვის დიდმა ბელადმა, რაც არ უნდა ყოფილიყო მძიმე და გაუსაძლისი ტკივილი საკუთარი თავისათვის, მან გაუძლო ყოველივე ამ ტანჯვას და მიატოვა საკუთარი შვილი, არ დაიხსნა საშინელი ტანჯვისა და სიკვდილისაგან. ასე, რომ მამას რომელსაც შეეძლო საკუთარი შვილის დახსნა, ამ საშინელი ტანჯვისა და სიკვდილისაგან, სწორედ მაშინ მიატოვა საკუთარი შვილი დიდმა ბელადმა და აირჩია სრულიად სწორი და ნათელი გადაწყვეტილება, რასაც ქვია

სამართლიანობა. დიახ! სტალინმა გაწირა თავისი საყვარელი შვილი მაგრამ დიდმა ბელადმა არ გაწირა მსოფლიო ხალხთა რწმენა, მან არ გაწირა სამართლიანობა. არ გაწირა პატიოსნება, მან არ გაწირა სინდისი და ნამუსი, არ გაწირა თავისი კაცობა. ამით დიდი ბელადი სტალინი გახდა მსოფლიოში ნომერ პირველი ადამიანი, რომელმაც არ დაარღვია ადამიანური სამართლის პრინციპი და იგი ამაღლდა მსოფლიო ხალხთა შორის ყველაზე მაღლა, რადგან მამა ღმერთის მსგავსად მან გაწირა საკუთარი ძე იაკობი, რათა მსოფლიო კაცობრიობა ეხსნა გიტლერული ფაშიზმისაგან. ასე, რომ აქ მინდა გავავლო პარალელი და ვთქვა ის, რომ თუ მამა ღმერთმა გაწირა საკუთარი ძე ქრისტე მსოფლიო ხალხთა ცოდვების გამოსახსნელად, ანალოგი გაიმეორა დიდმა ბელადმა ი.ბ. სტალინმა და გაწირა თავის საყვარელი ძე იაკობი რათა დაეხსნა მსოფლიო ხალხები ჰიტლერული ფაშიზმისაგან, რომელსაც ერქვა მსოფლიო მეორე სამამულო ომი.

ახლა რაც შეეხება პატივცემულო ელგუჯა, ამ საშინელი ომის პერიოდში რაც საბჭოთა სარდლობამ თავის საკუთარი ხალხის მსხვერპლი გაიღო და მსოფლიო კაცობრიობა გიტლერული ფაშიზმისაგან გადაგვარჩინა. აი სწორედ ამ დროს რამდენ რეკლამებს უკეთებენ დასავლეთის ფართო წრეები იმას, რომ თუ არ გახსნიდა მეორე ფრონტს ინგლის-ამერიკის მიერ ერთობლივი ძალები ამ შემთხვევაში შეიძლება საბჭოთა კავშირს ომი წაეგო, რაც მტკნარი სიცრუეა და რაც სუფთა ტყუილია. აი სწორედ ამისათვის პატივცემული ელგუჯა ჩვენს ახალგაზრდობას ტვინს უბრუნებენ, ტვინს რეცხავენ მსგავსი პროპაგანდით, რომ

თითქოს მათ მიერ მოხდა გამარჯვება და წარმოიდგინეთ ის, რომ ჩვენი ტვინგამორეცხილი ხელისუფლება, გინდ პრეზიდენტი მარგველაშვილი, გინდ პრემიერ მინისტრი კვირიკაშვილი და სხვა ნებისმიერი ჩინოვნიკები ყველანი ესენი ,,პოზიცია თუ ოპოზიცია“ ესენი ყველა ერთია, რომ იტყვიან, მაგრამ მსგავსი დანაშაულისათვის მთელ საბჭოთა კავშირში ასე სასტიკად არავინ დაუსჯიათ. ჩემი პატარა აზრით ვამბობ იმას, რომ ედუარდ შევარდნაძე გახდა თავისი ერის წინაშე სასტიკი და დაუნდობელი პიროვნება. ამას ყველაფერს იმისათვის აკეთებდა და სწირავდა ხალხს, რათა დაემტკიცებინა კრემლისათვის თავისი კომუნისტური ერთგულება პარტიის წინაშე, რათა ასულიყო უმაღლეს მწვერვალზე და საკუთარ გულზე დაეკიდა შრომითი გმირის დიდი ,,ვარსკვლავი“, რათა როგორმე მიეღწია თავისი ოცნებისათვის, რომ როგორმე გაეხსნა კრემლის დიდი კარები, რასაც ალბათ მიაღწია კიდეც. ეს ყველაფერი კი ქართველი ერის განადგურებით მთავრდებოდა, რადგან მას იმ დროისათვის საკუთარი ხალხი და მათი აზრი აღარ აინტერესებდა. მაშ როგორ გაიკვლია და მოექცა ქვეყნის სათავეში ედუარდ შევარდნაძე?! ერთ მშვენიერ დღეს უცებ მთელ საქართველოში გავრცელდა ხმა, რომ შევარდნაძე მოსკოვში გამოიძახეს და გარბაჩოვმა მას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ჩააბარა. ამასთან ერთად გახდა საბჭოთა ქვეყნის პოლიტბიუროს წევრი. ედუარდ შებადრნაძე მარტო საქართველოს მტერი არ ყოფილა, ის უპირველესად იმ დიადი საბჭოთა კავშირის მოღალატეც იყო, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრადაც, მეორე მოღალატემ და ასევე ,,ცეერუს“ მიერ

„დავერბოვკებულმა“ გორბაჩოვმა დანიშნა. ალბათ ჩვენ ხალხს კარგად ახსოვს ის, რომ როდესაც გორბაჩოვი და რეიგანი რეიკიავიკში შეხდნენ, აი სწორედ ამ შეხვედრაზე გაუმხილა რეიგანმა გორბაჩოვს, რომ შევარდნაძე მათი ერთგული აგენტი იყო. გორბაჩოვის დაბრუნებისთანავე რუსეთის სპეცსამსახურებმა ამის შესახებ ყველაფრი დეტალურად აუხსნეს, ის ინფორმაცია, რომ შევარდნაძე დასავლეთის და პირადად ამერიკის ერთგული აგენტი იყო, მაგრამ გორბაჩოვმა ამ ყველაფერს ყური არ დაუგდო და შევარდნაძე მაინც დანიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად, რადგან, როგორც მოგეხსენებათ თვითონ გორბაჩოვიც „ცეერუს“ „დავერბოვკებული“ ამერიკის აგენტი იყო. ახლა კი იმას რაც შეეხება სისხლიან გადატრიალებას საქართველოში, კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საქართველოდან განდევნასადა შევარდნაძის მოსკოვიდან ჩამოთრევას! ეს რუსეთს კი არ გაუკეთებია პუტჩი საქართველოში მოაწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და თავისი აგენტი ედუარდ შევარდნაძე ჩვენი ქვეყნის მმართველად დანიშნა. აწ გარდაცვლილი ზვიად გამსახურდია რუსეთთან კერძოდ პრეზიდენტ ელცინთან სიტუაციას ალაგებდა და ეს 1991 წლის მარტში ზვიადისა და ელცინის ყაზბეგის შეხვედრამაც დაადასტურა. როცა კი დასავლეთმა და უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაინახეს, რომ ზვიად გამსახურდია მათთვის უმართავი იყო და რუსეთთან სიტუაციის ნორმალიზებასაც წარმატებით აგვარებდა, დაამხეს და მის ნაცვლად დასვეს თავისი აგენტი და მონა ედუარდ შევარდნაძე. ასე რომ რუსეთის პრეზიდენტი

ელცინის დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ იყო დანიშნული და ამერიკა რასაც უნდა იმას აკეთებინებდა. დიახ, დღესაც საქართველო დამპალი შევარდნაძის ინსტრუქციებით იმართება. დიახ! დღესაც ჩვენი ქვეყანა იმართება იმ სქემით, რომელიც შევარდნაძემ თავისი დასავლეთელი პატრონების კარნახით შექმნას. სწორედ ამ სქემას ეწირება ქართველი ერი. სააკაშვილის და დღევანდელი ხელისუფლებაც საქართველოს მართავდნენ და მართავენ შევარნაძის მიერ შემუშავებული სქემით. პრეზიდენტმა პუტინმა არაერთხელ გამოთქვა მზადყოფნა რუსეთ-საქართველოს შორის უმაღლესი დონის მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. ამას ამბობს რუსეთის პრემიერმინისტრი, ამაზე ლაპარაკობს ლავროვიც, მაგრამ რა გინდა?! ჩვენი ბეცი ხელისუფლება მხოლოდ დასავლეთის კარნახით არიან დაკავებულები. ასე, რომ დღესაც საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს, ჰყავს მხოლოდ ამერიკის ელჩი და რომელიც წარმატებით ატარებს დასავლურ პოლიტიკას. ასე, რომ მე როგორც ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი უბრალო მოქალაქე მოვუწოდებ დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას, კარგად დაფიქრდეს და გაიაზროს ის, რომ რაც საქართველოს თავს დღეს დღეობით ხდება! ეს ყოველივე შევარდნაძის მიერ თავსმოხვეული პოლიტიკაა, რომელიც საქართველოსათვის ყოვლად მიუღებელია! გთხოვთ დაანებოთ დამპალი შევარდნაძის ნაკვალევზე სიარულს, რომელიც წარმოადგენს დასავლურ აგენტურას და რომელშიაც დოლარებს გიხდიან. ჩემი თხოვნა იქნება, რაც შეიძლება მალე, მოკლე ვადაში დაარეგულიროთ და გაათბოთ რუსეთთან გაყინული

ურთიერთობა, რადგან გახსოვდეთ ყველას, მხოლოდ რუსეთშია საქართველოს გადარჩენის გზა, გახსოვდეთ ისიც, რომ რუსეთის დახმარებით საქართველო გახდება უფრო „ევროპულიც, დასავლურიც და აზიურიც“. გახდება უფრო ცივილიზებული და მსოფლიოში მოწინავე ქვეყანა, სადაც ქართველი ერი ამოისუნთქებს. აშენდება ფაბრიკა-ქარხნები, განვითარდება სოფლის მეურნეობა და სხვა მრავალი საწარმო, გამთლიანდება საქართველო! ამას ყველაფერს მოგიწოდებთ ჩემი წრფელი გულით, თორემ გაივლის წლები თქვენც თითოეული დაბერდებით და მაშინ მიხვდებით, თუ რა დიდი დანაშაული ჩაგიდენიათ თქვენი საკუთარი ერის წინაშე, რომელსაც ჩვენი ქართველი ერი ამას არ გაპატიებთ. არ გაპატიებთ „უფალი ღმერთი“, რადგან თქვენ მორალურად ხოცავთ ქვეყნის წინაშე დამსახურებულ მოხუცებს უწამლოდ, ულუკმაპუროდ, უსითბოთ, უსახლკაროდ, რომლებიც ოდესღაც მთელი ენთუზიაზმით მუშაობდნენ და აშენებდნენ ჩვენს დიად საქართველოს. გთხოვთ კარგად დაფიქრდეთ, რადგან ამოვარდება მძიმე და ცივი ქარიშხალი, რომელიც წაგლეკავთ და ზედ გადაგივლით, დამერწმუნეთ ეს ასე იქნება.

უცხო, ევროპელების წაქეზებით მოჯადოებულ სულს

გაფიცხებული ქართველების მიერ ერთხელ დაშვებული შეცდომა გამოუსწორებლად მეორდება. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა საგარეო კურსი ევროპისკენ, გერმანიისკენ აიღო, გააგზავნა

დელეგაციები, ემსახურა სისხლიან ფაშიზმს, იმსხვერპლეს ათასობით ქართველი, გახდა საერთაშორისო ადამიანურობის მიმართ დანაშაულის მონაწილე. ეს ვერ გაუგიათ, ეს არ დაუგმიათ, ეს კი ისტორიული სინამდვილეა. სინამდვილე, რომელიც ყველა ქართველს აფრთხილებს ნაციონალიზმის საშიშროებაზე.

XXI საუკუნის 20-ანი წლების ნაციონალურმა (ე.წ. ნაცებმა) უამრავი ზიანი მიაყენეს საქართველოს ყველა დარგში. გამოუსწორებელი შეცდომა მეზობელ რუსეთთან დამოკიდებულებაში. იმის ნაცვლად, რომ რუსეთთან შეძლონ სადავო პრობლემების პირდაპირი მოგვარება ცრუობენ ხელისუფალნი: „ამერიკამ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებას“, ან „საერთაშორისო მეგობრობა“ აღიარებს საქართველოს და ა.შ. მტკნარი სიცრუე და საქართველოს მომავლისათვის ღალატის საფუძველია. დოლარებით გაბრუებული ქართველები ელაქუცებიან ამერიკას.

ოდესღაც მიმიმართავს მავანთათვის: დაიფიცეთ მომავალში აღარ მოწამლით ადამიანის სულს. ნაციონალიზმი შენთვის პირმშოა, საშინელი მტერი საქართველოსა და ქართველებისათვის.

ერის კაცობა ძალათ კაცებმა და კაცუნებმა ჩაიგდეს ხელშიო, დაიჩემეს! სულის სიმახინჯეს კი ვერ ასცდნენ! ფიზიკურს ვინ ჩივის, სული წაგერთვათ.

ისტორიულმა მეხსიერებამ შეულამაზებლად, შეუმხდარად შემოგვინახა თაობების შრომითი, შემოქმედებითი გონიერების შედეგები, რომელსაც

სრულიად უსამართლოდ და მიზანმიმართული სიცრუით აყალბებენ: ყალბი პათოსით პატრიოტობენ დამნაშავეები - სამწუხაროდ.

საქართველოს XXსაუკუნის 20-30-იანი წლების უსწავლელმა ბრძენმა თაობამ დაიცვა საქართველოს მთლიანობა, გაამდიდრა, გააძლიერა ერი, გაამრავლა. მომდევნო უცხოეთში ნასწავლმა ბრიყვმა თაობამ დაშალა, დაანგრია.

ზევითაც მოგახსენეთ, როდესაც შევარდნაძეს ეყო გამბედაობა და მისცა ფიცი საქართველოს ახალგაზრდობის სახელით, სპორტის სასახლეში, დეგენერატ ხრუშჩოვს, ხრუშჩოვმაც არ დააყოვნა და გულში ჩაიკრა, გაიძვერა შევარდნაძე და გადაკოცნა. წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც ჩამოვიდა შიშით საქართველოში. 1956 წლის 9 მარტის სისხლისღვრის შემდეგ, ქართველი ხალხის გულში ჯერ კიდევ არ იყო განელებული და გამოსული იმ ბურუსიდან ხრუშჩოვისეული სტალინისადმი პიროვნების კულტისაგან. მოდით ვიყოთ მართლები და პირდაპირები, ხალხი მაინც ტაშის გრიალით ეგებებოდნენ, როგორც თბილისში, ასევე რაიონებში ხომ შეიძლებოდა ხალხს ზურგი ეჩვენებინა დეგენერატ ხრუშჩოვისათვის? მაგრამ მოხდა პირიქით, კაცი, რომელიც ოცნებობდა „საქართველოზე - უქართველებოდ“. ალბათ სტუმარ-მასპინძლობა ჩვენს გენებშია და სხვა არაფერი. ხრუშჩოვის წასვლის მეორე დღესვე ელვის სისწრაფით გავარდა ხმა რომ „შევარდნაძეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ნიშნავენო! მაგრამ წარმოიდგინეთ ის, რომ ამ პოსტზე იმ ხანად მუშაობდა კაცი, რომელიც ძალიან მძიმე

აღმოჩნდა რადგან როგორც მაშინ ამბობდნენ ეს კაცი თითქმის მთელ საქართველოს ხელმძღვანელობდა. ეს კაცი გახლდათ გიორგი გეგეშიძე. მას თითქმის დიდი ავტორიტეტი ქონდა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ასეა თუ ისე ხრუშჩოვის წასვლის შემდეგ ცოტა მიწყნარდა მდგომარეობა და შევარდნაძე გადაიყვანეს მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად. ამ დროისათვის შევარდნაძეს გაუჩნდა მოწინააღმდეგე მხარე, რომლებსაც ეგონათ, რომ შევარდნაძე თავის კარიერას მცხეთაში დაასრულებდა მაგრამ მოხდა პირიქით შევარდნაძემ მცხეთაში მოითხოვა სამართლიანობა და გაილაშქრა კორუფციის წინააღმდეგ. როგორც იმ ხანად ამბობდნენ „შევარდნაძეს საკუთარ სახლშიც კი ვერ სცნობდნენ თუ რა პიროვნებას წარმოადგენდა“. დიახ, მას ერთი წუთითაც არ უფიქრია დაეკარგა იმედი მომავალი მწვერვალის დასაპყრობად. არც კი დავიწყებია, რომ მას უკვე ბევრი დაუძინებელი მტერი გამოუჩნდა და საჭირო იყო ებრძოლა მათ წინააღმდეგ და გაენადგურებინა. მაშ რით უნდა ებრძოლა მათ წინააღმდეგ, რომ ხალხის ვითომდა ნდობა მოეპოვებინა. დიახ, ახალგაზრდა გაიძვერა შევარდნაძე მიხვდა, როგორ მოქცეულიყო ამ კრიტიკულ მომენტში და ჩაეხედა უსამართლობისაგან თუ კორიფციისაგან გაწამებული მშრომელი ხალხი გულებში და მოეპოვებინა მათი ნდობა, რითაც იგი გახდებოდა ხალხის თვალში უფრო პოპულარული და აირჩია მან ძალაუფლებისა და პოპულარობის მოპოვების იმ მომენტისათვის ყველაზე სწორი გზა. იგი აღუდგა უსამართლობას და კორუფციას მცხეთაში, მაგრამ

შევარდნაძემ ისაც კარგად იცოდა, რომ ეს პრობლემა მარტო მცხეთაში არ იყო, ეს პრობლემა მთელ საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა და იდგამდა ფესს. იმ ხანად მცხეთაში მთელი ქაოსი მიმდინარეობდა ცალკეულ ორგანიზაციებსა თუ ხალხის მიერ მიწების უკანონოდ მითვისების საქმეები, შეისწავლა და ამოატივტივა ბნელი საქმეები - „შევარდნაძემ კანონის სრული აღდგენა მოითხოვა და მათ წინააღმდეგ მთელი ენერგიით გაილაშქრა“, რითაც მთელი მცხეთელი მოსახლეობა გაოცებული დარჩა. დიახ, შევარდნაძის ამ პირველი ნაბიჯით მცხეთელი მოსახლეობის ნდობა და პოპულარობა მოიპოვა. იმ ხანად იმასაც ამბობდნენ, რომ შევარდნაძის მოწინააღმდეგეებმა მოაგროვეს დიდი ფული, რათა მოეშორებინათ მცხეთიდან, რაც მართლა მოხდა კიდეც. შევარდნაძე გადაიყვანეს უფრო რთულ პოსტზე თბილისის მაშინდელი პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივნად. უნდა ითქვას ის, რომ ამ დროისათვის შევარდნაძეს თბილისში უკვე მრავალი მტერი ჰყავდა და ფიქრობდნენ მის მომავალ გადაადგილებაზე, რათა შეერჩიათ ისეთი პოსტი და ადგილი, საიდანაც ვითომ, მათი ფიქრით წელში ვერ გასწორდებოდა. მართლაც შემდგომ გამოჩნდა ასეთი თანამდებობა. განთავისუფლდა საქართველოში ციხეებისა და კოლონიების უფროსის ადგილი. სასწრაფოდ მოიყარეს თავი შევარდნაძის მოწინააღმდეგე მხარემ და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ პავლეს ძე მჟავანაძეს მოახსენეს რომ განთავისუფლდა ციხეებისა და კოლონიების უფროსის ადგილი და ამ ადგილზე გთხოვთ დავნიშნოთ ახალგაზრდა პატიოსანი, კრისტალივით სუფთა ადამიანი

ედვარდ შევარდნაძეო. ვასილ მჟავანაძეს კი უთქვამს თუკი ასეთი ახალგაზრდა პატიოსანი, ენერგიული, სუფთა ადამიანია, აგერ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ადგილი განთავისუფლდა და იქ გადავიყვანოთო. აი აქ ჩაიჭრა შევარდნაძის მოწინააღმდეგე მხარე. მათ ვერ გათვალეს ეშმაკი შევარდნაძის გონიერება და შესაძლებლობა. ასე დაიკავა შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის სავარძელი. დიახ, შევარდნაძე მთელ რესპუბლიკაში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, მისი თანამდებობის დაკავების დღიდან, იქცა მინისტრადაც და საქართველოში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებად. ხალხის თვალში მან გახსნა რამოდენიმე საქმე. რითაც შეუტია თავის მოწინააღმდეგე მხარეს და რითაც მან მთელი საქართველოს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და რითაც გაიმვირა, ეშმაკი შევარდნაძის ავტორიტეტი და პოპულარობა საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. მის მიერ ბრძოლამ კორუფციასთან, უსამართლობასთან, ძალადობასთან და სხვა. იმ ხანად მთელი საქართველოს იმდროინდელი ინტელიგენცია და ჩვეულებრივი მთელი მოსახლეობა შევარდნაძის მხარეს დადგა და ამ ყოველივეს სიხარულით ეგებებოდნენ. ედუარდ შევარდნაძემ ენერგიულად შეუტია თავის დაუძინებელ მტრებს და მათი განადგურების შემდეგ გახდა მინისტრი. აი, სწორედ ამის შემდე, პირისპირ დარჩნენ ვასილ მჟავანაძე და ედუარდ შევარდნაძე. იმ ხანად ვასილ მჟავანაძეს მხარეს იდგნენ თითქმის საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და კანდიდატების მთელი არმია. ყველას, რომ თავი დავანებოთ,

გრომიკოს, მაშიროვს, ვასილ მჟავანაძეს და არ სასსენებელ სრუშჩოვს, ამ ოთხ ადამიანს ოთხი და ჰყავდათ ცოლად. ეს ოთხივენი „ქვისლები“ იყვნენ. ეს ოთხი ქალბატონი ზინოვიევის ქალიშვილები იყვნენ. რაც ვასილ მჟავანაძეს ზურგს უმაგრებდა. მჟავანაძეს მოსკოვში ჰყავდა ძალზე გავლენიანი მეგობრები და რა თქმა უნდა მფარველებიც კი. შევარდნაძე კი განა რითი უნდა დაპირისპირებულიყო ვასილ მჟავანაძეს? ედუარდ შევარდნაძემ თავისი მინისტრობის პერიოდში ძირფესვიანად შეისწავლა საეჭვო პიროვნებათა საქმეები და მათზე გახსნა საქაღალდეები. მაგრამ შევარდნაძე ამ საქაღალდეებით არ დაუპირისპირდა, რადგან ამ საქაღალდეებით შევარდნაძე რომ დაპირისპირებოდა. მან კარგად იცოდა, რაც ელოდა. ამისათვის შევარდნაძე დაუპირისპირდა რპოგორც პ[იროვნება ედუარდ შევარდნაძე სიმართლისათვის, პატიოსნებისათვის მებრძოლი კაცი, რომელსაც პატივს სცემდა ქართველი ხალხი, რომელშიც ხედავდნენ მხსნელსა და იმედს. იმ პერიოდში შევარდნაძემ კარგად შეისწავლა კრემლისაკენ მიმავალი გზა. გზა, რომელიც ხან დროს ბეწვზე ეკიდა. შევარდნაძე ხდება თანამიმდევრულად ჯერ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდგომ კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. ყოველივე ეს უბრალოდ არ მომხდარა. შევარდნაძემ კარგად შეისწავლა თუ როგორ მიედინებოდა კრემლისაკენ მიმავალი საქართველოდან გაღებული ხარჯი და აი, აქ, მართლაც გაუმართლა თავისმა გონივრულმა ალღომ და მიენდო იმ დროინდელ ბრეჟნევის ფავორიტს შინაგან საქმეთა მინისტრს ამხანაგ შჩოლოკოვს. იმ

დროინდელი მოსკოველი მეხარკეები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შევარდნაძე როგორმე დაეპატიმრებინათ მაგრამ შევარდნაძემ შეუძლებელი შეძლო და სულ რაღაც ორ დღეში, რა თქმა უნდა ისევ და ისევ შჩოლოკოვის თავგანწირული და ენერგიული დახმარებით რამის უიმედო საქმე ამოტრიალდა და რესპუბლიკის სათავეში მოექცა ეშმაკი და გაიძვერა ედუარდ შევარდნაძე. დიახ, ბევრი რომ არ გავაგრძელო ეს ყველაფერი მოსმენილი და გაგონილი მქონდა დახურულ პარტიულ კრებებზე, ბევრიც ითქმებოდა კულისებშიც, ბევრი იმ დროინდელი ჩვენი სასიქადულო მწერლობა და ისტორიკოსები ამხელდნენ იმ მავნებლობას, რაც იმ ხანად, იმ დროს, საქართველოში კი არა, არამედ მთელ საბჭოეთში უბედურება ხდებოდა, მე როგორც პარტიის წევრს და კომუნისტს, შედარებით უბრალო ადამიანს, მაინტერესებდა ჩემი ქვეყნის მომავალი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტში ჩამეხედა ამისათვის ვიწერდი პრესას: გაზეთებს „კომუნისტს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „სოფლის ცხოვრებას“, პატარა ჟურნალებს „პარტიულ სიტყვას“, „საზრის“ და სხვას. ასე რომ როგორც კი ედუარდ შევარდნაძე მოექცა ქვეყნის სათავეში და გახდა პირველი თავკაცი ყველას და მათ შორის მეც მეგონა, რომ საქართველო მისი ხელმძღვანელობით გახდებოდა სამართლიანი ქვეყანა და გაიძვერა შევარდნაძე მოგვევლინებოდა, როგორც საქართველოს მშრომელი ხალხის მხსნელი და ქომაგი. მაგრამ მოხდა პირიქით, მან დაივიწყა ქართველი ხალხი, ყველა და ყველაფერი. მან გაიარა თავისი დაუოკებელი გზის პირველი ეტაპი და დარჩა მეორე უფრო რთული, რომელიც არ იყო ია ვარდებით

მოფენილი გზა. შევარდნაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ მას კრემლის ხელმძღვანელობისათვის კიდევ არაერთგზის უნდა დაემტკიცებინა თავისი ერთგული ურყევი კომუნისტობა. შევარდნაძეს ისიც ასსოვდა თუნდაც მაშინ სპორტის სასახლეში ხრუშჩოვის სიყვარულსა და ერთგულებას რომ ეფიცებოდა. ამისათვის ედუარდ შევარდნაძემ აირჩია ქართველი ხალხის წინააღმდეგ უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება, რაც რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა მის კარიერულ წინ სვლას „კრემლის მესვეურთა თვალში“. წარმოიდგინეთ ის, რომ ედუარდ შევარდნაძეს ბედმა გაუღიმა. ის, რომ 1974 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობამ საბჭოთა დელეგაცია კერძოდ ბრაზილიაში გაუშვეს და ამ დელეგაციის სათავეში შევარდნაძე დაუნიშნეს და გაუშვეს. „ცეერუმ“ სწორედ მაშინ „დაავერბოვკა“ დასავლეთის სპეცსამსახურებმა. შევარდნაძე, როგორც აგენტი „დააკონსერვეს“ შეინახეს და მის კარიერულ წინსვლას ხელი შეუწყეს. დიახ! სწორედ აქედან იწყება ქვეყნისა და ქართველი ერის განადგურება! შევარდნაძე გახდა მკაცრი და დაუნდობელი. მან საქართველო ჩააგდო კორუფციულ ჭაობში. საქართველო გახადა პოლიციურ ქვეყანად. რადგან პოლიციას ყველა სფეროში და სტრუქტურებში ჰქონდა თავისი გავლენა. აბა გაიხსენეთ, თუ რა დღეში ჩააგდო სოფლის მეურნეობა? როგორ აზიდინებდა ღვინის ქარხნებში შაქარს, შემდეგ კი ციხეში უშვებდა ალამართალ ადამიანებს. გაანადგურა განათლების სისტემა/. აბა გაიხსენეთ, როგორ იყიდებოდა სკოლებში „ოქროს მენდლები“, რომელიც დაახლოებით ხუთმეტიდან ოცი ათასამდე მანეთი ჯდებოდა?!

შევარდნაძეს მავნებლობაზე ზემოთაც მოგახსენებთ, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა ის, რომ შევარდნაძე გახდა მკაცრი და დაუნდობელი! გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ გაწირა მან სასიკვდილოდ თბილისის ოცდაექვსი კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე. განა მხოლოდ იმიტომ გაწირა, რომ კობახიძე მექრთამე იყო?! განა მაშინ მექრთამეობისათვის ვისმეს ხვრეტავდნენ?! განა იმ ხანად მთელი საქართველო მექრთამე არ იყო?! იქნებ პიროვნული ღალატიც იყო. მოდი ვიყოთ პირდაპირები და ვთქვათ ის, რომ განა იმ ხანად შევარდნაძეზე დიდი მექრთამე ვინმე იყო?! აბა გაიხსენეთ ზემოთაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე როგორ დახვრიტა თვითმფრინავის გამტაცებელი ყმაწვილები და ყოვლად უდანაშაულო მღვდელ-მსახური. განა იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის მასშტაბით თვითმფრინავი არ გაუტაცებიათ ან „ტურა მგლის ფერიაო“. მათში არანაირი სხვაობა არ არსებობს, რადგან ყველა ესენი ერთად დაწყებული მთავრობის წევრებიდან და საერთოდ პარლამენტის თვითოეული წევრი ამერიკის პრეზიდენტის ტრამპისა და მისი ხელისუფლების მლოკველები არიან. მათში არავითარი ქართული ეროვნული თესლი არ დევს. ესენი ყველა „ცერუ“-ს დაქირავებული აგენტები არიან და ნამდვილად ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის მოღალატეები არიან. დიახ. ის რაც ჩემს ბოლო თქმაში ვთქვი მკითხველს მოვახსენე დიდი ბელადი ი.ბ. სტალინის შესახებ. გეფიცებით ყოველივე ამას ჩემი გულისტკივილით მოგახსენებთ, რადგან დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი ამოუწურავი თემაა დღესაც და მომავალშიც. ვფიქრობ

მომავალში ჩვენი სამართლიანი ისტორიკოსები მოგბაძავენ თქვენ და დიდ ბელადს წარმოუჩენენ ჩვენს მომავალ თაობებს მეოცე საუკუნის ნამდვილ ისტორიას თუ ვინ იყო ჩვენი თანამემამულე დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი. ასე, რომ მე როგორც ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ, ჩემი ქვეყნისა მსურს დიდი მადლობა მოგახსენოთ ყველას თითოეულს თქვენთაგანს ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს: ელგუჯა მამუკელაშვილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი.

ლევან სვანიძეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ვალერი კვარაცხელიას - ჟურნალისტი, მწერალი და პუბლიცისტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გრიშა ონიანს საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე.

ელიზბარ ჯაველიძეს - აკადემიკოსი.

თემურ ფიფიას საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე.

ივანე ბუჩუკურს საქართველოს ავიაციის სპეციალისტი.

ბოდიშს ვუხდი ყველას, ვისაც ვერ ვასახელებ და ყველას ვისაც დღესდღეობით გული სტკივა ჩვენი გაუბედურებულ ერსა და ქვეყანაზე. ასე, რომ მსურს კიდევ და კიდევ მოგახსენოთ დიდი მადლობა იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც თქვენ თვითეულს გაქვთ ჩვენი ქვეყნის აღზრდის საქმეში, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მეცნიერების საქმეში მაპატიეთ და რაოდენ სამწუხაროა ის, რომ ასეთი

ძვირფასი ადამიანები როგორებიც თქვენ ბრძანდებით და სხვა მრავალი გვყავს ასეთები დღეს დღეობით ჩრდილში არიან მოქცეულები. დიახ, მითქვია და კიდევაც ვიტყვი, რომ დღეს საქართველოს არ ჰყავს თავისი ეროვნული ხელისუფლება და არ ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მომავალზე, მხოლოდ დაკავებულები არიან საკუთარ კეთილდღეობაზე. დიახ! პატივცემულო ელგუჯა მე ხელთ მაქვს ერთი ასეთი პატარა, ორასოც გვერდიანი წიგნი, სადაც პირველ გვერდზე აწერია სათაურად „გულახდილი საუბრები“. წიგნი მეოთხე. ეს არის კომუნისტების დროინდელი, სადაც მეორე გვერდზე აწერია „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი“.

„იდეოლოგიური აქტივის დასახმერბლად“. ამ წიგნში თითქმის ყველა შეკითხვაა დასმული და იქვე პასუხი გაცემული. ამით მე მინდა გითხრათ და რა თქმა უნდა მკითხველსაც, რომ ჯერ კიდევ იმ დროიდანვე რამხელა რეკლამას უკეთებენ - თუ არა ინგლის-ამერიკის მიერ მეორე ფრონტის გახსნა ვითომ საბჭოთა კავშირი ომს წააგებდა და წარმოიდგინეთ ის რომ ევროპამ როგორი ზარზეიმით აღნიშნა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის მე-40-ე წლისთავი 1984 წელს, სადაც სიტყვაში გამობრძანდა ამერიკის პრეზიდენტი რ. რეიგანი და განაცხადა „ინგლის-ამერიკის დესანტის გადმოსხმის დღეს 6 ივნისს ევროპის განთავისუფლების დღე უწოდა“, რაც მტკნარი სიცრუეა და წარმოიდგინეთ, რომ დესანტის მონაწილე ჯარისკაცები კი გამოაცხადა „გმირებად“ რასაც ფაშისტური გერმანიის

დამარცხების გადამწყვეტ ფაქტორად აცხადებენ. სინამდვილე კი ასეთი იყო მისი მსვლელობა.

ცნობილია, რომ ინგლის-ამერიკამ ვალდებულება იკისრეს 1942 წელს გაეხსნათ მეორე ფრონტი ევროპაში. ამის აუცილებლობას აღიარებდა უ. ჩერჩილი 1942 წლის 27 ივლისის წერილში ფ. რუზველტისადმი, 10 ივნისს საბჭოთა მთავრობისადმი გადაცემული მემორანდუმში უ. ჩერჩილი წერდა, რომ მოკავშირეები დესანტს 1942 წლის აგვისტოს ან სექტემბრისათვის ამზადებდნენ. წარმოიდგინეთ ეს ამბავი დიდი ზარზეიმით აღინიშნა კიდეც, მაგრამ ჩვენი ეშმაკი მეკავშირეების საზეიმო გახსნის მიუხედავად არ გადმოსხეს დესანტები და არ გახსნეს მეორე ფრონტი - არც 1942 წელს, არც 1943 წელს მხოლოდ 1944 წლის 6 ივნისს, როცა დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირი მარტოც დაამარცხებდა ფაშიზმს ასე, რომ ვითომ ჩვენმა გულშემატკივარმა მეკავშირეებმა გახსნეს მეორე ფრონტი. ჩრდილოეთ საფრანგეთში მათ მიზანს ისახავდა - ეხსნათ რეაქციის ძალები საბოლოო განადგურებისაგან და განემტკიცებინათ პოზიციები ევროპაში და ხელი შეეშალათ საბჭოთა არმიის განმათავისუფლებული მისიისათვის. ასე, რომ წარმოიდგინეთ საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1944 წლის დამლევს არდენში გერმანელ ფაშისტთ ჯარები მოულოდნელი შეტევის შედეგად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, ჩვენი ყოვლად ვითომ შემძლე მეკავშირეები და იძულებულები გახდნენ ეყვირათ და ხვეწნა მუდარა შეეთვალათ საბჭოთა ძლევამოსილი არმიისათვის. გთხოვთ დაგვეხმაროთო. წარმოიდგინეთ მკითხველო სამოკავშირეო ვალდებულებების ერთგულმა საბჭოთა

კავშირმა მეტად არახელსაყრელი სიტუაციის მიუხედავად ცენტრალურ ფრონტზე შეტევის ვადა 1945 წლის იანვრის დამლევიდან 12 იანვრისთვის გადმოიტანეს და უმაგალითო დარტყმა მიაყენეს მტერს. საბჭოთა ჯარების გრანდიოზულმა შეტევამ აიძულა ჰიტლერები აღმოსავლეთ ფრონტზე დამატებით გადმოესხათ არდენის მიმართულებით მოქმედი მთავარი ძალა - სს-ელთა -მე-6 სატანკო არმია და სხვა შენაერთები. ამან კი საშუალება მისცა ჩვენ ვითომ გმირ მოკავშირეებს გაერღვიათ და თავი დაეღწიათ ამ მძიმე მდგომარეობიდან. ასე, რომ ჩემო მკითხველო გარდა ამისა საბჭოთა კავშირს კი არ უსარგებლია მოკავშირეების ,,გამარჯვების ნაყოფით". როგორც ამას ფალსიფიკატორები ამტკიცებენ და ბოდავენ, არამედ მეორე ფრონტს დასჭირდა შემდგომ ჩვენი ძლევამოსილი არმიის დახმარება. ამიტომ უბრალოდ სამარცხვინოა რასაც დასავლეთის ფართო წრეები ჩვენს ახალგაზრდობას ტვინს უბრუნებენ და მათთან ერთად ჩვენი პირდაღებული ხელისუფლებაც ასკილივით თავს უქნევს მსგავს სიყალბეებზე და ჩვენს ახალგაზრდობას აჯერებინებენ ასეთ უაზრო ტყუილებსა და სიცრუეს.

მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაში, რომელსაც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და დიდი ბელადი ი.ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მიაღწია, მნიშვნელოვანია სხვა ხალხების წვლილიც, მაგრამ გადამწყვეტი როლი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, მისმა გმირულმა არმიამ შეასრულა. ასე, რომ ვერ წარმომიდგენია ჩვენი უმსგავსო ხელისუფლებისა დავიჯერო მშობლებმა არ აღზარდეს, განა რას უნერგავდნენ თავიაანთ საკუთარ შვილებს. განა

დავიჯერო დოლარები უფრო ძვირფასია ვიდრე სამშობლოს სიყვარული. შე დალოცვილო თუკი მიაღწიე იმ დიდ კაცობას, რასაც ქვია სამშობლოს მართვა, მართე, დაიმსახურე ხალხის სიყვარული და ერთგულება, ამას რა ჯობია. მე არ ვიცი, მე სხვანაირად ვერ წარმომიდგენია. ძვირფასო ელგუჯა, ერთი ჩემი პატარა ცხოვრების მონაკვეთი მსურს გაგიმხილო და რა თქმა უნდა მკითხველსაც მე დღესდღეობით 78 წლის ასაკში ვარ. დღემდე ისეთი არაფერი მიგვრძნია, მაგრამ დროს თავისი მიაქვს, რა თქმა უნდა ჯანმრთელობაც ტყდება, უკვდავი ამ ქვეყანაზე არაფერია, რასაც მაღალი უფალი ღმერთი გამოიმეტებს, მეც იმას დავჯერდები და ვატარო ეს მძიმე ტვირთი, რასაც სამართლიანობა ჰქვია და ქრისტიანული რწმენა და ჯვარი. აქედან გამომდინარე „მე გავიზარდე ერთ პატარა მშრომელი, ქრისტიანული მუშის ოჯახში, სიმართლე, რომ გითხრათ ჩემმა მამამ წერა კითხვაც კი არ იცოდა, მაგრამ ბევრი წერა-კითხვის მცოდნე შემირცხვენია, რაც იმ კაცმა ცხოვრებისეული იცოდა. მას ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ოჯახი, თაისი მეუღლე, თავისი შვილები. ის სპეციალობით ქვის მწველი იყო, ესეიგი „მესაკირე“ კარგი შრომაც უყვარდა და კარგ პურსაც სჭამდა. მასთან ერთად ჩვენც გვინახავდა. როდესაც მამა კამეჩების ურემში კამეჩებს შეაბამდა კარგად გადახურავდა და ყველას თვითოეულს ჩვენ ადგილს მიგვიჩენდა ურემზე, ცხვარს კი ურმის ბოლოზე კარგად დააკრავდა და გაუდგებოდით თეთრი გიორგის ეკლესიისაკენ, რამდენი სიხარული იყო ავიდოდით ნახავდა მამაჩემი კარგ ადგილს, გამოუშვებდა კამეჩებს უღლიდან, წარმოიდგინეთ ის, რომ კამეჩებიც კი ისე იყვნენ

დაგეშილები, რომ ურემს არ მოსცილდებოდნენ შორს არ წავიდოდნენ იწყებოდა მხიარულება და მამალო კამფეტების ჭამა. ცოტა რომ წამოვიზარდე, მახსოვს დღესაც და მამის ნათქვამი დღესაც ყურებში მესმის ის, რომ დედამ და მამამ „თეთრი გიორგის“ ხატთან მიმიყვანეს და აი აქ მამამ მითხრა „შვილო, ნოდარ, გახსოვდეს ჩვენგან, რომ თეთრი გიორგი ძლიერი ეკლესიაა და დაუნთე სანთელი და შეფიცე თეთრი გიორგს, რომ ცუდს არაფერს ჩაიდენ ცხოვრებაში და მის მიმართ ყოველთვის იქნები მართალი, ამ შემთხვევაში თეთრი გიორგი შენ მფარველი იქნება და თუ ვინმე შენ დაგჩაგრავს ამ შემთხვევაში თეთრი გიორგი მას გაანადგურებსო!“ და დედამაც მამას კვერი დაუტყა და მითხრა დიახ! ჩემო სიცოცხლე ეს ასე იქნებაო! წარმოიდგინეთ ის, რომ დღესაც ასე მიდის ჩემი საქმე და ცხოვრება ვინც ჩემზე ხელი ასწია ვატყობდი, რომ ის განწირული იყო. არ ვიცი ეს უფლის ნებაა თუ რაა!


ასე, რომ ჩემო ძვირფასებო, ყველას მოვუწოდებ, რომ პატივი ეცით თქვენ მშობლებს, თქვენს გვარსა და სახელს, თქვენს მოდგმასა, ჯიშს და ჯილაგს! პატივი ეცით დედის დარიგებას ჩვენ დროში დედები შვილებს უზრდიდნენ სამშობლოს ხოლო მამები დაკავებული იყვნენ შრომით, რომ ერჩინა საკუთარი „ცოლ-შვილი“. ახლა კი რა მოხდა, ქართველმა დედამ დაკარგა დედის ღირსება, შვილებს დედის უბე და მზრუნველობა მოაკლდა. ამით რა მინდა გითხრათ“. რა დღეშია დღესდღეობით ჩვენი სამშობლო საქართველო, ჩვენი განწირული ქართველი ერი! ყველას კარგად ახსოვდეს ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში იქნება საქართველოც და ქართველი ერიც, სანამ საქართველოში

გაიძვერა ამერიკის „ელჩი“ იქნება, გახსოვდეთ ყველას! ეს გზა რაც დღეს საქართველოს ხელისუფლებას არჩეული აქვს დამღუპველია ქართველი ერისათვის. ჩვენი გზაა ის გზა, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა აირჩიეს, ეს არის ჩვენი ერთმორწმუნე, ჩვენი დიდი რუსეთი, იქ სადაც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა განათლება მიიღეს. მაგალითისთვის ბევრი შეიძლება მოვიტანოთ, მაგრამ მე მინდა ვუთხრა ყველას, რომ ქართველი ერის გადარჩენის გზა, ეს დიდი რუსეთია, რაც არ უნდა იყოს ისინი ჩვენი ერთმორწმუნე ხალხია. საქრისტიანო წესით იმას არასოდეს არ ასწავლიან ჩვენს ერს, რაც ქართველი ერისათვის მიუღებელია: ასე, რომ ამერიკას კი თავისი თილისმა მოქმედებით და დოლარებით საქართველოს მოსახლეობის გადაგვარება და გადაჯიშება უწერია, ასე, რომ ქართველ ერს დიდი დაფიქრება და დიდი გონიერება სჭირდება თუ არადა შემდგომში რთული იქნება ქართველი ერის ჩარხის დაბრუნება, რადგან ჩვენმა მომავალმა თაობებმა შეიძლება დღევანდელი ხელისუფლების ძვლებიც კი არ გააჩერონ მათ საფლავში, რომელიც ძვირად დაუჯდება ჩვენს მომავალ თაობებს. ასე, რომ დროა გონს მოხვიდე ჩემო ქართველო ერო და აირჩიო ის სწორი და მორგებული გზა - რასაც დიდი რუსეთი ქვია, რაც ქართველი ერის გადარჩენის გზაა. ამისათვის მიიწევდნენ ჩვენი ნამდვილი გონიერი წინაპრები დიდი რუსეთისაკენ. აი ჩვენი დიდი მგოსანი რას წერდა რუსეთთან მიმართებაში: „მეგობრობა გზად და ხიდად“-ო.

ჩვენ მართლა ხომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ისეთებიც არიან, ვისაც არ სურს და ეჯავრება

ჩვენი ასეთი კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვაქვს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა . . .

აკაკი წერეთელი ,,დიახ! ჩემო ძვირფასო ელგუჯა, მეც ვუერთდები დიდი აკაკის ამ მოწოდებას და ვამბობ გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს, რადგან საქართველოსა და ქართველი ერის გადარჩენის გზის გასაღები დიდი რუსი ერის ხელშია!“.



ნოდარ გაგნიძე.
18,02,2018 წელი
თელავი, სოფ. კურდღელაური

დიახ, მეგობრებო, ძალიან ბევრი ცოდვები აქვს ჩადენილი შევარდნაძეს ქართველი ერის წინაშე. ეს გაიძვერა, მოღალატე „თეთრი მელა“ აქედან საქართველოდან იკაფავდა გზას. იქიდან კი, რუსეთიდან კრემლისაკენ შევარდნაძის ტიპიური საბჭოთა ქვეყნის დამაქცევარი, თავისი ვითომ „პერესტროიკით“ ნიშნიანი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, (მისი მეუღლე რაისა მაქსიმოვნა აგრესიული ებრაული ოჯახის შვილი იყო) და ორივემ ერთად მიაღწიეს მიზანს იმას, რომ დაანგრიეს და გაანადგურეს ახალი ტიპის ქვეყანა, რომელოსაც ერქვა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“.

დიახ, ეს ორი ძირითადი ადამიანი იყო რომლებიც მუშაობდნენ ერთად, მალულად, რათა მიეღწიათ თავიაანთი მავნებლური მიზნისათვის, რაზედაც გორბაჩოვმა მიაღწია მიზანს და დაირტყა კიდეც ნობელის პრემია. აი, ესენი არიან, როგორ გულმოდგინედ და დაფიქრებულები მუშაობდნენ თავიაანთი საკუთარი ქვეყნის დანგრევა განადგურებაზე. დიახ, შევარდნაძეც და გორბაჩოვიც ორივე ერთად იყვნენ „ცეერეუს“ აგენტები. შევარდნაძე 1974 წელს, როდესაც საბჭოთა მთავრობამ პარტიულ დელეგაციას სათავეში ჩაუყენა და ბრაზილიაში გაუშვა, სწორედ მაშინ „დააერგოვკეს“ და დააკონსერვეს. დასავლეთის სპეცსამასახურები მისი კარიერის წინსვლაზე ზრუნავდნენ. მე თუ მკითხავდნენ შევარდნაძეს არ უნდა ეყაროს გულზე საქართველოს მიწა, ის უნდა მოესროლად და თავისი ანულისთან ერთად უნდა გადაეგდოთ დასავლეთისაკენ ოკეანის გადაღმა! რათა მათი ადგილი იქ არის, მიტომ რომ მათ ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული ქართველი ერის წინაშე.

მათ სული მოუწამლეს, რაც ქართველ ერს დღესაც ვერ მოუნელებია. ამიტომ დროა ქართველი ერი გონს მოეგოს, მიხვდეს იმაში თუ რა მოუტანა ჩვენს ქვეყნას. საბჭოთა ქვეყნის დანგრევამ. საქართველომ დაკარგა ყველა და ყველაფერი. წარმოიდგინეთ მთავრობა-მთავრობასა სცვლის და დღემდე ქართველი ხალხისათვის არაფერი გაკეთებულა, თვითომ კი ხელისუფლების თვითოეული წევრი მილიონერები ხდებიან. ყველაფერი, რომ იტყვიან, საქართველოში ყოველი საქმე, ეს მთავრობაში თუ ეკლესიაში შავ-ბნელი ბურუსითაა მოცული. მხოლოდ ყურები გვაქვს გამოჭედილი სტალინისა და დიდი რუსი ხალხის გინებით. დღეს დღეობით ქართველი მშრომელი ერი ამოვარდნილია, რკინის გზის ლიანდაგებიდან და საით მიექანება ჩვენი ქვეყანა ნუთუ ვერ ხვდებით. ჩემო ქართველებო! გულისტკივილით გეუბნებით იმას, რომ ქართველობამ როგორც ერმა უარი ვთქვით სიცოცხლის გადარჩენაზე დიდ რუს ერთან ერთად და პირიქით ვარჩიეთ ის, რომ ჩავეხუტეთ ჩვენს მტერს სიკვდილისაკენ მიმავალ გზას, რომელიც მიექანება „ალენდალესის“ მცნებებით და დგება ჟამი ჩვენი ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხი! შეხედეთ, ჩემო ძვირფასებო, როგორ უტევენ ჩვენს მართლმადიდებლობას და ალბათ უფრო შეუტევენ დასავლეთის შავი ძალები მომავალშიც, რათა რაც შეიძლება მალე გახწრნან ჩვენი ახალგაზრდობა ათასნაირი „შოუებით“, წარმოიდგინეთ ხან ისეთი გადაცემებია ტელევიზიაში, იმას რასაც უყურებს ადამიანი, მე რომ შემეძლოს ყველას დავაპატიმრებდი, როგორც ჟურნალისტს, ასევე მის დირექტორს. როგორ შეიძლება, ნუთუ ქვეყანაზე სამართალი

აღარ არსებობს! რას დავემსგავსენით ჩემო ძვირფასო ერო! განა როგორ უნდა გაგხრწნას ჩემო ათასწლეულების მქონე საქართველოვ ვიღაცა 240 წლის მქონე ამერიკამ დაგიმონოს? სული წაგვართვეს, გაყიდეს, ქართველები აღარ ქართველობენ.

მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ჩემი ქვეყნისა, მოვუწოდებ მთელი საქართველოს მასშტაბის ყველა ისტორიკოსებს, მეცნიერებს ყველას ვისაც ეს ეხება, დასხდნენ და დაწერონ მხოლოდ სიმართლე, ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიაზე, დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან, მეოცე საუკუნის ჩათვლით, დღემდე და ყურადღება დაუთმონ მხოლოდ სიმართლეს და აღწერონ ყველა და ყველაფერი თუ როგორ აფინანსებდა ამერიკა, ევროპა, გარკვეულ წრეებს, რათა დაენგრიათ და გაენადგურებინათ ახალგაზრდა ქვეყანა, რომელსაც ერქვა „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“. დიახ, უნდა დაიწეროს სიმართლე იმაზე, თუ რა როლი შეასრულა დიდმა ბელადმა, ამ მძიმე საქმეში და მეოცე საუკუნეში სტალინმა. ტროცკის მიმდევრების სახით ამერიკელ მასონებს კუდით ქვა ასროლინა და ისე გარეკა ის გაიძვერები. დიახ, ისინი იყვნენ, როგორც დაქირავებული ამერიკის აგენტები, რომლებიც ანადგურებდნენ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საბჭოთა მთელ ტერიტორიაზე, ჩვენს უნიკალურ ეკლესიებს და მონასტრებს. გაჰქონდათ მთელი საბჭოთა სიმდიდრე, როგორც საეკლესიო, ასევე სახელმწიფო და საბჭოთა წიაღისეული სიმდიდრეები, რომელსაც წინ აღუდგა დიდი სტალინი. დაიწეროს ყოველივე სიმართლე, ის თუ სად დაიგეგმა და ვინ მოახდინა რუსეთის სამეფო ოჯახის

ლიკვიდაცია, რომელსაც ბავშვიც კი არ დაუტოვეს. აი, ესაა მთავარი ხალხმა გაიგოს სიმართლე ყველა და ყველაფერში. რა შუა იყო სტალინი. სტალინი პირიქით იცავდა ყველა და ყველაფერს. თუ არა სტალინი, დღეს შეიძლება ქართულადაც არ გველაპარაკა. ერთი მეორის მიმართ, ნამდვილი კომუნისტები არაფერს ისეთს არ უშავებდნენ. აშავებდნენ მხოლოდ შევარდნაძის და გორბაჩოვისნაირი კომუნისტები. ისინი ამერიკის დაქირავებული „ცერეუს“ აგენტები იყვნენ. დიახ, დღესაც მათი ნაშიერები მოექცნენ საქართველოს ხელისუფლებაში და ჩვენს ქვეყანას და მის მოსახლეობას მიაქანებდნენ უფსკრულისაკენ. ნამდვილი კომუნისტები საბჭოთა ქვეყანას აშენებდნენ, ნამდვილი კომუნისტები ჩვენს დიად მეფეებს ძეგლებს უდგამდნენ, ნამდვილი კომუნისტები ახალ ქალაქებს აშენებდნენ, ნამდვილი კომუნისტები ხალხს: ქარხნებს, ფაბრიკებს, საკონსერვო ქარხნებს უშენებდნენ, ნამდვილი კომუნისტები უნივერსიტეტებს, სკოლებსა და ბიბლიოთეკებს უშენებდნენ და სხვა მრავალი. რომელი ერთი ჩამოთვალოს ადამიანმა! ასე, რომ ჩემო კარგებო დიდი ბელადი სტალინის დამსახურებაა ეს ყველაფერი, სტალინი უფალმა მოავლინა! ყველას ახსოვდა! ის მსოფლიო გმირია. მან შეანჯღრია და გამოაფხიზლა მსოფლიო მშრომელი ხალხი, რომელსაც ვერავინ და ვერაფერს დააკლებენ, პირიქით, სტალინი მსოფლიო მასშტაბით ძლიერდება და ფრთებს ისხამს მისი იმედები მჯერა, რომ დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი, მისი სახელი კვლავ დაბრუნდება!. დაბრუნდება თავისი იდეებით! თავის ენერგიით! თავისი შემართებით! მსოფლიო მშრომელ ხალხთან ერთად! დიახ, მე მჯერა, რომ

დაბრუნდებიან ნამდვილი კომუნისტები, მჯერა ის, რომ კვლავ აღიმართება მსოფლიო ძმობის, მეგობრობის ალამი და იზეიმებს მსოფლიოში სიმართლე და მხოლოდ სიმართლე! დღეს საქართველოში ტყუილი, სიცრუე, გაუკუღმართებული პროპაგანდაა. რა ვქნა, მე ასე მესახება და ასე ვხედავ. „ჩვენ ნამდვილი კომუნისტები დიდ ბელადთან ერთად დავბრუნდებით!“

აბა დააკვირდი, თუ ხარ ქართველი:
დამონებული „ევროპული საქართველო“
ჩვენ დავბრუნდებით



ვერც ვაშინგტონის შავი მახვილი
და ვერც იუდას მძიმე ხუნდები
ვერ შეაჩერებს თავისუფლებას,
ჩვენ დავბრუნდებით!
ჩვენ დავბრუნდებით ასად, ათასად
მილიონების დასტა-გუნდებით,
ისევ დავიწყებთ ახალ ცხოვრებას.
ჩვენ დავბრუნდებით!
გულში ანთია მზე მონატრების
სხივთა ნათელი იაგუნდებით,
ისევ აღმართავთ ალამს ძმობისას.
ჩვენ დავბრუნდებით!
ჩვენო მიზნებო და ოცნებებო,

ნუ შეშინდებით, ნუ გახუნდებით,
ვინც რა უნდა თქვას, ასე იქნება:
ჩვენ დავბრუნდებით, ჩვენ
დავბრუნდებით! სურენი

გაიღვიძეთ! გამოფხიზლდით! უთხარით სიმართლე, რად გეშინიათ?! იხსენით საქართველო. იკარგება ქართველი ერი! დღეს მოუთვინიერებელი გაშმაგებით ჭყუმპალაობენ ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის წინააღმდეგ სიბინძურეში. ცრუობს დიდი და პატარა. სიცრუის, ტყუილის ჭაობშია ერი! წუხდა დიდი ილია ქართველების გაუკუღმართებაზე საუკუნის წინ გაიხსენეთ ,,ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი“ დღეს კი გეუბნებით ჩვენისთანა უბედური, განა არის სადმე ერი?! ყველა ცრუობს, ფუქსავატობს, ერთმანეთს მტრობს. პატარა საქართველოში პარტიების ცვენაა! საშინელება ერისათვის. უმაქნისი, პარაზიტი, უსაქმური მოლაყბე, ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდება - რატომ? ისინი და არასამთავროები არაფერს ქმნიან. აბრკოლებენ ქვეყნის წინსვლას.

საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება
„სტალინის“
თავმჯდომარეს ამხ. გრიგოლ ონიანს
ქ. თელავში, ბახტრიონის ქ. N32-ში მცხოვრებ
ნოდარ ილიას ძე გაგნიძის

მოხსენებითი ბარათი

პატივცემული გრიშა! მოგახსენებთ მე, ნოდარ გაგნიძე იმას, რომ ქ. თელავში საერთაშორისო საზოგადოება „სტალინი“ არ დაფუძნებულა. მას შემდეგ, რაც აწ გარდაცვლილი საყვარელი ადამიანი, სამშობლოს წინაშე დამსახურებული და ვალმოხდილი ვახტანგ ნატროშვილი გაეცალა წუთისოფელს, დიახ, ვახტანგ ნატროშვილი იყო თელავში საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე, მას შემდეგ თელავში არ დაფუძნებულა და არც ყოფილა საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „სტალინი“, რომლის წევრი, მე ნოდარ გაგნიძე, ვირიცხები 1992 წლიდან, სადაც მე შეკრებებზე შოთა ლაზარიაშვილისათვის თვალი არ მომიკრავს.

ახლა რაც შეეხება თელავში 2013 წელში დიდი ბელადი ი.ბ. სტალინის ძეგლის დადგმისა და მოხსნის შესახებ. ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ნოდარ ლაპარაკია სტალინის ძეგლი უნდათ დადგან და ვითომ ვინმე ლაზარიაშვილი ფულს კრეფავს თელავში სტალინის სახელით და ამ ფულით ძეგლის დადგმა სურსო?! მე შევხვდი თელავში შოთა ლაზარიაშვილს და დაველაპარაკე თუ როგორ აპირებდა ძეგლის აღდგენას, გადავწყვიტეთ,

რომ ორშაბათს შევხვედროდით ვეტერანთა საბჭოში. ეს შეხვედრა შედგა 2013 წლის ივნისის დასაწყისში. აქ ბრძანდებოდნენ ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ციბაძე ალექსანდრე, ივანე ბუჩუკური, ალექსანდრე ტალიური და სხვები. შემდეგ გამოვკითხე შოთა ლაზარიაშვილს ფული თუ ჰქონდა ძეგლის აღსადგენად, მას მხოლოდ რაღაც ოთხმოცი ლარის ოდენობა აღმოაჩნდა, რომელიც არაფერს უშველიდა და მე განვუცხადე მათ, რომ ძეგლს მე დავდგავ მეთქი. ბიჭებს ყველას გაუხარდათ. მე რომ სიმართლე გითხრათ ვხატავ კიდეც და ქანდაკებებშიც გარკვეული ვარ. წავავლე ამ საქმეს ხელი, მე ჩემი დანაზოგიც მქონდა და ჩემი ყოფილი საბჭოთა პერიოდში თანამშრომელი მოვინახულე, ამჟამად ბიზნესმენი შოთა დემინაშვილი, მეტსახელად „ლეკი“. მას ავუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი, გამოიძახა თავისი თანამშრომელი და ზუსტად ასე უთხრა „ნოდარჩიკას დაეხმარე ისე, რომ მეორეჯერ ჩემთან არ მოიყვანოთო“. ასე თუ ისე, მართლაც მომეხმარნენ.: ამწე კრანიდან დაწყებული, რადგან ძეგლის საერთო სიმაღლე 4,20 მეტრი იყო. შოთა ლაზარიაშვილს მე გამოვუცხადე, რომ მე მას არცერთ ლარს არ დავახარჯინებდი, ისიც ვუთახრი, რომ გადაეცი გრიშა ონიანს მე შენ მანეთსაც არ დაგახარჯიებ, რადგან მე, ჩემი ხელებით ვაკეთებდი და სხვისი არაფერი მინდოდა, რადგან როგორც პიროვნებას შოთა ლაზარიაშვილს ვერ ვიტანდი. ერთხელ ამოვიდა და ამ დროს მე ხარაჩოზე ვიდექი, სახისა და კისრის დეტალებზე ვმუშაობდი, რომ შემომხედა, ასე მეუბნება: „გაიძვერა ნოდარ, კარგია ყველაფერი, ყოჩაღო“, შემაქო, მე ძალიან გავბრაზდი, რადგან განმიცხადა მე თელავში „სტალინის“

საზოგადოების თავმჯდომარე ვიქნები და შენ ჩემი მოადგილეო! ჩამოვედი დაბლა და ვუთხარი, ვინ დაგნიშნა თავმჯდომარედ მეთქი! არაფერი არ აღმოაჩნდა, არც კრება ჩატარებულა, არც კრების ოქმი და არც სტალინის საზოგადოების „მანდატი“. ასე, რომ პატივცემულო გრიშა, თქვენი დაყენებული შოთა ლაზარიაშვილი იქიდან გამოვაგდე ისე, რომ - „აქ შენი ფეხი არ ვნახო მეთქი“. ჩემს მეგობარს გამოყვა და ასე ეთქვა მისთვის, რომ ვითომდა მე, ნოდარ გაგნიძეს მინდოდა თავმჯდომარეობა. პატივცემულო გრიშა, მე თქვენთან მოვსულვარ ოდესმე და მითქვამს, რომ მე დამაყენე თავმჯდომარედ მეთქი? ეს არის კაცი გაიძვერა, რადგან ვატყობდით, რომ ეს კაცი გამგეობაში ხშირად დარბოდა და გაირკვა ბოლოს ის, რომ ამ დამპალმა, შოთა ლაზარიაშვილმა ძეგლის აღებაზე ხელი მოუწერა ისე, რომ ჩვენ ვეტერანთა საბჭოს წევრებს არავის გაგვაგებინა, მითუმეტეს ის, რომ შოთა ლაზარიაშვილი გაფრთხილებული იყო იმაში, რომ ამ საქმეში ცხვირი არ ჩაეყო. აი ზუსტად ასეთი გაიძვერა ადამიანებმა დაანგრიეს და გააპარტახეს ჩვენი ქვეყანა! ისინი ვინც ორ დაფაზე თამაშობდნენ ! დიახ, ეს არის საზიზღარი ადამიანი, რომელმაც 2013 წლის 31 დეკემბერს ძეგლი ისე ააღებინა ფაშისტი ბოკერიას მეუღლეს, რომ ჩვენ არცერთი საქმის კურსში არ ჩაგვაყენა. ჩვენ კი ყველანი 31 დეკემბერს საახალწლო სამზადისში ვიყავით დაკავებული! აი, ეს არის თქვენი დაყენებული სტალინის საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარე?! და ბოლოს, ჩვენ თქვენ სამჯერ დაგიკავშირდით, რომ ჩამობრძანებულიყავით თელავში სტალინის ძეგლის აღდგენის პერიოდში, მაგრამ

სამივეჯერ პასუხი ვერ მივიღეთ, რადგან თქვენი თვალით გენახათ ყოველივე თუ რა ენთუზიაზმით კეთდებოდა ბეგლის აღდგენა რამაც ჩვენ თელაველ სტალინელებს გული დაგვწყვიტა.

ქ. თელავი ნ. გაგნიძე
9 მაისი 2017 წელი

ჩემო ძვირფასებო, დიახ! არიან ერთი კატეგორიის ადამიანები, რომლებიც თავიაანთი თაღლითობით შოულობენ ანდა ქმნიან უამრავ სიმდიდრეს. მაგრამ მათ ეს არ იციან, რომ მხოლოდ ქვეყანაზე ფული და სიმდიდრე არ არის. ყველა ეს სიმდიდრე წარმავალია, რადგან სხვისი უბედურების, შენი საკუთარი ერის გაუბედურებაზე ნაშოვნ ფულს ან სხვა სიმდიდრეს შენს მომავალს მაღალი უაფლი ღმერთი არ შეაწევს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი არჩევანი მცდარი გზაა. ღალატია სამშობლოსი!

მაგრამ არიან მეორე კატეგორიის ადამიანები, რომლებიც მართლა მაღალი უფლის მცნებით აზროვნებენ და თავის ქვეყანას უტოვებენ ჭეშმარიტად აღზრდილ მოაზროვნე თაობებს: - თავისი ღირებულებებით: სინდის-ნამუსით, თავისი ქვეყნის პატრიოტიზმით, სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით, თავისი ქვეყნის ეროვნულობით გამსჭვალულ ადამიანებს! აი, ეს არის ყველაზე დიდი სიმდიდრე შენი ქვეყნისა და ერის წინაშე. დანარჩენი ყველაფერი წარმავალია. დიახ, სწორედ ასეთი სიმდიდრის მფლობელია ჩემდამი საყვარელი ადამიანი, ელგუჯა მამუკელაშვილი. მან ჩვენს ქვეყანას აღუზარდა მრავალი

ჭეშმარიტად მოაზროვნე ადამიანი, დიახ, ასეთია ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

ელგუჯა მამუკელაშვილი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და სამართლის კათედრის გამგე, ორი აკადემიის აკადემიკოსი, 200-ზე მეტი პუბლიკაციის, რამდენიმე სახელმძღვანელოს და მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი. მწერალი, პოეტი, ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის მემატიანე. გამოქვეყნებული აქვს ისტორიული ნარკვევები „ქართული საფრონტო პრესა (1941-1945წ.წ.)“. „სამხედრო-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მოღვაწეობა კავკასიისათვის ბრძოლაში (1941-1943)“. (რუს). „კავკასია მრისხანე წლებში (1941-1945წ.წ.) (რუს). „მხედართმთავრები სამთო ომში“ (რუს; „საქართველო გეოპოლიტიკურ სივრცეში“ (სახელმძღვანელო); „წლები“ , „ შემოსულ სიტყვათა ანაკრეფი“ და სხვა მრავალი, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. აი ასეთია ყველასათვის სათნო და საყვარელი ცნობილი პიროვნება წყნარად და მშვიდად დააბიჯებს ჩვენს საყვარელ თელავში. აი, ეს არის მისი სიმდიდრე და სიამაყე! განა ამაზე მეტი სიმდიდრე რა უნდა ადამიანს, რომ შენს ქვეყანას, შენს სამშობლოს აღუზარდო სულით ჯანსაღი ადამიანი, ესაა ჩვენი ელგუჯა მამუკელაშვილი.

ანალოგიური სიტყვების ღირსია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ქვეყნის საყვარელი ადამიანი, მრავალი თაობის აღმზრდელი ჩვენი სასიქადულო ვალერი

კვარაცხელია ჟურნალისტი, მწერალი და პუბლიცისტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტი.

ხალხთა მოძრაობა - „სოციალისტური“ საქართველოს თავმჯდომარე;

პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე.

საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95წ.წ.)

დიახ, ეს არის ვალერი კვარაცხელია, რომელიც თავს სწირავს და წინ მიგვიძღვის, რათა იქნება გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო და ჩვენი ერი, დასავლური მასონებისაგან. ეს არის ნამდვილი ჩვენი ქვეყნის პატრიოტი ადამიანი, რომლისგანაც ყველა თვითთოეული ჩვენთაგანი უნდა მაგალითს ვიღებდეთ. ეს, ის კაცია მართლაც, რომ ზრუნავს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის გადარჩენაზე. ჩვენი ქვეყნის ეს პატრიოტი ადამიანი თავს არ ზოგავს და დღეს-დღეობით ყველას ყურში ჩაგვჩიჩინებს ჩვენი ქვეყნის უკუღმართობაზე, როგორც გაზეთი „ასავალ-დასავალის“, ასევე ტელეკომპანია „ობიექტივის“, „ოქროსკვეთის“ სახით და გვამცნობს, ყოველივე იმ სიმარლეს, რაც ჩვენ გაუბედურებულ ქვეყანაში ხდება.

მე, არ შემიძლია ასევე მადლობა არ გამოვუცხადო ჟურნალ „თბილისელების“ რედაქციას, რადგან ეს ჟურნალი ყოველთვის აშუქებს დიდი ბელადის ი.ბ. სტალინის ცხოვრება მოღვაწეობაზე. ასევე მადლობის ღირსია გაზეთი

„ასავალ-დასავალის“ რედაქცია, რომელიც მხოლოდ სიმართლეს ემსახურება.

არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ჩვენი საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე ჩვენი გრიშა ონიანი, რომელიც ხშირად აშუქებს გაზეთ ასავალ-დასავალის ფურცლებზე სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობას. ასევე არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ ჩვენს სასიქადულო საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს, რომელიც თითქმის თავისი ბავშვობიდან მოსდევს ჩვენი კომუნისტური პარტიის მოძრაობას, საყვარელი ადამიანი თემურ ფიფია! დიახ, ეს ის ადამიანები არიან და სხვა მრავალი, რომლებიც იკისრებენ და ასწევენ ამ მძიმე ტვირთს - ერეკლეს შორსმხედველობით, ილიას სიბრძნით, სტალინის სიმტკიცით აღმართავენ ამ მძიმე დროშას, რომელსაც შეუძლია აღადგინოს რუსეთ-საქართველოს ისტორიული სამართლიანობა.

ქ. თელავი,
ნოდარი გაგნიძე 2017 წელი

§4. ვეტერანის ღია წერილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე ვ. პუტინს

მოსკოვი, კრემლი

საქართველო, ქ. თელავი
ნოდარ გაგნიძე
ბატონო პრეზიდენტო!

დიდხანს ვიფიქრე, ამ წერილს მაწერინებს ჩემი ქვეყნის ეროვნული ტკივილი. წინასწარ გიხდით ბოდიშს შეწუხებისათვის.

ბატონო პრეზიდენტო! მოგეხსენებათ დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ერის მეგობრობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ჩვენი სახელოვანი წინაპრები ზრუნავდნენ და უფრთხილდებოდნენ ერთ მორწმუნე, რუსეთ-საქართველოს მეგობრობას.

მსოფლიო ისტორიის ღირსახსოვარი მოვლენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გახდა გარდამტეხი მოვლენა, ასი წლის წინ მან ძირითადად შეცვალა მილიონთა ცხოვრება - ორჯერ: 1. დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნით მილიონების სასიკეთოდ;

2. საბჭოთა კავშირის დაშლით მილიონთა საზიანოდ.

მე, ნოდარ გაგნიძემ, ვიმსახურე ჩემს საამაყო სამშობლოში - საბჭოთა კავშირში - ჩრდილოეთ ოკეანეზე 1961-1965 წლებში ქ. სევეროდვინსკში, მთელი შეგნებით ვამაყობ განვლილი შრომით. ჩვენ ყველანი ერთ მიზანს ვემსახურებოდით! რა იყო ამაში ცუდი?! დღეს საქართველო მძიმე, შავ-ბნელ საქმეებშია გახვეული, რაც ამერიკელ

მასონთა „დემოკრატიის“ დამსახურებაა. თვალებზე ცრემლი მადგება, მგონია ჩემს ახლობელს, ძმას, მეგობარს გესაუბრებით. ოთხმოც წელს მივითვლი, გული არ ისვენებს როგორ აღვადგინოთ ჩვენს ორ ერს შორის არსებული ძმობისა და მეგობრობის სიდი. ამერიკის მსახური პოლიტიკოსები ცდილობენ დაგვარწმუნონ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობაო! რუსული ნამდვილი დემოკრატია სჭირდება ჩემს სამშობლოს! გავიდა მეოთხედი საუკუნე, მთავრობა სცვლის მთავრობას საქართველო დააქციეს.

ბატონო პრეზიდენტო! რატომ არ შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო კომისია ყოფილი რესპუბლიკებიდან და მოხდეს საბჭოთა ხალხის მოღალატეების, ცოცხლებისაც და მკვდრებისაც, ნამდვილი ისტორიულად უტყუარი შეფასება, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, ისტორია, ადამიანთა სულიერი სამყარო ითხოვს, ელოდება სამართლიან განაჩენს, მომავალი თაობა მკაცრად განსჯის.

ჩემი თხოვნაა - კავშირი დაამყაროთ საქართველოს „სოციალისტურ“ პარტიასთან. ბედნიერად ჩავთვლი თავს თუ ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს.

ნოდარ გაგნიძე 2017წ. 1 ნოემბერი

Москва, Кремль

Президенту Российской Федерации

Владимиру Владимировичу Путину

Открытое письмо от ветерана Нодара Гагнидзе

адрес: Грузия, г. Телави,

Г-н президент!

Я долгое время думал написать Вам открытое письмо или нет. У моих сомнений были твердые основания, так как пишу Вам письмо из-за национальной боли моей страны. Боль, которая лежит камнем у меня на сердце. Осмелюсь перед Вами заговорить и заранее за ваше беспокойствие приношу Вам извинения.

Господин президент! Вы знаете многовековую историю дружбы между великим русским и грузинским народами. Наши предки заботились об единоверующей российско-грузинской дружбе.

Сто лет назад великое событие в мировой истории - великая социалистическая октябрская революция стала поворотным моментом, она в основном изменила жизнь миллионы людей дважды:

Первое событие - создание крупного Союза Советских Социалистических Республик - на благо миллионов людей;

Второе событие разрушение Советского союза, которое принесло бедствия миллионов людей.

Я, Нодар Гагнидзе, служил в моей прекрасной родине – в Советскому Союзу. Служил в 1961-1965 г.г. в городе

Северодвинске на Северном ледовитом океане, я горжусь моей прошлой службой. Мы все служили одной цели! Мы служили нашей родине Советскому Союзу. Что в этом плохого? Сегодня Грузия обернута в тяжелых и мрачных делах, что является заслугой американской масонской «демократии». Мои глаза полны слезами – кажется, что с Вами я разговариваю как с моим близким человеком, другом и братом.

Мое сердце, в мои восемьдесять лет думает о том, как восстановить братство и мост дружбы между нашими двумя народами. Американские служители политики пытаются убедить нас в том, что мы приобрели независимость! Моя родина нуждается в русской настоящей демократии! Прошло четверть века, одно правительство меняется другим правительством, Грузия разрушена.

Господин президент! Почему нельзя создать международную комиссию из бывших республик, чтобы сделать действительную историческую оценку предателей советского народа, как живых так и мертвых, кто бы они ни были, история, человеческий духовный мир ждет справедливого суда, будущее поколение строго осудит.

Моя просьба создать союз с «социалистической» партией Грузии. Я буду счастлив, если это письмо дойдет до вас.

Нодар Гагнидзе, 1 ноября 2017 г.

ვეტერანის ღია წერილი

მოსკოვი, კრემლი, ვ. პუტინი

საქართველო ქ. თელავი

ნოდარ გაგნიძე

დიდხანს ვიფიქრე მომეწერა თუ არა თქვენთვის. ჩემი ღია წერილი. ჩემს ყოყმანს ჰქონდა თავისი მყარი საფუძველი, რადგან მე ამ წერილს მაწერინებს ჩემი ქვეყნის ეროვნული გულისტკივილი. ტკივილი, რომელიც ვერ მომინელებია და გულზე ლოდივით მადევს. მე ვბედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას, რაზედაც წინასწარ გიხდით დიდ ბოდიშს შეწუხებისათვის.

მე, დავიბადე საქართველოს ერთ პატარა ლამაზ ქ. თელავში, რაც ძალიან მეამაყება და ვამაყობ იმითაც, რომ ამ ჩემს, პატარა, კოპწია თელავში დაიბადნენ ჩვენი გამოჩენილი ქართველი ერის წინაპრები და თავიაანთი სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს. აქ არის იყალთოს აკადემია, რომლის კედლებიც დღესაც გმირულად გამოიყურებიან. დიახ! ამ კედლებში სწავლობდა მეთორმეტე საუკუნეში, ჩვენი დიდი, მსოფლიო პიროვნება პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც დაწერა „ვეფხისტყაოსანი“. დიახ, ქალაქში დაიბადა, სხვა მრავალთა შორის, ქართველი ერის ბაგრატიონთა მოდგმის გმირი მეფე „ერეკლე მეორე“ 1720 წლის 7 ოქტომბერს და წარმოიდგინეთ ის, რომ რომელ ოთახშიაც დაიბადა, გმირი მეფე, იმ ოთახშივე გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს. მან თავისი ცხოვრების უმეტესი სიცოცხლე ბრძოლებში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. სწორუპოვარმა მხედართმთავარმა და მეგობარმა საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა.

ქართველმა ხალხმა მას ალერსით და სიყვარულით „პატარა კახი“ უწოდა. ერეკლე მეფის პიროვნება, მისი საქმეები ფართოდ აისახა ქართველი ხალხის შემოქმედებაში მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენ ჩემზე უკეთ იცით ის, რომ დიდი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას დიდი და მრავალი საუკუნეების ისტორია აქვს. ეს არ დაწყებულა გუშინ და დღეს. რუსი და ქართველი ხალხების ძმობას და მეგობრობას საუკუნოვანი ფესვები აქვს და ამიტომაც ჩვენმა დიდმა მეფემ ერეკლე მეორემ თავისი მოღვაწეობის პერიოდში. შეხედა, რომ უამრავი შემოსევების მიერ ქართველი ერი განადგურებას განიცდიდა. იმ ხანად ქართველი ერის მოსახლეობა შვიდასიათასს წარმოადგენდა. დიახ, ამიტომაც ერეკლე მეფემ გადადგა ბრწყინვალე ნაბიჯი და მე0-18 საუკუნის ოთხმოციან წლებში მან თავისი სამეფო დიდ რუსეთს დაუკავშირა, კერძოდ 1783 წლის 24 ივლისს ციხე გიორგევსკში (ჩრდილო კავკასიაში). ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს „მეგობრობის პირობას“ (ტრაქტატს). ერეკლე მეფის მხრიდან ხელმოწერას დაესწრნენ იოანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, ხოლო რუსეთის ხელმწიფის ეკატერინე II-ის მხრით გენერალი პავლე პოტიომკინი. ეს ტრაქტატი, მეფე ერეკლეს მიაჩნდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის ძლიერი სახელმწიფოში ხელს შეუწყობდა საქართველოს აღმავლობას და წინსვლას. ჩვენი დიდი წინაპრები ყოველთვის მზად იყვნენ, რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონოდა რუსეთ-საქართველოს ძმობას და მეგობრობას როგორც კულტურულ, ისე

საგანმანათლებლო საქმიანობაში მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მარტო ის რად ღირს, რომ ქართველი ისტორიკოსები იმ ხანად პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, მ. ბარათაშვილი და სხვები გულმოდგინედ აცნობდნენ საქართველოს გმირულ ისტორიას დიდ რუს ხალხს. განა საამაყო არ არის ის, რომ 1845 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა რომელზედაც გაჩაღდა ნაყოფიერი მუშაობა. ამავე კათედრაზე მუშაობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი დ. ჩუბინაშვილი (1814-1891) დ. ჩუბინაშვილმა დიდი შრომა გასწია და შეადგინა ქართულ-რუსული-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მანვე 1846 წელს დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ხოლო 1855 წელს ქართული ენის გრამატიკა რუსულად. მისი რედაქციით 1860 წელს გამოიცა ჩვენი ქართველი ერის სასიქადულო პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

არ შემიძლია არ გავიხსენო ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც დიდ სიყვარულს სთესავდნენ რუსულ-ქართულ ისტორიაში. ისტორიკოს მეცნიერებათა შორის საკმაოდ ცნობილი გახდა თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846)ბ ქართული რომანტიზმის მამამთავრად ითვლებოდა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. იგი ფართო განათლების მქონე და თავისი დროის პროგრესული იდეების მიმდევარი ადამიანი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე ილაშქრებდა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

რომანტიკოსმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა (1817-1845) წლებში ქართული პოეზია უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა ნ ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ და ლექსში „საფლავი მეფის ერეკლისა“ ღრმად და სწორად შეაფასა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა და მისგან გამომდინარე შედეგები. მისი მართებული აზრით, საქართველომ რუსეთის მფლობელობაში მოქცევის შემდეგ დაიბრუნა დაკარგული მიწები და მშვიდობა მოიპოვა. ამავე დროს იგი გამოთქვამდა იმედს, რომ პოლიტიკურად დამონებული საქართველო მომავალში განთავისუფლდებოდა და აყვავდებოდა დიდ რუს ხალხთან ერთად. 1845 წელს ქ. თბილისში გაიხსნა მუდმივი რუსული თეატრი და მისმა დაფუძნებამ ხელი დიდად შეუწყო ქართული თეატრის დაფუძნებასაც.

ბატონო პრეზიდენტო! რომ არ გითხრათ არ შემიძლია თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ რუს და ქართველ სტუდენტობას იმ ხანად 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაციები მოაწყვეს, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლუბოვი ხელმძღვანელობდნენ. ამ მოძრაობაში დიდი როლი და მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სტუდენტებმაც. ამ სტუდენტთა დიდი ჯგუფი დააპატიმრეს და ამ დიდ ჯგუფში დაპატიმრებულიც იყვნენ რუს სტუდენტებთან ერთად ქართველი სტუდენტებიც. აჰ, ეს იყო ერთმორწმუნე ერები რუსები და ქართველები ერთი რწმენის ქვეშ იზრდებოდნენ და იზიარებდნენ ყოველივეს და ყველაფერს. რამოდენიმე თვის განმავლობაში იყვნენ

კრონშტადტის ციხეში. ქართველთა შორის იყვნენ ქართველი გამოჩენილი თერგდალეულები: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ღოღობერიძე და სხვები.

თერგდალეულთა იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე იმ დროისათვის იქ პეტერბურგში არ იმყოფებოდა და მას სტუდენტთა დემონსტრაციაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მთავრობამ მასზეც გაავრცელა რეპრესიები 1861 წლის 12 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძე გამორიცხეს უნივერსიტეტიდან. არ შემიძლია არ მოგახსენოთ ცოტა ილია ჭავჭავაძეზე. ი. ჭავჭავაძე მარტო ლიტერატურული მოღვაწეობას როდი სჯერდებოდა ის პრაქტიკულადაც იღებდა და იბრძოდა მუშურ-გლეხობის დასაცავად. ამის გამო საქართველოს თავადაზნაურობამ ის შეიძულეს და სდევნიდნენ, რადგან ის ყოველთვის იდგა მშრომელი ხალხის მხარეზე. ამიტომ მინდა მოგახსენოთ ერთი ისტორიული ფაქტი „საქართველოს ისტორიიდან“ და დასკვნა თქვენ გამოიტანეთ თუ ვის სჭირდებოდა ჩვენი დიდი მგოსნის ილია ჭავჭავაძის ლიკვიდაცია. „როგორც ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურთა წარმომადგენელი ესწრებოდა ამ აზნაურთა კრებაზე. კრებაზე ილია ჭავჭავაძემ დააყენა საკითხი, რომ გლეხობას მიწა უნდა გადაეცეს, რადგან გლეხს ამოესუნთქა. ამის გამო ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ილია ჭავჭავაძისკენ ლანძღვა გინებით გაემართა რათა მოეკლა ილია „გამიშვით უნდა მოვკლაო“ გაშმაგებული თავადი ძლივს შეაკავეს. ბატონო პრეზიდენტო! მისი მკვლელობა დღესაც ბურუსითაა მოცული, სინამდვილე არავინ იცის, ამით მინდა გითხრათ ის, რომ ნუთუ კომუნისტებს აწყობდათ ილია ჭავჭავაძის

ლიკვიდაცია თუ გააფთრებულ თავადაზნაურობას? ჩვენი დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი ჯერ კიდევ 14 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ რედაქციაში მის ლექსებს პირველ გვერდზე უბეჭდავდა „სოსელოს“ ფსევდონიმით. დიახ! ილია ჭავჭავაძემ დიდ ბელადს ი.ბ. სტალინს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. მე უბრალო ადამიანს ჩემი ქვეყნისა მჯერა, რომ ნამდვილი კომუნისტების მიერ არ არის მოკლული ქართველი ერის საამაყო მწერალი და მგოსანი ილია ჭავჭავაძე. ბატონო პრეზიდენტო! მსოფლიო ისტორიამ არ იცის უფრო ღირსახსოვარი მოვლენა ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ეს რევოლუცია გახდა მსოფლიო ისტორიის გარდამტეხი მოვლენა. მან განსაზღვრა მსოფლიო განვითარების მთლიანი მიმართულება კაპიტალიზმის შეცვლით ახალი სოციალისტური წყობილებაში, ეკონომიკური ფორმირება. დიახ, ოქტომბრის რევოლუციამ დაამკვიდრა წინათ ჩაგრული მრავალეროვან ხალხთა შორის ჭეშმარიტი ძმობა და მეგობრობა მათი ეროვნების მიუხედავად. არასოდეს ამოიშლება ხალხის მეხსიერებიდან დიდი ოქტომბრის გმირული დღეები. ეს იქნებოდა პეტროგრადსა თუ მოსკოვში ყველგან სადაც რევოლუციის ქარიშხალი მძვინვარებდა. ძველი სამყაროს წინააღმდეგ დიდი რუსი მუშებისა და გლეხობის მხარდამხარ ჩვენი ყოფილი სამშობლოს სხვა ხალხების შვილებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს ბოლშევიკებიც. მათ ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. როგორც 1917 წლის ოქტომბრის ბრძოლებში მონაწილე ს.კ. სუხიევა იხსენებს

საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ქართველი სტუდენტები და კურსანტები უშუალოდ დიდ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. ამისათვის 1914 წელს მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ ახალი ბინა მიიღო. გრაფმა სუხოდოლსკიმ და მისმა მეუღლემ ელენე ჭავჭავაძე - სუხოდოლსკაიამ ქალაქის ცენტრში პოვორსკაიას (ახლანდელ ვოროვსკაიას) ქუჩაზე N29-ში საზოგადოებას უსასყიდლოდ გამოუყვეს ორი სართული.

როდესაც კრემლი დაეცა და იუნკერები მხეცურად გაუსწორდნენ 56-ე პოლკის უიარაღო ჯარისკაცებს, რომლებიც კრემლს იცავდნენ ხოლო მუშები და სტუდენტები, სტუდენტი ქალებიც კი მასობრივად ეწირებოდნენ. პოვარსკაიას ქუჩაზე N29-ში სახლის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებმა სტუდენტებმა სასწრაფოდ ჩამოაყალიბეს წითელი სანიტარული რაზმი და სამედიცინო დახმარებას უწევდნენ დაჭრილ წითელ გვარდიელებს. მათ შორის იყვნენ: ნ. ნასარიძე, კ. ვეფხვაძე, ი. ჯავახიშვილი, ს. სუხიაევა, ნ. ლაჭყეპიანი, ტ. ნანეიშვილი, მ. სუხიაშვილი, ა. მესხი, ბ. პოლიევსკი, ნ. მიქელაძე და სხვები.

მოსკოვში მჩქეფარე რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ სახელოვანი ქართველი რევოლუციონერები სამსონ მამულია, რომელიც ლენინის გვერდით იდგა. 1917 წლის სექტემბერში მიხა კახიანს ირჩევდნენ მოსკოვის ერთ-ერთი დიდი რევოლუციური ტრადიციების პიატნიცკის რაიონის გამგეობის მდივნად. ილია წივწივაძე არჩეული იყო რკკ/ბ მრავალი ყრილობის დელეგატად, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვ.ი. ლენინთან. ქართველმა

სტუდენტობამ აქტიური როლი შეასრულეს 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში ამ ქარიშხლიან დღეებში მათ ჩამოაყალიბეს ქართველ სტუდენტთა მილიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ.გ. ჩხეიძე. მის შემადგენლობაში იბრძოდნენ: პოეტი ი. მჭედლიშვილი, გაჩეჩილაძე, ჩომახიძე, გრ. გაბუნია, ვლ. ფანიშვილი, ბრეგვაძე, ნ. აბესაძე, დოცენტი გვარამია, კ. ასათიანი, ფანცხავა, გარუაშვილი, იაშვილი, თ, ჩიქოვანი, პ. აღნიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, მ. ბერიძე, ვ. ბრეგაძე, დ. იაშვილი, ვერულაშვილი, სუმბათაშვილი და სხვები. დიახ ქართველმა მილიციამ მოსკოვიდან პეტერბურგში დიდძალი იარაღი გაგზავნა რევოლუციონერთა დასახმარებლად. ეს იარაღი შეგროვებული იქნა საპოლიციო უბნების აღების დროს. მათ დიდი წვლილი შეიტანეს რევოლუციურ საქმიანობაში.

დიდი ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გადამწყვეტ დღეებში მოსკოველ ბოლშევიკთა მხარდამხარ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის თავდადებით იბრძოდა არალეგალურ ბრძოლებში გამოწრთობილი, განათლებული ბოლშევიკები ვლადიმერ გიორგის ძე ივანიშვილი, როგორც მას ზედმეტსახელად შეარქვეს „ივანოვ-კავკაზკი“. 1917 წ. ოქტომბრის მღელვარე დღეებში ი. ფრანგულიანმა შექმნა წითელი ჯვრის „მფრინავი“ ავტორაზმი, რომელიც პირველ დახმარებას უწევდა სამედიცინო დარგში წითელგვარდიელებს.

რუსეთის სამივე რევოლუციის მონაწილე სამოქალაქო ომის გმირი, ლენინური პარტიის წევრი 1916 წლიდან პეტრე სიმონის ძე აღნიაშვილი, ის სამხედრო საქმის კარგი მცოდნე ყო. ამ პარტიულ სახელს ატარებდა ქართველი

მუშა ბოლშევიკი პარტიის წევრი 1904 წლიდან სერგო ივანეს ძე ფილია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ძალ-ღონე და უნარი მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას მოახმარა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, შემდგომ კი დიდი ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცებისათვის ფიცხელ ბრძოლებში სახელი გაითქვა ქართველმა რევოლუციონერმა პლატონ ივანეს ძე იაშვილმა.

ბატონო პრეზიდენტო! ალბათ ახლა იფიქრებთ თუ რა საჭირო იყო ამდენი გვარების ჩამოთვლა, მაგრამ ეს მცირე ჩამონათვალია იმ დიდებული ხალხის გვარებისა, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ დიდ რუს ძმებთან ერთად მოსკოვსა თუ პეტროგრადში, დიდი ოქტომბრის რევოლუციის იმ ქარცეცხლიან დღეებში, როგორი ენთუზიაზმით მხარდამხარ იდგნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი განმტკიცებისათვის. შემიძლია გაბედულად ეთქვა, რომ მოსკოვში მოღვაწე ქართველმა კომუნისტებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს საერთო რუსული რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ძველი სამყაროს განადგურებასა და ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებლობაში. თუ დავაკვირდებით ჩვენს წარსულს, საუკუნეებიდან ჩანს ქართველები და რუსი ხალხები თითქმის ერთნი ვართ, ერთი სული და გული გვაქვს, რადგან ჩვენ ერთი საერთო ღმერთი გვყავს და მასთან ერთად ერთი სარწმუნოება გვასულდგმულებს. ღმერთმა ჩვენ ქართველებს და რუს ხალხებს გვიბოძა ერთი

მეზობლობა და ერთად მეგობრობა. მე ვიმსახურე ჩემს საამაყო სამშობლოში, რომელსაც ერქვა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“, კერძოდ ჩრდილოეთ ოკეანეზე 1961-1965 წლებში თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თეთრი ზღვის პირას არის ქალაქი „სევეროდვინსკი“. დიახ, ამ ქალაქის სანაპიროზე იდგა ჩვენი დივიზიონის მესამე რანგის ოთხი გემი. ამ ქალაქშივე არის დიდი ქარხანა გემსაამშენებლო, სადაც უშვებდნენ მძლავრ წყალქვეშა ატომურ გემებს, როგორც კი გამოუშვებდნენ ახალი ტიპის წყალქვეშა ატომურ გემს. ჩვენი გემიც მასთან ერთად გავდიოდით ზღვაზე, ვინაცვლებდით უფრო ჩრდილოეთით და იწყებოდა სასწაული წვრთნები. ისინი იყვნენ სასწაულმოქმედი გემები, დაახლოებით, როგორც ამბობდნენ 350 მეტრის სიღრმეში მათი სისწრაფე და მანევრირება ბევრად სჭარბობდა ჩვენი გემის სისწრაფეს. ასე, რომ მთელი ეს წლები თითქმის ბრძოლაში გავატარე. დიახ, რითაც ვამაყობ. დიახ მე ვიმსახურე ჩემი სამშობლოს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ არმიაში, ჩვენს დივიზიონში ოთხ გემზე, მე ერთი ვიყავი ქართველი და ვიმსახურე ისე, რომ მე, ჩემი სამშობლო საქართველო არ შემირცხვენია. „იყო მეზღვაური ეს იმას ნიშნავს, რომ შენ შენი ქვეყნის უღალატო შვილი უნდა იყო“ - დიახ, მე ვამაყობ იმითაც, რომ 1964 წელს გავხდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი და დღესაც ვარ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის წევრი და მაქვს 53 წლის პარტიული სტაჟი. დიახ, ვამაყობ იმას, რომ მე ქართველმა, რუსმა და უკრაინელმა ჩვენ სამმა, როგორც ძმებმა ერთად დავამთავრეთ საზღვაო ფლოტის პარტიული სკოლა. ვამაყობ იმას, რომ 1965 წელს

დამაჯილდოვეს გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლის იუბილეზე მედლით და მიღებული მაქვს მრავალი სიგელი. ვამაყობ იმას, რომ ჩვენ ერთად ვმსახურობდით მე როგორც ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბელორუსელი, შუა აზიელი, ლატველი, ლიტველი, ესტონელი, ჩეჩენი, ლეკი, სომეხი და ყველა ერის განურჩევლად, ჩვენ როგორც ძმები, ისე შევყურებდით ერთმანეთს თვალებში. ჩვენ, ყველა ერისა, განურჩევლად სარწმუნოებისა ერთი ქვაბიდან მივირთმევდით საჭმელს, ისე რომ ჩვენში არანაირი სხვაობა არ ყოფილა. დიახ! ეს იყო დიდი ბელადის ი.ბ. სტალინის და მთელი საბჭოეთის დამსახურება, განა ამაში რა იყო ცუდი? ჩვენ ყველანი ერთ მიზანს ვემსახურებოდით, რათა ყველას ერთად აგვეტანა ჩვენი საერთო ძმობის და მეგობრობის დროშა. მაგრამ ბოლოს რა გამოვიდა, ჩემს მეგობრებს, იგივე ჩემს ძმებს, დიდ რუსეთში 600 დოლარი პენსია დაენიშნათ, რაც ალბათ მისასალმებელია და რაც ალბათ თქვენი დიდი დამსახურებაა პატივცემულო პრეზიდენტო. მაგრამ აქ ჩვენთან ჩვენი ტვინგამორეცხილი ხელისუფლების ხელში საქართველოში მხოლოდ 67 დოლარის ფარგლებში აქვთ პენსია, რაც ალბათ ამერიკული მასონთა დემოკრატიის დამსახურებაა. მე პირადად ამათ გული ამატკივეს, განა მარტო მე, არა მთელ საქართველოს მოსახლეობას. მე, პირადად მჭირდება ერთი აბი დღეში და 67 დოლარი, ჩემი პენსია არ ყოფნის იმას, რომ შევიძინო დღეში ერთი აბი. აი ასეთია უბრალო პატიოსანი კაცის ხვედრი საქართველოში. საქართველოში ყოველ ნაბიჯზე აფთიაქია, მაგრამ რა გინდა როგორც ჩანს და ჩვენს გაზეთებშიც მრავლად იბეჭდება აფთიაქთა ქსელში გამეფებულ მაფიაზე, მაგრამ

ხელისუფლება ყურსაც არ იბერტყავს. ისე რომ ყველანი დოლარების კეთებაში არიან დასაქმებული. ვინ მეტს მოიხვეჭს მნიშვნელობა არ აქვს პოზიციაში თუ ოპოზიციაშია. ყველა ესენი მთავრობაც და ოპოზიციაც ყველა ერთია, ყველანი ამერიკის დაქირავებული აგენტები არიან. ასე, რომ საქართველო დოლარებში გაყიდულია. საქართველოს თითქმის უმრავლესობა ჟურნალისტებისა „სოროსის“ დაქირავებული აგენტები არიან. არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალი ბრიგადები, როგორი დალესილები არიან და თვით საქართველოს ხელისუფლება. ყველანი ესენი ერთ მიზანს ემსახურებიან. როგორც ამბობენ მილიარდობით დოლარები შემოედინება საქართველოში. მაგრამ საინტერესო ის არის, ვის ჯიბეში ან ვის ყულაბაში ილექება ეს დოლარები. ასე, რომ ბვირფასო პრეზიდენტო! საქართველო მძიმე შავ-ბნელ საქმეებშია გახვეული. ახლა ამას, რომ ვწერ პატივცემულო პრეზიდენტო თვალებზე ცრემლი მაგება ასე მგონია, როგორც ჩემს ახლობელს ჩემს ძმას და ჩემს მეგობარს ვესაუბრები მეთქი. დღეს კინაღამ ოთხმოც წელს მიღწეული ვარ, მაგრამ გული არ ისვენებს იმაზე თუ ვინ ჩატეხა ჩვენ ორ ერს შორის ის დიდი ხიდი ძმობის და მეგობრობის. საბჭოთა ქვეყანა დაანგრიეს, მაგრამ რა მოიგო საქართველოს მოსახლეობამ დაკარგა თავისი ოც პროცენტზე მეტი. ტერიტორია და მოსახლეობა თუ 1989 წლისათვის იყო ხუთნახევარი მილიონი ჩამოვიდა 2,5 მილიონზე. მხოლოდ ეს უბედური და უვიცი ამერიკის მონები გაჰკივიან ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობაო. საქართველოს ხელისუფლება იმ ტოტსა სჭრიან, რომელზედაც თვითონ ყველანი ერთად სხედან. გავა დრო

და მძიმე დღე დაუდგებათ ამათ თვითოეულს. ამათ ქართველ;ი ერი არ შეარჩენთ. წარმოიდგინეთ გავიდა თითქმის 30 წელი რაც ჩვენი მშრომელი ხალხის ქვეყანა დააქციეს, მთავრობა მთავრობას სცვლის და ამ ხნის მანძილზე ხალხის საკეთილდღეოდ არაფერი გაუკეთებიათ: დაანგრიეს და გაანადგურეს ყველა და ყველაფერი: კულტურა, ზნეობა, რწმენა, სარწმუნოება, ქარხნები, ფაბრიკები, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, ხელოვნება, მეცნიერება. ასე რომ ჭეშმარიტ ქართველს საქართველოში არაფერი უხარია. რა ენაღვლება დღევანდელ ხელისუფლებას ქართველი ერის განადგურების ხარჯზე, იგროვებენ მილიონებს და იშენებენ ციხე-კოშკებს. წარმოიდგინეთ ის, რომ ეკლესიის მსახურები ნებისმიერი რანგის მომსახურე პერსონალი ეკლესიისა ყველაზე პატიოსანი ხალხი მეგონა, მაგრამ რას მოვიფიქრებდი , აბა ესენი ყოფილან, რაც ყოფილან. ისე, რომ ეკლესია და საქართველოს მთავრობა შეჯიბრში ყოფილან, ვინ მეტს მოაგროვებენ, სად უფრო მეტი მილიონერი გახდება, ხალხს ეკლესიისაც კი აღარ სწამთ და ამით მრევლიც შეუმცირდათ. დიახ, ამას როგორც ამბობენ საეკლესიო ფინანსური საკითხები ვისაც ებარა, საეროში გიორგი მამალაძეს, რომელსაც უნდა ემხილა. ეს პატიოსანი ადამიანი საქართველოს ხელისუფლებამ და მისმა მართლმსაჯულებამ 9 წელით ციხეში გამოამწყვდიეს, ვითომ ილია მეორეს მოწამვლა ჰქონდა განზრახული, რომელიც ყოველივე საფუძველს მოკლებულია. თვითონ ჩვენი პატრიარქი ილია მეორე ამბობს, რომ გიორგი მამალაძე ამის ჩამდენი არ არის, ის მართალია. დიახ, ილია მეორე მართლაც მოხუცდა,

მაგრამ მას საღი გონება აქვს და საღად აზროვნებს. მას ბევრ რამეს უმალავენ.

ილია მეორეს მოწამვლა მართლაც იყო დაგეგმილი, მხოლოდ არა გიორგი მამალაძის მიერ, არამედ ამერიკელი მასონი ებრაელების მიერ. დიახ, მათ დაგეგმეს სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით „დიდება უფალს“, რომელიც გაიშიფრა დიდი რუსეთის უშიშროების უწყებების მერ. დიახ, სწორედ ამერიკას და მის მესვეურებს აწყობთ ჩვენი პატრიარქის, ილია მეორის ლიკვიდაცია. სწორედ მათი სურვილია, როგორმე მალე ჩამოაშორონ საქართველოს მოსახლეობა მართლმადიდებლობას, რომ რაც შეიძლება მალე გახრწნან და გაანადგურონ ჩვენი ქართველი ერი და აი ამ დროს საქართველოს ხელისუფლება ფარისევლად შეგნებულად ხელს უწყობს იმას, რომ ამერიკისაკენ ხელი არავინ გაიშვიროს, ვითომ და ამერიკელები ამ საქმეში უცოდველი კრავები არიან, მხოლოდ გამოძიება სულ სხვა მიმართულებით მიჰყავთ. დიახ, ასეთია დაახლოებით საქართველოს ამერიკული დემოკრატიული თავსმოხვეული სურათი. ქვეყანას რომელსაც თავისი ეროვნული ხელისუფლება არ ჰყავს. საქართველოს, მხოლოდ მართლა შედარებით ჰყავდა ხელისუფლება 1972 წლამდე, რომელსაც სათავეში ედგა შედარებით ალალი, ქვეყნის ერთგული ვასილ მჟავანაძე, მართლაც თავისი ერის საყვარელი ადამიანი, რომელიც მართავდა თავისი მზრუნველი ხელით, როცა კაცი კაცობდა, პური პურობდა, ფული ფულობდა და კაცს სიცოცხლე უხაროდა. მან ბევრი სიკეთე გაუკეთა როგორც საქართველოს, ასევე ჩვენ ქართველ ხალხს.

ბატონო პრეზიდენტო! ახლა კი ამ ტკბილ სიტყვებს ვერ მოგახსენებთ გათახსირებულ გაიძვერა ედუარდ შევარდნაძეზე.

სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ, აღარავის ეგონა, თუ ქართველი კაცი კვლავ ავიდოდა და გაივლიდა ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე, ანდა კვლავ გახდებოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის უახლოესი მოღვაწე. მაშინ, როდესაც ზღვათა ღელვა იყო აგორებული სტალინისა და ბერიას მიმართ. 1956 წლიდან როდესაც საბჭოთა ხელისუფლების სათავეში მოექცა არ სახსენებელი გაიძვერა, ბინძური ლოთი, საბჭოთა ქვეყნის დამაქცევარი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც დაანგრია და გაანადგურა მთელი საბჭოთა სოფლის მეურნეობა და საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოშალა საბჭოთა ქვეყნის ფინანსური სისტემა ისე, რომ საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა 60-იან წლებში შემოეღო პროდუქტებზე საბართო სისტემა. სისტემა, რომელიც 1948 წელს ჩვენმა დიდმა ბელადმა ი.ბ. სტალინმა გააუქმა. დიახ, ასეთი იყო დეგენერატი ნიკიტა ხრუშჩოვი და აი, აქედან დაიწყო ჩვენი საყვარელი სამშობლოს საბჭოთა კავშირის რღვევა. რომ ჩამოეთრია 60-იან წლებში საქართველოში და თბილისში, სპორტის სასახლეში შეხვედრა მოუწყვეს დეგენერატ ნიკიტა ხრუშჩოვს. აი, სწორედ მაშინ როგორი სიტყვებით მიმართა საქართველოს მაშინდელმა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გაიძვერა და მლიქვნელმა ედუარდ შევარდნაძემ. მე მხოლოდ მცირედს მოგაწვდით ამ გამოსვლიდან.

„გარწმუნებთ ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, რომ საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები მუდამ აღიზრდებიან მტკიცე მარქისისტ-ლენინელებად.

ხრუშჩოვი - ეს სახელი არის დროშა კაცობრიობისა დიადი ბრძოლის, მთელ მსოფლიოში სამარადჟამო მშვიდობისათვის.

შენ გმირთა მზე ხარ, პარტიავ დიადო!

შენ ოკეანე ხარ პარტიავ დიადო!

შენ ჩვენი მშობელი ხარ და მზრუნველი მამა ხარ პარტიავ დიადო!

დედა ხარ და სისხლის ყოველი წვეთის მოძრაობაც შენ ხარ პარტიავ დიადო!

აი, ასეთი იყო შევარდნაძის პირველი მლიქვნელი ნაბიჯი ხრუშჩოვის მიმართ და ხრუშჩოვმაც არ დააყოვნა, თვალებზე ცრემლი მოაწვა და ედუარდ შევარდნაძე, ნიკიტა ხრუშჩოვმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა გულში ჩაიკრა და გადაკოცნა.

დიახ, ედუარდ შევარდნაძეს მთელი თავისი მოღვაწეობის განვლილი გზა ქართველთა სისხლში აქვს გასვრილი ხელები. მის კისერზეა უამრავი ადამიანის, ახალგაზრდა, ნიჭიერი ხალხის სიცოცხლე. აბა გავიხსენოთ შევარდნაძემ დახვრიტა ყოველგვარი დაფიქრების გარეშე თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდა ყმაწვილები და დახვრიტა მათთან ერთად უდანაშაულო მღვდელი. განა, როგორ შეიძლება ასეთი სისასტიკე, როდესაც დედას ორი შვილი, ორი ძმა ერთდროულად დაუხვრიტა და დედას არცერთი შვილი არ დაუტოვა. განა სხვა ასჯელი არ შეიძკებოდა? განა შევარდნაძეს კისერზე არ არის პატარიძის

მკვლელობა, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ შორს წაგვიყვანს. მეღვინეებს ღვინის ქარხნებში შაქარს აზიდინებდა და შემდეგ ციხეებში უშვებდა. აი, ეს იყო, რომ იკვლევდა გზას კრემლისაკენ, რომ დაეჯერებინა საბჭოთა ხელისუფლება, ვითომ აი, როგორი „კომუნისტ“ იყო. ქართველმა ხალხმა შევარდნაძე როგორც „თეთრი მელა“ ისე მონათლა. დიახ შევარდნაძემ უღალატა: ოქტომბრელის ფიცს, უღალატა პიონერულ ფიცს. დიახ, უღალატა კომკავშირულ ფიცს. ის, არ იყო კომუნისტი, მან უღალატა ყველას და ყველაფერს. ყველანაირ ფიცს და ბოლოს უღალატა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის მანდატს, რომელიც კრემლის მაღალი ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს დასანახად მოისროლა და გადააგდო კომუნისტური პარტიის მანდატი, რომელმაც განაცხადა, რომ „მე კომუნისტი არ ვარო“. განა ამაზე მეტი ღალატი შეიძლება ქვეყნის წინაშე. შევარდნაძე 1974 წლიდან, რომელიც საბჭოთა კავშირმა დასავლეთში კერძოდ მექსიკაში საბჭოთა დელეგაცია გააგზავნა და მის ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძე დანიშნეს, აი სწორედ აქ მიიღო შევარდნაძემ ნათლობა და გახდა დაკონსერვებული, ცერეუს აგენტი, რომლებიც უკვე შევარდნაძის აღმავლობაზე ზრუნავდნენ. ასე, რომ აქედან შევარდნაძემ იარა მოღალატეობრივი გზით და იქიდან გორბაჩოვმა და სხვებმა. რასაც მიაღწიეს კიდეც და დაშალეს და დაანგრიეს ჩვენი საყვარელი ძმური და მეგობრული ქვეყანა. ისე, მე თუ მკითხავენ შევარდნაძეს არ უნდა დაჰყროდა გულზე ქართველი მიწა. ის უნდა მოესრო;ად თავისი ნანულისთან ერთად და გადაეგდოთ დასავლეთით ოკეანის გადაღმა, რადგან მოღალატე

შევარდნაძის და მისი ნანულის ადგილი იქით არის და ამას მჯერა, რომ ოდესმე ქართველი ერი მიხვდება და ამას იზამს კიდეც ის, რაც დღეს საქართველოს თავზე უბედურება ხდება, ეს ყოველივე შევარდნაძის ჩადებული „თესლია“ შევარდნაძე ქართველი არ იყო. ის დედით ებრაელი იყო და ნოსტალგიამ თავისი გზა აჩვენა. შევარდნაძემ მთელი საქართველო გადააქცია კორუფციულ და კორუმპირებულ ქვეყანად. გაანადგურა ყველა და ყველაფერი ადამიანური ღირებულებები, რათა გაეკვლია კრემლისაკენ მიმავალი გზა და დაეკიდა გულზე „შრომის გმირის დიდი ვარსკვლავი“, აბა რისი „თეთრი მელა“ იქნებოდა თუ ამას ვერ მოახერხებდა და ვერ მიაღწევდა თავის მიზანს.

ბვირფასო პრეზიდენტო! მე უბრალო ადამიანს თუკი მკითხავდნენ, აუცილებელია შეიქმნას ჩვენი მთელი ყოფილი რესპუბლიკების მასშტაბით, ერთობლივი სამთავრობო კომისია და ამ კომისიაში უნდა შედიოდნენ ყველა რესპუბლიკებიდან მშრომელი უბრალო ადამიანებიც და მოხდეს იმ დროინდელი პოლიტბიუროს წევრების ცოცხლებისაც და მკვდრებისაც აუცილებელი გასამართლება ისე, რომ თუ რა მოჰყვა მათ მოღალატეობას მთელი საბჭოთა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ნგრევა და განადგურება, ვინც არ უნდა იყვნენ ესენი: ედუარდ შევარდნაძე, გორბაჩოვი, იაკოვლევი ყველა ისინი ვინც კი მონაწილეობა მიიღო ამ ღალატში. საინტერესოა რა ფასში და რა გარიგებაში მიჰყიდეს უცხოელებს „საბჭოთა ხალხის აყვავებული“ საბჭოთა ქვეყანა ედუარდ შევარდნაძემ და მიხეილ გორბაჩოვმა? ეს ყველაფერი თითქმის გუშინ მოხდა, რატომ არ ვეუბნებით სიმართლეს საბჭოთა ხალხს, განა ვინ

იყვნენ შევარდნაძე ანდა გორბაჩოვი, ვის ჰქონდა ამისი უფლება რომ საბჭოთა ხალხის აყვავებული ქვეყანა ჯერ დანგრევამდე მიიყვანეს შემდეგ კი გაყიდეს, ისე, რომ საბჭოთა ხალხს არავინ არაფერს ჰკითხავდა. დიახ, მე როგორც ქართველი უბრალო მშრომელი ადამიანი, მოვითხოვ იმას, რომ გასამართლდეს ედუარდ შევარდნაძე ისე, როგორც ქართველი ერის და მთელი საბჭოთა ხალხის მოღალატე. და მის ვაჟბატონს პაატა შევარდნაძეს ფეხი-ფეხზე რომ გადაუდია და საფრანგეთის უმდიდრეს ათეულშია გამოცხადებული. საინტერესოა რომელი ხელფასით მოაგროვა ის მილიარდები. დიახ, შევარდნაძეს ოჯახს უნდა ჩამოერთვას მთელი ქონება და დაუბრუნდეს საბჭოთა ხალხს, მათ შორის ქართველ ხალხსაც. ყველა ესენი უნდა გასამართლდნენ ცოცხლებიც და მკვდრებიც. ისე, რომ ეს უნდა იყოს სამაგალითო, რათა მომავალმა, რომლებიც შევლენ სამთავრობო ხელმძღვანელობაში მსგავსი ღალატი გულშიც კი არ გაივლონ. ისე როგორც ამას აკეთებდა ჩვენი დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი. სიტყვამ მოიტანა და ორიოდე სიტყვა ი.ბ. სტალინზე უნდა მოგახსენოთ ის, რომ ის იყო მართლაც უდიდესი პიროვნება. მან მართლაც შეჰქმნა დედამიწის მეექვსედ ნაწილზე უნიკალური ქვეყანა, რომელსაც „საბჭოთა კავშირი ერქვა“. მოდით პირდაპირები ვიყოთ და სიმართლე ვთქვათ, რატომ სიმართლეს არ წერენ ჩვენი ყოფილი ანდა დფღევანდელი ისტორიკოსები გასული საუკუნის გარიჟრაჟიდან თუ რა ხდებოდა, მე მხოლოდ მოკლედ გეტყვი იმას, რომ ამერიკამ დააფინანსა ტყროცკი და ინგლისმა და გერმანიამ ლენინი რათა როგორმე დაენგრიათ და გაენადგურებინათ ჩვენი

მართლმადიდებლობა, რომელსაც დღესაც ებრძვიან. დიახ, „ლენინ-ტროცკის“ ერთობლივი მიზანი იყო მართლმადიდებლური ეკლესიის განადგურება, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ სტალინი აღუდგა წინ!“ და გადაარჩინა ჩვენი მართლმადიდებლობა. თუნდაც ერთ ისტორიულ მაგალითს მოგიყვანთ თუ რა მისწერა ვლადიმერ ლენინმა ამხანაგ მოლოტოვს „1922 წლის 19 მარტს. ლენინი სწერს მოლოტოვს: „აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად მოვაშოროდ მღვდლები და რელიგია, მღვდელმსახურები დააპატიმრეთ კონტრრევოლუციონერობისა და საბოტაჟის მოტივით და უმოწყალოდ ამოხოცეთ ყველგან, სადაც კი ხელი მიგიწვდებათ. ეკლესიები დახურეთ და საწყობებად გამოიყენეთ!“ აი, ეს იყო ჩვენი დიადი ლენინი, რომელიც მანამდე, 1918 წელს ლენინი დაჟინებით მოითხოვდა მართმადიდებლობის შეცვლას კათოლიკური სჯულით. კიდევ უფრო მეტიც და რა მკაცრად ჟღერს ლევ ტროცკის სიტყვები. ეს ყოველივე არის ისტორიული ფაქტი და დიდმა ბელადმა ი.ბ. სტალინმა გადაარჩინა ტროცკისა და ტრცკიზმის განადგურებისაგან ჩვენი დიდი რუსეთი და საერთოდ საბჭოთა ქვეყანა. დიახ, დიდმა ბელადმა ი.ბ. სტალინმა ყველას კუდით ქვა ასროლინა და ისე გარეკა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნიდან. აი როგორ შეაფასა ჩვენმა ქართველმა მკვლევარმა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ლევან სვანიძემ - დიდი ბელადი ი.ბ. სტალინი „მსოფლიო დიპლომატიის, პოლიტიკისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიას არ ჰყოლია. არ ჰყავს და არც ეყოლება იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილზე უფრო

დიდი დიპლომატი, პოლიტიკოსი და მხედართმთავარი!“. ამის შესახებ არ იწერება, ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს. განა როგორ შეიძლება ამის დაუნახაობა, იმის მიუხედავად, რომ უმაღლესი განათლება არ ჰქონდა. სტალინმა თვით განათლებით შეიძინა ისეთი ცოდნა, არ არსებობდა საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფერო, სადაც თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ უთქვამს! მხოლოდ გაიხსენეთ ის, როგორ ჩაუსწორა „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანში შალვა ნუცუბიძეს, როდესაც იგი რუსულად თარგმნიდა. სტალინით ჩვენ ყველანი რუსიც და ქართველიც უნდა ვამაყობდეთ და ვაი, ამ დროს, ჩვენი საქართველოს ტვინგამორეცხილი ხელისუფალი თუ ინტელიგენციის ნაწილი მის ლანძღვა გინებაზე არიან გადასულები. განა ეს დასაშვებია? მე მხოლოდ ერთ ისტორიულ ფაქტსაც მოვიყვან თუ როგორ შეაფასა ზინოვიევმა ბოლოს ი.ბ. სტალინი.

ზინოვიევს სტალინი ეზიზღებოდა და ქვეყნიდან გაასახლეს, როგორც დისიდენტი. ის გერმანიაში, კერძოდ მიუნხენში დასახლდა, სადაც მან წიგნები გამოსცა, მაგრამ ბოლოს მიხვდა და დასავლეთზე გული აიყარა. მან საბჭოთა კავშირში დაბრუნება მოითხოვა და წარმოიდგინეთ ის, რომ სტალინის სურათი ჩამოკიდა სახლში. შემდეგ ზინოვიევმა „პრავდაში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „გლუმლენიე“. წარმოიდგინეთ აი, რა დაწერა, ამ წერილში სტალინზე? - „მსოფლიოს ყველა დიდი პოლიტიკოსი რომ აიღოთ, სტალინამდეც და სტალინის შემდეგაც. სტალინი ერთად აღებული ყველა პოლიტიკოსზე ბევრად მაღლა დგასო!“ წარმოიდგინეთ ის, რომ კაცს რომელსაც

ეჯავრებოდა სტალინი. ბოლოს მისვდა და როგორ შეაფასა ჩვენი საამაყო ბელადი ი.ბ. სტალინი ზინოვიევმა. აქ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება მაგრამ უდავოა ის, რომ ი.ბ. სტალნი განუმეორებელი პიროვნებაა!. ის იყო არის და იქნება ყოველთვის მშრომელთა სალხის გულებში. მხოლოდ გული მწყდება იმაზე, რომ დიდი ბელადის მოღვაწეობას კაცი ვისაც კი, პატარა მაინც წაეკითხოს მის შესახებ, სირცხვილია, რომ ვერ შეაფასოს. ბატონო პრეზიდენტო! წარმოიდგინეთ ის, რომ კომუნისტებმა არ დაანგრიეს და არ მოხსნეს რუსი იმპერატორების ძეგლები და აქ ჩვენთან ი.ბ. სტალინის ძეგლები, რატომ უნდა დაგვემხო? ჩვენი სახელმწიფოს სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ გაათავხედეს უცხოეთის სახელმწიფო ელჩები. განა რა უფლება აქვთ ამერიკის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა ელჩებს, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაერიონ და გადაწყვიტონ, გორში სტალინის ძეგლი უნდა მდგარიყო თუ არა. დიახ, ეს ყველაფერი რა თქმა უნდა ძნელი მისახვედრი არ არის, ამაში ამერიკის პირადი ინტერესები და მათი პირადი მიზანი იყო, რასაც ჩვენი ყურმოჭრილი ხელისუფლება ემორჩილება.

[illegible]

[illegible]

ОРЕЛ 25 5 98 16 09 1258=

ГРУЗИЯ ТБИЛИСИ УЛ 26 МАЯ 5 СОЮЗ ВЕТЕРАНОВ ВОЙНЫ ТРУДА И
[illegible]

ВАШИ ПРАВОСЛАВНЫЕ БРАТЬЯ РОССИИ ВОЗМУЩЕНЫ АКТОМ ВАНДАЛИЗМА
ВОССТАНОВЛЕННОГО ВАМИ ПАМЯТНИКА ВАШЕ ДЕЛО БЛАГОРОДНОЕ И
ПРАВОЕ ПОБЕДА БУДЕТ ЗА ВАМИ ХРАНИ ВАС ГОСПОДЬ=
ВАШИ ДРУЗЬЯ=
ИННН 1=9 16 09 0001

[illegible]
(209 209801 27 0010 1226 20 09)

СТУПИНО МОСКОВСКОЙ 8 2 25 20 09 12220=

ГРУЗИЯ ТБИЛИСИ УЛ 26 МАЯ НР 5=

[illegible] ТБИЛИСИ СЕРДЕЧНАЯ БЛАГОДАРНОСТЬ ИСКРЕННЯЯ ПРИЗНАТЕЛЬНОСТЬ
МОРАЛЬНАЯ ПОДДЕРЖКА ЗА ВОССТАНОВЛЕНИЕ ПАМЯТНИКА И В СТАЛИНУ
РУССКИЙ НАРОД С ВАМИ=
ИННН 1236 20.09 0001

ЗЦЗЦ 001 (201 212522 Ч
(209 209801 27 0005 1005 03 09)

СТУПИНО МОСКОВСКОЙ 6 3 31 3 09 1 100=

ГРУЗИЯ Г ТБИЛИСИ УЛ 26 МАЯ 5 СОЮЗ ВЕТЕРАНОВ ВОЙНЫ
ТРУДА И ВООРУЖЕННЫХ СИЛ ЦЕНТР ГРУЗИНО СЛАВЯНСКОЙ КУЛЬТУРЫ ОРГАНИЗАЦИЯ
СТАЛИН=

СЕРДЕЧНАЯ БЛАГОДАРНОСТЬ ИЗ РОССИИ
ЗА ОТКРЫТИЕ ПАМЯТНИКА И. В. СТАЛИНУ=
ИННН 1032 [illegible] 09 0001

ძვირფასო პრეზიდენტო! მე, როგორც კომუნისტმა ჩვენი პატარა სახსრებით და ჩემი პატარა საძმოთი, 2013 წელს მივაგენი დიდი ბელადის გადაგდებულ ბიუსტს, ოთხ ნაწილად დამტვრეულს მაყვლის ბარდებში, რისი აღდგენაც გადავწყვიტეთ. ნებართვაც ავიღეთ ქალაქის ხელმძღვანელობიდან, რომ ქალაქ თელავის გარეთ ზუზუმბოდ წოდებულ ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია მეორე სამამულო ომის გმირთა მემორიალი და ამ გმირთა მემორიალის გვერდით ჩემი ხელებით ავაგე ოთხი მეტრი და ოცი სანტიმეტრის სიმაღლის სტალინის ძეგლი და დიდი ზარ-ზეიმით გავხსენით 2013 წლის 1 სექტემბერს გაავრცელა ჟურნალისტობამ, რამაც მოიცვა მთელი სამყარო, მათ შორის დიდი რუსეთი, აი, გიგზავნით ამ მოლოცვის ტელეგრამების ასლებს, რათა დარწმუნდეთ სადაც კიდე ჩანს, რომ ჩვენ ქართველებს და ჩვენ ძმა რუსებს ერთი სარწმუნოება და ერთი მეგობრობა გვაკავშირებს. ის რაც მაღალმა ღმერთმა გვიბოძა. დიახ ჩვენ როგორც მეზობლები, მეგობრები დავრჩეთ ისევ და გააგრძელონ ჩვენმა მომავალმა თაობებმა, რაც შეეხება სტალინის ძეგლს, მოხდა უბედურება, როდესაც ხალხი საახალწლო მზადებაში ვიყავით 2013 წლის 31 დეკემბერს და 2014 წელს ვხვდებოდით, ძეგლი აორთქლდა და გაქრა. ისეთი ახალი წელი გაატაროს ბოკერიამ და მისმა დამპალმა მეუღლემ ჩორგოლეიშვილმა მე, რომ 2014 წლის პირველ იანვარს შევხვდი. კაცი წამალს არ ვყიდულობდი, რომ ძეგლი აღმედგინა და მთელი ნაშრომი წყალში გადამიყარეს. რაზედაც გული მატკინეს. აი ასეთია და ბინძური გახადა

„ამერიკულმა დემოკრატიამ“ ყოფილი ოდესღაც აყვავებული „საბჭოთა საქართველო“.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენ დიდი პიროვნება ბრძანდებით. მე თუ მკითხავდნენ ზუსტად ამას ვიტყოდი, რომ თქვენ დღეს-დღეობით ბრწყინვალე მოღვაწე ადამიანი ბრძანდებით მთელი მსოფლოს მასშტაბით, რადგან თქვენ მართავთ დიდ ქვეყანას ოცდამეერთე საუკუნის დასაწყიში, რაც სამაგლითო და მისასალმებელია, რადგან იცავთ თქვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, თქვენი ხალხის კეთილდღეობას, რაც მისასალმებელია, მოდი ვიყოთ პირდაპირები და გეტყვით იმას, რომ ის არ იფიქროთ მე გეფერებოდეთ, არა მე პირში მთქმელი კაცი ვარ და გეტყვით იმას, რომ მოფერება, რომ მდომნოდა ვიცი ვისაც მოვეფერებოდი და კოჭს გაუგორებდი, მაგრამ მე ეს პიროვნება არ ვარ მხოლოდ სიმართლე მინდა. ის რაც მოხდა საქართველოსა და ჩვენ მომმე რუსეთის შორის, 2008 წლის აგვისტოს ომი. ეს ჭეშმარიტმა ყველა ქართველმა იცის, რაც მოხდა იმ ხანად თქვენ თქვენი ქვეყნის ინტერესები დაიცავით, მაგრამ ჭეშმარიტ ქართველობას ისიც კარგად სწამთ, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება გონს მოეგება, ჩვენ გვჯერა, რომ დიდი რუსეთი და მისი ხელმძღვანელობა თავისივე ნებით დაუბრუნებს საქართველოს თავის ძირძველ ცხინვალსა და ოსეთს, რადგან დიდ რუსეთს პატარა საქართველოს ტერიტორიები არ სჭირდება. მე პირადად ამისი მჯერა და მწამს.

ბატონო პრეზიდენტო! ალბათ გამიგებთ, რომ როგორც ჩემი პატარა ქვეყნის უბრალო ადამიანი, ჩემი სამშობლოს საქართველოს, ჩემი ქართველი ხალხის

ეროვნული ინტერესების ქომაგი, როგორც თქვენ იცავთ თქვენი ქვეყნის ინტერესებს, ასევე მეც ჩემი ქვეყნის ეროვნული ინტერესები მალაპარაკებს და მაწერინებს. ახლა ორიოდე სათხოვარი მექნება. ის, რომ ზევითაც მოგახსენეთ და ახლაც გავიმეორებ დღეს-დღეობით საქართველოში მთავრობაც და ოპოზიციაც ნებისმიერი ესენი ყველა ერთად ამერიკის დავალებებს ასრულებენ. ამათი დავა და მიზანი იმაშია, რომელი მოექცევა ხელისუფლებაში, რადგან ხელისუფლებაში ცხადია რაც შეიძლება მეტი შეიხვედრონ მათ სხვა მიზანი არ აქვთ. ამათ ეროვნულობა არ გააჩნიათ, ამისათვის ჩემი თხოვნაა, რომ იქნება როგორმე მჭიდრო კავშირი დაამყაროთ საქართველოს „სოციალისტურ“ პარტიასთან, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდებული პიროვნება ვალერი კვარაცხელია და ასევე თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გამტარებელი თემურ ფიფია, რომლებიც თავს არ ზოგავენ და ამ უმძიმეს ჟამს სიცოცხლესაც კი სწირავენ თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის. დიახ, ჩვენ ყველამ ერთად ვალერი კვარაცხელიას თაოსნობით, ჩვენი დიდ მეფის ერეკლე მეორის ძეგლის წინ ქალაქ თელავში დაიდო „ხუთ პუნქტიანი ფიცი“ იმაზე, რომ ჩვენ სოციალისტები ერეკლე მეორის გზას არ გადაუხვევთ და დავრჩებით მისი იდეების ერთგულნი დიდი რუსი ქვეყნის გვერდით. დიახ, ეს არის ეროვნული ქართველი ერის გამოძახილი, რომელიც დაარეგულირებს და აღადგენს იმ ჩატეხილ ხიდს, რომელიც თავს მოგვახვია დასავლეთის ამერიკულმა მასონმა წრეებმა. დიახ, ჩემი თხოვნაა თქვენდამი ის, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმოქმედოთ და დაიცვათ თქვენი ქვეყნის

ინტერესები პირველ რიგში და ეცადოთ ის, რომ ნურც პატარა საქართველოს ჩემი ქვეყნის ინტერესებს დააზარალებთ. მშრომელი ხალხი უბრალოდ დაიღალა და ცოდვაა. წარმოიდგინეთ, როგორ დარიხინებენ ამერიკის ჯართი ტანკები ჩვენთან, გორის ტრასაზე. ესენი ყველა აუცილებელია გაყაროთ აქედან, მათი ადგილი აქ არ არის, არც საქართველოში, არც რუსეთში და არც ყოფილ საბჭოთა სივრცეში.

ამერიკა მშიშარა ქვეყანაა და როგორც კი წინააღმდეგობას წააწყდებიან, ისევე აერიდებიან. მათ მსოფლიო ხალხის წინაშე უამრავი ცოდვა აქვთ ჩადენილი. აბა გაიხსენეთ, ტრამპი გამოვიდა და განაცხადა მსოფლიოს წინაშე ჩრდილო კორეას წავშლიო, მაგრამ ჩრდილო კორეის ხელისუფლებამ ასი ათასობით პარადი ჩაატარა სულ მუშტის ქნევით ამერიკის საწინააღმდეგოდ. ეს რომ ტრამპმა დაინახა ისევე შეცვალა რიტორიკა და განაცხადა, რომ ჩვენ ამერიკა ვეცდებით, რომ ჩრდილო კორეა დიალოგის გზით შევაჩეროთო. ასე, რომ ამერიკა მშიშარა ქვეყანაა და საჭირო არის გატარდეს ყოველივე ღონისძიება. ერთსაც გეტყვით, იმას, რომ ამერიკას და ევროპას, ეს არ ვიცი როდის, მაგრამ უახლოეს ათწლეულში მოხდება მათი გამყინვარება, მათ იმდენი ცოდვა აქვთ ჩადენილი, რომ მალე მათ უფალი ღმერთი დასჯით. ეს ასე იქნება და ამიტომ ეცდებიან, როგორმე თბილი და კომფორტული ადგილი ნახონ, სხვა ხალხების ხარჯზე და თვითონ თავი შეაფარონ. იქნება მე ვცდები, მაგრამ მგონია ეს ასე იქნება. ალბათ თავი მოგაბეზრეთ მაგრამ მე ბედნიერი კაცი ვიქნები მაშინ, თუ მართლა მოაღწევს ეს ჩემი წერილი, ჩემი გულში ნადები

თქვენამდე, წაიკითხავთ და დასკვნასაც თქვენ გამოიტანთ. თუ რაზე მიძგერს გული, დიახ, ჩვენი ორი ქვეყნის ძმობაზე და მეგობრობაზე.

დიდი ბოდიში, პატივისცემით, თქვენი ქვეყნის
ქომაგი
და მეგობარი ნოდარ ილიას ძე გაგნიძე.

დღეს 2018 წლის 30 იანვარია

წლები გავლიე სამშობლო ქვეყნის სასარგებლო შრომაში. ვამაყობდი საქართველოს შვილობით! მეოცე საუკუნეში საქართველო გახდა სანიმუშო, გამორჩეული, მოწესრიგებული, ეკონომიკურად ძლიერი, სახელმწიფოებრივი მოწყობით სრულიად ახალი-სოციალისტური, თავისუფალი მაღალი კულტურით, ერთიანი კონსტიტუციით, ერთიანი ძლიერ დაცული ტერიტორიით, გამრავლებული და მდიდარი მოსახლეობით. ქართველებს ეღირსათ ერთიანიძლიერი სახელმწიფო და ამაყობდნენ ქართველობით და საქართველოთი. მიიწურა XXსაუკუნე. ჩემი სამშობლოს ძლიერების სიამაყე, მიიწურა საქართველოს დიდება, დაცოტავდა ქართველობა, მოიშალა, დაინგრა, გადასხვაფერდა მმართველობის სისტემა. საქართველო ეტმასნება ამერიკა-ევროპას და თანდათან ჰკარგავს დამოუკიდებელ ეროვნულობას. საგანგაშოა XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის 10-იანი წლების მოვლენების ნამდვილი, გაუყალბებელი შინაარსი.

ვინ და როგორ დაანგრია საქართველო?! დააქცია ქართველთა სისხლი. რატომ წამართვეს სამშობლო, ვაი პრეზიდენტებმა?!

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან ყმაწვილკაცობიდანვე გამოამჟღავნა საკუთარი, განსხვავებული დამოკიდებულება ქვეყნის მომავლის თაობაზე. გახდა დისიდენტი, „მრგვალი მაგიდის“ პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელი. ეროვნული მოძრაობის ლიდერი, საქართველოს N1 პრეზიდენტი. ქართულმა პოლიტიკურმა მოძრაობამ ძალიან მალე გააძევა საქართველოს მმართველობიდან. უხეში პოლიტიკურ-სამეურნეო დარღვევებისა და სხვა ქვეყნებთან მოუწესრიგებელი საგარეო ურთიერთობის შედეგების გამო.

პირველი პრეზიდენტის უდღეური მოღვაწეობა გამოუსწორებელი შეცდომებით შემორჩა მეხსიერებას: რუსეთთან სამხედრო-ეკონომიკური დაპირისპირება, რასაც აფხაზეთის (სოხუმის) დაკარგვა, ადამიანთა მსხვერპლი და ათასობით აწიოკებული დევნილი მოჰყვა; ძალაუფლების შენარჩუნებისათვის სისხლიანი ბრძოლა ე. შევარდნაძესთან იქვე; თბილისის ქუჩებში სისხლიანი ძმათამკვლელი ომი (113 მოკლული); საფრანგეთიდან ემიგრანტული წარმომადგენლის სისხლიანი ქ. ჩოლოყაშვილის ჩამოსვენება მთაწმინდაზე. ყოველივე დაბეჯითებით შესწავლას საჭიროებს. მოკლეს თუ თავი მოიკლა ზვიადმა დევნილობაში. სამეგრელოს პატარა სოფელში - ხიბულაში. საქართველოს N1 პრეზიდენტი (ნეშტი) განისვენებს მთაწმინდაზე.

N2. საქართველოს რიგით მეორე პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე, ძალაუფლების ხელში აღებისათვის დაუპირისპირდა პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას აფხაზეთში. შედეგად საქართველომ მიიღო სისხლიანი გამოცდილება. მან არ დაინდო არავინ და არაფერი თავისი პოლიტიკურ საქმიანობაში. არა ერთხელ გამოიყენა გულუბრყვილოდ მინდობილი ქართველების აწყვეტილი ემოციები თავისი საკუთარი ინტერესების, მიზნების შესრულებისათვის. ერთი აღიარებული მაგალითიც კი ნათელს ხდის მისი ნიჭის დამაქცევარ უნარს.

გავიხსენოთ XXსაუკუნის 70-იანი წლები საქართველოში. ის, შევარდნაძე ქვეყნის პირველი მართველია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. მისი მფარველები მოსკოვში მოღვაწეობენ. მუშაობენ ახალი კონსტიტუციის შექმნაზე. რედაქციაში მას პირდაპირ უთხრეს სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით, რაც გსურთ, როგორც ქართველ ხალხს უნდა ისე ჩაწერეთო ქართული ენის სახელმწიფო მნიშვნელობაზე. და იგრძნო განსაკუთრებული საფრთხე გამოთქმაში „როგორც ქართველ ხალხს უნდა“ და არა შენო!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამაღლებული კათედრიდან გამოუცდელ ქართველ სტუდენტებს მზაკვრულად მოუწამლია გონება „ქართველებს სახელმწიფო ენას გვამრთმევენო! გაქნილი სიცრუე აიტაცა ქართველობამ, დაიჯერა, გამოვიდა ქუჩაში და ეგონა მართლა პატრიოტული თავდადება გამოიჩინა. რა

იყო ეს?! ისტორიული სიყალბე სინამდვილედ როგორ გასაღდა?! დღესაც სჯერათ მისი!

ცალკე ინტერესს წარმოადგენს ე. შევარდნაძის ფლიდი საქმიანობის შედეგების შესწავლა შეფასება ქ. მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. მან არ დაიშურა შესაძლებლობები გერმანიის სახელმწიფოებიოს გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის დაშლა გაპარტახებისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა კლინტონმა ასე შეაფასა - საბჭოთა კავშირი დაიშალა ამერიკის დოლარების, გორბაჩოვის მერყეობისა და საგარეო უსუსური პოლიტიკის გამო.

კიდევ მეტი: გაიძვერა, გაქნილმა ,,თეთრმა მელამ" მოუშუშებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ქვემძრომი მუხანათობით, მოახერხა ქართული ქრისტიანული სულიერების დაკნინება. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ცოდვაში გახვევა. შევარდნაძემ კადნიერად განაცხადა ,,პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე და მოხდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე დამამცირებელი, შემაშფოთებელი, დაუვიწყარი, დასაგმობი და სამარცხვინო რამ: - კათოლიკოს-პატრიარქი, საქართველოს სულიერი მამა მიეახლა, რამდენიმე მორწმუნესთან ერთად ბინაში. ე. შევარდნაძეს დაუწოქა, დაემხო და შესთხოვა არ გადამდგარიყო ქვეყნის ხელმძღვანელობიდან. ეს სირცხვილი იხილა საქართველომ, ქართულ ტელე-არხებზე. ეს სირცხვილი გაჰყვება თაობებს.

N3. მეტად მოუწესრიგებელი გამოდგა საქართველოს რიგით მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ამერიკის მფარველობით გამოჩნდა თბილისში „ვარდების რევოლუციისას“. მან გადააყენა, გააძევა მეორე პრეზიდენტი ე. შევარდნაძე. ასე, გამეტებით შემოვიდა მართვის ამერიკული სტილი ქვეყანაში. ამერიკა გახდა სტრატეგიული პარტნიორი რეალურად ამ,ერიკა გაძლიერდა და გაბატონდა ფარისველური დიპლომატიით.

მესამე პრეზიდენტმა თავისი მახინჯი კვალი დაატყო საქართველოს ქვეყნის ყველა დარგს, მოშალა, გაანადგურა, გაასხვისა, დაამყარა თავისთვის მისაღები რეჟიმი, საპატიმრო დაწესებულებებში, გადაასხვაფერა განათლების მთელი სისტემა.

მოურჩენელი, მტკივნეული გამოდგა პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური კურსი. განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობაში. მოისურვა და თავისი გაიტანა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა განგაშით წამოჰყარა საჯარისო დანაყოფები და 2008 წლის აგვისტოში შეუსია ცხინვალის, ე.წ. სამხრეთ ოსეთს. ყოჩაღი ბიჭები გატაცებით ნავარდობდნენ - ეს დროებით. მალე გამოჩნდა უახლესი სამხედრო ძალა რუსეთის შეიარაღებული ძალებიდან და გამოიქცა შეშინებული პრეზიდენტი. გამოიქცა და მიატოვა ცხინვალი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, დათმო, დაკარგა, მიატოვა ძირძველი ქართული მიწა-წყალი „სამაჩაბლო“.

ეს მოუთვინიერებელი სამხედრო ნაბიჯი მონათლეს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომად“. არის

გამძაფრებული მცდელობა მიჩქმალონ თავისი შეცდომები, დამნაშავედ გამოაცხადონ რუსული მხარე.

მესამე პრეზიდენტმა საქართველოს მოსწყვიტა სამაჩაბლო, რასაც აბრალებს რუსეთს. თვითონ საქართველოდან გაქცეული, უკრაინასთან შეფარებული, აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ მოძრაობებში. მას საქართველოს სასამართლო ითხოვს.

N4. რიგით მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. უფრო შემთხვევით მოხვდა ამ ამაღლებულ სახელმწიფო თანამდებობაზე. ის უფრო ნაციონალების პოზიციას ამჟღავნებს, პარლამენტთან უფრო ოპოზიციურია, ხშირად მიმართავს ,,ვეტოს“ პოლიტიკას, მაგრამ უშედეგოდ. ასეთია ჩემი დროის საქართველოს სინამდვილე.

თავი IV. მზეგრძელი მებრძოლი - ივანე ბუჩუკური

მეომარი, მშენებელი, აღმზდელი, მეცნიერი, პოლკოვნიკი, საზოგადო მოღვაწე ავტობიოგრაფიული ცნობებიდან





მე, ბუჩუკური ივანე პავლეს ძე, ეროვნებით ქართველი დავიბადე ქ. თელავში 1965 წლის 1 თებერვალს მოსამსახურის ოჯახში. 1971 წლიდან 1980 წლამდე ვსწავლობდი თელავის 8 საშუალო სკოლაში. 1980 წლიდან 1982 წლამდე ვსწავლობდი რუსეთის ფერედაციის ქ. სოჭის 59 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში თვითმფრინავმშენებლობის სპეციალობაზე და მისი წარჩინებით (წითელ დიპლომზე) დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში საამწყობო საამქროში.

1985 წელს წარმატებით ჩავაბარე გამოცდები კიევის უმაღლეს სამხედრო საავიაციო საინჟინრო სასწავლებელში,

სადაც ვსწავლობდი საავიაციო მოწყობილობის ფაკულტეტზე. ვისწავლე ერთი სემესტრი და მიღწეული წარმატებების გამო შემომთავაზეს სწავლა გამეგრძელებინა პილოტირებული საფრენი აპარატების ფაკულტეტზე, რომელიც მდებარეობდა ქ. ხარკოვში. 1990 წელს დავამთავრე ხარკოვის უმაღლესი სამხედრო საავიაციო საინჟინრო სასწავლებელი პილოტირებული საფრენი აპარატების სპეციალობით.

1990 წლიდან 1992 წლამდე ვმსახურობდი 34 საჰაერო არმიის 793-ე ცალკეულ საბრძოლო სატრანსპორტო შვეულმფრენთა პოლკში. ამ პერიოდში მაქვს მიღებული მონაწილეობა ჩერნობილის აეს-ის შედეგების ლიკვიდაციაში 1991 წლის აგვისტოს თვეში.

ზემოთხსენებულ პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოში საჯარისო ფორმირებების შექმნა და მე დაუყოვნებლივ გადავედი ჩემი სამშობლო საქართველოს სამსახურში და 1992 წლიდან 1993 წლამდე ვმსახურპობდი შინაგანი ჯარების ცალკეულ ესკადრილიაში საფრენოსნო შემადგენლობაში. ამ პერიოდში მაქვს მიღებული მოპნაწილეობა სამეგრელოს მოვლენებში (წალენჯიხის რაიონი).

1993 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს სამეხდო საჰაერო ძალები და 1993 წლიდან 1994 წლამდე ვმსახურობდი სამხედრო საჰაერო ძალების შევეულმფრენთა პოლკში საფრენოსნო შემადგენლობაში. ამ პერიოდში მაქვს მიღებული მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს მიწა-წყლის დაცვაში აფხაზეთის რეგიონში.

ომის დამთავრების შემდეგ 1994 წელს გადაყვანილი ვიყავი სამხედრო ნაწილის 05665-ში მეთაურის მოადგილედ.

მსახურის პერიოდში ზემოთხსენებული ნაწილი გახდა ერთ-ერთი სამაგალითო და სანიმუშო მთელ შეიარაღებულ ძალებში და მის ბაზაზე შემდეგში ჩამოყალიბდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების საპარაშუტო-სადესანტო ნაწილი. ამ ნაწილში მსახურის პერიოდში ჩემი პროექტით აიგო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საპარაშუტო (მომზადების) ქალაქი.

1997 წლიდან ვმსახურობდი სამხედრო-საჰაერო ძალების სამმართველოში განყოფილების უფროსად. 1998 წლიდან 2000 წლამდე ვიყავი თვითმფრინავების შვეულმფერენების და ძრავების ციკლის უფროსად.

2000 წლიდან ვიყავი აღმოსავლეთ ოპერატიული მიმართულების საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსად. შემდეგ მთხოვეს და გადამიყვანეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმარების და სამეცნიერო ტექნიკური კვლევების მთავარ სამმართველოში მთავარ სპეციალისტად. მსახურის პერიოდში ვმუშაობდი ძირითადად უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების მიმართულებით და ჩვენი ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოში უპილოტო თვითმფრინავების და საფრენი აპარატების გამოყენების იდეა, რომელიც დღეს წარმატებით იკრებს ნაბიჯებს. სამხედრო სამსახურის პარალელურად ვეწეოდი სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

2006 წლის მაისიდან 2011 წლამდე ვმსახურობდი თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ აკადემიაში, სადაც

მებარა საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების ოფიცერთა მომზადების კურსები და იქ მსახურის პერიოდში მიღებული მაქვს არა ერთი მადლობა–სიგელი და ჯილდო. აკადემიაში მსახურის პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული 2008 წლის აგვისტოს საომარ მოქმედებებში საქართველოს მიწა-წყლის დაცვაში ცხინვალის რეგიონში (მათ შორის ვიყავი უშუალოდ თვით ცხინვალში საომარი მოქმედებების შემდეგაც).

2011 წლიდან, მიუხედავად ჩემი სიყვარულისა შეიარაღებულ ძალებისადმი, მე პროტესტის ნიშნად წამოვედი საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან.

აფხაზეთის ომში (1992-1993) ძირითადს, როგორც მახსოვს 17,8% შეადგენდნენ აფხაზები, 45,7 ქართველები, 14,3% რუსები, 14,6% სომხები, ხოლო 7,6 სხვადასხვა ერის მოსახლეობა. ასე იწერებოდა საქართველოს უახლესი დროის სამხედრო ხელოვნების ისტორია.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
თავდაცვის ეროვნული აკადემია

ს ა პ ა ტ ი ო ს ი გ ე ლ ი

სრული კურსის თანმიმდევრული სასწავლო დისციპლინის შესწავლის ნათელი ოცნებით დაჯილდოვდა, საბაზისოდისციპლინური მომზადების ეროვნულინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელობის, ბანკირული საბუღალტრო ლიტერატურის გამოყენების და სასწავლო ბაზისური მიზნების მნიშვნელობის შეფასების გათვალისწინებით

ფიზიკური პირის საშემოსავლო ოდენობა

თავდაცვის ეროვნული აკადემიის ოპერაციული
ხელმძღვანელი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
თავდაცვის ეროვნული აკადემია




ს ა ნ ა ხ ი ა ნ ი

საკანდიდატო მოთხოვნების შესაბამისი ძალების სამხედრო-საჰაერო ძალების იუნიტორთან ერთად ჩატარებული მოსწავლეების კვალიფიკაციური შემოწმების და სამეფო ფლოტის ტერიტორიის გამოცდების ჩატარების

ფორე-ადმირალი იოსებ ანდღულაძე

თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი
პროფესორი [illegible] ქ. ნათაძეშვილი



ГРАМОТА

აბილისის მანქანათმშენებლობის
ტექნიკუმი

НАГРАЖДАЕТ

ვგ. № 112 მისწავლეს ი. ბურჯკის

სსრ კავშირის 60 წლისთავისადმი
მიძღვნილი მისწავლეთა შემოქმედებითი
წარჩენების დათვალიერებაში წარმატებით
მონაწილეობისათვის.

за творческие успехи и активное участие в развитии художественной самодеятельности

12/VI 1982 г.

სიგელი



[illegible] [illegible] [illegible]

[illegible] [illegible] [illegible] ფალავან.

[illegible]

პატრ. გუჩუაშვილს

[illegible] [illegible] [illegible] [illegible]

[illegible]

[illegible] [illegible]

[illegible] [illegible]


[illegible] [





საქართველოს ასსრ
ს ხელოვნების
კომიტეტის ფილიალი

"3" მარტი 198" წ



АДЛЕРСКИЙ РАЙОННЫЙ ДОМ ПИОНЕРОВ И ШКОЛЬНИКОВ

Н А Г Р А Ж Д А Е Т

БУЧУКУРИ [illegible], члена авиамодельного кружка за активное участие в работе кружка, общественной жизни Дома пионеров.


Методист ДП [illegible] Логачкова С.П./

Руководитель кружка [illegible] Маслуков Л.../

г.Сочи [illegible] мая 1981 года.

ს ი გ ე ლ ი

მიეცა საქარიელის ნუსიაური და ქორეოგრაფიული საბიბლიოთეკის ფონდის ფილიალის ჩაიიუნ ქაბგლიშას ანსებული ქორეოგრაფიული სტუდიის III კლასის მოსწავლე - - ირმანე - - -



Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ГРАМОТА

РЕСПУБЛИКАНСКИЙ СОВЕТ ДСО "ЗЕНИТ"

награждает тов. ბუნიატი ალექსანდრე

занявшего III место в первенстве общества по

борьбе дзю-до в весовой категории 65 кг.

20 октября 1986 г. г.Тбилиси

ПРЕДСЕДАТЕЛЬ
РС ДСО "ЗЕНИТ" ИДЗЕЛЬРИ Г.М.

§1. აფხაზეთის ომის ძირითადი მიზეზები

მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილის მტკიცებით, ომი აფხაზეთში - ეს იყო წინასწარ დაგეგმილი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც საგულდაგულოდ მზადდებოდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. რუსეთის ზრახვებით გამსჭვალული წრეები და აფხაზი ხელისუფალნი სისტემატიურად თავს ახვევდნენ აფხაზებს დამახინჯებულ ფაქტებს. უამრავ სიყალბეს და ამით სიძულვილით აღავსებდნენ მათ, ქართველების კეთილგანწყობილი ერის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე აფხაზები შეგნებულად გაურბოდნენ საკუთარ ისტორიას და ზემდგომი ორგანოების ხელშეწყობით სასტიკად დევნიდნენ ამ საქმეში ჭეშმარიტების დამდეგ მკვლევარებს.

სინამდვილის დამახინჯების ერთ-ერთი ფაქტია 1979 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები, სადაც აფხაზეთში მცხოვრები აფხაზების რაოდენობა 70 ათასიდან 91 ათასამდე ხელოვნურად გაზარდეს, ხოლო იქ მცხოვრები ქართველების რაოდენობა 280 ათასიდან ხელოვნურად 240 ათასამდე დაიყვანეს.

ამასთან სპეცსამსახურების მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგად აფხაზებს ქართველი მტრის ხატიც გამოუძერწეს.

აფხაზთა ნაწილი ვერ შეეგუა საქართველოს ლტოლვას დამოუკიდებლობისაკენ და შეეცადა ის თავისთვის მოერგო, რასაც სჭირდებოდა საქართველოზე



ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი და მან ის მოახერხა გააჩაღა შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში.

აფხაზეთის ომი ფაქტიურად 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, მაგრამ საამისო ნიადაგი აფხაზმა ექსტრემისტებმა და მისმა დამქაშებმა მრავალი ათეული წლის წინათ მოამზადეს, რომელზედაც მეტყველებს შემდეგი ფაქტები: 1957 წელს აფხაზმა ინტელიგენციამ მაშინდელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მიმართა თხოვნით,

რათა გადაეწყვიტათ საკითხი აფხაზეთის, რუსეთის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ. 1967 წელს აფხაზმა საზოგადოებრიობამ მეორედ მიმართა საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სხვა ინსტანციებს წინადადებით, რათა აფხაზეთი გასულიყო საქართველოს სსრ შემადგენლობიდან 1978 წელს კვლავ დგება საკითხი აფხაზეთის საქართველოს სსრ შემადგენლობიდან. თავისუფლად გასვლის უფლების მინიჭების შესახებ.

1988 წელს აფხაზებმა კვლავ მიმართეს საკავშირო ხელმძღვანელობას, რათა შეცვლილიყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და მისთვის საკავშირო რესპუბლიკის უფლებამოსილებანი მიენიჭებინათ. იგივე მოთხოვნა განმეორდა 1989 წლის 12 მარტს, ხოლო 1989 წლის 15 ივლისს აფხაზებმა მოაწყვეს აფხაზ-ქართველთა შეტაკება, რითაც მათ დაიწყეს პირველი, უკვე შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ. **ამ შეტაკებაში დაიჭრა 448 და დაიღუპა 17 ადამიანი.**

აფხაზეთის ომის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების არასამართლებრივი დაკომპლექტება.

აფხაზეთის მოსახლეობა ამ დროს სულ 531 ათასი კაცი იყო, რომელთა 17,8% აფხაზები, ხოლო 45,7% ქართველები, დანარჩენი კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლობა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 15 დეპუტატიდან 8 იყო აფხაზი, 8 პირველი მდივნიდან 5

აფხაზი, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს 140 დეპუტატიდან 57 იყო აფხაზი, 53 ქართველი, აფხაზეთის 12 მინისტრიდან 8 აფხაზს ეკავა. 1991 წელს ჩატარებული არჩევნების კანონით შემდეგნაირად განაწილდა. 28 აფხაზი, 26 ქართველი, 11 სხვა ეროვნების.

ომამდელ წლებში აფხაზეთში მიღებული იქნა კანონსაწინააღმდეგო დადგენილებები, რომლებმაც პრაქტიკულად მოწყვიტეს აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციის გავლენას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან გამოყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი, პროკურატურა, სხვა სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციები. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ომის დაწყებამდე მიიღო დადგენილება 1978 წლის კონსტიტუციის შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, რომლითაც ფაქტიურად გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. XX ს-ის 60-იანი წლებიდან აფხაზეთის ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის და სხვა პირებისაგან ჩამოყალიბდა და მოქმედებდა ექსტრემისტ შეთქმულთა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვას, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის ძალადობრივი გზით გამოყოფას.

აფხაზეთის ომის დაწყებაში დიდი როლი ითამაშა ომამდე დიდი ხნით ადრე აფხაზი ხალხის ცნობიერების შესაცვლელად მითების შექმნამ. მითების შექმნის ძირითადი

მიზანი იყო ის, რომ აფხაზებისათვის ჩაენერგათ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ომის წარმოების აუცილებლობა, შექმნილ მითებს შორის ძირითადი იყო მითი „აფხაზის გენოციდზე“, „თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, „ეთნიკური კონფლიქტის შესახებ“, „თავისუფლებაზე და განმათავისუფლებელი ომის შესახებ“.

მითის „აფხაზების გენოცდიზე“ შესახენ, მიზანი იყო ის, რომ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის შემადგენლობაში თვით აფხაზების რაოდენობა იყო, არა უმეტეს 17%-ისა დაბრალდებოდა ქართველებს. ფაქტიურად ბოლო 90 წლის განმავლობაში აფხაზთა რაოდენობა იზრდებოდა და 1992 წლისათვის გაიზარდა ორჯერ, წლიურმა მატებამ შეადგინა 0,86 საერთოდ კი აფხაზეთის მოსახლეობა ამ პერიოდისათვის გაიზარდა 5,4-ჯერ. აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მექანიკური მიგრაციის ხარჯზე, აფხაზეთის მოსახლეობა განსაკუთრებით გაიზარდა 1926-1977 წლებში, 174 ათასი მცხოვრებიდან 503 ათას მცხოვრებამდე. ე.ი. თითქმის სამჯერ. სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მექანიკურმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ აფხაზების რაოდენობა აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 28%-დან დავიდა 15%-მდე, ხოლო ქართველების რაოდენობა შესაბამის პერიოდში 53%-დან შემცირდა 40%-მდე. ე.ი. აქ ადგილი აქვს არა აფხაზების გენოციდს, არამედ აფხაზეთის მოსახლეობის მექანიკური გაზრდის ხარჯზე აფხაზებისა და ქართველების პროცენტული რაოდენობის შემცირებას, რომელიც არაფრით არ ნიშნავს აფხაზების გენოციდს.

მიტი „თვით გამორკვევის“ შესახებ, აფხაზი სეპარატისტები და მისი დამქაშები აფსაზ ხალხს აბრუებდნენ და შთააგონებდნენ, რომ თითქოსდა ისინი მოკლებულნი არიან ერის თვით გამორკვევის უფლებას, სადაც მხედველობაში აქვთ ცალკეული ეთნიკური ჯგუფის სუვერენიტეტი, თუნდაც ეს ეთნიკური ჯგუფი შეადგენდეს რეგიონის მოსახლეობის უმცირესობას. ამავე დროს ისინი არაფერს ამბობენ იმაზე, რომ საერთაშორისო სამართალი ერს ცნობს არა ეთნიკური ნიშნით, არამედ სამოქალაქო კუთვნილების მიხედვით. ე.ი. თვითგამორკვევაზე უფლების პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს რეგიონში მცხოვრებ არა გარკვეულ ცალკეულ ადამიანთა ჯგუფს, არამედ რეგიონში მცხოვრებ მთელ მოსახლეობას.

„ეთნიკურ კონფლიქტს“ ემსახურებოდა აფხაზთა დარწმუნება ქართველთა მბრძანებლობიდან შეიარაღებული გზით თავის დაღწევის აუცილებლობაში, რაშიც მათ არწმუნებდნენ იმით, თითქოსდა აფხაზი და ქართველი ხალხის ერთად თანაცხოვრება შეუძლებელია. ყოველი ზემოთ დასახელებული მითი აფხაზმა სეპარატისტებმა დაუდეს საფუძვლად და საბუთად მითს „თავისუფლების“ შესახებ და თუ აფხაზ ხალხს თავისუფლება უნდა აუცილებელია „გამანთავისუფლებელი ომის“ წარმოება ქართველების წინააღმდეგ, ამას ხელი შეუწყო, აგრეთვე საქართველოში სამოქალაქო შინააშლილობამ, ბრძოლამ ხელისუფლებისათვის, ასე დაიწყო ომი აფხაზეთში, რომლის დაწყების ოფიციალური თარიღია 14 აგვისტო 1992 წელი.

აფხაზეთი ომის შემდეგ

ომმა, აფხაზეთი, ერთ-ერთი აყვავებული და ეკონომიურად ძლიერი რეგიონიდან, აქცია გაპარტახებულ და ეკონომიკა თითქმის არ არსებულ მხარედ. ომმა გაანადგურა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის თითქმის ყველა დარგი, ჩაკლა კულტურული და სპორტული ცხოვრება. არ მიმდინარეობდა არავითარი შემოქმედებითი მეცნიერული ღონისძიებები და კვლევა-ძიება, მოიშალა სამკურნალო და საკუროორტო ინფრასტრუქტურა. დიდი ზიანი მიადგა ფლორას, ფაუნას, წარმოიშვა ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხე.

ომის გამო მოშლილია სატრანსპორტო სისტემები, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განადგურებულია და გადამწვარია 49000 სახლი, მათ შორის 43000 ინდივიდუალური და 6000 კომუნალური სახლი. განადგურებულია 25000 სასკოლო ადგილი, ჯანდაცვის ობიექტები 55000 საწოლზე. 30 ერთეული კულტურის ერთეული, 25 ერთეული ადმინისტრაციული შენობა.

სახლების განადგურების შედეგად მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 102,5 მილიონი ლარი, ჯანდაცვის ობიექტების ზარალმა 101 მილიონი ლარი. ზარალმა სულ შეადგინა 173,0 მილიონი ლარი. დიდი ზიანი მიადგა აფხაზეთის ელექტრო სისტემას, რომლის ობიექტების მწყობრში შესაყვანად საჭირო იქნება 42,50 მლნ. ლარი.

აფხაზ სეპარატისტთა მიერ განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოკლულია 5738 ქართველი, უგზოუკვლოდ

დაიკარგა 600-მდე ადამიანი, ეთნკურ წმენდას შეეწირა 70% ქალი.

აფხაზეთიდან განდევნილია სულ 267 345 ადამიანი. არსებული მასალებით აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის შედეგად მარტო მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 3,12 მილიარდი დოლარი. მოქალაქეთა პირადი ქონების ზარალმა საბინაო ფონდის გარდა შეადგინა 5,18 მილიარდი დოლარი, სულ ზარალმა და დანაკარგმა შეადგინა 10,7 მილიარდი დოლარი.

დღესაც, 2017 წლის ოქტომბერი, გრძელდება აფხაზეთის ომში დაცემულ ყმაწვილთა სამედიცინო ამოსაცნობი საქმიანობა. 25 ჯარისკაცის ვინაობა დადასტურდა, ისინი მაღალი სამხედრო პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას ძმათა სასაფლაოზე. ძიება გრძელდება სამომავლოდ.

ქართული ჯარების შეტევა ცხინვალზე 2008 წლის 7-8 აგვისტოს დილის 5 საათზე უნდა დაწყებულიყო. ბრძანება გენერალური შტაბის უფროსის, ზაზა გოგავასგან მიიღეს.

დაიღუპა 177 სამხედრო მოსამსახურე.

პირველმა ინტენსიურმა საარტილერიო ცეცხლმა მშვიდობიან და მძინარე ცხინვალში 1500 მშვიდობიანი მოსახლე იმსხვერპლა (შემდგომ დღეებში ეს ციფრი 2500-მდე გაიზარდა. [მამუკელაშვილი, ე. ,,ცივი აგვისტო (ასი უპასუხო კითხვა). წიგნი II ცხინვალი 2008წ. გვ.21;29)

კავკასიის რეგიონი გახდა ირანის, ევროკავშირის ქვეყნების მეტოქეობის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად. (მათგან სამი სახელმწიფო რუსეთი, ირანი, თურქეთი) თავის

გავლენას მიიჩნევს კანონზომიერ მოვლენად, რასაც ემატება აშშ-ს მძაფრი ლტოლვა ამ რეგიონში გავლენისათვის.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე როლანდ დ. ასმუსი წიგნში - „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ 2008 წლის ომის თაობაზე წერს: კავკასიაში განმსაზღვრელი გარეშე ძალა რუსეთია, რომელიც დაპირისპირებითა და დაძაბულობით ყოველთვის სათავისოდ სარგებლობს და შექმნილ კონფლიქტებსაც იარაღად იყენებს. სპეციალურ გეოპოლიტიკურ ბრძოლაში. კავკასიაში რუსეთს საკუთარი ინტერესები აქვს. ყოფილმა ხელისუფლებამ საქართველოში გადაიღო კინოსიუჟეტები არც თუ სამართლიანმა უცხოელმა, უცხო მსახიობებით. პრეზიდენტის სახეს ამერიკელი ანხორციელებდა და არა ადგილობრივი.

§2. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის წინაპირობები და მსვლელობა

მტკივნეული გამოდგა საქართველოსთვის 2008 წლის აგვისტოს მოვლენები. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის თუ ომის შემდეგ, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ომის სახელი დაიმკვიდრა, ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში. მიმდინარე პროცესების ახლებური გააზრებისა და სწორი გამოსავლის ძიების აუცილებლობისაკენ გვიბიძგებს მათი შეფასება. ჩანს რუსეთის პოზიციების გაძლიერებამ და აშშ-ს პოზიციების ერთგვარმა დროებითმა შესუსტებამ ევროპასა და აზიაში გააცოცხლა გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული აზროვნება. მნიშვნელოვნად შეიცვალა რუსეთის



სახელმწიფოს ქცევა, გამოიკვეთა ამ ქვეყნის სტრატეგია ევროპული სამყაროს მიმართ და სამხრეთ კავკასიაში შემდგომი მოქმედებისათვის.

რუსეთის მიზნებმა, მისმა მოქმედებამ გავლენა მოახდინა თურქეთის და ირანის განწყობაზე. სამხრეთ კავკასია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, აქ არამყარი ვითარებით შეიძლება ევროპა-აზიური დერეფნის არსებობას საფრთხე შეექმნას. აქ, სამხრეთ-კავკასიაში მოსალოდნელია ირანის გააქტიურება, მას ირანს გეოპოლიტიკური ინტერესების საფუძველზე საქართველოსთან ახალი სამეზობლო კეთილგანწყობა სჭირდება. ასევე გათვალისწინებულია აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის ურთიერთდამოკიდებულება და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების სამხედრო-სტრატეგიული ვითარება.

საჭირო შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მეცნიერული, სრულყოფილი ახლებური გააზრება. მომავალი სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების შესაძლებლობების ძიება. რუსეთის საერთაშორისო ვითარების გაძლიერება დასაფიქრებელია. რუსეთის ევროპის მიმართ ორი ძირითადი მიზანი ამოძრავებს:

ა)შეზღუდოს ევროპის ენერგო მომარაგების ყოველგვარი შესაძლებლობა თავისი, საკუთარი რუსულის გარდა:

ბ)შეასუსტოს ამერიკის გავლენა ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში;

ასეთი მიზანი მოწმობს რუსეთის მცდელობას გაზარდოს თავისი გავლენა ევროპაში; იგი, რუსეთი, იწყებს

საერთაშორისო წესრიგზე ზრუნვას. მსოფლიოს სთავაზობს გავლენის სფეროებზე თავის დამოკიდებულებას და ასეთ რუსეთთან აუცილებელ კავშირ-ურთიერთობას.

თანამედროვე მოსკოვის (ე.ი. რუსეთის ფედერაციის) მიერ გაცხადებული მოწოდებები მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგისაკენ, მხოლოდ მის სურვილს კი არა, აშშ-ს მიერ გართულებული ომებისა და შესუსტებული საერთო გავლენის წყალობით წარმოქმნილ რეალობას წარმოადგენს. არ არის გამორიცხული ასეთი ვითარება განსაკუთრებით მძაფრად აისახოს სწორედ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე. აქ ჯერ კიდევ გამოკვეთილი არ არის ძალთა თანაფარდობა. მაინც მოსალოდნელია ამ რეგიონში ენერგო-მატარებლების გადანაწილება თავდაცვითუნარიანობის განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტის აღება.

ამდენად, რუსეთის კავკასიის პოლიტიკა დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს. დღეს აქ, სამხრეთ კავკასიაში, არც ერთ სახელმწიფოს არ შეწევს იმის ძალა სრული კონტროლი დაამყაროს, ან ისეთი პირობები შესთავაზოს სხვებს, რაც მისაღები იქნება თვითთოეულისათვის.

მიზნად დავისახეთ XXIსაუკუნის 10-იანი წლების, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მიზეზების, მიზნების, საბაბის, გამომწვევი მომენტების დადგენა-შესწავლა და მაქსიმალურად ისტორიულ რეალობასთან შესაბამისი შეფასება.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების ცალკეული საკითხების შეფასებისათვის მრავალრიცხოვანი უცხოური

და განსხვავებული ქართული შეხედულება არსებობს დღეისათვის. მათი უმრავლესობა უფრო მეტად პარტიულ-პროპაგანდული ხასიათისაა, ის განეკუთვნება პოლიტიკური ბანაკების ლიდერების, ხელისუფლების წევრების, ოპოზიციურად განწყობილი ძალების ცალმხრივ, მიკერძოებულ შეხედულებებს. მათ უფრო მეტად წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ისინი არა მარტო ცალკეულ ეპიზოდებს, დამახასიათებელ წვრილმანებს, მონაწილეთა თვისებებს, მათს ხასიათებს გადმოსცემენ, არამედ გადმოგვცემენ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ შეფასებებსაც. გაიზარდა მცდელობა რუსეთის დადანაშაულებისა, ყურადღების გადატანა უფრო ზოგად საკითხებზე, მსჯელობა თუ ვინ დაიწყო პირველი საბრძოლო მოქმედებები. ეს იყო სინამდვილის დაფარვის არასამართლიანი მცდელობა.

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ პროფესორ ელგუჯა მამუკელაშვილის შემოთავაზებას, რომ ქართული ისტორიოგრაფიისათვის უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ წყაროს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის შეფასებები. გამოქვეყნებული გაზ. „ქართულ ოცნებაში“ 2012 წლის აგვისტოში.

კონდოლიზა რაისი აშშ-ს სახელმწიფო მდივანი და მის მიერ საქართველოს პრეზიდენტის ქცევების შეფასება - მცირე მიმოხილვა კონდოლიზა რაისის 2012 წელს გამოცემული წიგნიდან „მემუარები ვაშინგტონში გატარებული წლების შესახებ“.

1. 2008 წლის ივლისის დასასრული მომქანცველი იყო. თბილისში ჩავედი. პრეზიდენტი რესტორან „კოპალას“ ტერასაზე შემხვდა. ის აღდგენით სამუშაოებზე მესაუბრა. იგი მისი ლიდერობის შედეგით ძალიან ამაყობს, თუმცა მოსახლეობის დიდი სეგმენტი კვლავაც ექსტრემალური სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. რთული იყო მისთვის დაგვენახებინა, რომ ყველა ეს მიღწევა აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო რისკის ქვეშ იდგა.
2. შემდეგ ის ამაყი და იმპულსურია, ყველა ვღელავდით, რომ ის მოსკოვს საქართველოს მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების საშუალებას მისცემდა.
3. „ბატონო პრეზიდენტო“, მივმართე - „თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ ძალის გამოუყენებლობის პირობას“. პასუხი „ამას როგორ გავაკეთებ მაშინ, როცა რუსეთი აკეთებს იმას, რასაც აკეთებს?“ და განმარტა, რომ ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერდა ამ შეთანხმებას, თუ რუსები მას სანაცვლოდ რამეს შესთავაზებდნენ.
4. „თქვენ არჩევანი არ გაქვთ:, - ვუთხარი მე: „თქვენ ვერ გამოიყენებთ ძალას და იმის ძახილი, რომ მას გააკეთებთ, კარგს არავის არაფერს მოუტანს. მოაწერეთ პირობას ხელი მანამ, სანამ გაქვთ საერთაშორისო მხარდაჭერა. ასეთ საუბარში საათზე მეტი გავატარეთ. ის ჯიუტად უარს ამბობდა.
5. საბოლოოდ გადავწყვიტე პირდაპირ თქმა სჯობდა. „ბატონო პრეზიდენტო, რაც არ უნდა გააკეთოთ, არ

მისცეთ საშუალება რუსებს, თქვენი პროვოცირება მოახერხონ“.

6. გავახსენე რა თქვა პრეზიდენტმა „მოსკოვი შეეცდება, თქვენ რამე სისულელე გაგაკეთებინოთ. არ ჩართონ საქმეში რუსეთის სამხედრო ძალები, იცოდეთ, არავინ მოვა თქვენს დასახმარებლად და თქვენ წააგებთ“ - ვთქვი მე მკაცრად. ამჯერად მან გაიგო, რასაც ვამბობდი და ისე შემომხედა თითქოს ეს ესაა უკანასკნელი მეგობარი დაკარგა“.
7. „ვუთხარი, რომ ამ პირობაზე ხელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ეწერებოდა, ოღონდ სხვა სიტყვებით“.
8. „აგვისტოს პირველ დღეებში სამხრეთ ოსეთში ძალადობები ფიქსირდებოდა. თუმცა დიპლომატიური აქტივობები გრძელდებოდა. მხნეობა ცოტა წამერთვა, რადგან დენ ფრიდშმა და კურტ ვოლკერმა ექვსი აგვისტოს საღამოს შემოიარეს და მითხრეს მეთიუ ბრაიზას მიერ მოწოდებული ახალი ამბავი საქართველოში ბრძოლების გაძლიერების შესახებ.
9. შვიდი აგვისტოს ღამით ძალის გამოყენების შეკავება შეწყდა. იმავე დღეს, ცოტა ხნით ადრე, სამხრეთ ოსეთის აჯანყებული ძალები აგრძელებდნენ ცხინვალის გარშემო არსებულ ქართულ სოფლებზე საარტილერიო დარტყმებს, პასუხად ქართულმა სამხედრო ძალებმა მძიმე არტილერიის გამოყენებით პირდაპირ სამხედრო იერიში მიიტანეს აჯანყებულების წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც

საქართველოს სამხედრო ჩინოსანმა განაცხადა, რომ თბილისმა გადაწყვიტა, სამხრეთ ოსეთში „კონსტიტუციური წესრიგი“ აღედგინა.

10. საქართველოს მხრიდან შეტევის დაწყებიდან ოცდაათ წუთში, რუსეთმა მხარი აუბა ოს აჯანყებულებს და 58-ე სატანკო ბრიგადა როკის გვირაბის გავლით საქართველოსკენ დაიძრა.
11. გადავწყვიტეთ, რომ არ გვსურდა ამ კონფლიქტის რუსეთ-ამერიკის კონფლიქტად ქცევა“.
12. „11 აგვისტოსათვის ქართველებმა განაცხადეს, რომ სამხრეთ ოსეთიდან საკუთარი ძალები გაიყვანეს. ვაგრძელებდით ქართულ მხარეზე ზეწოლას, რომ სამხედრო ქმედებები შეეწყვიტათ, რათა მოსკოვს ძალადობის გაგრძელების რაიმე მიზეზი აღარ ჰქონოდა.
13. ამერიკაში საუბრობდნენ იმ საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა ამერიკის შეერთებულ შტატებს დამუქრებოდა. სტივ პედლი ჩაერია, შეკითხვა მაქვს თქვა ჩვეული სიმშვიდით: „ვართ კი ჩვენ მზად, საქართველოს გამო რუსეთთან ომში ჩავებათ?“ შეკითხვამ ოთახში სიჩუმე ჩამოაგდო ჩვენი ინფორმაციების წყაროები არც ისე კარგი იყო. ცნობები დაპანიკებული ქართველი პოლიტიკური და სამხედრო ოფიცრის ინფორმაციის გაფილტრული ვარიანტი იყო“.
14. თბილისიდან შემაშფოთებელი ინფორმაცია მოვიდა - რუსული ჯარი თბილისისაკენ მიდიოდა, ქართული ჯარი კი გორიდან განიდევნა, პატარა ქალაქიდან,

რომელიც დედაქალაქიდან მხოლოდ ორმოცი მილის დაშორებითაა.

15. საქართველოს პრეზიდენტი „გამუდმებით რეკავდა თეთრ სახლში და ამბობდა, რომ მის მთავრობას წუთი წუთზე დაამხობენ, სასოწარკვეთილი ზარის შემდეგ ჰუმანიტარული ტვირთი სამხედრო ტრანსპორტით გავაგზავნეთ.
16. თბილისში რომ ჩავედი, ქართველი ლიდერების სახეებზე სტრესის დანახვა ადვილი იყო. ისინი ისეთი ახალგაზრდები იყვნენ. ყველაზე მეტად მათ შორის ორმოცი წლისები იყვნენ, დაღლილები, რამდენიმე დღის უძილოები.
17. თბილისში აუტანელი სიცხე იყო. ვნერვიულობდი კაპრიზული, ემოციური და გადაღლილი საქართველოს პრეზიდენტის გამო. ის ინგლისურად შესანიშნავად საუბრობს. უეცრად მისი ტონი აგრესიული გახდა. მან რუსებს ბარბაროსები უწოდა, მაგრამ უცებ ის ევროპელებს მიადგა, ახსენა მიუნხენი და სიჩუმე, ოღონდ ეს არა „რას აკეთებს?“ მას შემდეგ რაც ის მორჩა ოცწუთიან ტრეადას, შევეცადე მისი გაფუჭებული გამომესწორებინა.
18. მაშ ასე საქართველოს პრეზიდენტი არის ამაყი და იმპულსური, ჯიუტი, კაპრიზული, ემოციური და გადაღლილ-აგრესიული, ასეთია კონდოლიზა რაისის დაკვირვების შემაჯამებელი შეფასება.
19. პატარა ქვეყნის, პატარა საქართველოს პირველი პირი უნდა გამოირჩეოდეს სიბრძნით, სიდარბაისლით, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით, სიტყვა

მცირობით, ნების სიმტკიცით, სამშობლოს უანგარო სიყვარულით.

მასალა მოვიტანეთ წიგნიდან ,,ცივი აგვისტო“ წიგნი II-ცხინვალი (2008) თბ. 2013 გვ. 14-17



ივანე ბუჩუკური

საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების ოფიცერთა მომზადების კურსების ხელმძღვანელი

თბილისი, 2009 წელი

პერიოდული გამოცემების შეფასებები:

გაზ. ,,კვირის პალიტრა“ 11-17 მარტი 2013წ.

ვინ გასცა შეტევის დაჩქარების ბრძანება

2008 წლის აგვისტოს ომის გასაიდუმლოებული, დღემდე უცნობი მასალებიდან:

1. 2008 წლის მაისში თბილისში შეიქმნა სამშვიდობო ოპერაციების შტაბი, გენერალ მამუკა ყურაშვილს ჰქონდა ჩაბარებული ხელმძღვანელობა. მასვე ებარა როგორც ცხინვალის, ისე აფხაზეთის სამშვიდობო ჯარების შტაბის ხელმძღვანელობა. საქართველოს ტელეარხები მუდმივად, სახალხოდ, აშკარად გადმოსცემდნენ სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების მქონე ადგილების, საცეცხლე წერტილების, თავდაცვის ე.წ. ბუნკერების გაჩქარებული მშენებლობის ნიმუშებს. არ მალავდნენ მოსალოდნელ თუ მოახლოებულ საომარ დაპირისპირებას ცხინვალის მიმართულებით.
2. უკიდურესად დაიძაბა ვითარება 2008 წლის 1 აგვისტოდან. ცხინვალელთა სროლის ხმა ისმოდა. 5 აგვისტოს დაიღუპა ორი ქართველი სამშვიდობო. ეს იყო პირველი მსხვერპლი.
3. პოლიტიკური ნება არ ჩანდა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. ერთმანეთის მიყოლებით, სასწრაფოდ იცვლებოდნენ სახელმწიფო მინისტრები: გოგა ხაინდრავა შეცვალა მერაბ ანთაძემ, შემდეგ დაინიშნა დავით ბაქრაძე (მან სამშვიდობო ვითარება უფრო დაძაბა). იგი არად მიიჩნევდა შერეული საკონტროლო კომისიების თავმჯდომარეებს, არ

სვდებოდა მათ. ის ერთხელაც არ იყო ნამყოფი ცხინვალში. შემდგომმა სახელმწიფო მინისტრმა თეიმურ იაკობაშვილმა კი საერთოდ უარი განაცხადა შერეულ სამშვიდობო კომისიაზე. რას მოასწავებდა ასეთი დამოკიდებულება. ჩვენ ვფიქრობთ, ის აახლოებდა ომს.

4. რუსული მხარე აკონტროლებდა ორ სამშვიდობო ბატალიონს (რუსულსა და ჩრდილო ოსურს). რუსულ ბატალიონში იყო 560 სამხედრო მოსამსახურე, ამდენივე 560 ჩრდილოოსური. ასეთივე რაოდენობა იყო ქართულ სამშვიდობოშიც. ჯავშანტექნიკა, ე.წ. ბმპ იყო ქართული 13 ერთეული, რუსული 22, ჩრდილო ოსურში 22. ომის დაწყებამდე მომზადებული და განლაგებული იყო 44 ერთეული.

პოლიტიკური მიმომხილველი მამუკა არეშიძე წერს: „როგორც ჩემთვის ცნობილია, ყურაშვილს უკვე ჰქონდა რუკები და ადგილზე მიბმული სავარაუდო მოქმედებების საქმეები, რასაც სამწუხაროდ, გენერალურ შტაბზე ვერ ვიტყვით.

დაიძაბა საერთო ვითარება, ომი გარდაუვალი ხდებოდა. გასაიდუმლოებული მასალიდან ირკვევა, რომ გენერალურ შტაბს (საქართველოს) ჰქონდა თავისი შემუშავებული გეგმა, რომლის მიხედვითაც ცხინვალზე შეტევა 2008 წლის 7-8 აგვისტოს დილის 5 საათზე უნდა დაწყებულიყო. და სამხედრო ნაწილებს დაწყების ვადა რატომღაც ოთხი საათით უკან, ღამის პირველ საათზე გადმოუწიეს“, რამაც მთლიანად არევდარევა გამოიწვია.

5. ქართულმა სამხედრო ნაწილებმა ბრძანება გენერალური შტაბის უფროსისაგან ზაზა გოგავასგან მიიღეს, როგორც ჩანს, მან დავალება ზემდგომებისაგან ტელეფონით მიიღო. მამუკა არეშიძე ასე აფასებს „ისე პარადოქსულია, რომ სსენებულ ბრძანებებს გასცემდა უშიშროების საბჭო, რომლის შემადგენლობაში არ იყო გენშტაბის უფროსი გოგავა და სამაგიეროდ იყო ქალაქის მერი უგულავა. უგულავა იქ იყო კეზერაშვილთან ერთად. ვადის გადმოწევა გეგმის არევას ნიშნავდა, რაც ოპერაციის ჩავარდნის უტყუარი პირობაა. შეტევა მართლაც დაიწყო ღამის პირველ საათზე და როგორც სამხედროები ამბობენ, ამ დროისათვის ყველა ტანკიც კი არ იყო გადმოტვირთული მატარებლიდან.

6. სამხედრო საომარი მოქმედების ქართული სტრატეგიული გეგმა გათვლილი იყო ამგვარად:

ა) ქართული ჯარი სამი კოლონით იმოძრავებდა:

1.მარცხნიდან მე-4 ბრიგადა კალანდაძის მეთაურობით;

2.მარჯვნიდან მე-3 ბრიგადა კაპანაძის მეთაურობით;

ამ ბრიგადების ამოცანას შეადგენდა ორივე ფლანგის სოფლებისა და სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, გერისა და ზარის გზების გადაკეტვა, რაც გაუადვილებდა ცენტრის ნაწილებს მოქმედებას.

მესამე ცენტრის ბრიგადას ხელმძღვანელობდა გენერალი ყურაშვილი, ეს ბრიგადა უშუალოდ ცხინვალში უნდა შესულიყო. ქალაქი გაეწმინდა ბალა ბესტაევის ე.წ. „ოპოლჩენჩებისაგან“ და თამარაშენის

ბლოკპოსტამდე მისულიყო. ეს იყო ძირითადი და ძნელი ამოცანა, რომლის შესრულებასაც საკმაო დრო, დიდი ძალა სჭირდებოდა. რა შეძლეს ღამის ბრძოლებში ქართულმა სამხედრო ნაწილებმა დაკვირვების საგანს წარმოადგენს.

ჩანს მოულოდნელობამ თავისი შედეგი გამოიღო:

ა) ცენტრალური კოლონა შევიდა ქალაქში, ცხინვალში;

ბ) რამდენიმე ჯგუფმა თამარაშენის ბლოკპოსტამდეც მიაღწია;

გ) მე-4 ბრიგადამ კი ე.წ. „დუბოვაია როშჩაში“ დასასვენებლად განალაგა ნაწილები, ნაცვლად სიმაღლეების დაკავებისა. რა იყო ეს? რატომ დაიქსაქსა ქართული ძალები?! ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ვიღაცამ შეგნებულად შეუცვალა ბრძანება ფლანგურ მე-3 და მე-4 ბრიგადებს, რომ დომინირებულ სიმაღლეებზე არ ასულიყვნენ და ცენტრალური კოლონა ხაფანგში აღმოჩენილიყო.

ქართულმა დაზვერვამ სწორად შეისწავლა თუ არა მოპირდაპირე მხარის სამხედრო-სტრატეგიული შესაძლებლობები. ეს საეჭვოს ხდის მომავალი მოქმედების შედეგებს. ახლა ნათელი გახდა შეცდომები.

7. რუსეთის არმიის ძირითადი ნაწილები წინასწარ უკვე განლაგებული იყვნენ გუფთის მთაზე და ელოდნენ, როდის დაიკავებდნენ ქართული სამხედრო ნაწილები ცხინვალს, რომ აღნიშნულიყო ქართველების ძალადობა ქალაქში მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, რაც მსოფლიოს წინაშე

გაამართლებდა მათ საქციელს, და მეორეც მოასერხებდნენ ქართული სამხედრო ნაწილების ე.წ. „ტომარაში“ მოქცევას, სამხედრო ნაწილებისა და ქალაქის განადგურებას. ეს იქნებოდა სამაგალითო მსხვერპლი. რას ნიშნავს ეს?! სავარაუდოა ეს ნიშნავდეს დაღუპულთა დიდ რაოდენობას. ასე „დუბოვაია როშჩაში“ განლაგებულ მე-4 ბრიგადაში აგვისტოს ომში 177 დაღუპული სამხედრო მოსამსახურიდან 135-მდე ამ ბრიგადაზე მოდის, რომელსაც გიორგი კალანდაძე მეთაურობდა.

8. ბურუსით არის მოცული ვინ გასცა ბრძანება სამშვიდობოებთან საბრძოლო მოქმედების დაწყების თაობაზე. თვითმხილველი და მონაწილე სამხედროების მტკიცებით უშუალო მეთაურმა „ვერხნი გოროდკიდან“ მიახლოებისას უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ წარმომადგენელს შეატყობინა „რუსების სამშვიდობო პოსტიდან გვესვრიან და როგორ მოვიქცეთო, რა პასუხი მიიღეს იქიდან, რთული გასაგები არ უნდა იყოს“. ასე დაიკარგა ტერიტორიის ნაწილი.
9. ცხინვალის ომის სამართლებრივი შეფასება მოითხოვს გამოიკვეთოს ქართული მხარის მაღალჩინოსანთა ადგილი და როლი სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელებაში.

შემდეგში ომიდან 5 წლის თავზე საქართველოს პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაუფარავად გამოხატავდა თავის განწყობას და ამბობდა - 2013 წლის 8 აგვისტოს აღინიშნება მეხუთე წლისთავი საქართველოს და

რუსეთს შორის სანმოკლე, მაგრამ სასტიკი ომისა, რომელმაც საბოლოო ჯამში რუსეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია გამოიწვია.

შემდეგ შეფასებები, კითხვები და პასუხები; სამომავლო ძირითადი მიმართულებანი:

1. რატომ უნდა ადარდებდეს ეს ვინმეს ამ რეგიონის გარეთ?

   ეს კონფლიქტი საფრთხეს უქმნის ევროპისა და შეერთებული შტატების მზარდ ინტერესებს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ჩვენ უკვე აღარ ვართ ცალკე მდგომი, იზოლირებული, მიყრუებული მთიანი საგუშაგო.

   ჩვენი სტრატეგიული მდებარეობა საშუალებას გვაძლევს, რომ გავხდეთ რუსეთისა და ცენტრალური აზიის განახლებული ურთიერთობებისა ირანთან, თურქეთთან და დასავლეთის ქვეყნებთან.

2. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ დემოკრატიაზე როგორც ეს შესანიშნავად აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა (კლინტონი), როდესაც ის ივნისში ჩვენს ქვეყანას ეწვია: ,,საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოება და წინსვლა, უმეტესწილად დამოკიდებული იქნება დემოკრატიის ხარისხზე თქვენს ქვეყანაში“.

3. საქართველოს ახალი პოლიტიკური ხელისუფლების ძირითადი მიმართულებაა ქართული ოცნება ,,ერთგულია დასავლეთთან პარტნიორობის პრინციპებისა. ჩვენ მოწოდებული ვართ, გავხდეთ

ევროპული და ატლანტიკური ორგანიზაციების შემადგენელი ნაწილი.ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გავათავისუფლოთ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. თავდაცვის მძლავრი სისტემა ავაშენოთ საქართველოში. ჩვენ ვაპირებთ, თავი დავანებოთ იარაღის ჟღარუნსა და მუქარას და ვაღიაროთ, რომ საქართველო პატარა რეგიონალური ძალაა ძალიან სახიფათო სამეზობლოში, ჩვენ ვიქნებით მტკიცე და შეურყეველი. ჩვენი დიალოგი რუსეთთან იქნება მტკიცე და პრინციპული.

ჩამოყალიბებული შეფასებები მოვიხმეთ:

გაზეთი „ ქართული ოცნება“ N17, 3-16 აგვისტოს 2012 წელი

აქვე გაზ. „ქართული ოცნებაში“ N17 9-16 აგვისტო, 2012 წელი

მოცემულია საქართველოში არსებული პოლიტიკური სამართლებრივი შეფასება:

ბიძინა ივანიშვილი კრიტიკულად აფასებს შექმნილ ვითარებას საქართველოში და ამბობს - „ჩვენ დავასრულებთ საქართველოში საბჭოეთის ეპოქას, ტყუილის ეპოქას! ელიტური კორუუფციის ეპოქას! უსამართლობისა და უნამუსობის ეპოქას! საქართველოში პატიოსნების დრო მოდის!

საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი საქმიანობის შეფასების შესახებ ამბობს: „საერთოდ მშიშარა კაცია პრეზიდენტი, მაგრამ დღეს განსაკუთრებით ეშინია. მან ნახა, რომ დარჩა ორი თვე და მას ჩვენ აუცილებლად გავისტუმრებთ თავის მოძალადე ხელისუფლებასთან ერთად“.

ასეთი წინასწარი შეფასება ნამდვილად განხორციელდა და შესრულდა 2012 წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს. არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს „ქართულ ოცნებას“, რამაც განსაზღვრა „ნაციონალური მოძრაობის“ სამომავლო ადგილი.

ქვეყნის საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“, რომლის საგარეო პოლიტიკური კურსი შესაბამისად შეიცვალა, კერძოდ რუსეთთან დამოკიდებულება როგორც ჩანს ახალ მიმართულებას იძენს, რაც სასიკეთოდ განვითარდება სამომავლოდ.

გაზ. „კვირის პალიტრა“ 15-20 აპრილი 2013წ. აქვეყნებს საინტერესო მასალას.

აგვისტოს ომს გამოიძიებენ, აუცილებლად!

არსებობს კითხვები.

1.პრეზიდენტს პრემიერმა უპასუხა:

არასდროს უთქვამს, რომ საქართველომ ომი დაიწყო:

„არავინ აყენებს ეჭქვეშ ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდადებას, მათ გმირობას. ასობით ახალგაზრდა შეაკვდა უთანასწორო ბრძოლას, კითხვებს დავუსვამთ მხოლოდ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მთავარსარდალსა და მთელ მთავრობას და ვალდებულნი არიან პასუხი გასცენ“ - ამბობს ბ. ივანიშვილი - დასძენს, რომ პრეზიდენტს იმდენჯერ მოუწევს დაკითხვაზე მისვლა, რამდენჯერაც საჭირო იქნება.

2.რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი!

ვფიქრობ: მიხეილ სააკაშვილი მუდმივად ბაძავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. მან შეიტანა დამანგრეველი წვლილი ბევრი ქართველი ახალგაზრდის სულსა და გონებაში. იგი მუდმივად ატარებდა ყოველდღიური ცხოვრებიდან რუსული ენის, რუსული კულტურისა და ისტორიასთან დაკავშირებული მეხსიერების წაშლის კურსს, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებდა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებებმა. „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის კრებული 2008 წლის აგვისტოს ომი, წინა პირობა, რეალობა, პერსპექტივა“. 2009 წელს გამოქვეყნდა. მასში სამართლებრივად არის შეფასებული საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ქმედებები. ავტორები არიან ზაქარია ქუცნაშვილი და ვახტანგ ხმალაძე.

დასკვნა: „მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა, 8 აგვისტოს თუ 8 აგვისტომდე, საქმე გვაქვს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციისა და კანონების უხეშ დარღვევასთან. მისი მოქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ამის შედეგად დამდგარი განსაკუთრებით მძიმე შედეგები წარმოშობს მისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებას.

შემდეგ განაცხადა ბ. ივანიშვილმა. ხაზგასმით ვამბობ - გამოძიებას თვითგვემის ფორმატი არ უნდა ჰქონდეს. უნდა გავაანალიზოთ ის ფონი, რომელზეც მოქმედებდა

საქართველოს ხელისუფლება, აუცილებლად უნდა გავასაჯაროოთ ის, რაც მიჩქმალა რუსეთის ხელისუფლებამ. 2008 წლის აგვისტოში რუსულ მედიაში ომის საკითხზე სამი ვერსია განიხილება:

ა) ხელი შეეშალოს საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ;

ბ) ჩაიშალოს საქართველოს გავლით ალტერნატიული ენერგოტრასების გამოყენება;

გ) მიხეილ სააკაშვილი პიროვნულად მიუღებელი რუსეთის ხელისუფლების პირველი პირებისათვის.

ჩვენ დაკვირვებით აუცილებელია სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოპირისპირე ორივე მხარის (რუსეთი, საქართველო) ხელისუფლების მოქმედების.

კითხვები მომავალთათვის.

უნდა შევაფასოთ თუ არა სამართლებრივად.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები?!

დღეისათვის 2014 წლის აპრილისათვის, უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზების გამოძიების განახლების საკითხი.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები ხელახალი გამოძიების (არსებობს ადრინდელი პ. დავითაიას მიერ მომზადებული მასალები) ჩატარებას. მის განახლებას სასტიკად ეწინააღმდეგება სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“. მათი დაბეჯითებითი მტკიცებით „ამ საქმის ხელახალი გამოძიება ავნებს საქართველოს დამოუკიდებლობას და საბოლოოდ დაგვაკარგინებს ოკუპირებული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ასეთი

მიდგომა მოვლენის სრულყოფილი შესწავლისათვის სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია.

ვფიქრობთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზების გამოძიების განახლებისადმი „ნაციონალების“ წინააღმდეგობა ხელს უშლის ისტორიული სიმართლის დადგენას.

სამხედრო ვეტერანთა თანამშრომლობით ვცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვერკვია ურთულესი პრობლემა:

§3. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივი შეფასებისათვის

საქართველოს უახლესი ისტორიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების განვითარებით მნიშვნელოვნად გამოირჩევა XXIსაუკუნის 10-იანი წლები. ამ წლების მსოფლიო მოვლენებში საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცის სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამოყენების მიზნით სახელმწიფოთა დაინტერესებაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა XXIსაუკუნის 10-იანი წლების ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე წამოჭრილი ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების შედეგების სამართლებრივი ობიექტური გაანალიზების აუცილებლობაში.

ვემყარებით დღემდე არსებულ მდიდარ ადგილობრივ და უცხოურ ისტორიულ ღირებულების მასალებს, რომლებიც თავისი შინაარსით, მსოფლმხედველობითი მოვლენების სუბიექტური გაანალიზებით უაღრესად განსხვავებულია, ხოლო ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირო და გამომრიცხავია. მიგვაჩნია ასეთი შეხედულებები კიდევ უფრო ართულებს მოვლენების უტყუარ მეცნიერულ შეფასებას. კერძოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული საკითხები ახლებურ მიდგომას საჭიროებენ, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის პოლიტიკურ, ეკონომიკური, სამხედრო, სამართლებრივი, საერთაშორისო თვალსაზრისით.

ვფიქრობთ გამოიკვეთა რამდენიმე განსხვავებული მიდგომა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით: 1. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებაში, გაბატონებული იყო სრულიად ცალმხრივი შეფასებები ომთან დაკავშირებით გამომწვევ მიზეზებზე, საბაბზე, სამხედრო ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, მონაწილეთა შეიარაღებასა და ტექნიკაზე. ომით გამოწვეულ ზარალზე, ქართული ტერიტორიების საკითხებზე;

2.2012 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგების შემდეგ ძირითადად შეიცვალა 2008 წლის ომთან დაკავშირებული რთული საკითხისადმი მიდგომა, ის უფრო სამართლიანი და ობიექტური ჩანს. დღევანდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულების განსაზღვრა და პირუთვნელი შეფასება დიდად არის განპირობებული საერთო ფსიქოლოგიურ დონეზე. მოვლენებში მონაწილე ცალკეულ პიროვნებას, ადამიანს ვინც პირადად განიცადა ომის სიმკაცრე, მოღვაწეს, თვითმხილველს ჩამოყალიბებული აქვს თავისი საკუთარი სხვათაგან საკმაოდ განსხვავებული შეხედულება, აზრი, შეფასება.

ჩვენ ვითვალისწინებთ არსებულ შეხედულებებს, უპირატესობას ვანიჭებთ არა რომელიმე მოქალაქის პიროვნულ მიდგომას, არამედ ძირითადად მასალას, საბუთს, ისტორიულ ცნობას, სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს, მიზნებს, დადგენილებებს, სამოქმედო გათვლებს, საყოველთაოდ დადასტურებულ ცნობებს.

3.განსაკუთრებული ისტორიულ-სამართლებრივი მეცნიერული მიდგომაა საჭირო რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოკიდებულების განსაზღვრისათვის.

მიგვაჩნია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, მისი შედეგები სრულიად ცალმხრივად გაანალიზდა. რუსეთის უმთავრესი და მუდმივი ინტერესი კავკასიაში იყო და არის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული გავლენის შენარჩუნება.

4.მიგვაჩნია, განმსაზღვრელია სამართლებრივი, პოლიტიკურ-ისტორიული მიდგომა ევროპული სახელმწიფო მოღვაწეებისა და დაინტერესებული მკვლევარებისაგან, რაც უხვად გავრცელდა სხვადასხვა გამოცემებსა და სატელევიზიო გადაცემებში.

5.ვფიქრობთ ცალკე სამეცნიერო შესწავლას საჭიროებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო-სახელისუფლებო პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის წინ და მსვლელობის დროს.

ამდენად თანამედროვე პირობებში არსებული სამართლებრივი შეფასებები მრავალმხრივ გაანალიზებას საჭიროებს. უმნიშვნელოვანესია 2008 წლის აგვისტოს მოვლენების განზოგადება და რუსეთ-საქართველოს ომის პოლიტიკურ-სამართლებრივი სინამდვილის აუცილებლად უტყუარი დადგენა. ასეთი მცდელობის ნიმუშია ინტერნეტის მასალა „ლოგოს“ 2012-08-1200. მასში ჩამოყალიბებული და შემოთავაზებული შეფასებები ზოგ შემთხვევაში მისაღებად მიგვაჩნია.

დააკვირდით, მივყვეთ მსჯელობას:

პირველი შეფასება სისხლიანი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა

2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხებიდან 4 წელიწადი გავიდა და დღეს, 2012 წლის აგვისტოში, იგივე პრეზიდენტი, მთავარსარდალი და ხელისუფლება ჰყავს ამ ქვეყანას. არც ერთი თავმოყვარე ერი არ დაუშვებდა საშინელი ტრაგედიის სულისჩამდგმელების ხელისუფლებაში დარჩენას. ქართველმა ერმაც უამრავჯერ გამოხატა თავისი ნება ამ ხელისუფლების მიმართ. ახლა 2008 წელს, მოძალადე რეჟიმი მართავს ამ ქვეყანას, რომლის ბოროტმოქმედების აპოთეოზი იყო 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევა, რამაც ამ ვანდალური აქტის მთავარ შემოქმედს, მრავალი სამარცხვინო თიკუნის მფლობელს მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთი თიკუნი შემატა - მიხეილ სისხლისმსმელი.

ყველას გვემახსოვრება პარლამენტის სხდომის ის კადრები, რომელშიც პარლამენტის წევრს პეტრე მამრაძეს აგვისტოს ომის სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურად შეფასებისთვის სახეში ურტყამს ნაცხელისუფლების გამორჩეულ ფიგურად ქცეული კაკო ბობოხიძე. ამ დარტმაში განსხეულდა ნაცხელისუფლების დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ იზიარებენ ხელისუფლების პოზიციას აღნიშნულ ომთან დაკავშირებით და საკუთარ რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებას არგუმენტირებულად ასაბუთებენ. უფრო მეტიც, ამ ადამიანებს, უკანასკნელ ხანს, ხელისუფლების დაკარგვის

შიშით შეპყრობილი სააკაშვილი, სამშობლოს სიძულვილშიც კი ადანაშაულებს.

დააკვირდით:

მაინც რატომ ღიზიანდებიან ასე მწარედ ნაცხელისუფლების მესვეურები აგვისტოს ომის სხვაგვარი კუთხით წარმოჩენის გამო? როგორც ჩანს, ეს მათთვის მართლაც მტკივნეულია, რაც სურთ საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი არ გახდეს, რომ საყოველთაო, სამართლიანი, ბრალდების წინაშე არ აღმოჩნდენენ, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულები რომ იყვნენ, ამგვარი მძაფრი რეაქცია, ლოგიკურად, არ უნდა ჰქონდეთ.

მეორე შეფასებიდან:

სავარაუდოდ, აგვისტოს ომის შესახებ არსებობს გარკვეული საიდუმლოებები, რომელთა გამჟღავნებას საშინლად უფრთხიან ამ ომის მთავარი მოქმედი პირები. საჭიროა ამ თემაზე მსჯელობა. უფრო მეტიც, ამ რეჟიმის დასრულებისთანავე სამართლებრივი გარემოს პირობებში უნდა შეიქმნას საგამომძიებო კომისია (პაატა დავითაიას კომისიას არ ვგულისხმობ, მის მიერ შედგენილი ცრუ დასკვნები თავად უნდა გახდეს მის მიმართ დანაშაულის დაფარვისათვის წაყენებული ბრალდების საფუძველი). ამ კომისიის მიერ ჩატარებული მასალების მოძიებისა და ანალიზის საფუძველზე საქმე უნდა გადაეცეს დამოუკიდებელ სასამართლოს, სადაც კანონის მთელი სიმკაცრით პასუხი უნდა აგონ დამნაშავეებმა. დღეს ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, ასეთივე კომისია შეიქმნას 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში ქართული არმიის შესვლის

თაობაზეც, რამაც გაწუზომელი მსხვერპლი და მარცხი მოუტანა საქართველოს.

ადრე ამგვარი კომისია შექმნილიც იყო, მას შესანიშნავი იურისტი და მოქალაქე ალექსანდრე შუშანაშვილი ხელმძღვანელობდა, უდიდესი შრომაც გასწია სიმართლის დასადგენად, მაგრამ რეალური დამნაშავეების გამოკვეთის შიშით ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნული კომისიის მუშაობა შეაჩერა. სააკაშვილს შეეძლო განეახლებინა გამოძიება, მაგრამ ამ საკითხის უგულველბელყოფა იმის ნიშანია, რომ მან ხელი დააფარა შევარდნაძეს.

მსოფლიო აზროვნების ისტორიის ერთი ნიმუშის შეგონება: აშშ-ს პრეზიდენტი რუზველტი, რომელსაც თავისი დიდი პოლიტიკური გამოცდილების გამო ბევრი რამ დაეჯერება, ამბობს: „პოლიტიკაში არაფერი ხდება შემთხვევით, თუ რაიმე მოხდა, ესე იგი ასე იყო ჩაფიქრებული ...“ ამ სიტყვებს ეხმიანება ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რალფ ემერსონის წიგნის “უხილავი ხელის” ფრაზები: ”ხალხი ელოდება მთავრობისგან, რომ ის დაიცავს მას საზიანო მოვლენებისგან. თუ ეს მოვლენები მაინც ხდება, ხოლო მთავრობის ოფიციალური წევრებისგან თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობიდან გამომდინარე მათი თავიდან აცილების მოლოდინია, მაშინ არსებობს მათი წარუმატებლობის 2 ახსნა:

ა)მოვლენები მათზე ძლიერი აღმოჩნდა და მათი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო;

ბ) მოვლენებს მიეცა საშუალება ასე განვითარებულიყო იმიტომ, რომ ოფიციალურ პირებს სურდათ, რომ ასე მომხდარიყო.

მესამე შეფასებისათვის!

ძნელი გასაგებია ჩვეულებრივი დამკვირვებლისათვის, რომ ტკივილიანი მოვლენები შეუძლებელია თავიდან არ იქნას აცილებული, რადგან ჰუმანური და შეგნებული ადამიანები, არ უშვებენ საზიანო მოვლენებს. მგეგმავები, მუშაობენ საიდუმლოდ მოვლენების დასაგეგმად, რომელთა განხორციელება ხალხს არ სურს, წარმოადგენენ შეთქმულების წევრებს. ვებსტერი შემდეგნაირად განსაზღვრავს შეთქმულებას: „ადამიანების გაერთიანება, რომლებიც მუშაობენ საიდუმლოდ, ბოროტი და უკანონო მიზნით".შეთქმულები არა მარტო უნდა მუშაობდნენ საიდუმლოდ, მათ მთელი ძალისხმევა უნდა გასწიონ, რომ მათი გეგმები ყველასთვის მისაწვდომი არ გახდეს. ასეთ შემთხვევაში შეთქმულების პირველი ამოცანაა დაარწმუნონ ხალხი მასში, რომ შეთქმულება არ არსებობს. ეს ყველაფერი შეთქმულების ფესვების აღმოჩენას ძალიან ართულებს".

მეოთხე შეფასებისათვის:

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს თავისი საიდუმლო ჰქონდა. არსებული მასალების საფუძველზე ვეცდები აგვისტოს ომის მიზეზების შესახებ ახლებური მიდგომები და ვერსიები გამოვკვეთო, რომელიც მართლაც შეთქმულების საბურველში ხვევს ამ ტრაგედიას.

აბა დააკვირდით: ომის დაწყებამდე სააკაშვილმა გაპრეზიდენტების შემდგომ პირველი ოფიციალური ვიზიტი რუსეთის პრეზიდენტთან პუტინთან განახორციელა. ამ ვიზიტის შთაბეჭდილებებით მოხიბლული მიხეილი მაშინ ასე საუბრობდა ჟურნალისტთან:

ა)მე მივხვდი,რომ შევარდნაძე ყოველთვის ატყუებდა პუტინს და ამიტომ არის პუტინი ასეთი ეჭვიანი! ხომ გესმით? პუტინს არ შეეძლო შევარდნაძესთან საერთო ენის გამონახვა, რადგან შევარდნაძე არავისთან მიმართებაში არასოდეს არაფერს არ ასრულებდა! როგორც კი პუტინს შეფასებებში დავეთანხმე, ურთიერთობა მაშინვე დათბა. და მე დავინახე, რომ პუტინი სიტუაციას ხედავს გაცილებით ფართოდ, ვიდრე მისი გარემოცვა. და მე ვენდე.

ბ) მე რომანტიკოსი ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, რაღაც მინახავს და ვიცი - პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს. სწორედ ასეა. მე ვენდე მას და არ შევმცდარვარ. მან ყველაფერი შეასრულა, რასაც დამპირდა... ამიტომ, ახლა რუსეთში თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვაგან. პუტინი, თავისი აზროვნების სტილით, გაცილებით თანამედროვე და პრაგმატულია, ვიდრე დასავლელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა.

გ)პუტინმა მხარი დაუჭირა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის“ კონცეფციას, რითაც აიძულა აჭარის ლიდერი, ეწარმოებინა საქართველოსთან უფროკონსტრუქციული დიალოგი. ირწმუნება მ. სააკაშვილი.

დ) ნებისმიერი ჩვენი ნაბიჯის შესახებ რუსეთს წინასწარვე ეცოდინება. ყოველდღე მესმოდა, რომ მე ვარ პრორუსული აგენტი, რომელიც კრემლის მითითებებით მოქმედებს. მადლობა ღმერთს, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების სევდიანი ფურცელი უკვე გადავშალეთ. იმედი მაქვს - სამუდამოდ.

მეხუთე, ჩვენეული შეფასება:

აშკარაა სააკაშვილს, რუსეთის ხელისუფლების მიმართ განაწყენების არანაირი საფუძველი არ გააჩნდა, პირიქით, პუტინის რუსეთი სააკაშვილის ძალაუფლების განმტკიცებას უჭერდა მხარს ვარდების რევოლუციიდან დაწყებული, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი იგორ ივანოვი პრეტენზიებს არ დაუპირისპირდა და ამით შევარდნაძის მხრიდან ხელისუფლებაზე უარის თქმაში დიდი როლი შეასრულა, ასევე აჭარაში აბაშიძის რეჟიმის დასრულების ხელშეწყობით, სადაც პუტინის ემისარმა იგორ ივანოვმა ითამაშა დიდი როლი. პუტინს რომ მოენდომებინა აბაშიძის რეჟიმის შენარჩუნება, მას იმ პერიოდში ბათუმში ჰყავდა საკმაოდ ძლიერი სამხედრო ბაზა და მისი საშუალებით თბილისს აბაშიძისთვის გადაყენების საშუალებასაც არ მისცემდა და ამის იურიდიულ გამართლებასაც ნახავდა, მსოფლიოს ერთ-ერთი ჰეგემონი ქვეყანა, პუტინი ამბობს: "რუსეთ-საქართველოს შორის არსებობდა შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვი აჭარის მოვლენებში არ ჩაერეოდა, იქ რუსული ბაზების არსებობის მიუხედავად "ჩვენ არც ჩავერიეთ.

მეექვსე ჩვენეული:

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების პერსპექტივის დასამტკიცებლად არსებობს კიდევ ერთი საბუთი ეს არის რუსული სამხედრო ბაზების ჯერ კიდევ 1999 წლის სტამბოლის ხელშეკრულების თანახმად გაყვანა, რაც სრულიად უმტკივნეულოდ და გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრე განხორციელდა. პუტინს აქაც რომ მოენდომებინა რუსულ ბაზას საქართველოში ყოფნის მიზეზს კიდევ მოუძებნიდა, თუნდაც ახალქალაქში ფარულ ორგანიზებას გაუწევდა სომეხი ავტონომისტების გამოსვლებს, რომლებიც მაგ ბაზაზე იყვნენ დამოკიდებულნი.მისცემდა მათ რუსულ პასპორტებს და მათი დაცვის მოტივით დიდ პრობლემებს შეუქმნიდა საქართველოს. აფხაზეთში მარტო ბაგრამიანის ბატალიონის "გმირობების" გახსენებაც კმარა ამ ვერსიის რეალური საშიშროება რომ ვირწმუნოთ. საქართველოს ხელისუფლებამ თუ განაგრძო თავისი პოლიტიკა რუსეთთან დამოკიდებულებაში, მომავალში ახლაქალაქში ნაღმის ჩადება სრულიად არ არის გამორიცხული.

მეშვიდე:

თუ რუსეთის არსებობის ისტორიას გადავხედავთ და მხოლოდ უარყოფით მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, საქართველოსთან ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, რუსეთი საშინელებად მოგვეჩვენება და მისგან შორს ყოფნა სჯობს, მაგრამ, საუკუნეებში რუსეთთან ურთიერთობა ჩვენი ბედისწერაა, მითუმეტეს, აფხაზეთ-

სამაჩაბლოს საკითხში, მაშინ მოვლენების არატენდეციური აღქმით, არა მხოლოდ წარსულში, არამედ რუსეთის ამ ეპოქის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კი ბევრი პოზიტივის დანახვა შეიძლება, ეს კი უკვე ისტორიული რეალობაა. საეჭვო იქნება იმის მტკიცება, რომ რუსეთს სხვა გზა არ ჰქონდაო.რუსეთში იმპერიული ძალები რომ მძლავრი ყოფილიყო, ხმასაც ვერავინ ამოიღებდა. ათეული წლების მანძილზე ისეთი მკაცრი დიქტატორული სისტემა იყო შექმნილი, რომ მაძღარი სსრკ კიდევ დიდ ხანს გაძლებდა, მითუმეტეს, უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების პატრონი იყო, რომელთა მარტო ექსპორტს მილიარდობით ვალუტა შემოჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის. თუ კუბისა და ჩრდილო კორეის დიქტატორული რეჟიმები ძლებენ უკვე მერამდენე ათეული წელია სსრკ-ს ფინანსური გარეშეც კი, რომელთა ეკონომიკაც დიდწილად მასზე იყო დამოკიდებული. ხოლო ჩინური მოდერნიზაციის მსგავსი რეფორმები რომ განეხორციელებინათ საბჭოეთში, რომელმაც ცხადად აჩვენა, რომ ერთპარტიულ არადემოკრატიულ სისტემაშიც შეიძლება ეკონომიკური პროგრესის მიღწევა შესაბამისი კონტროლისა და რეფორმების საშუალებით.

მერვე:

2008 წლის აგვისტომდელ რუსეთთან დასავლეთი თანამშრომლობდა საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც არის საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა ავღანეთსა და ერაყში, მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობისა, განიარაღების, ეკოლოგიის საკითხებზე. რუსეთს დასავლეთთან დიდი ეკონომიკური პროექტები აკავშირებს,

ევროპის დიდი ნაწილი რუსულ გაზზე 40%-ით არის დამოკიდებული, ცხადს ხდის რა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა დასავლეთისათვის რუსეთი, ხოლო რუსეთისათვის დასავლეთი.

მეცხრე:

დაკვირვებამ გვიჩვენა, რუსეთთან დიპლომატიური გზებითაც შეიძლებოდა ყოველგვარი პრობლემის მოგვარება საერთაშორისო შუამავლების ჩართვით, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო პოლიტიკური ნება და ურთიერთკომპრომისის გზა. ბევრს მიაჩნია, რომ შესაძლოა ნატოში შესვლის სურვილზეც გვეთქვა უარი და აქცენტი ევროკავშირთან ახლო ურთიერთობებზე გაგვეკეთებინა, რაც რუსეთს იმდენად არ აღიაზიანებს, რათა რუსეთს მოეცა საქართველოს ტერიტორიებზე მშვიდობიანი გზით იურისდიქციის აღდგენის უფლება.

მეათე:

საყურადღებოა, რომ იმ პერიოდში სამშვიდობო პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 2008 წლის ივლისის შუა რიცხვებში ჩამოსული იყო თბილისში კონფლიქტის მოგვარების გეგმის შესათანხმებლად. პროექტს მხარს უჭერდა აშშ-ს კონგრესი და მოსკოვიც არ იყო მისი პრინციპული მოწინააღმდეგე. მთელი საერთაშორისო მხარდაჭერით ამ გეგმის განხორციელება მოგვიტანდა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების გარანტიას, აფხაზ და ოს ხალხთან დაახლოების შესაძლებლობებს. ამასთან, თუ

საკუთარ სახელმწიფოს გავსდიდით ეკონომიკურად მიმზიდველ დემოკრატიულ ქვეყნად, მაშინ ტერიტორიულ გამთლიანებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

მეთერთმეტე:

დღეისათვის აშკარა გახდა, რომ სააკაშვილი რუსეთთან კონფრონტაციისა და კონფლიქტის გადაწყვეტის ყოვლად არარაციონალურ გზას დაადგა. ამასთან დაკავშირებით უამრავი საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებულება არსებობს. ბატონი ბიძინა ივანიშვილი აი რას იხსენებს: "ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ.

ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ. მე მაშინ შევძელი ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. მან უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ უცებ სააკაშვილმა თქვა: -ხომ შეიძლება თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?

-სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქონ ეს ტერიტორია, ხელი არ ახლოთ არაფერს – მეთქი, გავაფრთხილე.

მაშინ კი შევძელი დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც

იგივე სცენარით იმოქმედეთ და რაშედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, სახეზეა".

მეთორმეტე:

გარდა ამისა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: "ომის მთავარი მიზეზია ის, რომ საკაშვილის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, დაანგრევდა რუსეთის არმიას...

ეს იყო მთელი მაშინდელი უშიშროების საბჭო, რომელიც სრულიად არასერიოზულად უყურებდა რუსეთთან ომს. აპრილში შედგა შეხვედრა, რომელსაც ჩემთან და პრეზიდენტთან ერთად ესწრებოდნენ: დავით ბაქრაძე, კახა ლომაია და ვანო მერაბიშვილი, როდესაც მე ვეკამათებოდი პრეზიდენტს და ვეუბნებოდი, რომ ომის გაჩაღების შემთხვევაში რუსეთი აუცილებლად ჩაებმებოდა ბრძოლაში და დაგვამარცხებდა, არცერთ მათგანს არ უთქვამს, რომ მართალს ვამბობდი, პირიქით, ისინი საწინააღმდეგოსაც კი ამბობდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც უკიდურესად გართულდა ვითარება აფხაზეთში. მახსოვს, ჩემს კაბინეტში შემოსული "ვაჟკაცებიც", რომლებიც მეუბნებოდნენ, ნუ გეშინიათ, ქალბატონო ნინო, ჩვენ მოვუგებთ რუსეთს ომსო!"

2008 წლის ომის წინ სხვადასხვა მიდგომა გამოიკვეთა, ძირითადად საკუთარ ძალებში დარწმუნება და რუსეთის ძალებში ეჭვი.

კითხვაზე: ლაპარაკობენ, რომ არსებობდა ერთგვარი გარიგება რუსეთსა და საქართველოს შორის და რუსები

სააკაშვილს ჰპირდებოდნენ კონფლიქტში ჩაურევლობას...ბურჯანაძე პასუხობს:

"არის ასეთი მოსაზრებაც, თუმცა, როგორც ვიცი, ასეთი გარიგება არსებობდა სამშვიდობო კონტინგენტის სარდლის დონეზე. მაშინ სააკაშვილს პირდაპირ ვუთხარი, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სამხედრო კონფლიქტისას რაიმე ტიპის წარმატებაზე ფიქრი, თუ რუსებისგან გვექნება ათასპროცენტიანი გარანტია, რომ რუსული ჯარი არ ჩაერთვება ომში-მეთქი, ეს მე ვუთხარი პრეზიდენტს 3 აგვისტოს ჩვენი შეხვედრისას. ეს გარანტია შეიძლება მიგვეღო მხოლოდ და მხოლოდ პუტინისა და მედვედევისგან. საშუალო რანგის გენერლის გარანტიების მიხედვით, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება ყოვლად გაუმართლებელია. ეს არის ამ ხელისუფლების კიდევ ერთი უპასუხისმგებლობა"

მეცამეტე:

ჩანს ასე უპასუხისმგებლოდ ემზადებოდა მაშინდელი ხელისუფლება ომისათვის რუსეთში მოღვაწე ქართველმა ტელეწამყვანმა თიკა კანდელაკმა, შალვა რამიშვილის გადაცემა "ცენტრში" სატელეფონო ჩართვისას განაცხადა: "მიხეილ სააკაშვილმა პირადად მითხრა, რომ აგვისტოში რუსეთზე დარტყმას გეგმავდა", კანდელაკის თქმით, სააკაშვილმა მას პირად საუბარში უთხრა, რომ სოჭის ოლიმპიადა მშვიდად არ ჩაივლიდა. "მან პირადად საუბარში მითხრა, რომ გეგმავდა დარტყმას რუსეთზე და ეს იცოდა მთელმა მისმა გარემოცვამ"

მეთოთხმეტე:

რა მეთოდებით შევაფასოთ დაძაბული ვითარება?! ახლა თავად სააკაშვილის სიტყვები გავიხსენოთ, რომელიც ადასტურებს მის დაუოკებელ ლტოლვას.

"ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის [საპრეზიდენტო] არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირების ან თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს," აცხადებდა 2007 წლის 4 დეკემბერს.

შემდეგში ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ანალოგიურ დაპირებებს აძლევდა ლტოლვილებს: "მე გაძლევთ სიტყვას, რომ თუ ეს არჩევნები ჩავატარეთ ნორმალურად, შემდეგ ზამთარს ვიქნებით ბევრად უფრო ნორმალურ კლიმატურ პირობებში. ჩვენ დავბრუნდებით, არაფერი არ მითქვამს ასე კონკრეტულად. ჩვენ ასჯერ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებ, ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ სახლებში დაბრუნება გვინდა..." მოვლენების განვითარებამ კი მრავალი საინტერესო კითხვა წარმოშვა, კითხვა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობის მოწესრიგებას, კითხვა, რომელიც პასუხგაუცემელია და ელის სამართლიან განხილვას, არსებულ სინამდვილეზე დაყრდნობით.

ამრიგად, რეალობას მოწყვეტილ აზროვნებას ფილოსოფიური ტერმინი იდეალიზმი ჰქვია. იდეალისტურად წარმართულ პოლიტიკას ქვეყნისთვის



მეორე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ ზემოდან მესამე ივანე ბუჩუკური.
სამაჩაბლო 2008 წელი 10 აგვისტო

ამიტომ ვფიქრობთ, ჯერ კიდევ სრულიად სამართლიან შესწავლა-შეფასებას საჭიროებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის წინ დაწყებული დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელიუფლებო წარმომადგენლობასთან. აგვისტოს ომის დაწყება, შეიარაღებულ ძალთა თანაფარდობა, საომარი ოპერაციები და რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ახლებურად უნდა გადაფასდეს. განსაკუთრებული მეცნიერული კვლევის საფუძველს წარმოადგენს აგვისტოს ომის შემდეგ არსებული სინამდვილის საერთაშორისო სამართლის მიხედვით შეფასება და რუსეთ-საქართველოს სამომავლო სამეზობლო ურთიერთობის მოწესრიგების გზების ძიება. რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური თანამშრომლობის აღდგენის მცდელობა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში.

XXI საუკუნის 10-იანი წლების საერთაშორისო საზოგადოების მცდელობით შეიქმნა მსოფლიოში უპირველესი ზოგადსაკაცობრიო დანიშნულების გაერთიანებული საზოგადოება - „მსოფლიო კომიტეტი - 2017“. კომიტეტში თანამედროვე ყველა ქვეყნის მოღვაწე, ენერგიული, გამოცდილი ადამიანები არიან გაერთიანებული. საქართველოდან კომიტეტში წარგზავნილი ვართ ივანე პავლეს ძე ბუჩუკური, გამოცდილი სამხედრო მეთაური, ვიცე პოლკოვნიკი, ენერგიული ვეტერანი.

დააკვირდით: ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი, გამოძიების განახლების მიზანი, იმის დადგენის მცდელობაა შეეძლო თუ არა საქართველოს ხელისუფლებას 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილება, რათა არ მომხდარიყო ტერიტორიების ჩამოჭრის საშვილიშვილოდ მტკივნეული საფრთხე.

ჩვენი დაკვირვებით 2008 წლის 7 აგვისტოს მიწურულს ცხინვალსა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მიმართულებით ქართული არტილერიის ინტენსიურმა ცეცხლმა (რაც უშაულოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანება იყო) ომის პირველივე წუთებიდან საქართველოს წააგებინა საინფორმაციო ომი.

უმნიშვნელოვანესია ის, რომ ქართული ტელევიზიების მიერ გადაღებული მასალები თავის სასარგებლოდ გამოიყენა რუსეთის მასმედიამ, რომელმაც ღამის ცხინვალის ვიდეოფირს მიაბა საარტილერიო ზალპების ამსახველი მასალა. ასე დაიწყო მსოფლიოს დარწმუნება, რომ საქართველოს ინტენსიურმა საარტილერიო ცეცხლმა „მშვიდობიან და მძინარე ცხინვალში 1500 მშვიდობიანი მოსახლე იმსხვერპლა (შემდგომ დღეებში ეს ციფრი 2500-მდე გაიზარდა).

თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის ამოუხსნელია - „ვის თავში დაიბადა მანიაკური იდეა, რომ ცხინვალში სასწრაფოდ დაევდგათ ტრიბუნა, აღემართად 2 ათასი ქართული დროშა და პირდაპირი სატელევიზიო ჩართვით მთელი მსოფლიოსათვის ეცნობებინათ კონსტიტუციური სამართლიანობის აღდგენა?“ იყო კი ეს აუცილებელი?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯერ კიდევ არ ჩატარებულა, 2004 წლის, ცხინვალის ომის სათანადო გამოძიება. მაშინდელი ომი გადაიქცა 2008 წლის აგვისტოს ომის ერთგვარ წინაპირობად. მაშინ ქართულ საზოგადოებას მკაცრად არ მოუთხოვია პასუხი ხელისუფლებისათვის. ვფიქრობთ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების გამოძიება საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ მიუკერძოებლად შეფასდეს ქართული არმიის მოქმედებები. სამხედრო ქმედება ომამდე საბრძოლო მოქმედებების დროს და ომის შემდგომ. ეს აუცილებლად უნდა გაანალიზდეს სხვადასხვა დონეზე (სტრატეგიული და ტაქტიკური მიმართულებით).

ჩვენთვის მეტად დამაფიქრებელია და განსასჯელია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ გაცხადებული სამართლებრივი შეფასებები 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე მოვლენების გაანალიზების მცდელობისას.

აი, როგორია მისი , ლავროვის შეფასებათა ლოგიკა: მივყვეთ თანამიმდევრობას:

1. ჩვენ ყოველთვის გვსურდა მეგობრობა და თანამშრომლობა ქართველ მეზობლებთან, რომ დავხმარებოდით პრობლემის მოგვარებაში. 2008 წლის აგვისტოს ავანტურა რომ არა, ბევრს მივაღწევდით.
2. ჩვენთან ურთიერთობებს მუდმივად „ძაბავდა“ მიხეილ სააკაშვილი. ჩემი აზრით, მან ბევრი ახალგაზრდა ქართველის გული და აზროვნება გაანადგურა - გამუდმებით ცდილობდა ქართველთა ყოველდღიურობიდან ამოეძირკვა რუსული ენა,

რუსული ლიტერატურა და ჩვენი ქვეყნების დამაკავშირებელი ისტორიული მესსიერება.

3. ს. ლავროვი აცხადებს, რომ ასეთი მცდელობების ნიმუშია „ის რომ გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთის ტახტის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა, სააკაშვილმა ერთ-ერთ თავის ემოციურ გამოსვლაში რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ოკუპაციად შერაცხა. მან ახალგაზრდობას, რომელსაც არ ახსოვს ჩვენი კარგი ურთიერთობა, ამგვარი რამეებით გამოუჭედა გონება - ეს საკუთარი ხალხის მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედებაა“.
4. რაც მთავარია - ამბობს ს. ლავროვი, კვლავინდებურად არ შეწყვეტილა, ადამიანთა ერთმანეთისადმი ლტოლვა. „ბევრ ქართველთან ვმეგობრობ, მათ შორის მოსკოველ ქართველებთან. რასაკვირველია, ისინი სხვადასხვანაირად აღიქვამენ მოვლენებს. არა მგონია, რომ ახლო მომავალში საქართველოში გამოჩნდეს პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის: „მოდით, დავიწყებას მივცეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“.
5. ალბათ, რუსეთშიც არ გამოჩნდება პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის, - ჩვენ არ ვიყავით მართლებიო: - „ყველაფერი ხომ სიტუაციის დაძაბვით დაიწყო! 2008 წლის 7 აგვისტოს სააკაშვილს ველაპარაკეთ, მას ნაბრძანები ჰქონდა, არავითარი შეტევა არ განხორციელებულიყო. მაშინ ცხინვალში იდგა რუსეთთან, საქართველოსთან და სამხრეთ ოსეთთან შეთანხმებით ჩამოყალიბებული შერეული

სამშვიდობო ბატალიონი, რომელშიც მსახურობენ რუსები, ქართველები და ოსები“.

6. ს. ლავროვი აცხადებს: - „შეგახსენებთ, სააკაშვილის დაპირებიდან, რომ ცეცხლი არ გაიხსნებოდა, რამდენიმე საათში ბატალიონი ქართველმა სამშვიდობოებმა დატოვეს და ქართულ არმიასთან ერთად ყოფილ თანამებრძოლებს ცეცხლი გაუხსნეს“. ს. ლავროვის შეფასებით ეს იყო თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეებსა და სამშვიდობოებზე!
7. ს. ლავროვი აცხადებს: „ჩვენი მიზანი სისხლისღვრის შეჩერება, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გარედან მიმდინარე სროლების შეცერება, საცეცხლე წერტილების ჩახშობა იყო. შემდეგ ჩვენი ჯარები უკან გამობრუნდნენ, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დარჩნენ, რადგან სააკაშვილი მაშინვე რევანშით დაგვემუქრა. ჩვენი მსარის მიზანი ერთი იყო სისხლისღვრის შეჩერება, მაგრამ მერე თბილისიდან რევანშისტული სიგნალები გაისმა, სააკაშვილმა უარი თქვა რუსეთის და საფრანგეთის პრეზიდენტების წინადადებაზე შერიგების შესახებ“.
8. ჩვენთვის დასადასტურებელია ის, რომ სააკაშვილმა თქვა „არავითარი განხილვები“. როგორც იგონებს ლავროვი „მისმა შემდგომმა რევანშისტულმა განცხადებებმა დაგვარწმუნა, რომ დამოუკიდებლობის აღიარების გარდა ამ ხალხების უსაფრთხოების სხვა გზა არ არსებობდა“.
9. საქართველოს ახალი ხელისუფლების (2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მოსული „ქართული

ოცნების) შესახებ ს. ლავროვი ამბობს: „ჩვენ მოგვწონს პრაგმატიზმი, როგორითაც ივანიშვილის მთავრობა უდგება ურთიერთობებს: მზად ვართ, ვაჭრობის გაფართოვებასთან ერთად, როგორც ეს მთელი ამ წლების განმავლობაში ხდებოდა, გავაფართოვოთ კულტურული და სპორტული კონტაქტები. ამრიგად, რუსეთის პირველი დიპლომატის შეფასებას, დასკვნებს და რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობების გეგმებს. მათში, ამ გეგმებში საუბარი არ არის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, დიპლომატიურ თანამშრომლობის ახლო პერსპექტივებზე. მას სწამს, რომ გარკვეული დრო დასჭირდება წარსული გამოცდილებების შედეგების გამოსწორებას, რაც ორივე მხარის ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. „თუმცა ჩვენი ისტორიული მეგობრობა ახლა დიდ გამოცდას გადის“.

10. საერთოდ მიგვაჩნია საქართველოს ხელისუფალთა შეცდომების გამო დაიკარგა კონტროლი სოხუმსა და ცხინვალზე. ეს შეცდომები სასარგებლოდ გამოიყენა მოპირისპირე მხარემ.

სამართლებრივი შეფასების ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს:

საქართველოს პრემიერის ბიძინა ივანიშვილის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზებისა და შედეგების საფუძვლიანი გამოძიების აუცილებლობის შესახებ, ასე ჩამოყალიბდა:

„არასოდეს უთქვამს, რომ საქართველომ ომი დაიწყო, არავინ აყენებს ეჭვქვეშ ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდადებას, მათ გმირობას - ასობით ასალგაზრდა შეაკვდა უთანასწორო ბრძოლას. კითხვებს დაუსვამთ მხოლოდ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას - მთავარსარდალსა და მთელ მთავრობას და ვალდებულნი არიან პასუხი გაგვცენ“.

გაზ. „კვირის პალიტრა“ 3-9 ივნისი 2013

მეთიუ ბრაიზა - ამერიკელი დიპლომატი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მას სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის თანამდებობა ეკავა და მონაწილეობას იღებდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ვითარების მოწესრიგების საქმეში.

მისი შეხედულებები გამოაქვეყნა პოლონეთში „გაზეტა ვიზორჩა“-მ. მ. ბრაიზა წერდა: „სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთმა წამოაგო პროვოკაციაზე სააკაშვილი. სააკაშვილის შეცდომა ის იყო, რომ არ დაუჯერა მეგობრებს, რომლებიც მას ეუბნებოდნენ: თუ ფიქრობთ, რომ რუსები საქართველოში შემოჭრას აპირებენ, თავდაცვითი პოზიციები დაიკავეთ, იმიტომ, რომ თუ ეს მართლა მოხდება, თქვენ რუსებს ვერ შეაჩერებთ“. თუ მათ პროვოკაციაზე წამოეგებით, ისინი იტყვიან, რომ ეს თქვენ წამოიწყეთ“. როგორც ირკვევა ასეთი იყო ამერიკის მიდგომა მოვლენასთან.

შემდეგ: იგი აღნიშნავს, სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ მას არჩევანი არ ჰქონდა. ფიქრობდა, თუ რუსულ პროვოკაციას არ უპასუხებდა და საქართველოს

ტერიტორიულ მთლიანობას არ დაიცავდა, მშიშარად ჩათვლიდნენ - ისტორიაში შევიდოდა, როგორც ლაჩარი ან როგორც პრეზიდენტი, რომელმაც არ აღასრულა საკუთარი ვალი.

ბრაიზა იხსენებს „მე თბილისში იმ დროს ჩამოვფრინდი, როდესაც რუსებმა გაარღვიეს ქართული თავდაცვითი ხაზი. უნდა დამემშვიდებინა პრეზიდენტი სააკაშვილი და მომემზადებინა ზავისთვის. საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მიერ რუსებთან დადებული გარიგება საშინელი რამ იყო - ეს პრაქტიკულად



„კომიტეტი-2017“
მარჯვნიდან მეოთხე ივანე ბუჩუკური
მოსკოვი 2015 წელი ნოემბერი



ნიშნავდა რუსული ოკუპაციის ლეგალიზებას. სააკაშვილი ვერ იტანდა ამ დოკუმენტს. არ დამავიწყდება მისი რეაქცია, როდესაც მასთან კაბინეტში შევედი - იგი გაცოფებული იყო.



ივანე ბუჩუკური (შუაში)
მსოფლიო შეხვედრაზე

ივანე ბუჩუკური
სიტყვით გამოსვლა
2018 წელის მოსკოვი

§4. საქართველოს სარჩელი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში

(2008 წლის 12 აგვისტო)

XXI საუკუნის 10-იანი წლების ურთულეს მოვლენას წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა, თავისი დაძაბული დიპლომატიური და სამართლებრივი მიმართულებებით. განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩეოდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს საომარი დაპირისპირება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევ მიზეზებზე, საომარი ოპერაციების დაწყებისა და მსვლელობაზე, სამხედრო მოქმედებაში მონაწილეთა შეიარაღებასა და რაოდენობაზე. რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული გეგმების მიზენბსა და ამოცანებზე. ომის მიზეზებით გამოწვეულ მატერიალურ და სულიერ ზარალზე არაერთ მეცნიერს და სახელმწიფო მოღვაწეს გაუმახვილებია ყურადღება. ომის შემდგომ პერიოდში გრძელდება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის თაობაზე სამეცნიერო პოლიტიკური პაექრობა არამარტო საქართველოში, რუსეთში, არამედ თანამედროვე საერთაშორისო დასავლურ და ამერიკულ სახელმწიფო პოლიტიკურ წრეებში. ომის შემდეგ გაძლიერდა დიპლომატიური ბრძოლა და საომარი მოქმედებების სამართლებრივი შეფასების შესწავლის აუცილებლობა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების სამართლებრივ შეფასებას ეძღვნება პროფესორ ელგუჯა მამუკელაშვილის ნაშრომი, რომელშიც იგი სრულად

სამართლიანად აღნიშნავს: ,,დღეს, ასე თუ ისე, შესაძლებელია სწორედ გაეცეს პასუხი იმ კითხვებს თუ რამ გამოიწვია წინააღმდეგობა“. ამასთან რა ადგილი განეკუთვნება საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფო მესვეურთა დამოკიდებულებას, როგორ არიან ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები. ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება აგვისტოს მოვლენების შედეგების სამართლებრივ შეფასებაში განსაკუთრებული დაკვირვების საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნაშრომის მიზანს შეადგენს ზოგადად საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებზე დაყრდნობით გააშუქოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები, ამასთან განსაზღვროს საომარი მოქმედების წარმოებით გამოწვეული მსოფლიო საზოგადოების სწორი დამოკიდებულება; მისი ისტორიული და პოლიტიკური ანალიზი, ასეთ საფუძველზე გაკეთდეს სამართლებრივი შეფასებები, რომელიც განსაზღვრავს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ისტორიულ პირობებს.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო-რუსეთის კონფლიქტი წარმოადგენს ინტერესს არა მხოლოდ იურისტების, პოლიტოლოგების და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ უბრალო მოქალაქეებისთვისაც, ვინაიდან ეს კონფლიქტი შეეხო საქართველოს ყველა მოქალაქეს და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური და ნაციონალური წარმომავლობისა. 2008 წლის ომმა არავინ დატოვა გულგრილი, ომი დამთავრდა, მაგრამ

კონფლიქტი კიდევ გრძელდება და მისი საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ უცნობია.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გ. გელაშვილის დამოკიდებულება, მისი ნაშრომი იწყება კონფლიქტის ისტორიული ნარკვევით, ვინაიდან იმისათვის, რომ განვიხილოთ, შევაფასოთ და გავიაზროთ კონფლიქტი აუცილებელია ვიცოდეთ მისი წინაპირობები. ყველა კონფლიქტს აქვს თავისი დასაწყისი, მაგრამ ძალიან რთულია რეალურად დავადგინოთ საიდან იწყება ის. ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ომის დაწყება და ეს მიზეზები უნდა ვეძებოთ ისტორიაში, ისტორიული ნაწილი ამ შემთხვევაში - მოიცავს ომის წინაპირობებს, თვითონ საომარ მოქმედებებს და ასევე სამშვიდობო ხელშეკრულების განხილვას. მოცემულია კონფლიქტის ისტორია სრულად, ანუ კონფლიქტის წარსული, აწმყო და მომავალი. სწორედ ამ ისტორიულ მიზეზებზე მოგვითხრობს ნაშრომის პირველი თავი.

ავტორი მოგვითხრობს კონფლიქტის შედეგებზე. იმ შედეგებზე, რომლებიც ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის აღიარებაა. ამავდროულად აფხაზეთის აღიარება განხილულია ცალ-ცალკე, რაც წარმოადგენს ძალიან სწორ სვლას და წარმოაჩენს ავტორის აზრს, რომ ამ ორ აღიარებას აქვს განსხვავებული საფუძველი, მაგრამ მათ აერთიანებთ სამართლებრივი შედეგი, რომელიც ამ აღიარებამ მოუტანა საქართველოს. ორი ავტონომიური მხარე, რომლებიც აცხადებენ თავის პრეტენზიებს დამოუკიდებლობაზე, წარმოადგენენ განსხვავებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს, განსხვავებული ეთნიკური შემადგენლობით,

ამიტომ ისინი უნდა განვიხილოთ დამოუკიდებლად, ყველა ზემო აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით.

ნაშრომი წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს, მასში განხილულია საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე. „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“. ეს საქმე მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და რთულია ვისაუბროთ სამართებრივ შედეგებზე, ავტორი აკეთებს ძალიან მნიშვნელოვან ანალიზს. ამ საქმის თარგმანი ჯერ არ არის გაკეთებული და მასზე არის ძალიან ცოტა ინფორმაცია ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ეს ნაშრომი წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას დაინტერესებული მკითხველისათვის, რომელნიც არ ფლობენ ინგლისურ ენას, ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმეზე, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ. საკმაოდ დეტალურადაა განხილული ეს საქმე, წარმოჩენილია მხარეების არგუმენტები და განხილულია არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ მოყვანილია იმ მოსამართლეების პოზიცია, რომლებსაც გააჩნდათ განსხვავებული აზრი. ნაშრომის ეს თავი წარმოადგენს არა მხოლოდ საქმის ფაქტების და გადაწყვეტილების მოყვანას, არამედ ავტორის მიერ შესრულებულ ძალიან საინტერესო სამართლებრივ ანალიზს. ასევე მოიცავს უკანასკნელ სიახლეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარგში, კერძოდ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის

გაწევრიანების საკითხს და საქართველოს პოზიციას. ეს მიმოხილვაც თავის არსში მოიცავს კონფლიქტის მიმოხილვას, მაგრამ კონფლიქტისა, რომელიც მიმდინარეობს დიპლომატიურ ასპარეზზე.

ნაშრომი მოიცავს მრავალფეროვან სამართლებრივ საკითხებს ანუ არ რეგულირდება მხოლოდ ერთი საერთაშორისო სამართლის დარგით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაშრომი განიხილავს საქართველო-რუსეთის კონფლიქტს არა კონკრეტული დროის მონაკვეთიდან და მხოლოდ ერთი ან ორი ასპექტით, არამედ მოიცავს კონფლიქტს სრულად, მთელი თავისი მასშტაბით და სწორედ ასეთი ფართო მასშტაბიანი კონფლიქტის ასახვა მთელი მისი სამართლებრივი ანალიზით წარმოადგენდა მთავარ სირთულეს. ნაშრომი წარმოადგენს ინტერესს არა მხოლოდ ნებისმიერი ქართველი იურისტისათვის, არამედ ნებისმიერი ქართველისათვის, იგი არის ისეთი ფორმით დაწერილი, რომ ნებისმიერი განათლების მქონე მკითხველმა შეძლოს მისი გაგება, კონფლიქტის სრულად ამსახველი და ნებისმიერი განათლების მკითხველზე შთაბეჭდილების მისაღწევად, არის გამოყენებული სწორად მორგებული მეთოდი, კონფლიქტი მიმოიხილება არა მხოლოდ იურიდიული კუთხით, არამედ მოქცეულია ისტორიულ ჭრილში და მოიცავს პოლიტიკურ ანალიზს. მთავარ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში არის მიმოხილული ახლახანს გამოსული საერთაშორისო სასამართლოს საქმე, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის უმნიშვნელოვანესი საქმე იმისათვის, რომ სრული ანალიზი გაკეთდეს 2008 წლის ომზე.

ჩვენი კვლევის ღირსება გამოიხატება არა მხოლოდ კონფლიქტის მრავალფეროვან განხილვაში, ასევე იმაში, რომ გათვლილია ნებისმიერ მკითხველზე. იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი განათლების მქონე მკითხველი სრულად გაეცნოს კონფლიქტს, გაიგოს და გაიაზროს მისი მნიშვნელობა, გაეცნოს მის ისტორიას. მიმდინარეობას და სამართლებრივ შედეგებს.

2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვანი სამხედრო, გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ზარალი მოუტანა საქართველოს. კონფლიქტი ფაქტობრივად დღესაც გრძელდება, მან ფართო ყურადღება მიიპყრო არა მხოლოდ მხარეთა მხრივ, არამედ მსოფლიოს კეთილი ნების საზოგადოებისაც. საკითხი თუ რამ გამოიწვია წინააღმდეგობის წარმოშობა და რა შედეგებით დამთავრდა ის, ჯერაც არ არის ბოლომდე გაცნობიერებული, დაპირისპირების ანატომია სრულად არაა გააზრებული, მისი განსჯა, ჯერ-ჯერობით ისევ ჟურნალისტების, იურისტების და პოლიტოლოგების ხელშია, საკითხები სწორედ მათი თვალსწიერიდან შუქდებოდა მეტწილად ტენდენციურად, რაც ამა თუ იმ ქვეყანას და საზოგადოებას აძლევდა ხელს. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ საკითხის განსჯა ზოგჯერ გამრუდებული ან სულაც დამახინჯებულია. ვერც ერთი მხარის მედია საშუალებებმა, ვერ მოახერხეს ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და ანალიზი, იყენებდნენ რა ჟურნალისტურ შეტყობინებას. დღეს ასე თუ ისე შესაძლებელია სწორედ გაეცეს პასუხი იმ კითხვებს, თუ რამ გამოიწვია წინააღმდეგობა, ვინ ისარგებლა და იზარალა მისი შედეგებით. თუ მის მიზეზ-შედეგობრივ მოვლენათა

კავშირს დავაკვირდებით, ვფიქრობთ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ამის გაგება და გაცნობიერება, რომ ეს მოიფიქრა, გააჩაღა და წარმართა მან ვისაც ხელეწიფებოდა და ხელს აძლევდა. ჩვენს მიერ შემოთავაზებული წინამდებარე ნაშრომის მოკრძალებული მიზანია ზოგადად და კონკრეტულ ფარგლებში გააშუქოს 2008 წლის ომის ისტორია, მისი წარმოშობის მიზეზები, მსვლელობა და შედეგი. ამასთან განსაზღვროს კონფლიქტის დიპლომატიური მეთოდებით მოგვარების საშუალებები და აუცილებლობა.

ის, რომ ტანჯვა და მძიმე მატერიალური ზიანი ომის აუცილებელი შედეგებია, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა აგვისტოს მოვლენებმა. ამ პერიოდის მანძილზე აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი საერთაშორისო ორგანიზაციები, რათა შემსუბუქდეს ომის შედეგები, როგორც საომარი მოქმედების წარმოების მეთოდებისა და საშუალებების შეზღუდვით, ასევე მხარეების იძულებით და საკუთარი სადამკვირვებლო მისიებით დაიცვან ის პირები, რომელნიც არ (ან აღარ) მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში. ამ მოვლენამ და მისგან გამოწვეულმა მსოფლიო რეაქციამ, მკვეთრად დაგვანახა საერთაშორისო სამართლის მოქმედების ან უმოქმედობის განმსაზღვრელი დამოკიდებულება ანუ საერთაშორისო პოლიტიკა.

საქართველოს უახლეს ისტორიაში, შევეცადეთ ნაშრომში მიმოხილული ყოფილიყო არა მხოლოდ სამართლებრივი მოვლენები, რომელიც მხოლოდ ერთი კუთხე იქნებოდა იმ მრავალწახნაგოვანი პრობლემისა, რომელიც ამ კონფლიქტს ახასიათებს, არამედ

წარმოჩენილიყო ისტორიული და პოლიტიკური ვითარების კონკრეტული ანალიზიც, რაც უფრო მეტად საინტერესოს და გასაგებს ხდის, ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლისათვის, რადგან ვითვლით შექმნილი ვითარების, მხოლოდ სამართლებრივი კუთხით წარმოჩენა, ან მხოლოდ ისტორიულით ვერ შექმნის ნათელ სურათს და ღრმა ანალიზის საფუძველს, ამიტომ არ გვინდა ღიად და უპასუხოდ დარჩეს ბევრი კითხვა, რომელიც საზოგადოებას აწუხებს, ნაშრომის მოკრძალებული მიზანია, ობიექტურად წარმოჩინდეს ის პროცესი, რომელიც 90-იან წლებიდან დღემდე გრძელდება და ისტორიულ და პოლიტიკურ მოტივებზე გაკეთდეს ის სამართლებრივი შეფასებები, რომელიც განსაზღვრავს წარსულის, აწმყოსა და მეტნაკლებად მომავლის იურიდიულ შედეგებს.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან ბევრი წელი გავიდა. 2008 წლის 7 აგვისტოს ომი ცხინვალის რეგიონში ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტებს შორის დაიწყო. ომში რუსეთი ოფიციალურად 8 აგვისტოს ჩაერთო, რომელმაც რეგიონში საკუთარი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა შეიყვანა. რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საჰაერო დაბომბვაც დაიწყო. რუსებისა და ოსების გაერთიანებული სამხედრო შენაერთები ქართველებს ცხინვალში სამი დღე ებრძოდნენ. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიაზე შეიჭრნენ. 5დღის შემდეგ

ქართულმა ჯარებმა ცხინვალის რეგიონი დატოვეს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უკვე გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა საკუთარი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზღრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევში. 26 აგვისტოს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამპოუკიდებლობა სცნო.

2008 წლის 12 აგვისტოს ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო განიხილავს მხოლოდ სახელმწიფოთა შორის არსებულ დავებს. საერთაშორისო სასამართლო ისეთი ორგანოა, რომელიც დავებს წლების განმავლობაში იხილავს. ჰააგის სასამართლოს მიერ საქართველო-რუსეთის დავაზე 2011 წლის 1 აპრილს გამოცხადებული გადაწყვეტილება მხარეებმა სხვადასხვაგვარად გაიგეს ან უფრო ზუსტად გაიგეს ისე, როგორც იყო, ხოლო გაჟღერდა ისე როგორც ამა თუ იმ მხარეს აძლევდა ხელს. კონკრეტულად საქმე ეხება საქართველოს სარჩელს რუსეთის წინააღმდეგ, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის თაობაზე. საქართველო რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლებების დახმარებით ეთნიკური ქართველების

გენოციდში ადანაშაულებს. სარჩელი 1990-2008 წლების შემთხვევებს აერთიანებს.

ჩვენი საკვლევი ნაშრომის ქრონოლოგია ასეთია: შესავალი, რომელშიც სქემატურად მიმოვიხილავთ ნაშრომს, რასაც ასევე მოსდევს უშუალოდ კონფლიქტის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ ქვეპუნქტებად:

ა)საომარი მოქმედებები, სადაც განხილულია ომის წინა პირობები, შეიარაღებული დაპირისპირება და საომარი მოქმედებების თეატრი;

ბ) ომის შეწყვეტა, სამშვიდობო ხელშეკრულება. აქ საუბარია იმ მოვლენებზე რაზე დაყრდნობითაც შეწყდა შეიარაღებული დაპირისპირება და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე, თუ რა პირობებს და რა შემდგომ სამოქმედო მუხლებს ითვალისწინებდა შეთანხმება და შესრულდა თუ არა იგი.

გ) ომის საომარი მოქმედებების შეწყვეტა. აქ საუბარია იმის შესახებ, ნამდვილად შეწყდა თუ არა 12 აგვისტოს საომარი დაპირისპირება ორ ქვეყანას შორის და რა სახეცვლილებით გაგრძელდა ეს კონფლიქტი. შემდეგ მოსდევს რუსეთის მიერ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარება, ნაშრომში ორივე ტერიტორიულ ერთეულს ცალ-ცალკე განვიხილავთ, რადგან ორივე მათგანთან მიმართებაში არსებობს დიამეტრალურად განსხვავებული სამართლებრივი და ისტორიული საფუძვლები, მივიჩნევთ ეს აღიარება დავყოთ ასევე ქვეთავებად: ცალკე აფხაზეთის, ცალკე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“, ასევე შევეხებით იმ

სამართლებრივ ცნებებს, რისი მეშვეობითაც დგება ამა თუ იმ სახელმწიფო ცნობა არ ცნობის საკითხი.

დასკვნითი ნაწილი ეხება საქართველო-რუსეთის საქმეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, სადაც წარმოდგენილია საქართველოს სარჩელი, რუსეთის პოზიცია და სასამართლოს გადაწყვეტილება.

ჩვენს მიერ ისტორიოგრაფიულ ნაწილში გამოყენებულია ცნობილი მეცნიერების ნარკვევები, როგორიცაა გერონტი და თორნიკე გასვიანები. მარიამ ლორთქიფანიძე: „აფხაზები და აფხაზეთი“ სადაც აფხაზების წარმომავლობა ზედმიწევნით კონკრეტულ ფარგლებშია გაშუქებული. ანზორ თოთაძეს, „ოსები საქართველოში მითი თუ რეალობა“, სადაც განხილულია ოსების ჩამოსახლება საქართველოში და ისტორიული ქრონოლოგია. ასევე გამოყენებულია პერიოდული გამოცემები. სამეცნიერო სტატიები და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე დოქტრინები.

ვფიქრობთ, სანამ უშუალოდ განხილვაზე გადავიდოდეთ საჭირო იყო გარდა შეფასების ორაზროვნებისა, აზრთა სხვადასხვაობა იურისტებსა და პოლიტოლოგებს შორის გაჩნდა შემდეგ თემაზე, მსგავსი ტიპის სარჩელი საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში განხილულიყო და არა საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ. 2008 წლის 1 სექტემბერს საერთაშორისო სამართლის ცნობილმა პროფესორმა, ანტონიო კასესემ, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო პროცესს და ტრიბუნალს თავმჯდომარეობდა გაზეთ „გარდიანში“ გამოაქვეყნა სტატია

სათაურით „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“. კასესე რუსეთის მოქმედებებს საქართველოში ერთმნიშვნელოვნად გმობს, მაგრამ აქვე დასძენს უპრიანი იქნებოდა მსგავსი სარჩელი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განეხილა.

მსგავს მოსაზრებას არაერთი ქართველი ექსპერტი ეთანხმება. თუმცა ჰააგის მართლმსაჯულების სასამართლო ორ ან მეტ ქვეყანას შორის არსებულ დავებს განიხილავს. თუ გავიხსენებთ, უკრაინის და რუმინეთის სადავო კუნძულთან დაკავშირებული დავაც იმავე სასამართლომ განიხილა, ასევე ბრიტანეთმა და ნორვეგიამაც გაარკვიეს დავის საკითხი ამ სასამართლოში. ჰააგის სასამართლოს თავმჯდომარემ „რანოვოსტის“ ოფისში გამართულ ვიდეოხიდის მიმდინარეობისას განაცხადა: საქართველოს სარჩელი გაეროს სასამართლოს იურისდიქციას შეესაბამება.

საერთოდ საქართველოს მიერ პოზიციის წარდგენის ვადა 2009 წლის 2 სექტემბერი, ხოლო რუსეთის ფედერაციის მიერ საპასუხო პოზიციის წარდგენის ვადად 2010 წლის 2 ივლისი დაასახელა. საქართველომ 2009 წლის 2 სექტემბერს სასამართლოს წარუდგინა რუსეთის ფედერაციის მიერ ზემოაღნიშნული კონვენციის დარღვევის დამადასტურებელი მასალები.

2011 წლის 1 აპრილს ჰააგის სასამართლომ რუსეთი მხარედ ცნო და გამოიტანა გადაწყვეტილება: ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დიალოგის რესურსი ჯერ კიდევ არსებობს და სარჩელის განხილვასაც მაშინ განაახლებს, როდესაც ის ამოიწურება.

ჩვენ ვეხებით მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას ყველა ქართველისთვის და ასევე მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებისთვის, როგორიც იყო აგვისტოს ომი, მიგვაჩნია ეს არ იყო შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი, არამედ აგრესიით გამოწვეული ომი და მასთან დაკავშირებული შედეგები გავლენას ახდენს არა მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოზე, არამედ მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობაზე. ამ ომმაც მოიტანა ასეთი შედეგები. ერთ-ერთი უმძიმესი შედეგი ყველა ქართველისთვის იყო რუსეთის მიერ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება, ეს მაგალითი არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი მხოლოდ ქართველებისთვის, მსგავსი აღიარება წარმოშობს საერთაშორისო პრეცენდენტს, თუ რამხელა მნიშვნელობას ახდენს საერთაშორისო სამართალში მსგავსი პრეცედენტები ყველა სახელმწიფო უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ მსგავსი აღიარებით ის შეიძლება ერთ დღეს საკუთარი. ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგეს, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება მიგვანიშნებს მის პოლიტიკურ ხასიათზე: სასამართლო ცდილობს თავიდან აიცილოს რადიკალური გადაწყვეტილების მიღება. რუსეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვევს მრავალი ახალი პრობლემის წამოჭრას. საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ფაქტიურად სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულების გარეშე დარჩეს.

ომის შედეგად საქართველოს თავდაცვის შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად 412 ადამიანი დაიღუპა. 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო მოსამსახურე და 14 პოლიციელი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება 24 ადამიანი. დაიჭრა საქართველოს 1747 მოქალაქე; მათგან 973 სამხედრო, 227 პოლიციელი და 547 მშვიდობიანი მოქალაქე. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა 3 და დაიჭრა 4 ჟურნალისტი. დაღუპულთაგან 1 უცხოელი და 2 საქართველოს მოქალაქე.

2008 წლის 12 აგვისტოს ჰააგის მართლმსაჯულების საერთაორისო სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ.

ა)ომის შეწყვეტა - სამშვიდობო შეთანხმება.

საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, შეთანხმება შედგება 6 პუნქტისაგან, რომლის ეტაპობრივ შესრულებაზე, რუსეთმა ვალდებულება აიღო, შესრულების ვადები კონკრეტულად იყო განსაზღვრული. სამშვიდობო შეთანხმებას საქართველომ 15 აგვისტოს თბილისში, ხოლო რუსეთმა 16 აგვისტოს მოსკოვში მოაწერა ხელი.

საერთაშორისო სამართალში აგრესიული ომი კანონგარეშეა გამოცხადებული, მაგრამ როგორც ვხედავთ ეს არ გამორიცხავს ასეთი ომის დაწყების შესაძლებლობას. თავის მხრივ ასეთი იწვევს აგრესიის მსხვერპლის მხრიდან თავდაცვის უფლებას.

სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც იქნა ინიცირებული, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მიერ ხელი მოეწერა თბილისში 15 აგვისტოს 2008 წელს. ხელშეკრულების მხარეები იყვნენ საქართველო-რუსეთი, მაგრამ ასევე რუსეთის მხარის ინიციატივით სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელი მოაწერეს, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტებმა“, რომლებიც საგანგებოდ ჩაფრინდნენ მოსკოვში და ამრიგად 14 აგვისტოს 2008 წელს გახდნენ სამშვიდობო ხელშეკრულების მხარეები.

ბ) რუსეთის მიერ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ აღიარება

საქართველოს მხარეებში შეიარაღებული კონფლიქტები ხშირად მოიხსენიება როგორც ეთნიკური კონფლიქტები, ასევე ოსეთისა და აფხაზეთთან მიმართებაში კონფლიქტი სამაჩაბლოში ყველაზე ნაკლებად სწორედ ეთნიკური ბუნებით გამოწვეული შედეგებით დადგა. ქართველთა და ოსთა შერეული ოჯახები საკმაოდ ხშირ მოვლენას წარმოადგენს, რაც ეთნიკური კონფლიქტის მოტივებს ასუსტებს. ვფიქრობთ, ამ კონფლიქტების უფრო დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ ეთნოტერიტორიული პრინციპი. თუ დავაკვირდებით, ორივე რეგიონი აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც პირდაპირ გასდევს საზღვრად რუსეთს, რაც მას უადვილებს მოქმედებას ამ ორ რეგიონში, კონფლიქტი მაინც საზღვრისპირა რეგიონში მოხდა. დღევანდელ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში თითოეული მათგანის მოსახლეობა ოდნავ აჭარბებს 40 ათას კაცს, ხოლო საქართველოში სხვება ეთნიკურ წარმომადგენლობათა რიცხვი გაცილებით მეტია, მაგალითად აზერბაიჯანელები,

ხომსები, აგრეთვე ჩეჩენი ქისტები, მაგრამ არც ერთ მათგანთან ეთნიკური კონფლიქტი არ დაწყებულა.

ოსი ხალხის ისტორია ისევე როგორც აფხაზების, ძირითადად ქართული წერილობითი წყაროებიდანაა დაცული, რადგან მათ დამწერლობა არასოდეს ქონდათ, ხოლო აფხაზებმა მე-20 საუკუნეში შექმნეს დამწერლობა, რომ არა ქართული წყაროები მათ თავიანთი ისტორია მხოლოდ გადმოცემით ეცოდინებოდათ.

ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველოში ოსების თავდაპირველი შემოსვლა, შედეგია მონღოლთა დაპყრობითი ომების წარმოების, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ველებზე. მონღოლთა ლაშქრობამ განაპირობა ოსთა აყრა საცხოვრებელ ადგილებიდან, რათა თავი შეეფარებინათ ცენტრალურ კავკასიონის ხეობებში. მე-14 საუკუნის დამდეგს, მეფე გიორგი ბრწყინვალემ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ და განდევნა ისინი საქართველოდან, მას შემდეგ თითქოს ორი საუკუნის მანძილზე ქართული წყაროები ოსთა დასახლებებს არ მოიხსენიებენ. ასე რომ ოსთა ხელახალი ჩამოსახლება იწყება მე-17 საუკუნეში, უცხოურ და ქართულ წყაროებში დაცული ცნობების გარდა, ენობრივი მასალა, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ეპიგრაფია და ტოპონიმები ცხადად ადასტურებს რომ ეს ქართული ტერიტორიაა. ოსი მეცნიერი ვ. აბაევი აღნიშნავს: ,,ისტორიული და ენობრივი ფაქტები მოწმობენ, რომ ქსნის ოსების დასახლება ქსნის ხეობის ახლანდელ ადგილებში

მოხდა არც თუ ისე დიდი სნის წინათ, დაახლოებით უკანასკნელ 200 წლის განმავლობაში“.

თანამედროვე რუსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ ისტორიულ ოსეთს, ხოლო ტერმინი სამხრეთ ოსეთი მხოლოდ მე-19 საუკუნეში გვხვდება, ის რუსეთის მიერ დამკვიდრებული ტერმინია და იმ პერიოდშიც კი საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა. შემდეგ როდესაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1918-21 წლებში და დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ახლა უკვე ბოლშევიკური რუსეთის კარნახით, „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე რამდენჯერმე მოეწყო ოსთა აჯანყება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. 1920 წელს საქართველო რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. სწორედ მსგავსი ნაცადი ხერხებით ცდილობდა ირიბად ზემოქმედებას შექმნილ მდგომარეობაზე. ვითარება წელ-ნელა მძიმდებოდა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან, მაშინდელმა მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და აშშ-ს წარმომადგენლებს თბილისში: „ჩვენ განსაკუთრებით ჩაგვცა ლახვარი თანხმობის ქვეყნების ამგვარმა დამოკიდებულებამ, ჩვენ არაერთხელ ავღძარით შუამდგომლობა ამ ბრძოლაში ამუნიციით და სურსათით მხარდაჭერისთვის მხარდაჭერას დაგვპირდით, მაგრამ დღემდე ვერ მივიღეთ თქვენგან ვერც ერთი ვაზნა, ვერც ერთი ფუნტი პური. ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით, ან იჭის

გამო რომ თქვენი მთავრობები არასაკმარისად არიან ჩახედულნი, ან კიდევ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დანგრევა აღმოსავლეთში თქვენი ინტერესების ხელყოფად არ ითვლება". ვფიქრობთ შეიძლება ერთგვარი პარალელის გავლება მაშინდელ და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან მიმართებაში.

1921 წელს რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეერთება და 25 თებერვლას გამოაცხადა საქართველოს გასაბჭოება. ე.წ. სამხრეთ ოსეთმა ამ საქმეში გაწეული დახმარების სანაცვლოდ, 1922 წელს მიიღო ავტონომია.

მაგრამ შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შედეგად კვლავ დაიძაბა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში, ეტაპობრივად მიგვიყვანა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე, რამაც ახალი ვითარება შექმნა ამ ტერიტორიაზე.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა ცნო.

ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა. თუ როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გვაძლევს მაგალითს კეთილი სამსახურის ან შუამდგომლობის სწორი ფორმის შესახებ. იგი გადასცემდა ერთი მხარის პრეტენზიებს და წინადადებებს მეორე მხარეს, დავის გადაწყვეტაში არსებითი ჩარევის გარეშე. ორივე საშუალების გამოყენებისას, შუამავლის წინადადებები რეკომენდაციების სახეს ატარებენ მხარეებისათვის. შუამავლის - ყოველი ცდა

ძალით მოახვიოს მხარეებს თავისი გადაწყვეტილება ან საომარ მოქმედებებში იქნეს ჩართული ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. როდესაც რომელიმე სახელმწიფო აღიჭურვება უფლებით თვითონ წარუდგინოს მხარეებს დავის გადაწყვეტის პირობები, განახორციელოს მხარეთა შორის მოლაპარაკებების მსვლელობის ხელმძღვანელობა.

თანამედროვე დავის პროცესში რუსეთი თავის მხრივ შეიარაღებულ კონფლიქტში აქტიურად ჩართვის მიზეზად იყენებს არგუმენტს „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების და ე.წ. მშვიდობის მყოფელების ანუ რუსეთის სამშვიდობო მანდატოთ მყოფ ჯარისკაცების დაცვას. რაც შეეხება საკუთარ მოქალაქეთა დაცვას, არსებობს საყოველთაოდ აღიარებული წესები, რომლებიც გაეროს წესდებითაა გათვალისწინებული და რუსეთმა, როგორც მისი უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა უნდა იცოდეს და თუ იცის მისი იგნორირება არ უნდა გააკეთოს. გაეროს წესდებაში წერია: ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპის ქვაკუთხედს წარმოადგენს დებულება, რომელიც კრძალავს იძულებით ზომების გამოყენებას უცხო სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. მხოლოდ იმ შემთხვევაში კონკრეტულ სახელმწიფოში ადგილი აქვს ადამიანის სიცოცხლის უფლების ან სხვა უფლებათა მასობრივ და სისტემურ დარღვევას, რაც საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულად ითვლება, მხოლოდ მას შემდეგ გაეროს ორგანოების მიერ დგება ამა თუ იმ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევის საკითხი.

ვფიქრობთ, რუსეთმა 2008 წლის აგვისტომდე უკვე დაიწყო მზადება აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებისთვის, რაც მათ მიერ შექმნილი თუ ხელმოწერილი სამართლებრივი აქტების ცნობით დაიწყო. ჯერ კიდევ თებერვალში, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მთავრობის მიერ ნაწარმოები ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტაციის იურიდიული ძალის მქონე აქტებად ჩათვალა. სახელმწიფო, რომელიც მშვიდობის გარანტი უნდა იყოს კონფლიქტის რეგიონში, ამავდროულად მის მიერ მიღებულ ყოველ გადაწყვეტილებას მოსდევდა ურთიერთობის დაძაბვა, გაუარესება, კონფლიქტის ზღვრამდე მისვლა და საბოლოოდ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევა.

აღიარებული საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი მრავალ საშუალებას ითვალისწინებს: მოლაპარაკება, გამოძიება, შუამავლობა, შერიგება, არბიტრაჟი, სასამართლო პროცესი და სხვა. ჩამოთვლილ საშუალებათა სიმრავლიდან და რუსეთის პოლიტიკური შესაძლებლობებიდანაც კარგად ჩანს, რომ ნებისმიერი საშუალების ორგანიზება პრობლემას არ წარმოადგენს.

გ) საქართველოს სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ ეფუძნება 1965 წლის კონვენციას, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, სარჩელში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაცია „თავისი სახელმწიფო ორგანოების, სახელმწიფო აგენტებისა და მთავრობისაგან წახალისებული სხვა პირების, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული ძალების მეშვეობით არღვევს (რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლინების წინააღმდეგ მომუშავე

კომიტეტის) ფუნდამენტალურ მოთხოვნებს, მათ შორის კონვენციის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებს“ ასევე რუსეთის ფედერაციის დირექტივებით და უშუალო ჩარევით აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან“ ქართველი და სხვა ეთნიკური ჯგუფების განდევნა, რამაც შეცვალა დემოგრაფიული სურათი ორივე რეგიონში.

საქართველოს სარჩელს ჰყოფს სამ ძირითად ფაზად, ეტაპად, რომლითაც დაირღვა მისი ფუნდამენტური პრინციპები.

ივანე გაიზარდა სანიმუშო ინტელიგენტის ოჯახში,
სულიერად სპეტაკი მამა უნერგავდა ქვეყნის უანგარო
სიყვარულს წინაპართა მაგალითებზე, მაგ:
ენით დაკოდილი
(სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის მიხედვით)
ენაზე მომდგარ სიტყვასა
განა სულ ყველას თქმა უნდა?!
(სალხური)

ტყეში წასულსა ერთ კაცსა
შემთხვევით დათვი შემოხვდა;
დაბმობილდნენ და ორივე
ურთიერთ ერთგული გახდა.
კაცმა ძმობილს დაპატიჟა
და გაუძღვა თვითონ წინა,
მიიყვანა ბინაში და
აქეიფა, მოალხინა.
ბოლოს წამოდგა სტუმარი

და თქვა: „ახლა წავალ შინა“;
კაცმა იგი გადაკოცნა,
შემდეგ ცოლსაც აკოცნინა.
როცა აკოცა ქალთა დათვსა,
განერწყვა და ეს თქვა თანა:
„ფუ, რა მყრალი სუნი ასდის
ამ ჩვენს სტუმარს პირიდანა“.
ამ მომშხამმავმა სიტყვებმა
დათვი დათრგუნა, დალახვრა,
მაგრამ წავიდა ისე, რომ
ქალის პასუხად არრა თქვა.
სულ მალე დათვის ძმობილი
ტყეს შეშისათვის ეწვია,
ამ დროს მოვიდა იქ დათვიც
და ძმობილს გადაეხვია.
დათვმა კაცსა დაუჟინა:
ცული დამკარ, დამკოდეო.
კაცი განცვიფრდა, გაოცდა:
ეგ რა მითხარ, რა ჰბოდეო!
არ მოეშვა ძმობილს დათვი,
გაჯიუტდა, კიდეც გაწყრა . . .
კაცი დამყოლი აღმოჩნდა –
დათვს მან თავში ცული დაჰკრა.
მეორე თვეს ძმობილები
ისევ შეხვდნენ, გაიხარეს,
დათვს ჭრილობა მორჩენოდა
და მან ძმობილს აუწყა ეს:
ნახე, თავი მთლად მომირჩა,

შენ რომ დამკარი ცულიო,
მაგრამ შენი ცოლის ენით
კვლავ დაჭრილი მაქვს გულიო!
დიახ, ავ სიტყვას ეს აქვს თვისება,
რომ დამთრგუნველად კაცის გულს ხვდება,
მისი შედეგი არ იკურნება
და სამუდამოდ ტკივილად რჩება.
რაკი ასეა, სათქმელისა
დაფიქრება და ჭკვა უნდა,
სიბრძნეც ხომ ამას გვასწავლის,
რასაც შეცნობა, ქმნა უნდა,
რომ ენაზე მომდგარ სიტყვას
განა სულ ყველას თქმა უნდა.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ (განხილვა)

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გმირულ-პატრიოტულ პოემა „ბახტრიონს“, რომელშიც მთელი ძალით არის გამოვლენილი დიდი მგოსნის პოეტური გენია.

პოემას საფუძვლად უდევს კახეთის 1659 წლის ცნობილი ისტორიული აჯანყება სპარსულ დამპყრობთა წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს ნაწარმოების თემა - თუშ-ფშავ-ხევსურთა ერთობლივი მონაწილეობა ბახტრიონის ციხის აღებასა და მტრის განადგურებაში. თვალნათლივ პატრიოტულია პოემის იდეა მოწოდება მტრებისგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ისტორიას იმდროინდელი ეპოქის აღდგენა-დახასიათების მიზნით არ მიმართავს. ამიტომაც არ ვხვდებით „ბახტრიონში“

ისტორიულად ცნობილ ბევრ ფაქტს. ვაჟას იმდენად თვით ისტორიული ფაქტები არ იზიდავს, რამდენადაც საკუთარი პოეტური განსახიერება თანამედროვეობისათვის უაღრესად აქტუალური პატრიოტული იდეისა.

პოემის მიხედვით კახეთი სასტიკად იტანჯება სპარსელ დამპყრობთა უღლის ქვეშ. კახეთის ეს უბედურება იმავე დროს მთელი საქართველოს უბედურებაც არის. სწორედ ამ მძიმე ეროვნული მდგომარეობის შეგნებით აღადგენენ მთიელნი კახეთის დასახმარებლად. ინიციატივა თუშებმა აიღეს: ისინი სალაშქროდ მზადებას შეუდგნენ, ამავე მიზნით ფშავლებთან და ხევსურებთან კვირია გაგზავნეს და მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდეს:

„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ
სისხლით, ხორცით და რჯულითა?!
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
გაუტეხელნო, გულითა!
უშაროდ, განა არ იცით,
მთანიც რომ ვერა გვარობენ?
გვიშელეთ ფშაველ-ხევსურნო,
ბარზე თათრები ხარობენ!“

კვირიას შეხვედრა სანათასთან და მათი საუბარი მაუწყებელია იმისა, რომ თავის მხრივ ფშავ-ხევსურეთიც რბევისა და ხოცვა-ჟლეტის ასპარეზად ქცეულა.

თუშების მოწოდებაზე სასწრაფოდ იკრიბებიან ფშაველ-ხევსურნი. მათი შეკრება თავისი სისწრაფით, დარაზმულობით, ერთსულოვნებითა და მტრის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის წყურვილით ერთგვარ სახალხო ზეიმად იქცევა. ერთი მიზნით გაერთიანებულ მთიელთა

სოლიდარობის ამ განსაცვიფრებელი სურათის შექმნით ვაჟამ დიდების საგალობელი უმღერა ხალხთა ძმობისა და ერთობის იდეას.

პატრიოტული განცდებითა და დიდი პოეტური ხელოვნებითაა დახატული ფშავ-ხევსურთა და თუშთა ლაშქრის შეხვედრა. მხედრები ფიცს დებენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ მტრის წინააღმდეგ.

თუშ-ფშავ-ხევსურთა გაერთიანებული და ფიცით შეკრული ლაშქარი შემუსრავს მტრის ურდოებს და აიღებს ბახტრიონის ციხეს. პოემის შემდგომ ნაწილში გადმოცემულია გამარჯვებულთა ზეიმით დაბრუნება უკან, მათი მზრუნველობა ომში გმირულად დაღუპულ ადამიანებზე, აქვეა ბრძოლის ველიდან გამოქცეული, ლაჩარი ადამიანის გმობა და სხვა.

პატრიოტიზმთან ერთად „ბახტრიონში“ მოცემულია გმირობის ნათელი სურათები. ვაჟა-ფშაველა გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი პატრიოტული გრძნობის მატარებელია ხალხი, მშრომელი მასა. ხალხის წრიდან არიან გამოსული პოემის სახელოვანი გმირები, რომლებიც გვხიბლავენ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითა და თავდადებით.

პოემის გმირთა შორის მთავარი ადგილი უკავია კვირიას, რომელიც ობლობისა და უპატრონობის გამო ფშავიდან თუშეთს გადახვეწილა და იქ მოჯამაგირეობაში გაუტარებია ოცი წელი.

თუშების დავალებით კვირია ფშავ-ხევსურეთში მიდის და კახეთის დასახმარებლად ხალხს მოუწოდებს ბრძოლისაკენ. პოემაში სწორედ იგი გვევლინება

დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საქართველოს ყველა კუთხის, მთისა და ბარის გაერთიანების იდეის მქადაგებლად. კვირიას უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის ფშავ-ხევსურთა შეკრებისა და სალაშქროდ მზადების საქმეში, მაგრამ მისი ნათელი პიროვნება კიდევ უფრო მიმზიდველად წარმოგვიდგება სამშობლოს კეთილდღეობისათვის საკუთარი სიცოცხლის შეწირვის შემდეგ.

კვირიას მსგავსად დაბალი სოციალური წრიდან არიან გამოსული„ბახტრიონის სხვა გმირებიც: ზეზვა, ლუხუმი, ხოშარეული და გივი სუმელჯი“.

ლუხუმი და ზეზვა ქართველ სახალხო გმირთა ორი შემკრებლობითი სახეა. ისინი ხალხის ძლიერებისა და სიმამაცის განსახიერებანი არიან. მათ მთელი თავიანთი სიცოცხლე მტრების წინააღმდეგ აურაცხელ ბრძოლაში გაუტარებიათ, „სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია ძუძუს მომსხლიტა დედამა“ - ამბობს ზეზვა. ასევეა ლუხუმიც. დიდ სიმამაცესთან ერთად მათთვის დამახასიათებელია კეთილშობილება და ჰუმანურობა. ანალოგიური თვისებებით ხასიათდებიან პოემაში ეპიზოდურად გამოჩენილი მოქმედი პირებიც ხოშარეული და გივი სუმელჯი.

მამაკაცების გვერდით ვაჟაფშაველამ „ბახტრიონში“ პატრიოტ ქალთა სახეებიც წარმოგვიდგინა. ესენი არიან სანათა და ლელა.

სანათა შესანიშნავი სახეა პატრიოტი ქართველი დედისა, რომელსაც მამულის მტრებთან ბრძოლაში ერთ დღეს დაუკარგავს ქმარი და შვიდი ვაჟიშვილი („თითო

ლომისა დარია“). მრავალტანჯული დედა ივიწყებს თავის პირად უბედურებას და კახეთის დასახმარებლად თუშ-ფშავ-ხევსურთა ამხედრების ცნობას სიხარულით, პატრიოტული აღტკინებით ხვდება:

„ეგებ ინებოს ბატონმა,
გაგამარჯვებიყოსთ მტერზედა,
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა.
თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაჟლეტას გავიგონებდი“

ეს მოხუცი ქალი მარტო გოდებით არ კმაყოფილდება. იგი მზად არის თვითონ წავიდეს და ხალხს მოუწოდოს სამშობლოს დაცვისაკენ.

დიდი მხატვრული ოსტატობით შესრულებულ სახეს წარმოადგენს ლელა ბაჩლელი, რომელიც ჰგავს „სამოთხის ყვავილს, ნარწყავსა უკვდავებითა“ მან ომში დაკარგა ძმები, მამა მძიმე ჭრილობებისაგან დაუძლურებულია, დედა კი ტყვედ ჰყავთ თათრებს ბახტრიონის ციხეში. ლელა სალაშქროდ გამზადებულ მხედრებს სთხოვს, რომ წაიყვანონ მტრებთან საომრად. ლაშქრის მეთაურები მის თხოვნას უარით შეხვდნენ, მაგრამ ამ ნაზმა არსებამ ყველას დაუმტკიცა, თუ რა ძლიერი სულის პატრონიც იყო. ივი კვირიასთან ერთად მოხერხებით შევიდა ბახტრიონის ციხეში, შიგნიდან გაუღო კარი თავისიანებს, თვითონ დაიღუპა, მაგრამ მოძმეთა გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი.

ღრმა პატრიოტული და გმირობის იდეებითაა გაჟღენთილი პოემის უკანასკნელი თავი - გველისა და კაცის მეგობრობის ლეგენდური სურათი, სადაც აღწერილია, თუ როგორ მკურნაობს გველი დაჭრილ ლუხუმს. ამ ლეგენდის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ბოროტებაც კი უკან იხევს, როდესაც საქმე ეხება სამშობლოს დამცველს. სამშობლოსათვის თავდადებული გმირის კეთილშობილება სიკეთეს ბადებს თვით უბოროტეს არსებაში - გველშიც კი.

„ბახტრიონში“ მკაფიოდ არის გამოთქმული საქართველოს ბრწყინვალე მომავლის ურყევი რწმენა და იდეა. ამის დადასტურებას წარმოადგენს პოემის ფინალი. მძიმედ დაჭრილი ლუხუმი, რომელიც საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს, სიკვდილს გადაურჩა, ძალას იკრებს და მალე შეძლებს ფეხზე ადგომას, პოეტი აღნიშნავს:

„ამბობენ, შააძლებინა
სნეულსო ფეხზე ადგომა,
ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა“.

როგორც მთელი პოემა, რომელშიც აღწერილია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება, ისე პოემის ეს სტროფიც ნათლად გამოხატავს ვაჟას პატრიოტულ მიზანდასაულებას, მის რწმენას სამშობლოს მომავლისადმი და თვით პოემაც ამავე მიზნითა და რწმენით აღავსებს მკითხველს.

თავისი მშვენიერი ფორმით, გამოსახვის ხალხური ხასიათითა და ეროვნული სულით, ღრმა იდეურობით, მგზნებარე პატრიოტიზმითა და მომავლის ურყევი რწმენით

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ მუდამ ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ბახტრიონი

მტკიცედა ვდგავარ მარადჟამს
კლდეებზე გადაძრღვული,
სისხლნაწვიმარი მიწა ვარ
მიწა გმირული წარსულის.
ხსენება ბახტრიონისა
ქვეყნად შორს არის გასული,
გმირთა მშობელი მიწაა
მიწა ყოველგან ქართული.
უხსოვარ დროის მოწმე ვარ
მრავალი ბრძოლის მნახველი
სისხლით ირწყვება მთა-ბარი -
ქედს არ იხრიდა ქართველი,
სისხლითვე იწერებოდა
მისი უკვდავი სახელი.
საუკუნეთა ქუხილში
მან ხმალაღმართვით იარა,
ეხვია მტერი ურიცხვი,
არ შეშდებოდა იარა.
არაბი, სპარსი, თათარი . . . –
ყველა მტრად ეკიდებოდა,
მათი ურიცხვი ლაშქარი
ქვეყანას მოედებოდა.
არბევდნენ, ხოცდნენ, მიყავდათ,
ქოხს ცეცხლი ეკიდებოდა
ბირს დანარცხებულ ჰატარას

უმწეოდ სული ხდებოდა.
მაგრამ უძლევი ქართველი
მხნედ იყო არა დრკებოდა,
მაინც ხმალს ლესდა, გუთანსაც
ხელმარჯვედ ეკიდებოდა.
გული ნაწრთობი ბრძოლაში
კლდესავით გამაგრდებოდა.
მიტომ არ შედრკა, არ გატყდა,
თუმც მტერი ბევრჯერ ეცადა,
არ გატყდა, რადგან ქართველის,
გულს ვაჟკაცობა ეხატა!
რამდენი ტანჯვა-წამება
ამ მხარეს გადახედია,
აქ მე ვშფოთავდი იქით კი
დრტვინავდა დიდი ქედია,
მაგრამ თავზეც ხანდახან
ცის რისხვით დაუჭექია!
ო, კარგად მახსოვს ასეთი
ბრძოლა ჩემს მკერდზე მომხდარი.
ბრძოლა, რომელმაც დაიხსნა
დამონებისგან ეს მხარე.
იმ ავბედობის ხანაში,
სპარსეს რომ ეპყრა კახეთი,
ისე აოხრდა ქვეყანა,
ატირდებოდა მნახველი.
მტერს ჰქონდა ავი მიზანი
(იყო ვერაგი, თავხედი):
უნდოდა ამოეწყვიტა

ხალხი მთლიანად კახეთის.
და დაესახლა მის ადგილს
თავისი ტომი თათარი,
მიტომ იყო რომ მოგზავნა
მან აქ დიდძალი ლაშქარი.
ჩემს მკერდზე დადგეს სადგომი,
ურცხვად ღრეობდნენ ხარობდნენ
და ეს გულბილწნი მომხდურნი
წასვლას სულაც არ ჩქარობდნენ.
მაგრამ კახეთის მთა-ბარი
ძალას იკრებდა, მაგრობდა
ხალხი ხმალს შენაძმობარი
სამშობლოს როგორ დასთმობდა!
თუშთა, ფშაველთა, ხევსურთა
ლაშქარიც იკრიბებოდა
ტანჯულ კახეთის მიწა-წყალს
ის მხსნელად ევლინებოდა.
განთიადისას დაეცა
ქართველთ ლაშქარი მტარვალთა
ბნელათ მოცული მიდამო
ვაჟკაცთა ხმალმა ანათა.
მეც სიხარულით
ძირთან-თხემიანადა,
რომ მომხდურთ შესამუსრავად
ხალხმა მახვილი ამართა.
იქუხა ბრძოლის ყიჟინამ
მრგვინვასა ჰგავდა მეხისას,
რისხვა დაატყდა მტერს თავზე

ბედი წყდებოდა ქვეყნისა.
შეიქმნა შემაძრწუნებები
ბრძოლის ზათქი და ბრიალი,
ხმალთ ელვა, შუბთა ძგერება,
ცხენების ჭიხვინ-თქრიალი.
ისმოდა ხმალთა ჩახანი,
სისხლი დიოდა ღვარული
შეძრწუნდა მტერი ვერაგი
აქ ციხეს შემოძალული.
სამ გმირს ადიდებს ხალხი ხსოვნაში
სამი გმირი ჰყავს გამორჩეული
თუში ზეზვაი გაფრინდაული,
ფშაველი გოგოლაური, ხევსური ხოშარეული
ხმალ ამოწვდილი ზეზვაი
თვალს ლურჯას დააგელვებდა
მისგან ნაკბენი დუშმანი
ცხენივით აირეოდა.
ხოშარეულის მახვილი
მტრის თავზე ჭექით ელავდა,
ვაჟკაცის მკლავი ძლიერი
ჩეხდა, ლეწავდა, ღელავდა.
გოგოლაურის მახვილსაც
ხშირად გაჰქონდა წყრიალი,
მხარიღლივ გადასხეპილი
ცვიოდა მტერი ტიალი.
დღე დაუბნელდათ მომხდურებს
კლდეს შეეხალნენ ბეცადა
და თავის თავზე მოუხდათ

რაც რომ მათ სხვისთვის ეწადათ.
დამშვიდდით გმირთა აჩრდილნი
უკვდავი არის თქვენი სახელი
თქვენი ლოცვით და ხსენებით
მუდამ იხარებს ქართველი .

თავი V. მზვერავი ვეტერანი ა. ტალიური

§1. ბიოგრაფიული ცნობები



არკადი ტალიური

პირადი ინფორმაცია

საქართველო, ქ. თელავი,
ლესელიძის ქ. N16
ტელ: 0350 27 21
35; მობ:577 717 517
ელ.ფოსტა
alika.taliuri@mail.ru
დაბადების
თარიღი: 17/10/1967
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
ოჯახური მდგომარეობა:
დასაოჯახებელი

განათლება

სასწავლებლის დასახელება	ფაკულტეტი	სწავლის წლები
მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სახედრო აკადემია	სამხედრო და ადმინისტრაციული მართვა	1996-1999
კიევის ფრუნზეს სახელობის უმაღლესი სამეთაურო საერთო-	მოტომსროლელი ჯარების სამეთაურო ტაქტიკური	1985-1989

საჯარისო სასწავლებელი		
თბილისის ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეც.სკოლა-ინტერნატი	საშუალო-სპეციალური	1982-1985

სამუშაო გამოდილება

ორგანიზაციის დასახელება	დაკავებული თანამდებობა	მუშაობის წლები
ომის, შრომის და სამხედრო ძალების თელავის რაიონის ვეტერინართა კავშირი	თანადამფუძნებელი	2010 დღემდე
მებრძოლ-პატრიოტთა კავშირი	თავმჯდომარე	2004-2010
დაზვერვის მთავარი სამმართველო (თბილისი)	საჯარისო დაზვერვის უფროსი ოფიცერი	2000
აღმოსავლეთ ოპერაციული მიმართულების სამმართველო (თელავი)	უფროსის მოადგილე ბაზების მართვის დარგში	1999-2000
მოტომსროლელი ბატალიონი (თელავი)	მეთაური	1994-1996
მოტომსროლელი	დაზვერვის უფროსი	1992-1994

ბატალიონი (თელავი)		
მოტომსროლელი პოლკი (გერმანია, ქ. გლაოჰაობ	დაზვერვის ოცეულის მეთაური	1989-1990

დამატებითი პროფესიული კვალიფიკაცია

ორგანიზაციის დასახელება	მიღებული ცოდნის თემატიკა	თარი
HR პროფესიონალთა გილდია	სტრესის მართვა (სტრესმენეჯმენტი) და საქმიანი კომუნიკაცია	2013
HRპროფესიონალთა გილდია	სამსახურში მოწყობის ტექნიკა	2013
CTC	ორგანიზაციისა და ადამიანური რესურსების მართვა	2012
IREX	ინოვაციური პროექტები ბიზნესში	2011
IREX; ECA; CAPS	კარიერა საჯარო სამსახურში	2011
პარტნიორები - საქართველო	ლიდერობა და გუნდური მუშაობა	2010
პარტნიორები - საქართველო	პრობლემების მოგვარება და გადაწყვეტილების მიღება	2010
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	სტრატეგიული დაგეგმვა, პროექტის ციკლის მართვა	2007
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	პროექტის წერა	2007
პარტნიორები - საქართველო	ეფექტური კომუნიკაცია	2007
საია	ადამიანის უფლებები	2005

IDFI	ინფორმაციის თავისუფლება და საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა	2002

დამატებითი ინფორმაცია

1992-1993 წლებში ვმონაწილეობდი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოს (სამხრეთ ოსეთი) რეგიონებში.

კომპიუტერული პროგრამები:

Windows

MS office

Internet Exsplorer

ენები:

ქართული მშობლიური)

რუსული (თავისუფლად)

ინგლისური (ლექსიკონის დახმარებით)

ჩინური (ლექსიკონის დახმარებით)

ავტობიოგრაფია

მე, ტალიური არკადი ალბერტის ძე დავიბადე 1967 წლის 17 იანვარს, ქ. თელავში, მოსამსახურის ოჯახში.

1973 წელს შევედი თელავის N8 რუსულ საშუალო სკოლაში.

1982 წელს 8 კლასის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე ქ. თბილისის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეც. სკოლა-ინტერნატში, რომლის სრული კურსის დამთავრებისთანავე 1985 წელს ჩავირიცხე ქ. კიევის მ.ვ. ფრუნზეს სახელობის უმაღლეს საერთო საჯარისო სამეთაურო სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1989 წელს კვალიფიკაციით: სამეთაურო ტაქტიკური სამხედრო დაზვერვის სპეციალობით.

1989-91 წლებში სამსახური გავაგრძელე დასავლეთ დაჯგუფების (გერმანიაში) 20 მოტ. მსრ. დივიზიაში 576 მოტ. მსრ. პოლკში, დაზვერვის ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.

1991 წელს დათხოვნილი ვიყავი საბჭოთა არმიის რიგებიდან და დავბრუნდი საქართველოში.

1992 წლის მარტში საქ. რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის N7 მოტ. მსრ. ბატალიონის ჩამოყალიბების შემდეგ შევედი მის რიგებში და დავინიშნე დაზვერვის უფროსის თანამდებობაზე.

1993 წლის 1 სექტემბრიდან დავინიშნე ს/ნ 05665 ბატალიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლა. ხოლო ნოემბრიდან ამავე ბატალიონის მეთაურად.

1996 წლის აგვისტოში ჩავირიცხე მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში, რომელიც დავამთავრე 1999 წელს კვალიფიკაციით: სამხედრო და ადმინისტრაციული მართვის სპეციალობით.

1999 წლის ივლისში დავინიშნე აღმოსავლეთ ოპერატიული მიმართულების უფროსის მოადგილედ

ბაზების მართვის დარგში, საიდანაც განვთავისუფლდი ნოემბრის თვეში.

2000 წლის აპრილში დავინიშნე დაზვერვის მთავარი სამმართველოს საჯარისო დაზვერვის სამმართველოს 1-ლი განყოფილების უფროს ოფიცრად. 2000წ. დათხოვნილი ვარ საქ. შეიარაღებული ძალებიდან. მონაწილეობა მაქვს მიღებული საქ. ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე ბრძოლებში. დღეისათვის ვმოღვაწეობ ვეტერანთა უფლებების დაცვის სფეროში, ვარ თელავის რაიონის შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის დამფუძნებელი.

სამხედრო წოდება - მაიორი.

მყავს მშობლები და ერთი და.

მამა - ტალიური ალებრტი არკადის ძე, დაბადებული 1936 წელს.

დედა - გიგაური ნუნუ გიგას ას. დაბადებული 1940 წელს.

ვცხოვრობ ჩემს მშობლებთან ერთად მისამართზე ქ. თელავი ლესელიძის N16

1992 წლის ზაფხულს, თელავის ეროვნული გვარდიის მეშვიდე ბატალიონმა (მოტომსროლელი ბატალიონი) მიიღო დავალება-გადაადგილებულიყო შიდა ქართლის, სამაჩაბლოს (ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში) რეგიონში შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად. კერძოდ, ზნაურის რაიონში შექმნილი პირობითი საზღვრისა და ქართული სოფლების დასაცავად. იმ პერიოდში, მე ვიკავებდი ბატალიონის დაზვერვის

უფროსის თანამდებობას და როგორც კადრის ოფიცერს, მიწევდა გაცილებით მეტი ფუნქციის შესრულება, ვიდრე მხოლოდ ჩემი უშუალო მოვალეობები. თუ როგორ ვითარებაში მოხდა ბრძოლებით რაიონებამდე მიღწევა და მისი დაკავება, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, რაც იუმორთან ნაკლებად კავშირშია. ის, რომ ეს საკითხები სახელმწიფო დონეზე დღემდე არ არის შესწავლილი, სერიოზული პრობლემაა და იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში ამით სათანადო სტრუქტურები დაინტერესდებიან. ამიტომ, გავიხსენებ სამაჩაბლოს რეგიონში მომხდარ უფრო სახალისო და მხიარულ კურიოზებს.

ბატალიონმა დაიკავა თავდაცვითი რაიონი სოფელ ზემო და ქვემო ოქონას ტერიტორიაზე და შეუდგა საინჟინრო-ფორტიფიკაციული ნაგებობების მომზადებას. ბუნებრივია, სეპარატისტებს ეს უყურადღებოდ არ დარჩენიათ და საინჟინრო სამუშაოები ორივე მხრიდან ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მიმდინარეობდა დღისით, თუ ღამით. ბუნებრივია, ეს გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა ყველას, მათ შორის ზურგის უზრუნველყოფის ოცეულს და პირადად, საველე სამზარეულოს. ერთ-ერთი პირველი კურიოზი სწორედ, საველე სამზარეულოს ეხება.

ღამის ინტენსტიური სროლების შემდეგ, დილის 7:30 წუთზე მომახსენეს, რომ საუზმე მზად არის და პოზიციებზე მიწოდება შეიძლება, თუმცა აღმოჩნდა რომ დილით მომხდარ ფაქტს შეეძლო საუზმის გაუქმება. კერძოდ, დილით მიმდინარე სროლების დროს, სეპარატისტების მხრიდან გამოსროლილ რამდენიმე ჭურვი საველე სამზარეულოს ტერიტორიაზე ჩამოვარდა და აფეთქდა, რის


გამოც ექსტრემალურ ვითარებაში ჩავარდნილი საკუთარი თავის, ინვენტარის, ტექნიკისა და რაც მთავარია, სადილის გადარჩენით გამოწვეული აჟიოტაჟის გამო, შემთხვევით მთავარი მზარეულის, ალექსანდრე ივანიშვილის ჩექმიანი ფეხი მზა საკვებით სავსე ქვაბში აღმოჩნდა. ჩემს კითხვაზე - მომხდარი ფაქტის შესახებ ვინ იყო ინფორმირებული, მომახსენეს, რომ ვიცოდით მხოლოდ სამმა - მე, ოცმეთაურმა და ავტორმა მთავარმა მზარეულმა. სამედიცინო სამსახურის მოკლე კონსულტაციის შემდეგ აღნიშნული პრობლემა გადაწყდა, პ/შ-ის მშიერი კუჭების სასარგებლოდ. არც ერთი მოწამვლისა და ფაღარათის შემთხვევა სამედიცინო სამსახურის მიერ დაფიქსირებული არ ყოფილა.

კონფლიქტის დროს, სოფლები მოსახლეობისაგან რამდენიმე წლის წინ უკვე მიტოვებული იყო. უპატრონოდ მიტოვებულ საცხოვრებელ ნაგებობებში თუ ბაღ-ბოსტნებში დიდი რაოდენობით იყო მომრავლებული იყო მწერები, მღრღნელები და სარეველა მცენარეები. ბუნებრივია, ეს ფაქტორი გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა. ამის თაობაზე ქვედანაყოფის მეთაურები მაწვდიდნენ ინფორმაციას და ზომებიც მივიღეთ სპეცდამცავი ბადეების, საცხების, ხელთათმანების თუ პოზიციების დამუშავებით, თუმცა, ხიფათს ვერ ავუარეთ გვერდი, რაც სახალისო კურიოზად გვექცა.


დილით, როგორც ყოველთვის, ქვედანაყოფების მეთაურების მოხსენების შემდეგ, კავშირგაბმულობის მეთაურისაგან, უფროს ლეიტენანტ მერაბ მჭედლიშვილისგან გავიგე, რომ რამდენიმე ჯარისკაცი ღამე დაუკბენია მწერს და პირველადი სამედიცინო დახმარების

მიუხედავად, ესაჭიროებოდათ დამატებითი სამედიცინო ღონისძიებები, რაც დაუდასტურა სამედიცინო სამსახურის უფროსმა. მოკლე ხანში, წარმიდგინეს დაზარალებული ჯარისკაცები და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჯარისკაცს, ისევე, როგორც ბატალიონის მთელ პირად შემადგენლობას, ბუნებრივია სახეზე ვიცნობდი, სამიდან ორი ჯარისკაცი, რომელთაც დაზიანებები ჰქონდათ კისრისა და მხრების არეში, ადვილად ამოვიცანი. მიყენებული დაზიანებების გამო, მესამე ჯარისკაცი სახეზე იმდენად იყო შეცვლილი (მთლიანად ჰქონდა დასიებული), რამდენჯერმე დამჭირდა კარგად დაკვირვება, რამაც გამოიწვია ჩემი დაუფარავი გაკვირვება, ხოლო დამსწრე საზოგადოების ჯერ თავშეკავებული ხოლო შემდეგ მოულოდნელი ხარხარი, რამაც ბუნებრივია ჩემზეც გადმოინაცვლა. საინტერესოა ის, რომ თვითონ დაზარალებული ყველაზე ბოლოს, მაგრამ ყველაზე გულიანად აგვყვა ამ საერთო მხიარულებაში. იქვე ექიმმა წარმოგვიდგინა მთავარი დამნაშავე. იგი აღმოჩნდა 20სმ მწვანე ფერის შავბუსუსებიანი მატლი, რომელსაც თავდაცვის მიზნით შეეძლო გამოეყო მწვანე ფერის სითხე, რაც კანზე მოხვედრის შემდეგ იწვევდა სერიოზულ ალერგიას. მატლი, ისევე როგორც „ძმანი მისნი“, როგორც წესია საველე პირობების დროს, დაისაჯა სასჯელის უმაღლესი ზომის მყისიერი აღსრულებით!

კიევის უმაღლესი საერთაშორისო
საჯარისო სამეთაურო სასწავლებელი
(1985-1989)










გერმანია მმგ დაზვერვის ოც მეთაური
(1989-1999წ.წ.



კ. ლესელიძის სახ. სპეც. სკოლა ქ. თბილისი
(1982-1985წ.წ.)

ა. ტალიური - ჩემი შემეცნებითი კვლევის საგანია: - ლოკალური ომის სტრატეგიული საფუძველი

დასავლელი მეცნიერი ექსპერტების გამოკვლევების მიხედვით, ცივილიზაციის 4800 წლის მანძილზე, კაცობრიობა მშვიდობიან პერიოდში იმყოფებოდა მხოლოდ 300 წელი, დანარჩენი 4500 წელი კი საომარ მდგომარეობაში. აზიისგან შევიწროებული და ევროპისაგან არაღიარებული საქართველო იძულებული იყო თავისი უფლება-ბრძოლა არსებობისათვის, დაემტკიცებინა ხმლით. ამის თაობაზე ბევრი დაწერილა, თუმცა სამხედრო ხელოვნების ისტორიაზე დღემდე საკმაოდ ცოტა რამ არის მოკვლეული, რაც თავისთავად აჩენს პრობლემას შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში, რადგან შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ საფუძვლებზე. საქართველოში მე-19 საუკუნის ოციანი წლებიდან და მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისამდე თვით გადარჩენის პრობლემა დღის წესრიგში აღარ იდგა. თუმცა საკითხავია, რის ფასად და რის ხარჯზე!

300 წლის წინ კაცობრიობის წინაშე მდგარი საკითხი - უნივერსალური საშუალების ძიება, რომელიც ქვეყნების, ერების, ხალხებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს გადაწყვეტდა არაშეიარაღებული დაპირისპირების მეთოდით, დღემდე აქტუალურია. პოლიტიკური დეკლარაციები, ხელშეკრულებები, კონცეფციები, მოლაპარაკებები განიარაღებაზე, გარკვეული შეიარაღების აკრძალვა მხოლოდ ნაწილობრივ წევდა უკან შეიარაღებულ დაპირისპირებებს, მაგრამ არ აჭრობდა მათ. ლოკალური

ომების და შეიარაღებული კონფლიქტების საკითხით სამხედრო მეცნიერება დაინტერესდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. მსოფლიო ომებისაგან განსხვავებით, ლოკალური ომები და რეგიონული კონფლიქტები განისილება როგორც ომი, რომელიც მოიცავს მონაწილეების შედარებით მცირე რაოდენობას განსაზღვრულ გეოგრაფიულ რეგიონში. მიუხედავად არსებული განსხვავებისა, მათ შორის არსებობს არა მხოლოდ პოლიტიკური ელფერის კავშირიც.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დაფიქსირებულია 400-მდე კონფლიქტი, მათ შორის 50 მსხვილი ლოკალური ომი, საშუალოდ წელიწადში 30-მდე შეიარაღებული კონფლიქტი, რამაც შეიწირა 30 მილიონამდე ადამიანი. თავისთავად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლოკალური ომების და შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღება განპირობებული იყო მსოფლიოში ძველი ზეგავლენის სფეროების დაშლით: ეროვნული, ანტიკოლონიური მოძრაობების გააქტიურებით და პრაქტიკულად ახლადშექმნილ დაპირისპირებულ ბანაკებს შორის მსოფლიოს გადანაწილებით. წარმოიქმნა სახეცვლილი დაპირისპირების ე.წ. „ცივი ომის" ფორმატი რომელიც ითვალისწინებდა მხარეების მხრიდან თავიანთი მიზნების მიღწევას არა ფართომასშტაბიან მსოფლიო ომების გაჩაღებით, არამედ ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების წარმოებით, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტად და იდეოლოგიური ზეგავლენის საშუალებად მსოფლიოს გარკვეულ ქვეყნებზე თუ რეგიონებზე!

დღეისათვის დადასტურებულია, რომ ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღების მიზეზები საბოლოო ჯამში ეკონომიკურია (გასაღების ბაზარი, ბუნებრივი და სამუშაო რესურსების კონტროლი). მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხსენებული ინტერესები დღემდე უცვლელია და განვითარებული პროცესების კლასიკური ანალოგი. ისტორიამ განახორციელა კიდევ ერთი სპირალისებრივი ბრუნვა ვერტიკალურად ზევით. რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ეს ცვლილებები დამოკიდებულია გლობალურ მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებაზე. თუმცა ჩვენი ქვეყნის პოზიცია დარწმუნებული ვარ გადამწყვეტი იქნება.

დღეისათვის განვითარებული მოვლენები მთიან ყარაბახში, შავი ზღვის აკვატორიაში თუ მატერიკული უკრაინის აღმოსავლეთით ბუნებრივია ჩვენგან შესაბამის ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია უკრაინაში განვითარებული მოვლენები, რადგან მიმდინარე პროცესები აშკარად განსხვავებულია დღემდე არსებული ლოკალური ომების თუ შეიარაღებული კონფლიქტების მაგალითებზე. თუ ასეთი სახის კონფლიქტები იძლევა შესაძლებლობას შეიარაღებული ძალების სტრუქტურის, ტაქტიკის და ახალი შეიარაღების და ტექნიკის გამოცდის საფუძველს. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ამის რეალური შესაძლებლობა მისცა დაპირისპირებულ მხარეებს (სუფთა პრაგმატული თვალსაზრისით -ავტორის დამატება).

დღეისათვის მიმდინარე მოვლენების გასაანალიზებლად კარგი იქნება თუ დაუბრუნდებით ჩვენ წარსულს და შევეცდებით შევხედოთ განვითარებულ მოვლენებს სხვა თვალით.

ცხრაწლიანი ყბადაღებული პოპულიზმი უძლეველი ჯარის შესახებ ისეთივე ბლეფი აღმოჩნდა როგორც საქართველო დემოკრატიის შუქურად და ამაში დანაშაული მიუძღვის არა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას, არამედ იმდროინდელ ხელისუფლებებს. ამ პრობლემებმა თავი იჩინა 2004წ და 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტების დროს. საქართველოს შეიარაღებული ძალები განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად ისევ იმყოფებიან რეფორმების პროცესში, თუმცა დღემდე არ გაჟღერებულა არც ამ რეფორმის მიზნები და ამოცანები და არც მთავარი ამისი ვადები. გადაუჭრელი პრობლემა დარჩება სწორი საკადრო პოლიტიკა და კადრის სათანადო აღზრდა. ხშირია შემთხვევები როდესაც მაღალი თანამდებობის პირები ვერ მეტყველებენ სამხედრო ტერმინოლოგიით, ვერ ანსხვავებენ ქვედანაყოფს, ნაწილს, შენაერთს. გაუგებარია რატომ მოიხსენიებენ რიგით ჯარისკაცებს ბიჭებად და არა პირად შემადგენლობად, რატომ არის რომ ქუჩებში გვხდებიან სამხედრო პირები, რომლებისთვისაც უცნობია როგორც ქცევის, ასევე სამხედრო ფორმის ტარების კულტურა. იაფი პოპულისტური განცხადებების გარდა არ გაჟღერებულა არც ერთი ფაქტი შენაერთის გეგმიური შემოწმების თაობაზე, მის საბრძოლო მზადყოფნისა თუ ბრძოლისუნარიანობაზე. რთულია მსჯელობა ამ საკითხებზე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც

შენაერთებსა თუ ნაწილებში არარსებობს საბრძოლო მომზადების პროგრამები და თუ არსებობს რამდენად არიან ისინი ადაპტირებული საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე.

გულისტკივილით მინდა ავღნიშნო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ შეიარაღებულ კონფლიქტებზე დღემდე არ არის ჩატარებული სათანადო კომპეტენტური ღრმა საფუძვლიანი ანალიზი, მოკვლევა. ეს თავისთავად საყურადღებოა და ბადებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ საქართველოში შესაძლოა არსებობდნენ და დღემდე არსებობენ ძალები, რომლებსაც არ აწყობთ ქვეყნის ისტორიის ამ ეტაპის ობიექტურად შესწავლა და გაშუქება, არადა ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ამ პერიოდში, წარმოადგენს ქვეყნის ინტელექტუალურ კუთვნილებას, ხოლო მან კი ასახვა უნდა ჰპოვოს სახელმწიფოს სათანადო ინსტიტუტების საქმიანობაში, აგრეთვე ქვეყნის თავდაცვის დოქტრინის, საბრძოლო მომზადების პროგრამებისა და სამხედრო თემატიკის შესაბამის სახელმძღვანელოებში. ადვილი მისახვედრია კლასიკური სამხედრო განათლების გარეშეც. თუ როგორი იქნებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალები 2008 წლის მოვლენების დროს ზემოთ მოყვანილი საკითხის გათვალისწინებით. თუმცა, ეს ცალკე თემაა და ამას შემდგომში დავუბრუნდებით. აქვე მინდა ავღნიშნო, მიუხედავად ყველა იმ უარყოფითისა, რაზედაც იყო გამახვილებული ყურადღება, დადებითად მინდა შევაფასო ის სულისკვეთება და პატრიოტიზმი, რომელიც ახასიათებს ჩვენ ერს და მთლიანად ქვეყნის მოსახლეობას. ძალიან

კარგად მახსოვს 17-18 წლის ახალგაზრდები, მოხალისეები, ადამიანები, რომლებიც ძალიან შორს იყვნენ სამხედრო საქმიანობასთან, მაგრამ თავიანთი ვაჟკაცობით ნამდვილ გმირობებს ჩადიოდნენ. მინდა მოვიგონო ყველა გარდაცვლილი და აღვნიშნო, რომ მათი დაწყებული საქმე აუცილებლად მიყვანილ უნდა იქნას ლოგიკურ დასასრულამდე. მე სამხედრო ვარ, სხვა პრინციპები გამაჩნია, თუმცა ფაქტია დღეისათვის დიპლომატიურ ფორმას ალტერნატივა არ გააჩნია, მხოლოდ ამ ფორმით შესაძლებელია ნდობის აღდგენა. ყველა ვთანხმდებით ერთ ფაქტზე აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც ამ ომს გამარჯვებული ვერ ეყოლება.

ახლადარჩეული პარლამენტის მიერ 2012 წ. მიღებული საკანონმდებლო ინიციატივაა, რომელიც ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების საქ. შეიარაღებული ძალებზე მონიტორინგის უფლებას. მივესალმები ამ საკანონმდებლო ცვლილებას და მიმაჩნია, რომ ეს ხელს შეუწყობს საქ. შეიარაღებული ძალების სწორ აღმშენებლობას და განვითარებას. წარმოებულმა სამხედრო კონფლიქტებმა სახელმწიფოში შექმნა რიგი გადაუჭრელი შიდა პრობლემები მათ შორის დაღუპულთა, სამხედრო ინვალიდთა და ვეტერანთა სახით, ხოლო ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობის ერთ-ერთი ინდიკატორია, როგორ ეპყრობა ხელისუფლება ამ კატეგორიებს. სამწუხაროდ საქართველოში ომის მონაწილეები სილატაკეში ცხოვრობენ და თავს საზოგადოებისგან გარიყულად მიიჩნევენ. მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული რეალური

პროგრამა კარგა სანია არ განსორციელებულა. „შეიარაღებული ძალების ვეტერანთა დაცვის შესახებ“ კანონიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც ვეტერანთა სოციალურ დახმარებას უზრუნველყოფდა. ვეტერანებს არაერთი პრობლემა აქვთ. უმთავრესი კი მათ მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების არაჯეროვანი დამოკიდებულებაა.

გამოკვლევების მიხედვით 70% უმუშევარია, მთავრობისგან არანაირ დახმარებას არ იღებს. 69% თვეში 500 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, 30% კი სოციალურად დაუცველია, მათი უმრავლესობა ვერ სარგებლობს სახელმწიფო დაზღვევით, საგანმანათლებლო ან სხვა სოციალური დახმარების პროგრამით.

მიგვაჩნია:

არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭირო შესაბამისი რეკომენდაციები;

„საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ არის დისკრიმინაციული ვეტერანთა მიმართ და აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება. აუცილებელია, გაიზარდოს ვეტერანთა პენსია. გადაიხედოს ჯანდაცვის და შეიქმნას ვეტერანთა დასაქმების სპეციალური პროგრამები.

სამწუხაროდ:

ერთ-ერთი ძირეული საკითხი ვეტერანთა სტატუსის მინიჭება რჩება, რადგან ეს კატეგორია დღემდე არსებობს. ისინი შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობდნენ პრაქტიკულად ყველანაირი სტატუსის გარეშე, სამხედრო ნაწილებში გაუფორმებლად. კონფლიქტების დასრულების

შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მათ შესახებ არანაირი საბუთი არ არსებობდა.

2003 წ. შემდეგ, ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესი დაიწყო. პროცესი, რაიონებში ადგილებზე უნდა წარმართულიყო, თუმცა შემდგომ ეს ფუნქცია, თავდაცვის სამინისტროში შექმნილმა კომისიამ გადაიბარა. კომისიის არაჯეროვანმა საქმიანობამ ვეტერანთა წრეში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია!

გადასაჭრელია:

სამედიცინო და მორალურ- ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია;

ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

სამხედრო ჰოსპიტალის, სარეაბილიტაციო და პოლიკლინიკის მომსახურება;

პროფესიული რეკვალიფიკაცია, დასაქმება და სოციალიზაცია;

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ გადაადგილება;

ვეტერანთა შესახებ კანონმდებლობით, მათ ეკუთვნის შეღავათები ბიზნეს საქმიანობაში, თუმცა საგადასახადო დებულებებში ეს საკითხი არაა გათვალისწინებული ანუ კანონი არ მუშაობს.

ამისათვის საჭიროა ვეტერანთა მოძრაობა უფრო ორგანიზებული, სოლიდარული და მიზანდასახული გახდეს. ვეტერანების პრობლემატიკის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად უნდა ჩაებას როგორც

ადგილობრივ თვითმმართველობის, აგრეთვე საპარლამენტო და სამთავრობო ინსტიტუტები. ამ მიმართულებით საქმე გაკეთდა, მაგრამ აუცილებელია, ცვლილებები კანონმდებლობის დონეზე გამყარდეს. სპორტულ-ტექნიკური კლუბის ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენს რეგიონში არსებულმა რამდენიმე ორგანიზაციამ, რომლებიც წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ სპორტულ-ტექნიკურ და სამხედრო-პატრიოტულ სფეროებში. მათ თავიანთ საქმიანობებში დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ჩვენი ძირითადი მიზანია, მომავალი თაობის პატრიოტული აღზრდა, სპორტის სხვადასხვა სახეობების შესწავლა და ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა. „მიმინოს“ დაარსება არის სოციალური პროექტი.

3.თავდაცვის უწყებაში გაურკვეველი საკადრო პოლიტიკა გრძელდება, რაც ექსპერტთა თქმით იწვევს ბევრ კითხვას ის, რომ თავდაცვის უწყებაში საკადრო პოლიტიკა მუდმივად პოლიტიკური დავის საგანს წარმოადგენს. სახელმწიფო რთული პოლიტიკური ორგანიზაციაა და ნებისმიერი გადაწყვეტილება (სამოქალაქო, სამხედრო, რელიგიური, დიპლომატიური, ეკონომიკური, განსაკუთრებით სამხედრო-საომარი) უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობისაა. ყველა და ყველაფერი ემსახურება სახელმწიფო პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, მის განხორციელებას, მის დაცვას. ეს ვერ ან არ გაიგეს საქართველოში, რაც დაბალ პოლიტიკურ დონეზე მეტყველებს.

სამსედრო საიდუმლო უპირველესად სახელმწიფო პოლიტიკური საიდუმლოა და მას გაფრთხილება ჭირდება.

ახალი ამბავი არ არის, მაგრამ მაშინ მთავარი პრობლემა ის იყო, რომ კადრების შერჩევა პოლიტიკური ნიშნით და პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ხდებოდა. ახლა კი საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით ორი პრობლემაა, ერთი არაკვალიფიციურობა და მეორე, ინფორმაციის ნაკლებობა, რაც ამძაფრებს იმ ეჭვს, რომ კადრების შერჩევა არასწორად ხდება.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ თავდაცვის სამინისტროში რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები საქმდებიან ის ამბობს, რომ უმადური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ საქართველოსთვის საზიანოა, სამწუხაროდ ეს არ ესმის ქართულ ელიტას, ისინი ამერიკაში დარბიან, რუსეთთან შეწყვეტილი აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთს გაურბიან თავადაც ვერ გარკვეულან, რატომ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უაღრესად მოსაწესრიგებელია. რა ვიღონოთ. 22 პოლიტიკური პარტიაა საქართველოში - უდიდესი შეცდომაა ქვეყნის ბიუჯეტიდან მათი დაფინანსება - ისინი არ ქმნიან არც მატერიალურ, არც სულიერ ღირებულებებს.

საშინელებაა ყალბი სიტყვის სიჭარბე, ყველა ყბედობს - სიტყვამ დაკარგა თავისი ღვთიური სიძლიერე, ის გაღარიბდა, გამოეცალა მაგიური მიმზიდველობა. ყველა ყბედობს, რაც ქვეყანას დალუპავს. და არავინ არ იცის საით მიჰყავთ საქართველო, ითვლიან სტრატეგიული ურთიერთობის 25 წლისთავს ამერიკასთან, თითქოს მანამდე

არ არსებობდა საქართველო თავისი სიხარულითა და ტკივილებით.

ასეთი ეჭვები მუდამ არსებობს და ახალაიას დროს ბევრი სამხედრო მოსამსახურე სამსახურიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ სამხედრო განათლება რუსეთში ჰქონდათ მიღებული და არავინ არ გაითვალისწინა, რომ თავისთავად განათლების მიღება არ შეიძლება ეჭვის საფუძველი გახდეს. თუ ეს ეჭვი სხვა ფაქტებით არ მტკიცდება, რადგან გარკვეული წლების განმავლობაში ადამიანები სამხედრო განათლებას რუსეთის გარდა სხვაგან, უბრალოდ ვერ მიიღებდნენ. ახლა არ ვიცი რა ხდება. მაგრამ ვიცი, რომ ადამიანმა თავდაცვის უწყებაში მუშაობა რომ დაიწყოს, კონტრდაზვერვის პასუხი უნდა არსებობდეს.

მე ვფიქრობ, პრობლემა ის არის, რომ არ არსებობს ინფორმაცია თუ როგორ ხდება საკადრო პოლიტიკის წარმართვა. შეარაღებული ძალების უშუალო დანიშნულებაა, მისი მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა ომისთვის ისტორიულად საკუთარ ყტერიტორიაზე, ხოლო წარმატება დამოკიდებული იყო ქვეყნის ერის ჩართულობაზე ამ პროცესებში.

საჭიროა:

საწყისი სამხედრო მომზადების სწავლებას საჯარო სკოლებში, აგრეთვე სერჟანტების და ოფიცრების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში, სავალდებულოდ. ხოლო ამისათვის საჭიროა რამდენიმეთვიანი თეორიული პრაქტიკული სასწავლო პროგრამების კურსების დამუშავება შესაბამისი სამხედრო კვალიფიკაციების მისაღებად.

განსაკუთრებული ყურადღება გასამახვილებელია სარეზერვო კონტიგენტის სამობილიზაციო საკითხების მოგვარება და რეზერვისტთა საბრძოლო მომზადების ორგანიზება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს არამარტო სამხედრო სპეციალობის, არამედ სამეთაურო უნარ-ჩვევების მინიჭებას, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ვიყოლიოთ სამეთაურო რეზერვიც, რომელსაც შეუძლია შესაბამის პირობებში დამოუკიდებლად ორგანიზება გაუკეთოს და აწარმოოს საბრძოლო პროცესი ტაქტიკურ დონეზე. აგრეთვე საკითხი უზრუნველყოფს მ,ოსახლეობის მორალურ ფსიქოლოგიურ მზადყოფნას ქვეყნის თავდაცვის აუცილებლობის შემთხვევაში, რაც არანაკლებ პრიორიტეტულია ქვეყნისთვის.

საჭიროა სამხედრო ტექნიკური წრეების, ბანაკების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება, გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს როგორც მომავალი თაობის პატრიოტულ აღზრდას, ასევე ვეტერანთა დასაქმებას.

§2. სამეცნიერო ინტერესები - ლოკალური ომის სტრატეგიული საფუძველი

თუმცა ცივი ომის პერიოდი დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებად იქცა, ლოკალური ომებისა და რეგიონალური კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობა მომავალშიც მოსალოდნელია.

ომებით და რეგიონალური კონფლიქტებით სამხედრო მეცნიერება დაინტერესდა ჯერ კიდევ XIXს-ის დასასრულს. მსოფლიო ომისაგან განსხვავებით ლოკალური ომი და რეგიონალური კონფლიქტები განიხილება როგორც ომი, რომელიც მოიცავს მონაწილეების შედარებით მცირე რაოდენობას და განსაზღვრულ გეოგრაფიულ რაიონებს.

მიუხედავად არსებული განსხვავებისა მათ შორის არსებობს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერი ელფერის კავშირიც.

საქართველოს უახლეს ოც წლიანი ისტორიის ტრაგიკული პერიოდი; დაკარგული ტერიტორიები, ათიათასობით ლტოლვილი და სხვა მრავალი პრობლემები გაცილებით აქტუალურს ხდის საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლების (საბრძოლო ოპერაციების) კომპლექსურ ანალიზს, შესწავლას და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1945 წლიდან 2000 წლამდე დაგეგმილი და წარმოებული იყო 180 ლოკალური ომი, რეგიონალური და შეიარაღებული კონფლიქტი. მათ შორის დიდ ინტერესს იწვევს ის კონფლიქტები, სადაც მოწინააღმდეგე მხარეები იყენებდნენ რეგულარულ

შეიარაღებულ ძალებს და ბრძოლის უახლეს საშუალებებს. ასეთ კონფლიქტებად შეიძლება ჩაითვალოს: კორეის 1950-1953წ, ვიეტნამის 1946-54წ, ალჟირის 1954-62წ, ახლო აღმოსავლეთის 1956-67წ, და 1973-82წ. ანგლო-არგენტინის 1982წ. ერაყ-ისრაელის შეიარაღებული კონფლიქტი 1980 წლიდან, ომი ავღანეთში. ოპერაციები: „გალილეის მშვიდობა“ 1982წ. ოპერაცია ERYZEY FURE” 1983წ, აშშ შეიარაღებული ძალების დესანტირება გრენადაში, 1991წ. ოპერაცია „DZAST KOZE”- „სამართლიანი საქმე“, აშშ-ს მე-18 სადესანტო კორპუსისა და საჰაერო ძალების ქვედანაყოფების დესანტირება პანამაში, სპარსეთის ყურის კრიზისის დროს. ეს ოპერაცია (სპარსეთის ყურის კრიზისი) არის რეკორდული პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის კონცენტრაციით. ორივე მხრიდან ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა მილიონნახევარი სამხედრო მოსამსახურე. 10,5 ათასი ჯავშანტექნიკა და 300-მდე თვითმფრინავი.

კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე ახალი ძალით იფეთქა რეგიონალურმა და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რომლებიც დღესაც რჩებიან გადაუჭრელად (საქართველო-აფხაზეთი, სამაჩაბლო, სომხეთ-აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღი, მოლდავეთი, შუა აზია-ფერგანა, რუსეთის ფედერაცია-ჩეჩნეთი), ხოლო ამერიკის და ევროპის ბრძოლამ ექსტრემიზმთან, აფრიკასა და აზიაში ექსტრემისტულმა და რელიგიურმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მიიღო ნაციონალური უბედურების ფორმა.

მსოფლიო ლოკალურმა ომებმა, რეგიონალურმა და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, ასევე საქართველოში,

აფსაზეთსა და სამაჩაბლოში ჩატარებულმა სამხედრო ოპერაციების საბრძოლო მაგალითებმა გვიჩვენა, რომ მათი შესწავლა და გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვა აუცილებელია. ამისათვის არსებობს მიზეზი, მათ შორის:

1.დღეისათვის ატომური ომის საშიშროების შენელების შემდეგ სულ უფრო შესაძლებელი ხდება ომის წარმოება ჩვეულებრივი შეიარაღების მეშვეობით. ამდენად, ლოკალური ომები და რეგიონალური კონფლიქტები, სადაც გამოიყენება ჩვეულებრივი დაზიანების საშუალებები, შეესაბამებიან დღევანდელი დღის მოთხოვნილებებს სამხედრო სფეროში.

2.ლოკალური ომები და რეგიონალური კონფლიქტები დღეისათვის წარმოადგენენ ე.წ. „პოლიგონებს“, სადაც წარმოებს საბრძოლო ცდები ყველაზე თანამედროვე შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის, აგრეთვე ხორციელდება ჯარების საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურების აპრობირება, მოწმდება ახალი თეორიული თვალსაზრისები შეიარაღებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე საომარ პერიოდში.

3.სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა უფრო ღრმად შეისწავლოს სამხედრო ხელოვნების ის თეორია და პრაქტიკა, რომელიც დამახასიათებელია მისი რეგიონალურ-პოლიტიკური მდგომარეობისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ წამყვანი ქვეყნების სამხედრო სპეციალისტების თვალსაზრისით ლოკალურ ომებში და რეგიონალურ კონფლიქტებში წარმოებული სადაზვერვო ოპერაციები ხასიათდება სპეციფიკური ასპექტებით, რომლებიც იძლევიან სტიმულს: შემდგომო ახალი კონცეფციების

შემუშავებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვაში შეიარაღებულ ძალებში სამხედრო აღმშენებლობის პროცესის სწორად წარმართვაში. დღეისათვის ცნობილია, რომ ყველა თანასწორ პირობებში ოპერაციის დასასრული განისაზღვრება არა იმდენად ტრადიციული ძალებისა და საშუალებების (დივიზია, ავიაცია, არტილერია და ა.შ.) მაჩვენებლების შეფარდებით, არამედ მართვის სისტემების, დაზვერვის, რადიოელექტრონული ბრძოლის და ჩვეულებრივი დაზიანებების საშუალებების შესაძლებლობებით.

კ.ფ. კლაუზევიცის გამოთქმა „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება, მაგრამ სხვა საშუალებებით", დღესაც რჩება აქტუალურ საკითხად მსოფლიო პოლიტიკაში.

ცივი ომის დასრულების და დედამიწის ყველა პროგრესული სახელმწიფოების მიერ მშვიდობის ჰეგემონიის გამოცხადების მიუხედავად, მსოფლიოში მაინც არსებობენ ძალები, რომლებიც საკმაოდ ოსტატურად (დიდი „მეგობრების" მხარდაჭერით) ახერხებენ მზაკვრულ გეგმების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ერთა შორის უთანხმოების გაღვივებას, მის შენარჩუნებას და საჭიროების შემთხვევაში სტიქიურად აფეთქებას. მსოფლიოში აშკარაა, დაუფარავი სეპარატიზმის მხარდაჭერა და ეროვნულ მოძრაობასთან დაპირისპირება. ექსტრემისტული ორგანიზაციების აქტიურმა მოძრაობამ ცენტრალური ევროპის წამყვან ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთში არსებულმა რეგიონალურმა პრობლემებმა, მსოფლიო ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებამ, აფრიკის კონტინენტზე არსებულმა ვითარებამ შექმნა

ლოკალური ომების, რეგიონალური და შეიარაღებული კომფლიქტების მთელი სპექტრი. ეს კი გვაძლევს იმის შესაძლებლობას ვაღიაროთ, რომ მსოფლიომ XXI- ე საუკუნეში შეაბიჯა როგორც ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების აქტიურ ფაზაში მყოფმა.

საქართველოში არსებული მდგომარეობა, განსაკუთრებით აქტუალურს ხდის აღნიშნული საკითხის საფუძვლიან შესწავლას და მის გამოყენებას.

ჩემს მიერ მოკვლეული მასალები ატარებენ სუფთა სამხედრო ინფორმაციას, თუმცა მიმაჩნია, რომ ის უნივერსალურია და მისი გამოყენება სხვა დარგებშიც შესაძლებელია.

პატივისცემით
თელავის, ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების კავშირის თანადამფუძნებელი ა. ტალიური
17,10,2011 წელი

დღეისათვის მიმდინარე მოვლენების გასაანალიზებლად კარგი იქნება თუ მოვიშველიებთ ჩვენს წარსულს და შევეცდებით შევხედოთ მათ სხვა თვალით. მოვლენებს, რომელშიც მისდაუნებურად ჩაება საქართველო აქვს რამდენიმე ფაქტორი: პირველი კონფლიქტის დასაწყისი საქართველოსთვის არასასურველ დროს და მოულოდნელობას წარმოადგენდა. მეორე - პროვოკაციების ფორმა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) ტერიტორიებზე არ ატარებდა სპონტანურ ხასიათს. ისინი გამოირჩეოდნენ, როგორც კარგად ორგანიზებული და

დროში გათვლილი გეგმები, რომლებიც მოიცავდნენ პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებს. ინიციატივა იყო სეპარატისტების მხარეს. ჩვენ აღმვჩნდით ერთი ნაბიჯით უკან, ხოლო ინიციატივამ თავისთავად მისცა შესაძლებლობა სეპარატისტებს შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიიდან მოხალისეების/დაქირავებულების მობილიზება, მომზადება და დისლოცირება აღნიშნულ რეგიონებში. შემდეგი ინსტრუქტორ-პროფესიონალების მიერ პირადი შემადგენლობის მომზადება ინდივიდუალურ თუ ქვედანაყოფების დონეზე (ეს გამოცდილება მათ შეძენილი ჰქონდათ ლოკალურ ომებში, რომელიც მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. კერძოდ, ინდოჩინეთში, ავღანეთში, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ ამერიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში); მესამე კონფლიქტის მსვლელობის პროცესში დაფიქსირებულია არაერთი ტაქტიკურად სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ბრძოლების თუ ოპერაციების მაგალითები. კერძოდ, ძალებისა და საშუალებების კონცენტრაცია საჭირო მიმართულებით, ქვედანაყოფების, ჯარების სახეობებისა და გვარეობების გამოყენება, ერთობლივ ჩანაფიქრში მოულოდნელობების ეფექტები (დესანტის გადასხმა) და სხვა. აღსანიშნავია, აგრეთვე იმ პროპაგანდის ხარისხი და მასშტაბი, რომელიც მიმდინარეობდა მსოფლიო პოლიტიკურ წრეებსა თუ მასმედიის საშუსლებებში სეპარატისტების მხარდასაჭერად. ეს ყველაფერი გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ სეპარატისტების მიერ განხორციელებული იყო კარგად

ორგანიზებული კონფლიქტი, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო კომპონენტში ანუ ლოკალური ომი.

განვიხილოთ, რა შესაძლებლობები გაგვაჩნდა და როგორ იქნა ისინი გამოყენებული. ინიციატივის არქონა გვაიძულებდა მიმდინარე პროცესების მიმართ სპონტანურად და გარკვეულწილად, არაადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო სფეროებში. ვითარებას ართულებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველო ეკონომიკურად და ფინანსურად კვლავ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირთან, ანუ რუსეთთან. ამ შემთხვევაში, უფრო კონკრეტული რომ ვიყო, მიმდინარეობდა სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა-ფორმირება, რამაც გამოავლინა კატასტროფული საკადრო დეფიციტი ბევრ სფეროში და განსაკუთრებით, იმდროინდელ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. არ მომხდარა პროფესიული კადრის მოზიდვა და მათი სათანადო დასაქმება კვალიფიკაციის მიხედვით, თანამდებობებზე ინიშნებოდნენ არაპროფესიონალი, საეჭვო რეპუტაციის ადამიანები, რომლებსაც ზედაპირული წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმ საქმიანობაზე რითაც იყვნენ დაკავებულები, თანაც ეს ხდებოდა საომარი მოქმედებების დროს. ამით სამხედრო პროფესიული კადრი, ქვეყნის სამხედრო ინტელექტუალური პოტენციალი პრაქტიკულად იგნორირებული იყო.

სახელმწიფომ ვერ შეძლო ფართომასშტაბიანი მობილიზაციის ჩატარება და იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ყველა რესურსის გამოყენებას კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ან მისი

დაწყების შემთხვევაში, ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებას როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, ასევე სამხედრო სფეროში. სამხედრო კომისარიატებმა ვერ განახორციელეს ქვეყანაში არსებული კადრის მობილიზება შეიარაღებულ ძალებში, სათანადო კვალიფიკაციის გამოცდილებისა და განათლების მიხედვით. სავსებით გაუგებარია, რატომ და როგორ ხდებოდნენ მოქალაქეები/მოხალისეები კონფლიქტურ რეგიონებში და რატომ ხდებოდა მათი ჩარიცხვა სამხედრო ნაწილებში სამხედრო კომისარიატების გვერდის ავლით. შეიარაღებულ ძალებში სამეთაურო, საშტაბო, სამხედრო ნაწილების მეთაურების, ანუ მართვის ძალიან დაბალი დონე და მათი უუნარობა გადაწყვეტილების მიღებასა თუ მის აღსრულებაში. მიმდინარეობდა სტრატეგიული და ტაქტიკური მოთხოვნების სრული იგნორირება, რაც გამოიხატებოდა გაურკვეველი, უსაფუძვლო გადაწყვეტილებების მიღებაში ყველანაირი შეფასების, ჩანაფიქრისა და გადაწყვეტილებების გარეშე. არ ხორციელდებოდა საშტაბო საქმიანობა. ამდენად, მსჯელობა კონფლიქტის დროს დაგეგმილ და განხორციელებულ ოპერაციებზე და განსაკუთრებით, მის შემდგომ პერიოდებში უპასუხისმგებლო და მტკნარი სიცრუეა.

ჯარების სახეობებისა და გვარეობების შიგნით არსებობდა სპეციალისტების კატასტროფული დეფიციტი, აგრეთვე მათი არასწორი, არაორგანიზებული გამოყენება საბრძოლო მოქმედებების დროს. პირადი შემადგენლობის დაბალი ინდივიდუალური მომზადება, არასათანადო აღჭურვა საბრძოლო და ბრძოლის უზრუნველყოფის

საშუალებებით და მისი არაჯეროვანი გამოყენება. ინფორმაციის გაცვლის სისტემა ზემოდან ქვემოთ და პირიქით, არ იყო ორგანიზებული. ამიტომ, პირადი შემადგენლობა იმყოფებოდა მუდმივ საინფორმაციო ვაკუუმშიო, რაც თავისთავად სერიოზულ უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათ საბრძოლო და მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

კონფლიქტის პროცესში არ იყო გათვალისწინებული წლის პერიოდები, კლიმატური პირობები, აგრეთვე ბრძოლების ტაქტიკა განსაკუთრებულ შემთხვევებში (მთა, ტყე, ღამე და ა.შ.) საბრძოლო მოქმედებების თეატრის თავისებურებები. ბრძოლები მიმდინარეობდა ძირითადად დასახლებულ პუნქტებში ყველანაირი საბრძოლო თუ ზურგის უზრუნველყოფით, განსაკუთრებით საინჟინრო უზრუნველყოფის გარეშე.

მასმედიის საქმიანობა კონფლიქტის მსვლელობის პროცესში უპრეცედენტოა თავისი დარღვევებით. პირველ ეტაპზე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეთერში გასული ინფორმაციები მიმართული იყო სეპარატისტების დეზინფორმაციის მიზნით, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს კიდევ ერთი გაუგონარი დარღვევა იყო და ამ ფონზე მეხსიერებაში ჩამრჩა „კოსტაიასა“ და დუბაიში მოგზაურობის სარეკლამო რგოლების შინაარსი, რაც დამატებით გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ვერ ითავისებდა მის წინაშე არსებულ პრობლემებს და მასზე ვერ ახორციელებდა ადეკვატურ რეაგირებას.

დააკვირდით: შეგვეძლო თუ არა კონფლიქტის თავიდან აცილება? მინდა გავიხსენო ისტორიული ფაქტი, როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი დააყენეს ფაქტის წინაშე თუ საქართველო გააგრძელებდა სვლას დამოუკიდებლობისაკენ, პრობლემები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გარდაუვალი იქნებოდა. ფაქტია, გეგმები არსებობდა გაცილებით ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირს დაემუქრებოდა დაშლის საშიშროება. საქართველოს მხარემ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ეს საფრთხე. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო და იმ გამოცდილების არქონის გამო, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოსთვის. ეს ფაქტორები/საფრთხეები არ იყო გაანალიზებული და მცდარი გადაწყვეტილებების მეშვეობით აღმოვჩნდით ჩართულები ამ კონფლიქტში.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ შეიარაღებულ კონფლიქტებზე დღემდე არ არის ჩატარებული სათანადო კომპეტენტური მოკლევა, არ არსებობს სამხედრო მოვლენების ღრმა საფუძლიანი ანალიზი. ეს თავისთავად საყურადღებოა და ბადებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ საქართველოში შესაძლოა არსებობდნენ და დღემდე არსებობენ ძალები, რომლებსაც არ აწყობთ ქვეყნის ისტორიის ამ ეტაპის ობიექტურად შესწავლა და გაშუქება, არადა ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ამ პერიოდში, წარმოადგენს ქვეყნის კუთვნილებას, სოლო დასკვნამ ასახვა უნდა ჰპოვოს სახელმწიფოს სათანადო ინსტიტუტების საქმიანობაში. აგრეთვე ქვეყნის დაცვის

დოქტრინის, საბრძოლო მომზადების პროგრამებისა და სამხედრო თემატიკის შესაბამის სახელმძღვანელოებებში, კლასიკური სამხედრო განათლების გარეშეც, ადვილი მისახვედრია თუ როგორი იქნებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალები 2008 წლის მოვლენების დროს ზემოთ მოყვანილი საკითხის გათვალისწინებით. თუმცა ეს ცალკე თემაა და ამას შემდგომში დავუბრუნდებით.

ვიმეორებთ, დადებითად მინდა შევაფასო ის სულისკვეთება და პატრიოტიზმი, რომელიც ახასიათებს ჩვენს ერს და მთლიანად ქვეყნის მოსახლეობას. ძალინ კარგად მახსოვს 17-18 წლის ახალგაზრდები, მოხალისეები, ადამიანები, რომლებიც ძალიან შორს იყვნენ სამხედრო საქმიანობასთან, მაგრამ თავიანთი ვაჟკაცობით ნამდვილ გმირობებს ჩადიოდნენ. მინდა მოვიგონო ყველა გარდაცვლილი და აღვნიშნო, რომ მათი დაწყებული საქმე აუცილებლად მიყვანილ უნდა იქნას ლოგიკურ დასასრულამდე. მე სამხედრო ვარ, სხვა პრინციპები გამაჩნია, თუმცა, ფაქტია, დღეისათვის დიპლომატიურ ფორმას ალტერნატივა არ გააჩნია, მხოლოდ ამ ფორმითაა შესაძლებელი ნდობის აღდგენა. ყველა ვთანხმდებით ერთ ფაქტზე, აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც, ამ ომს გამარჯვებული ვერ ეყოლება.

2008 წლამდე მიმაჩნდა, რომ მიმდინარე პროცესების ფონზე სახალხო დიპლომატია, ეკონომიკური და კულტურული სფეროების აღდგენა, საომარი რიტორიკის ამოღება პოლიტიკოსების ლექსიკონიდან, ამ ტერიტორიების დაბრუნება მშვიდობიანი მეთოდებით, შესაძლებელი იყო. თუმცა 2008 წლის შემდეგ, პრაქტიკულად, ამის იმედი

დამეკარგა. საუბედუროდ, პერსპექტივა ამ ტერიტორიების დაბრუნებისა ამ ეტაპზე, ამ ისტორიულ მონაკვეთში, შეუძლებლად მიმაჩნია. ერთი მხრივ, გვაქვს აღიარებული სახელმწიფოები ჩვენ ტერიტორიაზე, რუსეთის მხრიდან ამის უარყოფა შეუძლებელია, ჩვენი მხარიდან კი ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაბედავს ამაზე ლეგიტიმაციის მიცემას. რა იქნება 10-30 ან 50 წლის შემდეგ, არ ვიცით, მაგრამ იმედი გვრჩება.

ორდენოსანი მებრძოლი მეთაური

აფხაზეთში გმირულად დაღუპული უფროსი ლეიტენანტი ზაქარია ახოიშვილი (დაბადებული 1960წ. 18 ივლისს). იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების კადრის ოფიცერი. მსახურობდა 1992 წლის 20 მარტიდან 1993 წლის 9 ივლისამდე 1-ლი საარმიო კორპუსის სამხედრო ნაწილში N55058-ში ასეულის მეთაურის მოადგილედ. მსახურობის დროს გამოირჩეოდა, როგორც დისციპლინირებული, მამაცი, შრომის მოყვარე, თავის საქმის მოყვარე, თავისი ქვეყნის მოყვარული ოფიცერი.

თავიდან მონაწილეობდა სამაჩაბლოს საბრძოლო მოქმედებაში ზემო და ქვემო ოქონის აღებას და ხელმძღვანელობდა ყველაზე რთულ პირველ პიკეტს. იგი ასევე იყო დესანტის მონაწილე ლესელიძის, განთიადის, გაგრის გასათავისუფლებლად. შემდეგ იბრძოდა გუმისთან, წითელი ჯვრის აღებისას მძიმედ დაიჭრა და ევაკუირებული იქნა ნაწილის პირველადი დისლოკაციის ადგილზე, სამკურნალოდ. სამხედრო აუცილებლობიდან გამომდინარე კვლავ აფხაზეთშია და სწორედ ამ მობილიზაციის შემდეგ დაიღუპა აფხაზეთში ბრძოლების დროს დანიშნული იყო ატარა-არმიანსკის კომენდანტად. მონაწილეობდა აგრეთვე სოფელ შრომის განთავისუფლების ბრძოლებში, და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ტამიშთან ჩატარებული ოპერაციის დროს 1993 წლის 9 ივლისს. დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

დაამთავრა თელავის საამშენებლო ტექნიკუმი. იყო ძალიან მოსიყვარულე, უყვარდა ლიტერატურა, ჭადრაკი,

გატაცებული იყო სპორტით. დაჯილდოებული იყო მინი-ფესბურთში IIადგილის დაკავებისათვის. ფრენბურთში I და II ადგილის დაკავებისათვის IV რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის. ბლიერ უყვარდა თავისი ქალაქი და საქართველო.

ქ. თელავი, ზაქრო ახოიშვილის ქ. N16

ორშაბათი 2 აპრილი 2018წ.



ნოდარ ბეგიაშვილი. აფხაზეთის ომში დაიღუპა 1993 წლის 10 ივლისს

დღეს 14 ივლისია, 2018 წლისა

გასულია აფხაზეთის ომიდან ულმობელი მეოთხედი საუკუნე, მოკვდავი ადამიანის სიცოცხლის ძირითადი და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი წლები შეუჩერებელმა მოძრაობამ თან, ისტორიის წყვდიადში გაიყოლა სამუდამოდ ამოუხსნელი უამრავი ტკივილი, ჩემი სამშობლოს საქართველოს, ჩემი დიდებული ამაყი ქართველი ერის სულის ღელვა და წუხილი. არ განელებულა აფხაზეთის ომის ნაღვერდალი.

იწურებოდა, ილეოდა კაცობრიობის სისხლით გაუმაძღარი XX-ე საუკუნე, შფოთავდა სამყარო ამერიკის წაქეზებით. სულგაყიდული აგენტები შიგნიდან ანგრევდნენ სამყაროს, უიშვიათეს ქმნილებას რუსეთში საბჭოთა კავშირს, დედამიწის ერთი მეექვსედის მფლობელს და უბრალო ადამიანთა მილიონების ქომაგს. ანგრევდნენ „დემოკრატიის“ თვალთმაქცური მოშველიებით იქ, რუსეთში, ქართველები გატაცებით მხნეობდნენ, აქ ჩვენთან!

მეტი გამძაფრებით ბორგავდა საქართველო მდარე პოლიტიკოსებისა და ემოციურად გადაქანცული „ბრძენი მოლვაწეების“ მოუქნელი მისწრაფებების გამო. ბევრი, ძალიან ბევრი საიდუმლო იმალებოდა 1991-1993 წლების აფხაზეთის მოვლენებში. იყო კი საჭირო საომარი მოქმედება?! რატომ არ გამოჩნდა ვინმე გონიერი ვინც შეაჩერებდა პირველი პრეზიდენტის აშკარა მცდარ, მიუტევებელ მისწრაფებებს?! მისწრაფებებს, რომლებმაც გამოუსწორებელი სისხლიანი კვალი დატოვა და საქართველოს ჩამოაცილა აფხაზეთი, სოხუმი! ვის ადამიანურ სინდისზეა ათასობით ქართველი

თავდადებულის სისხლი?! ვინ აგებს პასუხს ისტორიის წინაშე აფხაზეთის მოვლენებზე?! ვინ უფრო ერთგული, ნამდვილი პატრიოტი იყო პრეზიდენტი თუ უბრალო გულანთებული ქართველი ჭაბუკი?!

აი, მრავალთაგან ერთი მაგალითი.

დააკვირდით:

ბობოქრობდა აფხაზეთში ქართველი „ბრძენი" ხელისუფლების პრეზიდენტისა და მთავარსარდლობის „გენიალური" გადაწყვეტილებით გაჩაღებული ძმათამკვლელი ომის ქარიშხალი. რაც მეტად მძიმე ტვირთი აღმოჩნდა საქართველოს მაშინდელი ახალგაზრდებისთვის. განსხვავებით მხედართუფროსებისა და მაღალჩინოსანთა საქციელისაგან ისინი ალალი სიყვარულით გამოირჩეოდნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ საქართველოსთვის.

ერთი ასეთი გამორჩეულის თავგადასავალი სჭარბობს მრავალ პოლიტიკოს-მოხელეთა ფარისველურ თვალთმაქცობას 1991-1993 წლების დაუვიწყარ მოვლენებში. მაშინ აფხაზეთის მიწაზე ბობოქრობა და სისხლიანი დაპირისპირება, სადაც თავისი უანგარო ყმაწვილური გატაცებით იბრძოდა თელავის რაიონის სოფელ სანიორის მკვიდრი ნოდარ რობერტის ძე ბეგიაშვილი.

ნოდარი დაიბადა 1968 წლის 24 ნოემბერს. სოფელ სანიორეში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. გაიწვიეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სამსახურს იხდიდა ბელორუსიაში ქ. ლეპელში, ხელმძღვანელობდა სპორტულ კომპლექსს.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა საქართველოში უბიძგეს და ნოდარი გამოიქცა ჯარიდან. თბილისში ის

დაუკავშირდა და პირადად შეხვდა კოკა გაწერელიას, რომელიც აგროვებდა მასალებს ქართული ეროვნული გვარდიისათვის. ასე მოხვდა აფხაზეთის ომში. სოხუმის დაცემამდე იბრძოდა ფრონტზე. სოფელ შრომის აღების დროს დაჭრილი მებრძოლი მეგობრების გადარჩენისათვის თავგანწირული ახალგაზრდა იმსხვერპლა მტრის ტყვიამ 1993 წლის 10 ივლისს, ჯარისკაცული პატივით დაკრძალული ნოდარი განისვენებს მშობლიური სოფლის სასაფლაოზე. დაიკრძალა 1993 წლის 15 ივლისს.

დიდების ორდენის სამივე ხარისხის მფლობელი
გვარდიის სერჟანტი
გიორგი სიკოს ძე მტირალიშვილი

მეორე მსოფლიო ომში (1939-1945) მიმდინარე დიდი სამამულო ომის (1941-1945) მსვლელობისას სრულიად ახალგაზრდას 18 წელი ფრონტზე შეუსრულდა.

გიორგი მტირალიშვილი დაიბადა თელავის რაიონის სოფელ ნასამხრალში 1923 წლის 12 სექტემბერს.

1942 წლის მარტის თვიდან ის საბჭოთა არმიის რიგებშია, პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო მეორე უკრაინის საველე ფრონტზე ჩრდილოეთ კავკასიაში. აქტიურად მონაწილეობდა კურსკის ბრძოლებში, ფორსირებული აქვს მდ. დნეპრი, გაანთავისუფლა უკრაინა, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, სკკპ წევრი 1942 წლიდან.

გვარდიის სერჟანტი გიორგი მტირალიშვილი 120მმ ნაღმტყორცნის ნიჭიერი მემიზნეა 313 გვარდიულ მსროლელთა პოლკში. საბრძოლო თავგანწირვა გამოავლინა რამდენჯერმე, რაც აღინიშნა უმაღლესი მთავარსარდლობის ჯილდოებით:

1. 1944 წლის ბრძოლებში სოფელ ოვსიანიკოვკასთან მხარს უჭერდა პოლკის შეტევით ოპერაციას, ზუსტი დარტყმებით გაანადგურა მტრის ჯავშანტრანსპორტიორი, მწყობრიდან გამოიყვანა ტყვიამფრქვევი და ათეულობით ჯარისკაცი, აიძულა გერმანელები დაეტოვებინათ პოზიციები. მეთაურის ბრძანებით 1944 წლის 15 თებერვალს დაჯილდოვდა დიდების IIIხარისხის ორდენით.
2. იმავე პოლკის შემადგენლობაში ქ. ტიმოშოარის სამხრეთით, 1944 წლის სექტემბერში, ნაღმტყორცნის ზუსტი ცეცხლით გაანადგურა ორი სატყვიამფრქვევი საცეცხლე წერტი, ერთი ზარბაზანი, ფეხოსანთა ოცეული. 1944 წლის 13 ოქტომბერს ქ.ნად-ბაეშთან ბრძოლებში გაანადგურა სამი (3) საცეცხლე წერტილი, 53 არმიის სარდლის ბრძანებით იგი დაჯილდოვდა დიდების IIხარისხის ორდენით.
3. დასახლებულ პუნქტებში კლასტავე, ბელუი, ბრინჩოვი, 1945 წლის 28 თებერტვალს გაანადგურა ჯავშანტრანსპორტიორი, 4 ტყვიამფრქვევი, ათეულზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი. ქ. ბან-შტიავნიცასთან 1945 წლის 6 მარტს მოიგერია მტრის კონტრშეტევა, გამოიტანა

ნაღმტყორცნი ღია პოზიციაზე და გაანადგურა მტრის 2 ტყვიამფრქვევი, ნაღმტყორცნი და ათეული ჯარის კაცი.

1946 წლის 15 მაისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის დაჯილდოვდა დიდების I ხარისხის ორდენით. ასე გახდა გიორგი მტირალიშვილი სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერი, რაც იშვიათობაა საომარ ისტორიაში.

1947 წელს დემობილიზაციით დაბრუნდა სამშობლოში, ცხოვრობდა თელავის რაიონის სოფელ კისისხევში. დაამთავრა საგურამოს სოფლის მეურნეობის ტექნიკუმი, მუშაობდა საბჭოს განყოფილებაში.

თელავი კურდღელაური, 31,05,2018წ.

ქართველები ავღანეთში

ავღანეთი - მთაგორიანი ქვეყანა მდებარეობს ჰიმალაის, ჰინდუკუშისა და პამირის მთიანეთში. მისი ფართობია 655 ათასი კვ. კმ. მისი სამი მეოთხედი მთიანია, საზღვრების სიგრძე 5400კმ. ავღანეთში ცხოვრობს 18,3 მილიონი ადამიანი. ნახევარზე მეტი მკვიდრი ავღანელია. აქ

ცხოვრობენ ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები, ბელუჯები, კურისტანები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები - წერს ი.ფ. იზგარშევი - „ინტერნეტნაციონალისტთა მოვალეობის მიხედვით“. მოსკოვი 1981 „ავღანეთის მეგობრები და მტრები“ წერილში გადმოცემულია ქაბულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება.

რ. მურადოვი ბროშურაში „ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა“, მოსკოვი, 1982 წელი, გადმოგვცემს ავღანეთის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას 1978 წლის აპრილის რევოლუციის წინ და შემდეგ ეხება რევოლუციის დასაწყის ეტაპზე, საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციური ძალების აგრესიას რევოლუციის წინააღმდეგ. შემდეგ რევოლუციის განმტკიცებასა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გააქტიურებას.

მარატ სირტლანოვი წიგნში - „ავღანური მერიდიანი“ (სამხედრო ჟურბალისტის ბლოკნოტიდან) თბილისი, 1987 - გადმოგვცემს ავღანეთში მებრძოლი ქართველების შესახებ - აბაშიძე ზურაბი, ლევან ჭანტურია, კოტე არევაძე, რეზო სუხიშვილი, გიორგი ფარადაშვილი, ლ. ტაბიძე, ი. შავარდნაძე, ლეიტენანტი გელა, გელა სულაბერიძე, ვ ტაბიძე, შ. ბახტაძე, გ. ციკარიძე, ა. ქუთათელაძე.

ბონდო მაცაბერიძე წიგნში - სადაურსა სად წაიყვან“ (მომზადდა ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის დაკვეთით) გვაცნობს სამხედროთა წერილების სულისკვეთებას. ესენი მხოლოდ ნაწილია ავღანეთში საქართველოდან 6000-მდე კაცმა იმსახურა, დაიღუპა 128, მათგან თელავის მკვიდრებზე მივაქცევთ ძირითად ყურადღებას.

ჯერ კიდევ შეუსწავლელია თელაველ ავღანელთა საომარი თავგადასავალი. თელაველი იყო დიდი წინაპარი მეფე ერეკლე მეორე, რომელიც თავისი ამალით თან ახლდა სპარსეთის შაჰს ნადირს, ავღანეთში ლაშქრობისას ერთ წერილში ერეკლე II იტყობინებოდა: სეობაში ცხენ-კაცი დაგუბდის, შევწუსდით, მე ცხენიდან დავეცემოდი თუ ჯიმშერი არ ამომდგომოდა“-ო.

ეს იყო შორეულ წარსულში, ჩვენ ვეძებთ ჩვენი დროისას!


საბჭოთა ჯარისკაცების თაობა

ერთი მათგანი, თელაველი ავღანელი გიორგი რობერტის ძე ბეგიაშვილი იხსენებს იქ, ავღანეთში ჯერ კიდევ 1982 წელს სხვა ქართველებთან ერთად სამხედრო სამსახურის ჯარისკაც მეგობრებს, მათს საომარ თავგადასავლებს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მაშინდელი, XX-ე საუკუნის 80-იანი ქლების საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახური, სხვა ეროვნების ყმაწვილებთან ერთად.

ავღანეთი, ქ. ყანდაღარი ერთ-ერთი სამხედრო შეიარაღებული ოპერაციის დროს ბელორისმა ნიკოლაი ანდრიას ძე ჩეპიკმა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმით აიფეთქა თავი და ასე გადაარჩინა მებრძოლი მეგობრები, მაშინ სრულიად ყმაწვილები.

ნიკოლაი ანდრიას ძე ჩეპიკს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და 1982 წელსვე აღუმართეს სანიმუშო ძეგლი მშობლიურ სოფელში ბელორუსიის ქ. ბორისოვოსთან ახლოს.



ნ.ა. ჩეპიკის საფლავთან არა ერთხელ შეკრებილან მისი მებრძოლი ქართველი მეგობრები: ფერაძე გიორგი, ბეგიაშვილი გიორგი, ჩაჩანიძე ემზარი, ჯუღელი გურამი, სურათზე აღბეჭდილია მათი ერთ-ერთი შეხვედრა. მებრძოლი თავდადებული მეგობრის საფლავთან.

ეს დაუვიწყარი თავგადასავალი ისტორიის კუთვნილება გახდა და კიდევ რამდენი დარჩა უცნობი თელაველი ავღანელების წარსულიდან, რამდენი?

აი, რას გადმოგვცემს თელაველ ვეტერანთა ყოფილი ხელმძღვანელი მაიორი ალექსანდრე ციბაძე.



ციბაძე ალექსანდრე მიხელის ძე დავიბადე ქ. ყვარელში 1930წ. 17 დეკემბერს, მუშის ოჯახში. 1946 წელში სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კახეთში: თელავში, ნაფარეულში, ყვარელში რუმინეთიდან ჩამოფრინდა ბომბდამშენების სამი პოლკი (დივიზია). ოფიცრები (მფრინავები) ცხოვრობდნენ კერძო დაქირავებულ სახლებში, ჩვენ ბავშვებს ძალიან მოგვწონდა ოფიცრების ცხოვრება. ხშირად უკანაც კი დავდევდით. 1949 წლის აგვისტოში ღამის 3 საათზე მოვიდა დიდი ქარიშხლიანი წვიმა, ელვა-ქუხილი, თითქოს მთა და ბარი დაეჯახა ერთმანეთს. მოხდა დიდი უბედურება.

ყვარლის მთებიდან (შავი კლდიდან) მოწყდა უზარმაზარი მეწყერი და წალეკა სამხედრო დასახლება, რომელიც მდებარეობს მთების პირას. ამ მეწყერმა დიდი ქარიშხლის დროს დაახრჩო 63 ქალი, 3 ბავშვი, ერთი მამაკაცი. ამ მდგომარეობის შემდეგ მე მაინც გადავწყვიტე, რომ მესწავლა სამხედრო სკოლაში, რომელიც იყო ქ. თბილისში. ეს სკოლა მდებარეობდა პლეხანოვის N155, რომლის სახელწოდება იყო

,,საბჭოთა კავშირის მფრინავი გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის". მიმიღეს 10 კლასში. სკოლა დავამთავრე 1951 წელს., ამავე წელს გამაგზავნეს უკრაინის ქ. ჩერნიგორში, სადაც ახალი გახსნილი იყო მფრინავების სასწავლებელი. ასწავლიდნენ გამანადგურებელზე ფრენას. ამ სასწავლებელში დავიწყე ფრენა იაკ-18 კონსტრუქტორი. დავამთავრეთ თუ არა 1953 წლის დასაწყისში გადაგვიყვანეს ყირგიზეთში ქ. ფრუნზეში, ერთი ესკადრილია. სწავლა და ფრენა განვაგრძეთ იაკ-11, რომელიც დავამთავრეთ 1953 წლის ბოლოს, სწავლა მიმდინარეობდა ყაზახეთის სემიჰალატინსკის ოლქის საველე აეროდრომზე გეორგიევსკის რაიონში. მე ფრენის შესწავლა ვეღარ გავაგრძელე ისე, როგორც სამედიცინო კომისიამ მცნო არაჯანმრთელად.

1954 წელს გადამიყვანეს ქ. აჩინსკის ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1955 წელს. სამხედრო სამსახური გავაგრძელე საქართველოში გარნიზონ ვაზიანში 1955 წელს. 1961 წელს გადამიყვანეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქ. შამხორში. 1963 წელს გადამიყვანეს ქ. თელავში სადაც ვიმსახურე 1982 წლამდე. 1981-1982 წლებში ვიმსახურე ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

შტაბის უფროსის თანამდებობაზე. მონაწილეობა მივიღე 123 საბრძოლო გაფრენაში, დავფრინავდით ისეთ რთულ პროვინციებში მთაგორიან რელიეფით როგორიც არის პული-ხუმრია, მეიმანე, მაზარი-შარიფი, კანდაგარი, ქ. ქაბული, ფაიზაბადი. საბჭოთა კავშირის ქალაქებში ტაშკენტი, დუშანბე, კაკაითი, დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ყოველი გაფრენა, რადგანაც მუჯახედები მთებში და ხეობებში იყვნენ განლაგებულნი და თანაც მათ ამერიკული იარაღი ჰქონდათ, ისეთი, როგორიც არის „სტრინგერი“. მქონდა რამდენიმე ავარიული შემთხვევა, შვეულმფრენები აეროდრომზე სხდებოდნენ დაცხრილულები. ჩემი ფრენის დროს კუნდუზი მაიმან, საფრენი დრო 2 საათი და 15წთ.

ეს მოხდა 1981 წლის 23 ნოემბერს, მთებში დამალულმა ბანდიტებმა დააზიანეს ტყვიამფრქვევის ცეცხლით შვეულმფრენის საწვავის ავზი, იღვრებოდა დიდი რაოდენობით ნავთი, რამაც გამოიწვია, საწვავის უკმარისობა, დაჯდომა მთებში არ შეიძლება. ქარიშხალი, რომლის სიჩქარე 120 კმ.საათში იყო თან მოჰქონდა ყარა-ყუმის უდაბნოს ქვიშა, რომლის სიმაღლე აღწევდა 4კმ. ასეთი ვითარება ჩრდილოეთ ავღანეთში იცის შემოდგომით და გაზაფხულზე.

ჩვენს შემთხვევაში ჩვენი სიმაღლე 3500 იყო. დაბლა არაფერი ჩანდა. მთელმა მსოფლიომ გაიგო ჩვენი ამბავი. საშველი არსაიდან იყო. გვიბრძანეს საბჭოთა კავშირის მხარეს გვეფრინა.

ქ. მაზარი-შარფის ჩრდილოეთით დაახლოებით 250კმ. მანძილზე ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ფანჯრიდან

დაინახა მზის შუქი, მოახსენა შვეულმფრენის მეთაურს და დაიწყო ამ მზის შუქის ძებნა. იპოვეს და შვეულმფრენი დაეშვა. ეს ადგილი იყო უდაბნო და როგორ მოხდა ბარხანებს შუა დაჯდომა გასაკვირია. ბარხანის მწვერვალის და ფრთის შორის 10-15 სანტიმეტრი იყო. იმ დღის 4 საათი და ღამე იქ გავათენეთ ისე როგორც საწვავი 250 კგ. იყო.

4-ჯერ იყო თავდასხმა ღამის პერიოდში, ოთხჯერვე მოვიგერიეთ. დილით 4 საათზე მოფრინდნენ შვეულმფრენები და მოგვიტანეს საწვავი, საკვები. დღის 15 საათზე გადავფრინდით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აეროდრომ კაკაითში. ეკიპაჟის წევრები დაჯილდოებულები იყვნენ სხვადასხვა ორდენებით და მეც, როგორც შტაბის უფროსი და ფრენის მონაწილე, „წითელი ვარსკვლავის ორდენით“.

1982 წლიდან ვარ პენსიონერი. 1992 წლიდან 2007 წლამდე ვიმსახურე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ქ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

ჩემი განათლება: 1955 წელს სამხედრო ავიაციის ტექნიკოსი და სამოქალაქო ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტი 1971წ.

ქ. თელავი 2018 წ.



დაჯილდოება

1. 1982 წლის 6 მაისს ციბაძე ალექსანდრე მიხეილის ძე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით დაჯილდოვდა ,,წითელი ვარსკვლავის“ ორდენით N3745534.
2. სამხე დრო საჰაერო ძალების მთავარსარდლის ბრძანებით N0107 1984 წლის 28 თებერვალს დაჯილდოვდა მედლით სსრ შეიარაღებული ძალების ვეტერანი ,,ციბაძე ალექსანდრე მიხეილის ძე“.
3. 1989 წელი, 7 მაისი. ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად ციბაძე ალექსანდრე მიხეილის ძე დაჯილდოვდა მედლით ,,სამხედრო ინტერნაციონალის მადლიერი ავღანელი ხალხისაგან“.

სიგელები:

1. 1971 წელი, 9 მაისი, 78544 ნაწილის უფროსი პოდპოლკოვნიკი შუტოვი
2. 1971 წელი, 21 ივნისი, 78544 ნაწილის უფროსი პოდპოლკოვნიკი შუტოვი
3. 1971 წელი, 8 აგვისტო, 78544 ნაწილის უფროსი პოდპოლკოვნიკი შუტოვი
4. 1980 წელი, 29 მარტი მე-4 ვერტმფრენის ესკადრილია.
5. 1981 წელი, 6 ნოემბერი, 70419 ნაწილის უფროსი პ/პოლკოვნიკი ვარიუხინი
6. 1984 წელი, 28 თებერვალი სამხედრო საჰაერო ძალების მთავარსარდალი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. კუტახოვი წერს:
   ,,პატივცემულო ალექსანდრე მიხეილის ძევ!
   გილოცავთ თქვენ დაჯილდოებას მედლით ,,საბჭოთა შეიარაღებული ძალების ვეტერანი. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში მრავალწლიანი და უმწიკვლო სამსახურისთვის გიცხადებთ მადლობას.
   გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და შრომით მოღვაწეობაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.
   ეს არის სამადლობელი სიგელი მაიორ ალექსანდრე მიხეილის ძე ციბაძეს.
7. 1988 წელი, 28 დეკემბერი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აჯილდოებს ალექსანდრე მიხეილის ძე ციბაძეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით ავღანეთის რესპუბლიკაში გამოჩენილი მამაცობისა და სამხედრო ღირსებისათვის როგორც მეომარი

ინტერნაციონალისტს, მოსკოვი, კრემლი 28 დეკემბერი 1988 წ.

თელაველ ვეტერანთა ერთი ჯგუფი ზუზუმბოს დიდების მემორიალთან. ზუზუმბოდ წოდებული წმინდა ადგილი განეკუთვნება დიდი სამამულო ომის (1941-1945) ფრონტებზე თუ პარტიზანულ ბრძოლებში თავდადებულ მეომართა გმირობისა და მამაცობის უიშვიათეს გამოჩენილი მაგალითების ასახვას.

ვეტერანებმა თავისი შემოქმედებითი შრომით, უანგაროდ, ხალისით აღადგინეს დიდი სტალინის ძეგლი მემორიალის ცენტრში და პატივი მიაგეს ღირსეულთა ხსოვნას.



ვეტერანთა ფიცი

საქართველოს სახალხო მოძრაობა - „სოციალისტური საქართველოსთვის“ დამფუძნებლის ვალერი კვარაცხელიას მიერ წარმოთქმული ერეკლე II -ის ძეგლთან 2016 წლის 4 აგვისტოს, თელავის ვეტერანთა შეკრებაზე. ხელმძღვანელი



ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ციბაძე.

1. გეფიცებით მეფეო უდიდეს პატივს მივაგებთ თქვენს შორსმჭვრეტელურ ბრძნულ მოღვაწეობას ქართველი ერის წინაშე და დავიცავთ მას.
2. გეფიცებით მეფეო თქვენი მაღალი ნიჭიერებით „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ქართველი ერის გადარჩენისათვის განხორციელებული ბრძნული გადაწყვეტილებების შედეგებს მოვუვლით და გადავცემთ თაობებს.
3. გეფიცებით მეფეო - ქართველების, ქართველი ერის, მთლიანად საქართველოს გადარჩენის ერთადერთი სწორი გზა, გადაწყვეტილება იყო და არის მეზობელ დიდ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ჩვენ გავაგრძელებთ თქვენს ნათელ ნაკვალევს.

ა. ციბაძის მრავალსულიანი ოჯახი:

პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ:

1. შვილი - ბესიკი ციბაძე (ომის ვეტერანი - აფხაზეთი, პოლკოვნიკი)
2. მეუღლე ალექსანდრა ციბაძე
3. ალექსანდრე ციბაძე
4. შვილიშვილი ლევან რევაზიშვილი

მეორე რიგში:

1. რძალი ნონა ციბაძე შვილიშვილ მარიამთან
2. შვილიშვილი გიორგი ციბაძე
3. ქალიშვილი ლეილა ციბაძე
4. სიძე ლევან რევაზიშვილი. ოჯახის სრული შემადგენლობა უმაღლესი განათლებით არის წარმოდგენილი .



დღეს შაბათია, 2018 წლის 12 მაისი

თელავის მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციის ვეტერანების, ომისა და შრომის მოღვაწეთა დამსახურების დამადასტურებელი მასალები სოფელ ყარაჯალიდან მოგვაწოდა ამავე სოფლის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა აზიზ აბაზოვმა.

67 წელს გადაცილებული, დინჯი და ენერგიული ა. აბაზოვი თავის ბიოგრაფიულ ცნობარში გადმოგვცემს:

ავტობიოგრაფია



მე, აზიზ შალიკოს ძე აბაზოვი, დავიბადე 1951 წლის 02 ნოემბერს თელავის რ-ის სოფელ გარაჯალაში. მამა შალიკო იბრაგიმ ოღლი აბაზოვი მშრომელი, ალალი გლეხი კაცი იყო. დედა მალაქ აბაზ ყიზი ნასიბოვა - მეოჯახე დისახლისისათვის საჭირო ყველა დადებითი

თვისებით დაჯილდოებული ქალი იყო. იგი ამავე დროს სოფლის მოსახლეობის ადათ-წესების და ფოლკლორის კარგი მცოდნე იყო.

1958 წლის პირველ სექტემბერს მშობლებმა გარაჯალარის საშუალო სკოლის პირველ კლასში მიმიყვანეს. მოსწავლეობის პერიოდში ერთ-ერთი მოწინავე მოსწავლე ვიყავი. 1968 წელს გარაჯალარის საშუალო სკოლის სრული კურსი (ქართულ ენაზე) დავამთავრე.

მოსწავლეობის წლებში მასწავლებლობაზე ვოცნებობდი. ამ ოცნების განხორციელებისათვის 1968 წლის ზაფხულში საბუთები ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში შევიტანე. სამწუხაროდ, ჩემი ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. 1968 წლის შემოდგომაზე აღნიშნულ ინსტიტუტთან გაიხსნა მოსამზადებელი კურსები. შევედი მოსამზადებელ კურსებზე და სათანადოდ მოვემზადე.

1969 წლის ზაფხულში წარმატებულად ჩავაბარე მისაღები გამოცდები და ჩავირიცხე თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის დასწრებული განყოფილების ისტორიის სპეციალობაზე, სტუდენტობის წლებში ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვმონაწილეობდა. 1970-1971 წლებში არჩეული ვიყავი სკკპ ისტორიის და მეცნიერული კომუნიზმის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მამასახლისად.

1973 წელს დავამთავრე აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი. 1973 წლის სექტემბრიდან 1974 წლის ივლისამდე თელავის N52 პროფესიულ-ტექნიკურ

სასწავლებელში საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლად ვმუშაობდი.

1974-1975 წლებში მშობლიური გარაჯალარის სასოფლო კლუბის გამგედ ვმუშაობდი. ამ პერიოდში შევძელი სოფლის შემოქმედებით ნიჭის მქონე ახალგაზრდობის კულტ-მასობრივი ღონისძიებებში ჩართვა, სხვადასხვა თვითმოქმედი წრეების გამოცოცხლება შევძელი.

1975 წლის 15 ოქტომბერს მუშაობა დავიწყე სოფელ გარაჯალარის საშუალო სკოლის აზერბაიჯანული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებლად. 1981 წლიდან პარალელურად ისტორიის გაკვეთილის საათებიც მქონდა.

1985-2010 წლებში ვმუშაობდი სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში. 2010 წლის სექტემბრიდან ისტორიის მასწავლებლად ვმუშაობ.

საქართველოს განათლების სამინისტროს 1983 წლის 30 ივნისის N499 ბრძანებით დაჯილდოებული ვარ „სახალხო განათლების წარჩინებული“-ს სამკერდე ნიშნით (მოწმობა N10116).

1997 წელს საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მომენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორია (სარეგისტრაციო N11-678).

პედაგოგიური მოღვაწეობის პროპცესში მოსწავლეთა ინტელექტუალური დონის ამაღლების, პატრიოტული და ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის მიზნით მრავალი მასობრივი ღონისძიება ჩამიტარებია.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ვეწევი კვლევა-ძიებით და პუბლიცისტურ საქმიანობას. ჩემი კვლევა-ძიებითი საქმიანობის თემატიკას შეადგენს

მშობლიური სოფლის გარაჯალარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ტოპონიმიის, ფოლკლორის, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიული მეგობრობის საკითხების შესწავლა.

გამოქვეყნებული მაქვს შემდეგი ნაშრომები:

2. ტოპონიმ ,,გარაჯალარის შესახებ" გაზეთი ,,გურჯისტანი", N19-20(11.568), O V2003 წელი (ზერბაიჯანულ ენაზე);
3. ,,მძღოლი ლექსებსაც წერს" (სოფლის ხალხური მთქმელი მძღოლის - აბდულ აზიზ სივიევის სამი ლექსის წარდგენა), გაზეთი ,,გურჯისტანი" N29(11.625), 06,08,2004წ. (აზერბაიჯანულ ენაზე);
4. ,,თანასოფლელი ნოვრუზ" (სოფელში კულტსაგანმანათლებლო მუშაობის ნოვატორის პორტრეტი), გაზეთი ,,გიურჯისტანი" N42 (11.638), 12,12,2005წ. (აზერბაიჯანულ ენაზე);
5. ,,გარაჯალარის საშუალო სკოლის ისტორიიდან" წერილი Iგაზეთი ,,გიურჯისტანი" N3(11.647), 28,01,2005წ. (აზერბაიჯანულ ენაზე).
6. ,,გარაჯალარის საშუალო სკოლის ისტორიიდან", წერილი II, გაზეთი ,,გოურჯისტანი" N4(11.648), 04,02,2005წ. (აზერბაიჯანულ ენაზე)
7. ,,ეპიზოდები აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების საბრძოლო მეგობრობის

ისტორიიდან (ქრისტეშობიდან I-VIIს.ს.) წერილი Iგაზეთი ,,გიურჯისტანი“ N14 (11.658), 15,04,2005 (აზერბაიჯანულ ენაზე)

8. ,,ეპიზოდები აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების საბრძოლო მეგობრობის ისტორიიდან“ IX-XI ს.ს., წერილი II, გაზეთი ,,გიურჯისტანი“ N23(11.667). 17,06,2005წ. (აზერბაიჯანულ ენაზე);
9. მონოგრაფიული ნაშრომი ,,გარაჯალარის სკოლის ისტორია 1886-2006წ.წ. 265 გვერდი, ივნისი 2006წ. (ქართულ ენაზე);
10. ,,გამარჯობათ აღალი მასწავლებელო! 87 წლისთავს გილოცავთ! გაზეთი ,,მაარიფი“ (განათლება), N3-4 (20-21) სექტემბერ-ოქტომბერი 2006
11. ,,გარაჯალარის საშუალო სკოლის 120 წლისთავის მოკლე ისტორია (მოწინავე მასწავლებელთა ბიოგრაფიები, მოწინავეთა გამოცდილება და სხვა), გაზეთი ,,მაარიფი“ N3-4 (20-21) IX-X 2006წ.
12. ,,მასწავლებელი, რომელიც გულებში ცოცხლობს“ (ღვაწლმოსილი პედაგოგის, ვეტერანი მასწავლებლის რასულ ისლამ ოღლი (მურადოვის გახსენება), გაზეთი ,,მაარიფი“ (განათლება) N1-2 (30-31) 10,05,2007წ. (აზერბაიჯანულ ენაზე)
13. ,,დაბადების დღეს გილოცავთ ჰაჯარ მასწავლებელო!“

14. დაბადების დღეს გილოცავთ თანასოფლელო. ჯალალ!“ (შტრიხები სოფლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ინტელიგენტის ჯალალ აბდულაევის პორტრეტიდან)
15. ,,სილამაზის სამყაროს არქიტექტორი“ (გარაჯალარის საჯარო სკოლის სამნეო ნაწილის გამგის ოთარ სვიმონიშვილის შემოქმედებით-აღმშენებლობითი საქმიანობის საზოგადოებისთვის გაცნობა), სამივე სტატიაზე იხილეთ გაზეთი ,,მაარიფი“ (განათლება) N1-2 (32-33) აზერბაიჯანულ ენმაზე, I-II 2008
16. ,,პოეტური გულის ინჟინერი“ (ისმაილ მახმად ოღლი გურბანოვის პოეზიის სამყაროში პირველი ნაბიჯის დალოცვა), გაზეთი ,,მაარიფი“ (განათლება, N1-2 (32-33) I-II2008
17. ,,გარაჯალარის სკოლის ისტორია“ (1886-2006წ.წ.) ქართულ ენაზე 2006 წელს გამოცემული მონოგრაფიის მოკლე ვარიანტი. 2008 წლის სექტემბერი (აზერბაიჯანულ ენაზე).
18. ,,განათლების რეფორმის ერთგულებით“ (განათლების ფრონტის ნოვატორის გარაჯალარის საჯარო სკოლის დირექტორის პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ქ-ნ ელზა აშიროვას მოწინავე გამოცდილების განზოგადება), გაზეთი ,,მაარიფი“

(განათლება) N2(35), 2010 წლის სექტემბერი (აზერბაიჯანულ ენაზე).

19. ,,შენ გარაჯალარის მოსახლეობის სიამაყე ხარ, ნარგიზა" (რუბრიკით სოფლის სახელოვანი შვილები), გაზეთი ,,მაარიფი" (განათლება), N2 (35), 2010 წლის სექტემბერი (აზერბაიჯანულ ენაზე)
20. ,,ხალხის სიყვარულის ღირსი ექიმი" (სოფელ გარაჯალარის სამედიცინო დაწესებულების მთავარი ექიმის მანანა თვალიაშვილის პორტრეტისათვის), გაზეთი ,,მაარიფი" (განათლება) N3 (36), 2010 წლის ოქტომბერი (აზერბაიჯანული ენაზე)
21. 2011 წლის ივლისი ,,დაილოცოს პირველი ნაბიჯი", XIკლ. მოსწავლე ელვინა მაზანოვას ლექსების წარდგინება, გაზეთი ,,ოზანი" N7 (46) გვ.7 (აზერბაიჯანულ ენაზე).
22. 2011 ოქტომბერი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიება (ექსკურსია მცხეთა თბილისში - უჯარმის, გზ. ,,ოზანი" N10(49)
23. ღვაწლმოსილი პედაგოგის გახსენება, გაზეთი ,,ოზანი" N7 (46)
24. ხალხის რჩეული, თელავის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ დავითაშვილის ამომრჩევლებისათვის გაცნობა, გაზეთი ,,ოზანი" N7 (46)
25. 2011 წლის დეკემბერი ,,ველიხანი ექიმი ჩვენი სიამაყეა" ,,ოზანი" N12 (51)

26. 2012 წლის ივნისი ნაშრომი „ეტიმოლოგიური ძიებანი“, გამომცემლობა „სვეტი“, თბილისი
27. „ჩვენი ექსპერტა“, გაზეთი „ოზანი“ N43(94) 30,06,2016წ.

მყავს მეუღლე აბაზოვა გულსარა, რომელიც დიასახლისია.

სამი შვილი: ბიჭი - აბაზოვი მურაზი - ავტოინჟინერი

გოგოები - ასლი და ხალიდა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგები არიან, სამივე შვილი დაოჯახებულია. ვარ რვა შვილიშვილის პაპა და 10 შვილთაშვილის უფროსი პაპა.

მაჰარაზ ახმედ ოღლი ნიაზოვი



დაიბადა 1944 წლის 26 დეკემბერს ლაგოდეხის რაიონია სოფელ კაბალში. მამა ახმედ ამირასტან ოღლი, დედა ფათმა ასკარ ყიზი მშრომელი ადამიანები იყვნენ. დედას მიღებული ჰქონდა „გმირი დედის“ წოდება 12 შვილის გაზრდისათვის.

1951-1962 წლებში სწავლობდა სოფელ კაბალის საშუალო სკოლაში.

1963-1966 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. დაკისრებული მოვალეობის პირნათლად და მაღალი პასუხისმგებლობით შესრულებისათვის მ. ნიაზოვი სამხედრო სამსახურის პერიოდში მიღებული იქნა სკკპ რიგებში და უფროსი სერჟანტის წოდებით დაბრუნდა სახლში.

1968 წელს სამხედრო სამსახური დაიწყო თელავში დისლოცირებულ საავიაციო ნაწილში, სადაც მსახურობდა 1987 წლამდე სამხედრო სამსახურის პერიოდში მოხალისედ ჩაეწერა ავღანეთში გასაგზავნ ჯგუფში. დადებული ხელშეკრულება ავღანეთში 1 წლის მანძილზე სამსახურს ითვალისწინებდა. მას თავის ჯგუფელ თანამებრძოლებთან ერთად ავღანეთის ომის ცხელ წერტილზე ყანდაჰარში მოუწია სამსახური რადიო ტექნიკოსის თანამდებობაზე.



მაჰარამ ნიაზოვი ავღანეთში ჩასვლის შემდეგ თვითმფრინავთან ილ-76-თან 1985 წელი

მ. ნიაზოვმა ავღანეთში ერთწლიანი სამსახური პირნათლად მოიხადა და დაბრუნდა თელავში სამხედრო

სამსახურის გასაგრძელებლად. იგი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა 1987 წლამდე ანუ თადარიგში გასვლამდე. ამ პერიოდში კარგი სამსახურის აღსანიშნავად მას ხელმძღვანელობისაგან მიღებული აქვს მრავალი ორდენი და მედალი.


1987 წლის შემდეგ დაბრუნდა სამოქალაქო სფეროში მოღვაწეობისას. იგი 1969 წელს დაოჯახდა თელავის რ-ის სოფელ ყარაჯლის მკვიდრზე ჯეირან ეიდარ ყიზი ველიევზე. მათ შეეძინათ ორი ვაჟი და ერთი გოგო. ჰყავს 6 შვილიშვილი და 7 შვილთაშვილი.

მ. ნიაზოვი სოფლის მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. არის ყოველივე პოზიტიური წარმოწყების მონაწილე.



თელავის სამხედრო ნაწილის მოსამსახურეთა ჯგუფი, რომელშიც მაჰარამ ნიაზოვიც იჩიცხებოდა, ავღანეთში გამგზავრების წინ 1985 წელი

აბდულმანაფ მოლლა ალლაზ ოღლი სოფიევი



აბდულმანაფ სოფიევი დაიბადა 1892 წელს თელავის რაიონის სოფელ გარაჯალარში. იგი „სოფიაანთ“ გვარის სახელოვანი წარმომადგენელია.

აბდულმანაფ სოფიევი 1901-1905 წლებში გარაჯალარის ოთხწლიანი დაწყებითი სკოლის მოსწავლე იყო. იგი სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე იყო. 1904-1907 წლებში გარაჯალარის დაწყებითი სკოლის გამგედ მუშაობდა გაზახის რაიონის (აზერბაიჯანის) მკვიდრი სეიფადდინ ნასიბოვი. სწორედ მან შენიშნა აბდულმანაფ სოფიევის დიდი წყურვილი პედაგოგიური განათლების მიღებისადმი. ამიტომ ს. ნასიბოვმა მოამზადა და დაეხმარა აბდულმანაფ სოფიევს გორის სამასწავლებლო სემინარიაში მოწყობის საქმეში. აბ სოფიევმა გორის სამასწავლებლო სემინარია 1914 წელს დაამთავრა და იმავე წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა მშობლიური გარაჯალარის დაწყებითი სკოლის გამგე

მასწავლებლად. აბდულმანაფ სოფიევი ამ თანამდებობაზე 1932 წლამდე მუშაობდა.

1932 წელს გარაჯალარის ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა შვიდწლიან არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა. შვიდწლიანი სკოლის დირექტორად დაინიშნა თბილისის აზერბაიჯანული პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული, ამავე სკოლის მასწავლებელი, ადგილობრივი კადრი ბაშირ გარა ოღლი კაზალოვი. აბდულმანაფ სოფიევი კი სასწავლო ნაწილის გამგედ დაინიშნა. იგი შვიდწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაზე 1932-1936 წლებში მუშაობდა. 1936-1938 წლებში კი აბდულმანაფ სოფიევი სკოლის დირექტორი იყო. იგი 1938-1957 წლებში ჯერ გარაჯალარის შვიდწლიან (1938-1946წ.წ.), ხოლო შემდეგ რვაწლიან (1946-1957წ.წ.) სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა.

აბდულმანაფ სოფიევი 43 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ 1957 წელს დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

აბდულმანაფ სოფიევი სოფელ გარაჯალარის სინამდვილეში პედაგოგიური განათლების მჭონე პირველი ადგილობრივი კადრი იყო. იგი მომავალი თაობის აღზრდა-განათლების მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს სოფლის თუ რაიონის მასშტაბით აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც უხამებდა. აბდულმანაფ სოფიევი მრავალჯერ იყო არჩეული ადგილობრივი თუ რაიონული საბჭოს დეპუტატად. მას მრავალჯერ დროებით შეუცვლია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, რაც მთავარია იგი სოფლის

მოსახლეობის და მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. იგი სოფლის მოსახლეობის სიხარულსა და მწუხარების გამზიარებელი ადამიანი იყო.

აბდულმანაფ სოფიევი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ოჯახის წევრებს, სანათესაოსა თუ სამეზობლოში. მას ყველა ,,აღა"-თი (,,ბატონობით") მიმართავდა, რადგან ,,სოფიევები" ყოფილი ბატონები იყვნენ.

აბდულმანაფ სოფიევს ოთხი შვილი ჰყავდა (ნაბათი, გულჯამალი, შირზადა და სეიფადინი. სწორედ მან თავის ვაჟს მასწავლებლის სეიფადინ ნასიბოვის სახელი უწოდა დიდი პატივისცემის ნიშნად). მისი უფროსი გოგო - ნაბად სოფიევა სოფელ გარაჯალარში პირველი პედაგოგიური განათლება მიღებული ქალი იყო. ეს იმ დროისათვის დიდი საქმე იყო.

აბდულმანაფ მოლლა ალლაზ ოღლი სოფიევი 1974 წელს გარდაიცვალა. მას მთავრობის მრავალი წახალისება და მადლობა დაუმსახურებია, რომლებიც სადღეისოდ არ შემონახულა.

დურსუნ უსეინის ძე მუსაევი



დაიბადა 1932 წლის 16 იანვარს თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში კოლმეურნის ოჯახში. 1941 წელს სწავლა დაიწყო ყარაჯლის 7 წლიან სკოლაში. 1949-1950 სასწავლო წელს ხელმძღვანელობდა ყარაჯლის სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციას. 1950-1953 წლებში სწავლობდა ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლაში. 1953 წლის სექტემბრიდან სასწავლებლად აწყურის საშუალო სკოლიდან გადმოვიდა თელავის რაიონის სოფელ რუისპირის საშუალო სკოლაში მე-11 კლასში. აღნიშნული სკოლის სრული კურსი დაამთავრა 1954 წელს.

1954-1959 წლებში სწავლობდა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იგი ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციიდან გაგზავნილი იქნა ყაზახეთის რესპუბლიკის კუსტანის ოლქში მოსავლის აღებაზე. ინსტიტუტი დაამთავრა 1959 წელს. სოფელ ყარაჯლის სინამდვილეში დ. მუსაევი პირველი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირი იყო კაცებს შორის. (ქალებს შორის კი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მხრივ პირველობა ეკუთვნოდა დ. მუსაევის მეუღლეს ქალიმათ ახმედ ყიზი აშიროვას.

1959 წლის 20,08-დამ დ. მუსაევი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თავის მშობლიურ სოფელში მათემატიკის მასწავლებლად.

იგი 1961 წლის თებერვალში დაწინაურებული იქნა ამავე სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. 1976 წლის 13 სექტემბრიდან დაინიშნა მშობლიური სკოლის დირექტორად. იგი 2005 წლის 05 სექტემბრამდე ამ თანამდებობაზე მუშაობდა.

დ. მუსაევი 46 წელი დაუღალავად ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდის საპასუხისმგებლო და კეთილშობილურ საქმეს. იგი განათლების სისტემის კარგი მცოდნე და სასკოლო ცხოვრების შესანიშნავი ორგანიზატორი იყო.

მრავალმხრივი იყო დ. მუსაევის საზოგადოებრივი საქმიანობის არეალი. იგი სხვადასხვა დროს დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა პროპაგანდიტის, აგიტსემინარის ხელმძღვანელის და ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის მოვალეობებს. წლების მანძილზე იყო საქართველოს პრეზიდენტის კახეთის რეგიონის რწმუნებულის მრჩეველი ეროვნულ უმცირესობათა დარგში. რაც მთავარია დურსუნ მუსაევი იყო ქართული ენის დიდი ქომაგი, ქართველი ხალხის მეგობარი და საქართველოს პატრიოტი კაცი.

დ. მუსაეცის დამსახურება ხალხისა და სამშობლოს წინაშე რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სათანადოდ დააფასა. საქართველოს პრეზიდენტის 28 ნოემბრის N1217 განკარგულებით იგი დაჯილდოვდა ,,ღირსების ორდენით“

N04603, მოწმობა N01735, ორდენი გადაეცა პირადად 2002წ. 19 იანვარს.

დურსუნ მუსაევი 2015 წელს გარდაიცვალა.

ქალიმათ ახმედ-ყიზი აშიროვა



ქალიმათ აშიროვა დაიბადა 1933 წლის 18 თებერვალს ქ. თელავში, მოსამსახურის ოჯახში. 1943-1954 წლებში სწავლობდა თელავის რუსულ საშუალო სკოლაში.

1954 წელს ჩაირიცხა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1958 წელს. ამავე წლის სექტემბერში დაინიშნა ყარაჯლის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იგი გარდაცვალებამდე ე.ი. 47 წლის მანძილზე სახელოვნად იდგა მომავალი თაობის აღზრდა-განათლების სამსახურში.

ქალიმათ (თამილა) აშიროვა თავისი ცოდნით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, თავის თავისადმი, მოსწავლეებისადმი, კოლეგებისადმი მომთხოვნელობით გამოირჩეოდა. იგი სამართლიანი ადამიანი იყო. თავის აღსაზრდელებს უნერგავდა პატრიოტიზმს, შრომისმოყვარეობის, მეგობრობის, შემწყნარებლობის და უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობებს. ის საოცარდ ენერგიული, დაუზარელი და თავის

პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული პედაგოგი იყო. მისი 47 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა და მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში დამსახურება განათლების რაიონული და რესპუბლიკური სელმძღვანელობის მხრიდან სათანადოდ დაფასებული იქნა.

1)საქართველოს განათლების სამინისტროს 1983 წლის 23 მაისის N405 ბრძანებით ქ. აშიროვას „მეთოდისტ-მასწავლებლის“ წოდება მიენიჭა;

2) საქართველოს განათლების სამინისტროს 1988 წლის 28 სექტემბრის N165 ბრძანებით მას უფროსი მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

3) 1997 წლის ოქტომბერში ატესტაციის შედეგებით მას უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

ქ. აშორივა სოფელ ყარაჯლის სინამდვილეში უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირველი ქალი იყო.

ქ. აშიროვა მთელი სოფლის მოსახლეობის პატივსცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. მან სამართლიანად დაიმსახურა მასწავლებელთა მასწავლებლის სახელი.

ამჟამად, სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წევრი ადგილობრივი მასწავლებლები უკლებლივ ყველა მისი აღზრდილია.

ქალიმათ ახმედ ყიზი აშიროვა 2005 წლის 13 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა.



ელზა შალვას ასული აშიროვა

დავიბადე თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში 1963 წლის 15 დეკემბერს.

საშუალო განათლება მივიღე სოფელ ყარაჯალის სკოლაში, ხოლო 1982 წელს ჩავირიცხე თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1987 წელს.

1988 წელს ვმუშაობდი ყარაჯალის ეთერზეთების მეურნეობაში ალკკ მდივნად.

1989-1995 წლებში კი ყარაჯალის საშუალო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად.

1995 წლიდან ვიყავი ი. გოგებაშვილის საქართველოს ეროვნული ინსტიტუტის ასპირანტ-მაძიებელი ქართული ენის სწავლების მეთოდიკის განხრით.

2002 წლიდან მუშაობა დავიწყე კვლავ ყარაჯალის საშუალო სწკოლაში ქართული ენის მასწავლებლად.

2003 წელს დავიცავი დისერტაცია სს ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ილიას უნივერსიტეტი) და მივიღე პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

2005 წლის ოქტომბრიდან გადავედი ყარაჯალის საშუალო სკოლის დირექტორად, ამჟამადაც ვმუშაობ აღნიშნულ თანამდებობაზე.

2006 წელს მომენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

მყავს დედა პენსიონერი, ერთი და, ორი ძმა დაოჯახებულები.

სოფელ ყარაჯალის განათლების სფეროს შრომის ვეტერანები:

რასულ ისლამ ოღლი მურადოვი



რასულ ისლამ ოღლი მურადოვი დაიბადა 1920 წლის 20 ოქტომბერს თელავის რ-ის სოფ. ყარაჯალაში. იგი 1929-1936წ.წ. ყარაჯალის ჯერ დაწყებით, შემდეგ კი შვიდწლიან სკოლაში სწავლობდა. რასულ მურადოვი 1936-1939წ.წ. თბილისის აზერბაიჯანულ პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლობდა. 1939-1942წ.წ. მშობლიურ სკოლაში აზერბაიჯანლი ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა. იგი 1942-1944

სასწ. წელს კი სკოლის დირექტორად იქნა დაწინაურებული. 1944-1954 წლებში რ. მურადოვი აღნიშნული სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. 1954-1965 წლებში ჯერ ყარაჯალის რვაწლიანი, ხოლო 1957 წლიდან საშუალო სკოლის დირექტორად.

1965-1985 წლებში რ. მურადოვი ყარაჯლის საღამოს მუშა-ახალგაზრდობის სკოლის დირექტორად მუშაობდა.

1986-1993 წლებში რ. მურადოვი ყარაჯლის საშუალო სკოლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლ;ებლად მუშაობდა.

რასულ მურადოვმა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მისაღებად 1952 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ჯერ თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1961 წელს კი ბაქოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

რასულ მურადოვი ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმიანობის აქტივისტი იყო. სანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კეთილსინდისიერად უძღვებოდა საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივ ორგანიზაციას. იგი კარგი მეოჯახე, მამა, მოქალაქე, სოფლის საბჭოს დეპუტატი, სოფლის მოსახლეობისაგან დაფასებული კოლორისტული პიროვნება იყო.

რასულ მურადოვი დიდი სამამულო ომის წლებში აქტიურად მუშაობდა ზურგის ფრონტისადმი დახმარების ღონისძიებების ორგანიზების საქმეში. იგი 1993 წელს გარდაიცვალა.

რასულ მურადოვმა თავისი 73 წლიანი სიცოცხლის 54 წელი სოფლის მომავალი თაობის აღზრდა-განათლების დიდმნიშვნელოვან საქმეს შეალია. ამ სფეროში მისი თავდადებული მოღვაწეობა საქართველოს განათლების სამინისტროს მრავალი მადლობით და სიგელით აღინიშნა.

ეთერ მამედ ყიზი გურბანოვა



დაიბადა 1948 წლის 12 ივნისს თელავის რაიონის სოფელ გარაჯალარში ინტელიგენტის ოჯახში.

1955-1966 წლებში ყარაჯლის საშუალო სკოლაში სწავლობდა. 1966 წელს ჩაირიცხა ბაქოს მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის და აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომელიც 1971 წელს დაამთავრა.

1971 წელს დაინიშნა გერმანული ენის მასწავლებლად მშობლიურ გარაჯალარის სკოლაში, სადაც 47 წელია დაუღალავად მოღვაწეობს. იგი პატარაობიდანვე მასწავლებლობაზე ოცნებობდა.

ე. გურბანოვას გერმანული ენის მაღალ მეთოდურ დონეზე სწავლების საილუსტრაციოდ მრავალი სასკოლო და რაიონული მასშტაბის გაკვეთილები ჩაუტარებია. მისი თავდადებული პედაგოგიური მოღვაწეობა განათლების სისტემის რაიონული და რესპუბლიკური სელმძღვანელობის მხრიდან სათანადოდ დაფასებულ იქნა.

1)1988 წლის 28 ოქტომბრის N251 ბრძანებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ე. გურბანოვა ,,სახალხო განათლების წარჩინებული“-ს სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა.

2) 1997 წელს საატესტაციო კომისიამ ეთერ გურბანოვას ,,უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი“-ს წოდება მიანიჭა.

ეთერ გურბანოვა არის კარგი აღმზრდელი პედაგოგი, მეუღლე, დედა და ბებია. მან სახელოვანი გოგო აღზარდა. იგი, როგორც სკოლის პ[ედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებში, ასევე სოფლის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

მამედ ასკარ ოღლი სეიდოვი

1929 წლის 01 ივლისს დაიბადა თელავის რაიონის სოფელ გარაჯალარში.



1936-1943 წლებში გარაჯალარის შვიდწლიან სკოლაში სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ გარაჯალარის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ფერმის მწყემსად, რამდენიმე წლის შემდეგ კი ფერმის გამგედ მუშაობდა.

1951-1954 წლებში მ. სეიდოვი საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ სწავლობდა საგურამოში საბუღალტრო სასწავლებელში, რომელიც მან წარმატებით დაამთავრა. საბუღალტრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გარაჯალარის კოლმეურნეობაში ბუღალტრად.

მრავალჯერ იყო არჩეული ადგილობრივი სასოფლო-საბჭოს დეპუტატად.

მამედ სეიდოვმა თანასოფლელ გოზალ თანროვერდი ყიზისთან ქორწინებით შექმნა ოჯახი, სადაც სამშობლოს ხუთი შვილი აღუზარდა. ხუთივე შვილს განათლება მიაღებინა და დააოჯახა.

მ. სეიდოვი 2003 წელს გარდაიცვალა.

ანვარ ყურბან ოღლი ალმაზოვი



დაიბადა 1934 წელს. 1941-1949 წლებში სწავლობდა გარაჯალარის რვაწლიან სკოლაში.

1949-1952 წლებში სწავლობდა თელავის სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა ფერშლის კვალიფიკაციით (დიპლომი აN904844, რეესტრის N90, გაცემული 1952 წლის 31 ივლისს ქალაქ თელავში).

1952 წლიდან ა. ალმაზოვმა მუშაობა დაიწყო გარაჯალარის სასოფლო საავადმყოფოში ფერშლად. იგი სოფელში აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მრავალჯერ იყო არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატად. ხშირად საკითხს ამზადებდა და მოხსენებით გამოდიოდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე. მაგალითად, სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1974 წლის 12 მარტის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საკითხზე ,,სოფლის მოსახლეობის საექიმო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“ მოხსენებაში აღნიშნავდა: ,,ამბულატორიაში მუშაობს 3 ექიმი (გამგე-თერაპევტი 1,5 შტატზე, პედიატრი 0,5 შტატზე და სტომატოლოგი 1 შტატზე).

მაჰბუბა ბაშირ ყიზი კაზალოვა



დაიბადა 1937წ. 08 მაისს სოფ. ყარაჯალაში მასწავლებლის ოჯახში. 1945-1953წ.წ. სწავლობდა ყარაჯლის რვაწლიან სკოლაში. 1953-1955 წლებში სწავლობდა თელავის სამედიცინო სასწავლებლის საბებიო განყოფილებაზე. იგი სოფელ ყარაჯლის სინამდვილეში პირველი მედიკოსი ქალია.

1955 წლიდან 1997 წლამდე დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე თავდადებულად ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის საპასუხისმგებლო კეთილშობილურ საქმეს.

მაჰბუბა კაზალოვას, როგორც მედიკოსი ბებიას, მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. მის სამოქმედო უბანზე - სოფ. ყარაჯალაში მოსახლეობას ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა ძველი რწმენები, ტრადიციები და ყოფა-ცხოვრება. ახალი მიღწევების დანერგვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მრავალი უჩვეულო სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივ-ადამიანური გრძნობებით ჩადენილი თავდადების ფაქტი ახსოვს მაჰბუბას. მან მუშაობა 18 წლისამ დაიწყო ბებია ქალად. სოფელში იგი მარტო ბებია ქალი კი არა მრავალი გაჭირვებულის, ავადმყოფის იმედი იყო. მაჰბუბა მრავალი

ასეთი ფაქტიდან რამდენიმეს იხსნებს. ასე მაგალითად: მაილოვი ორიჯ ბაშირ ოღლის დედის მშობიარობის ღამით მოსამშობიარებლად ღამით ცხენი მოუყვანეს მაჰბუბას. ცხენზე ამხედრებულს გზაზე ძაღლმა დაუფრთხო ცხენი. დამფრთხალი ცხენის ფაფარზე ჩამოკიდებული მიდიოდა ყვირილით. ამ დროს დაბლა ჩამოშვებული ფეხზე ძაღლმაც უკბინა. როგორც იქნა ცხენი გაჩერდა. მივიდა მშობიარე ქალის ოჯახში, მოამშობიარა. მერე სხვა რამ დასჭირდა. დაბრუნდა სახლში,. წაიღო რაც სჭირდებოდა და მშვიდობიანად დაამთავრა საქმე.

დაახლოებით 1958 წელს აბაზოვა ლეილა შალიკო ყიზი - 3 წლის ბავშვი გართულებული ყვავილით იწვა. იყო მომაკვდავი. სოფელში არსებული წესის მიხედვით მოლა მომაკვდავს თავთან იჯდა და ლოცულობდა. მაჰბუბა კი თავისას არ იშლიდა. სამი ღამე გაათია ავადმყოფის სასთუმალთან. თავისი სწორი დანიშნულებით და მკურნალობით მოარჩინა მომაკვდავი ბავშვი.

1972 წლის 01 ივნისი იყო დაწყებული. ღამის 02:00 საათზე მაჰბუბას ჭიშკრის კარს მიადგა გაჭირვებული კაცი - აზიზ აბაზოვი. მის ფეხმძიმე მეუღლეს ტკივილები დასწყებოდა. ბებია ქალის დახმარება იყო საჭიროა. მაშინ მაჰბუბამ არ დაიზარა, თავისი საქმის ერთგული მედიკოსი ფეხით ღამის 2 საათზე გაჰყვა მას და თავისი დიდი წვლილი შეიტანა ალაზოვა ასლი აზიზ ყიზის მშვიდობიანად დაბადებაში.

მაჰბუბა კაზილოვა იხსენებს: „დაახლოებით 1959-1960 წლები იქნებოდა თბილისიდან ჯანმრთელობის სამინისტროს გინეკოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი

პროფ. ჭინჭასაული ჩამოსულიყო თელავში. იგი დაინტერესებულია ჩვენი სოფლის საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების საქმეებით. მაშინ გვქონდა სამ ნაწილიანი სამშობიარო პალატა. პროფ. ჭინჭარაულს მოჰყვა თელავის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ქეთევან ქავთარაძე. მათ ძირფესვიანად შეამოწმეს ჩემი საქმიანობა: საქმის აღრიცხვიანობა, დანიშნულება, მკურნალობა და სხვა. ძალიან მოეწონა სტუმარს ჩემი საქმე და შემაქო. მერე მიუბრუნდა ქ. ქავთარაძეს და ჰკითხა: ,,ესეთი კარგი მუშაკი თუ წაგიხალისებია როდისმე?“ მიიღო პასუხი ,,არა“ მეორე დღისით ქ. ქავთარაძემ დამიძახა სურათი მომატანინა და ჩემზე რაიონულ გაზეთში ვრცელი სტატია მოათავსა. გაზეთს დიდხანს ვინახავდი. ბოლოს მთლად გაცვდა.

მაჰბუბა ბებია! ტკბილი და საინტერესოა თქვენი მოგონებები. დიდხანს იცოცხლეთ!

აბდულაევი ჯალალ მამედ ოღლი



დავიბადე 1947 წლის 03,03 თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მოსამსახურის ოჯახში.

1966 წელს დავამთავრე ყარაჯლის საშუალო სკოლის სრული კურსი.

1967 წლიდან 1969 წლამდე ვმუშაობდი ყარაჯლის კოლმეურნეობაში კოლწევრად.

1969 წლიდან 1974 წლამდე ვმუშაობდი ტრესტი N3 ,,თელავ გაზში“ ზეინკალ-პროფილაქტიკოსად. პარალელურად ვსწავლობდი ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებლად, რომელიც დავამთავრე 1975 წელს ისტორიის მასწავლებლის სპეციალობით.

1974 წლიდან 1986 წლამდე ვმუშაობდი ყარაჯლის სასოფლო საბჭოს აღმასკომში მდივნის თანამდებობაზე.

1986 წლიდან 1996 წლამდე ვმუშაობდი ყარაჯლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სოფლის გამგებლად.


1996 წლიდან 2002 წლამდე ვმუშაობდი ყარაჯლის გამგებლის მოადგილედ.

2002 წლიდანბ 2013 წლამდე ვმუშაობდი ყარაჯლის ტერიტორიულ ორგანოში სხვადასხვა თანამდებობაზე.

2014 წლის სექტემბრის თვიდან დღემდე ვმუშაობ ყარაჯლის ადმინისტრაციულ ერთეულში უფროს სპეციალისტად.

მყავს მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილი .

აბდულაევი ვაჰიდ მამედას ძე



დავიბადე 1955 წლის 02 დეკემბერს თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მოსამსახურის ოჯახში.

1973 წელს დავამთავრე ყარაჯლის საშუალო სკოლის სრული კურსი.

1975 წელს შევედი ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1979 წელს ფიზკულტურის მასწავლებლის სპეციალობით.

1974 წელს თელავის ფეხბურთის გუნდის კახეთის



მთავარი მწვრთნელის გურამ გომელაურის მიწვევით თამაში დავიწყე აღნიშნულ გუნდში.

1977 წელს ჩვენი გუნდი გავიდა საქართველოს თასის ფინალში, სადაც ავიღეთ საქართველოს თასი.

იმავე წელს მონაწილეობა მივიღეთ სსრკ რესპუბლიკების თასის თამაშში. პირველ შეხვედრაში შევხვდით უკრაინის გუნდს „მაკიევკას“, თამაში მოვიგეთ 1:0-ით.

მეორე თამაში წავაგეთ სტუმრად ყაზახეთის გუნდ „ტრუდ შევჩენკოს“-თან 2:1.

1980 წელს მეორედ გავედით საქართველოს თასის ფინალში, რომელიც წავაგეთ 2:0-ით და გამოვეთიშეთ თამაშს. აღნიშნულ თამაშში გადმომეცა საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი.

1978 წელს მიმიწვიეს აზერბაიჯანის გუნდ ბაქოს ნეფთიში, ოჯახური პირობების გამო ვერ მოვახერხე გუნდში დარჩენა და თამაშის გაგრძელება..

თელავის „კახეთში“ თამაშის დროს 35 გოლის გატანისათვის მოპოვებული მაქვს ბომბარდის სახელი.

1989 წელს გამოვემშვიდობე კახეთის გუნდს.

1990 წლიდან ვმუშაობ ყარაჯლის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად.

2015 წლიდან ვავარჯიშებ სოფლის ბავშვთა ფეხბურთელთა გუნდს.



მე, ლეილა აბდულაევა დავიბადე 1950 წლის 9 ივლისს თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში. მამაჩემი, მიხეილ ყარა ოღლი, მძღოლად მუშაობდა მაშინდელ ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მამაჩემს განსაკუთრებულად უყვარდა წიგნების კითხვა. მას მანქანაში ყოველთვის ედო წიგნი, რომ შესვენებისას წაეკითხა. დედა, თელი ნიაზ ყიზი, სათნოებით სავსე ქალი, მთელი სიცოცხლე ქმარ-შვილსა და ოჯახზე ზრუნვას იყო გადაგებული. მქონდა არაჩვეულებრივი ბავშვობა, მთელ ზაფხულს ტყესა და ჭალაში ვატარებდით, ცხელ დღეებს მდინარე ლოპოტაში ბანაობით ვიგრილებდით. ზეპირად ვიცოდით ტყის სოკოებისა და მცენარეების სახელწოდებები.

1967 წელს დავამთავრე ნაფარეულის საშუალო სკოლა. იმავე წელს ავიხდინე ოცნება გავხდი ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის

ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის I კურსის სტუდენტი. სტუდენტობა ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლო მისია იყო. ლექციების დამთავრების შემდეგ სარაიონო თუ საქალაქო ბიბლიოთეკაში ვისხედით და ვმეცადინეობდით, არც ერთი დღე უმიზნოდ არ გაგვიტარებია, ან ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ვისხედით, ან ერთმანეთთან ვიკრიბებოდით და ვმუშაობდით სემინარებზე, ვემზადებოდით საზამთრო თუ საზაფხულო სესიებისთვის. თავისუფალ დროს ვესწრებოდით თელავის თეატრში სპექტაკლებს, ფილმებს, ვეცნობოდით კახეთის ისტორიულ ძეგლებს. შეუმჩნევლად გაირბინა სტუდენტობის ემოციურმა ოთხმა წელმა და 1971 წლის 1-ლი სექტემბრიდან წარჩინების დიპლომით, თელავის რაიონის ყარაჯლის საშუალო სკოლაში დავიწყე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობა. ჩემთვის ამაზე დიდი საქმე არ არსებობდა, აზერბაიჯანელი მოსწავლეებისთვის უნდა მესწავლებინა და შემეყვარებინა ქართული ენა და ლიტერატურა, ქართველ მწერალთა მდიდარი შემოქმედება.

1976 წლიდან დამაწინაურეს და პედაგოგობის პარალელურად დღემდე ვმუშაობ ყარაჯლის საჯარო სკოლაში სკოლის დირექტორის მოადგილედ.

სოფელი ყარაჯალა ეთნიკური აზერბაიჯანელებით არის დასახლებული. თავისი მენტალიტეტით სხვა ქართული სოფლებისაგან განსხვავებულია, თუმცა ქართული ადათ-წესებიც ათვისებული აქვს. ჩვენი სოფლის ქორწილები არაფრით ჩამოუვარდება ქართულ ქორწილებს, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს დაბრკოლება ოჯახებისაგან,

რაც ხელს უშლის ზოგიერთი გოგონას სკოლის საშუალო საფეხურის დამთავრებას ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ჩვენს სკოლას დიდი მუშაობა უწევს.

მიუხედავად ამისა, მაინც ამაყი ვარ იმით, რომ დღეს ბევრი თუ არა, ოცდაათი სტუდენტი მაინც სწავლობს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში. მათ სწავლაში ხომ მეც მიმიძღვის წვლილი.

სულეიმან შარიბალა ოღლი



დავიბადე 1950 წლის 8 აპრილს თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში. მრავალშვილიან შარიბალა სარდარი ოღლის ოჯახში. გავიზარდე ამავე სოფელში. როცა გავხდი შვიდი წლის, მშობლებმა მიმიყვანეს ჩვენს სოფლის სკოლაში

1957წ., რომლის საშუალო კურსი დავამთავრე 1967 წელს. მშობლების რჩევით სამი წლის შემდეგ საბუთები შევიტანე თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში დაწყებითი განათლების პედაგოგიკის ფაკულტეტზე. ჩამრიცხეს დაუსწრებელზე. სწავლასთან ერთად ვმუშაობდი მუშად თელავის რაიონის სოფ. რუისპირის მევენახეობა-მეხილეობის საცდელ სადგურში. შემდეგ გამიწვიეს რუსულ სამხედრო სამსახურში ორი წლით. ჩამოსვლის მერე გავაგრძელე ისევ სწავლა, რომლის სრული კურსი დავამთავრე 1975-1976სასწ. წელს. სწავლის პერიოდში მიწევდა შრომითი საქმიანობა თელავის ტრესტ ,,ალაზანმშენის" I სამმართველოში მუშად მუშაობა.

1977-1978 სასწავლო წელს დავიწყე სკოლაში მუშაობა ბიბლიოთეკარად ნახევარ შტატზე. პარალელურად აზერბაიჯანულ სექტორზე მქონდა საგაკვეთილო საათების სრული დატვირთვა. შემდეგ დავოჯახდი.

ფათმა უსეინ ყიზი. მყავს ორი შვილი. ოთხი შვილიშვილი. დღემდის ვეწევი შრომით საქმიანობას ჩემს სოფელში. ვარ ჩართული სწავლა-აღზრდის საქმეში ჩართული, რათა ჩვენს პატარებს შევაყვარო, ვასწავლო ჩვენი სამშობლო საქართველოს სახელმწიფო ენა.

საბირ ჰასან ოღლი ასლანოვი



დაიბადა 1945 წლის 01 მარტს თელავის რაიონის სოფელ გარაჯალარში მასწავლებლის ოჯახში.

1951-1961 წლებში გარაჯაკარის საშუალო სკოლაში სწავლობდა.

1962 წელს ჩაირიცხა აზერბაიჯანის პროფტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1971 წელს დაამთავრა მანქანათმშენებლობის წარმოების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის სპეციალობით.

1964-1967 წლებში საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა.

1971 წელს საბირ ასლანოვმა მუშაობა დაიწყო გარაჯალარის ეთერ-ზეთოვანი საბჭოთა მეურნეობაში ინჟინერ-ტექნოლოგად.

1979 წელს საბირ ასლანოვმა მუშაობა დაიწყო თელავის N127-ე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სამხედრო სწავლების მასწავლებლად. 1985 წლიდან ერთდროულად კახეთის ზონის სამხედრო სწავლების მეთოდისტის თანამდებობაზეც მუშაობდა. 1999 წლიდან

თელავის N2 საშუალო სკოლაში სამხედრო სწავლების მასწავლებლად მუშაობდა. მაიორის სამხედრო წოდება ჰქონდა.

2002 წლიდან 2016 წლამდე მცირე ბიზნესით იყო დაკავებული. იგი 2016 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა მეუღლე და ორი ვაჟი.

თემურ ახმედ ოღლი ისრაფილოვი



დავიბადე 1940 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, გლეხის ოჯახში.

1948-1956 წლებში ყარაჯლის რვაწლიან სკოლაში ვსწავლობდი საშუალო განათლების მიღების მიზნით 1956 წელს სწავლა გავაგრძელე თელავის რაიონის სოფელ რუისპირის საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი 1959 წელს დავამთავრე.

1959-1960 წლებში ვმუშაობდი სოფლის ახალგაზრდულ-კომკავშირულ ბრიგადაში.

1961 წელს წარჩინებით დავამთავრე თბილისის სასწავლო კომბინატი სწავლული ბუღალტრის სპეციალობით.

1961 წლის 01 აგვისტოდან 1962 წლის 01 ივნისამდე კომკავშირული საგზურით ყარაჯლის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში მეხბორედ ვმუშაობდი.

1962 წელს ჩავირიცხე შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1967 წელს დავამთავრე სოფლის მეურნეობის ბუღალტერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1968 წელს მუშაობა დავიწყე ყარაჯლის კოლმეურნეობაში მთავარ ეკონომისტად. 1969 წელს კოლმეურნეობის ეთერ-ზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობად გადაკეთებასთან დაკავშირებით 1978 წლამდე ამავე მეურნეობაში შრომისა და ხელფასების უფროს ინჟინრად ვმუშაობდი. ხოლო 1978-1996 წლებში აღნიშნული მეურნეობის მთავარ ბუღალტრად ვმუშაობდი. 1997 წელს მეურნეობა დაიშალა.

მყავს მეუღლე და სამი ვაჟი, შვილიშვილები. ვარ პენსიონერი.

სულამოვი იბად დურსუნის ძე



დავიბადე 1937 წლის 16 აპრილს თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში.

1943 წელს ყარაჯლის არასრული საშუალო სკოლის პირველ კლასში შევედი. 1951 წელს სწავლა გავაგრძელე ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლაში, რომელიც 1954 წელს დავამთავრე.

1954 წელს სწავლა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის ზოოვეტ-ტექნიკუმის ვეტერინარულ ფაკულტეტზე გავაგრძელე, რომელიც 1957 წელს წარჩინებით დავამთავრე.

1957 წელსვე სწავლა გავაგრძელე საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ვეტერინარულ ფაკულტეტზე, რომელიც 1962 წელს დავამთავრე წარჩინებით (დიპლომი N92 5047), ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

1962-1987 წლებში ვმუშაობდი ყარაჯლის ეთერ-ზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობაში ვეტერინარ ექიმად. 1987 წელს მუშაობა დავიწყე ქ. თელავის

ვეტერინარულ-სანიტარულ რაზმში ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

მყავს მეუღლე, ოთხი შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ვარ პენსიონერი.

ბახტიაროვი ზურაბ მისირხან ოღლი




დავიბადე 1979 წლის 07 სექტემბერს თელავის რაიონის სოფელ გარაჯალარში.

1986-1997 წლებში ვსწავლობდი გარაჯალარის საშუალო სკოლაში.

1997 წელს ჩავირიცხე ქ. ბაქოს ბიზნეს უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის სამართლებრივი მოწესრიგება-რეგულირების“ ფაკულტეტზე. 2001 წლიდან სწავლა მაგისტრატურაში გავაგრძელე. აზერბაიჯანის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში წარმატებით დავიცავი სამაგისტრო დისერტაცია.

1996 წლიდან სპორტულ საქმიანობაში ჩავერთე. 1997 წელს თელავის რაიონში ჩატარებულ ჩემპიონატში მძიმე წონაში მეორე ადგილი დავიკავე.



1998 წლიდან უკვე ვმონაწილეობ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჩატარებულ ჩემპიონატებში. 15 წელიწადი ზედიზედ აზერბაიჯანის ჩემპიონობას მივაღწიე მკლავჭიდში. 2000 წლიდან ,,არმვრესტინგ"- მკლავჭიდის სპორტულ სახეობაში მასწავლებლობა დავიწყე.

პირველი საერთაშორისო შეჯიბრებებში 2000 წელს ქ. სტამბოლში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა.

2000-2014 წლებში ჩატარებულ მსოფლიო, ევროპის და საერთაშორისო ტურნირებში პირველი ადგილები დამიკავებია.

2005 წელს იაპონიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში ორი მედალი (მარჯვენა ხელით ოქროს, ხოლო მარცხენა ხელით ვერცხლის მედალი) მოვიპოვე.

ისევ 2005 წელს ყირგიზეთში ჩატარებულ აზიის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირში მძიმე წონაში სპეციალური პრიზი დავიმსახურე და შეჯიბრების უძლიერესის სახელი მოვიპოვე.

მსოფლიო მკლავჭიდის ფედერაციის საერთაშორისო დონის მსაჯთა კომისიის წინაშე გამოცდა წარმატებით ჩავაბარე და მივიღე მკლავჭიდში საერთაშორისო დონის მსაჯის წოდება.

2015 წლიდან ჩემი სპორტული მოღვაწეობა საქართველოში დავიწყე. გახსნილი მაქვს საწვრთნელი სპორტული დარბაზი და მყავს მოსწავლეთა ჯგუფი. ახლო მომავალში მე და ჩემი აღზრდილები საქართველოს სახელით საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას მივიღებთ და ჩვენი წარმატებებით ვასახელებთ მშობლიურ საქართველოს.

მოკლე ხანში ჩემმა აღზრდილმა მკლავჭიდელებმა საქართველოს ჩემპიონატებში საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ყვარლის მუნიციპალიტეტი: ფართობი 10000, მოსახლეობა 40663

დღეს პარასკევია, 2017 წლის 11 აგვისტო

გუშინ, 2017 წლის 10 აგვისტოს, კურდღელაურში მეწვია სოფელ გავაზის მკვიდრი ინდიკო ბუთიაშვილი (თევდორე გავაზელი), რამდენიმე წიგნის ავტორი, მოაზროვნე, საქართველოს გულმხურვალე მოსიყვარულე, მისი წიგნების ,,კიბე კავკასიონზე", ,,შარი" რედაქტორი ვარ.

ამჯერად მომიტანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის მუნიციპალუტეტის პოლიციის განყოფილების ვეტერანთა მასალები.

ვიწყებთ ვეტერან პოლიციელთა დაუწერელი ისტორიის შექმნას.

ვეტერანი პოლიციელები:

1.ინდიკო ბუთიაშვილი

2.დიმიტრი იოსებაშვილი

3.არსენა ლომაური

4.დიმიტრი ახვერდაშვილი

5.სოსო აღადოშვილი

6.გურამ ბაინდურაშვილი

7.მათე ივანიშვილი

N1.ყვარლის შს განყოფილების პირადი შემადგენლობის ძველი თაობა (1968 წელი)

1	გიორგი გიგაური	გან-ბის უფროსი	პ/პოლკოვნიკი

2	ბორის აბრამიშვილი	გან-ბის უფრ.მოადგილე	მაიორი
3	რობერტი ხატიაშვილი	სს სამს.უფროსი	მილიციის კაპიტანი
4	აკაკი გულიაშვილი	ბხს-ის უფროსი	მილიციის კაპიტანი
5	ჟალმანტი იოსებაშვილი	ავტოინსპექტორი	მილიციის კაპიტანი
6	ვაჟა ქოჩორაშვილი	უბნის ინსპექტორი	მილიციის კაპიტანი
7	ნიკო ხარაშვილი	უბნის ინსპექტორი	უფროსი ლეიტენანტი
8	ავთანდილ აშკამელი	უბნის ინსპექტორი	უფროსი ლეიტენანტი
9	ლოვა გალუსტოვი	უბნის ინსპექტორი	უფროსი ლეიტენანტი
10	ბორის მშვილდაძე	უბნის ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი
11	სარდიონ ძნელაშვილი	უბნის ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი
12	არსენა ლომაური	უბნის ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი
13	ინდიკო ბუთიაშვილი	არას.საქმ.ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი
14	იოსებ ხინჩალაშვილი	არას.საქმ.ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი
15	ზაქარია ბუთიაშვილი	უბნის ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი

16	გურამი ბაინდურაშვილი	შრომ.გასწ.ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი
17	გელა მესხრიშვილი	გამომძიებელი	მილიციის ლეიტენანტი
18	გოგია კირვალიძე	უბნის ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი
19	მათე ივანიაშვილი	უბნის ინსპექტორი	მილიციის ლეიტენანტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის რაიონის, მუნიციპალიტეტის განყოფილება აგრძელებს, ხანგრძლივი, მდიდარი გამოცდილების საფუძველზე, ჩამოყალიბებული ეროვნული უსაფრთხოების მეტად საჭირო საქმიანობას. თაობები ცვლიდნენ ერთმანეთს და ეპოქის მოთხოვნების მიხედვით პატიოსანი, ენერგიული, ხალისიანი შრომით ემსახურებოდნენ ქვეყანას.

ამჯერად, მხოლოდ ზოგადი ცნობებით, გთავაზობთ ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების პირადი შემადგენლობის ძველ და შემდგომ თაობათა ცვლის მიმართულებას:

1.ყვარლის შს განყოფილების ძველი თაობის შემადგენლობა (1968-1975) თანამშრომლები იყვნენ: გიორგი გიგაური (მილ. უფროსი). რობერტი ხატიაშვილი (სს სამძებრო ინსპექტორი); კაკო გულიაშვილი (ობეხექსის ინსპექტორი); ნიკო ხარაშვილი (უბნის ინსპექტორი); ავთანდილ აშკამელი (უბნის ინსპექტორი); ბორის

მშვილდაძე (უბნის ინსპექტორი); სარიდონ ძნელაშვილი (უბნის ინსპექტორი); ვაჟა ქოჩორაშვილი სამძებრო ინსპექტორი); ჟალმანტი იოსებაშვილი საპასპორტო სამსახურის ინსპექტორი ლოვა გალუსტოვი (უბნის ინსპექტორი); ბორის აბრამიშვილი (შს გ. უფროსის მოადგილე); ინდიკო ბუთიაშვილი (ინსპექტორი) ელგუჯა ჯანყარაშვილი (ყვარლის შს განყოფილების მეორე თაობის მუშაკები, იოსებ ხინჩლაშვილი სამძებრო ინსპექტორი; არსენა ლომაური - უბნის ინსპექტორი, ქუჩუკი იობაშვილი - უბნის ინსპექტორი; გურამი ბაინდურაშვილი შრომა-გასწორების ინსპექტორი; ზაქარია ბუთიაშვილი უბნის ინსპექტორი; გოგია კირვალიძე - უბნის ინსპექტორი; ლევან შავბალახაშვილი ავტო ინსპექციის უფროსი: ბიძინა ხარაშვილი უბნის ინსპექტორი; გელა მეხრიშვილი გამომძიებელი; გოგი მეზვრიშვილი - გამომძიებელი; ზურაბ ზურიაშვილი ავტოინსპექტორი; უშანგი ზურიაშვილი სახანძრო რაზმის უფროსი; ვაჟა ტურაშვილი შს განყოფილების უფროსი; შეცვალა ელგუჯა ჯანყარაშვილი, ვ. ტურაშვილი შეცვალა ოთარი ღუჭაშვილმა, ოთარი ღუჭაშვილი შეცვალა დიმიტრი იოსებაშვილმა, დ. იოსებაშვილი შეცვალა ზურაბ ჯოხაძემ.

N3. შს ყვარლის რაიგანყოფილების მომდევნო პ/შემადგენლობა

1	ვაჟა ტურაშვილი	მილიციის უფროსი
2	ოთარი ღუჭაშვილი	მილ.უფრ.მოადგილე
3	ვაჟა ქოჩორაშვილი	სს სამძ. უფროსი
4	იოსებ ხანჩლიშვილი	სს სამძ. უფროსი

5	ინდიკო ბუთიაშვილი	უბნის ინსპექტორი
6	ლევან შავბალახაშვილი	ავტოინ. უფროსი
7	ქუჩუკი იობაშვილი	უბნის ინსპექტორი
8	ზაქარია ბუთიავილი	გამომძიებელი
9	ლოვა გალუსტოვი	სამძებრო
10	ვანდიდ ლობჟანიძე	გამომძიებელი
11	უშანგი ზურიაშვილი	სახანძრ/. ინსპექტორი
12	მათე ივანიშვილი	უბნის ინსპექტორი
13	ბიძინა ხარაშვილი	უბნის ინსპექტორი
14	ომარი რაზმაძე	უბნის ინსპექტორი
15	ვანო ომსარაშვილი	უბნის ინსპექტორი
16	ზურაბი ზურიაშვილი	ავტ.ინს.უფროსი

N4 შს ყვარლის რაი განყოფილების მომდევნო პირადი შემადგენლობა

1	ელგუჯა ჯანყარაშვილი	განყ-ბის უფრ. მოადგილე
2	ბორის აბრამიშვილი	შსს-ს უფროსი
3	აკაკი გულიაშვილი	სს საგამ. უფროსი
4	ვაჟა ქოჩორაშვილი	სამსახურის უფროსი
5	ინდიკო ბუთიაშვილი	ავტოინს.უფროსი
6	ლევანი შავბალახაშვილი	უბნის ინსპექტორი
7	ზაქარია ბუთიაშვილი	უბნის ინსპექტორი
8	არსენა ლომაური	სს საგამ. ინსპექტორი
9	იოსებ ხინჩლაშვილი	უბნის ინსპექტორი
10	ქუჩუკი იობაშვილი	შრ.გასწ. ინსპექტორი
11	გურამი ბაინდურაშვილი	ავტო ინსპექტორი

12	ლევან შავბალახაშვილი	ბსს-ს ინსპექტორი
13	ოთარი ლუჯაშვილი	უბნის ინსპექტორი
14	ავთანდილ აშკარელი	უბნის ინსპექტორი
15	ჯიოევი	უბნის ინსპექტორი
16	ვანო ომსარაშვილი	უბნის ინსპექტორი
17	მათე ივანიშვილი	უბნის ინსპექტორი



1978 წელი 1 მაისი
ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების პირადი
შემადგენლობა საპირველმაისო დღესასწაულის შემდეგ

დგანან:

1. ზაქარია ბუთიაშვილი
2. ჟალმონტი იოსებაშვილი

3. ლოვა გალუსტოვი
4. გურამ სამყურაშვილი
5. ქუჩო იობაშვილი
6. გოგი სტურუა
7. ბიძინა ხარაშვილი
8. უშანგი ზურიაშვილი
9. კანდიდ ლობჟანიძე
10. არსენ ლომაური
11. ედვარდ გიორგაშვილი
12. ომარ ----------
13. მათე ივანიაშვილი
14. ილია ----------

PS. სამწუხაროდ ზოგიერთი თანამშრომლის დასახელება სრულყოფილად ვერ მოხერხდა.

სხედან:

1. ვაჟა ქოჩორაშვილი
2. ვაჟა ტურაშვილი
3. ოთარ ლეგაშვილი
4. ინდიკო ბუთიაშვილი
5. იოსებ ხინჩლაშვილი
6. ლევან შავბალახაშვილი
7. ვანო ომსარაშვილი



1987 წლის 2 მაისი, ყვარელი, კუჭატანი
ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების
თანამშრომელთა ერთი ჯგუფი სოფელ კუჭატანში მაისობის
დღესასწაულზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს.



1988 წელი, ყვარელი, გრემჭალაჭობა!
ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების ერთი
ჯგუფი გრემჭალაჭობაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის
დროს

გთავაზობთ მცირე ცვლილებებით
ინდიკო ნიკოლოზის ძე ბუთიაშვილი
(ბიოგრაფია)

დაბადებული ვარ სოფ. გავაზში, 1041 წლის 2 თებერვალს. საშუალო განათლება მიღებული მაქვს ამავე სოფლის საშუალო სკოლაში, ხოლო უმაღლესი ქ. თბილისის ა.ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1961 წლიდან 1964 წლებში ვიმსახურე საბჭოთა არმიის რიგებში. 1965 წელს ვიქორწინე და ოჯახი შევქმენი მზია შალვას ასულ მოდებაძესთან ერთად.

ამჟამად ვარ სამი შვილის მამა და რვა შვილიშვილის პაპა. გვყავს ერთი შვილთაშვილიშვილი.

1966 წლიდან 1968 წლამდე ვხელმძღვანელობდი სოფ. გავაზის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციას და ამავე ორგანიზაციის ახალგაზრდულ ბრიგადას.

1968 წლის მაისის თვიდან კომკავშირის რაიკომის გაწვევით და საგზურით მივლინებული ვარ შინაგან საქმეთა ყვარლის რაიგანყოფილებაში არასრულწლოვანთა საქმეების სამსახურის ინსპექტორად. ჩემი მოვალეობა იყო სკოლებში ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან პროფილაქტიკურ-

აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, დანაშაულის აღკვეთა-აცილების პრევენცია და სხვა.

აქ მუშაობის თვალსაჩინო მიღწევები დაფასდა იმით, რომ 1970 წელს დამაწინაურეს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ სამსახურის ინსპექტორის რანგში და მომანიჭეს ლეიტენანტის ჩინი.

ორგანოებში ვიმუშავე 31 წელი. სამხედრო სამსახურის ჩათვლით, მაგზავნიდნენ იქ, სადაც ყველაზე ძალიან უჭირდა განყოფილებას. ბოლოს დამევალა საპასპორტო სამსახურის ფუნქციონირებისა და მუშაობის გაუმჯობესება რესპუბლიკურ გამოწვევათა მოთხოვნილების დონეზე. აქ ვიმუშავე 15 წელი. პარალელურად მონაწილეობას ვიღებდი განყოფილების მიერ გატარებულ ყველა ოპერატიულ თუ პროფილაქტიკურ ღონისძიებებში, დამნაშავეთა მხილება დაკავებაში და სხვა. პირადად მაქვს გახსნილი ყაჩაღობის და ქურდობის ფაქტები. პენსიაზე გავედი 1996 წელს, კაპიტნის ჩინით/. მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილი ვიყავი მორიგ ჩინზე და მეკუთვნოდა, არ წარვადგინე საბუთები და დავუბრუნდი საოჯახო-სამეურნეო საქმიანობას.

ვარ მრავალი ღონისძიების მონაწილე. ვიცავდი წესრიგს და მოქალაქეთა უსართხოებას, როგორც რაიონში, ისე რესპუბლიკის სხვა რეგიონებში. ვმონაწილეობდი ბოლნისის, თბილისში ეროვნული მოძრაობის და ცხინვალის კონფლიქტის აღმკვეთ ღონისძიებებში.

მუშაობა მომიწია ოთხი მინისტრის და შვიდი შს განყოფილების უფროსის ხელმძღვანელობის პერიოდში. სამსახურის ბოლო ხუთმეტი წლის მანძილზე სათავეში

ვედექი ადმინისტრაციული ორგანოების (სასამართლო, პროკურატურა, სახანძრო და შს განყოფილება/ პარტიულ ორგანიზაციას.

ჩემი პატიოსანი მუშაობით დავიმსახურე რაიონის მოსახლეობის პატივუსცემა. ეს მაძლევს უფლებას ამაყად ვთქვა - დიახ, არ მრცხვენია ჩემი ორგანოებში მუშაობისა და საქმიანობის გამო.

მილ. კაპ. ინდიკო ბუთიაშვილი

ამ წიგნში მრავლად იქნება ნათქვამი და გახსენებული ჩვენი, ვეტერანების მიერ იმ თავგადახდენილი ისტორიებისა, თუ თავგადასავლების შესახებ, რომლებიც წლების მიღმა დარჩა და არსად არ თქმულა. ასეთი მოსაგონარებით ხომ სავსეა ჩვენი განვლილი სამსახურეობრივი პერიოდი.

გარდა იმისა, რომ მეტად მძიმე და ხიფათით სავსე იყო სამსახური, ადგილი ჰქონდა კურიოზებსაც, რომლებიც ტკბილ მოგონებად დაგვრჩა. და ამ გადასახედიდან თუ გადავხედავთ, დავინახავთ რამდენად გვიმსუბუქებდა ასეთი შემთხვევები ოცდაოთხსაათიან მძიმე შრომას. მე ერთ ასეთ კურიოზზე ვისაუბრებ.

1971 წლის ზაფხულში, დღე აღარ მახსოვს, ყვარლის შს განყოფილების უფროსის მოადგილე, მილ. მაიორი ბორის აბრამიშვილი, მილ. პოლკ. ლოვა გალუსტოვი, უფროსი ლეიტენანტი ავთანდილ აშკარელი და თქვენი მონა-

მორჩილი, მორიგი ოპერატიული დავალების შესრულების შემდეგ ვბრუნდებოდით მინდვრიდან, სოფ. გავაზში. გვაინი საღამო იყო. ე.წ. ,,ლელიანის“ მინდვრებში შეგვხვდა ერთი ჩვენი ნაცნობი და გვაუწყა, რომ ნაქურდალი ცხენები, რომლების საპოვნელადაც თქვენ ამდენს დადიხართ, ამაღამ ლელის ტყიდან, სადაც ქურდებს ჰყავთ გადამალული, გაჰყავთ ყანდაურა-ჩაილურის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ დაღლილები და მშივრები ვიყავით, დავიწყეთ მსჯელობა იმის შესახებ რა უნდა გვეღონა. ლელის ტყე ალაზნის გაღმა იყო, გურჯაანის ტერიტორია. იქ რომ რაიმე ღონისძიება ჩაგვეტარებინა გურჯაანის შს განყოფილებისათვის უნდა შეგვეთანხმებინა ან მათი მონაწილეობით უნდა განგვეხორციელებინა. იქ კომუნიკაციის ისეთი საშუალებები არ გვქონდა იმ დროს, როგორიც დღეს არის. გადავწყვიტეთ გავსულიყავით გაღმა და ჩასაფრება მოგვეწყო ალაზნის არხზე მდებარე ხიდზე, რომელზედაც ჭერმის ხევი გადმოედინებოდა. აღნიშნულის შესახებ კი მეორე დღეს გვეცნობებინა გურჯაანის შს განყოფილებისათვის.

გავტოპეთ ალაზანში და ტყეზე რის ვაი-ვაგლახით გასულ-გამძვრალებმა ვიპოვეთ არხზე გადმომავალი ხიდი, რომელსაც მართლაც მხარს ვერ აუქცევდა იქით წამსვლელი. ჩავსაფრდით. საშუალო ხილვადობის ღამე იყო. დაახლოებით ღამის სამ საათზე ქვემოდან მომავალი ცხენის ფლოქვების ხმა მოისმა. მალე დავინახეთ რომ ცხენზე კაცი იჯდა და სწრაფად მოერეკებოდა ხიდისაკენ. მაიორმა ნიშანი მოგვცა და როგორც გაგვისწორდა, იარაღმომარჯვებულები გადმოვხტით საფარიდან. ცხენს აღვირში ვტაცეთ ხელი და

ადგილზე გავაჩერეთ. უცნობი ზედავე გავჩხრიკეთ, იარაღი აღმოაჩნდა. დავრწმუნდით, რომ ეს სულ სხვა, შემთხვევითი გამვლელი პიროვნება იყო და ცხენს ხელი გავუშვით. მოხდა მოულოდნელობა, ცხენი უცბად გავარდა და უცნობი მოწყვეტით დაეცა მიწაზე. უფრო იმან შეგვაშფოთა, რომ ქვაღორღიან გზაზე დაცემული აღარ ინძრეოდა. შეშინებულებმა, ხომ არ მოკვდაო, რის ვაი-ვაგლახით მოვაბრუნეთ. ლოვა გალუსტოვი თავისი ფორმის ქუდით ეზიდებოდა გუბის წყალს და ასხამდე სახეზე. როცა გონს მოეგო შევეკითხეთ წამომჯდარს, თუ ვინ იყო და რას დაიარებოდა ამ შუა ღამეს. მწყემსი ვარ, სახლში მივალ, ცოლი უნდა მოვ. ნა და სანამ გათენდება ისევ ბინაზე ბრუნები მოვწველო. თქვენ რა გინდათ ჩემგან თქვენი დედაო

აგვიტყდა სიცილი. მაიორმა ისევ დაიწყო ცხენივით ფრუტუნ-სიცილი ხმა ალბათ ლაგოდეხამდე ჩავიდოდა.

გავიშიფრენით, ხმაურზე იქ აღარავინ მოვიდოდა. მწყემსს ვუთხარით თავისი გზით წასულიყო სახლში. ადგომაში მივეხმარეთ, რადგან ცხენზე ვეღარ ჯდებოდა, ახტომაში ხელი მივაშველეთ. მოხდა კიდევ ერთი მოულოდნელობა, ხელის მიშველება ძლიერად მოგვივიდა და მეორე მხარეს გადავარდა. სიმწრით გვეცინებოდა. მიწაზე დაცემულის მეორედ მობრუნება ძალიან გაგვიჭირდა, რადგან გუბის წყალი აღარ იყო. კაპიტანი იძულებული გახდა წყალი ქუდით არხიდან ამოელო. ჩაეკუზა და ესეც ბედი, თავდაყირა გადაეშვა. არ ვიცოდით თუ ცურვა არ იცოდა, მე და მაიორს დიდი ჯაფა დაგვადგა, მის გამოსათრევად. თარსი ღამე იყო ნამდვილად. ყვირილზე და ხმაურზე მიწაზე წამომჯდარი დაგვხვდა მწყემსი,

მისვლისთანავე შეგვიკურთხა რაზე მკლავთ თქვენი დედაო. სველებმა და ამოლუმპულებმა ახლა ფრთხილად შევსვით თავის ცხენზე და გავაცილეთ. ოციოდე ნაბიჯის გავლის მერე შეჩერდა, მობრუნდა და მოგვაძახა ,,თქვენი დაჭერილი ქურდის დედა და მერე თქვენიცაო. რა უნდა გვეთქვა, ყურებჩამოყრილებმა გავაყოლეთ თვალი.

ეს კურიოზი აქ არ მთავრდება, ამას სხვა მოჰყვება. ყვარლის მევ. საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში მკვლელობა მოხდა. მკვლელი დავაკავეთ. მოკლული ახლობლებმა სოფ. ყიტაანში გადაასვენეს, გურჯაანის რაიონში. პროკურორმა ექსპერტის დასკვნა მოითხოვა აღძრული საქმისათვის. საჭირო გახდა ექსპერტს შეემოწმებინა გვამი. მაშინ ყვარელს ემსახურებოდა კრიმინალ-ექსპერტი ლევან სარაჯიშვილი. სამწუხაროდ სახელი აღარ მახსოვს, მის მერე თითქმის 46 წელი გავიდა. უფროსის დავალებით წავედით ს. ყიტაანში, როცა დავუხვიეთ ყვარელი-გურჯაანის ცენტრალური გზიდან და დავადექით არხის პირას მიმავალ გზაზე და მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ზემოთ ნათქვამი კურიოზი შეგვემთხვა, ამიტყდა სიცილი. სარაჯიშვილი დაინტერესდა. როცა მოვუყევი რაც გადაგვხდა, ახლა მას აუტყდა ჩვენს საცოდაობაზე სიცილი. მოკლედ, რომ იტყვიან გადაბჟირდა. თურმე სიცილის დროს თვალები ეხუჭებოდა, არ ვიცოდი, ხოდა ,,ჟიგული" ხეს ,,ჩაახუტა" გადავრჩით! როცა გონს მოვედით შეგვრცხვა. სწრაფად გადმოვედით დინგმილეწილი მანქანიდან და რის ვაი-ვაგლახით გამოვაგორეთ უკან. ვფიქრობდით არავის დავენახეთ გამვლელს და არ ეთქვათ. ესენი ბუები ყოფილანო.

სხვებს ალბათ უფრო საინტერესო კურიოზი გადახდებოდა.

ერთს ვისურვებ მხოლოდ, აგვრიდებოდეს მარცხიანი კურიოზები.

21,06,2017წ.,

ლომაური არსენა დიმიტრის ძე

ავტობიოგრაფია



დავიბადე გორის რაიონის სოფ. ქორდში, 1940 წლის 12 აგვისტოს. 1969 წ. დავამთავრე ქ. თბილისის მილიციის სკოლა, დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გამანაწილეს ყვარლის რაიონში, უბნის ინსპექტორად. ვმუშაობდი სხვადასხვა უბანში. მუშაობის პერიოდში მქონდა ბევრი სიძნელეები. კერძოდ ეგრეთწოდებულ მხედრიონელებთან

დაპირისპირება, რომლებიც ჩადიოდნენ უკანონო ქმედებებს მშვიდობიან მოსახლეობის წინააღ,დეგ. მოსახლეობას არ აძლევდნენ მშვიდათ ცხოვრების საშუალებას. მხედრიონელების ქმედებებს თან მოჰყვა სამაჩაბლოში და აფხაზეთში არეულობა, სადაც განყოფილების თანამშრომლებთან ერთად სხვადასხვა დროის განმავლობაში მიწევდა ბრძოლა. ამ დროს ჩემი შვილი სწავლობდა ქ. ცხინვალში, რომელიც ვერ გამოდიოდა ქალაქიდან შექმნილი სიტუაციის გამო. ოსი მოსახლეობა შეიარაღებული იყვნენ სხვადასხვა იარაღით, რომლებიც ქალაქიდან გასვლის უფლებას არავის აძლევდნენ. იძულებული ვიყავი ჩემი შვილისთვის ჩამეცვა ჩემი შინელი, ჩავსვი ავტობუსში და ისე გამოვიყვანე ქალაქიდან. ჩამოვედით გორში, მაგრამ მეორე დღისით ისევ დაგვაბრუნეს უკან და გაგვაჩერეს ცხინვალის შესასვლელში, ეგრეთ წოდებულ ზღუდრის თავში, მთელი ღამის განმავლობაში გვესროდნენ ავტომატებს, ერთ-ერთი გასროლის დროს ტყვიამ გამიარა შინლის ბოლოში. მეორე დღისით მოგვივიდნენ შემცვლელები ჩვენი განყოფილებიდან. ერთი კვირის შემდეგ ისევ დაგვაბრუნეს შეცვლაზე. ასე გრძელდებოდა სანამ არ დამთავრდა ეს უთანხმოება.

ამის შემდეგ გაგვაგზავნეს აფხაზეთის ომში, სადაც იგივე სიტუაცია იყო, როგორც ცხინვალში. იქაც ისროდნენ ჩვენს მიმართ ავტომატებს.

1997 წელს გამიშვეს პენსიაზე მაიორის წოდებით.

გურამ მიხეილის ძე ბაინდურაშვილი

ავტობიოგრაფია



დავიბადე 1945 წლის 20 აპრილს ქ. ლაგოდეხში. დავამთავრე ლაგოდეხის მე-2 საშ. სკოლა 1963 წელს. 1964 წელს გამიწვიეს სამხედრო სამსახურში ქ. ვლადივოსტოკში საზღვაო ფლოტში. 1967 წლის 27 მარტს დავინიშნე ყვარლის შს რაი განყოფილების შ/გ (შრომა-გასწორების) ინსპექციის უფროსად. შემდეგ ვმუშაობდი სხვადასხვა სამსახურებში ყვარელში, ლაგოდეხში, თბილისში, თელავში სამხარეო შს სამმართველოში. სულ ჩემი მუშაობის სტაჟმა შეადგინა 38 წელი.

მოგონება

მაშინ 1993წ. ვმუშაობდი ყვარლის დაცვის სამსახურის უფროს ინსპექტორად. არა გვქონდა ხელფასები და სწორედ მაშინ მომიწია სოხუმში გამგზავრება. სულ ვიყავით 120 კაცი. გავფრინდით თბილისიდან. ოქ ვცხოვრობდით ერთ-ერთ სასტუმროში, რომელიც ჩვენი ძალებით აღვადგინეთ. მაშინ მარტო სოხუმიღა იყო ჩვენს განკარგულებაში. ვმუშაობდით შიგა ქალაქში წერისგის დასაცავად. პირადად მე ვიყავი სოხუმის სპორტის სასახლესთან 15 კაცთან ერთად. მყავდა სამი ყვარლელი, სამი გურჯაანელი და სამი თელაველი, მათთან ერთად

მყავდა 5 ზუგდიდელი ავტოინსპექტორი. ერთი მორიგეობის დროს ჩვენთან პოსტზე გაიარა ბატონმა ჟიული შარტავამ ფოტოკორესპოდენტთან ერთად. მან მითხა თუ საიდან ვიყავი. რომ გაიგო რომ ყვარლიდან, ძალიან გაუკვირდა, სურათიც კი გადაგვიღო კორესპოდენტმა, მაგრამ დაპირებისა ვერ მივიღე. 1993 წლის 16 სექტემბერს, როდესაც ვიყავით იმავე ადგილზე პოსტზე. დაიწყო რუსების მხრიდან ბომბების დაშენვა, იმ დროს საქართველოს შეიარაღება გაყვანილი ჰყავდა. მე შევკრიბე ჩემი რაზმი და წავედით ჩვენს სასტუმროში. გზად უნდა გაგვევლო რუსების ბაზა, ამიტომ მას შემოუარეთ რომ ხელში არ ჩავვარდნილიყავით. ჩვენ სუყველას მოგვიყარეს თავი შს სამინისტროსთან. ამ დროს მიდიოდა ინტენსიური დაბომბვა. შემდეგ გადაგვიყვანეს ისევ სასტუმროში და გამოგვიცხადეს ვისაც გინდა თავს ისე უშველეთო.

შევგროვდით 45 კაცი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და წავედით აეროპორტში. აეროპორტიც იყო რკალში. აეროპორტის დაცვამ ყველას ჩამოართვა იარაღი, რომლებიც ჩემი აზრით არ იყო კარგი ხალხი. აეროპორტს მოაწყდა უამრავი ხალხი, ჩვენ შევძელით წრის გაკეთება და პირველ რიგში უშვებდით ქალებსა და ბავშვებს. მაგრამ ახალგაზრდა ხალხი 20-30 წლის ასაკში ყველაზე კარგად გარბოდა. ასე გამოვაგზავნეთ რამოდენიმე რეისი.

ჩვენ ასე დავრჩით.

ამ დროს როსტოვიდან ჩამოფრინდა 134 (სატვირთო) ხალხით სავზე.


ჩვენ ისიც დავცალეთ.

ამ დროს მოიყვანეს დაჭრილები. ჩვენ ვცდილობდით ისინი მაღლა აგვეყვანა, მაგრამ ფეხებ ქვეშ გვიმყრალდნენ გამქცევი ხალხი და ნახევარი საათი მოუნდით მათ ტრასზე აყვანას.

თვითმფრინავი გადაიტვირთა. აფრენის მომდევნო ვეღარ სწორდებოდა. მაშინ მფრინავის კაბინიდან გამოვიდა ავტომატიანი კაცი და დაიყვირა ,,ასე ნაზად" როგორც იყო თბილისში ჩამოვფრინდით, სადაც უამრავი ხალხი იყო შეკრებილი, რომელთაც უნდოდათ სისხლში გამგზავრება.

რ.ზ. დამავიწყდა აეროპორტში ყოფნის დროს ჩვენი უშუალო უფროსი და მისი დამქაშები მიხდნენ თვითმფრინავს მფრინავის კაბინიდან აყოდნენ თვითმფრინავში, გაიქცნენ და დაგვტოვეს იქ ღმის ანაბარად.

მოკლე ავტობიოგრაფია



მე, მათე ხვთისოს ძე ივანიაშვილი, დაბ. 1945 წელს დუშეთის რ-ნის სოფ. წიფრანში, რომელიც შედის მაღაროსკარის თემის საკრებულოში ფშავის ხეობაში. დაწყებითი განათლებაც იქვე მივიღე.

1957 წლიდან ჩვენი ოჯახი მთლიანად საცხოვრებლად გადავდივართ კახეთში, კერძოდ ყვარლის რ-ნის სოფ. მთისძირში. საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიხადე სამხედრო-სავალდებულო სამსახური. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ 1968 წელს მუშაობა დავიწყე ქ. თბილისის მეტროპოლიტენში სპეციალური დაცვის სამსახურში, ერთი წლის შემდეგ ჩავირიცხე მილიციის სპეც. სასწავლებელში, სადაც მივიღე იურიდიული განათლება და პირველი წოდება ლეიტენანტის ჯერ განაწილებით გამაგზავნეს გარდაბნის რ-ნში უბნის ინსპექტორად, შემდეგ კი გადავედი ყვარლის რ-ნში. რაიონის ხელმძღვანელობის თხოვნით, 1972 წლის მაისის თვიდან ვიმუშავე 6 წელი სოფ. შილდაში, სადაც თავიდან არავინ მიდიოდა, რადგან ჩემს მისვლამდე აღნიშნულ სოფელში ხუთი თვის წინ ბოროტმოქმედმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ჩემი წინამორბედი

ინსპექტორი (ბორის მშვილდაძე, ღმერთმა აცხონოს ის იყო ბაღდადის რაიონიდან).

სოფ. შილდაში მუშაობა თავიდან ცოტა გამიჭირდა, რადგან მოსახლეობას არ ვიცნობდი, აქ დამეხმარნენ თვითონ სოფლის აქტივი, რასაც მოკლე დროში აუღე ალღო და ექვსი წელი წარჩინებით გავართვი თავი. მქონდა სხვადასხვა შემთხვევები დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლისას, რაც ზოგჯერ ჩემი თუ სხვისი სიცოცხლის გადარჩენას ეხებოდა. აქედან გავიხსენებ ერთ შემთხვევას, რომელიც მოხდა 1977 წლის 25 თებერვალს დღისით-მზისით ავტომატური სანადირო თოფით ეჭვიანობის ნიადაგზე ქმარმა მოჰკლა ცოლი, სამი მცირეწლოვანი შვილების დედა, ეს მკვლელი იყო ფსიქიკურად შეშლილი, მისი დაკავება და განიარაღება მომიხდა მარტოს საკმაოდ რთულ და დაძაბულ ვითარებაში, ვინაიდან მეც და დამნაშავეც აღმოვჩნდით პირისპირ ერთი-ერთზე. მისი შეპყრობისას მივიღე სხეულის მსუბუქი დაზიანება, მაგრამ ღვთის მადლით გადავრჩი. მან სამჯერ მოასწრო ჩემი მიმართულებით თოფის სროლა რის აცდენაც შევძელი.

უბანში ვიმუშავე სულ 18 წელი, დანარჩენი წლები ვიმუშავე უფროს ოპ. მორიგე ინსპექტირად და საშსახურის უფროს ინსპექტორად. აი ასე განვლე ჯერ მილიციის და შემდეგ პოლიციის სამსახურში 33 წელზე მეტი. აქვე მინდა გავიხსენო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ როგორ დაიძაბა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება, თავიდან გაჩნდა უმართაობა. თავი იჩინეს სხვადასხვა სახის კრიმინალურმა დაჯგუფებებმა, რასაც მოჰყვა ქვეყანაში სამოქალაქო ომი, ტერიტორიული მთლიანობისთვის

შეიარაღებული კონფლიქტები ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიების საქართველოს იურისდიქციაში და ერთიანობაში ყოფნას და შენარჩუნებას, რაც დროებით ვერ შევძელით და უცხო ძალის ჩარევით დროებით დავკარგეთ. აი ამ ყველაფერმა გადაიარა პოლიციის და მაშინდელი შინაგანი ჯარის ნაწილებზე და დანაყოფებზე, ამას შეეწირნენ უამრავი პოლიციელი და სხვა პატრიოტული სულის მქონე სამოქალაქო პირი (ჩვენ მაშინ არ გვყავდა ჯარი, რაც ქვეყნის თავდაცვის გარანტია).

გავიხსენებთ 1991 წლის ცნობილი 9 აპრილის მოვლენებს სამაჩაბლოში, სადაც მე ვიმყოფებოდი ყვარლის პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, ვიყავი ჯგუფის უფროსი ათი კაცის შემადგენლობით და ვიცავდით ოს და ქართველ ხალხს შორის დაძაბულობის განმუხტვას. ეს მისია თითქმის სამშვიდობოს ჰგავდა, მაგრამ სიტუაცია მაინც დაძაბული იყო და ყოველ წუთს შეიძლებოდა ვითარება უმართავი გამხდარიყო, ამ დროს მაშინდელმა სსრკ-ს პრეზიდენტმა გორბაჩოვმა შემოიღო სპეციალური საპრეზიდენტო ვითომ მმართველობა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოიყვანეს სსრკ-ს სპეც დანიშნულების ბატალიონი, მძიმე საბრძოლო ტექნიკა და ავიაცია. დილით 9 აპრილს გამთენიისას თავს დაგვესხნენ „ბლოკ-პოსტზე“ მდგომ 20 კაციან ჯგუფს და მაშინდელმა შინაგანი ჯარის რუსეთიდან ჩამოსულმა მაღალ ჩინოსნებმა თავიანთ ჯარის კაცებთან ერთად ჩამოგვართვეს თუ რაიმე იარაღი გაგვაჩნდა თავდაცვისათვის და აგვიყვანეს პატიმრობაში. ჩვენ შეიარაღებას შეადგენდა თითო ცალი პისტოლეტი მაკაროვი და 20 კაცს სულ გვქონდა ექვსი ცალი ავტომატური იარაღი.

აი ამით რა წინააღმდეგობას გაუწევდით მათ, როდესაც თავზე ვერტმფრენები დაგვტრიალებდნენ და საგუშაგოზე მათი სამხედრო მძიმე ტექნიკა მოგვადგა ორივე მხრიდან, ისინი ყველა იყო, რომ იტყვიან ,კბილებამდე შეიარაღებულნი, ჯარისკაცებს ჰქონდათ ყუმბარმტყორცნები და სნაიპერული შაშხანები. აი ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით და თუ რაიმე გაგვაჩნდა პირადი ნივთები, პირადობის მოწმობებთან ერთად ჩამოგვართვეს, შეგვრეკეს ცხინვალის ციხეში, სადაც ოთხი სუტკა გვამყოფეს, შემდეგ კი ჩვენი განყოფილებების ხელმძღვანელების მცდელობით ისევ რუსების ჩარევით და მათი მოსყიდვით გამოგვიშვეს ჩუმად, რომ არავის გაეგო, ეს მოხდა საღამოს საათებში, როგორც შემდეგში გავიგე, არა ოფიციალურად, ოსური მხარე აპირებდა ჩვენს გასამართლებას, რაც შესაძლებელი იყო მაშინ მათთვის.

ამას მოჰყვა შემდეგ აფხაზეთის ამბები სოხუმის დაცემა, სადაც მე პირადად აღარ მომიწია წასვლა, რადგან პირველი ჯგუფი უკან დაბრუნდა უკვე სოხუმის დაცემიდან, ჯგუფს ხელმძღვანელობდა მაშინდელი პოლიციის უფროსი დიმიტრი იოსებაშვილი.

ამის შემდეგ მიწევდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოს რეგიონში მივლინებები ჯგუფთან ერთად მოსახლეობის და სახ. ქონების დაცვის მიზნით, რადგან 1993-94 წლები ეს იყო ჯერ კიდევ ბანდ-ფორმირებების თარეშის და მათგან გვიწევდა მოსახლეობის დაცვა.

აი ასე განვლე ჩემი მილიციური და შემდეგ პოლიციური ცხოვრება.

2001 წლიდან გავედი თადარიგში და ამჟამად ვარ პენსიონერი. მყავს მეუღლე, ორი შვილი და სუთი შვილიშვილი. ვცხოვრობ სოფელში და შეძლებისდაგვარად ვეწევი მცირე საქმიანობას. ვარ საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი.

დიმიტრი შალვას ძე იოსებაშვილი

ავტობიოგრაფია



დავიბადე 05,02,1956 წელს. 1973 წელს დავამთავრე საშ. სკოლა.

1974-1976წ.წ. ვიმსახურე სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საჰაერო-სადესანტო ჯარებში.

1983წ. დავამთავრე წარჩინებით მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლა.

1979 წლიდან 2006 წლამდე ვმსახურობდი შსს სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

სოსო ილიას ძე ალადოშვილი

ავტობიოგრაფია



მე, სოსო ილიას ძე ალადოშვილი დავიბადე 1959 წლის 8 მაისს სოფ. გავაზში, იქვე დავამთავრე საშ. სკოლა 1976 წელს. 1978-1980 წლებში ვმსახურობდი არმიის რიგებში. 1983 წელს ჩავირიცხე და 1989 წელს დავამთავრე ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1981 წელს მუშაობა დავწყე საქართველოს შსს-ს პარტიული ორგანოების დაცვის განყოფილებაში, სადაც ვმუშაობდი 1989 წლამდე. 1989 წელს გადავედი ყვარლის შ/ს რაიგანყოფილებაში და ვმუშაობდი 2006 წლამდე. ვარ თადარიგის მაიორი. მყავს მეუღლე, 3 შვილი და 2 შვილიშვილი. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ჩემს მონაწილეობას: დაწყებიდან-დამთავრებამდე ვმონაწილეობდი სამაჩაბლოს დაცვაში და აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოქმნილ კონფლიქტებში და ვთვლი, რომ

ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის შვილს საამაყო არაფერი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მე მთელი ჩემი შეგნებით ვცდილობდი კეთილსინდისიერად შემესრულებინა ჩემზე დაკისრებული მოვალეობა. მინდა ქედი მოვიხარო და პატივი მივაგო ყველა იმ ადამიანს და თანამშრომელს, ვინც ყველაფერზე ბევრფასი თავისი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს.

ბატონო ინდიკო, თქვენ მთხოვეთ რაიმე გამეხსენებინა გადატანილი ბრძოლების შესახებ. ალბათ უფრო დადებით და პოზიტიურ კონტექსტში, მაგრამ სამწუხაროდ უარყოფითი და ნეგატური უფრო მეტი გამახსენდა და ამიტომ რაიმეს მოყოლისაგან თავს შევიკავებ. ისე თუ რაიმე კონკრეტული ფაქტი გაინტერესებთ ჩემს საქმიანობასთან და ბრძოლებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი თითქმის ყოველთვის იყო ოთარ გიორგევიჩი წესიერი და პატიოსანი კაცი და მასთან შეიძლება ყველა ფაქტის გადამოწმება.

პაატა გუგულის ძე აბვერდაშვილი

ავტობიოგრაფია



მე, პაატა გუგულის ძე აბვერდაშვილი დავიბადე 1962 წლის 20 თებერვალს ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში. 1979 წელს დავამთავრე სოფ. გავაზის საშუალო სკოლა. 1981-1983 წლებში გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1989 წელს დავამთავრე თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1990 წლიდან ვმუშაობ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1991-1993 წლებში ყვარლის შს რაი განყოფილებაში მუშაობის პერიოდში ვმონაწილეობდი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლებში სამაჩაბლოში. ვარ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

მოგონება

1992 წლის გაზაფხულზე ვმუშაობდი რა შსს ყვარლის რაი განყოფილებაში, ჩემს თანამშრომლებთან არჩილ კურდღელაშვილთან, ბეჟან ზურიაშვილთან, მალხაზი ყანჩელაშვილთან, ოლეგი ხოლეგაშვილთან და სხვებთან ერთად მივლინებული ვიყავი სამაჩაბლოში, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ჯგუფს ხელმძღვანელობდა მილიციის კაპიტანი ვაჟა ბუბუტეიშვილი. ჩვენი განყოფილება იდგა ზნაურის რაიონის სოფ. ოქონაში. ჩვენი დავალება იყო სოფლის მოსახლეობის დაცვა სეპარატისტების თავდასხმის შემთხვევაში. სოფლიდან ქ. ზნაურისაკენ მიემართებოდა სამანქანე გზა, რომლის მარცხენა მხარეს გზიდან რამოდენიმე ათეული მეტრის მოშორებით მიემართებოდა ტყის ზოლი. ხელმძღვანელობისაგან იყო მითითება, რომ თუ ამ ტყის ზოლიდან ვინმე მოგვიახლოვდებოდა, უნდა ვყოფილიყავით ყურადღებით, ვინაიდან აქედან იყო შესაძლებელი სეპარატისტების მხრიდან თავდასხმა. თენდებოდა, იქნებოდა დაახლოებით 06:00 საათი მე ვიდექი ბლოკ პოსტზე, რა დროსაც შევამჩნიე აღნიშნული ტყის ზოლიდან ჩვენი მიმართულებით მომავალი სამი ადამიანის ლანდი. მე იარაღი მოვიყვანე მზადყოფნაში და დაველოდე მოვლენების განვითარებას. მომიახლოვდნენ ეს ადამიანები და აღმოჩნდა სამი მცირეწლოვანი ბავშვი, ორი ბიჭი და ერთი გოგონა, რომლებიც იყვნენ შეშინებულები და ტიროდნენ. ისინი აღმოჩნდნენ ქართველები. ამის შესახებ შევატყობინე ჯგუფის ფროსს. ბავშვების გადმოცემით იყვნენ ქალაქ ზნაურიდან, ღამით მათთან შევარდნენ ოხი

ეროვნების შეიარაღებული პირები, დაუწვეს სახლი. მათ მოახერხეს გამოპარვა, არ იციან ახლა სად არიან და რა მდგომარეობაში არიან მათი მშობლები და პაპა-ბებია.

ბავშვები გადავიყვანეთ და ჩავაბარეთ სოფელში არსებულ ბავშვთა თავშესაფარში.

თავი IX. ლა

გოდებელი ვეტერანი - მევლუდი ღამბაშიძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი: ფართობი 890,2
მოსახლეობა 50,300
ვეტერანთა საერთო რაოდენობა
- ექიმი ვეტერანი



დაიბადა 1947 წლის 21 მარტს, ლაგოდეხის რაიონის სოფე. თამარიანში. 1950 წელს ოჯახი გადავიდა სოფელ კართუბანში. 1965 წელს მედალზე დაამთავრა კართუბნის საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1971 წელს. გაიარა 1 წლიანი ინტერნატურა.

1972-1974 წლებში მსახურობდა ექიმად საბჭოთა არმიის სარაკეტო ჯარში უკრაინაში ივანოვო-ფრანკოვსკის ოლქში, ქ. დოლინაში.

1974 წლიდან მუშაობს ქ. ლაგოდეხში, ჯერ ექიმ თერაპევტად, შემდეგ ექიმ ნევროლოგად. 1987-1994წ.წ.

რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს ნევროლოგიური
განყოფილების გამგედ.

ამჟამად ეწერგოელად მოღვაწეობს ზ.ა.ს. „არქიმედეს“
კლინიკურ საავადმყოფო-ამბულატორიის ნევროლოგად.
არის ლაგოდეხის რაიონის საქართველოს ერთიანი
კომუნისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციის
თავმჯდომარე, მდივანი. ხანგრძლივი შემოქმედებითი
მოღვაწეობით დაიმსახურა ღირსეული სიცოცხლე და
პატივისცემა. ვესურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ
სიცოცხლეს, გახარებას მეუღლესთან, 4 შვილთან, 5
შვილიშვილთან ერთად.

მეცნიერება 2016 წლის თებერვალში მიუბრუნდა თბილისის არქიმედეს სახელობის კლინიკის კოლორექტალ ექიმის წოდება.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი ფართობი 846
მოსახლეობა 73200
ნოდარი ბეჟიტაშვილი



დაიბადა 1963 წლის 5 სექტემბერს ქ. გურჯაანში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სადაც გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, დაქორწინების შემდეგ შეეძინა ერთი ვაჟი, მაგრამ მალე ურთიერთშეუთავსებლობის გამო დაშორდნენ ერთმანეთს ოფიციალურად. ნოდარი მუშაობდა გურჯაანის სალოკომოტივო დეპოში მემანქანის თანაშემწედ და ცხოვრობდა თავის დედასთან ერთად მარო ბეჟიტაშვილთან, მამა, ალექსანდრე ბეჟიტაშვილი, გარდაიცვალა 1986 წელს 25 სექტემბერს.

აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს 1993 წელს, როდესაც მძიმე დაძაბული სიტუაცია იყო, იგი მოხალისედ

წავიდა და ჩაეწერა შეიარაღებული ძალების რიგებში, კერძოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბატალიონში რიგით ჯარისკაცად, მაგრამ საუბედუროდ სოხუმის ახლოს სოფ. ლაბრაში 2 ივლისს დესანტის დადებულ ნაღმზე აფეთქდა, 14 დღის შემდეგ ჩამოასვენეს და ასე დაიკრძალა ქ. გურჯაანის ხევისუბნის სასაფლაოზე იმდროინდელი ხელისუფლების მიერ.


თავი XI. მცხეთა-თიანეთის მხარე, თიანეთის მუნიციპალიტეტის ვეტერანები

დღეს ხუთშაბათია,. 3 მაისი, 2018 წელი

გუშინ გადმომცეს მასალები თიანეთიდან.

მცხეთა-მთიანეთის მხარე, თიანეთის მუნიციპალიტეტი, ცენტრი თიანეთი, ფართობი 906,3, მოსახლეობა (ადამიანი) – 13,400

თიანეთის მუზეუმის დირექტორმა ნუკრიმ გადმომიგზავნა ისტორიული მნიშვნელობის ღირსეული, უტყუარი მასალები, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში თავგანწირული ბრძოლის მონაწილეთა თავგადასავლების თაობაზე, ახალგაზრდა მეომრების მიერ წინაპართა მსგავსი გმირული მოქმედების შესახებ. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-1945) მონაწილე თიანეთის მკვიდრთა მსგავსად ნიკოლოზ მგელიაშვილისა და მფრინავ მ.ი. აბრამიშვილის მაგალითზე, სამწუხაროდ ძალიან მწირი ცნობები გვაქვს მრავალი ორდენის, მედლისა და სახელმწიფო ჯილდოს მფლობელის მ. აბრამიშვილის თავდადებაზე. გთავაზობთ შემორჩენილ სურათს.



XXსაუკუნის დასასრულს საქართველოში განვითარებული ურთულესი მოვლენების, კერძოდ აფხაზეთის ომის ისტორია დაბეჯითებით შესწავლა-გააზრებას საჭიროებს. ურთიერთ დაპირისპირებას, ბრალდებებს, გაზიარებას გარედან, უცხო ქვეყნებიდან აქეზებდნენ საიდუმლოდ მოსყიდული აგენტების მოქმედებით, რასაც მოჰყვა საქართველოსთვის აუტანელი ზარალი. დაიკარგა აფხაზეთის, ის ჩამოსცილდა ქართულ სახელმწიფოს აფხაზეთის ომში მონაწილეობდა თიანეთელი ზურა იარაჯული. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ეროვნული გმირის წოდება.

ცალკე შესწავლის ღირსია დიდი სამამულო ომის (1941-1945) მონაწილის მფრინავი ორდენოსანი მეთაურის მ.ი. აბრამიშვილის მდიდარი საბრძოლო თავგადასავლები, ამჟამად გთავაზობთ მხოლოდ შემორჩენილ სურათს.

ნიკოლოზ მგელიაშვილი

დაიბადა 1923 წელს თიანეთის რაიონის სოფელ ლახატოში. შრომითი საქმიანობა დაიწყო თიანეთის სოფელ საყდრიონში,. არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1942 წელს გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში ფაშისტური გერმანიის წინაღმდეგ საბრძოლველად, საიდანაც 1945 წელს მძიმე ჭრილობებით, უამრავი საბრძოლო მედლებითა და ორდენებით მკერდდაშვენებული ლეიტენანტის წოდებით დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს. სხვადასხვა წლებში მუშაობდა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, პარტიის თიანეთის რაიკომის პირველ მდივნად. მისი მუშაობის პერიოდში დიდი აღმავლობა განიცადა რაიონმა.

შემდგომ (1975-1998წ.წ.) იგი მუშაობდა რესპუბლიკის მონადირეთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 2003 წელს. დაკრძალულია დაბა თიანეთში. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსი: ,,ქართველ მეომარს“.



გურჯისტაწყლო შენი ხმა თოფის გრიალზე ვრცანი.
დასაძახე მოკვდეს მტარვალი და მოდალატე ვინმე არი.
შენმა ნასროლმა შელეწა მოსისხლის გულის ფიცარი.
იდექ სამშობლოს კარებთან შამხანას შენაფიცარი.
ძმაც გვერდზე ეცდგა მოგიკლეს მკერდიდან სისხლი
სდიოდა.
სელთ ეპყრა თოფი დაგრილ ლომს თუნც იარები
სტკიოდა.
სულს ლევდა თურმე და მაინც ომი მინდო ჰკოდა.
შურის საგებად ბურჯღივით იდექი კავკასიონთან.
შენ სააკაძის ჯიშისაგ! ბმად შეუცილო იარაღს,
როგორ არწივმა დაჰკიცლე შავი ყორნების იალაღს,
როცა შენც დაგჭრეს ბრძოლაში და დაგაშრიეს იარა
ზიზღი მტერს! სისხლმა დაწერა მკერდზედ რომ
ჩამოიარა.

ქართველი პილოტი ზურა იარაჯული რომელიც აფხაზებს ტყვედ არ ჩაბარდა და გმირულად დაიღუპა



კურსანტი ზურა იარაჯული სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელში ყოფნის დროს

საქართველოს ეროვნული გმირი ზურა იარაჯული დაიბადა 1971 წლის 12 მარტს, თიანეთის რაიონის სოფელ იარაჯულებში. სკოლის დამთავრების შემდეგ მან რუსეთში კაჩას უმაღლეს სამხედრო საფრენოსნო სასწავლებელში ჩააბარა, სადაც საფრენოსნო პრაქტიკები ჩეხური წარმოების სასწავლო L-29 "დელფინი" და L-39 "ალბატროსი"-ს ტიპის თვითმფრინავებზე გაიარა. 1992 წელს მას ავიაციის ლეიტენანტის წოდება და მფრინავ-ინჟინრის სპეციალობა მიანიჭეს. ამ დროს საბჭოთა კავშირი უკვე

დაშლილი იყო, დამოუკიდებელ საქართველოში კი აფხაზური სეპარატისტული ძალები ძლიერდებოდნენ და ომი გარდაუვალი იყო. 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო. იმავე წელს ზურა იარაჯული სამშობლოში დაბრუნდა და ახალშექმნილ ქართულ სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებში მფრინავის შტატით ჩაირიცხა. 1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იარაჯულმა და რამდენიმე სხვა ქართველმა მფრინავმა თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის „ველის„ აეროდრომზე მოიერიშე Cy-25-ით ფრენის დაჩქარებული კურსები გაიარეს. ნოემბრის თვიდან კი კოპიტნარის აეროდრომიდან ზურა იარაჯულმა აფხაზეთის ფრონტზე საბრძოლო გაფრენები დაიწყო.

1993 წლის 13 ივლისი, აფხაზი სეპარატისტები და რუსი სამხედროები სოფელ შრომას გაფთრებით უტევენ, დილის 10 საათზე კოპიტნარის სამხედრო აერდრომზე ქართველმა სამხედროებმა სადაზვერო ინფორმაცია გადმოსცეს რომლის თანახმადაც მოწინააღმდეგის სამხედრო კოლონა სოფელ შრომის მიმართულებით მოემართებოდაა, კოპიტნარის სამხედრო აეროდრომიდან საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების ოთხი სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითფრინავი აფრინდა.



Cy-25 მოიერიშის კაბინაში მჯდარი კაპიტანი ზურა იარაჯული მორიგი საბრძოლო გაფრენისთვის ემზადება_ 1993 წლის 13 იგლისს საბრძოლო დავალებიდან მისი თვითმფრინავი აღარ დაბრუნდა_

ქართველი მფრინავების საბრძოლო დავალება იყო საავიაციო დარტყმებით გაანადგურონ მოწინაღმდეგის სამხედრო კოლონა. ქართული სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითფრინავებმა მალევე აღმოაჩინეს ამზარა-შრომის გზაზე მოძრავი აფხაზები სეპარატისტების საბრძოლო ტექნიკის კოლონა, კოლონაში შემადგენლობაში იყო ერთი ტ-55 ტიპის ტანკი, ორი ბმპ-1 ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ზუ-23-2 ავტომატური საზენიტო ქვემეხებით აღჭურვილი ოთხი გაზ-66 ტიპის სამხედრო ავტომანქანა, ჯავშანმანქანებს უკან ქვეითები მოყვებოდნენ.

ქართულმა სუ-25 ტიპის მოიერიშებმა დაბალი სიმაღლიდან მოწინაღმდეგის სამხედრო კოლონა ინტენსიურად დაბომბეს 500 კგიანი საავიაციო ბომბებით და ს-8 ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტებით. ქართულმა

სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითფრინავებმა აფსაზების სამხედრო კოლონა საავიაციო დაბომბვით მთლიანად გაანადგურეს. (მათ შორის ზურა იარაჯულმა) და კოპიტნარის აეროდრომზე მშვიდობიანად დაბრუდნენ.

დასვენებას ვერ ასწრებენ რომ კოპიტნარის აეროდრომზე მორიგი ინფორმაცია მოდის, ქართულმა დაზვერვამ აღმოაჩინა რომ განადგურებული კოლონის სანაცვლოდ აფხაზები და რუსები ახალ სამხედრო კოლონას აგზავნიან შრომის მიმართულებით, კოპიტნარის აერდრომიდან ქართული სამხედრო ავიაციის ორი სუ-25 ტიპის მოიერიშე აფრინდა, სუ-25 ს საბორტე ნომრით N 10 ზურა იარაჯული მართავს.

ქართული სუ-25 მოიერიშები ისევ წარმატებით ბომბავენ აფხაზების სამხედრო კოლონას,თუმა რუსი სამხედრობის მიერ იგლას ტიპის გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსიდან გაშვებული სითბური საზენიტო რაკეტა ზურა იარაჯულის სუ-25 მოიერიშეს ხვდება და ცეცხლი ეკიდება, ცეცხლმოკიდებული სუ-25 დან ზურა იარაჯული პარაშუტით ხტება ქარს პარაშუტი მოწინაღმდეგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიაქვს. მეორე სუ-25 კოპიტნარის აეროდრომზე ჯდება,კოპიტნარის აერდრომიდან სასწრაფოდ ფრინდება მი-24 ტიპის საბრძოლო შვეულფრენი და გუმისთას მიდამოებში ეძებს კატაპულტირებულ სამხედრო მფრინავს.თუმცა ძებნა უშედეგოდ მთავრდება.

მოგვიანებით ცონობილი გახდა რომ გუმისთის ტყეში აფხაზ სეპარატისტებს და ჩეჩენ მებრძოლებს ალყაში მოუქცევიათ ზურა იარაჯული და ტყვედ ჩაბარების

შემთხვევაში სხვა ტყვებზე გაცვლას დაპირდნენ. კაპიტანმა ზურა იარაჯულმა იცოდა რომ ტყვედ ჩაბარების შემთხვევაში აფხაზ ტყვებზე გაცვლიდნენ, სწორედ ამ გზით აფხზების ტყვეობიდან გამოვიხსენით ორი ქართველი სამხედრო პილოტი,თუმცა ზურა იარაჯულმა ტყვედ ჩაბარებაზე უარი განაცხადა და ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგეს. ორი მოკლა და ერთი ბოივიკიც დაჭრა. კაპიტანი ზურა იარაჯული გმირულად იღუპება. 1993 წლის 27 ივლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება გაფორმდა და მოხერხდა ზურა იარაჯულის ცხედრის გადასვენებ თიანეთში. სამწუხაროდ ამ ახალგაზრდა ქართველი სამხედრო პილოტის გმირობა დღემდე სათანადოდ არ არის დაფასებული, დღეს კაპიტან ზურა იარაჯულს 42 წელი შეუსრულდებოდა. ღმერთმა აცხოვნოს მისი სული.

2013 წლის 19 სექტემბერს კი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დღესთან დაკავშირებით ზურა იარაჯულს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

თავი XII. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - ვეტერანთა დაუწერელი ისტორია

(XX-XXI ს-ის 20-იანი წლები)

მიღებული და დამტკიცებული ვეტერანთა ყრილობის მიერ 2016 წელს
საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
რეგისტრირებულ ვეტერანთა საერთო რაოდენობა 2015 წლის მონაცემებით - სულ 72,513

სამეცნიერო პროექტი - „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ისტორია“
(XX-XXIს-ის 20-იანი წლები)

თემა: „ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXI ს.ს.)“

თელავი 2018

საქართველოს ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელს,
თადარიგის გენერალს
ბ-ნ ვლადიმერ იმნაძეს

ბატონო ვლადიმერ!

2016 წლის ივნისის თვეში ქ. თელავში ვეტერანთა ყრილობის მიერ მიღებული და დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXIს.ს.)“ აგრძელებს კვლევით საქმიანობას, თემაზე: „ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXI ს.ს.)“.

სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი არაკომერციული საზოგადოება „ფოლადის“ თავმჯდომარე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ელგუჯა მამუკელაშვილი. თანახელმძღვანელი ბრძანდება თენგიზ შუბლაძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი.

შემსრულებლები: ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გენერალი გურამ გვეტაძე და თადარიგის გენერალი გივი იუკურიძე.

გიგზავნით სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ძირითად მიმართულებებს ყველა კატეგორიის ვეტერანებისათვის, მოთხოვნები საერთოა ყველა სახეობის

წარმომადგენლებისათვის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ცალკე გამოიკვეთება საქართველოს უახლესი ისტორიის სამხედრო ინტელიგენციის ქართული გენერალიტეტის ვეტერანთა უდიდესი ღვაწლი და დამსახურება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ შემოქმედებით მოღვაწეობაში და გაგვიწიოთ თანადგომა. განსაკუთრებით საფინანსო უზრუნველყოფაში კანონის საფუძველზე.

პატივისცემით,

ელგუჯა მამუკელაშვილი

ქ. თელავი, სოფ. კურდღელაური

ტელ: 0350 27 25 33

ელგუჯა მამუკელაშვილი

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი:
„ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXIს.ს.)“

თელავი
2016 წლის 20 ივნისი

510

საქართველოს ომის, შრომის და სამხედრო ძალების
ვეტერანთა საქმეთა
სახელმწიფო სამსახური

2016 წლის 20 ივნისი

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი:
„ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXI ს.ს.)“

პროექტი შედგება ორი ძირითადი მიმართულებისაგან:

1) საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ისტორია;
2) საქართველოს შრომის ვეტერანთა ისტორია.

შესრულების ვადა: 36 თვე

პროექტის ხელმძღვანელი: ელგუჯა მამუკელაშვილი
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

თანახელმძღვანელი: თენგიზ შუბლაძე
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი.

შემსრულებლები:

1) ელგუჯა მამუკელაშვილი
2) თენგიზ შუბლაძე
3) ივანე ბურჯანაძე

4) დავით კალატოზიშვილი
5) ნინო თანდილაშვილი კომპიუტერული უზრუნველყოფა, ტექნიკური მდივანი

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

მიღებული და დამტკიცებული საქართველოს ვეტერანთა ყრილობის მიერ ქ. თელავში, 2016 წლის ივნისში (სამსახურის უფროსი: შიხიაშვილი)

პროექტი: ,,საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ისტორია (XX-XXIს.ს.)“
თემა: ,,ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXI ს.ს.)

პროექტის მსოფლმხედველობითი საფუძველია ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს სუვერენული განვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერება ვეტერანთა გამოცდილების საფუძველზე.

გამოყენებული იქნება ყველა აღიარებული მეთოდი მოვლენების სრულყოფილი შინაარსობრივი განზოგადებისათვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოვიძიებთ საარქივო მასალებს, მოვაწყობთ პირად შეხვედრებს.

გამოკვლეული და განზოგადებული იქნება ყველა სახეობის ვეტერანთა მიერ შესრულებული სანიმუშო საქმეების შედეგების მნიშვნელობა: ძირითადი მოთხოვნები: ვეტერანთა საერთო მონაცემები ქვეყანაში: მხარეების, მუნიციპალიტეტების აღრიცხვის საარქივო მასალებიდან, საერთო რაოდენობა, ომის ვეტერანები კატეგორიების

მიხედვით, სამხედრო ძალთა ვეტერანები, შრომის ვეტერანები. მოთხოვნები საერთოა ყველა სახეობის წარმომადგენლებისათვის: უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია მომავალთათვის.

ცალკე გამოიკვეთება საქართველოს უახლესი XXI საუკუნის ისტორიის სამხედრო ინტელიგენციის ქართული გენერალიტეტის ვეტერანთა უდიდესი ღვაწლი და დამსახურება, ქართული სამხედრო სტრატეგიის თეორიასა და საომარ პრაქტიკაში.

მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოვაქვეყნებთ სამეცნიერო ბიულეტენებს, ბროშურებსმ სტატიებს, ისტორიული მონოგრაფიების წიგნებს.

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში, ქვეყნის მასშტაბით, 2015 წლის მაისისთვის რეგისტრირებული ვეტერანთა საერთო რაოდენობა კატეგორიების მიხედვით შედგა 72,513.

გასათვალისწინებელია საერთო საფინანსო ხარჯები 150 000 ლარი, რაც გადანაწილდება შესრულებულ სამუშაოსა და საგამომცემლო მოთხოვნებზე.

თეორიული სამეცნიერო კვლევითი მიმართულების თითოეული მონოგრაფიის საგამომცემლო ტირაჟი იქნება სულ მცირე 2,500 ეგზემპლიარი.

კვლევის შედეგად გაანალიზებული ისტორიული მასალა განლაგჰდება ორი ძირითადი პრობლემის მოთხოვნის საფუძველზე.

I.საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ისტორია. 5 მონოგრაფიული ნარკვევი. პრობლემური შინაარსი:

ა)ცალკე განოიკვეთება საქართველოს უახლესი ისტორიის, XXI საუკუნის სამხედრო ინტელიგენციის - ქართული გენერალიტეტის ვეტერანთა უდიდესი ღვაწლი და დამსახურება ქართული სამხედრო ხელოვნების სტრატეგიასა და ტაქტიკაში. წიგნი N1.

ბ)წიგნი N2 - მიეძღვნება დიდი სამამულო ომის (1941-1945წ.წ.) ვეტერანთა (დღეისათვის შემორჩენილია 637) ისტორიას.

გ) წიგნი N3. სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ომის მონაწილე ვეტერანთა თავგადასავლის შესწავლა-გაანალიზებას.

დ) წიგნი N4. საქართველოს ტერიტორიაზე (1991-1992წ.წ.) აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანთა ისტორიას.

ე) წიგნი N5. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს (ცხინვალის) ომის ვეტერანთა ისტორიას.

II.საქართველოს შრომის ვეტერანთა ისტორიული ნარკვევის მონოგრაფიული გადმოცემა.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი შეიცავს საქართველოს ყველა მხარისა და მუნიციპალიტეტის ომის ვეტერანთა ნამდვილი, უტყუარი, გაუზვიადებელი, თანამედროვე უახლესი დროის ვეტერანთა დაუწერელი ისტორიის შექმნის აუცილებლობას.

ვეტერანთა დაუწერელი ისტორიის პროექტის შესრულება გათვლილია 36 თვეზე, რაც დიდად არის დამოკიდებული ფინანსურ მხარდაჭერაზე. მიკვლეული მასალების ანალიზის შედეგების სრულყოფილი აკადემიური მრავალტირაჟიანი გამოცემისათვის საჭიროა 150 000 ლარი, სამი წლის მანძილზე. ყოველი წლის ხარჯები 50 000 ლარის რაოდენობით.

გაწეული ფინანსური ხარჯების ზუსტ ბუღალტრულ ანგარიშს წარმოგიდგენთ პროექტზე მუშაობის პროცესში.

პატივისცემით,
ელგუჯა მამუკელაშვილი

სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი,
არაკომერციული საზოგადოება „ფოლადი“-ს თავმჯდომარე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ქ. თელავი

ს ოფელი კურდღელაური

ტ ელ: 0350 27 25 33

მ ობ: 570 50 12 74

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

მიღებული და დამტკიცებული საქართველოს ვეტერანთა ყრილობის მიერ (შიხიაშვილის თავმჯდომარეობით)

ქ. თელავი, 2016 წლის 20 ივნისი

პროექტი ,,საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ისტორია (XX-XXIს.ს. 20-იანი წლები)“

თემა: ,,ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXI ს.ს.)“

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში ქვეყნის მასშტაბით 2015 წლის მაისისთვის რეგისტრირებულ ვეტერანთა საერთო რაოდენობა კატეგორიების მიხედვით - სამამულო ომი, სხვა ტერიტორიებზე ომის, საქართველოს ტერიტორიაზე (1991-1993წ.წ.) ომის, თბილისში ძმათა მკვლელი სამოქალაქო ომის, 2008 წლის აგვისტოს ცხინვალის ომის შეადგენდა 72,513. მათ შორის დიდი სამამულო ომის (1941-1945) მონაწილე იყო 722. დღეისათვის (2018 წლის ივნისი) მათი რაოდენობაა 637.

პროექტის სრულყოფილი შესრულებისათვის აუცილებელია ფინანსური სახსრების მოძიება და მხარდაჭერა.

შესწავლილი და სათანადო აღიარებით გადმოცემული იქნება ვეტერან გენერალთა კლუბის წევრთა სამხედრო სტგრატეგიული და ტაქტიკური დამსახურება.

დავემყარებით ვეტერანთა ინსტიტუტის ძირითად მონაცემებს.

უტყუარი ძირითადი მონაცემებისათვის

საქართველოს ვეტერანთა დაუწერელი ისტორიის შექმნა დაემყარება საერთოდ აღიარებულ სახელმწიფოებრივ მოთხოვნებს:

N1. რეგიონალურ სამმართველოებში დღეისათვის არსებული ზუსტი მონაცემების გაანალიზებას;

N2. საქართველოს მუნიციპალიტეტების საარქივო მონაცემებს;

N3. თბილისის რაიონების (10 რაიონი) ცნობების განზოგადებას.

საერთო ძირითადი მოთხოვნები ვეტერანთა დაუწერელი ისტორიისათვის საქართველოს რეგიონალური სამმართველოების, მუნიციპალიტეტების და თბილისის რაიონებისათვის ასეთი სახით წარმოგვიდგება: თითოეულისათვის:

1. ვეტერანთა საერთო რაოდენობა
   ა) მამაკაცი -
   ბ) ქალბატონი -
   გ) შრომის -

დ) ომის -

2. საერთო რაოდენობა კატეგორიების მიხედვით:
   ა) სამამულო ომი (1941-1945) –
   ბ) სხვა ტერიტორიებზე ომის მონაწილე -
3. საქართველოს ტერიტორიაზე (1991-1993წ.წ.) აფხაზეთის, თბილისის ომის მონაწილე სულ 31892
4. ძირითადი: საქართველოს ტერიტორიაზე (2008წ.) ცხინვალის ომის - სულ 15874
5. სამხედრო ძალთა ვეტერანი - 1121
6. გათანაბრებული - 5170
7. მონაწილე მფრინავები - 217

პროექტის ძირითადი საგანი საქართველოს უახლესი ისტორიის ქართული სამხედრო ინტელიგენციის, ქართული გენერალიტეტის სტრატეგიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკაში მისი ტაქტიკური შესრულების საქმეში გაწეული ღვაწლის სათანადო წარმოჩენა. ქართული გენერალიტეტის შემოქმედებითი და საბრძოლო ისტორიის ჭეშმარიტი გამოცემა.

მონაცემები შეიცვლება - გაიზრდება.

ქართული გენერალიტეტი:

1. ვლადიმერ იმნაძე,
2. თენგიზ შუბლაძე,
3. დავით თევზაძე,
4. გურამ გვეტაძე,
5. დავით ჭანკოტაძე,
6. გიორგი ნიკოლაიშვილი.
7. მიხეილ ჩიგოგიძე,

8. გივი იუკურიძე,
9. თენგიზ ეპიტაშვილი,
10. იგორ გიორგაძე,
11. პანტელეიმონ გიორგაძე,
12. გიორგი თორაძე,
13. დავით შარაშენიძე,
14. შალვა ბაიაძე

P.S. ქართული სამხედრო ინტელიგენციის, ქართული გენერალიტეტის ვეტერან გენერალთა საამაყო, სანიმუშო, სასახელო საბრძოლო-სამეცნიერო შემოქმედების იშვიათი, განუმეორებელი სათავგადასავლო ისტორია ვრცლად და ღირსეულად გაანალიზებული იქნება ცალკე მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ვეტერან გენერალთა დაუწერელი ისტორია“, წიგნი 1.

პოლკოვნიკები:

1. ირაკლი ცერცვაძე,
2. გელა გელაშვილი,
3. მამუკა გოგიტიძე,
4. ალექსანდრე კიკნაძე,
5. დავით კალატოზიშვილი,

XX საუკუნის 80-90-იანი წლების საქართველოს მოვლენების ისტორიისათვის

XX-საუკუნის 20-იანი წლებისათვის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური დაინტერესება შეიძინა კავკასიაში მიმდინარე მოვლენებმა. კავკასია მოექცა დასავლური სამყაროსა და მსოფლიო პოლიტიკის

ყურადღების შუაგულში. ისტორიული მეცნიერებისათვის ეს ახალი და ურთულესი შესწავლის საფუძველს წარმოადგენს. კავკასიას თავისი მრავალგვარი ეთნიკური შემადგენლობით ჰქონდა და აქვს სრული შესაძლებლობა მყარი ადგილი დაიკავოს საერთაშორისო თანამეგობრობაში. თანამედროვე პირობებში კავკასია (ჩრდილოეთ კავკასია, სამხრეთ კავკასია) აღმოჩნდა ახალი სოციალურ-პოლიტიკური გამოწვევების წინაშე, გამოწვევებისა, რომელთაც შესაძლოა საფრთხე-საშიშროება შეუქმნას მსოფლიო საზოგადოების მშვიდობას.

ჩვენი აზრით უმთავრესი სირთულე რუსეთის კავკასიური პოლიტიკის და მასში საქართველოს მონაწილეობის შეფასებისა მდგომარეობს მოვლენათა განვითარების მიზეზების შესწავლაში. აუცილებელია გამოვლენილი იქნეს წარმოშობილი დაპირისპირების საფუძვლები და მიზანმიმართული საქმიანობა მისი აღმოფხვრისათვის. კავკასიაში შექმნილი ვითარების მეცნიერული გაანალიზების, რუსეთ-საქართველოს 2010-იანი წლების მოვლენების კრიტიკული შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები ახლა იქმნება. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია 2009 წელს გამოცემული ვ. მაისაიას და ბ. ობოლაძის ნაშრომი - ,,ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში“, (გლობალური და რეგიონალური ასპექტები) პანკისის ისლამური, ,,პანდორას ყუთი“ და ქართული სპეცსამსახურები. ვ. ჭანიას სტატია ,,აფხაზეთის კონფლიქტი კავკასიის გეოპოლიტიკურ ჭრილში“.

შემოთავაზებული ნაშრომების ავტორები გვიდასტურებენ, რომ კავკასია, საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ინტერესების სფეროში აღმოჩნდა, ზოგ შემთხვევაში ხდება დაპირისპირება რუსეთთან. მნიშვნელოვანია დასავლეთის ჩარევა, რამაც ხელი შეუწყო კავკასიაში პოლიტიკური მოვლენების გამძაფრებას, გამოიკვეთა ამერიკის მკვეთრი დაინტერესება.

პროექტის მსოფლმხედველობრივი საფუძველია ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს სუვერენული განვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერება, ვეტერანთა გამოცდილების საფუძველზე.

პროექტის ხანგრძლივობა - 36 თვე.

გამოკვლეული და განზოგადებული იქნება: ყველა სახეობის ვეტერანთა მიერ შესრულებული სანიმუშო საქმეების შედეგების მნიშვნელობა, საარქივო პირველ წყაროების გამოყენებით, პირადი ბიოგრაფიული თავგადასავლებით, სამსახურებრივი დახასიათებით, საგაზეთო სტატიების და სხვა წერილობითი საბუთების ჩათვლით გამოყენებული იქნება ყველა აღიარებული მეთოდი მოვლენების სრულყოფილი შინაარსობრივი შესწავლისათვის; მოვიშველიებთ ხანგრძლივ და საჭირო მოვლენებს, როგორც ქვეყანაში, ისე მის გარეთ არსებულ არქივებში; მოვაწყობთ პირად შეხვედრებს ვეტერანებთან: საქართველოს ყველა მხარესა და მუნიციპალიტეტში.

მოპოვებული მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პერიოდულად გამოვაქვეყნებთ „სამეცნიერო ბიულეტენებს“ მუნიციპალიტეტების მიხედვით, სტატიების პერიოდულ გამოცემებში, სატელევიზიო გადაცემებს, რის

მეოხებითაც შევქმნით სრულიად ახალი ისტორიული მონოგრაფიის რამდენიმე წიგნს (1- IV).

პროექტის შემსრულებლები:

ხელმძღვანელი: ელგუჯა მამუკელაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თანახელმძღვანელი: - თენგიზ შუბლაძე - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი, ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

შემსრულებლები:

1. გურამ გვეტაძე, გენერალი, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
2. შოთა უტიაშვილი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ქ. გურჯაანი)
3. ალექსანდრე ოთარაშვილი თელავის მუნიციპალიტეტი
4. ზურაბ მჭედლიშვილი ვიცე პოლკოვნიკი, სამხედრო აკადემია - გორი ტელ: 577 19 71 00
5. ირაკლი გიორგაძე ისტორიის აკადემიური დოქტორი ჭიათურა, ტელ: 599 20 60 65 (იმერეთი)
6. მაიზერ ცელაძე ისტორიკოსი, ოზურგეთი (გურია)

მიზანშეწონილად მიმაჩნია: რეგიონალური ხელმძღვანელების უშუალო მოვალეობაა: ვეტერანთა შრომისა და ბრძოლის უტყუარი საბუთების მოვლენა-მოწოდება:

1. აფხაზეთი - ლევან ღვინჯილია - 591 44 98 23
2. აჭარა - გიორგი ქაშიბაძე - 591 44 9*8 46
3. გურია - გელა ბაქანიძე - 599 08 49 77
4. იმერეთი - გელა ცინაძე - 551 90 00 17
5. სამეგრელო, ქვ. სვანეთი - რევაზ გაბუნია - 577 46 33 50
6. სამცხე-ჯავახეთი - დავით ფეიქრიშვილი - 599 92 33 22
7. შიდა ქართლი - ზვიად საბაშვილი - 599 80 95 00
8. მცხეთა-თიანეთი - გოჩა ნაყეური - 595 23 29 05
9. ქვ.ქართლი - ლევან ამირიძე - 591 01 68 69
10. კახეთი - თამაზ კალატოზიშვილი - 591 44 98 38

PS. საერთო საფინანსო ხარჯების მოცულობა მიაღწევს 180-190 ათას ლარს, რაც გადანაწილდება შესრულებული სამუშაოსა და საგამომცემლო მოთხოვნებზე დროის მიხედვით.

ცხადია გზადაგზა დაკორექტირდება ვეტერანთა ისტორის საერთო ინტერესისა და მოთხოვნების მიხედვით.

02,07,2017წ.

თელავი, კურდღელაური

საქართველოს უახლესი ისტორიაში შეიქმნა (2017წ.) ახალი - ,,სამხედრო ისტორიის საზოგადოება“

(დამფუძნებლები: მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, გ. ნიკოლაიშვილი)

გამარჯობათ, ბატონებო! . . .
თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურიდან
გილოცავთ ახალი საზოგადოების - ,,საქართველოს
სამხედრო ისტორიის საზოგადოების“
ჩამოყალიბებას.
(ხელმძღვანელი პროფესორი მამუკა გოგიტიძე)

გისურვებთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რთულ და საშვილიშვილო კეთილშობილურ მოღვაწეობაში სამომავლო წარმატებებს.

იმედი მაქვს ახალი საზოგადოება შეძლებს შექმნას საქართველოს სამხედრო ისტორიის უტყუარი, ნამდვილი, გაუზვიადებელი, ნათელ მეცნიერულ ნარკვევებს, ნაშრომებს, მონოგრაფიებს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საბრძოლო თავგადასავალზე. გამოავლენს ქართველი წინაპარი გმირების თავდადების ნიმუშებს მომავალი თაობის ნიმუშად და მისაბაძად.

მიმართვა - პროფესორ გიორგი ბეჟიტაშვილს.

ბატონო გიორგი, გავკადნიერდები და თავმდაბლად შემოგთავაზებთ საკუთარ სურვილებს ახალი საზოგადოების მოღვაწეობის მომავალ შინაარსზე. იქნებ სჯობდეს ახალი საზოგადოების სახელწოდება ასე ჩამოყალიბდეს: „ი. ჯორჯაძის სახელობის საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიის საზოგადოება“.

დიდია ი. ჯორჯაძის ღვაწლი ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესწავლა-შექმნაში. მეცნიერმა მრავალწლიანი კვლევის საფუძველზე საზოგადოებრივ ცნობიერებას შესთავაზა პირველი და ორიგინალური მონოგრაფიული გამოკვლევა, საფუძვლიანი ნაშრომი: „საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორია“. გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ ენებზე. მონოგრაფიამ საფუძველი მოუმზადა მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში საქართველოს აღიარებას, როგორც კაცობრიობის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი, უპირველესი ქვეყნის რეალურ არსებობას.

დიდ პატივს მივაგებთ საქართველოს სამხედრო ისტორიის ცალკეული მოვლენების მეცნიერ-მკვლევარებს, სპეციალისტების, დაინტერესებულ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა გაწეულ საქმიანობას. მაგრამ გამორჩეულია ი. ჯორჯაძის მონოგრაფიული გამოკვლევის მნიშვნელობა დაწყებული უძველესი სამყაროს სამხედრო-ხელოვნების უიშვიათესი სამხედრო-დიპლომატიური მოვლენიდან დღევანდელობამდე. ძველი ეგვიპტის ქ. კადეშთან კაცობრიობის სამხედრო ხელოვნების უპირველესი იშვიათი მოვლენით. აქ პირველად იქნა მიღწეული შეთანხმება და

ხელმოწერილი მებრძოლ მხარეთა საზავო მოლაპარაკება. ამ დროიდან მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში საქართველო არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მდიდარი მოვლენების მქონე უძველესი ქვეყანა.

ი. ჯორჯაძე - არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ქ. მოსკოვში კ. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო აკადემიის სამხედრო ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადოება „სტალინელის" ფუძემდებელი საქართველოში. 60-ზე მეტი წიგნისა და მრავალი სამეცნიერო სტატის ავტორი. მისი ნაშრომი „ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია" იმსახურებს ახალი საზოგადოების ყურადღებას.

მიგვაჩნია ისტორიულად სამართლიანი იქნება: - ი. ჯორჯაძის სახელობის საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიის საზოგადოება".

იმედი მაქვს გაითვალისწინებთ ასეთ შემოთავაზებას და შედეგებს მაცნობებთ.

თავდაბალი პატივისცემით - ელგუჯა მამუკელაშვილი

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

2018 წლის 19 იანვარი, თელავი

სოფ. კურდღელაური

ი. ჯორჯაძის სახელობის საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიის საზოგადოება შეძლებს წარმოაჩინოს მრავალსაუკუნოვანი საომარი თავგადასავლების ისტორია.

2018 წლის ---------- თებერვალიდან მზადდება

N1 საერთაშორისო კონფერენცია: მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი (1918-2018).

შესავალი სიტყვა - მამუკა გოგიტიძე.

მოხსენებების სავარუდო თემატიკა:

1. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღიარება (1918)
2. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ადგილი XXსაუკუნის მსოფლიოში
3. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობა ახლო მეზობელ და ევროპულ ქვეყნებთან
4. დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის საგარეო პოლიტიკა (1921წ.)
5. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული იდეოლოგია და სამხედრო ცენტრის" საქმე (ქართული გენერალიტეტი)
6. 1924 წლის აჯანყება საქართველოში
7. ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში (1921-1953)
8. ქართველ ემიგრანტთა „ციმბირის ცენტრი"
9. ქართველი ემიგრაციის აღმოსავლეთის ბიურო მანჯურიაში
10. სისხლიანი წლები საქართველოში (XX-XXIს.ს.)

11. ი. სტალინი და საქართველო
12. ფაშიზმი ევროპაში და გრიგოლ რობაქიძე – ვაგზავნი მოხსენების თეზისებს.
13. საქართველო მეორე მსოფლიო ომში (1939-1945)
14. ქართველები ფაშიზმის სამსახურში
15. ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1989 წლის 9 აპრილი
16. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991წ.
17. აფხაზეთის მოვლენები და რუსეთი (1991-1993)
18. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი ცხინვალში
19. დამოუკიდებელი საქართველო XX-საუკუნის 20-იან წლებში
20. საით მიჰყავთ საქართველო!

პროფესორ გიორგი ბეჟიტაშვილს!

ბატონო გიორგი!

გეხმიანებით სოფელ კურდღელაურიდან.

გილოცავთ ახალი უიშვიათესი და მდიდარი მოვლენებით გამორჩეული ორიგინალური წიგნის „საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო)“ გამოცემას.

წიგნი ემყარება საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმების შედეგად შემოთავაზებულ, თანამედროვე მაღალი მოთხოვნების საფუძველზე შედგენილ სასწავლო

სილაბუსების პრობლემების ორიგინალურ გაშუქებას უძველესი ისტორიული სამყაროდან დაწყებული თანამედროვეობის ურთულესი საკითხების გაანალიზებას, რომელსაც მეცნიერული სიდარბაისლით გაართვით თავი.

მჭონდა ბედნიერი შესაძლებლობა თქვენი წიგნის ხელნაწერიდან დაწყებული, კორექტირებული ცვლილებებითა და ჩასწორებებით დამთავრებული, პირველი მოწმე და მონაწილე ვყოფილიყავი, რითაც დავრწმუნდი თქვენი ნაშრომის ღრმა ქართული სულიერების სიბრძნეში.

ბატონო გიორგი, თქვენ წარმოაჩინეთ საქართველოს ხანგრძლივი ცხოვრების ნამდვილი, უტყუარი, გაუზვიადებელი ისტორიული წარსული და თანამედროვეობა.

გილოცავთ მომავალ შემოქმედებითი წარმატების სურვილით!

ელგუჯა მამუკელაშვილი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

18,01,2018 წელი, თელავი,

კურდღელაური

PS. ეს ყველა მასალა იქნება მოათავსოთ „მემატიანის უკვდავებაში“

გამარჯობა ბატონო გიორგი!

მჯერა თქვენი შემოქმედებითი ნიჭისა და მოუღლელი მოძრაობისა. იღვაწეთ ქვეყნისა და მომავალი თაობის სიკეთისათვის მართალი სიტყვით. N1 საერთაშორისო კონფერენციისთვის მოვამზადე და

გიგზავნით, ხელნაწერის სახით, კონფერენციისათვის მოხსენების ტექსტს თემაზე: „ფაშიზმი და ქართველები (თეზისები)“ 4 გვერდი.

იმედი მაქვს, თქვენებურად კრიტიკულად გადახედავთ და მისცემთ მიმართულებას.

პატივისცემითა და თანადგომის სურვილებით

ელგუჯა!

თელავი, სოფ. კურდღელაური

5 მაისი, 2018 წელი

თავი XIII. NI საერთაშორისო კონფერენციის მოხსენების თეზისები - „ფაშიზმი და ქართველები“

ელგუჯა მამუკელაშვილი
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1. ზოგადსაკაცობრიო ისტორიულმა მეხსიერებამ სამუდამოდ მიიბარა ჩვენი ცივილიზაციის უახლესი ისტორიის ბობოქარი, სისხლიანი XX საუკუნე (I და II) მსოფლიო ომებით, ცალკეულ ქვეყნებში რევოლუციების და დაპირისპირების შედეგებით, ევროპაში მსრულიად ახალი, ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიებით, პოლიტიკური დაპირისპირებით, მონაწილე მხარეთა მძაფრი საიდუმლოებებით გადატვირთული საუკუნე.
2. XX-ე საუკუნის 20-30-იან წლების მძაფრი და სისხლიანი, დაუნდობელი დაპირისპირების მოვლენები, მასში მონაწილეთა გასაიდუმლოებული თავგადასავლები, წლების მანძილზე გადამალული, დღემდე გასაიდუმლოებული მოვლენები ითხოვს განსაკუთრებულ, პირუთვნელ, მართალ, მკაცრ ისტორიულ შეფასებას.
3. კაცობრიობის უახლესი ისტორიის ურთულეს, მტკივნეულ სისხლიან მოვლენებში თავისი მუხანათური იდეოლოგიით და სამხედრო სტრატეგიული აღჭურვილობით გამოირჩეოდა პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) სამარცხვინოდ დამარცხებული გერმანია. თავისი დამპყრობლური

გეგმებითა და მსოფლიოზე ბატონობის მისწრაფებებით.

4. XXსაუკუნის 30-იანი წლების ევროპაში ფაშისტური იდეოლოგიის აღზევების წლებია. ფაშიზმი დამკვიდრდა იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში. გერმანულმა ფაშიზმა კაცობრიობის მრისხანე მეორე მსოფლიო ომი (1939-1945) მოახვია თავს და სამარცხვინოდ დამარცხდა. მსოფლიომ, იხილა გერმანელ ფაშისტ დამნაშავეთა გასამართლება.
5. გერმანული ფაშიზმის მესვეური, ფიურერი ადოლფ ჰიტლერი (შიკგრუბერი), ჰიტლერი მისი ებრაელი დედის ქალიშვილობის გვარია. რთული გზით მოვიდა, მისდევდა ნარკოტიკებს, იჯდა ციხეში.

ჰიტლერმა ანტიპოლმევიკი დიტრიხ ეკარტის მეშვეობით ისწავლა სწორი ლაპარაკი და წერა-კითხვა. ეკარტმა შექმნა ჰიტლერი. ამასთანავე როდესაც ჰიტლერი იჯდა ანდაბერგის ციხეში მას აქ ჰაუზჰპოფენი უტარებდა ყოველდღიურ მრავალსაათიან გაკვეთილებს, რის საფუძველზეც შეიქმნა ჰიტლერის წიგნი - „ჩემი ბრძოლა“.

გერმანული საომარი მანქანის აღდგენა-გაძლიერებაში მონაწილეობდა ამერიკულ მასონთა 100-ზე მეტი მდიდარი ფირმა.

6. გაძლიერდა გერმანული ფაშიზმი ამერიკელი ებრაელების საბანკო გაერთიანებების ეკონომიკური და ფინანსური დახმარებით გაძლიერებული იწყებს რევანშისთვის მზადებას. მსოფლიოზე გაბატონებისათვის, მეორე მსოფლიო ომისათვის და

ქმნის „ბარბაროსის“ სტრატეგიულ გეგმას. სისხლიანი საომარი მოქმედებისათვის.

7. ამ დროის, უახლესი ისტორიის XXსაუკუნის 20-30-იანი წლების საქართველო აღმოჩნდა ჩაბმული საერთაშორისო ურთულეს პროცესებში. სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით. ქართველები მონაწილეობდნენ პირველ მსოფლიო ომში. ქართველები აქტიურობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა ქართველების თანადგომა და სამსახური ფაშისტური გერმანიის ჰიტლერულ ხელისუფლებასთან. მათ გაინაწილეს დანაშაული ადამიანობის მიმართ.
8. ქართველები გერმანული ფაშიზმისა და ჰიტლერული საომარი მოქმედების სამსახურში გამოირჩეოდნენ თავისი ერთგულებითა და საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული განწყობით. ვინ იყვნენ ქართველი ფაშისტები?! რას ინახავს საიდუმლო არქივი და ხალხთა მეხსიერება?! საქართველოს მტრები თუ მოყვარენი? ეს კითხვები ითხოვენ სამართლიან პასუხებს როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს ისინი. მკაცრია ისტორიული სინამდვილე, ის პასუხს ითხოვს, ქართველებმა უნდა იცოდნენ ქართველი ფაშისტების დაუნდობლობა საქართველოსა და ქართველების მიმართ - როგორც იდეოლოგიური მსოფლმხედველობრივი, ისე საომარ-სტრატეგიული მიმართულებით. ვინ იყვნენ ისინი?! ვაქოთ თუ გავკიცხოთ?! თაობებს ვუთხრათ სიმართლე, მკივნეული, ცრემლიანი სიმართლე!

ქართველი ფაშისტების მონაწილეობა ზოგადსაკაცობრიო ადამიანურობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში დაბეჯითებით, დაკვირვებულ, ფრთხილ კვლევა-ძიებას საჭიროებს! ისტორიული სიბრძნე ვერ ითმენს სიყალბეს!

9. უპირველესი ქართველი ფაშისტი გრიგოლ რობაქიძე, ამპარტავანი დაუპირისპირდა მაშინდელ ქართულ ინტელიგენციას და გაიქცა საქართველოდან შვებითა და ნეტარებით. 1930-იან წლებში არ გაუძევებია ხელისუფლებას, წავიდა გერმანიაში, ცხოვრობდა ბერლინის პრესტიჟულ უბანში - დალემში მისთვის განკუთვნილ ვილაში, ემსახურებოდნენ უმაღლეს დონეზე. აქ ის აქებდა, როგორც მწერალი, ფაშიზმს წერდა წიგნებს „ა. ჰიტლერი უცხო პოეტის თვალით“, - უბიძგებდა ახალი მსოფლიო ომისაკენ, აქებდა, ამხნევებდა „ევროპის ახალ ადამიანს“. არ გამორჩენია იტალიური ფაშიზმის მესვეური ბენიტო მუსოლინი, მას უღვნა ქებათა ქება უწოდა მზეჭაბუკი. დაუნდობლად, მოურიდებლად ლანძღავდა სტალინს, რუსეთს. ბევრს ცრუობდა. მას ბაძავდნენ გერმანელი პილიგრიმი და ამერიკელი სნეიდერი. გრიგოლ რობაქიძე ფაშისტ გენერლებთან ერთად ტყეთა ბანაკებში არჩევდა ქართველებს, გამოჰყავდა და ხელს უწყობდა ქართველ ტყვეთაგან გერმანიის სასარგებლოდ საჯარისო ქართული ბატალიონების შექმნას. მისი და სხვა ქართველი ფაშისტების მცდელობით ჩამოაყალიბეს შვიდი ბატალიონი, აღჭურვეს, გაწვრთნეს და გამოაგზავნეს კავკასიაში

ქართული ეროვნული დივიზიების წინააღმდეგ საბრძოლველად“.

გრიგოლ რობაქიძე უნებლიეთ თუ შეგნებულად აღმოჩნდა საერთაშორისო ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულის მონაწილეთა შორის, ამის დასტურია მისი წერილი საქართველოს მწერალთა კავშირში ირაკლი აბაშიძესთან. ის, გრიგოლ რობაქიძე პირად ცხოვრებაშიც ტრაგიკული პიროვნება აღმოჩნდა.

10. განსაკუთრებით გამოირჩევა შალვა მაღლაკელიძე, ფაშისტი გენერალი, 1937 წლიდან აბვერის ოფიციალური თანამშრომელი, მას „ფაშისტ მონარქისტს“ უწოდებდნენ, მოიხსენებდნენ როგორც „საქართველოს ფიურერს“. კარგი ურთიერთობა ჰქონდა ადმირალ კანარისთან, იბრძოდა საბჭოეთის წინააღმდეგ ქართველ ტყვეთაგან შექმნილ საჯარისო ნაწილებით - „ბერგმანით“, კავკასიაში.
11. ფაშისტი გენერალი გივი გაბღიანი, ექიმი, ქართველ ტყვეთა საიდუმლო ორგანიზაციის გამცემი. გერმანელებმა დახვრიტეს მონაწილენი მისი დასმენით.
12. სპირიდონ კედიას სამსახური ფაშიზმთან ცალკე შეფასებას საჭიროებს, ემიგრანტული ცხოვრებით ცხოვრობდა საფრანგეთში ქ. კარმარაში. გარდაიცვალა 1948 წელს. დაკრძალულია ლევილში.
13. მიხეილ კედია „აჰვერისა“ და „გესტაპოს“ თანამშრომელი. მას ევალებოდა ქართველ ტყვე ჯარისკაცების შერჩევა-გადაბირება.

14. საჭიროდ ვთვლით ვრცლად წარმოვაჩინოთ ფაშისტთა სამსახურში გამორჩეულები მიხეილ ახმეტელი, ალექსანდრე ნიკურაძე, ალექსანდრე ცომაია, ფრიდონ წულუკიძე, მიხეილ ალშიბაია, ს. ზალდასტანიშილი.
15. 2012 წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყოს დიდი გამოფენა „გერმანიის დღეები საქართველოში“. ერთი სტენდის მასალებში მოცემულია ცნობა 40,000 ქართველ ფაშიზმის სამსახურში“. ეს 40000 ახალგაზრდა ქართველი ჩაიხოცა გერმანიის მხარეზე კავკასიაში ბრძოლის დროს. მათი სისხლი ითხოვს სამართალს, ითხოვს დამნაშავის გამოვლენა-შეფასებას, მართალ ნამდვილ შეფასებას.
16. გახმაურებული ტყვეთა აჯანყება ტექსელზე ითხოვს აუცილებელ შესწავლა-შეფასებას. რა იყო სინამდვილეში? გადარჩენილი ტექსელების მოგონებები მეტყველებენ: (ჩვენ პირადად 36 მათგანს შევხვდით)

    შორეულ ფირლანდიის კუნძული ტექსილი აქ მოხვედრილ ქართველ ტყვეთა უმრავლესობა თავისი ნებით ჩაბარდა და წლები ემსახურებოდა გერმანული ფაშიზმის სამხედრო ინტერესებს ინგლისის წინააღმდეგ. მათ მცირე დაცვის გერმანელი ჯარისკაცები იცავდნენ, ზოგნი დამეგობრდნენ კიდეც. ტყვეები თავისუფლად ხვდებოდნენ ადგილობრივებს, მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ჰოლანდიაში.

1945 წლის 26 აპრილს ცნობილი გახდა, რომ „სტალინი ბერლინში შედის, ომი მთავრდება“ და შეშფოთდნენ ქართველები რა მოელით მათ?! მოიფიქრეს და მოაწყეს ფლიდი, დაუნდობელი, საიდუმლო, ქურდული, შეუბრალებელი, მიპარვით ჩახოცეს გერმანელი მომსახურე ჯარისკაცები, რა იყო ეს? გმირობა? ჯვარცმა? თავდადება? ! თუ შიში პირადი სიცოცხლის დაკარგვისა.

მეორე დღეს გერმანელმა სამსედრო ნაწილებმა ჩახოცეს ტყვე ქართველები. ისინი განისვენებენ ძმათა საერთო სამარადისო სასაფლაოში შორეული ჰოლანდიის მიწაზე.

17. ცალკე, სრულიად ობიექტური კვლევის, აუცილებელია საგანია ფაშისტური რეჟიმის სიკვდილის ბანაკებში: დახაუში, ისვენციმში, აუშვიტში, მაუტჰაუზენში და სხვა. მოხვედრილი ქართველი ტყვეებიდან გადაბირებული ჯალათების დანაშაულებრივი საქმიანობა. იქ, ფაშისტების ერთგულები, ულმობლად უსწორდებოდნენ თანამოძმეებს, ეს ისტორია ელოდება სამართლიან განსჯას როგორი ტკივილიანიც უნდა იყოს.

თელავი, სოფ. ჯურდღელაური
2018 წელი 5 მაისი

სარჩევი

Contents

ანოტაცია..... 5

რედაქტორისაგან 9

თავსათქმელი 11

თავი I ზოგადი მონაცემები

16

.....11

§1 ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
რეგიონალური სამმართველოები..... 20

§2. ვცდილობთ უტყუარი ძირითადი მონაცემებისათვის..... 23

თავი II ვეტერანთა ქართული სამხედრო ინტელიგენცია..... 49

§1. ქართული გენერალიტეტი 50

§2. ვეტერანი მაღალჩინოსნები 62

თავი III. კახეთის მხარის ვეტერანები - თელავის
მუნიციპალიტეტი..... 71

§1. მოუღლელი ნოდარ გაგნიძე..... 73

§2. ღია წერილი ქართველ ერს და საქართველოში მცხოვრებთ 133

§3. ისტორიული სინამდვილე ერთია..... 177

§4. ვეტერანის ღია წერილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე ვ.
პუტინს, მოსკოვი, კრემლი..... 228

თავი IV. მზეგრძელი მებრძოლი - ივანე ბუჩუკური 265

§1. აფხაზეთის ომის ძირითადი მიზეზები 277

§2. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის წინაპირობები და მსვლელობა 286

§3. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივი შეფასებისათვის 306

§4. საქართველოს სარჩელი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში (2008 წლის 12 აგვისტო) 333

თავი V. მზვერავი ვეტერანი ა. ტალიური 366

§1. ბიოგრაფიული ცნობები 366

§2. სამეცნიერო ინტერესები - ლოკალური ომის სტრატეგიული საფუძველი 390

თავი VI. თელავის მკვიდრი - ზაქარია ახოიშვილი 402

თავი VII. ვეტერანები სოფელ ყარაჯალიდან 422

თავი VIII. ვეტერანი პოლიციელები ყვარლიდან 463

თავი IX. ლაგოდეხელი ვეტერანი - მევლუდი ღამბაშიძე 494

თავი X. ნოდარ ბეჟიტაშვილი გურჯაანიდან 496

თავი XI. მცხეთა-თიანეთის მხარე, თიანეთის მუნიციპალიტეტის ვეტერანები 498

თავი XII. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - ვეტერანთა დაუწერელი ისტორია (XX-XXI ს-ის 20-იანი წლები) 507

თავი XIII. N1 საერთაშორისო კონფერენციის მოხსენების თეზისები - „ფაშიზმი და ქართველები“ 531

ელგუჯა მამუკელაშვილი

(ბიოგრაფიული ცნობები)



დაიბადა 1929 წელს თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში. განათლებით ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და სამართლის კათედრის გამგე. 180-ზე მეტი პუბლიკაციის, რამდენიმე სახელმძღვანელოს და მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი.

გამოქვეყნებული აქვს ისტორიული ნარკვევები: ,,ქართული საფრონტო პრესა (1941-1945)“, ,,სამხედრო-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მოღვაწეობა კავკასიისათვის ბრძოლაში (1941-1943)“ (რუს); ,,კავკასია მრისხანე წლებში“ (1941-1945წ.წ.)“ (რუს); ,,მხედართმთავრები სამთო ომში“ (რუს); ,,საქართველო

გეოპოლიტიკურ სივრცეში“ (სახელმძღვანელო); ,,გლობალიზაცია და XXI საუკუნის საქართველო“ (დამხმარე სახელმძღვანელო); ,,წლები“; ,,ცოდვა“; ,,შემოსულ სიტყვათა ანაკრეფი“.

ასევე პოეზიიდან: ლექსების კრებული ,,ნაფიქრალი“. პროზაული შემოქმედებიდან მოთხრობების კრებულები: ,,ამოუცნობი სულები“, ,,შენ, მე და სული“, ,,ბედი“. მონოგრაფია-სახელმძღვანელოები: ,,ჩვენები“, ,,ცოდნის კერა 70“ (1939-2009), ,,პოლიტოლოგია“ (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა 2010წ; ,,აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია“ (სახელმძღვანელო, 2010წ.), ,,ახალი ისტორია“ (სახელმძღვანელო), ,,უახლესი ისტორია“ (სახელმძღვანელო), ,,აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“ (სახელმძღვანელო), ,,ედელვაისის აღსასრული“, ,,ალავერდელ-ცაგარელი მიტროპოლიტი“ (2011), ,,საეპარქიო სავანეები კახეთში“, ,,ისტორიული შორეთიდან“ (2013). ,,ცივი აგვისტო“, წიგნი I - აფხაზეთი (1992-1993წ.წ.), 2013 წელი. ,,ცივი აგვისტო“, წიგნი II ცხინვალი (2008წ.), 2013 წელი. ,,სახალხო განათლება და სოციალური ვითარება კახეთში (1939-1945), ,,საზღაური“ – 2013. ,,ნიჭი თავდადებისა“, ,,დაბრუნება“ (რუსული ლიტერატურის ისტორია XI-XX ს-ის 20 წლებამდე. დამხმარე სახელმძღვანელო. 2012),“ ტ.I. ,,დაბრუნება“ (საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო. 2012)“, ტ. II. წიგნი ,,ზარი“ 2014წ., მონოგრაფია ი. სტალინი, შ. დე გოლი და ქართული ემიგრაცია“ 2014წ.

მისი მეცნიერული კვლევის სფეროა საქართველოს და კავკასიის ხალხთა უახლესი სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, ისტორიული დემოგრაფიის თეორიის აქტუალური პრობლემატიკა.